780
2009

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საუნჯე

1 - 6

2009

# საუნჯე

იანვარი
დეკემბერი
2009

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ლიტერატურის
მთარგმნელობითი ჟურნალი
დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა
კავშირი და ჟურნალ "საუნჯის" რედაქცია

№ 1 - 6

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

დენი დიდრო. მონაზონი. რომანი. ფრანგულიდან თარგმნა
დავით კახაბერმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
კრისტინა ბუსტა. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა
ლულუ დადიანმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 123
ივან ბუნინი. მიტიას სიყვარული. რუსულიდან თარგმნა
გიორგი ბაქანიძემ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .138
ვიტაუტს ლუდენსი; ალექსანდრს ჩაკი. ლექსები.
ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდიამ. . . . . . . . . . .185
ოსკარ უაილდი; ემილი დიკინსონი; ევგენი ხრამოვი.
ლექსები. თარგმნა მარიკა აბაშიძემ. . . . . . . . . . . . .198

### დრამატურგია

ერიკ-ემანუელ შმიტი. სტუმარი. პიესა. თარგმნა
ლილი მჭედლიშვილმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 200

### წერილები

ძმები გონკურები. დღიური. (ფრაგმენტები).
ფრანგულიდან თარგმნეს ჟ. გიორგაძემ და გ. ლოლაძემ. . . . 245
ლაო ძი. დაო დე ძინი. წინასიტყვაობა და თარგმანი
ლერი ალიმონაკისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . .272

### ხელოვნება

ვახტანგ ქართველიშვილი. მრავალსახეობა დონ კიხოტისა . . 291
კიტი მაჩაბელი. ფრანსისკო გოია . . . . . . . . . . . . . 307

მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-ბოლქვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო საბჭო:
ელზა აზვლედიანი, მანანა ამისულაშვილი, ნანა ახობაძე, ჯემალ აჯიაშვილი, ნანა ბართაია, გურამ გოგიაშვილი, ნანა გოგოლაშვილი, თამარ ერისთავი, ლალი ფანჯიკიძე, ეთერ ყურაშვილი, გივი შაჰნაზარი, ქეთევან ჩიჯავაძე.

პასუხისმგებელი მდივანი
ვაჟა ჩორდელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ივანე ბუჩუკური

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. №4.
ტელ: 99-73-41, 33-46-80, 60-23-[illegible]

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. II. 2009 წ., ქაღალდის ზომა 70X1081/16.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა
20 ფორმა, ტირაჟი 300.
შეკვ: 11

თბილისი
2009

# პროზა და პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი დიდრო

## მონაზონი

ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ
თარგმნა დავით კაკაბაძემ

ამ ამბის პირველი სტრიქონების შექმნა ბატონ მარკიზ დე კრუამარის პასუხზე იქნებოდა დამოკიდებული, თუკი, რა თქმა უნდა, ინებებდა და მიპასუხებდა, მაგრამ, სანამ წერილს მივწერდი, მისი გაცნობა მოვინადინე: მაღალი წრის კაცია, სახელი სამსახურებრივ სარბიელზე გაითქვა, უკვე ასაკშია შესული, ჰყავდა ცოლი, ახლა ჰყავს ქალიშვილი და ორი ვაჟი, რომლებიც დიდი სინაზით უყვარს და ისინიც ნაზი სიყვარულითვე პასუხობენ. მოდგმით წარჩინებული გვარის შვილია, განათლებული, ჭკვიანი, მხიარული და სიცოცხლის მოყვარული; იტაცებს ხელოვნება, განსაკუთრებით კი — კლასიკური. მოხიბლული დავრჩი მისი ჩვილი გულით, ღირსებითა და უზადო პატიოსნებით. ჩემს საქმეზე მისმა თავგამოდებამ და იმანაც, რასაც მასზე მიამბობდნენ, მაფიქრებინა, კარგი ვქენი, სწორედ მას რომ მივმართე და თავი საფრთხეში არ ჩავიგდე-მეთქი. თუმცა იმ აზრს კი ვერ შევეგუებივარ, რომ ჩემი ხვედრის შეცვლა ისე მოინდომა, არც კი იცოდა, ვინ ვიყავი. სწორედ ამან მაიძულა ყველაფერი დამეძლია, თავმოყვარეობაც, ზიზღიც და ამ მემუარების წერა დამეწყო, რომლებშიც ყოველგვარი ნიჭისა და გამოცდილების გარეშე, ჩემი ასაკის გოგოს მიამიტობითა და ჩვეული გულწრფელობით მოგითხრობთ ზოგ რამეს იმ უბედურებაზე, მე რომ დამატყდა თავს. იქნებ, ჩემმა მფარველმა ოდესმე მოითხოვოს ამ ჩანაწერების დასრულებული სახით ხილვაც, ანდა, იქნებ, მე თვითონ დამებადოს ამგვარი სურვილი... თანაც, ბევრი რამ, რაც ადრე მოხდა, მეხსიერებიდანაც მიქრება, მაგრამ ვფიქრობ, ის ღრმა შთაბეჭდილებები, რომელიც გონებაში სამუდამოდ ჩამრჩა და, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება, დამეხმარება, რათა მთელი ჩემი სვედავსილი ცხოვრება სრულად აღვადგინო.

მამაჩემი ადვოკატი გახლდათ. როცა დედაჩემზე იქორწინა, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. სამი ქალიშვილი შეეძინათ. იმდენი არაფერი ებადათ, რომ სამივე ქალიშვილის ცხოვრება კარგად მოეწყოთ, მაგრამ ჩვენს შორის ალერსის თანაბრად განაწილება მაინც ხომ შეეძლოთ? ვერ გეტყვით, მათი ქების სურვილი ან უნარი გამაჩნია-მეთქი. გონებითა და სილამაზით, სათნოებითა და ნიჭით ჩემს დებს დიახაც რომ ვჯობდი, მაგრამ ეტყობა, ჩემს დედ-მამას ეს მაინცდამაინც არ ახარებდათ. ბუნებითა და სიბეჯითით ნაბოძები უპირატესობა ჩემი უბედურების მიზეზი გახდა; აქაოდა მეც ვუყვარდე ვინმეს, მომეფეროს, გამათამამოს და მცირე ცოდვა მაინც მაპატიოს-მეთქი, პატარაობიდანვე იმის ოცნებაში ვიყავი, ჩემს დებს დავმსგავსებოდი. თუკი მოხდებოდა და დედაჩემს ვინმე ეტყოდა, რა მშვენიერი ბავშვები გყავთო, თითქოს ეს სიტყვები მე სულაც არ მეხებოდა. ზოგჯერ

დედაჩემის უსამართლობაზე შურსაც ვიძიებდი ხოლმე, მაგრამ ქება, მე რომ მხვდებოდა წილად, ისე ძვირად მიჯდებოდა, გულცივობა და თვით ლანძღვაც კი მერჩია. რაც უფრო კეთილად მომ[illegible]რობოდა ვინმე უცხო, მისი წასვლის მერე ათასჯერ მეტი წყენა მხვდებოდა. ოო, რამდენს ვტიროდი, მინდოდა მახინჯი, სულელი, ყვე[illegible]ტავანი ვყოფილიყავი. ერთი სიტყვით, ყველა ნაკლი მქონ[illegible] რაც ჩემს დებს ჰქონდათ და რითაც მშობლების სიყვარულს იმსახურებდნენ. სულ იმის ფიქრი მანამებდა, დედაჩემი და მამაჩემი, სხვათა მიმართ პატიოსანნი, სამართლიანნი და ღვთისმოსავნი, ასე რად მექცევიან-მეთქი. გამოგიტყდეთ, ბატონო? ერთი-ორი გადაკრული სიტყვა, მამაჩემს გაბრაზების ჟამს რომ წამოსცდენია, — გაბრაზება კი, იცოცხლეთ, მაგარი იცოდა, — მეზობლების ნაყბედი, მსახურთა ნალაქლაქარი, — ერთად ალებული და თავმოყრილი, იმ ჭეშმარიტ მიზეზს მაძებნინებდა, ცოტათი მაინც რომ გაამართლებდა ჩემი მშობლების საქციელს. იქნებ, მამაჩემი ჩემი დაბადების გამო რაღაცას ეჭვობდა? იქნებ, დედაჩემს ჩადენილ ცოდვას და იმ მამაკაცის უმადურობას ვახსენებდი, რომელსაც ზედმეტად მიენდო; რა ვიცი, აბა? თუ ეს ეჭვი მართო ეჭვია, თქმითაც არაფერი დაშავდება, მაგრამ მაინც გთხოვთ, ეს ნაწერი დაწვათ, მე კი გპირდებით, თქვენს პასუხსაც ასევე მოვექცევი.

დები ქვეყნიერებას ერთიმეორის მიყოლებით მოვევლინეთ და სამივენი ერთდროულადვე დავქალდით. გამოგვიჩნდნენ შესაფერი მეწყვილენიც. ჩემს უფროს დას ერთი მომხიბლავი ყმაწვილი ეარშიყებოდა, მაგრამ მალე შევატყვე, არც ჩემდამი იყო გულგრილი. მივხვდი, ჩემი და საბაბი იყო, გულში კი სხვა რამე ედო. წარმოიდგინე, ამ ამბავს რამდენი უბედურება უნდა მოეტანა და დედაჩემი გავაფრთხილე. ალბათ, ეს იყო ერთადერთი რამ მთელს ჩემს ცხოვრებაში, რითაც დედაჩემს სიამოვნება მივანიჭე. და აი, რა მადლიერი დამრჩა; ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ გამომიცხადეს, მონასტერში მოგინახეთ ადგილიო და მეორე დღეს წამიყვანეს კიდეც. სახლში ისეთ დღეში ვიყავი, რომ ამან ოდნავადაც არ შემაწუხა. წმინდა მარიამის მონასტერში, ჩემს პირველ მონასტერში, დიდი ხალისით გავემგზავრე. ამის მერე ჩემი დის შეყვარებულმაც დამივიწყა და მისი ქმარიც გახდა; ბატონი კ... ჰქვია, ნოტარიუსია, კორბეიში ცხოვრობს და უნდა გითხრათ, საკმაოდ უსიამოვნო ცოლქმრობა აქვთ. მეორე და ცოლად გაჰყვა ვინმე ბატონ ბოშონს, აბრეშუმის ქსოვილებით მოვაჭრეს პარიზში, კენკამპუას-ქუჩაზე, და ვვარიანადაც ცხოვრობენ.

პო, ჩემი დები დასახლდნენ და ვიფიქრე, ახლა ჩემზედაც იფიქრებენ, ბოლოს და ბოლოს გამომიყვანენ მონასტრიდან-მეთქი. მაშინ მეჩვიდმეტე წელში ვიყავი. რაკი ჩემი დები კარგად გაამზითვეს, მეც ამისი იმედი მქონდა და თავში ძალზე მაცდუნებელი აზრები მომდიოდა. ერთი დღეც არი და, მონასტრის მისაღებ ოთახში გამომიძახეს. იქ მამა სერაფიმი, დედაჩემის სულიერი მოძღვარი მელოდებოდა; ის ჩემი მოძღვარიც იყო და, ცხადია, არც გაუჭირდებოდა მოსვლის მიზეზის ახსნა: მე მონაზვნის კაბა უნდა ჩამეცვა და აქვე დავრჩენილიყავი. ეს მითხრეს და მაშინვე წამოვიყვირე, არავითარ სიამოვნებას არა მგვრის სასულიერო წოდება-მეთქი. "მით უარესი, — მითხრა მამა სერაფიმმა — თქვენი დების გათხოვებამ მშობლები ისე გააღატაკა, რომ მათი საცოდავი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, მეეჭვება, ქონების რაიმე წილი გერგოთ. დაფიქრდით მადმუაზელ ან სამუდამოდ აქ უნდა დარჩეთ, ანდა რომელიმე პროვინციულ მონას-

ტერში ნახვიდეთ, სადაც საკმაოდ მოკრძალებული თანხით მიგიღებენ და საიდანაც წამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ შეგეძლებათ. სიკვდილი კი, ალბათ, კარგა დიდხანს არ ეწვევათ მათ...“. თავში ცემა დავიწყე და ბევრი ცრემლიც დავღვარე. მონასტრის წინამძღვარი უკვე გაფრთხილებული იყო და მისაღები ოთახის კართან მელოდა. ისე საშინლად ვიყავი დაბნეული, რომ წინამძღვარმა მკითხა: “რა მოგივიდათ, შვილო ჩემო? (კარგად იცოდა, რაც მომივიდა), სახე სულ შეგშლიათ! ასეთი სასოწარკვეთილება ჯერ არ მინახავს. პირდაპირ მაშინებთ! ბატონი ან ქალბატონი ხომ არ მიიცვალა?“ მკლავებში ჩავუვარდი და ცოტას დარჩა, არ ვუთხარი: “ოჰ! ნეტავ ასე ყოფილიყო!..“. მაგრამ თავი დროზე შევიკავე და წამოვიყვირე: “არც მამა მყავს და არც დედა! უბედური ვარ, ყველას ვეზიზღები, აქ ჩემი ცოცხლად დამარხვა უნდათ“. მან ტირილი მაცალა. როცა დავმშვიდდი, უფრო დალაგებით ავუხსენი, რაც მაცნობეს. ეტყობოდა, მართლა ვეცოდებოდი. შემიბრალა და თანაც მომიწონა გადაწყვეტილება, რომ არ აღვკვეცილიყავი მონაზვნად, რომლისკენაც მცირედი მიდრეკილებაც არა მქონდა; დამპირდა, ჩემს მაგივრად ეთხოვა, ვიღაცები დაერწმუნებინა, ვიღაცასთან ეშუამდგომლა. ო! მოწყალეო ბატონო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ვერაგები არიან მონასტრის წინამძღვარნი! მართლაც, შეადგინა წერილები, მაჩვენა პასუხებიც, რომელთა შინაარსიც წინასწარ მშვენივრად მოეხსენებოდა. კარგა ხნის მერელა დამებადა ეჭვი მის ალალმართლობაში. ამასობაში დადგა ის დღეც, რომელიც გადაწყვეტილების გამოსატანად დამინიშნეს, და ისიც ვითომდა შეწუხებული გამომეცხადა, რათა ყოველივე ეუწყებინა. ჯერ ჩუმად იდგა, მერე ვითომ თანაგრძნობის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვა ამოღერღა, რამაც სხვა დანარჩენსაც მიმახვედრა. სასოწარკვეთილების კიდევ ერთი სცენა გათამაშდა; ჩემს უიმედობას მეტად აღარ აღგიწერთ. გრძნობათა დაოკების ცოდნა მონაზვნის დიდი ხელოვნებაა. მერე ტირილით მითხრა (და მართლაც, მე მჯერა, რომ იგი ნამდვილად ტიროდა); “შვილო ჩემო, თქვენ მიგვატოვებთ! ერთმანეთს მეტად ვეღარ ვნახავთ!...“. დანარჩენი სიტყვები აღარც გამიგია. სკამზე დავეშვი გაქვავებული, ხმის ამოუღებლად ვიჯექი. მერე ვტიროდი. ხან წამოვხტებოდი და კედელს ვეხუტებოდი, ხანაც მის მკერდზე ვთრთოდი მწუხარებით, მაგრამ მერე მოხდა, რაც მოხდა. მან მითხრა: “ერთი საქმეც უნდა მოაგვაროთ. ოღონდ არავისთან დაგცდეთ, რომ მე გირჩიეთ. თქვენი მტკიცე მდუმარების იმედი მაქვს; არ მინდა მერე ვინმემ მისაყვედუროს. რას ელიან და რა სურთ თქვენგან? რომ თქვენ მორჩილი გახდეთ! მაგრამ რატომაც არ უნდა გახდეთ? და რას გავალებთ ეს თქვენ? არაფერს, გარდა იმისა, რომ ორი წელიც დაჰყოთ ჩვენთან. არავინ იცის, ვის როდის უწერია სიკვდილი, ვინ როდემდე იცოცხლებს. ორი წელი არც ისე ცოტაა და შეიძლება ბევრი რამ მოხდეს...“. ამ მზაკვრულ სიტყვებს იმდენი ალერსი ჩააქსოვა, იმგვარი მეგობრული თანაგრძნობა გამოხატა, იმდენი ცრუ სინაზე შემაპარა, რომ შეგონებას დავემორჩილე: რაც აქამდე იყო, ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი მომავალი რას მიქადდა. მან მამაჩემს ისე მშვენივრად შეთხზული წერილი მისწერა, რომ კაცი უკეთესს ვერც დაწერდა. გარწმუნებთ, ჩემზე უფრო გამჭრიახ გოგონას შეაცდენდა. არ დაუფარავს არც ჩემი მწუხარება, არც ჩემი ტკივილი, მაგრამ წერილის ბოლოში ლაპარაკი მაინც ჩემს თანხმობაზე იყო... და რა ხელად მომზადდა ყველაფერი! ჩემი აღკვეცის დღის დანიშვნა,

მონაზვნის სამოსელის შეკერვა, ცერემონიალის საათის დადგომა; ახლა ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს საეჭვოდ სწრაფად მიჰყვა.

ჰო, სულ დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა: ვნახე მამაჩემი და დედაჩემი, რა არ გააკეთე მათი გულის მოსაგებად, მაგრამ [illegible] შეუბრალებელნი აღმოჩნდნენ. ვინმე აბატმა ბლენმა, [illegible] დოქტორმა მომამზადა, ხოლო ეპისკოპოსმა ალეპიელმა წესი ამიგო. ეს ცერემონიალი თავისთავად არ მიეკუთვნება მხიარულ ცერემონიალთა რიცხვს, იმ დღეს კი განსაკუთრებით პირქუში იყო. თუმცა ირგვლივ შემოჯარული მონაზვნები ჩემს გამხნევებას ცდილობდნენ, მუხლები მაინც თავისთავად მეკეცებოდა და საკურთხევლის საფეხურებზე ალბათ ოცჯერ მაინც ჩავიკეცე. არც არაფერი მესმოდა, ვერც ვერაფერს ვხედავდი. გაოგნებული ვიყავი. ვიღაცას სადღაც მივყავდი. მეც მივდიოდი. რაღაცას მეკითხებოდნენ, ჩემს მაგივრად კი ვიღაცა პასუხობდა. ბოლოს ეს საშინელი რიტუალი დასრულდა, ყველამ ხელი გამიშვა და მრევლის შუაში აღმოვჩნდი. მონაზვნები გარს შემომერტყნენ, მეხვეოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: "შეხედეთ, დებო, რა მშვენიერია! ეს შავი რიდე როგორ უმკვეთრებს კანის სითეთრეს! როგორ უხდება ეს საბურველი! როგორ უმრგვალებს ლაწვებს! როგორ უჩრდილავს ლოყებს! რა ლამაზი უჩანს ამ ტანსაცმელში ტანი და მკლავები!..". გულზე სევდა მაწვა და ძლივს ჩამესმოდა მათი ხმა. მიუხედავად ამისა, გულახდილად გეტყვით: როცა ჩემს სენაკში მარტო დავრჩი და მონაზონთა პირმოთნე სიტყვები გავიხსენე, თავი ვეღარ შევიკავე, პატარა სარკეში ამ სიტყვების სიმართლე შევამოწმე და დავრწმუნდი, არ ტყუოდნენ. იმ დღეს განსაკუთრებული პატივი მიაგეს და ჩემი გულისთვის უფრო საზეიმო გახადეს, მაგრამ ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია. ირგვლივ მყოფნი თვალთმაქცობდნენ და იმასაც კი ცდილობდნენ თვითონ დავერწმუნებინე, რომ მეც აღფრთოვანებული ვიყავი, ვითომდა ვერ ამჩნევდნენ ჩემს გულგრილობას. მწუხრის ლოცვის შემდეგ, ჩემს სენაკში წინამძღვარი შემოვიდა. "მართალი გითხრათ, — მითხრა ცოტა ხნის თვალიერების შემდეგ, — არ ვიცი, რატომ გაქვთ ამოდენა ზიზღი ამ სამოსელისადმი, ძალზე გიხდებათ და მშვენიერიც ჩანხართ. დაო სიუზანა, მომხიბლავი მონაზონი ხართ, ამიტომ მეტადაც შეგიყვარებენ. აბა, ცოტა გაიარეთ, ერთი კარგად შემოგხედოთ. წელში გაიმართეთ, რას იკაკვებით...". და მაჩვენა, როგორ დამეჭირა თავი, ფეხები, ხელები, ტანი, მკლავები; მოკლედ მარსელის[1] ნამდვილი გაკვეთილი ჩამიტარა მონაზვნის დახვეწილ მანერებზე. მოგეხსენებათ, ყველა წრეს თავისი კეკლუცი მანერები აქვს. მერე დაჯდა და მითხრა: "გვეყოფა ახლა, და ცოტა ჭკვიანურად ვილაპარაკოთ. ორი წელი ხელთა გაქვთ. თქვენმა მშობლებმა შეიძლება შეიცვალონ გადაწყვეტილება, ანდა იქნებ თვითონაც მოინდომოთ აქ დარჩენა, როცა ნაყვანას დაგიპირებენ. არაფერია შეუძლებელი". "ქალბატონო, ამაზე არც იფიქროთ". "კარგა დიდხანს იყავით ჩვენთან, მაგრამ აქაურ ცხოვრებას მაინც არ იცნობთ. მასში, თქმა არ უნდა, მწუხარებაც დიდია, მაგრამ არც სიტკბოებასაა მოკლებული...". თქვენ ალბათ მშვენივრად წარმოიდგენთ, ბატონო, რომ ამის მერე ილაპარაკა მონასტერზე და საერო ცხოვრებაზე. ამის შესახებ რა აღარ დაწერილა და ყველგან ერთი და იგივე... უფლის წყალობით, მეც

1. იმ დროის ცეკვის განთქმული მასწავლებელი

წამიკითხავს უამრავი აბდაუბდა, სადაც ბერები აქებენ თავიანთ ყოფას, რომელსაც კარგად იცნობენ და ჭირის დღესავით სძულთ, და უპატივცემულოდ ახსენებენ საერო ცხოვრებას, რომელიც უყვართ, მაგრამ არ იცნობენ.

დაწვრილებით აღარ აღგიწერთ ჩემი მორჩილობის [illegible] ყველა წესის დაცვას ვერავინ გაუძლებს. მაგრამ ეს დრო მაინც ყველაზე სასიამოვნოა ბერ-მონაზვნურ ცხოვრებაში. მორჩილთა დამრიგებელი მუდამ უფრო შემწყნარებელია, ვიდრე დანარჩენი მონაზვნები. მისი მიზანია დაფაროს მონაზვნობის ყველა უსიამოვნო მხარე. ეს არის ცდუნების ყველაზე უფრო დახვეწილი და ფაქიზი ხელოვნება. იგი უფრო ამუქებს გარშემო ჩამომდგარ წყვდიადს, ჩანას გიმღერით, გაძინებთ, გაცდუნებთ და გაჯადოებთ. ჩვენი დამრიგებელი ჩემზე რაღაცა განსაკუთრებულად ზრუნავდა. არა მგონია, ვინმე სულიერი, თანაც ჩემსავით ახალგაზრდა და გამოუცდელი წინ აღდგომოდა მის დამღუპველ ხელოვნებას. სამყაროს თავისი უფსკრულები აქვს, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ მათკენ ასე ადვილად გასავლელი კლდეღრეებით მიდიოდნენ. ორჯერ ზედიზედ რომ დამეცემინებინა, მაშინვე მათავისუფლებდნენ წირვიდან, სამუშაოდან, ლოცვიდან. სხვებზე ადრე ვწვებოდი და სხვებზე გვიან ვდგებოდი. მონასტრის ტიბიკონი ჩემთვის თითქოს არც არსებობდა. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, ისეთი დღეებიც კი იყო, როცა ვოცნებობდი იმ წუთზე, უფალს რომ შევწირავდი თავს. არ მომხდარა ქვეყანაზე საშინელი ამბავი, ჩემთვის რომ არ მოეყოლათ. მართალს მიმალავდნენ, ჭორებს თხზავდნენ, მერე ამას მოჰყვებოდა დაუსრულებელი დიდება ღვთისა, რომელიც ამ მიწიერი სიბილწისგან გვიცავდა. ამასობაში ის დროც მოახლოვდა, რომლის მოსვლასაც ოცნებაში ხანდახან ვაჩქარებდი, მაგრამ ვიგრძენი, მონაზვნობისადმი ზიზღი კვლავ გამეღვიძა და გაღვივდა. გადავწყვიტე, ნინამძღვარს გამოვეტყდომოდი, ანდა მორჩილთა წინამძღოლს. ეს ქალები სასტიკი შურისმაძიებელნი ხდებიან იმ უსიამოვნებათა გამო, რაც ჩვენგან ხვდებათ. არ იფიქროთ, ძალზე სიამოვნებდათ პირმოთნეთა როლის შესრულება და ის სისულელეები, მოვალეობის გამო რომ დაუსრულებლად უნდა გვიმეორონ. ბოლოს და ბოლოს, ისე იღლებიან, რომ ყველაფერი მოსაწყენი ხდება, მაგრამ ამ საქმეს მაინც არ ეშვებიან იმ რაღაცა ათასი ეკიუს გულისთვის, მონასტერი ჩვენგან რომ იღებს. ეს არის მთავარი, რის გამოც ისინი მთელი ცხოვრება ტყუიან — უმანკო გოგოებს ორმოცი, ორმოცდაათი წლის სასოწარკვეთილებას და შეიძლება მარადიულ უბედურებასაც უმზადებენ, რადგანაც ეჭვი არ არის, ბატონო ჩემო, რომ ასი მონაზონი ორმოცდაათ წელზე ადრე კვდება, ზუსტად ასი თავის სულს ღუპავს, სხვები, ცოცხლად დარჩენილნი, ყეყეჩდებიან, ჭკუა აკლდებათ ანდა სიკვდილის მოლოდინში სულაც გიჟდებიან.

ერთ დღეს ერთი ამგვარი შეშლილი გაიქცა იმ სენაკიდან, რომელშიც ჩამწყვდეული ჰყავდათ. მე ის დავინახე. ეს გახდა დასაწყისი ჩემი ბედნიერებისა თუ უბედურებისა, იმ გარემოების მიხედვით, მოწყალეო ბატონო, თქვენ რას დამიპირებთ. ამაზე უფრო დიდი საზიზღრობა არასოდეს მინახავს. თმა გაწეწოდა, თითქმის შიშველს უკან რკინის ჯაჭვი მისთრევდა. თვალები არეოდა, თმას იგლეჯდა, მკერდში მუშტებს ირტყამდა, ბორგავდა, ღმუოდა, საშინლად სწყევლიდა თავის თავსაც და სხვებსაც, ფანჯარას ეძებდა გადასახტომად. შიშმა შემიპყრო და თავით ფეხამდე კანკალმა ამიტანა. იმ უბედურის ბედში ჩემი

ბედის უბედურება შევიცანი და მაშინვე ჩემს გულში გადაწყვეტილებაც მომწიფდა, რომ სჯობდა ათასჯერ მოვმკვდარიყავი, ვიდრე მეც ასე დამმართნოდა. ესენი მიხვდნენ რა გავლენაც შეეძლო ამ ამბავს ჩემზე მოეხდინა და მოინდომეს ყველა ეჭვი გაეფანტათ, რა სასაცილო სიცრუე აღარ შეთხზეს, თანაც იმგვარი, რომ ერთი გამორიცხავდა მეორეს: თითქოსდა მონასტერში შესვლამდე ის [illegible] იყო; რომ ერთხელ, როცა კრიტიკული ასაკი დაუდგა, ძალიან შეაშინეს და მას მერე რაღაც მოჩვენებები დაეწყო, წარმოიდგინა, რომ ანგელოზებთან ჰქონდა საქმე დაჭერილი; რომ ბევრი მავნე წიგნი წაიკითხა, რამაც გონება აუმღვრია; რომ ზედმეტად უსმინა მეტისმეტად მკაცრი მორალის მქადაგებლებს, რამაც იმდენად დააშინა ღმერთის სამსჯავროთი, რომ ისედაც არეული ტვინი სულ აურია და მარტო ეშმაკებს, ჯოჯოხეთს და ცეცხლოვან უფსკრულებსღა ხედავდა; რომ ყველა მონაზონი მის გამო ძალზე უბედურია, რადგან ამგვარი გაუგონარი ამბავი მონასტერში ჯერ არ მომხდარა; და კიდევ რაღას არ მიამბობდნენ. ამ ცრუ საუბრებით მაინც ვერაფერი გააწყეს. წუთი არ იყო, ის საბრალო გიჟი მონაზონი არ გამხსენებოდა და კვლავ ფიცივით არ გამემეორებინა, რომ არ მიმელო არავითარი აღთქმა.

და, აი, დადგა დროც, როცა უნდა დამემტკიცებინა, რომ სიტყვის ქალი ვიყავი. ერთხელ, უთენია, ცისკრის ლოცვის შემდეგ, წინამძღვარი სენაკში მეწვია, ხელში წერილი ეჭირა. სახეზე მწუხარება და მჭმუნვარება აღბეჭდოდა. ხელები ისე უღონოდ ჩამოეშვა, თითქოს წერილი ამძიმებდა. ისე შემომყურებდა, იტყოდით, ცრემლები სადაცაა წამოსცვივაო. დუმდა, მეც ვდუმდი. უნდოდა ჯერ მე დამეწყო ლაპარაკი. თავის დაოკება ძლივს მოვახერხე და ლაპარაკი მაინც არ დავიწყე. ბოლოს მკითხა, თავს როგორა გრძნობო, დღეს წირვა ძალიან ხომ არ გაგრძელდაო, ხომ არ ახველებო, სახე ავადმყოფს მიგიგავსო და ვინ იცის, კიდევ რა არა. მე ყველაფერზე ერთნაირად ვპასუხობდი: "არა, ძვირფასო დედაო". კითხვებს რომ მისვამდა წერილი მუხლებზე დაიდო და ოდნავ ხელი დააფარა. ბოლოს რამდენიმე სიტყვა ჩემს მშობლებზე შეატრიალ-შემოატრიალა და რაკი საბოლოოდ მიხვდა, რომ არ ვაპირებდი მეკითხა რა ქაღალდი მიიღეთ-მეთქი, თვითონვე მითხრა: " — აი წერილი...".

ეს სიტყვები თქვა და ვიგრძენი, გული როგორ შემიკრთა, ტუჩები ამიკანკალდა და ცახცახით ვიკითხე: — დედაჩემისაა?

— გამოიცანით; გამომართვით და წაიკითხეთ".

ცოტა სული მოვითქვი და წერილი გამოვართვი, ჯერ გულმაგრად დავიწყე კითხვა, მაგრამ მერე, ყოველი ხაზის წაკითხვის შემდეგ, შიში, აღშფოთება, მრისხანება, წყენა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი გრძნობა ენაცვლებოდა ჩემს სულში ერთმანეთს. მეცვლებოდა ხმა, სახე, მოძრაობა. ხან ძლივს მეჭირა ქაღალდი, ხან ისე მძვინვარედ ვჭმუჭნიდი, თითქოს დახევა ან სადმე გადასროლა მინდოდა.

"— რა ვუპასუხოთ, შვილო ჩემო?

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ქალბატონო.

— არ ვიცი. მდგომარეობა მეტად მძიმეა, თქვენი ოჯახი ძალზე დაზარალდა; დებს საქმეები აეწეწათ; ერთიც და მეორეც წვრილშვილიანები არიან; ქალიშვილების გათხოვებით თქვენმა მშობლებმა ყველა საშუალება ამოწურეს, ახლა მათ გამო კოტრდებიან კიდეც, რადგან მშობლებისგან ერთთავად დახმარებას ითხოვენ. თქვენი კარგად დაბინავება თქვენს დედ-მამას აღარ შეუძლია. მორჩილი რომ გახდით,

ამითაც კარგად იზარალეს, რადგან დიდი ხარჯები გასწიეს. მაგრამ იმედიც მიეცათ, ხმაც გავრცელდა მონაზვნად თქვენი მომავალი აღკვეცის შესახებ. მოკლედ, კვლავაც ჩემი დახმარების იმედი გქონდეთ. ნაძალადევად ჯერ მონაზვნად არავინ აღმიკვეცია, აქეთკენ მხოლოდ თვით მამალმერთი მოგვიწოდებს და არავის ძალუძს თქვენს სურვილში ჩარევა. მე თქვენს გულს ძალით ვერ მოვუხმობ, თუ ღვთის მადლი მას არაფერს ეუბნება; სხვათა ცოდვა დღემდე არ დამიდვია. და განა ძალმიძს, რომ თქვენით დავიწყო, შვილო ჩემო? თქვენით, ჩემთვის ესოდენ ძვირფასით? მე არ დამვიწყებია, პირველი ნაბიჯები ჩემი შეგონებით რომ გადადგით; და ამის ბოროტად გამოყენების ნებას არავის მივცემ, რათა საკუთარი სურვილის გარეშე, იძულებით თავს რამე მოგახვიონ. მოდით, ერთად მოვიფიქროთ და ერთად შევთანხმდეთ. გინდათ მონაზვნის აღთქმა დადოთ?

— არა, ქალბატონო.

— არავითარ ლტოლვას არ გრძნობთ სასულიერო წოდებისადმი?

— არა, ქალბატონო.

— მშობლების სურვილს არ ემორჩილებით?

— არა, ქალბატონო.

— მაშ, რა გინდათ, რომ გამოხვიდეთ?

— ყველაფერი, მონაზვნის გარდა. მე არ მინდა მონაზვნობა და არც არასოდეს ვიქნები.

— კეთილი და პატიოსანი! თქვენ არ გახდებით მონაზონი. მოდით, მოვიფიქროთ, რა მივწეროთ დედათქვენს...

ამაზე ზოგი რამ მოვიფიქრეთ. მან შეადგინა და წამიკითხა წერილი, რომელიც ძალზე კარგი მომეჩვენა. მერე სასწრაფოდ გამომიგზავნეს მონასტრის მოძღვარი; მოვიდა სწავლული ღვთისმეტყველიც, იგივე, რომელმაც მორჩილად კურთხევამდე გზა დამილოცა; მომიჩინეს საუკეთესო დამრიგებელი დედები; ვნახე ეპისკოპოსი ალეპიელი; გრძელი საუბრები მქონდა ღვთისმოსავ ქალებთან, რომლებიც ჩემს საქმეში ბეჯითად ერეოდნენ, მე კი მათ თითქმის არ ვიცნობდი; დაუსრულებელ საუბრებს მიმართავდნენ ბერები და მღვდლები; ჩამოვიდა მამაჩემი, დებმა წერილი გამომიგზავნეს, ბოლოს კი დედაჩემი გამომეცხადა: ყველაფერს გავუძელი! და მაინც ჩემი მონაზვნად აღკვეცის დღე დაინიშნა; რა არა ქნეს, რომ ჩემი თანხმობა მიეღოთ, მაგრამ როგორც კი დარწმუნდნენ ველარაფერს გავხდებითო, გადაწყვიტეს საქმე თანხმობის გარეშე მოეთავრებინათ.

იმ წუთიდან ჩემს სენაკში ჩამკეტეს და დუმილი მაიძულეს; მთელს სამყაროს დამაშორეს და საკუთარი თავის ამარაღა დამტოვეს. მივხვდი, ჩემს სურვილს აღარაფრად აგდებდნენ. მე დამორჩილებას არ ვაპირებდი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი; ვერც ერთმა საშინელებამ, ნამდვილმა თუ მოჩვენებითმა, რაც კი მათ დამატეხეს, ვერ შეძლო ჩემი შეშინება. გასაცოდავებული ვიყავი; არ ვიცოდი, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, ან ოდესმე დასრულდებოდა თუ არა. არც ის ვიცოდი, მერე რა მელოდა, როცა ეს საშინელებები შეწყდებოდა. ამ ყოფაში ერთი გადაწყვეტილება მივიღე, რომელიც, თქვენ როგორც გნებავთ, ისე განსაჯეთ, მოწყალეო ბატონო. კაცისშვილს აღარ შევხვედრივარ, არც წინამძღვარს, არც მორჩილთა წინამდგომს, არც მორჩილთ; თავი მოვიკატუნე და ვითხოვე, წინამძღვარს შეატყობინეთ, მზადა ვარ მშობლების სურვილი აღვასრულო-მეთქი. სინამდვილეში კი სხვა რამ მსურდა: ბოლო მომეღო ჩემი დევნისთვის და საქვეყნოდ

გამოვსულიყავი იმ ძალადობის წინააღმდეგ, სურვილის გარეშე თავს რომ მახვევდნენ. აკი გითხარით, ჩემს ბედ-იღბალს ისინი განაგებდნენ და შეეძლოთ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც თავად მოისურვებდნენ — მე გავხდებოდი მონაზონი, რადგანაც მათ ასე სურდათ. სასიხარულო ამბავი მთელს მონასტერში გავრცელდა, კვლავ ვიქნებოდი ტყვე პირმოთნე ალერსისა და მაცდური დაპირებებისა. თურმე უფლის ხმამ შთამაგონა და არავინ ჩემზე მეტად არ არის მოწოდებული სრულქმნილებისთვის. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ამგვარად უნდა მომხდარიყო და ყველა ამას ელოდა. შენს მოვალეობას ასე სამაგალითოდ და ასე მტკიცედ ვერ აღასრულებ თუ საამისოდ არა ხარ მოწოდებული. მორჩილთა წინამდგომს აქამდე არც ერთ აღსაზრდელში არ დაუნახავს მონაზვნობის ამგვარი ჭეშმარიტი მოწოდება; თავად კი მუდამ გაოცებული იყო ჩემი უჟიათობით, მაგრამ წინამძღვარს ყოველთვის ეუბნებოდა თურმე, რომ სიმტკიცის გამოჩენაღა მართებდათ, რათა ყველაფერს გაევლო, რადგანაც სამაგალითო მონაზვნებსაც ჰქონიათ ისეთი წუთები, ეშმაკეულის გავლენას რომ განიცდიან; ბოროტი სული კი თავის ძალებს აორმაგებს, როცა ხედავს, საკუთარი ნადავლი ხელიდან ეცლება; ახლა სატანისგან თავი გავითავისუფლე და ამიერიდან მხოლოდ ია-ვარდებით ფენილი გზა მელოდება, ვინაიდან მონაზვნის ცხოვრებისა და მოვალეობის გადატანა მით უფრო გამიადვილდება, რაც უფრო მეტად გავაზვიადებ სიძნელეს; ამ უღლის უეცარი სიმძიმე უფლის წყალობა იყო, რომელმაც ეს საშუალება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ ჩემთვის მონაზვნის ცხოვრება შეემსუბუქებინა...". მე კი ძალზე უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ერთი და იგივე საქმე ღმერთის ხელიდანაც გამოდიოდა და ეშმაკის ხელიდანაც, იმის და მიხედვით, თუ მონაზვნები რომელი მხრიდან შეხედავდნენ ამბავს. რელიგიაში ხშირად გვხვდება ამგვარი რამ; მანუგეშებდნენ და ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ჩემი საქციელი ეშმაკისაგან იყო შთაგონებული, სხვები კი იმავე საქციელში უფლის შთაგონებას ხედავდნენ. ერთი და იგივე ბოროტება მოდის ან ღმერთისგან, რომელსაც ჩვენი გამოცდა მოსურვებია, ანდა ეშმაკისაგან, რომელიც გვაცდუნებს.

მე კი ფრთხილად ვიქცეოდი და მჯეროდა, საკუთარ თავს თვითონვე მივხედავდი. ვნახე მამაჩემი; ცივად მელაპარაკა, ვნახე დედაჩემი — მაკოცა; დებისგან მოსალოცი წერილები მივიღე და კიდევ ბევრი სხვისი წერილიც მოვიდა. ცნობილი გახდა, რომ ამ დღეს გზას დამილოცავდა სორნენი, ხოლო ბატონი ტიერი, წმინდა როხის ეკლესიის ვიკარიუსი და უნივერსიტეტის კანცლერი, აღთქმას მიიღებდა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის წინა დღემდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, ოღონდ ერთი გარემოების გამოკლებით: გავიგე, რიტუალი საიდუმლოდ აღსრულდებოდა, რომ ცოტა ხალხს მოიწვევდნენ და ეკლესიის კარი მხოლოდ ნათესავებისთვის იქნებოდა ღია. მონასტრის მეკარის დახმარებით მოვიწვიე ჩემი მეგობრები, ვინც კი ახლომახლო ცხოვრობდა. უფლება მომცეს ბარათები გამეგზავნა ზოგიერთი ჩემი ნაცნობისთვისაც. და ამ ხალხმა, რომელთაც არავინ ელოდა, ეკლესიაში მოიყარა თავი. რაღას იზამდნენ, შემოუშვეს და მრევლი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მჭირდებოდა. ო, მოწყალეო ბატონო! რა ღამე გავატარე წინადღეს! არც კი დავწოლილვარ. საწოლზე ვიჯექი და უფალს შველას შევთხოვდი; ცისკენ ხელაპყრობილი ვევედრებოდი, იმ ძალადობის

მონმედ დამდგომოდა, ჩემს წინააღმდეგ რომ უნდა გამოეჩინათ. ჩემი თავი საკურთხევლის ძირთან გართხმულ პატარა გოგოდ წარმომედგინა, რომელიც მედგრად აღუდგებოდა იმას, რის აღსრულებაზეც ვითომდა თვითონ დავთანხმდი, ცხადად ვხედავდი დამსწრეთა აღშფოთებას, მონაზონთა სასოწარკვეთილებას, ჩემი მშობლების [illegible]ანებას. "ოო, უფალო! რა მხვდებოდა წილად?..". ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ულონობამ მძლია და უგრძნობლად დავეცი, თურმე მუხლები მიცახცახებდა, კბილს კბილზე ხმაურით ვაცემინებდი. მერე საშინელი სიცხე მომცა, არ მახსოვს, როგორ გავიხადე, როგორ გამოვედი ჩემი სენაკიდან, წინამძღვრის სენაკის კართან მიპოვეს გართხმული პერანგის ამარა, თურმე გაქვავებული ვიყავი და სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ მეტყობოდა. რაც ახლა ვთქვი, მერეღა გავიგე. დილით კი ჩემს სენაკში გამომეღვიძა, საწოლთან წინამძღვარი, მორჩილთა წინამდგომი და ე.წ. დამხმარეები მედგნენ. ძალა სულ გამოცლილი მქონდა, ორიოდე კითხვით მიხვდნენ, რომ წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, რაც ღამით მოხდა და მეტი აღარაფერი თქვეს. მკითხეს, თავს როგორა გრძნობო, სიმტკიცეს იჩენ თუ არა წმინდა გადაწყვეტილების აღსასრულებლადო, შეგწევს თუ არა ძალა ამ დღის მღელვარების გადასატანადო. მე ვუპასუხე: დიახ-მეთქი; და მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ცერემონია არ გადადებულა.

წინადღესვე გაამზადეს ყველაფერი. ზარებს ჩამოჰკრეს და ყველას ეუწყა ახლა ამ ქვეყანას კიდევ ერთი უბედური მოევლინებაო. გული ისევ გადამიქანდა. ჩემს ჩასაცმელად მოვიდნენ; ეს დღე ჩემი შემოსვის დრო იყო; ახლა, როცა მთელ იმ ცერემონიალს ვიხსენებ, მგონია, რომ მასში იყო რაღაც საზეიმო და გულისშემძვრელი ისეთი უმანკო გოგოსთვის, რომელსაც სასულიეროს გარდა სხვა მოწოდება არ გააჩნია. წამიყვანეს ეკლესიაში. ჩაატარეს საზეიმო წირვა; კეთილმა ვიკარიუსმა, რომელსაც ეგონა ბედს შეურიგდაო, გზის დამლოცავი გრძელი ქადაგება წარმოთქვა, სადაც ერთი სიტყვაც არ ერია იმგვარი, ჭეშმარიტების საწინააღმდეგო რომ არ ყოფილიყო. მართლაც რომ სასაცილო იყო, როცა ჩემს ბედნიერებაზე, მადლიერებაზე, გულადობაზე, გულმოდგინებაზე, მწუხარებაზე და სხვა მრავალ კეთილ გრძნობაზე ლაპარაკობდა, რომელიც ჩემი წილხვმდომი ეგონა. ის მაქებდა, მე კი სულ სხვა რამის ჩადენას ვაპირებდი და ამან ცოტა დამაბნია, ყოყმანი დავიწყე, მაგრამ მერყეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და თავი უფრო გავიმხნევე, როცა მივხვდი, რომ კარგი მონაზვნისთვის საჭირო თვისებები აშკარად არ გამაჩნდა. ბოლოს ის საშინელი წუთიც დადგა, როცა იმ ადგილას უნდა შევმდგარიყავი, საიდანაც აღთქმას წარმოთქვამენ ხოლმე, მუხლები მომეკვეთა. ორმა მონესემ ხელი შემაშველა, თავი ერთ-ერთის მხარზე ჩამომივარდა, ფეხებს ძლივსღა მივათრევდი. არ ვიცი, დამსწრეთა სულში რა ხდებოდა, მაგრამ ისინი ხედავდნენ სრულიად ნორჩ მსხვერპლს, რომელსაც საკურთხევლისკენ მიათრევდნენ. ყოველი მხრიდან ოხვრა და ქვითინი მოდიოდა, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, დედაჩემისა და მამაჩემის წილად ერთი ხმაც არ ერია იმ ხმებში. ყველანი ფეხზე იდგნენ; ერთი-ორი გოგო სკამზეც შემდგარიყო და მოაჯირისთვის ჩაევლო ხელი; სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა, როცა ჩემი აღკვეცის ცერემონიალის წარმმართველმა წარმოთქვა:

"— მარია-სიუზანა სიმონენ, გვპირდებით, რომ იტყვით სიმართლეს?

— გპირდებით.

— თქვენის კეთილის ნებითა და სურვილით იმყოფებით აქ?"

მე ვუპასუხე, "არა"; მაგრამ ჩემმა თანმხლებმა მონაზონმა ჩემს მაგივრად თქვა, "დიახ".

"— მარია-სიუზანა სიმონენ, აღუთქვამთ თუ არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას?"

ბიბლიოთეკა

ერთი წუთით შევყოყმანდი; მოძღვარი მელოდებოდა და ვუპასუხე:

"— არა, ბატონო".

მან გაიმეორა:

"— მარია-სიუზანა სიმონენ, აღუთქვამთ თუ არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას?"

მე მტკიცე ხმით გავიმეორე:

" — არა, ბატონო, არა".

იგი შეჩერდა და მითხრა:

"— გონს მოდით, შვილო ჩემო და კარგად მისმინეთ.

— თქვენო მაღალყოვლადუწმინდესობავ, — ვუპასუხე მე, — მეკითხებით აღვუთქვამ თუ არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას; კარგად გავიგე და გიპასუხეთ კიდეც, — არა...".

მერე ვრევლს მივუბრუნდი, საკმაოდ ხმამაღალმა ჩურჩულმა რომ გადაუარა, გაჩუმდით, ლაპარაკი მინდა-მეთქი, ვანიშნე; ჩურჩული შეწყდა და ვთქვი:

" — ბატონებო, განსაკუთრებით კი თქვენ, მამაჩემო და დედაჩემო, ყველას მოგიწოდებთ, იყოთ მოწმენი...". — ამ სიტყვებზე ერთმა მონაზონმა ფარდა ჩამოუშვა და მივხვდი, ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მონაზვნები შემომეხვივნენ, რა არ მითხრეს. მე ყველაფერს უსიტყვოდ ვისმენდი. ბოლოს, ჩემს სენაკში წამიყვანეს და კარი მაგრად ჩამიკეტეს.

მარტო დარჩენილი ფიქრებმა წამიღო. სულის დამშვიდება დავიწყე, მერე ჩემი საქციელი ავწონ-დავწონე და არაფერზე მინანია. მეგონა, რაც ჩავიდინე, იმის მერე აქ დიდხანს აღარ გამაჩერებდნენ და ალბათ ვერც იმას გაბედავდნენ, სხვა მონასტერში გადავეყვანე. მეც არ ვიცოდი, რა მელოდა. მაგრამ ჩემი ფიქრით, იმაზე დიდი უბედურება რაღა უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ნების გარეშე მონაზონი გავმხდარიყავი. კარგა ხანს ვიყავი მარტოდმარტო გამოკეტილი. კაციშვილი არ დამლაპარაკებია და არც არავის გავხსენებივარ. საჭმლის მომტანი ქალები უხმოდ შემოდიოდნენ, ჩემს ულუფას იატაკზე დგამდნენ და ჩუმადვე გადიოდნენ. თვის ბოლოს საერო ტანსაცმელი შემომიტანეს და მონაზვნის კაბა გავიხადე. მერე მონასტრის წინამძღვარი შემოვიდა და მიბრძანა, გამომყევიო. წავედით. ალაყაფის კარამდე მიმაცილა. ჭიშკართან ეტლი იდგა, რომელშიც დედაჩემი მელოდებოდა. დედა მარტო იყო. მე წინა სკამზე დავჯექი და ეტლიც დაიძრა. ერთხანობა უსიტყვოდ ვისხედით ერთმანეთის პირისპირ; თავდახრილი ვიყავი და შეხედვას ვერ ვუბედავდი. თვითონაც არ ვიცი, რა მოხდა ჩემს სულში, უცბად დედაჩემის ფერხთით დავემხე და თავი მუხლებზე დავადე. სულშეხუთული უსიტყვოდ ავტირდი. დედამ უხეშად მკრა ხელი და უდიერად მომიშორა. ეგრევე, მუხლმოყრილი დავრჩი. ცხვირიდან სისხლი წამსკდა. დედას ხელი მაინც გამოვსტაცე, სისხლნარევი ცრემლით დავუსველე და ღუღლუღით დავუკოცნე: "მაინც ჩემი დედა ხართ, მაინც თქვენი ქალიშვილი ვარ...". მან კი მიპასუხა (უდიერად მომიშორა და ხელი გამომგლიჯა): "ადექით, თქვე უბედურო, ადექით".

მეც დავემორჩილე, ჩემს ადგილზე დავჯექი და სახეზე თავსაბური ჩამოვიფარე. დედის ხმაში ისეთი ძალა და სიმტკიცე ჟღერდა, რომ მომინდა სადმე დავმალოდი მის გამოხედვას. ცხვირიდან წამოსული სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, მკლავებზე ჩამომდიოდა ისე, რომ თავადაც ვერ გავიგე, სულ მთლად მოვითხვარე. დედაჩემის სიტყვებიდან მივხვდი, რომ კაბა და თეთრეული დავუსვარე და მამა გამოც ბრაზობდა. სახლთან მივედით, მაშინვე წინასწარ გამზადებულ ერთი ბეწო ოთახში შემიყვანეს. კიბეზე რომ ავდიოდი, დედაჩემს კვლავ ფეხებში ჩავუვარდი, ტანსაცმელზე ჩავებღაუჭე. ის კი მხოლოდ შემობრუნდა ჩემსკენ და დამაცქერდა. ეს იყო ერთადერთი, რასაც მასთან მივაღწიე. ჩემსკენ მოშტერებული მისი სახე, პირი, თვალები ისეთ აღშფოთებას გამოხატავდა, რომ მისი გადმოცემა ჩემს ძალას აღემატება, თუმცა თქვენც კარგად შეგიძლიათ ყველაფერი წარმოიდგინოთ.

ჩემს ახალ საპყრობილეში შევედი, სადაც მერე ექვსი თვე გავატარე. ყოველდღე ამაოდ ვიხვეწებოდი მოწყალება მოელო დედაჩემს და დამლაპარაკებოდა, შევხვედროდი მამაჩემს, ანდა ბარათი მაინც მიმეწერა მათთვის. მოჰქონდათ საჭმელი, მილაგებდნენ ოთახს, სადღესასწაულო წირვებზე მსახურის თანხლებით მივდიოდი, მერე კი ისევ ოთახში მამწყვდევდნენ. ვკითხულობდი, ვქარგავდი, ვტიროდი, ხანდახან ვმღეროდი და ასე გადიოდა დღეები. ერთადერთი იდუმალი ფიქრი მამხნევებდა მხოლოდ: თავისუფალი ვიყავი და ჩემი ბედი, როგორი მძიმეც უნდა ყოფილიყო ამჟამად, შეიძლებოდა ოდესმე მაინც შეცვლილიყო. მაგრამ თურმე გადაწყვეტილი იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ მონაზონი უნდა გავმხდარიყავი და ბოლოს გავხდი კიდეც.

დედ-მამის ამგვარმა უგულობამ და გაუგებარმა საქციელმა, საბოლოოდ განმიმტკიცა ეჭვი ჩემი დაბადების თაობაზე. სხვა მიზეზი, რაც მათ ოდნავ მაინც გაამართლებდა, ვერა და ვერ ვიპოვე. ეტყობა, დედაჩემს ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქონების გაყოფაზე არ დამეწყო ლაპარაკი და უკანონო ქალიშვილს კანონიერი შვილის წილი არ მოეთხოვა. ის, რაც ეჭვად მქონდა, მერე თანდათანობით რწმენად გადამექცა.

შინაპატიმრობამისჯილი საეკლესიო წესებს ცუდად ვიცავდი, მაგრამ დიდი დღესასწაულების კვირაძალზე აღსარების სათქმელად მაინც მგზავნიდნენ. ადრეც გითხარით, მე და დედაჩემს ერთი სულიერი მოძღვარი გვყავდა. ველაპარაკე იმ მოძღვარს, დავუხატე მთელი უბედურება, რაც ამ სამ წელიწადში დამატყდა თავს, მან კი უკვე ყველაფერი იცოდა. განსაკუთრებული სიმწარითა და გაბოროტებით ვუჩიოდი დედაჩემს. ჩვენი მღვდელი დიდი ხანი არ იყო, რაც ღვთის მსახური გახდა და ჯერ კიდევ შემორჩენოდა ადამიანობა. მან მშვიდად მომისმინა და მითხრა:

"— შეიბრალეთ დედათქვენი, შვილო ჩემო, შეიბრალეთ უფრო მეტად, ვიდრე გმობთ. მისი სული კეთილია. გარწმუნებთ, ის ამგვარად თავისი სურვილით არ იქცევა, მას სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია.

— თავისი სურვილით არ იქცევაო? კი მაგრამ, ვინ აიძულებს, მამაო! განა ამქვეყნად მან არ მომავლინა? ჩემსა და ჩემს დებს შორის განა რამე განსხვავებაა?

— დიდი.

— დიდი! თქვენი პასუხისა არაფერი გამეგება!..".

მერე ჩემი და ჩემი დების შედარება დავიწყე. მღვდელმა გამაწყვეტინა და მითხრა:

"— გეყოფათ, გეყოფათ, თქვენს მშობლებს უსამართლობას ვერ დავწამებთ. ეცადეთ, მოთმინებით აიტანოთ თქვენი ხვედრი, ეს მოგიპოვებთ თუნდაც უფლის მოწყალებას. ვნახავ დედათქვენს და, დამერწმუნეთ, მთელს ჩემს გავლენას გამოვიყენებ, რომ დაგეხმაროთ...".

"დიდი"! მოძღვარმა მითხრა, და ეს სიტყვა ჩემთვის სინათლის სხივი გახდა, ახლა გული აღარაფერზე მეთანაღრებოდა. რასაც ჩემი დაბადების შესახებ ვფიქრობდი, მართალი იყო.

მომდევნო შაბათს, მწუხრისას, ასე საღამოს ექვსის ნახევარი იქნებოდა, ჩემზე მოჩენილი მსახური გოგო ამოვიდა და მითხრა: "ქალბატონი დედათქვენი გიბრძანებთ ჩაცმას...". ერთი საათის შემდეგ კი: "ქალბატონს სურს, რომ გამომყვეთ...". სახლის კართან კარეტა გველოდებოდა, რომელშიც მე და მსახური გოგო ჩავსხედით. გავიგე, ფელიანის მონასტერში მივდიოდით მამა სერაფიმთან: ის უკვე გველოდებოდა. მამა სერაფიმი მარტო დამხვდა. მსახური გოგო გარეთ დარჩა, მე კი მისალებ ოთახში შევედი. დავჯექი და გულგადალეული ველოდი, რას მეტყოდა. და აი, რა მითხრა:

"— მადმუაზელ, ახლავე აგიხსნით იმ გამოცანას, რის გამოც თქვენი მშობლები ასე მკაცრად გეპყრობიან. დედათქვენისგან საამისო უფლება მივიღე. ვიცი, წინდახედული ბრძანდებით, გონიერი, ხასიათიც მტკიცე გაქვთ და უკვე იმ ასაკში ხართ, როცა შეიძლება ის საიდუმლოც გაგანდონ, რომელსაც თქვენთან შეიძლება პირდაპირი კავშირი არცა ჰქონდეს. რა ხანია, შევაგონებდი დედათქვენს გაემხილა ის, რასაც თქვენ ამ წუთში გაიგებთ, მაგრამ მან ვერა და ვერ გაბედა. ადვილი როდია დედისთვის, გამოუტყდეს შვილს მძიმე ცოდვაში. თქვენ იცნობთ მას და იცით მისი ხასიათი. მისთვის ადვილი არ არის შეეგუოს ზოგიერთ დამამცირებელ აღიარებას. იგი იმედოვნებდა, ამის გარეშეც შესძლებდა იმგვარად წარემართა თქვენი ბედი, როგორიც სურდა, მაგრამ შეცდა. ამიტომაც ძალზე გაჯავრებულია. დღეს გადაწყვიტა დაუჯეროს ჩემს რჩევას და დამავალა გაუწყოთ, რომ თქვენ ბატონ სიმონენის შვილი არა ბრძანდებით".

ერთბაშად ვუპასუხე: "— ამას დიდი ხანია ვეჭვობდი.

— ახლა, მადმუაზელ, თვითვე განსაჯეთ და აწონ-დაწონეთ, შეუძლია კი დედათქვენს, მამათქვენის თანხმობის გარეშე, ან თუნდაც თანხმობითაც, გაგათანასწოროთ კანონიერ შვილებთან, იმ დროს, როცა მათი და სულაც არა ხართ. განა შეუძლია გამოუტყდეს საკუთარ ცოდვაში მამათქვენს, რომელსაც უიმისოდაც საკმაო ეჭვი აწუხებს?

— მაგრამ, მამაო, ვინ არის მამაჩემი?

— ეს ჩემთვის არ გაუნდვიათ, მადმუაზელ. მხოლოდ ერთია ნათელი, — დაუმატა მან, — რომ თქვენს დებს დიდი უპირატესობა მისცეს, ვიდრე თქვენ, და მიღებულია ყველა შესაძლო ზომა — საქორწინო კონტრაქტები, ქონების დამალვა და სხვა, — რათა არაფრამდე დაიყვანონ კანონით თქვენი კუთვნილი მემკვიდრეობა, თუკიოდესმე მიმართავთ სასამართლოს. ასე რომ, მშობლების დაკარგვის შემდეგ ძალზე ცოტა რამეს თუ მიიღებთ. მონასტერში შესვლაზე კი უარს ამბობთ, მაგრამ შეიძლება დადგეს დღე, როცა ინანებთ, რატომ მონასტერში არა ვარო.

— ეს არასოდეს მოხდება, ბატონო ჩემო, არაფერს მოვითხოვ.

— თქვენ არ იცით, რა არის გაჭირვება, განამანია, სიღარიბე.

— სამაგიეროდ, თავისუფლების ფასი ვიცი და მონაზვნური ცხოვრების სიმძიმე, როცა ამგვარი ცხოვრება არაფრად გიღირს.

— ყველაფერი გითხარით, რაც უნდა მეთქვა. ახლა, მადმუაზელ თქვენი ვალია კარგად დაფიქრდეთ ამაზე...".

იგი ადგა:

— ერთი კითხვაც, მამაო.

— რამდენიც გნებავთ.

— იციან ჩემმა დებმა, რაც მე მაუწყეთ?

— არა, მადმუაზელ.

— მაშ, როგორ შეძლეს საკუთარი დის გაძარცვა? ისინი ხომ თავიანთ დად მთვლიან?

— აჰ! მადმუაზელ, სარგებელი! სარგებელი! უამისოდ ხომ ასეთ მომგებიან რამეს ვერ ეღირსებოდნენ, ამ ქვეყანაზე ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს; და გირჩევთ, თუ მშობლებს დაკარგავთ, მათი იმედი არა გქონდეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ისინი უკანასკნელ გროშზეც კი შეგეცილებიან და იმ უმცირესი წილის გაყოფასაც მოგთხოვენ, რაც გერგებათ. მათ ბლომად ჰყავთ შვილები. ესეც საკმარისია, რომ მათხოვრობამდე მიგიყვანონ. და თანაც მათი ხელიდან საქმე არ გამოვა, ყველაფერს ქმრები უკეთებენ. თქვენს დებს თქვენი სიბრალულიც რომ ჰქონდეთ და ქმრებისგან ფარულად დახმარება გაგიწიონ, ეს მაშინვე ოჯახური უთანხმოების საბაბი გახდება. მე ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა მიტოვებულ ბავშვებს, თვით კანონიერ ბავშვებსაც კი, ოჯახური სიმშვიდის ხარჯზე ეხმარებიან. და თანაც, მადმუაზელ, ამგვარი გზით მიღებული პური მწარეა. დამიჯერეთ, შეურიგდით მშობლებს და ის გააკეთეთ, რასაც დედათქვენი თქვენგან ელოდება. აღიკვეცეთ მონაზვნად. დაგენიშნებათ ცოტა გროშები და სიცოცხლის ბოლომდე იკმარებთ. შეიძლება ამ გროშებმა მთლიანად ვერ უზრუნველყოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ არსებობის საშუალებას მოგცემთ. ამასთან, არ დაგიმალავთ და დედათქვენის უყურადღებობა, მისი ახირებული სურვილი მონასტერში თქვენი ჩაკეტვისა, და კიდევ ზოგიერთი სხვა რამე, რომლებიც უკვე კარგად აღარც მახსოვს და თავის დროზე ვიცოდი, მამათქვენზეც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც თქვენზე. თუ ადრე თქვენი დაბადების შესახებ ეჭვიანობდა, რაც მაშინ საიდუმლოებით იყო მოცული, ახლა აღარ ეჭვიანობს. მამათქვენს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ქალიშვილი ხართ, ოღონდ იმდენად, რამდენადაც კანონი თვლის თქვენს მამად დედათქვენის კანონიერ მეუღლეს. კეთილი და გონიერი ბრძანებებით, მადმუაზელ, დაუფიქრდით ყოველივეს, რაც ახლა შეიტყვეთ".

წამოვდექი და ავტირდი. შევატყვე, მამა სერაფიმს გული მოულბა. მან ნელა აღაპყრო თვალები ცისკენ და გამომაცილა. მსახურს მოვუხმე. ჩავსხედით ეტლში და შინ დავბრუნდით.

უკვე გვიანი იყო. იმ ღამეს და მეორე დღესაც იმ საიდუმლოზე ვფიქრობდი, რომელიც გამიმხილეს. ჰო, მამა არ მყავდა! სინდისის ქენჯნამ დედაც წამართვა. უკვე მიუღიათ სიფრთხილის ყველა წინასწარი ზომა, რათა კანონიერი შვილის პრეტენზია არა მქონოდა. მელოდა მკაცრი შინატყვეობა. არავითარი იმედი, არავითარი გამოსავალი. ადრევე რომ ეთქვათ ყველაფერი, ვიდრე დები გათხოვდებოდნენ და სახლშიც დავეტოვებინე, სადაც ნაცნობები ჯერ ისევ და-

დიოდნენ, იქნებ მოძებნილიყო ვინმე, ვისაც ჩემი ხასიათი, ჭკუა, გარეგნობა და შესაძლებლობა საკმარის მზითვად ჩაეთვალა. ასეთი რამ შეიძლება ახლაც მომხდარიყო, მაგრამ საქმეს ჩემი სამონასტრო წარსული ართულებდა. ძნელად წარმოსადგენია, რომ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონა ჩემნაირ უკიდურესობაში ჩავარდნილიყო. მამაკაცებს ძალიან მოსწონთ ჩემნაირი ხასიათის ქალები, მაგრამ [illegible], სიამოვნებით შეელევიან ხოლმე ამგვარ ხასიათს იმათში, ვისი ცოლად შერთვაც სურთ. და მაინც, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო და უნდა მეცადა, ვიდრე სხვა რამეს მოვიფიქრებდი. გადავწყვიტე დედაჩემს მოვლაპარაკებოდი და შევუთვალე შემხვედროდა, რაზეც თანხმობა მივიღე.

ეს მოხდა ზამთარში. დედა ბუხრის წინ, სავარძელში იჯდა, მკაცრი სახე ჰქონდა, უმოძრაო გამოხედვა და გაქვავებული ნაკვთები. მივუახლოვდი, ფეხებში ჩავუვარდი და ვთხოვე დანაშაული მოეტევებინა.

"— გაპატიებთ, — მიპასუხა მან, — თუკი დავინახავ, რომ პატიებას იმსახურებთ. ადექით, მამათქვენი შინ არ არის და საკმაო დრო გაქვთ სალაპარაკოდ. თქვენ მამა სერაფიმთან იყავით და ბოლოს და ბოლოს გაიგეთ კიდეც, ვინცა ხართ და რასაც უნდა ელოდეთ ჩემგან. იმედი მაქვს, არ აპირებთ მთელი სიცოცხლე დამსაჯოთ ერთადერთი ცოდვის გამო, რომელიც მგონი საკმაოდ მოვინანიე. მეტი რაღა გნებავთ ჩემგან, მადმუაზელ? რა გადაწყვიტეთ?

— დედილო, ვიცი რომ უქონელი ვარ და, ისიც ვიცი, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს. მე სულაც არ მსურს თქვენი გატანჯვა. იქნებ უკეთესი გამოსავალიც მოგენახათ საჩემოდ, თუკი ადრევე გამიმხელდით ზოგიერთ რამეს, რისი მიხვედრაც ჩემთვის შეუძლებელი იყო. ახლა უკვე ვიცი ვინცა ვარ და ისღა დამრჩენია ისე მოვიქცე, როგორც ჩემი მდგომარეობის ადამიანს მოეთხოვება. უკვე აღარ მაოცებს ჩემსა და ჩემს დებს შორის თქვენი დამოკიდებულების სხვაობა. მე ამაში სამართლიანობას ვხედავ და ვემორჩილები, მაგრამ მაინც ხომ თქვენი შვილი ვარ, მუცლით მატარეთ, რაც ალბათ ძალიანაც რომ ეცადოთ, არ დაგავიწყდებათ.

— უბედური ჩემი თავო, ღმერთმა დამსაჯოს, — ერთბაშად წარმოთქვა მან, — თუ შვილად არ მიმაჩნდეთ, ოღონდ კი ჩემს ნებაზე იყოს.

— დედიკო, ნუ დაივიწყებთ გულკეთილობას, ნება მომეცით, კვლავ თქვენთან ვიყო. დამიბრუნეთ იმ კაცის სიყვარული, ვინც თავის თავს ჩემს მამად თვლის.

— ცოტაც და, — თქვა მან, — იმასაც ისევე აეხილება თვალი, როგორც მე და თქვენ. როცა ის ჩემი თანდასწრებით მკაცრად გსაყვედურობთ, და ეს ხშირადაც ხდება, ეს საყვედურები ჩემს გასაგონად ითქმება. ბაზი, მოსიყვარულე მამის იმედი ნუ გექნებათ. თანაც, გითხრათ წმინდა სიმართლე? მუდამ მახსენებთ მზაკვრულ ღალატს, უმადურობას ერთი ადამიანისა, რომლის გახსენებაც ჩემთვის აუტანელია. ჩემსა და თქვენს შორის მუდამ ის კაცი დგას. მე მძულს იგი და ეს სიძულვილი თქვენზეც ვრცელდება.

— როგორ! — წამოვიძახე მე, — ნუთუ იმისი იმედიც არ უნდა მქონდეს, რომ თქვენ და ბატონი სიმონენი, თუნდაც ისე მომექცევით, როგორც უცხო გოგონას, რომელიც თქვენივე გულკეთილობის წყალობით შეივრდომეთ?

— არც მე და არც მას ეს არ შეგვიძლია. ჩემო გოგონი, გეყოფათ, ნუღარ მიწამლავთ ცხოვრებას. დები რომ არ გყავდეთ, ვიცი, როგორც მოვიქცეოდი, მაგრამ ორი და გყავთ და თანაც ერთიც და მეორეც ნერილშვილიანია. ვნებათაღელვა დიდი ხანია დაცხრა და სინდისმა კვლავ თავისი უფლებები მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ ის, ვისგანაც სიცოცხლესა ვარ დავალებული...

ის აღარ არსებობს. მოკვდა. ისე მოკვდა, არც კი გახსენებიხართ და ეს ყველაზე მცირე დანაშაულია სხვა დანარჩენთან შედარებით...".

ამის თქმაზე სახე შეეშალა, თვალები ავად აუელვარდა, ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ველარ თქვა. ტუჩები უკანკალებდა და ხმას უხშობდა. იჯდა, სახე ხელებით დაეფარა, რათა ჩემთვის დაემალა ის გრძნობა, მასში რომ იფეთქა. ერთხანობა ასე იჯდა, მერე ადგა და მდუმარედ გაიარ-გამოიარა ოთახში. ბოლოს ძლივს შეიკავა ცრემლები და თქვა:

"— ურჩხული! თუ თქვენ ჩემს საშოში არ ამოიხრჩეთ, იმ ტანჯვაწამებით, რაც მან მომაყენა, მისი დამსახურება არ გეგონოთ. მაგრამ უფალმა დაგვიფარა ორივე, რათა შვილს გამოესყიდა დედის შეცდომა. შვილო, თქვენ არაფერი მოგეძლევებათ და არც არასოდეს გექნებათ. იმ მცირეოდენსაც, რასაც თქვენთვის ვაკეთებ, თქვენი დების თვალისგან მალულად ვაკეთებ. ასეთია ადამიანური სისუსტის შედეგი. და მაინც, იმედი მაქვს, როცა აღსასრულის ჟამი დამიდგება, საკუთარ თავს არაფერზე ვუსაყვედურებ. მკაცრი მომჭირნეობით ვაგროვებ თქვენს სამონასტრო თანხას. ჩემი ქმრის შემწყნარებლობას ბოროტად სულაც არ ვიყენებ და რასაც შევძლებ ხოლმე, ჩუმად ვინახავ დროდადრო მისგან ნაბოძები გულუხვი საჩუქრებისგან. რაც კი რამ ძვირფასეულობა მქონდა, გავყიდე. მან ნება დამრთო ეს თანხა ისე დამეხარჯა, როგორც მინდოდა. ბანქოს თამაში მიყვარდა და აღარ ვთამაშობ. მიყვარდა თეატრი და ესეც მოვიკელი. მიყვარდა საზოგადოებაში ყოფნა და განდეგილივით ვცხოვრობ. მიყვარდა ფუფუნება და მასზე ხელი ჩავიქნიე. თუ თქვენ მონაზვნად აღიკვეცებით, რაც ჩემი სურვილია და ბატონ სიმონენის სურვილიც, ეს გახდება ჩემი ყოველდღიური ტანჯვის ჯილდო.

— მაგრამ, დედილო, — ვუთხარი მე, — ამ სახლში ხომ კიდევ დაიარება შეძლებული ხალხი? იქნებ მოიძებნოს ვინმე, რომელსაც იმდენად მოვეწონები, რომ მომჭირნეობით დაზოგილ თანხას, ჩემს მოსაწყობად რომ გაქვთ გადანახული, არც კი მოითხოვს?

— ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. თქვენმა საქციელმა თქვენვე დაგღუპათ.

— ნუთუ უბედურება ველარასოდეს გამოსწორდება?

— ველარასოდეს.

— თუ საქმროს ვერ მოვძებნით, მაინც რა აუცილებელია მონასტერში ჩაკეტვა?

— აუცილებელია, თუკი არ გსურთ ჩემი ტანჯვა და სინდისის ქენჯნა მანამდე გამყვეს, ვიდრე საუკუნოდ თვალს დავხუჭავ, ამას კი ვერსად გავექცევით. იმ საშინელ წუთებში თქვენი დები ჩემს სასთუმალთან იქნებიან. აბა, განსაჯეთ, ავიტან კი თქვენს დანახვას მათ გვერდით! ჩემო გოგონი, ჩემდა უნებურად მაინც შვილი ხართ ჩემი, თქვენმა დებმა კანონიერად მოგაკუთვნეს დის სახელი, რომელიც ჩემი ცოდვის გამო გერგოთ; გულს ნუ ატკენთ დედას, რომელიც მალე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქვეყანაზე აღარ იქნება; დააცადეთ მშვიდად ჩავიდეს საფლავში და უზენაესი სამსჯავროს წინაშე წარდგომისას, შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარ თავს უთხრას, რომ მიუტევებელი შეცდომა ბოლოს და ბოლოს გამოასწორა, რამდენადაც შეეძლო, და იმედი ჰქონდეს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ განხეთქილებას არ შეიტანთ ოჯახში და არ მოითხოვთ უფლებას, რომელიც არ გეკუთვნით.

— დედილო, — ვთქვი მე, — ამაზე ნუ იფიქრებთ. მოიწვიეთ ვექილი, რომელიც მემკვიდრეობაზე უარის აქტს შეადგენს და რაზეც გნებავთ, ყველაფერზე ხელს მოვაწერ.

— ეს შეუძლებელია; ბავშვებს უფლება არა აქვთ თავადვე დაკარგონ მემკვიდრეობა. ამგვარი სასჯელი წესდება მხოლოდ დედ-მამის ნებით, რომელთაც აქვთ ჭეშმარიტი მიზეზები განრისხებისთვის. თუ ხვალ ღმერთი თავისთან მიმიხმობს და ხვალვე მომიწევს ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა, მაშინ გავენდობი ჩემს მეუღლეს, რათა უმისოდ არაფერი მოხდეს. ნუ მაიძულებთ ამგვარ თავხედობას, თორემ იგი შემიძულებს, თქვენ კი ეს მხოლოდ შერცხვენას მოგიტანთ. თუ ამქვეყნად დიდი დღე გიწერიათ, მაშინ უსახელო, უპოვარი და მიუსაფარი დარჩებით. უბედურო! მითხარით, ფიქრობთ კი, რა დაგემართებათ? თქვენი დარდი გინდათ ჩაიტანო საფლავში? ვთქვათ, გამოვუტყდი მამათქვენს... მაგრამ რა? ვუთხრა, რომ მისი შვილი არა ხართ?.. ჩემო შვილო, ნეტავი საკმარისი იყოს თქვენს ფერხთით დამხობა, რომ მივიღო თქვენი... მაგრამ უგრძნობელი ხართ, საკუთარ მამასავით შეუბრალებელი გული გაქვთ...".

ამ დროს ბატონი სიმონენი შემოვიდა და ცოლის მღელვარება შენიშნა. მას ძალიან უყვარდა დედაჩემი და გაბრაზდა, ზღურბლთან შეჩერდა, საშინელი მზერა მომაპყრო და მითხრა:

"— გადით!"

მამაჩემი რომ ყოფილიყო, არ დავემორჩილებოდი, მაგრამ იგი არ იყო მამაჩემი.

მსახურს, რომელიც ანთებული სანთლით მიმიძღოდა, გამოსძახა:

"— უთხარით, ფეხი აღარ შემოდგას აქ".

კვლავ ჩემს პატარა საკანში ჩამკეტეს. დედაჩემის ნათქვამზე დიდხანს ვფიქრობდი. დაჩოქილი ვეკითხებოდი უფალს რა გზას დავდგომოდი და იატაკზე განრთხმული ვლოცულობდი. ჩვეულებისამებრ ღმერთს მაშინ ევედრებიან, როცა თავად არ იციან, რა ქნან. ასეთ დროს იშვიათად ხდება, რომ ციურმა ხმამ მორჩილება არ გვირჩიოს. ამგვარი გადაწყვეტილება მივიღე მეც. "მათ უნდათ მონაზონი გავხდე, ალბათ, ღმერთის სურვილიც ასეთია. კეთილი! გავხდები მონაზონი. თუ აუცილებელია უბედური ვიყო, სულერთია არ არის, სად ვიქნები?..". მსახურს ვთხოვე ეთქვა, როცა მამაჩემი სახლში არ იქნებოდა. დედაჩემს ხვეწნას ვუთვლიდი, ერთხელაც დამლაპარაკებოდა. მან კი მიპასუხა, ბატონ სიმონენს აღვუთქვი, რომ აღარ შეგხვდებით, მაგრამ შეგიძლიათ ბარათი მომწეროთო, და ფანქარი გამომიგზავნა. ქაღალდის ნაგლეჯზე დავწერე წერილი (ეს საბედისწერო ქაღალდი მერე იპოვეს და ჩემს წინააღმდეგ კარგადაც გამოიყენეს):

"— დედილო, ძალზე ვწუხვარ, რომ ამოდენა ტკივილი მოგაყენეთ. გთხოვთ, მომიტევოთ. გადავწყვიტე ყოველივეს ბოლო მოეღოს. მოქმედეთ ისე, როგორც თქვენი ნება-სურვილი იქნება; თუ გნებავთ მონაზვნად აღვიკვეცო, იყოს ნება თქვენი და ნება უფლისა...".



ბიბლიოთეკა

მსახურმა წერილი დედაჩემს წაუღო, წუთიც არ გასულა, დაბრუნდა და აღტაცებით მომაძახა:

“— მადმუაზელ, ასე რაღას აჭიანურებდით, როცა ერთი თქვენი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, თქვენი მშობლების გასაბედნიერებლად? ბატონსა და ქალბატონს ისეთი სახეები აქვთ, რაც ამ სახლში ვარ, არ მინახავს. იმათი ჩხუბის მიზეზი მუდამ თქვენ იყავით და ინება უფალს, მეტად აღარ მომინევს ამისი ხილვა...“.

მსახური გოგო მელაპარაკებოდა, მე კი მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს-ესაა საკუთარი სიკვდილის განაჩენს მოვაწერე ხელი. და ჩემი ფიქრი ახდება, მოწყალეო ბატონო, თუკი თქვენც მიმატოვებთ და არ დამეხმარებით.

ორიოდე დღე ისე გავიდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთ დილას, იქნებოდა ცხრა საათი, ჩემი ოთახის კარი ხმაურით გაიღო, ჩაჩსა და ღამის ხალათში გამოწყობილი ბატონი სიმონენი მეწვია. მას მერე, რაც გავიგე, რომ მამაჩემი არ იყო, მისი დანახვისა მეშინოდა. წამოვდექი და ღრმა მოწიწებით მივესალმე. მომეჩვენა, რომ ორი გული მქონდა. დედაჩემზე მხოლოდ თანაგრძნობით და ცრემლით შემეძლო ფიქრი, ბატონ სიმონენზე კი — არა. რა თქმა უნდა, მამა იმგვარ გრძნობებს შთაგვაგონებს, რომლის მსგავსსაც სხვისგან ვერ იგრძნობთ. ამას ვერ მიხვდებით, ვიდრე პირისპირ არ დარჩებით ადამიანთან, რომელიც დიდხანს ატარებდა მამათქვენის სახელს და სულ ახლახან დაკარგა ეს უავგუსტესი წოდება. სხვები ამ გრძნობას ვერ გაიგებენ. იმ წუთში, ჩემს წინ ბატონ სიმონენის მაგივრად დედაჩემი რომ მდგარიყო ალბათ სულ სხვანაირი ვიქნებოდი. მან მკითხა:

“— სიუზანა, იცნობთ ამ ნაწერს?

— დიახ, ბატონო.

— ამის დაწერის დროს კეთილი სურვილები გამოძრავებდათ?

— მომიწევს გითხრათ, რომ დიახ.

— და თქვენ გადაწყვიტეთ, რომ აღასრულოთ, რაც დაწერეთ?

— დიახ, გადავწყვიტე.

— რომელიმე მონასტერს ხომ არ ანიჭებთ უპირატესობას?

— არა, ყველა მონასტერი ჩემთვის ერთნაირია.

— კეთილი“.

აი, ასე ვუპასუხე, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი სიტყვები ქაღალდზე დაწერილი არ იყო. ორი კვირა გავიდა და არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. მგონი, ამ ხანებში მშობლებმა რამდენიმე დედათა მონასტერი მოიარეს, მაგრამ ამასწინდელი აყალმაყალის მერე არსად უნდოდათ ჩემი მიღება. ლონშანში ეტყობა უფრო ნაკლებ მომთხოვნნი იყვნენ, ალბათ ისიც გაიგეს, კარგი მუსიკოსი რომ ვიყავი და კარგი ხმაც მქონდა. მშობლები გვარიანად აზვიადებდნენ იმ სიძნელეებს, ვითომ რომ გადალახეს და იმ წყალობასაც, ამ მონასტერმა ჩემი მიღებით რომ მომანიჭა. ისიც კი მაიძულეს, მონასტრის წინამძღვრისთვის წერილი მიმეწერა. მაშინ ვერ მივხდი, რაში სჭირდებოდათ ეს წერილი. ეტყობა, ეშინოდათ, ისევ არ დაარღვიოს თავისი აღთქმაო და ამიტომ დამაწერინეს. ალბათ საბუთი უნდოდათ, სადაც ჩემივე ხელით იქნებოდა დამოწმებული, რომ მე სამონაზვნო აღთქმას ნებაყოფლობით ვიღებდი. მაგრამ ის როგორღა მოხდა, რომ მონასტრის წინამძღვრის სახელზე შედგენილი ბარათი, ბოლოს ჩემი სიძეების ხელში აღმოჩნდა? სჯობს, ამაზე თვალი დავხუჭო, თორემ ბატონი სიმონენი იმგვარი

სახით წარმომიდგება, როგორადაც არ მინდა რომ წარმოვიდგინო: იგი აღარ არის ცოცხალთა შორის.

წამიყვანეს ლონშანში. იქამდე დედაჩემმა მიმაცილა. ბატონ სიმონენთან გამოთხოვების უფლება არც მითხოვია. მართალი გითხრათ, გზაზეღა გამახსენდა. მონასტერში უკვე შეიტყვეს, იქამდეც მისულიყო ხმები ჩემს ამბავზე და ჩემს ნიჭიერებაზე. უმთავრესზე არავის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, ყველა ჩქარობდა დაენახა, თუ რად ღირდა ის განძი, რაზედაც ამდენი შრომა დაიხარჯა. აქეთურზე და იქითურზე დიდხანს ვილაპარაკეთ. უმეტესად კი იმაზე, რაც თავს გადამხდა. არც ღმერთზე, არც მონაზვნის მოწოდებაზე, არც საერო ცხოვრების უკეთურობაზე, არც მონასტრული ცხოვრების სიამეზე სიტყვა არ თქმულა. საღვთო სისულელეებზე საუბარიც ვერ გაბედეს, რაზეც პირველ ხანებში ლაპარაკობენ ხოლმე. ბოლოს მონასტრის წინამძღვარმა მითხრა: "მადმუაზელ, თქვენ უკრავთ, მღერით; ჩვენ კლავესინი გვაქვს, თუ გნებავთ, მისაღებ ოთახში გავიდეთ...". გული შეკუმშული მქონდა, მაგრამ ზიზღის დრო არ იყო. დედაჩემი წინ წავიდა, მე უკან მივყვებოდი. მონასტრის წინამძღვარი, ცნობისწადილით შეპყრობილ რამდენიმე მონაზონთან ერთად ამ პროცესიას ამთავრებდა. ეს მოხდა მწუხრისას. შემოიტანეს სანთლები. მე კლავესინს მივუჯექი. დიდხანს ვუკრავდი. გონებაში ვეძებდი შესაფერ მუსიკალურ ნაწყვეტებს, მაგრამ ვერ ვპოულობდი. წინამძღვარი კი მაჩქარებდა, გინდა თუ არა, იმღერეო და, ჩემდა უნებურად, როგორც ჩვეული ვიყავი, დავიწყე ერთი კარგად ცნობილი არია: "სევდიანი სამზადისი. მიმქრალი ჩირაღდნები. დღე უფრო წყვდიადია, ვიდრე ღამე..."[1] და ასე შემდეგ. არ ვიცი, რა შთაბეჭდილება მოვახდინე, მაგრამ დიდხანს მისმენდნენ. სიმღერა ქებით შემაწყვეტინეს. ძალზე ვაოცდი, რომ ეს ქება ასე მალე და ასე ადვილად დავიმსახურე. დედაჩემმა ჩემი თავი წინამძღვარს ჩააბარა, მე ხელი გამომიწოდა საკოცნელად და წავიდა.

და აი, უკვე სხვა მონასტერში ვარ გამოსაცდელი ვადით, თანაც ჩემი ნება-სურვილით მოსული. ახლა ხომ ყველაფერი იცით, რაც კი აქამდე მოხდა, მოწყალეო ბატონო, რას ფიქრობთ, როგორია თქვენი აზრი? დიდი ნაწილი იმისა, რაც აქ გითხარით, სულაც არ მომიხსენებია მაშინ, ჩემი აღთქმის დარღვევა რომ მოვინადინე. ზოგი რამ იმიტომ, რომ საფუძვლიანი საბუთებით ვერ დავამტკიცებდი, ზოგიც იმიტომ, მსმენელთ ჩემდამი ზიზღს აღვუძრავდი, სარგებელს კი ვერაფერს მომიტანდა. ხალხი ჩემში მარტოდენ გულქვა შვილს დაინახავდა, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად არაფერს ერიდება და მშობლების ხსოვნასაც ლაფში სვრის. მათ ჰქონდათ ჩემი საწინააღმდეგო საბუთი, ჩემთვის სასარგებლო საბუთს კი ვერ დავასახელებდი და ვერც დავამტკიცებდი. ის კი არა, სულაც არ მინდოდა, რომ მოსამართლეებს ეჭვი აღძვროდათ ჩემი დაბადების გარემოებათა შესახებ. ზოგიერთი კანონში ჩაუხედავი პიროვნება მირჩევდა საქმეში დედაჩემის სულიერი მოძღვარი ჩამება, რომელიც ადრე ჩემი მოძღვარიც ბრძანდებოდა. ეს კი შეუძლებელი იყო. და შესაძლებელიც რომ

---

1. არია რამოს ოპერიდან "კასტორი და პოლუქსი"

ყოფილიყო, ამას თვითონ არ ვიზამდი. ვშიშობ არ დამავიწყდეს და ბარემ ახლავე გეტყვით, თუ სურვილი გექნებათ და დამეხმარებით, მოწყალეო ბატონო, მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ, თუკი, რა თქმა უნდა, თქვენც ასე მიიჩნევთ, რომ არავინ უნდა გაიგოს კლავესინზე ჩემი დაკვრისა და სიმღერის ამბავი. ესეც საკმარისი იქნება, რომ ადვილად მიპოვონ. ამ ნიჭით ყოყოჩობამ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩამიყაროს. ჩემს დღეში ჩავარდნილთ არ შეუძლიათ არც სიმღერა და არც დაკვრა, ე.ი. არც მე უნდა შემეტყოს ამისი ცოდნა. თუ მოხდება და სამშობლოდან გადახვეწა მომიწევს, აი, მაშინ გამომადგება ეს ხელობა საარსებოდ. სამშობლოდან გადახვეწა! მითხარით, რად მაშინებს ეს აზრი? ალბათ იმიტომ, რომ არ ვიცი, რა გზას დავადგე. ალბათ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვარ და გამოუცდელი; ალბათ იმიტომ, რომ სიღარიბის, ხალხის და ბინიერებისა მეშინია. იმიტომ, რომ მუდამ ჩაკეტილი ვცხოვრობდი და თუ პარიზში არ ვიყავი, თავს ამქვეყნად დაკარგულად ვგრძნობდი. შეიძლება ყველაფერი ასე არაა, მაგრამ ეს ის მაინც არის, რასაც ვგრძნობ. მოწყალეო ბატონო, არ ვიცი, რა გზას დავადგე. არ ვიცი, რა გავაკეთო და ყველაფერში მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს.

ლონშანში, ისევე როგორც სხვა უმრავლეს მონასტერში, წინამძღვარი სამ წელიწადში ერთხელ იცვლება. როცა ამ მონასტერში მომიყვანეს, წინამძღვრად ვინმე ქალბატონი მონი იყო ახლად დანიშნული. არ ძალმიძს აღვწერო მისი უზომოდ დიდი სიკეთის ამბავი. ამისი აღწერა ჩემს ძალას აღემატება, მაგრამ სწორედ ეს სიკეთე მაშინებდა. ის ჭკვიანი ქალი იყო და ადამიანთა გულების დიდებული მცოდნე, შემწყნარებლობაც შეეძლო, თუმცა ამის საჭიროებას სულაც არ გრძნობდა, ჩვენ მისი შვილები ვიყავით. იგი მხოლოდ იმგვარ დანაშაულს ხედავდა, რომლის დაუნახაობაც არ შეიძლებოდა, ანდა იმდენად დიდს, რომელზედაც თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო. ყოველივე ამას პირუთვნელად ვლაპარაკობ, რადგან ჩემს მოვალეობას მუდამ ჩინებულად ვასრულებდი, ის კი მაძლევდა მხოლოდ იმას, რასაც მართლა ვიმსახურებდი. ერთი დანაშაულიც არ ჩამიდენია, რომელიც ან დასჯას იმსახურებდა, ანდა პატიებას. თუ ვინმეს უპირატესობას მიანიჭებდა, ეს უპირატესობა მუდამ დამსახურებული იყო. ამის შემდეგ, არ ვიცი, უხერხული ხომ არ იქნება თქმა, რომ ნაზად შემიყვარა და მის ფავორიტთა შორის უკანასკნელი ადგილი არ მეჭირა. ვიცი, ეს დიდი ქებაა ჩემთვის, უფრო დიდი, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რადგან მას პირადად არ იცნობდით. დანარჩენი მონაზვნები ფავორიტებს, შურით, წინამძღვრის საყვარლებს ეძახიან. თუ ქალბატონ დე მონის რამეში შეიძლება ვუსაყვედურო, მარტო ესაა, რომ თავის სიყვარულს სათნოების, ღმობიერების, გულწრფელობის, სიმშვიდის, მომადლებული ნიჭისა და პატიოსნებისადმი აშკარად გამოხატავდა, თუმცა კარგად უწყოდა, ვინც ამგვარ თვისებებს არ ფლობდნენ, თავს აშკარად დამცირებულად გრძნობდნენ. მას იმისი ნიჭიც ჰქონდა, რაც მონასტერში უფრო გვხვდება, ვიდრე საერო ცხოვრებაში, — სწრაფად ამოეცნო ადამიანის სული. იშვიათად ყოფილა, რომ მონაზონი, რომელიც თავიდანვე არ მოსწონებია, მერე მოსწონებოდეს. მან უცბად შემიყვარა და მეც თავიდანვე მივენდე. ვაი იმ მონაზონს, რომლის მიმართაც კეთილად არ იყო განწყობილი! ისინი აუცილებლად ბოროტი, დაკნინებული ქალები აღმოჩნდებოდნენ და ამას

თვითვე აღიარებდნენ. წინამძღვარმა თავადვე დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რაც წმინდა მარიამის მონასტერში გადამხდა. ყველაფერი ისევე დაუფარავად ვუამბე, როგორადაც თქვენ გიამბობთ. ვუთხარი ყველაფერი, რაზეც ზემოთ გწერდით. არაფერი გამომრჩენია, არც ის, როგორ დავიბადე, და არც ის — როგორ ვეწამე. მას შემდეგ, თანაგრძნობით აღივსო, დამაწყნარა და სასიკეთო მომავლით დამაიმედა.

ამასობაში ჩემი გამოცდის დროც გავიდა და დადგა მორჩილობის ჟამი. გავხდი მორჩილი. მორჩილობის ვადაც ყოველგვარი ზიზღის გარეშე მოვიხადე. იმ ორ წელს ერთბაშად აღვწერ, რადგან განსაკუთრებული მტკივნეული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იდუმალ მწუხარებას იმაზე, რომ ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი სამყაროს, რომლისთვისაც არ ვიყავი შექმნილი. ხანდახან ეს გრძნობა მთელი სიმძლავრით იფეთქებდა ჩემში და მაშინვე კეთილ წინამძღვართან გავრბოდი, რომელიც მკოცნიდა, ნათელს ჰფენდა ჩემს სულს და გონზე მოვყავდი. ბოლოს კი მეტყოდა: "განა სხვა ცხოვრებას არა აქვს თავისი უსიამოვნებანი? ყველას კუთვნილი არ მიეგება? მოდით, შვილო ჩემო, მუხლი მოვიყაროთ და ვილოცოთ...".

მერე მუხლს მოიყრიდა და ხმამაღლა იწყებდა ლოცვას იმგვარი გულითადი, ტკბილი, ამაღელვებელი, შთამაგონებელი და ზეციური ხმით, თითქოს თვით უფლის სულმა შთააგონაო. მისი სიტყვა, იერი, სახე, გულის სიღრმემდე სწვდებოდა ადამიანს. უსმენდით, უსმენდით, მერე ნელ-ნელა ბურუსში გხვევდათ და მის სასოებას უერთდებოდით. სული თრთოდა და უკვე მის ხელთ იყავით. თქვენი დაპყრობა არც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ჭეშმარიტად გიპყრობდათ და მისგან დამშვიდებული მიდიოდით. თქვენს სახეზე ბედნიერი აღტაცება თრთოდა. სიხარულის ცრემლებს ღვრიდით! ამგვარივე გრძნობა ეუფლებოდა თავადაც, რაც კარგა ხანს გრძელდებოდა და თქვენც კარგა ხანს ველარ იეიწყებდით. ეს გრძნობა მარტო მე არ გამომიცდია. ეს გამოსცადა ყველა მონაზონმა. ზოგიერთი მეუბნებოდა, რომ ამგვარი სასოების შემდეგ უდიდეს ნუგეშს ჰპოვებდნენ და რომ ეს ნუგეში მოთხოვნილებადაც ექცათ. მაგრამ ვაი რომ მე სულ სხვა გრძნობები მაწუხებდა, რაც ხელს მიშლიდა სრულად განმეცადა იგივე, რასაც სხვები გრძნობდნენ.

აღკვეცის ჟამის წინ ისეთმა დიდმა მელანქოლიამ შემიპყრო, რომ ჩემმა კეთილმა წინამძღვარმა აღარ იცოდა, რა ექნა. ნუგეშისცემის ნიჭმაც კი უღალატა და ამაში თვითონვე გამომიტყდა: "არ ვიცი, რა მემართება, როცა თქვენ მოდიხართ, ასე მგონია, უფალი გამირბის და მისი ხმა დუმდება ჩემში. ამაოდ ვიმხნევებ თავს, ამაოდ ვიკრებ აზრებს, ამაოდ ვცდილობ სულის აღგზნებას. და ვგრძნობ, რომ ჩვეულებრივი, შეზღუდული ქალი ვარ. ლაპარაკისა მეშინია...". "აჰ! დედაო! — ვუპასუხე, — ეს რა საშინელების მომასწავებელია! იქნებ, თვით ღმერთი გიბრძანებთ დუმილს?..".

ერთ დღეს განსაკუთრებით ნაღვლიანი, დათრგუნული ვიყავი და მის სენაკში შევედი. ჩემმა გამოჩენამ შეაცბუნა. შემომხედა და, იქნებ, ერთბაშად მიხვდა, რომ ჩემი აფორიაქებული სულის დამშვიდება მის ძალას აღემატებოდა, ბრძოლა კი არ სურდა, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა გამარჯვებაში. და მაინც ხელი მომკიდა, ნელ-ნელა დაეტყო აღგზნება და რაც უფრო ქარწყლდებოდა ჩემი მწუხარება, მისი ცეცხლი უფრო მძაფრდებოდა. უცებ მუხლებზე დაეცა და მეც მივბაძე,

მომეჩვენა, რომ მზად ვიყავი მისი სასოების გასაზიარებლად. მეც სწორედ ეს მინდოდა. მან კი ერთი-ორი სიტყვა წარმოთქვა და ქოთ-ბაშად მიჩუმდა. ამაოდ ველოდი, მეტი არაფერი უთქვამს, ადგა, მოვი-და, ხელი მომკიდა და გულში ჩამიკრა: "აჰ! ძვირფასო შვილო, — თქვა მან, — რა საშინლად დამიმორჩილეთ! ვგრძნობ, წმინდა სულმა მიმა-ტოვა. წადით და დაე, თვით უფალი გელაპარაკოთ, რადგან ამის შემდეგ ჩემი პირით გამოგიცხადოთ საკუთარი ნება-სურვილი...".

ვერაფერს მივხვდი. არ ვიცოდი, მართლა დავაეჭვე საკუთარ ძალა-ში, თუ ნამდვილად გავაწყვეტინე კავშირი ზეცასთან. არ ვიცი, მაგრამ მომადლებული ნიჭი ნუგეშისა მეტი აღარ დაბრუნებია. მონაზვნად აღკვეცის კვირაძალზე მის მოსანახულებლად წავედი. ისიც ისეთივე ხევდიანი იყო, როგორც მე. ტირილი დავიწყე, ისიც ატირდა. მის ფეხ-ებთან დავემხე. მან დამლოცა, წამომაყენა, მაკოცა და გამომადევნა სიტყვები: " — სიცოცხლით დავიღალე. სიკვდილი მინდა. უფალს შევთხოვე, თქვენი ტანჯვის დღეს არ მომასწროს, მაგრამ მისი სურ-ვილი სხვაგვარია. წადით. მე დედათქვენს მოველაპარაკები, ღამეს ლოცვაში გავატარებ, თქვენც ილოცეთ. მერე დასაძინებლად წადით. გიბრძანებთ.

— ნება მომეცით, თქვენთან ერთად ვილოცო. — ვთხოვე.

— ნებას გაძლევთ ჩემთან დაჰყოთ ცხრიდან თერთმეტ საათამ-დე. ათის ნახევარზე ლოცვად დავდგები, თქვენც ახევე მოიქეცით, მაგრამ თერთმეტ საათზე სალოცავად მარტოდ დამტოვებთ და მო-ასასვენებლად წახვალთ. წადით, ძვირფასო შვილო, მთელი ღამის მან-ძილზე სიმხნევეს მოვიკრებ უფლის წინაშე".

ლოცვა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო. ვიდრე მე მეძინა, ეს წმინდანი დერეფანში დადიოდა, მონაზონთა სენაკების კარებზე აკაკუნებდა, აღვიძებდა, უხმაუროდ ჩადით მონასტერშიო, — უბრძანებდა. როცა ყველა შეიკრიბა, მონაზვნებს მოუწოდა ელოცათ ჩემთვის და ზე-ცისთვის შეევედრებინათ თავი ჩემი. ჯერ მდუმარედ ლოცულობდნენ, მერე წინამძღვარმა სანთლები ჩააქრო; და ყველამ ერთად წაიკითხა **"Miserere"**[1], გარდა წინამძღვრისა, რომელიც საკურთხევლის წინ დამხობილი წამებითა თვისითა ღაღადებდა: "ო, უფალო! მომიტევე ცოდვანი ჩემნი და შემივრდომე. არ გთხოვ შენგან ბოძებული და შენ-განვე წართმეული ნუგეშის ნიჭის დაბრუნებას, მაგრამ გევედრები, უფალო, რამეთუ თავად მიხედო იმ უმანკო გოგონას, რომელსაც ახლა სძინავს. გევედრები მისთვის და ვლოცულობ მისთვის. უფალო ჩემო და მწყალობელო ჩემო, დამიძლვრე იგი, დამოძლვრე მისი მშობლები, მე კი მომიტევე ცოდვანი ჩემნი".

მეორე დღეს უთენია ჩემს სენაკში შემოვიდა. მისი ფეხის ხმა არც გამიგია, რადგან ჯერაც ძილმღვიძრად ვიყავი. საწოლის კიდეზე ჩამ-ომიჯდა, ფრთხილად დამადო შუბლზე ხელი და ყურადღებით დამ-აკვირდა. მოუსვენრობა, დაბნეულობა და ნაღველი ერთმანეთს ენ-აცვლებოდა მის სახეზე, სწორედ ამგვარი დავინახე, როცა თვალები გავახილე. არაფერი უთქვამს იმაზე, რაც ღამით მოხდა, მარტო მკითხა, ადრე თუ დაწექი დასაძინებლადო. ვუპასუხე:

"— როცა თქვენ მიბრძანეთ.

— გეძინათ?

— მაგრად მეძინა.

---

1. "შეგვიწყალე" (ლათ.) — დავითის 56-ე ფსალმუნი.

— ასეც ვფიქრობდი... თავს როგორა გრძნობთ?

— მშვენივრად. თქვენ, ძვირფასო დედაო?

— ვაი რომ, მორჩილის აღკვეცის წინ დაწყნარებული არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ არავისზე ისე არ შევშფოთებულვარ, როგორც თქვენს გამო ვშფოთავ. როგორ მინდოდა ბედნიერი ყოფილიყავით.

— თუ თქვენ მუდამ გეყვარებით, ბედნიერი ვიქნები.

— აჰ! მარტო ეს რომ კმაროდეს! ღამე არაფერზე ფიქრობდით?

— არა.

— სიზმარში არაფერი გინახავთ?

— არაფერი.

— ამ წუთში რა ხდება თქვენს სულში?

— გაბრუებული ვარ, საკუთარ ბედს დავემორჩილე — არც ზიზღს ვგრძნობ და არც ხალისს. აუცილებლობამ წამლეკა და მდინარებას მივყვები. აჰ, დედაო, რა ვქნა, ვერ ვგრძნობ იმ ნაზ სიხარულს, იმგვარ თრთოლვას, იმ სევდას, იმ საამო შფოთვას, რასაც ზოგჯერ სხვებში ვხედავდი ამგვარ წუთებში. სულელი ვარ, ტირილიც კი არ შემიძლია. ჩემგან, ვიცი, ამას მოითხოვენ ახლა, ვიცი, ასეა საჭირო, ამ წუთში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებს... მაგრამ თქვენ არაფერს მეუბნებით.

— თქვენთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარ. მოვედი, რომ გიყუროთ და გისმინოთ. დედათქვენს ველოდები, ეცადეთ არ ამაღელვოთ. დაე, გრძნობამ აავსოს სული ჩემი. როგორც კი ეს მოხდება, დაგტოვებთ. ვიცი, დუმილია საჭირო. ვიცნობ საკუთარ თავს. მე ვულკანი ვარ, გაშმაგებული, რომელიც, ერთხელაც იქნება, მთელი ძალით ამოხეთქავს და არ მინდა თქვენ დაგატყდეთ. ცოტა ხანს კიდევ ინექით, გიყუროთ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მითხარით და იმის მიღების საშუალება მომეცით, რის მისაღებადაც მოვსულვარ. მერე წავალ და დანარჩენს უფალი დაასრულებს...".

გავჩუმდი, ბალიშზე გადაწოლილმა ხელი გავუწოდე, მან ჩემი ხელი თავისაში მოიქცია. ეტყობოდა, ფიქრობდა, ყოყმანობდა, თვალის გახელისა ეშინოდა და მაინც ახელდა, ცისკენ აღაპყრობდა და კვლავ მე შემომცქეროდა. ერთბაშად მღელვარება დაეტყო, მისი სული ხან ბობოქრობდა, ხან ცხრებოდა. ღმერთმანი, ეს ქალი წინასწარმეტყველად იყო დაბადებული. ამაზე მისი იერიც მეტყველებდა და ხასიათიც. ოდესღაც ლამაზი იქნებოდა, მაგრამ წლებს დაეჭკნო და მოეღვენთა მისი სხეული, მისი სახისთვის კი უფრო მეტი ღირსება მიენიჭებინა. პატარა თვალები თითქოს ხან სულის სიღრმეში იხედებოდნენ, ხან სადღაც შორს, წარსულსა და მომავალს არჩევდნენ. დროდადრო ღონივრად მიჭერდა ხელს, უცბად იკითხა, რომელი საათიაო.

— მალე ექვსი გახდება.

— ნახვამდის, მივდივარ. თქვენს შესამოსად მოვლენ. არ მინდა დავესწრო, დამაბნევს. ახლა მხოლოდ ერთი საზრუნავი მაქვს, პირველსავე წუთებში გონიერებას ვუხმო და გავმაგრდე".

გავიდა თუ არა, მაშინვე მორჩილთა წინამძღვრომი და ჩემი დამხმარე მონაზვნები შემოვიდნენ. გამხადეს მონაზვნის სამოსელი და საერო ჩამაცვეს. ალბათ მოგეხსენებათ ეს წესი. გაოგნებული ვიყავი. არ მესმოდა, ვინ რას ლაპარაკობდა, თითქოს ხედ ვიქეცი, ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი, მარტო დროდადრო კრუნჩხვა მერეოდა. მკარნახობდნენ, რა უნდა გამეკეთებინა და მეც ვემორჩილებოდი. ზოგჯერ რომ ვერ ვიგებდი, რამდენჯერმე მიმეორებდნენ. არა, სხვა რამეზე

სულაც არ ვფიქრობდი, მარტო იმაში ვიყავი ჩაძირული, რაც ჩემს სულში ხდებოდა. თავში საშინელ სიმძიმეს ვგრძნობდი, იმგვარს, როგორსაც ძალზე გადაღლილი კაცი გრძნობს ხოლმე. ამ დროს კი წინამძღვარი დედაჩემთან საუბრობდა. ჩემთვის სამუდამოდ დარჩა საიდუმლოდ, რა მოხდა იმ შეხვედრის დროს, რომელიც ძალიან დიდხანს გაგრძელდა. მე მარტო ის მითხრეს, რომ დედაჩემი ნაწყენისაგან [illegible]თი აღელვებული ყოფილა, კარიც კი ვერ მოუძებნია, ხოლო წინამძღვარი თავზე ხელებშემოჭდობილი გამოსულა.

ამასობაში ზარებმაც ჩამოჰკრეს. ეკლესიაში ჩავედი. ცოტანი შეკრებილიყვნენ. არ ვიცი, გზის დამლოცავი სიტყვა კარგი იყო თუ ცუდი, არაფერი გამიგია. დილიდან საღამომდე მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც თვითონ სურდათ და ეს დღე ჩემი ცხოვრებიდან თითქოს ამოგდებული იყო. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ყოველივე. არც ის ვიცი, რას ვაკეთებდი, რას ვამბობდი. ალბათ რაღაცას მეკითხებოდნენ და მეც, ალბათ, ვპასუხობდი. ალბათ აღთქმაც დავდე, მაგრამ არც ეს მახსოვს. და ისევე გაუაზრებლად გავხდი მონაზონი, როგორც თავის დროზე ქრისტიანი. მთელს ამ განამანიაში იმაზე მეტი არაფერი გამიგია, რაც ნათლობის დროს გავიგე. და ახლა რომ ვფიქრობ, მათ შორის მარტო ის განსხვავებაა, რომ ერთი წყალობას გიძღვნით, მეორე კი აღგითქვამთ. მართალია, მოწყალეო ბატონო, ლონშანში წინააღმდეგობა არ გამიწევია, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც წმინდა მარიამის მონასტერში ჩავიდინე, მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ ამ გარემოებამ უფრო მეტად შემაკვეცა ფრთები? მე თქვენს სამართლიანობას მოვუხმობ, უფლის სამართლიანობას მოვუხმობ. ისეთ დღეში ჩავვარდი ორიოდე დღის მერე, როცა მაუწყეს მგალობელთა გუნდში უნდა იმღეროო, ვერც კი მივხვდი, რისი თქმა უნდოდათ. ვიკითხე, მართალი იყო თუ არა, რომ მონაზვნად აღვიკვეცე. ჩემი აღთქმის ჩანაწერების ნახვა მოვინდომე, რომელზედაც დამსწრეთ თავიანთი თემის სახელით მოწმის ხელმოწერა უნდა აღენიშნათ და ზოგიერთ დამსწრესაც უნდა დაემოწმებინა. ბევრჯერ ვკითხე წინამძღვარსაც: "ნუთუ ეს მართალია?...". და ყოველთვის ველოდი, რომ მიპასუხებდა: "არა, შვილო ჩემო, გატყუებენ...". მისმა მრავალგზის მტკიცებამ ვერაფერში დამარწმუნა, ვერ შემაგნებინა, როგორ მოხდა ყოველივე. რა ჩოჩქოლით, რა უჩვეულო მოვლენებით გაიარა იმ დღემ. მე კი არაფერი მახსოვს. იმ ქალების სახეებიც არ მახსოვს, მე რომ მემსახურებოდნენ, არც იმ მღვდლის სახე, ვინც გზის დასალოცი სიტყვა წარმოთქვა, არც იმისი, ვინც ჩემი აღთქმა მიიღო. გამხადეს მონაზვნის სამოსელი და საერო ჩამაცვეს — აი, ერთადერთი, რაც მახსენდება. იმ წუთიდან ჭკუადაბნეულ ქალად ვიქეცი. და რამდენიმე თვე გახდა საჭირო, ამგვარი მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. დროის დინებას, თუკი შეიძლება ასე გამოვხატო, მივაწერ იმას, რომ მაინც დავივიწყე ყველაფერი, რაც გადამხდა. ასე ემართებათ ხანგრძლივი ავადმყოფობით გატანჯულ ადამიანებს, რომლებმაც თითქოს წმინდა საიდუმლო მიიღეს და გამოჯანმრთელდნენ, მაგრამ როცა გამოჯანმრთელდნენ, აღარაფერი ახსოვდათ. მონასტერში ამგვარ რამეს ხშირად შევხვედრივარ და მუდამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: "ალბათ მეც ასე დამემართა ჩემი აღკვეცის დღეს-მეთქი". ისლა რჩება გავიგოთ, ეს მოქმედება ადამიანიდან გამოდის თუ არა, და თუ ეს ასეა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი პასუხს აგებს თუ არა, მონაზ-

ილეა თუ არა იმ ქმედებისა, რაც უკვე მოხდა, თუმცა კი მგონია, რომ ეს ასეა.

იმავე წელს სამი ახლობელი ადამიანის დაკარგვა განვიცადე: მოკვდა მამაჩემი, ანუ, კაცი, ვისაც მამაჩემი ერქვა; ახალგაზრდა აღარ იყო და შრომამ მოქანცა. აღესრულა ჩემი წინამძღვარიც, მერე კი — დედაჩემი.

ბიბლიოთეკა

ამ ღირსეულმა მონაზონმა ადრევე იგრძნო აღსასრულის ჟამის მოახლოება, სიჩუმის აღთქმა დადო და ბრძანა, კუბო მის სენაკში შეეტანათ. ძილი დაკარგა, დღეები და ღამეები ფიქრსა და წერაში გაატარა, სიკვდილის შემდეგ "ფიქრების" თხუთმეტი ჩანაწერი დატოვა, რომელიც სულიერი სილამაზის მაგალითად მიმაჩნია. ამ ჩანაწერების ერთი პირი მეც შემომრჩა და თუ ერთ დღეს მოინდომებთ მისი აზრების გაცნობას, რაც სიკვდილის წინა დღეებს შთაუგონებია, გამოგიგზავნით. ეს ნაწერი ამგვარადაა დასათაურებული: "დაჲ დე მონის ბოლო წუთები".

სიკვდილის წინ, ლოგინად ჩავარდნილმა ჩაცმა მოისურვა, აზიარეს და ზეთი აცხეს, ხელთ კი ჯვარცმა მისცეს. ეს მოხდა ღამით, თაფლის სანთლების მკრთალი ნათელი სევდიან სანახაობას შუქს ჰფენდა. მის სარეცელს გარს ტირილით ვეხვეოდით. ქვითინი რა ჩაესმა, მომაკვდავის თვალებმა უცბად გაიბრწყინა, თავად კი წამოიწია და ლაპარაკი დაიწყო. მისი ხმა ისევე ძლიერად ჟღერდა როგორც მაშინ, როცა ძალა მოსდევდა. ღვთით ნაწყალობევი ნიჭი, დაკარგული რომ ჰქონდა, კვლავ დაუბრუნდა. გვისაყვედურა, ნუ ტირითო. ჩვენ თითქოს გვშურდა კიდეც მისი, რომ სულ მალე მარადიულ ნეტარებას ეზიარებოდა. "შვილნო ჩემნო, თქვენი მწუხარება თქვენვე გატყუებთ, აი, იქ, იქ, — ამბობდა და თანაც ცაზე მიგვანიშნებდა, — იქ გემსახურებით. თვალნი ჩემნი მუდამ ამ მონასტრისკენ იქნება მოპყრობილი, ვილოცებ თქვენთვის. შევთხოვ უფალსა ჩვენსა, რომ თხოვნა აღმისრულოს. მომიახლოვდით, რომ თქვენი ამბორი შევძლო, მიიღეთ ჩემი ლოცვა-კურთხევა და ჩემი უკანასკნელი სალამი...". ეს იყო ბოლო სიტყვები, სიკვდილის წინ რომ წარმოთქვა ამ საოცარმა ქალმა, რომელსაც გაჰყვა ჩვენი სინანული და უსაზღვრო მწუხარება.

დედაჩემი შემოდგომის მიწურულს გარდაიცვალა ერთ-ერთ ქალიშვილთან სტუმრობის შემდეგ. მუდმივმა მწუხარებამ ჯანმრთელობა ძალზე შეურყია. ასე რომ, მე ვერც მამაჩემის სახელი გავიგე და ვერც ჩემი დაბადების ამბავი. ჩვენმა საერთო სულიერმა მოძღვარმა დედაჩემის დავალება აღასრულა და ტილოს ნაჭრით გამოკრული მცირე ბოღჩა გადმომცა. ბოღჩაში ორმოცდაათი ლუი და ბარათი იდო. აი, რა ეწერა, იმ ბარათში:

"ჩემო შვილო, აქ ძალიან ცოტა ფულია. სინდისი უფლებას არ მაძლევს უფრო დიდი ფული მქონდეს. ესეც იმ თანხის ნარჩენია, რაც ბატონ სიმონენის პატარ-პატარა საჩუქრებიდან გადავინახე. იცხოვრეთ როგორც წმინდანმა. ეს უფრო უკეთესია, ვიდრე ამქვეყნიური ბედნიერება. ილოცეთ ჩემთვის. თქვენი ამქვეყნად მოვლინება ჩემს მიერ ჩადენილი ერთადერთი დიდი ცოდვაა. დამეხმარეთ, გამოვისყიდო ეს ცოდვა. დაე, იმ კეთილ საქმეთა გამო, რომელთაც თქვენ მოიმოქმედებთ, უფალმა მომიტევოს, რომ მე მოგავლინეთ ამქვეყნად. მთავარია, ოჯახის მყუდროება არ დაარღვიოთ, და იმ ცხოვრებისა,

რომელიც თქვენ გხვდათ წილად და თქვენი ნების გარეშე მიიღეთ, რაკი მე ასე მსურდა, მაინც გეშინოდეთ და ნუ უმუხთლებთ. რატომ თავად არ ვიყავი მთელი ცხოვრება მონასტერში ჩაკეტილი? მაშინ ფიქრი იმაზე, რომ წუთიც და უნდა წარვსდგე უზენაესი სამსჯავროს წინაშე, ესოდენ აღარ შემაშინებდა. გახსოვდეთ, შვილო ჩემო, დე-დათქვენის ხვედრი იმ ქვეყანაში ბევრად არის დამოკიდებული თქვენს ამქვეყნიურ საქციელზე. უფალი ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს, თავის სამსჯავროზე მიითვლის კარგსაც და ცუდსაც, რასაც თქვენ გააკეთებთ. მშვიდობით, სიუზანა, თქვენს დებს ნურაფერს მოსთხოვთ. მათ თქვენი დახმარება არ შეუძლიათ. მამათქვენის იმედიც ნუ გექნებათ. მან უკვე გამასწრო და უზენაეს ნათელს ეზიარა. იგი მელოდება. ჩემთან შეხვედრა მისთვის უფრო ნაკლებად საშინელი იქნება, ვიდრე ჩემი მასთან. კიდევ ერთხელ გემშვიდობები. ოჰ! უბედური დედა! ოჰ! უბედური შვილი! თქვენი დები ჩამოვიდნენ. არ მომეწონა მათი საქციელი: ყველაფერი დაიტაცეს, ყველაფერი გაზიდეს და მომაკვდავი დედის თვალწინ ფულის გულისთვის ჩხუბი გამართეს. ეს მე დიდ მწუხარებას მაყენებს. როცა ჩემს საწოლს უახლოვდებიან, მე მეორე მხარეს, კედლისკენ ვბრუნდები. მათში მხოლოდ ორ ვიღაცას ვხედავ, რომელთაც სიღარიბემ სათნოება ჩაუქრო. ერთი სული აქვთ, ხელში ჩაიგდონ ის მცირე რამ, რასაც ვტოვებ. ექიმსა და მომვლელ ქალს კი უხამს კითხვებს აძლევენ, საიდანაც აშკარად ჩანს რა მოუთმენლად ელიან ჩემი გაქრობის წუთს, რათა ყველაფერი დაიტაცონ, რაც მაბადია. არ ვიცი საიდან, მაგრამ ეჭვი აიღეს ლეიბქვეშ ფული რომ მქონდა დამალული, ყოველი ღონე იხმარეს და მაიძულეს საწოლიდან წამოდგომა. მაგრამ, საბედნიეროდ, დღეს ჩემი სანდო კაცი მოვიდა და მას ვანდობ ამ ბოღჩას წერილთან ერთად, რომელსაც იგი ჩემი კარნახით წერს ახლა. წერილი დაწვით. როცა გაიგებთ, რომ აღარა ვარ, და ეს მოხდება ძალიან მალე, ჩემი სულის მოსახსენიებელი წირვა შეუკვეთეთ და კვლავ გაიმეორეთ თქვენი აღთქმა, რადგან ძველებურად კვლავ მსურს, რომ მონაზვნად დარჩეთ. იმაზე ფიქრი კი, რომ თქვენ, ასეთი ახალგაზრდა, შეიძლება მშველელისა და შემწის გარეშე აღმოჩნდეთ, საბოლოოდ დაარღვევდა ჩემი ამქვეყნად არსებობის უკანასკნელი წუთების სიმშვიდეს".

მამაჩემი ხუთ იანვარს გარდაიცვალა, წინამძღვარი — იმავე თვის ბოლოს, დედაჩემი კი — მომდევნო შობის დღესასწაულზე.

დედა დე მონის ადგილი წმინდა დამ — ქრისტინამ დაიკავა. ოჰ! მოწყალეო ბატონო, როგორი განსხვავებაა მათ შორის! მე უკვე გიამბეთ ჩვენს პირველ წინამძღვარზე. ეს უკანასკნელი კი წვრილმანი, შეზღუდული და ცრუმორწმუნე ქალი იყო. ვითომ ახალ რელიგიურ მიმართულებებს მისდევდა და ღლენიადაგ სულპიციანტებთან[1] და იეზუიტებთან თათბირობდა. ეზიზღებოდა ყველა, ვინც კი მის წინამორბედ წინამძღვარს უყვარდა. მოვიდა თუ არა, მონასტერი მაშინვე არეულობით, მძულვარებით, ავი მითქმა-მოთქმით, ბრალდებებით, ცილისწამებებითა და დევნა-შევიწროვებით აავსო; გვაიძულებდნენ ისეთი თეოლოგიური საკითხების შესწავლას, რისიც არაფერი გაგვეგებოდა. ტვინში გვიჭედავდნენ უცხო რელიგიურ დოგმებს და უცნაურ წეს-ჩვეულებებს. დედა დე მონი გაურბოდა ყოველივე იმას,

---

1. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

რაც სხეულს არაქათს აცლის. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორჯერ იგვემა სხეული, პირველად ჩემი აღკვეცის წინადღეს და მეორედაც ამგვარივე მიზეზით. ამბობდა ხოლმე, მონანიების ასეთი გზა არავითარ ნაკლს არ შლის, მხოლოდ და მხოლოდ ამპარტავნობას აღვივებსო. მას სურდა მონაზვნებს თავი კარგად ეგრძნოთ, ჯანმრთელი სხეული და ნათელი გონება ჰქონოდათ. როგორც კი თავისი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა, მონაზვნებს მაშინვე ჯვალო და მათრახი ჩამოართვა და ჩაკეტა. ასევე აღკვეთა საჭმელში ნაცრის შერევა და შიშველ ფიცრებზე წოლა. ახალმა წინამძღვარმა კი, პირიქით, დააბრუნა ჯვალო და მათრახი, სამაგიეროდ, წაგვართვა ძველი და ახალი აღთქმა. ძველი დედოფლის ფავორიტები არასოდეს არიან ხოლმე ახალი დედოფლის წყალობით აღვსილნი. ახალი წინამძღვარიც ჩემდამი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, გულგრილად იყო განწყობილი, თუნდაც იმიტომ, რომ ძველ წინამძღვარს ნაზად ვუყვარდი; მეც აღარ დავახანე და ჩემი ბედი ჩემივე საქციელით გავიუარესე, რასაც თქვენ ალბათ, დაუფიქრებლობას მიაწერთ ანდა სიმტკიცეს, იმისდა მიხედვით, თუ რა თვალით შეხედავთ მას.

ჯერ ერთი, მე არ ვმალავდი იმ მწუხარებას, ჩემი პირველი წინამძღვრის დედა დე მონის გარდაცვალებამ რომ მომგვარა. როგორც კი საბაბი მომეცემოდა, ხოტბა-დიდებას ვასხამდი, ახალ წინამძღვარს ვადარებდი და, რა თქმა უნდა, არა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. აღვწერდი მონასტრის გასული წლების ცხოვრებას, ვიხსენებდი საზრდოს, რომლითაც მაშინ გვკვებავდნენ და ხმამაღლა ვამბობდი, თუ რა აღფრთოვანებული ვიყავით უწინდელი წინამძღვრის სიკეთით, მგრძნობიარობით და ხასიათით. მერე დავწვი ჩემი ჯვალო და მათრახიც გადავაგდე. ესეც არ ვიკმარე, ამხანაგები შევაგულიანე და ზოგიერთი ავიყოლიე კიდეც, მოვძებნე ჩემი ძველი და ახალი აღთქმა, ზურგი ვაქციე ყოველგვარ მიმდინარეობას, ჩემს თავს ქრისტიანს ვუწოდებდი და უარი ვთქვი იანსენისტის[1] თუ მოლინისტის[2] სახელის მიღებაზე.

მკაცრად შემოვიფარგლე მონასტრის წესდებით და არაფერში ვღალატობდი. აქედან გამომდინარე, არ ვემორჩილებოდი არავითარ დამატებით ბეგარას, რომელიც ძალზე მძიმე მეჩვენებოდა. ორღანთან მხოლოდ და მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ვჯდებოდი. მხოლოდ მომღერალთა გუნდში ვმღეროდი და არავის მივეცი ნება ბოროტად გამოეყენებინა ჩემი თავაზიანობა და ჩემი მუსიკალური ნიჭი, ყველას ავუკრძალე ყოველდღიურად გამოეფინათ ჩემი თავი. კვლავ და კვლავ გადავიკითხე მონასტრის ტიბიკონი და ზეპირად ვისწავლე. თუ რამე ისეთს მიბრძანებდნენ, რაც საკმაოდ ნათლად არ იქნებოდა ტიბიკონში გამოხატული, ან საერთოდ არ იქნებოდა, ანდა მისი საწინააღმდეგო აღმოჩნდებოდა, ბრძანების შესრულებაზე მტკიცე უარს ვაცხადებდი. ავიღებდი წიგნს და ვიტყოდი: "აი, ჩემს მიერ აღებული ვალდებულება. სხვა ვალდებულება ჩემს თავზე არამიღია".

ზოგიერთი მონაზონი ჩემმა გამოხდომამ მოხიბლა. უხუცეს დედათა ხელისუფლება ძალზე შეზღუდული აღმოჩნდა. მონებივით ვეღარ გვექცეოდნენ. ერთი დღეც არ გავიდოდა, რაიმე შემაშფოთებელი ამბავი არ მომხდარიყო. როგორც კი საჭირო გახდებოდა, მონაზვნები რჩევას ჩემგან იღებდნენ, დესპოტთაგან თავის დასაცავად წესდე-

-----------------------

1-2. კათოლიკური ეკლესიის რეფორმატორული მიმდინარეობა.

ბა ყოველთვის თან მქონდა. მალე მეამბოხის სახელი მოვიხვეჭე და, კაცმა რომ თქვას, რაღაცით მართლაც ვიყავი მეამბოხე. მონასტერში მოიწვიეს მთავარეპისკოპოსის უფროსი ვიკარიუსი და სასამართლოს წინაშე წარვსდექი, სადაც ჩემი თავიც დავიცავი და ჩემი ამხანაგებიც. ერთხელაც არ მომხდარა ვინმეს დამნაშავედ მივეჩნიე და [illegible] რადგან ჩემს მხარეს ბევრი დასაბუთებული გონიერულ[illegible] ბრალს ვერავინ დამდებდა დადებული აღთქმის დარღვევაში, რადგან ჩემს აღთქმას კეთილსინდისიერად ვასრულებდი. ხოლო ის მცირე წყალობები, რაც მთლიანად წინამძღვარზეა დამოკიდებული, არასოდეს მითხოვია. ნაცნობი არავინ მყავდა, სტუმრებს არ ვიღებდი და არც მისაღებში გამოვდიოდი.

სამაგიეროდ, ჩემი ჯვალო დავწვი, მათრახი გადავაგდე და სხვებსაც ვურჩიე, ასე მოქცეულიყვნენ. იანსენიზმზე, ან მოლინიზმზე არც კარგის გაგება მსურდა, არც ცუდისა. როცა მეკითხებოდნენ, ვემორჩილები თუ არა ტიბიკონს, ვპასუხობდი: ვემორჩილები ეკლესიას. როცა მეკითხებოდნენ, ვაღიარებდი თუ არა პაპის ბულას[1], ვპასუხობდი, რომ ვაღიარებდი სახარებას. ერთხელ ჩემი სენაკი გაჩხრიკეს. ძველი და ახალი აღთქმა იპოვეს. თავშეუკავებლობამ მძლია და რაღაცეები ვთქვი წინამძღვართან ზოგიერთი ფავორიტის საეჭვო ახლობლობაზე; მას ხანგრძლივი და ხშირი შეხვედრები ჰქონდა ერთ ახალგაზრდა სასულიერო პირთან და მე გამოვიცანი მიზეზიც და საბაბიც მათი შეხვედრებისა. მოკლედ, რას აღარ ვაკეთებდი, რომ შიში და ზიზღი დამემსახურებინა, დამეღუპა საკუთარი თავი და მივაღწიე კიდეც ამას. საეკლესიო ხელისუფლებაში ჩემზე უკვე აღარ ჩიოდნენ, უბრალოდ გადაწყვიტეს ჩემი აუტანელ პირობებში ჩაყენება. მონაზვნებს ჩემთან ურთიერთობა აუკრძალეს და მალე სრულიად მარტო დავრჩი. მეგობარი ცოტა მყავდა. წინამძღვარი მიხვდა, რომ ისინი გამონახავდნენ ჩემი ნახვის საშუალებას, ჩუმად დაარღვევდნენ მის ბრძანებას და თუ დღისით ვერ შეძლებდნენ, ღამით მაინც მოვიდოდნენ ჩემთან სასაუბროდ. დაგვიწყეს თვალთვალი. ხან ერთთან მხედავდნენ და ხან — მეორესთან. ამგვარმა წინდაუხედაობამ, უფალმა იცის, რა მითქმა-მოთქმა აღარ გამოიწვია და დასჯის ყველაზე არაადამიანურ ხერხს მიმართეს. რამდენიმე კვირის მანძილზე მაიძულებდნენ წირვის დროს სხვებისგან მოშორებით მუხლზე დაჩოქილი ვმდგარიყავი, მარტო პურსა და წყალზე მამყოფეს. სენაკში მამწყვდევდნენ. ყველაზე უფრო ჭუჭყიან საქმეს მაკეთებინებდნენ. ვინც ჩემს თანამონაწილედ ჩათვალეს, არც იმათ დაადგათ კარგი დღე. როცა რაიმე დანაშაულს ვერ მიპოვნიდნენ, თვითონვე იგონებდნენ. ერთდროულად მაძლევდნენ რამდენიმე ერთმანეთთან შეუთავსებელ ბრძანებას და მსჯიდნენ, რატომ ვერ ასრულებო. გადასწიეს წირვისა და ტრაპეზის დრო, აურ-დაურიეს მონასტრული ცხოვრების წესი და არც კი გამაფრთხილეს, რის გამო, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ყოველდღე დამნაშავე ვიყავი და, ცხადია, ყოველდღე მსჯიდნენ. გაბედულება და გამძლეობა კი მაქვს, მაგრამ აბა, რა გამძლეობა აიტანს ამგვარ ათვალწუნებას, მარტოობას და დევნა-შევიწროებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემი ტანჯვა თამაშად აქციეს, ორმოცდაათი გაერთიანებული

---

1. იგულისხმება პაპ კლიმენტი XI (1700-1721) ბულა "ნიგენიტუს", რომელშიც იანსენიზმი ერეტიკულ მიმდინარეობად არის გამოცხადებული, ეკლესია კი სახელმწიფოზე ზედამდგომელად.

ქალის გასართობად. შეუძლებელია, მათ ბოროტებაზე ყველაფერს დაწვრილებით ვერ გეტყვით. ხელს მიშლიდნენ ძილში, სიფხიზლეში, ლოცვაში. ერთ დღეს ანფოსიდან რაღაცას მპარავდნენ, მეორე დღეს გასაღები მეკარგებოდა, ანდა ლოცვანი; ხან კარი არ იკეტებოდა. არ მაცლიდნენ საქმის კარგად კეთებას. მიფუჭებდნენ იმას, რაც უკვე კარგად მქონდა გაკეთებული. ხან იმგვარ ნათქვამს და საქციელს მომაწერდნენ, რაც არც მითქვამს და არც ჩამიდენია. ყველაფერზე პასუხს მე მთხოვდნენ. და ჩემი ცხოვრება მართალი თუ გამოგონილი, დანაშაულის სასჯელთა უწყვეტ ჯაჭვად გადაიქცა.

ჩემმა ჯანმრთელობამ ამ უსასრულო, მკაცრ გამოცდას ვერ გაუძლო, სასოწარკვეთილება, სევდა და მელანქოლია მომერია. თავდაპირველად ძალას და სულის სიმშვიდეს საკურთხევლის წინ ვეძებდი, ისეც ხდებოდა, რომ ზოგჯერ ერთსაც ვპოულობდი და მეორესაც. სასოწარკვეთილებასა და მორჩილებას შორის დავლასლასებდი. ხან ვემორჩილებოდი ჩემს წილ სიმკაცრეს, ხანაც რაღაც გადამწყვეტი საშუალებების მოხმობით მისგან გათავისუფლება მინდოდა. მონასტრის ბაღში ღრმა ჭა იყო, რამდენჯერ მივსულვარ მასთან! რამდენჯერ ჩამიხედავს შიგ! იქვე ქვის სკამიც იდგა, რამდენჯერ ვმჯდარვარ იმ სკამზე და თავი ჭის კიდეზე ჩამომიდვია! ჩემი წადილით შეძრული რამდენჯერ წამოვმხტარვარ და გადამიწყვეტია ტანჯვისთვის ბოლო მომეღო! რამ მაიძულა თავის შეკავება? რატომ ვარჩევდი ტირილს, ყვირილს, მანდილის ფეხით თელვას, თმის გლეჯას და ფრჩხილებით სახის ხოკვას? და თუ უფალმა ღმერთმა თავის მოკვლა არ დამანება, მაშ, რატომ აღარ შეაჩერა ჩემსკენ მომართული სხვათა ბოროტება?

ახლა რასაც გეტყვით, შეიძლება ძალზე უცნაურადაც გეჩვენოთ, მაგრამ წმინდა სიმართლეა, ეჭვიც არ მეპარებოდა, ჭისკენ ჩემი ხშირი ლტოლვა შეუმჩნეველი არ რჩებოდა და ჩემი ულმობელი მტრები სიამოვნებას მიიღებდნენ თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს განზრახვას, გულის სიღრმეში რომ მიდუღდა, აღვასრულებდი. როცა კი ჭისკენ გავწევდი, ისინი განგებ იქაურობას შორდებოდნენ და სხვა მხარეს იყურებოდნენ. ბევრჯერ მინახავს ბაღში გამავალი კარი ღია იმ საათებში, როცა უკვე დაკეტილი უნდა ყოფილიყო და რაც ყველაზე უფრო უცნაურია, ეს ხდებოდა ზუსტად იმ დღეებში, როცა განსაკუთრებით მკაცრად მსჯიდნენ. ჩემს ადრინდელ დაუდგრომლობას უკვე ბოლო მოუღეს და ახლა შეშლილადღა მთვლიდნენ. მაგრამ, როგორც კი მივხვდი, ცხოვრებიდან განრიდების ამგვარ საშუალებას მხოლოდ ჩემი სასოწარკვეთილება მკარნახობდა, რომ მე თითქოს ვილაცის ხელს მივყავდი იმ ჭისკენ, ჩემს გადასაყლაპად ყოველთვის რომ მზად იყო, მეტი აღარც მიფიქრია ამაზე და ჩემი გონება ახლა სხვა გზის ძიებისკენ შებრუნდა: დერეფნებში გავლისას თვალით ფანჯრების სიმაღლეს ვზომავდი. ღამღამობით ჩემი წვივსაკრავების სიმაგრეს ვსინჯავდი უაზროდ. იყო დღეები, როცა უარი ვთქვი ჭამაზე. სატრაპეზოში ჩავდიოდი და კედელს მიყრდნობილი, მხრებჩამოყრილი, თვალდახუჭული ვიჯექი, ჩემს წილ ულუფას ხელსაც არ ვაკარებდი. მავიწყდებოდა საკუთარი თავი და იმასაც ველარ ვამჩნევდი, როგორ გადიოდნენ მონაზვნები გარეთ და როგორ ვრჩებოდი მარტო. ისინი განზრახ გადიოდნენ უხმაუროდ და მარტო მტოვებდნენ. მერე კი მსჯიდნენ ლოცვის გაცდენისთვის, მეტი რაღა გითხრათ. აი, ამგვარად შემაზიზღეს სიცოცხლის ხელყოფის ყველა საშუალება, რადგან ვხედავდი, რომ ისინი წინააღმდეგობას კი არ მიწევდნენ, მიბიძგებდ-

ნენ კიდეც თვითმკვლელობისკენ. როგორც ჩანს, ამ ქვეყნიდან წასვლა ძნელი ყოფილა, იქნებ სააქაოში აღარც ვიყავი? შეიძლება ადამიანი სიცოცხლეს იმისათვის ეთხოვება, რომ ახლობლებმა დასტირიონ, მაშინ კი, როცა დაინახავს, რომ მისი სიკვდილი ვინმეს ახარებს, სიცოცხლეს ებღაუჭება. გრძნობები, ჩვენს სულებს რომ შესძრავს, შეუთ-ელთებელია. მართლაცდა, ახლა რომ მახსენდება, ასე მგონია, ჩემს საქციელს ის საცოდავი ქალები განაგებდნენ, იქ, ჭასთან, შორიდან მითვალთვალებდნენ და ვითომ თვალს მარიდებდნენ: "ერთი ნაბიჯი გადმოდგით ჩემსკენ, ჩემი ხსნის უმცირესი სურვილი მაინც გაამჟღავნეთ, მოირბინეთ, ვითომ მაკავებთ და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ძალიან გვიან მოხვალთ". დიახ, ვცოცხლობდი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჩემი სიკვდილი უნდოდათ. ვნების მიყენების სიშმაგემ, ტანჯვა-წამებამ შეიძლება თავი მოაბეზროს კიდეც ამ სამყაროს, მაგრამ მონასტრებში ეს არ ბეზრდებათ.

აი, რა დღეში ვიყავი. და ყოველივე ამან ჩემი წარსულისკენ მიმაბრუნა. იმ აზრამდე მივედი, რომ აღთქმა უნდა დამერღვია, სხვა გამოსავალი არ მქონდა. თავდაპირველად ამაზე მხოლოდ სხვათა შორის ვფიქრობდი. მარტოსულს, ყველასგან მიტოვებულს, ვინმე შემწეს გარეშე, როგორ უნდა განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი, რომელიც სხვათა დახმარებითაც ძნელად იქნებოდა აღსასრულებელი? შემწე კი არავინ მყავდა! ამის გაფიქრებამ მაინც მანუგეშა. დავმშვიდდი და ცოტა გონება მოვიკრიბე. ახლა უკვე ზედმეტად თავს არ ვიტანჯავდი და უფრო მოთმინებით ვიტანდი ჩემს სატკივარს. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე, მაშინვე შეამჩნიეს და, დიდადაც გაოცდნენ. მათი გაბოროტებული გამოხდომები შემცირდა, ასე შედრკება ხოლმე ლაჩარი მტერი, აქამდე რომ ფეხდაფეხ მოგდევდათ, მერე კი ერთბაშად თქვენს წინ აღმოჩნდა. მითხარით ერთი, მოწყალეო ბატონო, რატომ ხდება, რომ უამრავ საბედისწერო გადაწყვეტილებათა შორის, სასოწარკვეთილი მონაზვნების თავში რომ გაიელვებს, ვერ შეხვდებით სურვილს მონასტრის გადაწვისა? მე ეს ერთხელაც არ მიფიქრია, ალბათ არც სხვებს უფიქრიათ, მაგრამ ამაზე ადვილი გასაკეთებელი ხომ არაფერია. დატოვე, მხოლოდ ქარიან ამინდში, სხვენზე, შეშის ფარდულში, ან რომელიმე დერეფანში ანთებული სანთელი და ყველაფერი თავისთავად მოხდება. ამგვარ დროს ხომ ყველა კარს აღებენ, და შაიდა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ! მაგრამ მონასტერში ხანძარი არასოდეს მომხდარა, იქნებ იმიტომ, რომ გვეშინია, საფრთხეში არ ჩავაგდოთ ჩვენი თავიც და ისინიც, ვინც გვიყვარს? ან არა გვსურს ის დახმარება, რომელსაც იმათ თანაბრად აღმოგვიჩენენ, ვინც გვძულს? ეს უკანასკნელი აზრი ძალზე დახვეწილია საიმისოდ, რომ ჭეშმარიტება იყოს.

როცა დიდი მიზანი გვიპყრობს, ეს მიზანი სრულიად გონივრული, უფრო მეტიც, შესაძლებელიც კი გვეჩვენება. ეს ვეება ძალას გვმატებს. ორ კვირაში ყველაფერი კარგად მოვიფიქრე. გონება კარგად მიჭრიდა და აი, რა გადავწყვიტე: ერთი რიგიანი წერილი უნდა დამეწერა და ვინმესთვის რჩევა მეთხოვა. ერთიც და მეორეც საფრთხისგან არ იყო დაზღვეული. მას მერე, რაც სრულიად გამოვიცვალე, უფრო მეტი ჩაძიებით დამიწყეს თვალთვალი, თვალს არ მაშორებდნენ. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი, მაშინვე ყველას რომ არ სცოდნოდა. ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყოდი, მაშინვე არ აეწონ-დაეწონათ.

კვლავ დაიწყეს ჩემთან დაახლოება, ცდილობდნენ ეთქმევინებინათ რამე, ხან რას მეკითხებოდნენ, ხან — რას, ვითომ გული შესტკიოდათ, მეგობრობას მეფიცებოდნენ, იგონებდნენ ჩემს წარსულს, ალერსიანად მტუქსავდნენ, ალბათ, ახლა მაინც უკეთესად მოიქცევიო და ტკბილ მომავალს მპირდებოდნენ. და მაინც, სხვადასხვა მიზეზით, დღისით თუ ღამით, ერთბაშად, უხმაუროდ, ჩემს სენაკში შემოდიოდნენ, სანოლის ფარდებს სწევდნენ, დამხედავდნენ და გადიოდნენ. ჩვეულებად მექცა გაუხდელს მძინებოდა, სხვა სურვილიც გამიჩნდა — აღსარების დაწერა მოვინდომე. ერთ დადგენილ დღეს წინამძღვართან მივედი, ქაღალდი და მელანი ვთხოვე, უარი არ უთქვამს და მომცა. უკვე აღსარების დღესაც ველოდი, ჩემს ჩანაფიქრს ამ ლოდინში ვაყალიბებდი. მოკლედ, უნდა აღმეწერა ყოველივე, რაც თქვენ მოგწერეთ, ოღონდ გამოგონილი გვარებით. მაგრამ სამი წინდაუხედავი ნაბიჯი გადავდგი: პირველი — წინამძღვარს ვუთხარი, ბევრი მაქვს საწერი-მეთქი და ამ საბაბით იმაზე მეტი ქაღალდი მოვითხოვე, ვიდრე ჩვეულებრივ დამჭირდებოდა. მეორე — ჩანაწერებმა გამიტაცეს და აღსარების წერა გადამავიწყდა. მესამე — აღსარებას მოუმზადებელი შევხვდი და საალსარებოში მცირე ხანს დავყავი. ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნათხოვარი ქაღალდი სულ სხვა რამისთვის გამოვიყენე. მაგრამ თუ აღსარება არ დამიწერია, რაც თავისთავად ასეც იყო, მაშინ ქაღალდი რაღაში გამოვიყენე?

არც კი ვიცოდი, თუ რა აურზაური გამოიწვია მონასტერში ამ ამბავმა, მაგრამ ვიგრძენი, რომ საშიში იყო ჩანაწერების ჩემთან დატოვება. ჯერ ლეიბში ან ბალიშში ჩაკერება მინდოდა, ან ტანსაცმელში დამალვა, ბაღში დამარხვა ან ცეცხლს მიცემა. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მეჩქარებოდა ყველაფრის დაწერა და ახლა როგორ გამიჭირდა, როცა უკვე დაიწერა. კონვერტი დავბეჭდე, უბეში შევინახე და როცა ზარებმა წირვაზე გვიხმო, დაბლა ჩავედი. მოუსვენრობა მომეძალა და ეს ყოველ მოძრაობაში მეტყობოდა. ერთი ახალგაზრდა მონაზონის წინ ვიჯექი. ვიცოდი ვუყვარდი, ერთი-ორჯერ შევამჩნიე რა სიბრალულით მიყურებდა და ცრემლებიც ერეოდა; არც დამლაპარაკებია, მაგრამ ცხადი იყო, იტანჯებოდა. ვიცოდი თავს საფრთხეში ვიგდებდი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ჩემი ჩანაწერები ამ მონაზვნისთვის მიმენდო. იმ დროს, როცა ყველა მონაზონი იჩოქებს, თავს ხრის და მერხებში აღარც კი ჩანს, უბიდან ჩუმად ამოვაცოცე ქაღალდები და ჩემს უკან დაჩოქილ იმ მონაზონს გადავაწოდე; მან გამომართვა და უბეში ჩამალა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ სამსახურთა შორის, რომელიც ჩემთვის გაუწევია; ამგვარი ცოტა როდი იყო. მრავალ დღეთა მანძილზე ისე, რომ საკუთარი თავი არ გაეცა, ათას წვრილმან დაბრკოლებას მარიდებდა, რომელთაც დანარჩენი მონაზვნები ჩემს წინააღმდეგ ქმნიდნენ, რათა ხელი შეეშალათ სამონაზვნო მოვალეობის აღსრულებაში და ამით ჩემი დასჯის უფლება მიეღოთ. კარზე მიკაკუნებდა, როცა გამოსვლის დრო იყო. აკეთებდა იმას, რასაც სხვები მიფუჭებდნენ. ჩემს მაგივრად მიდიოდა ზარების დასარეკად, ან მგალობელთა გუნდში სამღერლად, სად არ გამოჩნდებოდა ჩემს მაგივრად... და ყველაფერს ისე აკეთებდა, ზოგჯერ ვერც კი ვხვდებოდი.

მივხვდი, რომ სწორად მოვიქეცი. რა წამს კლიროსიდან გამოვედი, წინამძღვარმა მითხრა: "დაო სიუზანა, გამომყევით...". მე მორ-

ჩილად გავყევი. დერეფანში რომელიღაც კართან შეჩერდა და მითხრა: "აი, თქვენი სენაკი. თქვენს უწინდელ სენაკს დაა იერონიმა დაიკავებს...". შევედი. ისიც შემომყვა. ორივენი ჩუმად ვისხედით. მერე ერთი მონაზონი შემოვიდა, ტანსაცმელი შემოიტანა და სკამზე დამიწყო. "დაო სიუზანა, — მითხრა წინამძღვარმა, — გაიხადეთ [illegible] და ეს ჩაიცვით...". დავემორჩილე და მის თვალწინ ტანსაცმელი გამოვიცვალე. ჩემს ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. მონაზონი, რომელმაც ტანსაცმელი მოიტანა, კარს უკან იდგა. მერე კვლავ შემობრუნდა, ტანსაცმელი მოაგროვა და გავიდა. წინამძღვარიც მას გაჰყვა. ჩემთვის არაფერი უთქვამთ და არც მე მიკითხავს რამე. ამასობაში ჩემი ძველი სენაკის ყველა კუთხე-კუნჭული გადააქოთეს. ბალიშები და ლეიბები დაარღვიეს, მისწი-მოსწიეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. მოიარეს ყველა ადგილი, სადაც კი ფეხი დამიდგამს: საალმსარებლოში, ეკლესიაში, ბაღში, ჭასთან, ქვის სკამთან. მე მხოლოდ ზოგ რამეს მოვკარი თვალი, დანარჩენს კი გუმანით მივხვდი. ვერაფერი იპოვეს, მაგრამ ეჭვი ოდნავადაც არ დაცხრობიათ. მტკიცედ სჯეროდათ, რომ რაღაცას ვმალავდი. რამდენიმე დღე მითვალთვალეს: კვალდაკვალ დამდევდნენ, ყველაფერს ამოწმებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს წინამძღვარმა, ალბათ იფიქრა სიმართლეს მისგანვე თუ გავიგებო, ერთ დღეს ჩემს სენაკში შემოვიდა და მითხრა:

"— დაო სიუზანა, თქვენ ბევრი ცუდი ჩვევა გაქვთ, მაგრამ სიცრუე არ გიყვართ. სიმართლე მითხარით, რაში გამოიყენეთ ის ქაღალდები, მე რომ მოგეცით?

— ქალბატონო, აკი მოგახსენეთ.

— შეუძლებელია. ქაღალდი ბევრი მოგეცით, საალმსარებლოში კი ერთი წუთი დაჰყავით.

— მართალია.

— მაშ, რაღაში გამოიყენეთ?

— უკვე გითხარით.

— კეთილი! დაიფიცეთ წმინდა მორჩილების აღთქმა, რომელიც უფალს აღუთქვით, რომ არ ცრუობთ და დაგიჯერებთ.

— ქალბატონო, უფლება არა გაქვთ ასეთი წვრილმანის გამო ფიცი ჩამომართვათ და არც მე მაქვს უფლება დაფიცებისა. არ დავიფიცებ!

— მატყუებთ, დაო სიუზანა და თვითონაც არ იცით, რა დღეში იგდებთ თავს. რა უყავით ქაღალდი, რომელიც ჩემგან მიიღეთ?

— უკვე გითხარით.

— სად არის?

— აღარა მაქვს.

— რა უქენით?

— ის, რასაც ჩვეულებრივ უკეთებენ, როცა ამგვარ ჩანაწერებს უსარგებლოდ მიიჩნევენ, გადავყარე!

— დაიფიცეთ წმინდა მორჩილების აღთქმა, რომ მთელი ქაღალდი აღსარების დასაწერად გამოიყენეთ და აღარა გაქვთ.

— ქალბატონო, გიმეორებთ, ეს ძალიან უმნიშვნელო საკითხია და არ დავიფიცებ.

— დაიფიცეთ, — მითხრა მან, — ანდა...

— არ დავიფიცებ.

— არ დაიფიცებთ?

— არა, ქალბატონო.

— მაშინ დამნაშავე ხართ.

— რაში შეიძლება ვიყო დამნაშავე?

— ყველაფერში. არ არსებობს ისეთი რამ, თქვენ რომ არ ჩაიდინოთ. განზრახ აქებდით ძველ წინამძღვარს, რომ მე დაგემცირებინეთ. გძულდათ ის წესები და ჩვეულებები, მან რომ გააუქმა, და მე კი საჭიროდ ჩავთვალე მათი აღდგენა. თქვენ აამბოხეთ დათა კრებული. დაარღვიეთ წესდება. არ ასრულებთ არც ერთ მოვალეობას. იძულებული გამხადეთ დამესაჯეთ და დამესაჯა ყველა, ვინც აცდუნეთ, ეს უკანასკნელი კი ყველაზე მძიმეა ჩემთვის. შემეძლო თქვენს წინააღმდეგ მიმეღო უფრო მკაცრი ზომები, მაგრამ გზოგავდით. მეგონა, თავადვე შეიგნებდით დანაშაულს. გააკეთებდით იმას, რასაც თქვენგან თქვენი მდგომარეობა მოითხოვდა და დამემორჩილებოდით. ეს არ გააკეთეთ. თქვენს გონებაში რაღაც უკეთური ხდება. რაღაც განზრახვა გიტრიალებთ. მონასტრის ინტერესები იძულებულს მხდის ყველაფერი ვიცოდე და შევცოდინება კიდეც. დაო სიუზანა, სიმართლე მითხარით!

— უკვე გითხარით.

— ახლა წავალ. მაგრამ გეშინოდეთ ჩემი დაბრუნებისა... ერთ წუთს კიდევ გაძლევთ, გადაწყვიტეთ... ან ქაღალდები, თუკი ისევ გაქვთ...

— აღარა მაქვს.

— ანდა ფიცი, რომ მასში სხვა არა ყოფილა რა, გარდა თქვენი აღსარებისა.

— ფიცის მოცემა არ შემიძლია".

ცოტა ხანს ჩუმად იყო. მერე გავიდა და ოთხ ფავორიტ მონაზონთან ერთად დაბრუნდა, რომელთაც შეშლილი და მძვინვარე სახეები ჰქონდათ. მათ ფერხთით დავემხე და ვევედრებოდი, რომ მოწყალება მოეღოთ. ისინი კი ერთხმად გაჰკიოდნენ: "არავითარი მოწყალება, ქალბატონო, გული არ მოგილბოთ, ან ქაღალდები მოგვცეს, ანდა მიწისქვეშა საპყრობილეში ჩავსვამთ...". ხან ერთს ვეხვეოდი მუხლებზე, ხან — მეორეს, ვევედრებოდი, სახელებს ვეძახდი: "დაო აგნესა, დაო ჟიული, რა დაგიშავეთ? რატომ აბოროტებთ ჩემს წინამძღვარს? განა მე ასე გექცეოდით? რამდენჯერ გამოგექომაგეთ? რატომ აღარ გახსენდებათ? თანაც მაშინ დამნაშავენი იყავით, მე კი არა ვარ დამნაშავე, არა".

წინამძღვარი გაშეშებული დამცქეროდა და ამბობდა: "— მომეცით ქაღალდები, უბედურო, ანდა გამოტყდით, რა დაწერეთ.

— ქალბატონო, — ეუბნებოდნენ მონაზვნები, — ნუღა ეხვეწებით. რატომ ხართ ასეთი კეთილი. ამას არ იცნობთ. ეს დაუმორჩილებელი სულია, ხედავთ, თავადვე გიბიძგებთ. მით უარესი მისთვის.

— ძვირფასო დედაო, — მოვთქვამდი მე, — ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც შეურაცხყოფდა ან უფალს, ანდა ადამიანებს, გეფიცებით.

— ეს ის ფიცი არ არის, თქვენგან რომ მოვითხოვ.

— ალბათ უფროს ვიკარიუსს, ან მთავარეპისკოპოსს გაუგზავნა თქვენზე საჩივარი. უფალმა იცის, როგორ დახატა მთელი მონასტერი. ცუდს ადვილად იჯერებენ. ქალბატონო, გააუვნებლეთ ეს გომბიო, თუ არ გინდათ, რომ ყველა დაგვასნებოვნოს.

წინამძღვარმა კი დაუმატა:

— დაო სიუზანა, ხედავთ?..

უცბად წამოვდექი და ვუთხარი:

— ყველაფერს ვხედავ, ქალბატონო, ვხედავ, რომ ვიღუპები, მაგრამ სულერთი არ არის, როდის მოხდება, ერთი წუთით გვიან თუ ერთი წუთით ადრე? გააკეთეთ, რაც გნებავთ. ყური მიაპყარით ჩემთ მრისხანებას. დააგვირგვინეთ თქვენი უსამართლობა...".

და ხელები გავუწოდე. მონაზვნებმა მაშინვე ხელი მტაცეს, მონაზვნო მანდილი ჩამომაგლიჯეს, სამოსელი უსირცხვილოდ შემომარცვეს, მკერდზე უწინდელი წინამძღვრის პაწია პორტრეტი მიპოვნეს, ჩამომგლიჯეს და რამდენიც არ ვეხვეწე, უკანასკნელად ვეამბორები-მეთქი, არ დამანებეს. პერანგი მომიგდეს, წინდები გამხადეს, ტომარა ჩამომაცვეს, ფეხშიშველა და თავშიშველა გამატარეს დერეფანში. ვკიოდი, მშველელს ვუხმობდი, მაგრამ ზარები ხმამაღლა, გამაფრთხილებლად რეკდნენ, არავინ გაბედოთ გამოჩენაო. მიწაზე დავემხე, ზეცას ვევედრებოდი დახმარებას, ხელ-ფეხი უკვე დაკაწრული და გასისხლიანებული მქონდა. ისეთ დღეში ვიყავი, ქვის გულიც კი მოლბებოდა. ამასობაში უზარმაზარი გასაღებით მიწისქვეშეთის ბნელი და ვიწრო კარი გააღეს და სინესტისაგან ნახევრად შეჭმულ ჭილობზე დამაგდეს. იქ, ერთი ნაჭერი ხმიადი, ტოლჩა წყალი და საჭიროების ტლანქი ჭურჭელი დამხვდა. ჭილოფის ერთი დახვეული ბოლო ბალიშის მაგივრობას მიწევდა. ქვის ლოდზე თავის ქალა და ხის ჯვარცმა იდო. როგორც კი ფეხი შევდგი, თავის მოკვლა მინდოდა. ყელში ხელები წავიჭირე, კბილებით სამოსელი ჩამოვიფხრიწე და საშინელი კივილი მოვრთე. გარეული მხეცივით ვღრიალებდი, კედელს თავს ვურტყამდი. ერთიანად სისხლით ვიყავი მოთხვრილი. მინდოდა ქანცი გამომლეოდა. და ასეც მოხდა. ამ ყოფაში გავატარე სამი დღე. მეგონა ვეღარასოდეს ვიხილავდი დღის სინათლეს. ყოველ დილით რომელიმე ჩემი მწვალებელი გამოჩნდებოდა და მეტყოდა:

"— დაემორჩილეთ წინამძღვარს და აქედან გახვალთ.

— არაფერი დამიშავებია, არც არაფერი ვიცი, ჩემგან რა უნდათ? ო, დაო კლემანს, ღმერთი ხომ არსებობს...".

მესამე დღეს, საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, კარი რომ გაიღო და ისევ ის მონაზვნები შემოვიდნენ, აქ რომ მომიყვანეს. წინამძღვრის სიკეთე ქებით მოიხსენიეს და მაუწყეს, რომ მან ყველაფერი მომიტევა და მანთავისუფლებდნენ.

"— უკვე გვიანია, — ვუთხარი მე, — თავი დამანებეთ, აქ მინდა მოვკვდე".

მათ მაინც ამაყენეს და წამათრიეს. შემიყვანეს ჩემს სენაკში, სადაც წინამძღვარი დამხვდა:

"— უფალს დავეკითხე, როგორ მოგქცეოდით. იგი ჩემს გულს შეეხო. მისი ნებაა მოგიტევოთ და მე დავემორჩილე. დაიჩოქეთ და შესთხოვეთ პატიება.

დავიჩოქე და ვთქვი:

— უფალო, ისე გევედრები, მომიტევო ცოდვანი ჩემნი, როგორც შენ ივედრებოდი, როცა ჯვარს იყავი გაკრული.

— რა ამპარტავნობაა! — იყვირეს მონაზვნებმა, — იესო ქრისტეს უთანაბრებს თავს, ჩვენ კი იუდეველებს გვადარებს, ქრისტეს ჯვარზე გამკვრელებს.

— მე კი ნუ მიყვირით, განსაჯეთ თავი თქვენი და თავად მიხვდებით.

— ეს არა კმარა, — მითხრა წინამძღვარმა, — შემომფიცეთ წმინდა მორჩილების აღთქმით, რომ, რაც მოხდა, არასოდეს არავის უამბობთ.

— რაკი ფიცს მთხოვთ, ეტყობა, საძაგელი რამ ჩაიდინეთ. გეფიცებით, საკუთარი სინდისის გარდა პასუხს არავინ მოგთხოვთ.

— იფიცებთ?

— დიახ, ვიფიცებ!"

ამის მერე გამხადეს ტანსაცმელი, დასჯის წინ რომ ჩამაცვეს და ჩემი სამონაზვნო კაბის ჩაცმის ნება დამრთეს.

ბიბლიოთეკა

მიწისქვეშა ნესტიან საკანში გავცივდი. ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მთელი სხეული მტეხდა. დღეები ისე გადიოდა, მხოლოდ ორიოდე წვეთ წყალსა და ნამცეცა პურზე გადავდიოდი. მეგონა, ჩემი მაშინდელი წამება უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ ამ ხანმოკლე, სასტიკმა ელდამ დამარწმუნა, რა დიდი ძალა ჰქონია ახალგაზრდა სხეულს. საკმაოდ მალე მოვღონიერდი. როცა გარეთ გამოსვლა დავიწყე, მივხვდი, თურმე ყველა მონაზონს ჰგონებია, რომ სნეულება გადავიტანე. ისევ დავიწყე წირვა-ლოცვაზე სიარული, ეკლესიაში კვლავ კუთვნილი ადგილი დავიკავე. არ დამვიწყებია არც ჩემი ჩანაწერები, არც ის ახალგაზრდა ქმნილება, რომელსაც ისინი მივანდე. დარწმუნებული ვიყავი, ბოროტად არ გამოიყენებდა ჩემს ნდობას, მაგრამ ისიც მესმოდა, რომ მას არ შეეძლო მშვიდად შეენახა ეს ქაღალდები. საპატიმროდან გამოსვლის ცოტა ხნის მერე, ზუსტად იმ დროს, იმ ადგილას, სადაც ქაღალდები გადავეცი, ანუ როცა დავიჩოქეთ, თავები დავხარეთ და ჩვენს მერხებში გავუჩინარდით, ვიგრძენი, ვიღაცა ფრთხილად მეწეოდა კაბაზე. გავიწოდე ხელი და შიგ ქაღალდი ჩამიდეს. ქაღალდზე ეწერა: "როგორ ვწუხდი თქვენზე! რა უნდა ვუყო ამ საშინელ ქაღალდებს?..". წერილი წავიკითხე, დავაგორგლე და გადავყლაპე. ეს მოხდა დიდმარხვის წინ. დგებოდა დრო, როცა საეკლესიო გალობის მოსმენის სურვილი ლონშანში პარიზის ყველა ფენის საზოგადოებას იზიდავს. მშვენიერი ხმა მქონდა და მიუხედავად ამდენი ტანჯვა-წამებისა, არც ისე შესამჩნევად დამზიანებია. არსად ისე არ აფასებენ წვრილმან სარგებლობას, როგორც მონასტერში. ახლა ცოტა უფრო ფრთხილად მექცეოდნენ, მეტი თავისუფლება მოვიპოვე. მონაზვნებს, რომელთაც სიმღერას ვასწავლიდი, უკვე დაუსჯელად შეეძლოთ ჩემთან ურთიერთობა, ის მონაზონიც, რომელსაც ჩემი ქაღალდები ვანდე, მათ შორის იყო. დასვენების საათებს ბაღში ვატარებდით. ერთხელ განზე გავიხმე და ვაიძულე ემღერა. ვიდრე ის მღეროდა, ვუთხარი:

"— ერისკაცობაში ბევრი ნაცნობი გყავთ. მე კი არავის ვიცნობ. არ მინდა სახელი გაგიტეხოთ, უწინ სიკვდილს ვირჩევდი, ვიდრე რამე უსიამოვნება შეგხვდეთ ჩემთვის გაწეული სამსახურისათვის. ძვირფასო მეგობარო, შეიძლება თავი დაიღუპოთ, მე კი, ვიცი, ვერ გადამარჩენთ. და თუნდაც თქვენმა დაღუპვამ გადამარჩინოს, ამ ფასად ნაყიდ თავისუფლებას არაფრით დავთანხმდები.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, — მითხრა მან, — რისი გაკეთებაა საჭირო?

— ამ ქაღალდებმა რომელიმე გამოცდილ ადვოკატამდე უნდა მიაღწიოს. ოღონდ არ უნდა იცოდეს, რომელი მონასტრიდან გაუგზავნეს. მერე კი პასუხი უნდა მივიღოთ, რომელსაც ან ეკლესიაში გადმომცემთ ან სადმე სხვაგან.

— მართლა, რა უყავით ჩემი წერილი? — მკითხა მან.

— მშვიდად იყავით, გადავყლაპე.

— თქვენც მშვიდად იყავით, ვიფიქრებ თქვენს საქმეზე!"

ალბათ მიხვდებით, მოწყალეო ბატონო, რომ ვიდრე ის ლაპარაკობდა, მე ვმღეროდი, ხოლო ვიდრე ვპასუხობდი, ის მღეროდა, ასე რომ ჩვენი საუბარი და სიმღერა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ეს გოგონა კვლავ მონასტერშია და მისი ბედი, მოწყალეო ბატონო, თქვენს ხელთაა. ვინმემ თუ გაიგო, რაც ჩემი გულისთვის გააკეთა, არ არსებობს ისეთი წამება, მას რომ არ მიაყენონ. მე არ მინდა მის წინაშეც გაიღოს მიწისქვეშა საპყრობილის კარი. ამას მირჩევნია თვითონ დავბრუნდე იქ. მაშ, ცეცხლს მიეცით ეს წერილი, მოწყალეო ბატონო. თუ ამ წერილს იმგვარი ინტერესით წაიკითხავთ, რომ ჩემი ბედით დაინტერესდებით, მაშინ უფრო არ არის წერილის შენახვა აუცილებელი.

აი, რას გწერდით მაშინ. მაგრამ ვაი რომ, ახლა იგი აღარ არის ამქვეყნად და სრულიად მარტო დავრჩი...

მან არ დააყოვნა აღთქმული სიტყვის შესრულება და ჩვენი ჩვეული ხერხით მაუწყა. დადგა ვნების კვირა. საღამოს წირვის მოსასმენად ბევრი ხალხი მოვიდა. დიდებულად ვგალობდი. საზოგადოებამ ისეთი ხმაურიანი, ეკლესიისთვის შეუსაბამო ტაშისცემა ატეხა, როგორითაც მსახიობებს აჯილდოვებს თქვენი თეატრალური დარბაზი, და როგორიც არ უნდა ისმოდეს უფალი ღმერთის ტაძრებში, განსაკუთრებით კი იმ საზეიმო და პირქუშ დღეებში, კაცთა მოდგმის ცოდვათა გამოსასყიდად ჯვარზე გაკრული მისი შვილის ხსოვნისთვის რომ ეწყობა. ჩემი ახალგაზრდა შეგირდები კარგად იყვნენ მომზადებულნი. ზოგიერთს მშვენიერი ხმაც ჰქონდა. მომეჩვენა, რომ დამსწრენი სიამოვნებით უსმენდნენ, ხოლო მონაზვნები ჩემი გულმოდგინების დაგვირგვინებით კმაყოფილნი იყვნენ.

როგორც მოგახსენეთ, მოწყალეო ბატონო, ხუთშაბათობით, ზიარებისას წმინდა ნაწილებს სანაწილედან ამოასვენებენ და განსაკუთრებულ, საამდღეოდ მოწყობილ საკურთხეველზე დაასვენებენ ხოლმე, სადაც პარასკევ დილამდე რჩება. ამ დროს მონაზვნებმა, ზოგმა სათითაოდ, ზოგმაც ორ-ორმა, წმინდა ნაწილებს ზიარებისას უნდა სცეს თაყვანი. გამოაკრავენ განრიგს, რომელშიც ყოველი მონაზვნის თაყვანისცემის დრო აღინიშნება. ო, როგორ გამიხარდა, როცა ამოვიკითხე, რომ მონაზონ სიუზანასა და მონაზონ ურსულასთვის განკუთვნილი დრო ღამის ორიდან სამ საათამდე იყო აღნიშნული. დანიშნულ დროზე საკურთხეველთან მივედი. ჩემი მეგობარი იქ დამხვდა. საკურთხევლის საფეხურთან ერთმანეთის გვერდით ჩავიჩოქეთ, მონანიების ნიშნად პირქვე დავემხეთ და ნახევარი საათი ვადიდებდით უფალსა ჩვენსა. ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა ხელი გამომიწოდა, მომიჭირა და მითხრა:

"— იქნებ პირისპირ ასე ხანგრძლივად და თავისუფლად ვეღარ შევხვდეთ. უფალმა იცის, რა დღეშიც ვართ ამ საპყრობილეში და მოგვიტევებს თუ მისთვის კუთვნილ ცოტაოდენ დროს წავართმევთ. მე არ წამიკითხავს თქვენი ჩანაწერები, მაგრამ მისი შინაარსის მიხვედრა არ არის ძნელი. მალე პასუხსაც მივიღებ. თუ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნება და აღთქმის დარღვევის უფლებას მოიპოვებთ, განა უმჯობესი არ არის, ისეთ ვინმესგან მიიღოთ რჩევა, ვინც კანონები კარგად იცის?

— მართალი ბრძანდებით.

— ალბათ, თავისუფლებაც დაგჭირდებათ.

— მართალი ბრძანდებით.

— საამისოდ ახლანდელი მდგომარეობა უნდა გამოიყენოთ.

— ამაზე ვიფიქრე.

— შეძლებთ ამას?

— ალბათ.

— ერთიც: საქმის გარჩევა თუ დაიწყება, მონაზონთა თემის მთელი მძვინვარება დაგატყდებათ თავს. გიფიქრიათ იმაზე, რაც გელით?

— იმაზე მეტი რაღა უნდა იყოს, რაც უკვე გადავიტანე.

— არაფერი ვიცოდი.

— მომიტევეთ. ამჯერად კაციშვილი ვერ გაბედავს ხელჰყოს ჩემი თავისუფლება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კანონის მფარველობის ქვეშ ვიქნები: ველარ დამმალავენ. საერო ხელისუფლებასა და მონასტერს შორის აღმოვჩნდები. შემეძლება თავისუფალი ლაპარაკი და თავისუფალი ჩივილი, მოწმეებად ყველას დაგიძახებთ. ვერავინ გაბედავს ზიანის მოყენებას, თუ შევძლებ იმ წამების გამხელას, მე რომ გადავიტანე; ჩემს მტრებს შეეშინდებათ, რომ საქმე უცბად არ შეტრიალდეს. უკეთესიც კი იქნება თუ ისევ ცუდად მომექცევიან, მაგრამ ამას ველარ გაბედავენ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახლა სხვანაირად მოიქცევიან. დამიწყებენ მტკიცებას, რომ ზიანს ვაყენებ ჩემს თავსაც და მონასტერსაც. ესეც იცოდეთ, ტკბილი სიტყვით და დაპირებებით რომ ვერას გახდებიან, მუქარაზე გადავლენ, მაგრამ ძალადობას მაინც ვერ გაბედავენ.

— როცა ვხედავ, რა თავისუფლად და ბეჯითად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, ველარ ვიჯერებ, ამოდენა ზიზლი თუ გაქვთ მონაზვნობისა.

— მაინც სიძულვილი მძლევს. ეს სიძულვილი ჩემთან ერთად დაიბადა და არც არასოდეს მიმატოვებს. სულერთია, ერთ მშვენიერ დღეს მაინც აღმოჩნდება, რომ ცუდი მონაზონი ვარ. აი, ეს წუთი არ უნდა დადგეს.

—კი მაგრამ, თქვენდა საუბედუროდ, თუ მარცხი მოგივიდათ?

— თუ დავმარცხდები, სხვა მონასტერში გადაყვანას მოვითხოვ ან აქვე მოვიკლავ თავს.

— ვიდრე სიკვდილი მოვა, დიდხანს მოგიწევთ ტანჯვა. ოჰ! ჩემო მეგობარო, თქვენი გადაწყვეტილება მაშინებს. მაშინებს ისიც, რომ აღთქმას დაარღვევთ, და ისიც, ვაითუ ვერ დაარღვიოთ. თუ თქვენსას გაიტანთ, მაშინ რა მოგივათ? რა უნდა გააკეთოთ ცხოვრებაში? საამოვნო გარეგნობა გაქვთ, ჭკვიანი ბრძანდებით, ნიჭიერი, მაგრამ ამბობენ, ეს არაფრად ღირს სათნოებასთან ერთადო. მე კი ვიცი, რომ თქვენ სწორედ სათნოებას არ უღალატებთ.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ სათნოებაზე რაც ბრძანეთ, ვერ დაგეთანხმებით. ამისი იმედი უფრო მაქვს, რომ ის, რაც ნაკლებად გვხდება ადამიანებში, უფრო მეტად იმსახურებს პატივისცემას.

— ქებას ყველა ასხამს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ უნდათ.

— ეს არის მხოლოდ, რაც მამხნევებს და მაიმედებს. რა ბრალიც უნდა დამდონ, ჩემი სული უმწიკვლო რჩება. იმას მაინც ვერავინ იტყვის, როგორც სხვებზე ამბობენ, რომ მონაზვნის სამოსელს უწესო ვნებათა გამო მინდა განვშორდეო. კაცს ვერ ვხედავ. კაციშვილს არ ვიცნობ. მე მხოლოდ თავისუფლებას ვითხოვ, რადგან ჩემი

თავისუფლების დათრგუნვა ჩემი სურვილის გარეშე მოხდა. განა არ წაგიკითხავთ ჩემი ჩანაწერები?

— არა. პაკეტი კი გავხსენი, რადგან ზედ მისამართი არ ეწერა, მეგონა მე მეკუთვნოდა, მაგრამ პირველივე სტრიქონებმა გამომაფხიზლეს და აღარ წავიკითხე. რა ბედნიერებაა, რომ მე გადმოგეცით ჩემი ჩანაწერები! წუთიც და თქვენთან იპოვნიდნენ... ჩვენი [illegible]იც დასასრულს უახლოვდება. ისევ მოვიყაროთ მუხლი, რათა მათ, ჩვენს მერე რომ მოვლენ სალოცავად, იმგვარად დავხვდეთ, როგორადაც მოგვეთხოვება. შევსთხოვეთ უფალს, მოგიტევოთ ცოდვანი თქვენნი და გაჩვენოთ გზა ჭეშმარიტებისა. მე კი ჩემს ლოცვასა და სულისთქმას, თქვენსას შევუერთებ."

სულში ცოტა სიმსუბუქე ვიგრძენი. ჩემი მეგობარი დაჩოქილი ლოცულობდა. მე განრთხმული ვიყავი. შუბლი საკურთხევლის ბოლო საფეხურზე მედო. ხელები წინ მქონდა განვდილი და ზედა საფეხურს ვეხებოდი. არა მგონია ოდესმე ასე გულმხურვალედ და წრფელად მიმემართოს ღმერთისათვის. გული ძალუმად მიცემდა. თითქოს ყველაფერი დამავიწყდა, რაც გარშემო ხდება. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ამ ყოფაში, ან რამდენ ხანს შემეძლო კიდევ ვყოფილიყავი, ერთი კია, სულის შემძვრელი სანახაობა უნდა ყოფილიყო ჩემი მეგობრისთვის და იმ ორი მონაზვნისთვის, ჩვენს შემცვლელად რომ მოვიდნენ. როცა ავდექი, ასე მეგონა, მარტო ვიყავი. მაგრამ შევცდი. სამივენი ზურგს უკან მედგნენ და ცრემლებს ღვრიდნენ. ვერ გაებედათ ხელის შეშლა. ელოდნენ, თავადვე როდის გამოვიდოდი ამ აღგზნებიდან. როცა მათკენ შევბრუნდი, ჩემი სახე ალბათ რაღაც განსაკუთრებულს გამოხატავდა თუ იმ შთაბეჭდილებით განვსჯით, რაც მათზე მოვახდინე და იმითაც, რაც მათ მითხრეს. თქმით კი ის მითხრეს, რომ თურმე ჩვენს წინანდელ წინამძღვარს ვგავდი და თანაც იმ წუთებში, როცა ჩვენ ყველას გვანუგეშებდა, და რომ ახლაც ჩემმა სახემ იგივე სულის სიმშვიდე მოჰგვარათ, როგორიც მისგან მოჰგვრიათ. უმცირესი მიდრეკილებაც რომ მქონოდა ფარისევლობისა, ფანატიზმისა, ან სურვილი მონასტერში რაიმე როლის თამაშისა, ეჭვიც არ მეპარება, ამ როლს დიდებულად შევასრულებდი. ჩემი სული ადვილად აღიგზნება, გული სიკეთისკენ მიხმობს. იმ კეთილ წინამძღვარსაც ასჯერ მაინც დავუკოცნივარ და უთქვამს, რომ არავის ისე არ უყვარს ღმერთი, როგორც შენო; რომ მაქვს დიდი და სათნო გული, დანარჩენებს კი ქვის გული უდევთო. და მართლაც, უჩვეულო ძალით გადმომედებოდა ხოლმე მისი მგზნებარება. როცა ის ხმამაღლა ლოცულობდა, ზოგჯერ ისეც მომხდარა, მე ამიტაცია სიტყვა, მივყოლივარ მის ფიქრთა დინებას და თითქოს ზეციური შთაგონებით მითქვამს სწორედ ის, რაც მას უნდა ეთქვა. დანარჩენები მუდამ ჩუმად უსმენდნენ, ანდა მის სიტყვებს იმეორებდნენ, მე კი გზადაგზა ვაწყვეტინებდი, წინ ვუსწრებდი ანდა მასთან ერთად ვლაპარაკობდი. კარგა ხანს შემომრჩა ეს ძალუმი შთაბეჭდილება. და იქნებ რაღაცა ნაწილი ჩემი სულისა მასშიც გადავიდა, რადგან მაშინაც, როცა სხვა მონაზვნები ესაუბრებოდნენ, ეტყობოდა, ის მე მელაპარაკებოდა. მაგრამ მე მაინც არ ვიყავი მონაზონი და ყოველივე ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა... ჩვენი ლოცვა დამთავრდა. ადგილი ახალმოსულთ დავუთმეთ. ვიდრე გავიყრებოდით, მე და ჩემი ახალგაზრდა მეგობარი ერთმანეთს ნაზად გადავეხვიეთ.

საკურთხეველთან მომხდარმა ამბავმა მონასტერში ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ამას დავუმატოთ დიდი პარასკევის საღამოს წირვის წარმატებაც: მე ვგალობდი, ორღანზე ვუკრავდი და ისინიც ტაშით მაჯილდოვებდნენ. ო, მონაზვნების მოკლე ჭკუავ! მონაზონთა თემთან მშვიდობიანობის აღსადგენად თითი თითზე არ დამიკარებია, მაგრამ უკვე ყველანი მელაციცებოდნენ, მათ შორის წინამძღვარი იყო პირველი. ვიღაც ერისქალებმა ჩემი გაცნობაც მოინდომეს. ეს ჩემს განზრახვას მიესადაგებოდა და უარი არ მითქვამს. ჩემთან იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე, ქალბატონი დე სიუბიზი და სხვა პატივსაცემი გვამები: ბერები, მღვდლები, სამხედროები, მოსამართლენი, ღვთისმოსავნი, მაღალი საზოგადოების ქალბატონები. მათ შორის ნახავდით ჩიტირეკიებსაც, "წითელ ქუსლიანებს" რომ ეძახით, მაგრამ ყველასგან მალე გავინთავისუფლე თავი. მხოლოდ იმგვარ ნაცნობობას ვაბამდი, რომლის გამოც საყვედურს ვერავინ მეტყოდა. დანარჩენები კი ჩვენს მონაზვნებს გადავულოცე.

დამავიწყდა მეთქვა, პირველი წყალობა ჩემთვის ის იყო, რომ კვლავ ჩემს სენაკში შემასახლეს. გადავწყვიტე ჩვენი უწინდელი წინამძღვრის მინიატურული პორტრეტიც მეთხოვა. უარის თქმა ვერ გაბედეს. სურათმა ჩემს მკერდზე კვლავ თავისი ადგილი ჰპოვა და ვიდრე ცოცხალი ვიქნები, აქ დარჩება. ყოველ დილით, უპირველესად იმას ვაკეთებ, რომ უფალს ვავედრებ ჩემს ცოდვილ სულს და მერე სურათს ვკოცნი. როცა მინდა ვილოცო, მაგრამ სულში სიცივეს ვგრძნობ, სურათს მკერდიდან ვიხსნი ჩემს წინ ვდებ და იგი ხდება ჩემი შთაგონების წყარო. რა სამწუხაროა, იმ წმინდანებს რომ არ ვიცნობდით, რომელთა სახეებსაც თაყვანისსაცემად აფენენ. ასე რომ იყოს, უფრო მეტი ძალა ექნებოდათ ჩვენზე და, მათ წინაშე მდგომნი, ან მიწაზე განრთხმულნი ისე ცივნი აღარ ვიქნებოდით.

ჩემს ჩანაწერებზე, ბოლოს და ბოლოს, პასუხი მივიღე, რომელიც ვინმე ბატონმა მანურიმ[1] გამომიგზავნა. პასუხი არცთუ სასიხარულო იყო. ვიდრე ჩემს ამბავზე თავის აზრს გამოთქვამდა, მოითხოვდა ათასგვარ განმარტებას, რომელსაც ისე ვერ ვაცნობებდი თუ პირისპირ არ შემხვდებოდა. სხვა რა გზა მქონდა, ვინაობა გავუმხილე და ლონშანში მოვიწვიე. ამგვარ ბატონებს სიარული არცთუ ისე ეხალისებათ და ბოლოს, როგორც იყო, მოაღწია ჩემამდე. კარგა ხანს ვილაპარაკეთ. დამპირდა, რამეს ვიღონებ, რომ ჩვენი მიმოწერა არაფერმა შეაფერხოსო. როცა ის ჩემს ამბავს იძიებდა, მე ვცდილობდი გარშემო მყოფთა კეთილგანწყობა მომეპოვებინა, ჩემი საქმით ბევრი ვინმე დამეინტერესებინა და მფარველები შემეძინა. გამოვუტყდი ვინც ვიყავი და ვუამბე, რაც გადამხდა წმინდა მარიამის მონასტერში. ვლაპარაკობდი გადატანილ ტანჯვა-წამებაზე, ჩემს პროტესტზე, ტანჯვაზე, რაც მშობლების სახლში გამოვიარე, ლონშანში გატარებულ მწარე დღეებზე, მორჩილების მიღებაზე, მონაზვნად აღკვეცაზე და იმ სისასტიკეზე, როგორადაც აღთქმის მიღების მერე მექცეოდნენ. ყველას ვეცოდებოდი და დახმარებას მპირდებოდნენ, მე კი ვითხოვდი საიმდროოდ გადაედოთ თავიანთი მეგობრული თანაგრძნობა, როცა მართლა დამჭირდებოდა, ჯერჯერობით კი არაფერი გაეკეთებინათ. მონასტერში არაფერი იცოდნენ: რომიდან მივიღე უფლება აღთქმის დარ-

---

1. იმ დროს გამოჩენილი ადვოკატი ყოფილა.

ღვევისა და მალე პროცესიც უნდა დაწყებულიყო. მონასტერში კი ბაიბურში არ იყვნენ. წარმოიდგინეთ, როგორ გაიოცებდა წინამძღვარი, როცა მარი-სიუზანა სიმონენის სახელით განცხადებას წარუდგენდნენ აღთქმის დარღვევის, სამონაზვნო სამოსელის გახდის, მონასტრიდან წასვლის შესახებ და იმის შესახებაც, რომ უფლება მაქვს ჩემს თავს ისე მოვექცე, როგორც თავად ჩავთვლი საჭიროდ.

რაღა თქმა უნდა, ისიც კარგად ვიცოდი, ბევრი წინააღმდეგობა შემხვდებოდა: კანონისგანაც, მონასტრისგანაც, ჩემი შეუპოვარი ხასიათისა და დების მხრივაც. ისინი ხომ ჩვენი ოჯახის მთელ ქონებას ფლობდნენ და თუ თავისუფლებას მივიღებდი, შემეძლო იმ ქონებიდან საგრძნობი ნაწილი მომეთხოვა. მივწერე დებს, ვევედრებოდი, მონასტრიდან ჩემს გამოსვლას წინააღმდეგობა არ გაუწიოთ-მეთქი, ვუხმობდი მათ სინდისს, ვახსენებდი, რომ აღთქმა ჩემი სურვილის გარეშე დამადებინეს. ვპირდებოდი, რომ მშობელთა ქონების მემკვიდრეობაზე უარს ვიტყოდი. რას არ ვამბობდი, რათა დამერწმუნებინა ისინი, რომ ჩემი საქციელი არც ქონების ხელში ჩაგდების სურვილით იყო გამოწვეული და არც რაიმე სატრფიალო გატაცებით. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდი. აღთქმის დარღვევამდე შედგენილი ასეთი აქტი, მათი ფიქრით შეიძლება უვარგისი გამხდარიყო, რადგან დარწმუნებულნი არ იყვნენ, შევასრულებდი თუ არა ჩემს პირობას თავისუფლების მიღების მერე. განა მათ განზე დარჩენა სარგებელს მოუტანდა? როგორ დატოვებდნენ დას თავშესაფრისა და ქონების გარეშე? რას იტყოდა ხალხი ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი და რომ მისდგომოდათ კარზე ერთი ნაჭერი პურის სათხოვნელად? უარით ხომ ვერ გაისტუმრებდნენ? ერთბაშად რომ დაქორწინება გადაწყვიტოს, ვინ იცის, რა კაცი აღმოჩნდება სიძე? შვილებიც რომ გაუჩნდეთ?..

ღმერთმა ნუ ქნას. ახლავე ჩავახშოთ ეს საშინელი სურვილი... აი, რა იფიქრეს და რა გამიკეთეს.

როგორც კი წინამძღვარმა ოფიციალური იურიდიული ცნობა მიიღო ჩემს მიერ აღძრულ საჩივარზე, მაშინვე ჩემს სენაკში შემოვარდა.

"— როგორ, დაო სიუზანა, — მითხრა მან, — გინდათ რომ მიგვატოვოთ?

— დიახ, ქალბატონო.

— თქვენს აღთქმაზე უარის თქმას აპირებთ?

— დიახ, ქალბატონო.

— განა თქვენის ნება-სურვილით არ მიიღეთ იგი?

— არა, ქალბატონო.

— მაშ, ვინ გაიძულათ?

— ყველამ.

— მამათქვენმა?

— დიახ, მამაჩემმა.

— დედათქვენმაც?

— დიახ, იმანაც.

— რატომ მაშინვე არ განაცხადეთ, როცა საკურთხევლის წინ იდექით და აღთქმას დებდით?

— არა გამეგებოდა, ჩემს თავს რა ხდებოდა, ისიც არ მახსოვს, მართლა იქ ვიყავი თუ არა.

— როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი?

— სიმართლეს ვამბობ.

— როგორ, განა არ გესმოდათ მოძღვარმა როგორ გკითხათ: "დაო სიუზანა სიმონენ, აძლევთ თუ არა უფალს მორჩილების, უბიწოებისა და სიღარიბის აღთქმას?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მახსენდება ეს სიტყვები.

— მაგრამ თქვენ ხომ უპასუხეთ: "დიახ"?

— არც ეს მახსოვს.

— გგონიათ, რომ ხალხი დაგიჯერებთ?

— დამიჯერებენ თუ არა, სიმართლეს ამით არაფერი დააკლდება. სიმართლე სიმართლეა.

— ძვირფასო შვილო, აბა, წარმოიდგინეთ, თუ თქვენ საქციელს რამედ ჩააგდებენ, რა საშინელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს! ისე მიდიხართ, წინ არ იყურებით შურისძიების გრძნობით შეპყრობილი. თქვენს გულში ბოროტებამ დაივანა, რაც თქვენმა დასჯამ გამოიწვია, დასჯა ხომ თვითონ მაიძულეთ, მერე იფიქრეთ, აღთქმის გასატეხად ესეც მეყოფაო. შეცდით, ამის უფლებას არც ადამიანები მოგცემენ და არც უფალი ღმერთი. აბა, დაფიქრდით, ფიცის გატეხა ხომ ყველაზე დიდი დანაშაულია დანაშაულთა შორის, რაც უკვე ჩაიდინეთ საკუთარ გულში და ახლა ბოლომდე მიყვანაც გნებავთ.

— ფიცს არ დავარღვევ, რაკი ფიცი არ დამიდვია.

— თუ ვინმემ რაიმე დაგიშავათ, განა არ გამოსწორდა დანაშაული?

— ამან არ მიმაღებინა გადაწყვეტილება.

— მაშ, რაღამ?

— მოწოდება არა მაქვს საამისო. აღთქმა ჩემი ნება-სურვილით არ დამიდვია.

— მაგრამ თუ მოწოდება არ გქონდათ და მხოლოდ გაიძულებდნენ, რატომ მაშინვე არ განაცხადეთ, როცა ჯერ კიდევ გვიან არ იყო?

— განა ეს შველოდა რაიმეს?

— რატომ არ გამოიჩინეთ ისეთივე სიმტკიცე, როგორიც წმინდა მარიამის მონასტერში გამოავლინეთ.

— განა სიმტკიცე ჩემზეა დამოკიდებული? პირველად მტკიცე ვიყავი, მეორედ სულიერად დაძაბუნებული.

— რატომ არ მოუხმეთ კანონის მცოდნეთ? რატომ პროტესტი არ განაცხადეთ, თქვენ ხომ უფლება გქონდათ ოცდაოთხი საათის განმავლობაში უარი გეთქვათ.

— განა ამ ფორმალობისა ვიცოდი რამე? და თუნდაც მცოდნოდა, განა რამის თავი მქონდა? ანდა შესაძლებლობა? დიახ, ქალბატონო. განა თქვენ თვითონ არ შეამჩნიეთ ჩემი დაბნეულობა? თუკი მოწმედ დაგიძახებთ, განა შეძლებთ დაფიცებას, რომ მე მაშინ საღად ვაზროვნებდი?

— დიახ, დავიფიცებ.

— კეთილი! მაშინ, ქალბატონო, მე კი არა, თქვენ იქნებით ყალბი დაფიცებული.

— შვილო ჩემო, თქვენ მხოლოდ უსარგებლო ხმაურს გამოიწვევთ და მეტი არაფერი. ისევ თქვენს გამო, ისევ მთელი მონასტრის გამო გევედრებით, გონს მოხვიდეთ. ამგვარ საქმეებს მუდამ სამარცხვინო მითქმა-მოთქმა მოსდევს.

— არც ამაში ვიქნები დამნაშავე.

— ერისკაცნი ბოროტი ხალხია. ისინი ყველაზე უკუღმართ ვარაუდებამდე მივლენ თქვენი გონების, გულის, მორალის თაობაზე და შეიძლება იფიქრონ, რომ...

— დაე, რაც სურთ, ის იფიქრონ.

— გულახდილი იყავით ჩემთან. თუ რაიმეზე გწყდებათ გული, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ და შვებას მოგცემთ.

— მთელი ჩემი ცხოვრება გული იმაზე მწყდება, რომ მონაზონი ვარ.

— იქნებ სულმა მაცდუნებელმა, რომელიც ყველგან და ყოველთვის თან გვდევს ჩვენი სულების დასაღუპავად, ისარგებლა თქვენი უსაზღვრო თავისუფლებით, ცოტა ხნის წინ რომ მიიღეთ და რაიმე მკრეხელური აზრი შთაგაგონათ?

— არა, ქალბატონო, თქვენ იცით, რომ ადვილად არ ვიძლევი ფიცს. მოვუხმობ უფალს, იყოს მოწმე, რომ გული ჩემი სუფთაა და მასში არასოდეს ყოფილა რაიმე სამარცხვინო გრძნობა.

— შეუძლებელია.

— და მაინც, ქალბატონო, არაფერია ამაზე ადვილი. ყოველ ადამიანს საკუთარი ხასიათი აქვს. მეც ამგვარი ვარ. თქვენ მოგწონთ მონასტრული ცხოვრება, მე მძულს. უფალმა თქვენ მონაზვნური ცხოვრების სიხარული გიბოძათ, მე კი — არა. თქვენ საერო ცხოვრებაში დაიღუპებოდით. აქ კი თქვენი გზა ხსნისა ჰპოვეთ. მე აქ დავიღუპები და ვგრძნობ, საერო ცხოვრება გადამარჩენს. ცუდი მონაზონი ვარ, ქალბატონო, და ბოლომდე ასეთად დავრჩები.

— რატომ? თქვენზე უკეთესად მონაზვნურ მოვალეობას არავინ ასრულებს.

— მაგრამ ამას ძალით ვაკეთებ, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

— ეს თქვენი დიდი დამსახურებაა.

— ჩემზე უკეთ არავინ იცის, რას ვიმსახურებ. იძულებული ვარ, გამოვტყდე, რომ მთელი ჩემი მორჩილებით, არაფერსაც არ ვიმსახურებ. დამღალა ჩემმა ფარისევლობამ. ვაკეთებ მარტო იმას, რასაც სხვებისთვის შვება მოაქვს. საკუთარი თავი მეზიზღება და ვხედავ, ვიღუპები. მოკლედ, ქალბატონო, ჭეშმარიტ მონაზვნად ის მიმაჩნია, ვისაც ცხოვრებისგან განდგომის მიდრეკილება აქვს და ვინც მონასტერში მაშინაც კი დარჩება, როცა ირგვლივ არც მესერი იქნება და არც სქელი კედლები. მე ამგვართაგან ძალზე შორსა ვარ. აქ მხოლოდ ჩემი სხეულია, გული კი სხვაგანაა. და თუ სიკვდილსა და მარადიულ ტყვეობას შორის არჩევანი მომიწევდა, უყოყმანოდ სიკვდილს ვირჩევდი. ასეთია ჩემი ნება.

— როგორ, ამ მონაზვნურ მანდილს, ამ სამოსელს, რომელიც იესო ქრისტეს მიუძღვენით, სინდისის ქენჯნის გარეშე მიატოვებთ?

— დიახ, ქალბატონო, რადგანაც ყოველივე დაუფიქრებლად, სურვილის გარეშე მივიღე...".

ვცდილობდი თავდაჭერილად მეპასუხა, თუმცა, გული სულ სხვა სიტყვებს მკარნახობდა: "ოჰ! როდის დადგება ის დრო, როცა ამ სამოსელის დაფლეთვა და მოსროლა შემეძლება!..".

ჩემმა პასუხებმა წინამძღვარს თავზარი დასცა. გაფითრდა, რაღაცის თქმა კიდევ სურდა, ტუჩები უკანკალებდა და არც კი იცოდა, რა ეთქვა.

სენაკში აქეთ-იქით დადიოდა, ბორგავდა, ბოლოს წამოიყვირა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"— ო, ღმერთო ჩემო! რას იტყვიან ჩვენი დები? ო, იესო, გადმოგვხედე მოწყალე თვალით. დაო სიუზანა!

— დიახ, ქალბატონო.

— ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა? ჩვენი შერცხვენა გინდათ? ხალხის ყბაში გვაგდებთ? თავს იღუპავთ?

— მე მხოლოდ აქედან მინდა გასვლა.

— იქნებ ეს მონასტერი არ მოგწონთ...

— მონასტერი, მონაზვნობა, რწმენა... არ შემიძლია ჩაკეტილი ცხოვრება, არც აქ და არც სხვაგან.

— შვილო ჩემო, თქვენში ბოროტი სული ჩაბუდებულა. იგი გაშფოთებთ და ამგვარ სიტყვებს შთაგაგონებთ, ცოდვისკენ გიბიძგებთ. ამაზე მართალი არაფერია, ერთი გაჩვენათ, რა ყოფაში ხართ!".

მართლაც, ჩემს თავს თვალი შევავლე და დავინახე: კაბა უწესრიგოდ მედგა, გულსაფარი უკუღმა მომქცეოდა, თავსაბური მხრებზე ჩამომჩაჩოდა. წინამძღვრის გაბოროტებულმა სიტყვებმა, ყალბად რომ იყო შერბილებული, გამაბრაზა და პირში მივახალე:

"— მორჩა; ქალბატონო, აღარ შემიძლია ამ ტანსაცმლის ტარება, აღარ შემიძლია...".

ამას ვამბობდი, თან თავსაბურის გასწორებას ვცდილობდი, ხელები მიკანკალებდა, გასწორების მაგივრად უფრო ავურ-დავურიე, ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა, ჩამოვიხიე, იატაკზე დავაგდე და ახლა წინამძღვრის წინ შუბლსაკრავის ამარა ვიდექი. მან აღარ იცოდა, რა ექნა, წასულიყო თუ დარჩენილიყო, წინ და უკან დადიოდა და იძახდა:

"— ო, იესო! ეშმაკეული მორევია. ეჭვი არ არის, ეშმაკეული დაპატრონებია".

და ამ ფლიდმა ქალმა კრიალოსნიანი ხელით პირჯვარი გადაიწერა.

გონს მალე მოვედი და ჩემი საქციელის უხამსობას, ჩემი ნათქვამის უხერხულობას, გაუფრთხილებლობას მივხვდი. თავსაბურს დავწვდი, ისევ მოვიხვიე და წინამძღვარს ვუთხარი:

"— ქალბატონო, არც შევშლილვარ და არც ეშმაკეული დამპატრონებია". ჩემი გაშმაგებისა მევე მრცხვენია და გთხოვთ, მომიტევოთ. თვითვე განსაჯეთ, რამდენად შესაფერისია ჩემთვის მონაზვნობა და რაოდენ მართალი ვარ, როცა მისგან თავის დაღწევას ვცდილობ.

ის კი არ მისმენდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: — რას იტყვის ხალხი? რას იტყვიან ჩვენი დები?

— ქალბატონო, — ვუთხარი, — გნებავთ მითქმა-მოთქმა აიცილოთ? არის ერთი საშუალება. შემოწირულობის დარდი არა მაქვს. მარტო თავისუფლებას მოვითხოვ. მონასტრის კარი ღიად დატოვეთ, გთხოვთ, დღეს თუ ხვალ, თუნდაც რამდენიმე დღის მერე, ცოტა თვალი მომარიდონ, ჩემი გაქცევა კი, რაც შეიძლება გვიან შეამჩნიეთ...

— უბედურო! როგორ მიბედავთ ამის თქმას?

— მე მხოლოდ რჩევას გაძლევთ. კეთილმა და ჭკვიანმა წინამძღვარმა უნდა მიიღოს ამგვარი რჩევა იმისგან, ვისთვისაც მონასტერი სატუსაღოა, იმ სატუსაღოზე უარესი, სადაც ნამდვილი ბოროტმოქმედნი ჩაუმწყვდევიათ. აქედან უნდა გავიდე, თუ არადა, მოვკვდები... ქალბატონო, — წარმოვთქვი გადაჭრით და გაბედულად გავუსწორე თვალი, — მისმინეთ, თუ კანონი, რომელსაც მე ხსნისთვის მოვუხმე, არ გაამართლებს ჩემს მოლოდინს, მაშინ სასოწარკვეთილება, რომელსაც კარგად ვიცნობ, მიბიძგებს... აქვე ჭაა... მონასტერში ბევ-

რი ფანჯარაა... კედლები ყველგანაა... არის კაბები, რომლის დახევაც შეიძლება... ხელები, რომელიც შეიძლება რაღაცაში გამოიყენოთ...

— შეჩერდით, უბედურო! მაშინებთ; როგორ შეგიძლიათ...

— და თუ ამითაც ვერაფერს გავხდები, რათა სიცოცხლეს გამოვეთხოვო, საკვებზე ვიტყვი უარს. შიმშილის არჩევანის უფლება მაინც ხომ გვაქვს... და მერე, თუ, რა თქმა უნდა, მეყოფა გამბედაობა... მოგეხსენებათ, არც ეს მაკლია, რადგან ჩემთვის სიცოცხლე უფრო მძიმეა, ვიდრე სიკვდილი... იფიქრეთ უფალზე და მითხარით, ამის მერე, ვინ უფრო დამნაშავე იქნება ღმერთის წინაშე, წინამძღვარი თუ მისი მონაზონი?.. ქალბატონო, მონასტრიდან არაფერს ვითხოვ და არც ოდესმე მოვითხოვ. ამაცილეთ სიავე, აიცილეთ მარადიული სინდისის ქენჯნა და მიბოძეთ თანხმობა...

— ეგ რამ გაფიქრებინათ, დაო სიუზანა? ჩემს უპირველეს მოვალეობას ვუღალატო?! დანაშაულს შევუწყო ხელი და მკრეხელობის მონაწილე გავხდე?

— ქალბატონო, ჭეშმარიტ მკრეხელობას ჩავდივარ ყოველდღე, რაკი ზიზღით ვბილწავ იმ სამოსელს, რომელსაც ვატარებ. გამხადეთ იგი, მისი ღირსი არა ვარ. გააგზავნეთ ვინმე სოფელში, დაე, ყველაზე უფრო საწყალი გლეხის კონკები მოიტანონ და გამიღეთ მონასტრის კარი.

— სად წახვალთ უკეთესის საძებნელად?

— არ ვიცი სად წავალ. მაგრამ ცუდი იქაა, სადაც უფალს ჩვენი თავი არ სურს. ღმერთს კი, ჩემი აქ ყოფნა არა სურს.

— თქვენ უქონელი ხართ.

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ სიღარიბისა ყველაზე ნაკლებ მეშინია.

— გეშინოდეთ მანკიერებისა და მისი შედეგის.

— ჩემი წარსული მომავლის პასუხია. ცოდვის ხმისათვის რომ მომესმინა, ახლა თავისუფალი ვიქნებოდი. მაგრამ აქედან ან თქვენი თანხმობით გავალ, ან კანონის უფლებით. აირჩიეთ, რომელიც გსურთ...".

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. მაშინდელი უსაქციელობით ახლა ვწითლდები. მაგრამ უკვე გვიანია და აღარაფერს ეშველება. წინამძღვარი ისევ და ისევ გაიძახოდა: "რას იტყვის ხალხი? რას იტყვიან ჩვენი დები!" და მხოლოდ ზარების ხმამ, სალოცავად რომ გვიხმობდა, გაგვყარა. წასვლისას მითხრა:

"— დაო სიუზანა, ეკლესიაში წახვალთ და უფალს შესთხოვთ გულში ჩაგხედოთ, რათა ჩაგინერგოთ თქვენი წოდების საკადრისი რწმენა. თქვენს სინდისს დაეკითხეთ, რასაც გიკარნახებთ, მიენდეთ. შეუძლებელია, არ გაგკიცხოთ. გალობიდან გათავისუფლებთ".

ქვევით თითქმის ერთდროულად ჩავედით. ლოცვა რომ დასრულდა და მონაზვნები თავთავიანთ სენაკებში წასასვლელად მოემზადნენ, კურთხევანზე დააკაკუნა და შეაჩერა ისინი:

"— დანო ჩემნო, — დაიწყო მან, — მოგიხმობთ, რათა დავემხოთ საკურთხევლის წინ და ვევედროთ უფალს გულმოწყალება მოიღოს ერთ თქვენგანზე, რომელიც მიატოვა და რომელმაც მონაზვნის წოდების საკადრისი სული და რწმენა დაკარგა. ის მზად არის, ჩაიდინოს მკრეხელობა უფლის წინაშე და სამარცხვინო საქციელი — ხალხის წინაშე".

ვერ დაგიხატავთ საყოველთაო გაოცებას. ერთწამს ადგილიდან არავინ დაძრულა და ყველამ თავის ამხანაგს შეხედა იმ იმედით, დამნაშავეს გამოიცნობდა. ყველა იატაკზე დაემხო და ჩუმად დაიწყო ლოცვა, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მერე წინამძღვარმა დაბალი ხმით წამოიწყო "Le Veni, Creator"-ის[1] გალობა, ყველამ დაბალი ხმით გააგრძელა "Le Veni, Creator", მერე სიჩუმე ჩამოვარდა და წინამძღვარმა პიუპიტრზე დააკაკუნა და ყველანი დაიშალნენ.

წარმოიდგინეთ, რა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა ეს ამბავი მონასტრის საკრებულოში: "ვინ არის? ვინ შეიძლება იყოს? რა ჩაიდინა? რისი გაკეთება სურს?..." ამგვარი ეჭვები დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩემმა საჩივარმა მონასტრის გარეთ, საერო სამყაროს დიდი ხმაური გამოიწვია. დაუსრულებლად ვლებულობდი მომსვლელთ. ზოგი საყვედურს მეუბნებოდა, ზოგი რჩევას მაძლევდა. ზოგს მოსწონდა ჩემი გადაწყვეტილება, ზოგი კი გმობდა. მავანთა თვალში რომ მართალი ვყოფილიყავი, ერთი საშუალება მქონდა, ყველასთვის მეამბნა ჩემი მშობლების საქციელი. მოგეხსენებათ, რაოდენი სიფრთხილე სჭირდებოდა ამას. გულახდილობა მარტო რამდენიმე ერთგულთან და ბატონ მანურთან შემეძლო, რომელმაც ჩემს საქმეს მსვლელობა მისცა. დროდადრო მოსალოდნელი წამებისა მეშინოდა, და მაშინ მიწისქვეშა საპყრობილე, სადაც ერთხელ უკვე ჩამამწყვდიეს, მთელი თავისი საშინელებით წარმომიდგებოდა. მონაზონთა გამძაგებისა უკვე კარგად მომეხსენებოდა. ჩემი შიში ბატონ მანურს გავუმჟღავნე; მან მითხრა: "შეიძლება უსიამოვნება ვერ აიცილოთ. ამისთვის მზად უნდა იყოთ. მოთმინებით აღიჭურვეთ, იმედი იქონიეთ, რომ ეს ყოველივე დასრულდება. მიწისქვეშა საპყრობილეში კი, გპირდებით, აღარასოდეს მოხვდებით. ამას ჩემს თავზე ვიღებ...". და მართლაც, ორიოდე დღის მერე წინამძღვარს ბრძანება მოუტანა, რომლის ძალითაც ჩემი გამოძახება ყოველთვის შეიძლებოდა, როცა კი საჭირო გახდებოდა.

მეორე დღეს, წირვის მერე, მონაზონთა საკრებულოს კვლავ ლოცვა აღავლენინეს. ჩუმად ლოცულობდნენ, მერე დაბალი ხმით ისევ წინა დღის ჰიმნი იგალობეს. მესამე დღესაც იგივე განმეორდა, განსხვავება მარტო ის იყო, რომ მონაზონთა კრებულის შუაში ჩამაყენეს და მომაკვდავთა ლოცვა წაიკითხეს, წმინდანთა ლოცვების მისამღერით "Oza pzo eea"[2], მეოთხე დღეს ფარისევლური სცენა გათამაშდა, რომელშიც ცხადად გამოჩნდა წინამძღვრის ახირებული ხასიათი. წირვის მერე კუბოში ჩაწოლა მიბრძანეს, რომელიც მონაზონთა კრებულის შუაში იდგა. აქეთ-იქით სანთლები და სასხურებელი დადგეს, სუდარა გადამაფარეს და მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი წამიკითხეს. ამის შემდეგ ყოველი მონაზონი, ვიდრე წავიდოდა, ნაკურთხ წყალს მაპკურებდა და ამბობდა: "Requiescat in Pacee"[3]. მონასტრული ენის ცოდნა როდია აუცილებელი, მიხვდე იმ მუქარას, ეს სიტყვები რომ შეიცავს. ორმა მონაზონმა სუდარა გადამხადა, სანთლები ჩააქრო და წავიდა, მე ძვლებამდე სველი დამტოვეს. გამოსაცვლელი არაფერი მქონდა და

---

1. ლოცვა, რომელიც იწყება "გიხმობ, შემოქმედო". – (ლათ.).
2. "ილოცეთ მისთვის". (ლათ.)
3. "მშვიდად განისვენე". (ლათ.)

ტანსაცმელი ზედ შემაშრა. ამ დამცირებას მეორე მოჰყვა. მთელი საკრებულო მოგროვდა და, როგორც უფლისგან შეჩვენებულს, ისე მიყურებდნენ. ჩემი საქციელი რჯულისგან განდგომად გამოაცხადეს და ყოველ მონაზონს მორჩილების აღთქმის დარღვევის შიშის სახელით, ჩემთან ლაპარაკი აეკრძალა. აეკრძალათ ჩემთან ურთიერთობა, ჩემი დახმარება და იმ საგნებთან მიკარებაც კი, მე რომ ვსარგებლობდი. ეს ბრძანება მკაცრად სრულდებოდა. მონასტრის დერეფნები ვიწროა, ალაგ-ალაგ კი გვერდის ავლაც შეუძლებელია. თუ რომელიმე გზად შემხვდებოდა, ან უკან გაბრუნდებოდა, ანდა შემკრთალი კედელს აეკვრებოდა და ტანსაცმელს აიკეცავდა იმის შიშით, ჩემსას არ შეხებოდა. თუ ჩემი ხელიდან რამის გამორთმევა უნდოდათ, იატაკზე ვდებდი და ჩვრით იღებდნენ. თუ რამეს მაძლევდნენ, უბრალოდ მომიგდებდნენ ხოლმე. თუ შემთხვევით რომელიმე მონაზონი შემეხებოდა, წაბილწულად ითვლებოდა და მაშინვე წინამძღვართან აღსარების სათქმელად და ცოდვის მოსანანიებლად გარბოდა. ამბობენ, პირფერობა სულმდაბლობააო. იგი უფრო მკაცრი და ოსტატური ხდება, როცა ერთ ადამიანს მეორის დამცირებით აამებ. რამდენჯერ გამხსენებია ჩემი ციური წინამძღვრის სიტყვები: "ყველა ამ ქმნილებათა შორის, ჩემს გარშემო, ასეთ დამჯერებს, ასეთ უმანკოებს, ასეთ წყნარებს რომ ხედავთ, შვილო ჩემო, ერთიც არ არის, დიახ, ერთიც არ არის ისეთი, რომლისგანაც ულმობელი ცხოველის შექმნა ვერ შევძლო. უცნაურია, მაგრამ გარდასახვა მით უფრო ადვილად ხდება, რაც უფრო ადრე მოდის გოგონა მონასტერში და რაც უფრო ნაკლებად იცნობს ცხოვრებას. გაოცებთ ეს სიტყვები, სიუზანა? თქვენ უფალი გიცავთ და ამით ჭეშმარიტებას ამოწმებს. დაო სიუზანა, კარგი მონაზონი ისაა, რომელიც მონასტერში რაიმე დიდი ცოდვის გამოსასყიდად შემოვიდა".

ყოველგვარი საქმიანობა ამიკრძალეს. ეკლესიაში სადაც მე ვიჯექი, სკამის ორივე მხარეს ცარიელ ადგილებს ტოვებდნენ. სატრაპეზოშიც ცალკე მაგიდასთან ვიჯექი და არაფერს მაძლევდნენ. სხვა გზა არა მქონდა, მე თვითონ გავდიოდა სამზარეულოში და ჩემს ულუფას ვითხოვდი.

პირველად მზარეულმა მიყვირა:

"— არ შემოხვიდეთ, იქით გაიწიეთ...

დავემორჩილე.

— რა გინდათ?

— საჭმელი.

— საჭმელი კი არა და სიცოცხლის ღირსი არა ხართ...".

ზოგჯერ გავცილდებოდი და მთელი დღე მშიერი ვიყავი. ზოგჯერ ვითხოვდი და იატაკზე მიდგამდნენ ისეთ საჭმელს, ცხოველისთვის რომ მიგეცათ, შეგრცხვებოდათ. ტირილით ვიღებდი და მივდიოდი. თუ სამლოცველოში სულ ბოლოს მივიდოდი, დაკეტილი მხვდებოდა. კარს უკან ვიჩოქებდი, ველოდი წირვის დამთავრებას. თუ ბაღის კარიც დაკეტილი დამხვდებოდა, სენაკში შევდიოდი. მწირი ტრაპეზის გამო ძალა ნელ-ნელა მეცლებოდა, უფრო კი — იმ სიმწარის გამო, დაუსრულებელი, არაადამიანური მოპყრობით რომ მაყენებდნენ. მივხვდი, თუ ადრინდელივით უხმოდ დავიტანჯებოდი, ვერ მოვესწრებოდი ჩემი ბრძოლის საბოლოო შედეგს. გადავწყვიტე წინამძღვარს მოველაპარაკებოდი. შიშისაგან ნახევრად მკვდარი მისი სენაკის კართან

მივედი. ნელა დავაკაკუნე. მან კარი გამიღო: როგორც კი დამინახა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და დაიყვირა:

"— რჯულიდან განდგომილო, განმშორდი!

მე დავიხიე.

— კიდევ.

კიდევ დავიხიე უკან.

— რა გნებავთ?

— რაკი არც უფალმა და არც ადამიანებმა სიკვდილი არ მაღირსეს, გთხოვთ, ქალბატონო, უბრძანოთ, სიცოცხლის საშუალება მაინც მომცენ.

— სიცოცხლე! — წამოიძახა და მზარეულის სიტყვები გაიმეორა, — განა სიცოცხლის ღირსი ხართ?

— დაე, მხოლოდ უფალმა იცოდეს. მაგრამ გაფრთხილებთ, თუ კვლავ უარს მეტყვიან საჭმელზე, იძულებული ვიქნები საჩივარი გავუგზავნო იმათ, ვინც მფარველობა აღმითქვა. აქ მხოლოდ დროებით ვარ, ვიდრე არ გაირკვევა მონაზვნად ჩემი დარჩენის ამბავი.

— მომშორდით, — მითხრა მან, — თქვენი შემოხედვით ნუ წამბილწეთ. რამეს ვიღონებ...".

გამოვბრუნდი, მან უხეშად მომიჯახუნა კარი. ალბათ განკარგულებაც გასცა, მაგრამ უკეთესობა არ მიგრძნია, რადგან ყველას დამსახურებად ეთვლებოდა თუკი არ დაემორჩილებოდნენ. მაძლევდნენ ნაცრიან, ყოველგვარი ნაგვით სავსე ყველაზე ცუდ საჭმელს.

აი, როგორ ვცხოვრობდი, ვიდრე ჩემი საქმე ირჩეოდა. მისაღებ ოთახში შესვლა საბოლოოდ მაინც ვერ ამიკრძალეს. მოსამართლეებთან და ადვოკატთან ლაპარაკის უფლება ვერ წამართვეს, მაგრამ, ვიდრე ჩემი ნახვის უფლებას მიაღწევდნენ, რამდენჯერმე მუქარაც დასჭირდათ. მაშინ რომელიმე მონაზონი მისაღებ ოთახში მომდევდა. თუ ხმადაბლა ვლაპარაკობდით, უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. და თუ მისაღებ ოთახში დიდხანს დავრჩებოდი, მოთმინებიდან გამოდიოდა, საუბარს მაწყვეტინებდა. მერე ყველაფერს წინამძღვარს ჩაუკაკლავდა, ყველაფერს დაამახინჯებდა, გააყალბებდა. იმასაც კი მომაწერდა, რაც საერთოდ არა ყოფილა და რა ვიცი, რას აღარ. საქმე, ბოლოს, ჩემს გაქურდვამდეც მივიდა. იტაცებდნენ ყველაფერს: ნივთებს, სკამებს, საბნებს. აღარ მაძლევდნენ სუფთა თეთრეულს. ტანსაცმელი შემომაცვდა. ფეხშიშველა დავდიოდი. წყალსაც კი მამადლიდნენ. ზოგჯერ მე თვითონ წავსულვარ ჭიდან წყლის ამოსაღებად. სწორედ იმ ჭიდან, რომელზეც უკვე გელაპარაკეთ. ყველა ჭურჭელი დამიმტვრიეს. სენაკში წყალი ვერ მომქონდა და იძულებული ვიყავი, იქვე მომეკლა წყურვილი. თუ სენაკების სარკმელთა ქვეშ მომიწევდა გავლა, ფეხი უნდა ამეჩქარებინა, რომ რაიმე სიბინძურე არ გადმოესხათ თავზე. ზოგი მონაზონი პირდაპირ სახეში მაფურთხებდა. საშინლად დავბინძურდი. შეეშინდათ, სულიერ მოძღვართან არ მეჩივლა და აღსარებაზე სიარული ამიკრძალეს.

ერთ დღეს, რომელიღაც დიდ დღესასწაულზე, მგონი, ამაღლება იყო, სენაკში ჩამკეტეს და წირვაზე ვერ წავედი. შეიძლება სულაც ჩამოერთმიათ უფლება წირვა-ლოცვაზე სიარულისა, ბატონი მანური რომ არ ყოფილიყო, რომელსაც ეუბნებოდნენ, არავინ უწყის, სად არისო, სადღაც გადაიკარგა და ქრისტიანის არც ერთ მოვალეობას არ ას-

რულებსო. როგორღაც სენაკის კლიტე გავტეხე და სამლოცველოს კარამდე მივედი. დაკეტილი დამხვდა, როგორც ყოველთვის, თუმცა დროზე ადრე მივიდოდი. იატაკზე ჩავჯექი, კედელს მივეყრდენი და გულხელი დავიკრიბე. ჩემი სხეულით გასასვლელს ვკეტავდი და ლოცვა რომ დამთავრდა, პირველივე გამომსვლელი მონაზონი [illegible] შედგა. წინამძღვარმა, ეტყობა, იგრძნო, რაც ხდებოდა და თქვა:

"— ზედ გადაუარეთ, მაინც მიცვალებულია".

ზოგიერთი დაემორჩილა და ფეხით გადამქელა. ზოგი უფრო ადამიანური აღმოჩნდა. მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა ხელის გამოწოდება და ჩემი წამოყენება. სენაკში ჩემი არყოფნისას სალოცავი სკამი და ჩვენი მონასტრის დამაარსებლის პორტრეტი გაიტაცეს, წამართვეს ყველა ხატი და ჯვარცმაც კი არ დამიტოვეს. ოთხ კედელშუა ვცხოვრობდი, უკარო ოთახში, სადაც სკამიც არ იდგა და ფეხზე დგომა მიწევდა ან ჩალის ლეიბზე წოლა. არაფერი მქონდა, თვით ყველაზე აუცილებელი ჭურჭელიც კი, რის გამოც ღამღამობით გარეთ გასვლა მიწევდა, დილით კი მადანაშაულებდნენ, რომ მონასტრის მყუდროებას ვარღვევდი და აქეთ-იქით დავყიალობდი. ჩემი სენაკი უკვე აღარ იკეტებოდა. შუაღამისას შემოცვივდებოდნენ, ყვიროდნენ, მინჯღრევდნენ საწოლს, ამსხვრევდნენ ფანჯრის მინებს და რას არ აკეთებდნენ, რომ ჩემი მყუდროება დაერღვიათ. ხმაური ზედა და ქვედა სართულამდე აღწევდა. ის მონაზვნები კი, ვინც შეთქმულებაში არ მონაწილეობდნენ, დილით ყვებოდნენ, რომ ჩემს სენაკში უცნაური ამბები ხდებოდა, რომ გამყინავი, გაბოროტებული ყვირილი და ჯაჭვების ჩხრიალი ესმოდათ, რომ ვუხმობდი აჩრდილებს და ავსულებს, რომ შეიძლება უკვე ეშმაკსაც კი მივყიდე სული და ჩემგან თავი შორს უნდა დაიჭირონ, ჩემი ოთახის წინ, დერეფანშიც კი აღარ უნდა გამოიარონ.

მონასტრებში ბევრია ჭკუასუსტი, თანაც საკმაოდ ბევრი. რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებენ. მონაზვნები ჩემს კართან გავლას ვერ ბედავდნენ. მათ ბუნდოვან, არეულ ფიქრებში ურჩხული ვიყავი. თუ სადმე გადამეყრებოდნენ, პირჯვარს იწერდნენ და ყვირილით გარბოდნენ: "განმშორდი, ეშმაკეულო!.. უფალო, დამიფარე!..". ერთხელ დერეფანში მივდიოდი, ერთი ყველაზე ახალგაზრდა მონაზონი გამოჩნდა, ჩემთან პირისპირ შეხვედრას ვერაფრით გაექცა და საშინელმა შიშმა შეიპყრო. კედლისკენ შებრუნდა და აკანკალებული ბუტბუტებდა: "უფალო! უფალო! ქრისტეო! ღვთისმშობელო!..". ამასობაში მივუახლოვდი კიდეც. როგორც კი იგრძნო, ახლოს მოვიდაო, ხელები სახეზე აიფარა, ჩემსკენ წამოვიდა, ჩამაფრინდა და ყვირილი მორთო: "მიშველეთ! შემიბრალეთ! დავიღუპე! დაო სიუზანა, ბოროტებას ნუ მომაყენებთ. დაო სიუზანა, შემიბრალეთ...". და ამ სიტყვებით უგრძნობლად ჩაიკეცა.

მის ყვირილზე ყველამ მოირბინა. გულშემოყრილი წაიღეს. ენა ვერ იტყვის, ისე გადაასხვაფერეს ეს ამბავი. ნამდვილ დანაშაულად მიქციეს. ამბობდნენ, რომ სულში გარყვნილი დემონი ჩამისახლდა. ისეთ რაღაცებს მომაწერდნენ, რასაც ენაც კი ვერ იტყვის. ისიც, ახალგაზრდა მონაზონს წაქცევისას სამოსელი რომ აეჩეჩა, ჩემს გაუკუღმართებულ ვნებას მიაწერეს. კაცი არ გახლავართ და ნამდვილად არ ვიცი, რა შეიძლება იფიქრო ქალზე, როცა იგი სხვა ქალთან არის, და მით უმეტეს, როცა ქალი მარტოა. ჩემი საწოლის ჩარდახს ფარდები მაინც ჩამოაცალეს და ჩემს სენაკში, როცა კი მოისურვებდნენ, მაშინ შემო-

დიოდნენ. მეტი რაღა გითხრათ, ბატონო? ალბათ ამ ქალებს თითქოსდა თავდაჭერილებს, მოკრძალებულებს და უმანკოებს რომ ჰგვანდნენ, გული საკმაოდ აქვთ შერყვნილი. ეს თუ არა, ის მაინც იციან, რომ მარტოობაში უშვერი საქციელის ჩადენა თავისუფლად შეიძლება. მე კი არ ვიცი, და ვერც ვერასოდეს მივხვდები, რაში მედებოდა ბრალი. ისინი ისე არქმევდნენ ყველაფერს სახელს, რომ აღარ [illegible] მეპასუხა.

ჰო, ყველაფერი რომ გითხრათ, რაც გადამხდენია, ალბათ ვერასოდეს დავამთავრებ. ოჰ, მოწყალეო ბატონო, შვილები ხომ გყავთ, დაე, ჩემი იღბალი მაგალითი იყოს თქვენთვის, სასულიერო გზას ნუ გაუყენებთ, თუ საამისოდ მათში უძლიერესი და აშკარა მოწოდებას არ დაინახავთ. რამდენი უსამართლობაა ადამიანებში! ისინი ბავშვს უფლებას აძლევენ თავისი თავისუფლება განაგოს იმ ასაკში, როცა ერთი ეკიუს მოხმარების საშუალებასაც კი არ აძლევენ. ჯობია მოკლათ თქვენი ქალიშვილი, ვიდრე მონასტერში მისი ნება-სურვილის გარეშე ჩაკეტოთ. დიახ, ჯობია მოკლათ! რამდენჯერ მინანია, დედაჩემმა დაბადებისთანავე რომ არ დამახრჩო! ეს ამ სიმკაცრესთან შედარებით ნაკლები სიმკაცრე იქნებოდა. განა დაიჯერებთ, რომ ჩამომართვეს კურთხევანი, ამიკრძალეს უფლისა ჩვენისა ლოცვა? და, რა თქმა უნდა, მეც დავემორჩილე. ვაი რომ, ეს იყო ერთადერთი ნუგეში. ხელებს ცაში აღვაპყრობდი, კივილით შევთხოვდი შველას და იმედი მქონდა, ის, ერთადერთი, ჩემს მწუხარებას ხედავდა. მონაზვნები კარს უკან იდგნენ და მისმენდნენ. ერთ დღეს, როცა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ოხვრით უფალს შველას შევთხოვდი, ერთმა მონაზონმა დამიყვირა:

“— ამაოდ უხმობთ უფალს, თქვენთვის უფალი აღარ არსებობს. უიმედოდ მოკვდით და წყეულიმც იყავით...“.

დანარჩენებმა დაუმატეს: “ამინ. განკვეთილ იქნას! ამინ!“

აი, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც სხვებზე უფრო უცნაური მოგეჩვენებათ, არ ვიცი, ბოროტება იყო თუ ცდომილება. იმგვარი რამ არაფერი ჩამიდენია გონების არევ-დარევა ან შეშლილობა რომ შემტყობოდა. მონაზვნებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს ავი სული განეძევებინათ. რომ თურმე ზეთისცხება და ნათლისღება უარვყავი, ბოროტი სული დამეუფლა და ის მაიძულებს უფლის მორჩილებისგან განდგომას. ერთმა ისიც დაუმატა, ზოგჯერ, ლოცვის დროს, კბილებს აკრაჭუნებს და კანკალებსო, ხოლო საიდუმლო ზიარების მიღებისას ხელებს იმტვრევდაო. მეორემ თქვა, თითქოს ჯვარცმა ფეხით გავქელე, რომ აღარ ვატარებ კრიალოსანს, რომელიც მომპარეს, რომ წარმოვთქვამ იმგვარ ღვთის საგმობ სიტყვებს, რომელთა გამეორებასაც თქვენთან ვერ ვბედავ, რომ ყველაფერი, რასაც თურმე ვაკეთებ, ბუნებრივისგან შორს იდგა და საჭირო იყო სასწრაფოდ უფროსი ვიკარიუსისთვის შეეტყობინებინათ. ასეც მოიქცნენ.

უფროსი ვიკარიუსი ვინმე ბატონი ებერი გახლდათ, ხანდაზმული, გამოცდილი, უხეში, მაგრამ სამართლიანი და განათლებული კაცი. მას ზუსტად დაუხატეს მონასტერში გამეფებული უწესრიგობა. ჰო, უწესრიგობა იყო, მაგრამ მიზეზი თუ მე გავხდებოდი, მაშინ ეს მიზეზი უვნებელი გამოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, ეჭვიც არ გეპარებათ, რომ უფროსი ვიკარიუსისადმი გაგზავნილ ბარათში დავიწყებული არც ის იყო,

რომ ღამღამობით სადღაც დავსეირნობდი, რომ მგალობელთა გუნდში არ ვმღეროდი, რომ ჩემი სენაკიდან რაღაც აურზაურის ხმები ისმოდა. არც ის დავიწყებიათ, რაც თურმე ერთმა საკუთარი თვალით ნახა და მეორემ კი ყური მოჰკრა — სიძულვილი წმინდა ნაწილებისადმი, ღვთის მგმობელობა და ათასგვარი უხამსი საქციელი. რაც შეეხება ახალგაზრდა მონაზონთან შეხვედრის ამბავს, ისე გადააკეთეს, როგორც სურდათ. ბრალდებები ისე ბლომად იყო და ისე დაბეჯითებით აღწერილი, რომ სალი აზროვნების მიუხედავად, ბატონი ებერი ცოტა რამეს მაინც დაიჯერებდა ამ სიცრუიდან. ბატონ ებერს საქმე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოეჩვენა და გადაწყვიტა ყველაფერს თავად გასცნობოდა. გვაუწყეს მისი მობრძანებაც. იგი ორი ღვთისმსახურის თანხლებით ჩამოვიდა, რომლებიც მძიმე მოვალეობის შესრულებაში ეხმარებოდნენ.

რამდენიმე დღით ადრე კი, ღამით, ვიღაცა ჩემს სენაკში ფრთხილად შემოვიდა. მე არაფერი მითქვამს და ველოდებოდი, როდის ამოიღებდა ხმას. ვიღაცამ წყნარი, მთრთოლვარე ხმით დამიძახა:

„— დაო სიუზანა, გძინავთ?

— არა, არ მძინავს. ვინ არის?

— მე ვარ.

— ვინ თქვენ?

— თქვენი მეგობარი. შიშისგან ვკვდები და მაინც თავს ვიღუპავ. ერთი რჩევა მინდა მოგცეთ, შეიძლება გამოგადგეთ. მომისმინეთ: ხვალ თუ ზეგ უფროსი ვიკარიუსი ჩამოდის. თქვენ ბრალს დაგდებენ. მოემზადეთ თავის დასაცავად. მშვიდობით, მხნედ იყავით, უფალი გფარავდეთ“.

თქვა და აჩრდილივით გაქრა.

როგორც ხედავთ, ყველგან შეხვდებით, მონასტერშიც კი, თანამგრძნობ სულს, რომლის გულსაც ვერაფერი გააქვავებს.

ამასობაში ჩემს ამბავს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სხვადასხვა საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობის, ორივე სქესის უამრავი პიროვნება, რომელთაც არ ვიცნობდი, ჩემი ბედით იყვნენ დაინტერესებულნი და დახმარებას ცდილობდნენ. თქვენც მათ რიცხვში ბრძანდებით და შეიძლება ჩემი ამბავი თქვენთვის უკეთ იყოს ცნობილი, ვიდრე ჩემთვის. პროცესის დასასრულს ბატონ მანურისთან საუბრის შესაძლებლობა აღარ მომეცა. ვიცი, უთხრეს, ავად არისო. ის მიხვდა, რომ ატყუებდნენ, ეჭვობდა, კვლავ მიწისქვეშა საპყრობილეში ხომ არ ჩაამწყვდიესო და მთავარეპისკოპოსთან მივიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მისი მოსმენა არ ინება. მგონი გააფრთხილეს, რომ გავგიჟდი, ანდა შეიძლება უარესიც ჩააწვეთეს. მაშინ ბატონმა მანურიმ სასამართლოს მიმართა და ბრძანების შესრულება მოითხოვა, რომლის ძალითაც წინამძღვარი მოვალე იყო პირველი მოთხოვნისთანავე ჩემი თავი გამოეჩინა გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი. დაიწყო საერო და სასულიერო მოსამართლეებს შორის კინკლაობა. ეს უკანასკნელნი გრძნობდნენ, რა ბოლოც შეიძლება ჰქონოდა ამ ამბავს და, როგორც ჩანს, უფროსი ვიკარიუსის ჩამოსვლაც ამან დააჩქარა. ეს ბატონები მონასტრების გამუდმებული გაწამაწიით ფრიად გადაღლილნი ბრძანდებოდნენ და ბერმონაზონთა საქმეებში ჩარევას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. გამოცდილებით იციან, რომ მათი ავ-

ტორიტეტი შეიძლება არაფრად ჩააგდონ, ანდა სულაც სახელი გაუტეხონ.

ჩემი მეგობრის გაფრთხილებით ვისარგებლე და უფალს შველა ვთხოვე, ვცდილობდი გამხნევებას და თავის დასაცავად ვემზადებოდი. ზეცას მხოლოდ იმას ვევედრებოდი ჩემთვის დაკითხვა მოეწყოთ და მიუკერძოებლად მოესმინათ. ამას მივაღწიე და ახლავე გაიგებთ რის ფასადაც. მინდოდა მოსამართლის წინაშე უდანაშაულო და გონიერი გამოვჩენილიყავი, ჩემს წინამძღვარს კი არანაკლებ ენადა ჩემში დაენახათ ბოროტი, ეშმაკის შეცდენილი, დამნაშავე ან გიჟი. მე გავაორმაგე გულმოდგინება და ლოცვა-ვედრება, წინამძღვარმაც გააორმაგა თავისი სისასტიკე. ახლა ზუსტად იმდენ საჭმელს მაძლევდნენ, რამდენიც საჭირო იყო შიმშილით სული არ ამომძრომოდა. მტანჯავდნენ ათასგვარი დამცირებით, უფრო უმატეს ჩემს დაშინებას. ღამით უკვე აღარ მაძინებდნენ, ერთი სიტყვით, რას არ აკეთებდნენ, რომ ჩემი ჯანმრთელობა და გონება შეერყიათ. ვერც წარმოიდგენთ, ბატონო ჩემო, რა არა სცადეს. ერთ მაგალითს გეტყვით და თავადვე განსაჯეთ:

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, სენაკიდან რომ გამოვდიოდი და ეკლესიისკენ თუ ერთი ადგილისაკენ გავწიე, დერეფნის იატაკზე დავინახე ბუხრის საჩხრეკი ეგდო. დავიხარე, რათა ისეთ ადგილას დამედო, სადაც ადვილად იპოვიდნენ. მაგრამ ის ველარ შევნიშნე, რომ თითქმის წითლად ვარვარებდა. ავიღე თუ არა, მაშინვე გამივარდა და ხელზე ტყავი მთლიანად გადამძვრა. იმ ადგილებში, სადაც ღამით შეიძლებოდა გამევლო, რაღაცებს მიყრიდნენ, ან ზემოთ ჰკიდებდნენ, რომ დავჯახებოდი. მეც განუწყვეტლივ რაღაცას ვეჯახებოდი, ერთიანად დაბეგვილი ვიყავი, ახლაც არ ვიცი, სიკვდილს როგორ გადავურჩი. გზის გასანათებლად არაფერი მქონდა, ხელის ცეცებით მივდიოდი და სიბნელეში გზას ძლივს ვიგნებდი. იატაკზე დამტვრეული შუშაც კი დამიყარეს. გადავწყვიტე, უფროსი ვიკარიუსისთვის ყველაფერი მეთქვა და თქმაც მოვახერხე. საპირფარეშოს კარი ყველასთვის ღია იყო, მე კი დაკეტილი მხვდებოდა, რის გამოც რამდენიმე სართულით დაბლა ჩავდიოდი და ბაღში გავრბოდი, თუკი იქ მაინც დამხვდებოდა ღია... თუ არადა... ოჰ, მოწყალეო ბატონო, როგორ ბოროტდებიან ეს განდეგილი ქალები, როცა მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ თავიანთი წინამძღვრის ნებასურვილის აღსრულებას უწყობენ ხელს და შენი განადგურებით ღმერთს ემსახურებიან! უკვე დრო იყო უფროსი ვიკარიუსის მოსვლისა, უკვე დრო იყო ჩემი სასამართლო პროცესის დამთავრებისა.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელი წუთი. თავადვე იფიქრეთ, მოწყალეო ბატონო, მე ხომ წარმოდგენაც არა მქონდა, რა სიტყვებით შემამკეს ეკლესიის ამ მსახურთან, რომელიც ცნობისმოყვარეობით აღვსილი მოდიოდა ეშმაკისგან ცდუნებულ, ანდა ვითომდა ცდუნებულ გოგონას სანახავად. მონასტერში იფიქრეს, ეშმაკისგან შეცდენილს მხოლოდ დიდი შიშის ზარი თუ დამამსგავსებდა, და, აი, რა მოიგონეს.

უფროსი ვიკარიუსის ჩამოსვლის დღეს, დილაადრიანად, წინამძღვარი ჩემს სენაკში შემოვიდა, თან სამი მონაზონი ახლდა. ერთს აიაზმის სასხურებელი მოჰქონდა, მეორეს — ჯვარცმა, მესამეს — თოკი... წინამძღვარმა მკაცრი მუქარით მიბრძანა:

"— ადექით... დაიჩოქეთ და უფალს მიანდეთ სული თქვენი.

— ქალბატონო, — ვუთხარი, — ვიდრე დაგემორჩილებოდეთ, არ შეიძლება გკითხოთ, რას მიპირებთ, რა გადაწყვიტეთ და რა უნდა შევთხოვო უფალს?"

მთელს სხეულზე ცივმა ოფლმა დამასხა, ვკანკალებდი და ვგრძნობდი, მუხლები მეკეცებოდა. შიშით შევყურებდი ჩემს სამ საბედისწერო თანამგზავრს. ისინი, სახემოღუშულები ერთ რიგად იდგნენ, ტუჩმოკუმულნი და თვალდახუჭულნი. ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ხმა მიწყდებოდა. ყველა დადუმდა და მომეჩვენა, რომ ვერ გაიგეს ჩემი ბოლო სიტყვები. გამეორება მოვინდომე. ძალა არ მეყო ნინადადების ბოლომდე თქმისა. მისუსტებული ხმით ვიკითხე:

"— რომელი წყალობა უნდა ვთხოვო უფალს?

მათ მიპასუხეს:

— ცოდვათა მიტევება შესთხოვეთ უფალს. ელაპარაკეთ ისე, როგორც მის წინაშე წარდგომისას უნდა ელაპარაკოთ".

ესა თქვეს და მივხვდი, ჩემი საქმე უკვე განესაჯათ, ჩემი თავიდან მოშორება გადაეწყვიტათ. ყური მქონდა მოკრული, ზოგიერთ მონასტერში, ზერებს თვითონვე გაუსამართლებიათ დამნაშავე, გამოუტანიათ სასიკვდილო განაჩენი და აღუსრულებიათ კიდეც. დარწმუნებული არ ვიყავი, რომელიმე დედათა მონასტერში ასეთი სასამართლო გამართულიყოს, მაგრამ ირგვლივ იმდენი რამ ხდებოდა, რომ ესეც შეიძლება მომხდარიყო! აღსასრულის მოახლოებაზე ფიქრმა ყვირილი მომანდომა, პირი დავაღე, მაგრამ ერთი ბგერაც არ აღმომხდა, წინამძღვრისკენ მავედრებელი ხელები გავიწვდინე, ღონემიხდილი სხეული უკან გადამიქანდა და იატაკზე დავეცი. ამგვარი შიშის დროს კაცს ძალა ერთმევა, მთელი სხეული უდუნდება. მეც გრძნობა დავკარგე. მარტო გაუგებარი და შორეული გუგუნი აღწევდა ჩემამდე. თითქოს ვიღაცები ლაპარაკობდნენ, მე კი ყრუ გუგუნის გარდა არაფერი მესმოდა. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. სიცივის შეგრძნებამ მომაბრუნა. შევტოკდი, ღრმად ამოვიოხრე. ერთიანად სველი ვიყავი. ტანსაცმლიდან წყალი წურწურით მდიოდა. დიდი სასხურებლიდან წყალი მთლიანად ჩემზე გადმოეპირქვავებინათ. გუბეში ვიწექი და თავით კედელს ვეყრდნობოდი, პირი — ღია, თვალები დახუჭული მქონდა. თვალის ახელა მინდოდა, მაგრამ მეჩვენებოდა, სქელი ბურუსით ვიყავი გარშემორტყმული და ძლივს ვარჩევდი აფრიალებულ კაბებს, რომელთა შეხებასაც ამაოდ ვლამობდი. ხელის აწევა ვცადე. ხელი ძალზე მძიმე მეჩვენა. ჭირის ოფლმა დამასხა. მაინც წამოვჯექი და კედელს მივეყრდენი, ხელები წყალში მეყარა, ნიკაპი მკერდზე მქონდა დაბჯენილი, გაუგებარ სიტყვებს ვლუღლუღებდი, ტანჯვით ვკვნესოდი. ამ ქალების გამოხედვაში ისეთი შეუპოვრობა და დაუნდობლობა იკითხებოდა, რომ ბედს შევეგუე და შენდობა აღარ მითხოვია. წინამძღვარმა თქვა:

"— წამოაყენეთ.

ხელი მომკიდეს და წამომაყენეს. მან განაგრძო:

— რაკი არ სურს უფალს მიენდოს, მით უარესი მისთვის. თქვენ იცით, რაც უნდა გააკეთოთ, მოამთავრეთ".

მონაზვნების მიერ მოტანილი თოკები ჩემს მოსახრჩობად მეგონა განკუთვნილი და თვალცრემლიანი შევყურებდი. ჯვარცმას მამთხვიეთ-მეთქი, ვითხოვე. უარი მითხრეს. თოკებს მაკოცნინეთ-მეთქი

და — მომიტანეს. დავიხარე, წინამძღვარის კაბის ქობას ვემთხვიე და ვთქვი:

"— უფალო, შემიწყალე! უფალო, შემიწყალე! ძვირფასო დებო, ეცადეთ, ძალიან არ მაწვალოთ".

და კისერი გავიწვდინე.

ვერ გეტყვით რა დამემართა ან რას მიპირებდნენ ისინი, ვინც დასასჯელად მიჰყავთ, და მე ვფიქრობდი დასასჯელად ვიყავი განწირული, მანამდე კვდება, ვიდრე ნამდვილად აღასრულებენ სასჯელს. გონს მხოლოდ ჩალის ჭილობზე მოვედი, რომელიც ჩემი საწოლი იყო, ხელები ზურგს უკან მქონდა გაკოჭილი, ვიჯექი ჭილობზე და მუხლებზე დიდი ჯვარცმა მედო...

...ბატონო მარკიზო, ვხედავ რა ტკივილსაც გაყენებთ, მაგრამ თქვენვე მოისურვეთ გცოდნოდათ, ცოტათი მაინც თუ ვიმსახურებდი იმ სიბრალულს, თქვენგან რომ ველი...

აი, როდის ვიგრძენი ქრისტიანობის უპირატესობა ყველა სხვა რელიგიაზე. რაოდენ ღრმა სიბრძნე იმალება იმაში, რასაც ბრმა ფილოსოფია — ჯვრის სიგიჟეს ეძახის. აბა, რითი დაეხმარებოდა დიდებით მოსილი, ბედნიერი კანონმდებელი, ჩემს ყოფაში ჩავარდნილს? ვუცქერდი უცოდველ, ნამებისგან ჩაფერფლილ, ფერმილეულ ტანჯულს, შუბლზე ეკლის გვირგვინი რომ ედგა, ხელ-ფეხი კი ლურსმნებით ჰქონდა დახვრეტილი, და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: "ეს ხომ ჩემი ღმერთია, მე კი ჩივილს ვბედავ!.." ამ აზრს ჩავეჭიდე და ვიგრძენი, ნუგეშმა როგორ აღადგინა ჩემი გული. შევიგრძენი ამ ქვეყნის ამაოება. უფრო ამაყად ვიგრძენი თავი, რომ ბედნიერებას ვკარგავდი და ცოდვებსაც არ გავიმრავლებდი. სიცოცხლის წლები გადავითვალე და გამოვიდა, რომ ოცი წლისაც არა ვყოფილვარ. ამოვიოხრე. ძალზე დაუძლურებული და განადგურებული ვიყავი საიმისოდ, რომ ჩემი სული სიკვდილის შიშზე ამაღლებულიყო. ასე მეგონა, ჯანსაღად რომ ვყოფილიყავი, გაცილებით მამაცურად შევხვდებოდი სიკვდილს.

ამასობაში წინამძღვარი და მისი დამქაშები დაბრუნდნენ. არ ეგონათ, გონზე ასე სწრაფად თუ მოვიდოდი და იმაზე კარგადაც გამოვიყურებოდი, ვიდრე ელოდნენ. ფეხზე წამომაყენეს, სახეზე მანდილი ჩამომაფარეს. ორმა ხელი გამიყარა, მესამემ ზურგიდან მიბიძგა, წინამძღვარმა კი მიბრძანა, იარეო. მივდიოდი, მაგრამ არ ვიცოდი, სად. ვფიქრობდი დასასჯელად მივყავარ-მეთქი და გულში ვიძახდი: "უფალო, შემინდე! უფალო, გადმომხედე! უფალო, ნუ მიმატოვებ! უფალო, მომიტევე თუ რამ ცოდვა ჩამიდენია!"

ეკლესიაში მიმიყვანეს. უფროსი ვიკარიუსი სწირავდა. მთელი მონასტრის საკრებული იქ იყო. დამავიწყდა მეთქვა, როცა კარებში შევედი, სამივე მონაზონი მჭიდროდ შემომერტყა და თან ძალით მომაწვნენ, თითქოს ეკლესიაში შესვლა არ მინდოდა. ერთი ალიაქოთი ატეხეს. მსგავსი რამ არაფერი ყოფილა. ერთი მკლავებში მეჭიდებოდა და ვითომ ძალით მიმათრევდა, მეორე ზურგიდან მექაჩებოდა. საკურთხევლის საფეხურებთან ფორთხვით მიმიყვანეს. ფეხზე ძლივს ვიდექი. დაჩოქებითაც ისე დამაჩოქეს, თითქოს წინააღმდეგობას ვუწევდი. ხელში ისე ვეჭირე მონაზვნებს, თითქოს გაქცევა მდომებოდეს. გალობდნენ "გიხმობ, შემოქმედო". წმინდა ნაწილები გამოასვენეს. უფროსმა ვიკარიუსმა ლოცვა-კურთხევა ჩამოარიგა. ასეთ დროს ყველა თაყვანისცემით იხრება. ჩემმა მონაზვნებმაც ვითომ ძალით მო-

მადრეკინეს ქედი, თან აქეთ-იქით მექაჩებოდნენ. იმათ ქოთქოთს კი ვგრძნობდი, მაგრამ მიზნად რა ჰქონდათ, არ ვიცოდი, მალე კი გავიგე...

დალოცვის შემდეგ უფროსმა ვიკარიუსმა შესამოსელი მოიხსნა, სტიქარისა და ოლარის ამარა საკურთხევლის კიბეზე დაჯდა. მის წინ მე ვიყავი დაჩოქილი. აქეთ-იქით ორი ღვთისმსახური მოჰყვებოდა.

იგი მომიახლოვდა და მითხრა:

"— დაო სიუზანა, ადექით".

მონაზვნებმა სწრაფად წამომაყენეს. ერთმა ხელები დამიჭირა თითქოს გაქცევა მდომებოდეს. უფროსმა ვიკარიუსმა ბრძანა:

"— გაუხსენით!"

მონაზვნები ბრძანებას არ დაემორჩილნენ, თვალით ანიშნებდნენ, უხერხული და სახიფათოც კია ამისი თავისუფლად გაშვებაო. აკი მოგახსენეთ, უფროსი ვიკარიუსი ურყევი კაცი იყო-მეთქი. და მტკიცედ და მკაცრად გაიმეორა:

— "გაუხსენით!"

მონაზვნები დაემორჩილნენ.

როგორც კი ხელები გამიხსნეს, იმგვარი მწარე კვნესა აღმომხდა, რომ უფროსი ვიკარიუსი გაფითრდა. ჩემს ახლოს მდგარი თვალთმაქცი მონაზვნები აქეთ-იქით გაიფანტნენ, ვითომ შეგვეშინდაო.

უფროსი ვიკარიუსი თავს მალე მოერია, მონაზვნებიც მომიახლოვდნენ, ისეთი სახეები ჰქონდათ, აქაოდა, შიშისგან ვკანკალებთო. მე გაუნძრევლად ვიდექი. მან მკითხა:

"— რა მოგივიდათ?"

არაფერი ვუპასუხე, მარტო ხელები ვაჩვენე. თოკი ისე მქონდა მოჭერილი, ხორცში ჩასულიყო, სისხლის უმოძრაობის გამო ხელები მთლიანად გამლურჯებოდა. მიხვდა, ჩემი ამოკვნესა სისხლის განთავისუფლებით გამოწვეული უეცარი ტკივილის გამო რომ მოხდა და თქვა:

"— მოხადეთ მანდილი!"

არც გამიგია, თურმე მონაზვნებს ჩემს ტანსაცმელზე მანდილი რამდენიმე ადგილას მიეკერებინათ. მონაზვნებმა მოხსნა დაიწყეს და ისეთი ალიაქოთი ატეხეს, ისე აირივნენ ერთმანეთში, იმგვარი გულმოდგინება გამოიჩინეს, როგორიც უნდოდათ. ნდომით კი ის უნდოდათ, უფროს ვიკარიუსს შეშლილად, ეშმაკეულად მოვჩვენებოდი. მანდილი ძალით ჩამომგლიჯეს, ტანსაცმელი რამდენიმე ადგილას ჩამომაგლიჯეს, და დამინახეს.

ულამაზო არ გახლავართ, თუმცა ამდენმა დარდმა თავისი კვალი დამამჩნია, მაგრამ სახის იერი ძველებური დამრჩა. ხმაც გულშიჩამწვდომი მქონდა და მასში სიმართლე იგრძნობოდა. უფროსი ვიკარიუსის ახალგაზრდა თანაშემწეებზე დიდი შთაბეჭდილება მოვახდინე. თვით მას კი ვერაფერი შევატყვე. სამართლიანი, მაგრამ არცთუ მგრძნობიარე, იგი იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც დაბადებისთანავე უმანკოებას ემსახურებიან, მაგრამ, საუბედუროდ, მისი გემოც არ გაუსინჯავთ, სიკეთეს მოვალეობის კარნახით სჩადიან და გონებას ემორჩილებიან.

მან ოლარის ბოლოები ასწია, თავზე დამადო და მკითხა:

"— დაო სიუზანა, გწამთ უფალში მამა, ძე და სული წმინდა?

მე ვუპასუხე:

— მწამს.

— გწამს თუ არა დედა ჩვენი წმინდა ეკლესია?

— მწამს.

— უარყოფთ თუ არა სატანას და საქმეთა მისთა?"

პასუხის ნაცვლად, ერთბაშად წინ გადავქანდი და [illegible]მომხ-და. ოლარის ბოლოები თავიდან გადმოიცურდა. უფროსი ვიკარიუსი შეირხა, მისი თანმხლებნი გაფითრდნენ. მონაზვნები ერთმანეთში აირივნენ. ზოგი გაიქცა, ზოგი ხმაურით წამოცვივდა სამლოცველო სკამებიდან. თავად ის კი შემომყურებდა და რაღაც უჩვეულოს ელოდა.

მე დავამშვიდე:

"— ბატონო, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რომელიღაც მონაზონმა, რაღაც წვეტიანი მწარედ მიჩხვლიტა.

მერე ხელები და თვალები მაღლა აღვაპყრე და ტირილით დავამატე:

— იმ წუთში მიჩხვლიტეს, როცა მკითხეთ, უარვყოფდი თუ არა სატანას და საქმეთა მისთა. მშვენივრად მესმის ეს რაში დასჭირდათ...".

წინამძღვარმა ყველა მონაზვნის სახელით განაცხადა, რომ არავინ შემხებია.

უფროსმა ვიკარიუსმა კვლავ გადამაფარა ოლარის ბოლოები. მონაზვნებს კვლავ ახლოს მისვლა უნდოდათ. მან კი ანიშნა, განშორდითო და გამიმეორა, უარვყოფდი თუ არა სატანას და საქმეთა მისთა. მე მტკიცედ ვუპასუხე:

"— უარვყოფ, უარვყოფ".

ქრისტეს ჯვარცმა მოატანინა და ემთხვიეო, გამომიწოდა, მე ქრისტეს ფეხები, ხელები და დაჭრილი გვერდი დავუკოცნე.

მიბრძანა, ხმამაღლა ეცი თაყვანი უფალსო. ჯვარცმა იატაკზე დავდე, დავიჩოქე და ვთქვი:

"— უფალო, მხსნელო ჩემო, ჯვარზე გაკრულო ჩემი ცოდვებისთვის და ადამიანთა მთელი მოდგმის ცოდვებისთვის, თაყვანს გცემ. ღირსად ჩამთვალე და გამიწაწილე ტანჯვა, რომელიც შენ მიიღე; მაღირსე წვეთი სისხლი, შენ რომ დაღვარე, რათა განვიწმინდო. მომიტევე, უფალო, მე, როგორც მე მივუტევებ ჩემს ყველა მტერს... ".

მერე მკითხა:

"— აღიარებთ სარწმუნოებას?" — ვაღიარებ-მეთქი.

"— აღიარებთ სიყვარულს?.." — ვაღიარებ-მეთქი.

"— აღიარებთ იმედს?.." — ვაღიარებ-მეთქი.

"— აღიარებთ სათნოებას?.." ვაღიარებ-მეთქი.

ახლა აღარ მახსოვს, როგორ წარმოვსთქვამდი ამ სიტყვებს, მაგრამ ამაღელვებელი კი უნდა ყოფილიყო. რამდენიმე მონაზონის ქვითინი შემომესმა. ორივე ახალგაზრდა მღვდელმსახურს თვალი აუცრემლდა. უფროსმა ვიკარიუსმა გაოცებულმა მკითხა, საიდან ამოიღეთ ის ლოცვები, ახლა რომ თქვითო.

მე ვუპასუხე:

"— გულის სიღრმიდან. ეს ჩემი საკუთარი ფიქრები და გრძნობებია. მოწმედ უფალს მოვუხმობ, რომელსაც ყველაფერი ესმის და ახლაც აქ არის, ამ საკურთხეველთან. მე ქრისტიანი ვარ და უცოდველი. თუ შემიცოდავს, მხოლოდ უფალმა იცის, და მხოლოდ მას აქვს უფლება პასუხი მომთხოვოს და დამსაჯოს..."

ვთქვი ესა და უფროსმა ვიკარიუსმა მკაცრად გადახედა წინამძღვარს.

მალე ეს ყოველივე, რომლითაც უფლის სიდიადის შეურაცხყოფა, წმინდა ნაწილების შებღალვა და ეკლესიის დაცინვა სურდათ, აღსრულდა. მონაზვნები გაიკრიფნენ, დარჩა მხოლოდ წინამძღვარი, მე და ახალგაზრდა ღვთისმსახურნი. უფროსი ვიკარიუსი [illegible]ადმი გაგზავნილი დასმენის ბარათი ამოიღო, ხმამაღლა კითხულობდა და წერილში ჩამოთვლილ ბრალდებათა მიხედვით მაძლევდა კითხვებს:

"— რატომ არასოდეს ამბობთ აღსარებას?

— საშუალებას არ მაძლევენ და იმიტომ.

— რატომ არ იღებთ ზიარებას?

— საშუალებას არ მაძლევენ და იმიტომ.

— რატომ არ ესწრებით წირვას და სხვა ღვთისმსახურებას?

— საშუალებას არ მაძლევენ და იმიტომ.

წინამძღვარმა საუბარში ჩარევა მოინდომა, მაგრამ უფროსმა ვიკარიუსმა თავისი ჩვეულებრივი სიმკაცრით უთხრა:

— გაჩუმდით, ქალბატონო... ღამღამობით სენაკიდან რატომ გამოდიხართ?

— იმიტომ, რომ წყალს არ მაძლევენ, წამართვეს სურა და ყველა აუცილებელი ჭურჭელი, რაც ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო.

— თქვენს სენაკში ღამღამობით რატომ ისმის ხმაური?

— იმიტომ, რომ მოსვენებას არ მაძლევენ.

წინამძღვარს ისევ უნდოდა ჩარევა, მაგრამ მეორედაც უთხრეს:

— ქალბატონო, უკვე გითხარით გაჩუმდით-მეთქი! მაშინ მიპასუხეთ, როცა შეგეკითხებით... რა შეგემთხვათ იმ მონაზონთან, ხელიდან რომ გამოგტაცეს და უგრძნობლად მიგდებული ნახეს დერეფანში?

— ეს იმ შიშის შედეგი გახლავთ, ჩემზე რომ მთააგონებდნენ.

— თქვენი მეგობარია?

— არა, ბატონო.

— მის სენაკში არასოდეს შესულხართ?

— არასოდეს.

— იმასთან ან სხვებთან არასოდეს ჩაგიდენიათ მიუტევებელი საქციელი?

— არასოდეს.

— რატომ შეგბოჭეს?

— არ ვიცი.

— რატომ არ იკეტება თქვენი სენაკი?

— იმიტომ, რომ კლიტე გავტეხე.

— რატომ გატეხეთ?

— იმიტომ, რომ კარი გამეღო და ამაღლების წირვას დავსწრებოდი.

— ესე იგი, თქვენ იმ დღეს ეკლესიაში იყავით?

— დიახ, ბატონო...

წინამძღვარმა ველარ მოითმინა:

— ეს ტყუილია, ბატონო, მთელი კრებული...

გავაწყვეტინე:

— მთელი კრებული დამიმოწმებს, რომ სალოცავის კარი დაკეტილი იყო, რომ მონაზვნებმა კართან გაწოლილი მნახეს, რომ

თქვენ უბრძანეთ ჩემზე გადაევლოთ და ზოგიერთმა შეასრულა კიდეც თქვენი ბრძანება. მე მათ მივუტევე, თქვენც მოგიტევებთ, ქალბატონო, თუმცა ეს ბრძანება სწორედ თქვენ გაეცით. მე აქ ბრალმდებლად არა ვარ. მე საკუთარი თავის დაცვა მსურს.

— რატომ არ ატარებთ კრიალოსანსა და ჯვარცმას?

— იმიტომ, რომ წამართვეს.

— სად არის თქვენი კურთხევანი?

— წამართვეს.

— როგორღა ლოცულობთ?

— გულით და გონებით, თუმცა ლოცვაც ამიკრძალეს.

— ვინ აგიკრძალათ?

— წინამძღვარმა, ქალბატონმა...

წინამძღვარს კვლავ ლაპარაკში ჩარევა უნდოდა.

— ქალბატონო, — ჰკითხა უფროსმა ვიკარიუსმა, — მართალს ამბობს, რომ ლოცვა აუკრძალეთ? ჰო თუ არა?

— მე ვფიქრობდი და მიზეზიც მქონდა მეფიქრა, რომ...

— ამას არ გეკითხებიან. აუკრძალეთ თუ არა ლოცვა? ჰო თუ არა?

— ავუკრძალე, მაგრამ...

— მაგრამ, — გაიმეორა უფროსმა ვიკარიუსმა, — ... დაო სიუზანა, რატომ ხართ ფეხშიშველი?

— იმიტომ, რომ არც წინდებს მაძლევენ და არც ფეხსაცმელს.

— რატომ არის თქვენი თეთრეული და ტანსაცმელი ასე დაფლეთილი და ჭუჭყიანი?

— იმიტომ, რომ აგერ სამი თვეა თეთრეულს მიმალავენ და სხვა გზა არა მაქვს, ჩაცმული ვიძინებ.

— რატომ გძინავთ ჩაცმულს?

— იმიტომ, რომ არ გამაჩნია არც ლეიბი, არც საბანი, არც ზეწარი, არც ღამის პერანგი, ჩემს სენაკს კი ფარდები არა აქვს.

— რატომ არ გაგაჩნიათ?

— იმიტომ, რომ წამართვეს.

— საჭმელს გაჭმევენ...

— ვმათხოვრობ.

— ანუ არ გაჭმევენ...

გავჩუმდი, მან დაუმატა:

— დაუჯერებელია, რად გეპყრობიან ასე მკაცრად თუკი დიდი რამ ცოდვა არ ჩაგიდენიათ და სასჯელს არ იმსახურებთ.

— ჩემი ცოდვა ის არის, რომ მონაზვნური ცხოვრება არ მიტაცებს. მსურს გავტეხო აღთქმა, რომელიც ჩემი სურვილის გარეშე მიმალებინეს.

— ამ საქმის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს ძალუძს, და როგორიც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება, ვიდრე აქა ხართ, მონაზვნის ყველა მოვალეობა უნდა შეასრულოთ.

— ბატონო, ისე გულმოდგინედ არავინ ასრულებს მონაზვნის მოვალეობას, როგორც მე.

— იგივე უფლებებით უნდა ისარგებლოთ, როგორითაც სხვანი სარგებლობენ.

— მეც ამას ვითხოვ.

— არავის უჩივით?

— არა, ბატონო, უკვე გითხარით, რომ აქ ჩემი თავის დაცვა მსურს და არა ვინმესთვის ბრალის დადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადით.

— სად, ბატონო?

— თქვენს სენაკში.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, მერე შემოვბრუნდი და წინამძღვრისა და უფროსი ვიკარიუსის ფეხებთან დავემხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გნებავთ? — მკითხა მან.

გატეხილი თავი, გასისხლიანებული ფეხები, ჩალურჯებული კანგაცლილი ხელები, ჩაბინძურებული და დაფხრეწილი სამოსელი ვაჩვენე და ვთქვი: — ნახეთ!"

მე მესმის თქვენი, ბატონო მარკიზო, თქვენი და კიდევ სხვებისაც, ვინც წაიკითხავს ამ ჩანაწერებს: 'რა საშინელებაა, თანაც რამდენი, რამდენნაირი და დაუმთავრებელი! რაოდენი სისასტიკე ჩაბუდებულა მონაზვნების სულში! დაუჯერებელია!" — თქვენ ასე იტყვით და ისინიც. მეც დაგეთანხმებით, ეს სინამდვილეა. დაე, ზეცამ, რომელსაც მოწმედ ვუხმობ, მთელი სიმკაცრით დამსაჯოს და მარადიულ ცეცხლში მომივლინოს ტანჯვა, თუ ჩემს თავს უფლებას მივცემ და ცილისწამების ფერით ოდნავ მაინც გავამუქებ ამ ჩანაწერების თუნდაც ერთ ხაზს! დიახ, წინამძღვრის მტრობას დიდხანს განვიცდიდი და ნათლადაც ვხედავდი ამ მტრობის ზეგავლენით ზოგიერთში რა სწრაფად იზრდებოდა დაბადებითვე ჩაბუდებული გარყვნილება, რაც ბოროტებისკენ უბიძგებდა მათ, რისთვისაც ჯილდოსაც იმსახურებდნენ; და მაინც წყენა სამართლიანობაში ხელს არასოდეს შემიშლის. რაც მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ის რაც გადამხდა, თითქოს არასოდეს მომხდარა და შეიძლება არც არასოდეს მოხდეს. ეს მხოლოდ ამ ერთხელ და უფალმა ქნას, პირველიც იყოს და უკანასკნელიც. ბედისწერამ ასე ინება, ხოლო მისი გზები ჩვენთვის უცნობია. მან თავისი იდუმალი კანონებით ყველაფერი იღონა, რათა უბედურ გოგონას თავს დასტყდომოდა. ვიტანჯე, ბევრი ვიტანჯე, მაგრამ ასე მგონია და ასე მეგონება, რომ ჩემი მწვალებლების ხვედრი უფრო დიდი სიბრალულის ღირსია, ვიდრე ჩემი ხვედრი. ჩემი როლის ღალატს და მათ ადგილზე გადასვლას სიკვდილი მერჩივნა და ახლაც მირჩევნია. ვფიქრობ, ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღება, თქვენი სიკეთე ამის იმედით მავსებს. მათ კი სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე გაჰყვებათ ჩადენილი დანაშაულის, სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის გრძნობა. მათ, ალბათ, შეიგნეს კიდეც დანაშაული, ეჭვიც არ შეგეპაროთ ამაში, და მთელი სიცოცხლე ემახსოვრებათ. შიშის ზარი საფლავშიაც თან ჩაჰყვებათ, მაგრამ ბატონო მარკიზო, ჩემი ბედი მაინც სავალალოა, სიცოცხლე ჩემთვის მძიმე ტვირთია. მე ქალი ვარ და გონებასუსტი, როგორც ყველა ქალი. უფალმა შეიძლება მიმატოვოს, აღარც ძალა გამაჩნია, აღარც გამბედაობა და რაც აქამდე გადავიტანე, ხელმეორედ ველარ გადავიტან. გეშინოდეთ, ბატონო მარკიზო, რომ საბედისწერო ზარმა არ დაჰკრას. მაშინ უკვე რამდენიც უნდა იტიროთ ჩემს ბედზე, რამდენიც უნდა გატანჯოთ თქვენი სინდისი, იმ უფსკრულიდან ამოსვლაში ველარ მიშველით, სადაც ჩამფლავენ. იგი სასოწარკვეთილი უბედურისთვის სამუდამოდ ჩაიკეტება.

"— წადით", — მითხრა უფროსმა ვიკარიუსმა.

ერთმა ღვთისმსახურმა ხელი გამომიწოდა და აღგომაში მომეხმარა. უფროსმა ვიკარიუსმა დაუმატა:

"— ახლა თქვენს წინამძღვარს დავკითხავ, მანამდე არ წავალ აქედან, ვიდრე წესრიგი არ აღსდგება".

გამოვედი. მონასტრის მთელი კრებული შეწუხებული დამხვდა. ყველა მონაზონი საკუთარი სენაკის ზღურბლთან იდგა. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. როგორც კი გამოვჩნდი, სენაკებში შევიდნენ და კარები ერთიმეორის მიყოლებით ხმაურით მიხურეს. ჩემს სენაკში შევედი, კედელთან ჩავიჩოქე და ლოცვა დავიწყე. უფალს შევთხოვდი ჩემთვის თავშეკავება მთაენერგა, უფროსი ვიკარიუსისთვის კი — ჩემი უდანაშაულობა და სიმართლე.

ჯერ ისევ ვლოცულობდი, როცა ის, ორივე თანაშემწით და წინამძღვრის თანხლებით, ჩემს სენაკში შემოვიდა. უკვე გითხარით, არც ნოხი მქონდა, არც სკამი, არც სამლოცველო პატარა სკამი, არც ჩარდახის ფარდები, არც ლეიბი, არც საბანი, არც ზეწრები, არც ჭურჭელი; კარს საკეტი არ ჰქონდა, ფანჯრებში კი ქარი დაქროდა. წამოვდექი. უფროსი ვიკარიუსი გაოცებული შეჩერდა, წინამძღვარს გულისწყრომით გადახედა და უთხრა:

"— აბა, ქალბატონო?

მან უპასუხა:

— მე არაფერი ვიცოდი.

— არ იცოდით? ერთი დღე კი გავიდოდა ისე, აქ არ შემოსულიყავით? დღესაც აქ არ იყავით, ვიდრე ეკლესიაში ჩახვიდოდით?... დაო სიუზანა, მიპასუხეთ, თქვენი წინამძღვარი იყო დღეს აქ თუ არა?"

მე ვდუმდი. მას აღარ დაუყინია. ახალგაზრდა მღვდელმსახურები ხელებჩამოყრილნი, თავჩაქინდრულნი და მიწას ჩაშტერებულნი იდგნენ, მათი გაოცება და გულისტკივილი აშკარად ჩანდა. მერე ყველა გავიდა და დერეფნიდან მომესმა, როგორ უთხრა უფროსმა ვიკარიუსმა წინამძღვარს:

"— თქვენი წოდების ღირსი არა ბრძანდებით. გადაყენებას იმსახურებთ. მის მაღალყოვლადუწმინდესობას საჩივარს წარვუდგენ. ვიდრე აქედან გავიდოდე, ამ არეულობას რამე უშველეთ და მოაწესრიგეთ.

და თავის ქნევით დაუმატა:

— შემზარავია! ქრისტიანები! მონაზვნები! ადამიანები! შემზარავია!"

მეტი არაფერი გამიგია. მაგრამ მომიტანეს თეთრეული, ტანსაცმელი, საწოლის ჩარდახის ფარდები, ზეწრები, საბანი, ჭურჭელი, კურთხევანი, ლოცვანი, კრიალოსანი, ჯვარცმა... ფანჯრებში მინა ჩასვეს. მოკლედ, ყველაფერი გაკეთდა, რომ მეც დანარჩენი მონაზვნებივით მეცხოვრა. მისაღებ ოთახში გასვლის უფლება მომცეს, ოღონდ ჩემს პროცესთან დაკავშირებული საქმიანი შეხვედრების დროს.

საქმე კი ცუდად მიდიოდა. ბატონმა მანურიმ გამოაქვეყნა პირველი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც არც დიდი წარმატება მოჰყოლია და არც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მასში ძალზე ბევრი მსჯელობა იყო, და ძალზე ცოტა გრძნობა, არაფერს ვამბობ დასაბუთებაზე. ამ მოხერხებული ადვოკატისთვის ყველაფრის დაბრალება მაინც არ შეიძლება. თვითონაც არ მინდოდა რაიმე ჩრდილი მიმეყენებინა მშობლების ხსოვნისთვის, ვერც მონაზონთა წოდებას ვიმეტებდი და ვერც იმ მონასტერს, სადაც ვიყავი. არც ჩემი სიძეების და დების საძაგლად წარმოდგენა მინდოდა. ჩემს სასარგებლოდ მხოლოდ

ჩემი პირველი პროტესტი ლაპარაკობდა, რომელიც საკმაოდ საზეიმოდ იყო წარმოთქმული, მაგრამ სხვა მონასტერში და შემდეგში არსად აღარ განმეორებულა. როცა დამცველს ამგვარ შეზღუდულ პირობებს კარნახობთ დასაცავად და საქმე ისეთ მოწინააღმდეგეთან გაქვთ, რომელიც თავდასხმაში ანგარიშს არაფერს უწ[illegible] ქელავს სიმართლესაც და უსამართლობასაც, ერთნაირი [illegible] ამტკიცებს და უარყოფს, არ წითლდება არც ცრუ ბრალდების, არც ძვირის თქმის და არც ცილისწამების წინაშე, ძნელი იქნება გამარჯვების მიღწევა, განსაკუთრებით კი იმ სასამართლოში, სადაც დადგენილი ჩვეულება და ერთფეროვანი საქმეები ხელს გიშლიან თვით ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის სინდისიერად განსასჯელად. იმგვარ საქმეს, როგორიც ჩემი იყო, პოლიტიკოსები ყოველთვის კეთილმოსურნეობით როდი უყურებენ, ეშინიათ, ერთი მონაზვნის აღთქმის დარღვევით მიღწეულ წარმატებას სხვა მონაზვნებიც არ მიჰყვნენ და ასე, დაუსრულებლად. ადამიანები იდუმალად გრძნობენ, რომ თუ ერთი უბედურის წინაშე მაინც გააღებ ამ საპატიმროთა კარებს, უმალვე მთელი ბრბო მოგროვდება კარებთან და ძალით ეცდებიან ოთხი კედლიდან გაღწევას. ამიტომ ჰკლავენ ჩვენში სიმამაცეს, გვაიძულებენ ბედს შევურიგდეთ და ჩაგვჩიჩინებენ, რომ აღარაფერი შეიცვლება. მე კი მაინც მგონია, რომ წესიერი მართვა-გამგეობის სახელმწიფოში პირიქით უნდა ხდებოდეს. სასულიერო ცხოვრებაში შესვლა უნდა იყოს ძნელი, გამოსვლა კი ადვილი. და რატომ არ უნდა შევადაროთ ეს შემთხვევა იმ დანარჩენ შემთხვევებს, რომელშიც ფორმალობის დაცვის დროს უმცირესი შეცდომაც კი სასამართლო პროცესს აყალბებს, სიცრუის გზაზე აყენებს, თუნდაც სხვა მხრივ სწორად იყოს აგებული? ნუთუ სახელმწიფო წყობილებისთვის მონასტრები აუცილებელია? განა იესო ქრისტემ დაგვიწესა ბერობა და მონაზვნობა? ნუთუ ეკლესია უამისოდ ვერ იარსებებს? რაში სჭირდება ზეციურ მეუღლეს ამდენი უგუნური, უბინო დედაკაცი, ადამიანთა მოდგმას კი ამდენი მსხვერპლი? ნუთუ ადამიანები ვერასოდეს მიხვდებიან, რომ დაავიწროვონ ის უფსკრული, სადაც მომავალი თაობები იჩეხებიან? განა აქ წარმოთქმული ლოცვა ღირს კი იმ ერთ გროშად, რომელსაც შემბრალებლობა გლახაკთ უბოძებს? ნუთუ ღმერთი, რომელმაც ადამიანი თავის სახედ შექმნა, ნებას მისცემს ვინმეს, რომ იგი სენაკში ჩაკეტოს? განა შეიძლება, უფალმა, რომელმაც ადამიანი ასეთი მერყევი და ასეთი სუსტი შექმნა, ასეთი წინდაუხედავი აღთქმები დაუწესოს? განა შეიძლება, რომ იმ მიდრეკილებათა, რაც ბუნებამ დაგვიწესა, საწინააღმდეგო აღთქმები ვინმემ ბოლომდე დაიცვას, გარდა იმ რამდენიმე სნეულისა, რომელთაც ვნება უკვე დაშრეტიათ და სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ მახინჯთა მოდგმას? ნუთუ ჩვენი ცოდნა უფლებას არ გვაძლევს ისევე ადვილად გავერკვეთ ადამიანის ფარულ ბუნებაში, როგორც გარეგან ფორმაში? ნუთუ იმ წყვდიადით მოცულმა წესებმა, მორჩილებისა და აღკვეცის დროს რომ იცავენ, როცა კაცსა და ქალს მონაზვნურ ცხოვრებას და ამასთან ერთად უბედურებასაც აზიარებენ, შეიძლება ამოძირკვოს ჩვენში ცხოველური ინსტინქტი? პირიქით ხომ არ ხდება, სიჩუმის, იძულებისა და უქმად ყოფნის წყალობით ეს ინსტინქტი ხომ არ ცოცხლდება იმგვარი ძალით, როგორიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის უცხოა და მრავალ თავშესაქცევთა წყალობით მიყრუებული? სად შეიძლება შეხ-

ვდეთ ბიწიერი ზმანებებით შეპყრობილთ, მოუშორებლად რომ დასდევენ და აღელვებთ? სად შეიძლება შეგძრათ ღრმა კაეშანმა, გადაფითრებულმა სახემ და ჩამომჭკნარმა სხეულმა, ადამიანის ბუნებას რომ ამახინჯებს და ანადგურებს? საიდან ისმის ლამლამობით გმინვა, დილიდან საღამომდე კი სად იღვრება უმიზეზო ცრემლი, რომელსაც გულჩათხრობილი სევდა მოჰყვება? სად არის, რომ [illegible] ამბოხებული ბუნება ყველა წინააღმდეგობას ამსხვრევს, შმაგდება და ადამიანებს გარყვნილების იმგვარ უფსკრულში უბიძგებს, საიდანაც მოსაბრუნებელი გზა აღარ რჩება? სხვა რომელია იმგვარი ადგილი, სადაც ჯავრი და მწუხარება სხვა ყოველივეს ანადგურებს? არის კიდევ სხვა ადგილი, სადაც არც მამა, არც დედა, არც ძმა, არც და, არც ნათესავი და არც მეგობარი არ არის? სად არის კიდევ, რომ ადამიანი საკუთარ თავს მხოლოდ წარმავალ არსებად მიიჩნევს და სამყაროსთან იმგვარად არის დაკავშირებული, როგორც მოგზაური გზად შემხვედრ საგნებთან, რომელთანაც არავითარი კავშირი არა აქვს? სად არის ზიზღის, სიძულვილისა და სასოწარკვეთის სადგომი? სად ბატონობს ასე მონობა და დესპოტიზმი? სად ანთია ჩაუმქრალი სიძულვილი? სად იფურჩქნება სიჩუმეში მომწიფებული ვნებები? სად სუფევს სიმკაცრე და ცნობისმოყვარეობა? "არავინ იცის ისტორია ამ თავშესაფრებისა, — ამბობდა ბატონი მანური სასამართლოზე, — არავინ იცის იგი". სხვა ადგილას უმატებდა: "სიღლახის აღთქმა მისცე, ეს იგივეა, ფიცით შეეკრა უქნარობასა და მძარცველობას. დადო აღთქმა უმანკოებისა, იგივეა, უფალს აღუთქვა მისი ყველაზე უფრო ბრძნული და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კანონების მუდმივი ღალატი: მისცე მორჩილების აღთქმა, იგივეა, უარი თქვა ადამიანის თანდაყოლილ, განსაკუთრებულ უფლებაზე — თავისუფლებაზე. თუ ადამიანი ამგვარ აღთქმას იცავს, დამნაშავეა. თუ არღვევს, ფიცის გამტეხია. ცხოვრება მონასტერში ფანატიკოსის, ანდა ფარისეველის ცხოვრებაა".

ერთმა ქალიშვილმა მშობლებს ჩვენი მონასტრის მონაზონთა საკრებულოში შემოსვლის უფლება სთხოვა. მამამ თანხმობა განუცხადა, მაგრამ სამი წლის ვადა მისცა მოსაფიქრებლად. რელიგიური ცეცხლით აღგზნებულ ქალიშვილს ეს პირობა მძიმე მოეჩვენა, მაგრამ მაინც დაემორჩილა. მოწოდებამ არ უმტყუნა და კვლავ მამასთან მივიდა, — სამი წელი გავიდაო, — შეახსენა. "კეთილი, შვილო, — უთხრა მამამ, — ეს სამი წელი გამოსაცდელად მოგეცი, იმედი მაქვს, არც თქვენ მეტყვით უარს და ამდენივე ხანს მეც მომცემთ გადასაწყვეტად". ეს უფრო დიდ ტანჯვად მოეჩვენა გოგონას და ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ მამა მტკიცე ხასიათის კაცი იყო და თავის სიტყვას არ გადაუხვია. ექვსი წლის მერე გოგონა ჩვენს მონასტერში მოვიდა და მონაზვნად აღიკვეცა. კარგი მონაზონი იყო, უბრალო, მოკრძალებული, ღვთისმოსავი, პატიოსნად აღმსრულებელი ყველა მოვალეობის. მაგრამ სულიერმა მოძღვარმა ბოროტად გამოიყენა მისი გულწრფელი აღიარება იმის შესახებ, რაც მონასტერში ხდებოდა და საეკლესიო სასამართლოში იჩივლეს. მონასტრის ხელმძღვანელობა ყველაფერს მიხვდა და გოგონა ჩაკეტეს, საეკლესიო წესების დაცვის უფლება ჩამოართვეს. გოგონა ჭკუიდან შეცდა. რა გონება გაუძლებდა ორმოცდაათი მონაზვნის დევნას, რომლებიც დილიდან საღამომდე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაეტანჯეთ. მანამდე გოგონას დედას მახე დაუგეს, რაც ცხადად მოწმობს მონასტრებში

გამეფებულ სიხარბეს. ურჩიეს მონასტერში მოსულიყო და შვილი ენახა. დედამ უფროს ვიკარიუსს მიმართა, ნახვის უფლება მიიღო. ჩამოვიდა. შვილის სენაკში შევიდა, მაგრამ გაოცებული დარჩა, როცა მხოლოდ ოთხი შიშველი კედელი დაინახა. სენაკიდან ყველაფერი გაეტანათ. კარგად მოეხსენებოდათ, მგრძნობიარე და მოსიყვარულე დედა შვილს ამგვარ მდგომარეობაში რომ არ დატოვებდა. მართ[illegible]ა ხელახლა მოაწყო სენაკი, გოგონას ახალი თეთრეული, ტანსაცმელი უყიდა, მაგრამ წასვლის წინ მონაზვნებს განუცხადა, რომ ეს სტუმრობა ძალზე ძვირი დაუჯდა და ეცდება მეორედ აღარ გაიმეოროს... წელიწადში სამი-ოთხი ასეთი ვიზიტი და მთლად გაკოტრდებოდნენ მისი დანარჩენი შვილები... კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით მშობლები მსხვერპლად სწირავენ ოჯახის ზოგიერთ წევრს, რათა დანარჩენებს მდგომარეობა შეუმსუბუქონ. მონასტერი უძირო უფსკრულია, სადაც საზოგადოების ნუნს ყრიან. რამდენი დედის ერთი საიდუმლო ცოდვა გამოუსყიდია სხვას, როგორც ეს ჩაიდინა დედაჩემმა!

ბატონმა მანურიმ ჩემი საქმის გამო მეორე მოხსენებითი ბარათი წარადგინა, რომელსაც პირველზე ცოტა მეტი წარმატება ხვდა, რამაც საქმის წარმოება სწრაფად გამოაცოცხლა. მე კვლავ ჩემს დებს მივმართე, ვარწმუნებდი, მემკვიდრეობას სრულად და განუყოფლად თქვენს სარგებლობაში დავტოვებ-მეთქი. ერთხანს ჩემი პროცესი თითქოს ხელსაყრელად შემობრუნდა, იმედიც მომეცა თავისუფლებას მივიღებ-მეთქი, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. ჩემი საქმე სასამართლოში ირჩეოდა და წავაგეთ, რაც მონაზონთა მთელმა საკრებულომ გაიგო, მე კი არ ვიცოდი, რაღაც ფაციფუცი კი შევამჩნიე, ზეიმური გამოხედვა, იდუმალი ჩურჩულ-კურკური, ერთმანეთთან და წინამძღვართან მისვლა-მოსვლა. ვღელავდი. არც სენაკში დარჩენა შემეძლო, არც გარეთ გასვლა. ერთი მეგობარიც არა მყავდა, რომ ხელებში ჩავვარდნოდი. ოჰ, ის სასტიკი დილა, სასამართლო პროცესის დილა! ლოცვა მინდოდა — ვერ შევძელი; ვიჩოქებდი, ვცდილობდი გულისყური მომეკრიბა, ლოცვას ვიწყებდი, მაგრამ აზრი ჩემდა უნებურად სასამართლოსკენ მირბოდა. ვხედავდი მოსამართლეებს, მესმოდა ადვოკატთა სიტყვები, მეც რაღაცას ვეუბნებოდი, ვაწყვეტინებდი ჩემს ადვოკატს, რადგან მეგონა ცუდად მიცავდა. არც ერთ მოსამართლეს არ ვიცნობდი, მაგრამ მათი სახეები ჩემს წარმოდგენაში იხატებოდა: ერთნი კეთილგანწყობილნი იყვნენ, მეორენი — პირქუშნი, მესამენი — გულგრილნი. ძნელია გადმოცემა რა აღგზნებული და დაბნეული ვიყავი. მონაზონთა იდუმალი ხმაური ღრმა მდუმარებამ შეცვალა, ერთმანეთს უკვე აღარ ეჩურჩულებოდნენ. ისიც კი მომეჩვენა, რომ გუნდში მათი ხმები უფრო ხმამაღლა აჟღერდა, ყოველ შემთხვევაში იმათი ხმები, ვინც მღეროდა. ზოგიერთს სულაც არ შეეძლო სიმღერა. ლოცვის მერე ყველა მდუმარედ წავიდ-წამოვიდა. მე კი თავს ვაჯერებდი, ისინიც ჩემსავით არიან ლოდინით შეშფოთებულნი-მეთქი. მაგრამ შუადღისას ხმაური და მისვლა-მოსვლა ყოველ კუთხეში ერთბაშად განახლდა. მესმოდა ჯახუნი. მონაზვნები აქეთ-იქით დარბოდნენ, ჩურჩულებდნენ. ყური კარის საკეტის ჭუჭრუტანას მივადე და მომეჩვენა, რომ ჩემი კარის წინ გავლისას ყველა ჩუმდებოდა და თითის წვერებზე დგებოდა. მივხვდი, პროცესი წაგებული მქონდა, ამაში ეჭვიც აღარ მეპარებოდა. ხმის ამოუღებლად დავიწყე სენაკში წრიალი, რაღაცა მახრჩობდა, მაგრამ არც კვნესა შემეძლო,

არც ტირილი, თავზე ხელებშემოჭერილი ხან ერთ კედელს ვეყრდნობოდი შუბლით, ხან — მეორეს. საწოლზე მინდოდა წამოწოლა, მაგრამ გული ისე ძლიერ მიცემდა, კაბის გულისპირი როგორ [illegible]-ჩამოდიოდა იმასაც ვხედავდი. ამ ყოფაში ვიყავი, როცა მოვიდნენ და გამომიძახეს. კიბეზე კი ჩავედი, მაგრამ ნაბიჯიც ვეღარ [illegible]. ჩემს დასაძახებლად მოსული მონაზონი ისეთი მხიარ[illegible] მივხვდი, რაც მოხდა. ამბავი, რომელსაც მაცნობებდნენ, არ შეიძლება სამწუხარო არ ყოფილიყო. მაგრამ მაინც წავედი. მისაღები ოთახის კართან უცბად შევჩერდი, კუნჭულში მივიყუჟე. მაგრამ ძალა მაინც ვერ მოვიკრიბე. ბოლოს გავბედე და შევედი. ოთახში არავინ იყო. დაველოდე. ეტყობა, იმას, ვინც გამომიძახა ნება არ დართეს ჩემზე ადრე მოსულიყო. ეჭვი არ იყო, ჩემი ადვოკატის გამოგზავნილი კაცი იქნებოდა. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მონაზვნები ჩვენი საუბრის მოსასმენად შეიკრიბნენ. როცა შემოვიდა, მე ვიჯექი, იდაყვით ღობურის მოაჯირს ვეყრდნობოდი, თავი კი ხელზე მქონდა ჩამოდებული:

"— ბატონმა მანურიმ გამომგზავნა. — თქვა მან.

— რათა მაუწყოთ, რომ საქმე წავაგე? — ვუპასუხე მე.

— ქალბატონო, მე არაფერი ვიცი. ეს ბარათი გადმომცა, როცა ბარათს მაძლევდა, ძალზე სევდიანი სახე ჰქონდა. როგორც მიბრძანა, მაშინვე აქეთ გამოვეშურე.

— მომეცით...

მან წერილი გამომიწოდა, გამოვართვი, არ შევრხეულვარ, არც შემიხედია, ბარათი მუხლებზე დავიდე და ისევ გავშეშდი.

— პასუხი არ იქნება?

— არა, — ვუპასუხე, — შეგიძლიათ წახვიდეთ".

ის წავიდა. მე ვიჯექი; განძრევის თავი არა მქონდა, მისაღები ოთახიდან გასვლა ვერ გადამეწყვიტა.

მონასტრებში წინამძღვრის ნებართვის გარეშე წერილის მიღება ან გაგზავნა აკრძალულია. წინამძღვარს წერილებს აჩვენებს ისიც, ვინც წერს, და ისიც, ვინც ღებულობს. ჩემი წერილი მისთვის უნდა მიმეტანა. და წინამძღვრის სენაკისკენ წავედი. მეგონა, იქამდე ვერასოდეს მივაღწევდი. ასე ნელა, ასე დათრგუნული და ფეხათრეული ის მსხვერპლიც ვერ ივლიდა, რომელიც თავისი სასიკვდილო განაჩენის მოსასმენად მიდის. ბოლოს მივაღწიე კარამდე. მონაზვნები შორიდან მითვალთვალებდნენ, აქაოდა, არაფერი გამოგვრჩესო, არც ჩემი მწუხარება და არც ჩემი დამცირება. დავაკაკუნე. კარი გამიღეს. წინამძღვართან რამდენიმე მონაზონი შეკრებილიყო. თავის აწევას ვერ ვბედავდი და მხოლოდ მათი კაბების ქობას ვხედავდი. აკანკალებული ხელით წერილი გავუწოდე. გამომართვა. წაიკითხა და დამიბრუნა. მერე ჩემს სენაკში დავბრუნდი, საწოლზე დავეცი და წერილი გვერდით დავიდე. ასე მედო წაუკითხავად, არც სადილად წავსულვარ, შუადღის ლოცვამდე ვიწექი. ოთხის ნახევარზე ზარების ჩამორეკვამ გამომაფხიზლა — ლოცვად დადგომის დრო იყო. ეკლესიაში რამდენიმე მონაზონი დამხვდა. წინამძღვარი სამლოცველოს კართან იდგა. გამაჩერა და მიბრძანა, კარს უკან დაიჩოქეო. როცა ყველანი მოგროვდნენ, კარი ჩაკეტა. ლოცვის მერე ყველა მონაზონი გამოვიდა. ისინი გავატარე, მერე ავდექი და წამოვედი. ამ წუთიდან გადავწყვიტე საკუთარი თავი დამესაჯა და ყველაფერს მორჩილად შევხვედროდი,

რასაც კი მომთხოვდნენ: ამიკრძალეს ეკლესიაში სიარული, მაშინ მე თვითონ შევწყვიტე სატრაპეზოში სიარული და დასასვენებელ ოთახში გამოჩენა. ყოველმხრივ ავწონ-დავწონე ჩემი ყოფა და ხსნის ერთადერთ საშუალებად ჩემი ნიჭი და სრული მორჩილება დავინახე. რამდენიმე დღე და, თითქოს ყველას დავავიწყდი; გული არ [illegible] და, თუ მერეც ასე გაგრძელდებოდა. მნახველები მომ[illegible] მაგრამ შეხვედრის უფლება ერთადერთ კაცთან დამრთეს. ეს კაცი ბატონი მანური იყო. მისაღებში რომ შევედი, ისიც იმავე პოზაში დამხვდა, როგორ პოზაშიც მე ვიყავი, როცა მის მიერ გამოგზავნილი კაცი მივიღე, თავი ხელზე ჩამოედო, იდაყვით კი მოაჯირს ეყრდნობოდა. ვიცანი, მაგრამ არაფერი მითქვამს. თავად კი ვერც შემოხედვა გაბედა, ვერც ლაპარაკი.

"— ქალბატონო, — თქვა ისე, არ განძრეულა, — წერილი მოგწერეთ. წაიკითხეთ?

— მივიღე, მაგრამ არ წამიკითხავს.

— მაშ, თქვენ არ იცით...

— არა, ბატონო, ისედაც ყველაფერი ვიცი. მივხვდი ჩემს ბედს და დავემორჩილე.

— მას მერე როგორ გეპყრობიან?

— ჩემზე ჯერ არ ფიქრობენ, მაგრამ წარსული მკარნახობს, რასაც მომავალი მიმზადებს. ერთი ნუგეში მაქვს მხოლოდ, ვეღარ შევძლებ იმას, რაც ადრე გადავიტანე და მოვკვდები. ჩემი ცოდვა ის როდია, რასაც მონასტრებში მიუტევებენ. მე არ შევთხოვ ღმერთს, მოალბოს იმ ქალის გული, რომლის ნება-სურვილსაც მიანდო ჩემი თავი. მხოლოდ იმას ვთხოვ, ძალა მომანიჭოს ტანჯვის გადასატანად, გადამარჩინოს სასოწარკვეთილებას და ჩქარა მიხმოს თავისთან.

— ქალბატონო, — მითხრა თვალცრემლიანმა, — საკუთარი და რომ ყოფილიყავით, მაშინაც მეტს ვერაფერს გავაწყობდი...

ამ კაცს კეთილი გული აქვს.

— ქალბატონო, — განაგრძო მან, — თუ შემიძლია რაიმე სარგებლობა მოგიტანოთ, მიბრძანეთ. სასამართლოს თავმჯდომარესთან წავალ, იგი მაფასებს. ვნახავ უფროს ვიკარიუსს და მთავარეპისკოპოსს.

— ნურავის ნახავთ ბატონო, ყველაფერი დამთავრებულია.

— მაგრამ თუ ისინი სხვა მონასტერში გადაყვანას მოგიხერხებენ?

— ძალზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდებათ.

— რა წინააღმდეგობა?

— ძნელია ნებართვის მიღება, მერე ახალი ხარჯის შეტანა გახდება საჭირო ან ამ მონასტრიდან ძველი ხარჯის გამოტანა. თანაც სხვა მონასტერში რაღას უნდა ველოდო? ჩემი გაქვავებული გული, შეუბრალებელი წინამძღვრები, მონაზვნები, რომლებიც აქაურებზე უკეთესნი არ იქნებიან. იგივე მოვალეობები, იგივე ტანჯვა-წამება. მირჩობს, ჩემი დღენი აქ დავამთავრო. აქ უფრო ხანმოკლე იქნება.

— მაგრამ თქვენმა ამბავმა, ქალბატონო, ბევრ პატივცემულ პიროვნებას თანაგრძნობა აღუძრა. მათი უმრავლესობა მდიდარია. თუ აქედან ისე წახვალთ, არაფერს წაიღებთ, ძალით ვერ დაგაკავებენ.

— შეიძლება.

— თუ მონაზონი მონასტერს ტოვებს ანდა კვდება, ყველაფერი დამრჩომთ რჩებათ.

— მაგრამ იმ პატივცემულმა და მდიდარმა ხალხმა უკვე დამივიწყა. ისინი მაშინვე ცივად შეხვდებიან ჩემს ამბავს, როცა გაიგებენ, რომ ხარჯის შემოწირვა დასჭირდებათ. გგონიათ, მონასტრიდან ვინმე სიამოვნებით გამოიყვანს მონაზონს, რომელსაც მონაზვნისა არაფერი სცხია? განა მათთვის კი ვინმეს ადვილად შეაქვს რაიმე თანხა, ვინც მონასტერში საკუთარი ნებით მიდის? ეჰ, ბატონო, პროცესის წაგებისთანავე ყველამ მიმატოვა, ველარავის ვხედავ.

— ქალბატონო, ეს საქმე დამავალეთ და თავს ბედნიერადაც ჩავთვლი.

— არაფერს ვითხოვ, არაფრის იმედი არა მაქვს, არაფრის წინააღმდეგობა აღარ შემიძლია, ერთადერთი იმედიც დამსხვრეულია, ერთადერთი ნუგეში ისლა იქნებოდა, რომ ღმერთს შევეცვალე და ნაცვლად გაქცევისა მონაზვნობის სურვილი ჩაენერგა... მაგრამ ეს შეუძლებელია. მონაზვნის ტანსაცმელი ჩემს ტანს, ჩემს ძვლებს დიდ სიმძიმედ დააწვა და ახლა უფრო მეტად მაწუხებს. აჰ, რა უცნაურია ბედი! ამაზე უარესი რაღა იქნება, განწირული იყო მარადიული მონაზვნობისთვის, თან იცოდე, რომ მუდამ ცუდი მონაზონი იქნები და მთელი ცხოვრება თავი უნდა ახალო საპატიმროს კარს!

ახლა კი ავქვითინდი. თავის დაოკება მინდოდა და ვერ მოვახერხე. განცვიფრებულმა ბატონმა მანურიმ მკითხა:

— ქალბატონო, შეიძლება ერთი კითხვა მოგცეთ?

— გთხოვთ, ბატონო.

— ამგვარ მწუხარებას რაიმე იდუმალი მიზეზები ხომ არ იწვევს?

— არა, ბატონო. მძულს განდეგილის ცხოვრება, მეზიზღება და ეს ზიზღი მუდამ მექნება. ვერ შევძლებ იმის გადატანას, რითიც სავსეა განდეგილის ყოველი დღე და, რომელიც ჩემთვის საძულველი, ბავშვური სისულელეებით არის ნაქსოვი. თუკი შევძლებდი, შევურიგდებოდი. ასჯერ მაინც ვცადე ქედის მოდრეკა, მაგრამ ვერ შევძელი. უფალს შევთხოვდი, მშურდა ჩემი ამხანაგების ბედნიერი გონნაკლულობა, მაგრამ ამაოდ. უფალს არ სურს მეც მათი მსგავსი გამხადოს. ყველაფერს უხეიროდ ვაკეთებ, ვლაპარაკობ იმას, რაც სათქმელი არ არის, არც ერთ ჩემს ქცევაში მოწოდება არ ჩანს და ამას ყველა აშკარად ხედავს. ყოველ წუთს ვთელავ სამონასტრო ცხოვრების წესს, ჩემს უგერგილობას კი ქედმაღლობას უწოდებენ. ცდილობენ დამამცირონ. შეცდომებისა და სასჯელის რიცხვი დაუსრულებლად იზრდება და მთელი დღეები, დილიდან საღამომდე, თვალით კედლების სიმაღლეს ვზომავ.

— ქალბატონო, ამ კედლების დანგრევის ძალა არ შემწევს, მაგრამ სხვა რამის გაკეთებას კი შევძლებ.

— ნურაფერს ეცდებით, ბატონო.

— მონასტერი უნდა შეიცვალოთ, ამაზე მე ვიზრუნებ. იმედი მაქვს, ნახვის უფლებას კიდევ მომცემენ, და თუ რამე ახალი იქნება გაცნობებთ. გარწმუნებთ, თუ თანახმა იქნებით, როგორმე მოვახერხებ და აქედან გაგიყვანთ. თუ კვლავაც მკაცრად მოგექცევიან, მაცნობეთ".

უკვე გვიანი იყო, როცა ბატონი მანური წავიდა. მე სენაკში დავბრუნდი. მალე საღამოს ლოცვის ზარმაც ჩამოჰკრა. ეკლესიასთან ყველაზე ადრე მივედი, ვიდრე რამეს შეტყობდნენ, იქვე, კართან გავჩერდი და ყველა მონაზონი გავატარე. წინამძღვარმა კარი ცხვირწინ მო-

მიკეტა. საღამოს, ვახშმობისას, შუა სატრაპეზოში, იატაკზე დაჯდომა მანიშნა. დავემორჩილე და დავჯექი. მარტო წყალი და პური მარგუნეს. პური ცრემლით დავასველე და ერთი ბეწო შევჭამე. მეორე დღეს საბჭო მოიწვიეს. მონაზონთა მთელი კრებული დაისწრეს და განაჩენი გამომიტანეს: ჩამომართვეს დასვენების საათები ერთი თვის მანძილზე ლოცვები კარს უკან მდგარს უნდა მომესმინა, შუა სატრაპეზოში მჯდარს მეჭამა, სამი დღე ზედიზედ ყველას თვალწინ მონანიება მეთქვა. მორჩილებისას მიღებული წესი და მონაზვნის აღთქმა უნდა განმეახლებინა, მეტარებინა ჯვალო, დღეგამოშვებით შემენახა მარხვა და ყოველ პარასკევს, ლოცვის შემდეგ – ხორცი მეგვემა. ამ განაჩენის გამოცხადების დროს სახეზე რიდეჩამოფარებული, დაჩოქილი ვიდექი.

მეორე დღეს, დილით, წინამძღვარი, ერთი მონაზონის თანხლებით ჩემს სენაკში შემოვიდა. მონაზონს ძაძა-ფალასი და ჯვალოს კაბა მოჰქონდა, სწორედ ის, მინისქვეშა საპყრობილეში ჩაგდების წინ რომ მეცვა. მივხვდი ყოველივეს. გავიხადე, უფრო სწორად — ჩამომაგლიჯეს მანდილი, შემომაძარცვეს ტანსაცმელი და ის კაბა გადამაცვეს. თავტიტველა და ფეხშიშველა დავრჩი. გრძელი თმა მხრებზე ჩამომეშალა. მთელი ჩემი ტანსაცმელი — ძაძა-ფალასი, ჯვალოს გრძელი კაბა და ჯვალოს პერანგი იყო, რომელიც ყელიდან ფეხებამდე მიფარავდა სხეულს. ასე ვიყავი გამოწყობილი მთელი დღეები და ასე დავდიოდი ყველა საეკლესიო წირვა-ლოცვაზე.

საღამოთი სენაკში რომ დავბრუნდი, შემომესმა, ლიტანიის გალობით როგორ უახლოვდებოდნენ მონაზვნები ჩემს სამყოფელს; დიოდა ორ რიგად დაწყობილი მთელი კრებული... სენაკში შემოვიდნენ. ავდექი. ყელზე თოკი გამომაბეს. ერთ ხელში ანთებული სანთელი მომაჩეჩეს, მეორეში — მათრახი. ერთმა მონაზონმა თოკის ბოლოს ხელი ჩაავლო და ორ რიგად ჩამწკრივებულ მონაზვნებს შორის გამათრია. პროცესიამ წმინდა მარიამის მცირე ეკვდერისკენ აიღო გეზი. თუ ჩემს სენაკში შემოსვლამდე დაბალი ხმით გალობდნენ, ახლა მდუმარედ დიოდნენ. ორი ლამპით განათებულ ეკვდერში შევედით. მიბრძანეს უფლისთვის შენდობა მეთხოვა, მონაზონთა საკრებულოსთვის კი პატიება იმ აურზაურის გამო, მე რომ ავტეხე. მონაზონი, რომელიც აქამდე თოკით მიმათრევდა, ახლა ჩურჩულით მკარნახობდა საჭირო სიტყვებს. მის ნათქვამს კი სიტყვასიტყვით ვიმეორებდი. მერე თოკი მომხსნეს და წელამდე გამაშიშვლეს. მხრებზე ჩამოყრილი გრძელი თმა მეორე მხარეს გადამიწიეს, მარჯვენა ხელში მათრახი მომცეს, აქამდე მარცხენაში მეჭირა, და "Miserere"-ის გალობა დაიწყეს. მივხვდი ჩემგან რასაც ითხოვდნენ და მეც აღვასრულე იგი. "Miserere" დამთავრდა, წინამძღვარმა მოკლე შეგონება წაიკითხა, ლამპები ჩააქრეს, მონაზვნები გაილალნენ და მეც ჩავიცვი.

სენაკში დაბრუნებისთანავე ფეხის გულებზე მწვავე ტკივილი ვიგრძენი, დავიხედე: მინის ნამსხვრევებით დასერილი, მთლად დასისხლიანებული მქონდა. ამ ბოროტ დედაკაცებს განგებ დაეყარათ ჩემს გზაზე წვრილად დამსხვრეული მინა.

აი, ამგვარად, კიდევ ორ დღეს ვინანიებდი საჯაროდ ცოდვებს. ბოლო დღეს "Miserere"-ს ფსალმუნი დაუმატეს.

მეოთხე დღეს მონაზვნის ტანსაცმელი დამიბრუნეს, თანაც ეს ყოველივე საზეიმოდ, სახალხოდ აღასრულეს.

მეხუთე დღეს ჩემი აღთქმა განვაახლე. ერთი თვის მანძილზე ვასრულებდი ჩემზე დადებულ ეპიტიმიის დანარჩენ ვალდებულებებსაც. მერე ჩემი დღეები სხვა დანარჩენთა დღეებს დაემსგავსა. კვლავ დავიკავე კუთვნილი ადგილი მგალობელთა გუნდში, სატრაპეზოში და სხვათა თანაბრად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. [illegible] დავრჩი ჩემი ახალგაზრდა მეგობრის ხილვით, რომელმაც [illegible] მონაწილეობა მიიღო ჩემი საქმის მსვლელობაში! მომეჩვენა, ისიც ჩემსავით შეცვლილიყო, საშინლად გამხდარს, სახეზე მიცვალებულის ფერი ედო, ტუჩები გაფითრებოდა, თვალები კი ჩაქრობოდა.

" — რა დაგემართა, დაო ურსულა? — ვკითხე ჩურჩულით.

— რა დამემართა? როგორ მიყვარხართ, თქვენ კი მეკითხებით, რა დაგემართაო. თქვენი ტანჯვა რომ კვლავაც გაგრძელებულიყო, ალბათ, მოვკვდებოდი, — მიპასუხა მან".

თუკი მონანიების ბოლო ორ დღეს მინით ფეხები არ დამესერა, მისი წყალობით მომხდარა. დერეფნები ჩუმად მოეგავა და მინის ნამსხვრევები აეკრიფა. იმ დღეებში კი როცა პურითა და წყლით ვმარხულობდი, თავადაც ალიკვეთა ჭამა, თავის წილ საჭმელს ახვევდა და სენაკში მიგდებდა. როცა მონაზვნებმა წილი ყარეს, თოკით ვის უნდა ვეთრიე, კენჭი მას ერგო. მან კი ისეთი შეუპოვრობა გამოიჩინა, რომ წინამძღვართან მივიდა და განუცხადა, სიკვდილი მიჯობს ამ სამარცხვინო მოვალეობის შესრულებასო. საბედნიეროდ, ეს გოგონა ძალზე პატივცემული ოჯახიდან იყო. მონასტერი გულუხვ შესაწირს იღებდა, რაც წინამძღვრის ნების მიხედვით იხარჯებოდა. რამდენიმე ლივრი შაქრითა და ყავით მან მოისყიდა მონაზონი, რომელიც ამ საქმეს იკისრებდა. ვერ ვბედავ ფიქრს, რომ უფალმა თავისი ნებით მოუვლინა სასჯელი იმ არამზადას, მალე გაგიჟდა და ახლაც ჩაკეტილი ჰყავთ, ხოლო თვით წინამძღვარი ცოცხალია, მონასტერს მართავს, მონაზვნებს აწამებს და თავს მშვენივრად გრძნობს.

რა თქმა უნდა ჩემი ჯანმრთელობა ამგვარ ხანგრძლივ და მკაცრ გამოცდას ვეღარ გაუძლებდა და ავად გავხდი. აი, მაშინ მთელი ძალით ვიგრძენი მეგობრული გრძნობა დაი ურსულასი. მისგან სიცოცხლითა ვარ დავალებული. ჰო, სიცოცხლე რომ შემინარჩუნა, დიდ რამედ არ მიღირს, თავადაც არაერთხელ უთქვამს ეს. არ ყოფილა იმგვარი სამსახური ჩემთვის რომ არ გაეწიოს იმ დღეებში, როცა მომვლელად იყო დანიშნული ქსენონში. არც დანარჩენ დღეებში ვყავდი მიტოვებული. ჩემს მომვლელებს წვრილ-წვრილ საჩუქრებს ურიგებდა. ჩემს უკმაყოფილებას არად აგდებდა, და ამ გზით ჩემზე გამუდმებით ზრუნავდა. სურდა ღამეებიც ეთია ჩემთვის, საამისო უფლებაც ითხოვა, მაგრამ წინამძღვარმა უარი უთხრა, მიზეზად კი მისი სუსტი ჯანმრთელობა დაუსახელა, ღამე მორიგეობა მის ძალას აღემატებოდა. ამ უარმა მას ჭეშმარიტი მწუხარება მოჰგვარა. ის ყველაფერს აკეთებდა, რათა დავეხსენი ავადმყოფობისგან, მაგრამ ჩემი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. უკვე სიკვდილის პირას ვიყავი მისული, უკანასკნელი ზიარებაც მივიღე. ზიარებამდე მთელი საკრებულოს ნახვა ვითხოვე. თხოვნა შემისრულეს. მონაზვნები ჩემს საწოლს შემოერტყნენ. მათ შორის იყო წინამძღვარიც. ჩემმა ახალგაზრდა მეგობარმა ჩემს თავთან დაიკავა ადგილი, ხელი დამიჭირა და ცრემლებით მისველებდა. მიხვდნენ, რაღაცის თქმა უნდაო და ნამომსვეს, ზურგს უკან ორი ბალიში ამომიდეს. წინამძღვარს ლოცვა-კურთხევა ვთხოვე და

შევევედრე დაევიწყებინა ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვები. მიტევება ვთხოვე მთელ მონაზონთა კრებულს იმ სირცხვილისთვის, მე რომ დავატეხე. ვითხოვე და მომიტანეს პატარ-პატარა ნივთები, ჩემს სენაკს რომ ამკობდა და ჩემს საკუთრებას წარმოადგენდა. წინამძღვარს შევევედრე, დავარიგებ-მეთქი; ნება დამრთო. საჩუქრები იმ მონაზვნებს დავურიგე, წინამძღვარს ერთგულად რომ ემსახურებოდნენ და იმ დღეს მიწისქვეშა საპყრობილეში რომ ჩამაგდეს. მოვუხმე იმ მონაზონსაც, თოკით რომ მიმათრევდა საჯარო მონანიების დღეს, ვაკოცე, კრიალოსანი და ჯვარცმა ვაჩუქე და ვუთხარი: "ძვირფასო დაო, მომიხსენიეთ თქვენს ლოცვებში, და გჯეროდეთ, რომ უფლის წინაშე წარდგომისას არ დაგივიწყებთ". რატომ არ მიხმო მაშინ უფალმა? მე ხომ ყოველგვარი სასოწარკვეთილების გარეშე ვისწრაფოდი მისკენ? ეს ხომ ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. მაგრამ ვის ერგება ბედნიერება ორჯერ? ვინ უწყის, როგორი ვიქნები უკანასკნელ წუთში? ეს ხომ გარდაუვალია? დაე, უფალმა ისევ მარგუნოს იგივე ტანჯვა და მიბოძოს იმგვარივე მშვიდი აღსასრული! მე ვნახე, როგორ გადაიხსნა ცის კარი და მჯერა, რომ მართლა ვნახე სამოთხის შესასვლელი. სინდისი სიკვდილის წინ არ ტყუის და იგი მაშინ მარადიულ ნეტარებას მპირდებოდა.

წესის აგების მერე სალათას ძილი დამეუფლა და უკვე განწირულად ჩამთვალეს. დროდადრო მიახლოვდებოდნენ და მაჯას მისინჯავდნენ. ვგრძნობდი, როგორ მისვამდნენ სახეზე ხელს და თითქოს სადღაც შორიდან ჩამესმოდა მათი ხმა: "სახე უცივდება... ცხვირი გაუცივდა... დილამდე ვეღარ გასტანს... კრიალოსანი და ჯვარცმა თქვენ დაგრჩათ...". ამას მოსდევდა გამწყრალი ხმა: "მოშორდით, მოშორდით, დააცადეთ მშვიდად სიკვდილი. განა ცოტა ტანჯეთ?..". ყველაზე უფრო საამო ის წუთი იყო, როცა ყველაფერმა გაიარა, თვალი გავახილე და ჩემი მეგობრის მკლავებში აღმოვჩნდი. იგი წუთითაც არ მომშორებია. მთელი ღამე ჩემს სარეცელთან გაატარა, მივლიდა, ლოცვებს მიკითხავდა, ჯვარცმაზე ამბორს მყოფდა, მერე ჩემს ნაამბორალს თავად კოცნიდა, როგორც კი დაინახა თვალი ავახილე და ჩემი ღრმა ოხვრაც შემოესმა, ეგონა, ეს უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო და ყვირილი მორთო. მეფერებოდა, საალერსო სახელებს ჩამძახოდა, ლოცულობდა: "უფალო, შეუნდე, მეც შემინდე! უფალო მიიღე სული მისი! ძვირფასო მეგობარო, უფლის წინაშე რომ წარსდგები, დაა ურსულა გაიხსენე...". მე კი ნაღვლიანი ღიმილით შევცქეროდი, ცრემლებს ვღვრიდი და ხელს ხელზე ვუჭერდი.

ამ დროს მონასტრის დასტაქარი ბატონი ბუვარი[1] მოვიდა. მასზე ამბობდნენ, დესპოტი, ქედმაღალი და მკაცრი კაცია, მაგრამ თავის ხელობაში დიდებულად განაფულიო. მან უხეშად მოაშორა ჩემი მეგობარი სარეცელს, დამხედა, მაჯა გამისინჯა. ექიმს წინამძღვარიც შემოჰყვა თავისი დამქაშებით. ექიმმა მოკლედ გამოიკითხა ყველაფერი და თქვა:

"— გამოჯანმრთელდება".

ის წინამძღვარს დაჟინებით შეჰყურებდა, ამ უკანასკნელს კი მისი ნათქვამი არ მოეწონა, რის გამოც დასტაქარმა გაიმეორა:

---

1. იმ დროს ცნობილი ექიმი იყო.

"— დიახ, ქალბატონო, გამოჯანმრთელდება. სხეული ცუდად არ გამოიყურება, სიცხეც დანეულა, და თვალებში სიცოცხლე იწყებს ციმციმს".

მის სიტყვებზე ჩემს მეგობარს სახე გაუბრწყინდა. წინამძღვარს და მის დამქაშებს კი მწუხარებისგან სახე მოექუშათ, რის დაფარვასაც როგორ არ ეცადნენ, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს.

"— ბატონო, სიცოცხლეს არ ვითხოვ. — ვთქვი მე.

— მით უარესი. — თქვა მან, მერე რაღაცა განკარგულებები გასცა და წავიდა".

მითხრეს საღათას ძილში წასულს რამდენჯერმე წამოუძახია: "ძვირფასო დედაო, მალე თქვენთან ვიქნები და ყველაფერს გიამბობთ". ალბათ, ჩემს ყოფილ წინამძღვარს მივმართავდი, ამაში ეჭვიც არ მეპარება. მისი პორტრეტი არავისთვის გადამიცია, მინდოდა საფლავში ჩამეტანა.

ბატონ ბუვარის ნათქვამი ახდა. სიცხემ დამიკლო და ოფლმა საბოლოოდ წაიღო ჩემი ავადმყოფობა. ჩემი გამოჯანმრთელება აღარავის ეეჭვებოდა. მართლაც, მალე მოვჯობინდი, მაგრამ საბოლოოდ წამოდგომა მაინც ძალიან გამიგრძელდა. ეტყობა, ამ მონასტერში ყველა სიმწრის გადატანა მქონდა მოსჯილი. ჩემი სნეულება თითქოს უკურნებელი აღმოჩნდა და ურსულა უკვე აღარ მტოვებდა. მერე ძალის მოკრება დავიწყე. მას კი თანდათან ელეოდა. მისი კუჭი საჭმელს აღარ იღებდა, სამხრობისას გული უღონდებოდა და ძლივს აბრუნებდნენ. ამ დროს მიცვალებულს ემსგავსებოდა, თვალებში შუქი უქრებოდა, შუბლეზე ცივ ოფლს ასხამდა, წვეთ-წვეთობით გროვდებოდა და ლოყებზე ჩამოსდიოდა, ხელები კი უღონოდ ეკიდა. შვებას მაშინღა ჰპოვებდა, თუ ტანსაცმელს შეუხსნიდნენ. როცა გონს მოვიდოდა, მაშინვე თვალებით მეძებდა და ყოველთვის გვერდით მპოულობდა. ზოგჯერ თუ მაინც შემორჩებოდა გრძნობა, თვალდახუჭული ხელებს აცეცებდა და ძნელი არ იყო მიხვედრა ვის ეძებდა. როცა ეს მთრთოლვარე ხელი ვერ იპოვიდა იმას, რასაც ეძებდა, უსიცოცხლოდ ჩამოუვარდებოდა და მაშინ მონაზვნები მეუბნებოდნენ: "დაო სიუზანა, თქვენ გეძებთ, მიუახლოვდით...". მე მის ფერხთით ვეცემოდი, მის ხელს შუბლზე ვიდებდი, ასე ვრჩებოდი მანამდე, ვიდრე გულყრა არ გადაუვლიდა. როცა გონზე მოვიდოდი მეუბნებოდა: "დაო სიუზანა, მე სიკვდილი მიწერია, თქვენ კი სიცოცხლე. პირველი ვნახავ მას და ყველაფერს ვუამბობ. იგი ცრემლის ღვრით მომისმენს. თუკი მწარე ცრემლი არსებობს, მაშინ საამოც იქნება. თუ იქ, ზევით, უყვართ, მაშინ იქაც ტირიან". მერე ჩემსკენ გადმოიხრებოდა და დაუმატებდა: "მშვიდობით, დაო სიუზანა, მშვიდობით, ჩემო მეგობარო. ვინღა გაიზიარებს თქვენს ტანჯვას, თუკი აღარ ვიქნები? ვინ?.. ოჰ, ძვირფასო მეგობარო, როგორ მეცოდებით! მივდივარ, ვგრძნობ, მოვკვდები. ბედნიერი რომ ყოფილიყავით, რა მძიმე იქნებოდა ჩემთვის სიცოცხლესთან განშორება!"

მისი მდგომარეობა ძალზე მაშინებდა. ველაპარაკე წინამძღვარს. მინდოდა ქსენონში დაეწვინათ, ყველა მძიმე საეკლესიო და სამონასტრო მოვალეობისგან გაენთავისუფლებინათ, მოეყვანათ ექიმი, მაგრამ ერთსა და იმავეს მპასუხობდნენ — დიდი არაფერია, გულღონება თავისით გაუვლისო. ძვირფას ურსულას კი სხვა არაფერი სურდა, გარდა თავისი მოვალეობის შესრულებისა და არსებულ წესს ბეჯითად

მიჰყვებოდა. ერთ დღეს, დილის ლოცვაზე, რომელსაც ჩვეულებრივ ესწრებოდა, აღარ გამოჩენილა. ვიფიქრე, ავადმყოფობა მოერეოდა-მეთქი და როგორც კი ლოცვა დამთავრდა, მასთან გავიქეცი. იგი საწოლში ჩაცმული იწვა. მან მითხრა:

" — თქვენა ხართ, ძვირფასო მეგობარო? ეჭვიც არ მეპარებოდა რომ არ დააგვიანებდით და გელოდით. მომისმინეთ. მოუთმენლად ველოდი თქვენს მოსვლას! გული ისევ შემიღონდა და თანაც ისე დიდხანს, რომ საამქვეყნოში მობრუნების იმედი აღარ დამრჩა. აიღეთ სახატის გასაღები, გამოაღეთ პატარა კარადა, ჩამოხსენით ფიცარი, იქ პაკეტს ნახავთ. მე ვერ შევძელი მასთან განშორება, თუმცა სახიფათო კი იყო მისი შენახვა, კითხვა კი — მტანჯველი. ჩემი ცრემლით დასველებული ასოები თითქმის წაიშალა. როცა აღარ ვიქნები, ეს ქაღალდები დაწვით...".

ისე იყო დასუსტებული, სულს ძლივს ითქვამდა. ორი სიტყვის თქმა აღარ შეეძლო ზედიზედ, ყოველ მარცვალზე ჩერდებოდა და ისე ჩურჩულებდა, ძლივს ვიგებდი, თუმცა ყური ბაგესთან მედო. გასაღები ავიღე და თითი სახატისკენ გავიშვირე. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. ვგრძნობდი, მასაც ვკარგავდი, დარწმუნებული ვიყავი მისი სნეულების მიზეზი ჩემი სნეულება იყო და ჩემს სასოწარკვეთილებას ქვითინითღა გამოვხატავდი. ვუკოცნიდი შუბლს, თვალებს, სახეს, ხელებს, პატიებას ვთხოვდი, მაგრამ იგი აღარ მისმენდა, ის სადღაც შორს იყო. ერთი ხელი ჩემს სახეზე ედო და მეფერებოდა. მეგონა, ვეღარ მხედავს-მეთქი. შეიძლება იფიქრა გარეთ გავიდაო და უცბად დამიძახა:

" — დაო სიუზანა!

— აქა ვარ. – ვუპასუხე.

— რომელი საათია?

— თორმეტის ნახევარია.

— თორმეტის ნახევარი! წადით, ისადილეთ და მალე დაბრუნდით...".

ზარმა უკვე ჩამოჰკრა და სადილად გვიხმო. უნდა წავსულიყავი. კართან რომ მივედი, გამომძახა, გამოვბრუნდი. ძალ-ღონე მოიკრიბა და ლოყა ძლივძლივობით მომიშვირა. ვაკოცე. აიღო ჩემი ხელი და მაგრად ჩაბღუჯა. აშკარა იყო, ჩემთან განშორება არ შეეძლო. 'რას იზამ, ასე ყოფილა საჭირო, — თქვა და ხელი გამიშვა. — უფალს ასე სურს. მშვიდობით, დაო სიუზანა. მომეცით ჯვარცმა..." ჯვარცმა ხელებში ჩავუდე და გამოვედი.

ტრაპეზი უკვე მთავრდებოდა. წინამძღვართან მივედი და ყველას გასაგონად ვუთხარი, ურსულა უკანასკნელ დღეშია-მეთქი და თუ არ დაიჯერებდა, ვთხოვე, თავად ენახა. 'კეთილი, — თქვა მან, — საჭიროა და ვნახავ". რამდენიმე მონაზვნის თანხლებით მის სენაკში ავიდა. მე ფეხდაფეხ მივდევდი. როცა ურსულას სენაკში შევედით, საცოდავი უკვე ამქვეყნად აღარ იყო. სარეცელზე გასწორებული იწვა ჩაცმული, ბალიშზე თავი გადავარდნოდა, ბაგე ოდნავ ღიად დარჩენოდა, თვალები დაეხუჭა, ხელში კი ჯვარცმა ეჭირა. წინამძღვარმა ცივად დახედა და თქვა: "მკვდარია. ვინ იფიქრებდა, რომ მისი აღსასრული ასე ახლოს იქნებოდა? დიდებული გოგონა იყო. უთხარით, ზარები სამგლოვიაროდ ჩამოჰკრან და სუდარაში გაახვიონ".

მარტო დავრჩი მის სასთუმალთან. ჩემს მწუხარებას სიტყვა ვერ იტყვის, და მაინც მშურდა მისი ბედისა. მივუახლოვდი, ვკოცნიდი, ცრემლებით ვასველებდი მის სახეს, ფერი უფრო და უფრო ცვლებოდა და ზენარი გადავაფარე. გადავწყვიტე მისი დავალება შემესრულებინა. ხელი რომ არავის შეეშალა, დაველოდე, როდის ყველა ეკლესიაში წავიდოდა, მერე გავაღე სახატე, მოვხსენი [illegible] ქაღალდების საკმაოდ სქელი დასტა ვიპოვე და იმავე საღამოს დავწვი. ჩემს ხსოვნაში დარჩა ეს ნაღვლიანი გოგონა, არ მახსოვს ოდესმე გაეღიმა. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა და, ისიც ავადმყოფობის დროს...

ამიერიდან ამ მონასტერში სრულიად მარტო დავრჩი, მონასტერში კი არა, მთელს ქვეყანაზეც, რადგან ამ ქვეყანაზე ერთი კაციც აღარ მეგულებოდა, ჩემთვის ყური მოეგდო. ადვოკატ მანურის შესახებ აღარაფერი გამიგია. ჩემი ვარაუდით ან დიდ სიძნელეებს წააწყდა, ან გართობას გადაჰყვა და რაც აღმითქვა სამუდამოდ დაავიწყდა. არ დამნანებია. ღმერთმა სიკეთე მისცეს, აუგს ვერ ვიტყვი. ადამიანისთვის ყველაფრის პატიება შემიძლია, გარდა უსამართლობისა და უმადურობისა. და როგორც შემეძლო, ისე ვამართლებდი ადვოკატ მანურისაც და სხვებსაც, ჩემი პროცესის დროს ამდენი თანაგრძნობა რომ გამოიჩინეს, და ახლა კი მათთვის თითქმის აღარ ვარსებობდი. ალბათ არც თქვენთვის, ბატონო მარკიზო.

მოულოდნელად მონასტერში ჩვენი ეკლესიის უზენაესი ხელისუფლება ჩამობრძანდა. შემოვიდნენ, დაათვალიერეს ყველა სენაკი, დაკითხეს მონაზვნები, მოითხოვეს საეკლესიო შემოსავლის ანგარიშები და იმის მიხედვით, თუ რა ევალებოდათ ან გამოასწორეს ზოგი რამ, ან გააუარესეს. ამგვარად, მე კვლავ შევხვდი პატივცემულ და მკაცრ ბატონ ებერს, აგრეთვე მის ორ ახალგაზრდა თანაშემწეს. ალბათ გაახსენდათ რა დღეში მნახეს მაშინ და ახლა თვალები დაენამათ. ჩემმა ნახვამ მგონი გული აუჩვილათ და გაახარათ. ბატონი ებერი ჩამოჯდა და წინ დამისვა. მის სკამს უკან გაჩერებული ორივე თანაშემწე დამტკერებით შემომყურებდა. ბატონმა ებერმა მკითხა:

“ — აბა, დაო სიუზანა, ახლა როგორ გექცევიან?

მე ვუპასუხე: — დამივიწყეს უკვე, ბატონო.

— მით უკეთესი.

— მეც სხვა არაფერი მინდა. მაგრამ დიდი წყალობა უნდა გამოგთხოვოთ. დაუძახეთ დედა წინამძღვარს.

— რატომ?

— თუ ვინმე თქვენთან უჩივლებს, მაშინვე მე დამაბრალებს.

— მესმის, მაგრამ მაინც მითხარით, რაც მასზე გაქვთ სათქმელი.

— ბატონო, გევედრებით, დაუძახონ. დაე, თავად მოისმინოს თქვენი კითხვებიც და ჩემი პასუხებიც.

— არა, ჯერ მითხარით.

— დამღუპავთ, ბატონო.

— ნუ გეშინიათ. დღეიდან თქვენ აღარ ხართ მისი მორჩილი. ამ კვირის ბოლოს, წმინდა ევტროპის მონასტერში გადაგიყვანენ, არპაჟონის ახლოს. თქვენ კეთილი მეგობრები გყავთ.

— კეთილი მეგობრები, ბატონო? ასეთს არავის ვიცნობ.

— იგი თქვენი ადვოკატია.

— ბატონი მანური?

— სწორედ იგი.

— არ მეგონა, თუ ისევ ვახსოვდი.

— მან მოინახულა თქვენი დები, მთავარეპისკოპოსი, სასამართლოს თავმჯდომარე, სხვანიც, თავიანთი ღვთისმოსავობით ცნობილი პიროვნებები. თქვენი წილი გასამრჯელოც მან შეიტანა მონასტერში, რომლის სახელიც უკვე გითხარით. და მხოლოდ ორიოდე დღე დაგრჩათ აქ გასატარებლად. ასე რომ, თუ ცუდი რამე იცით ამ ქალბატონზე, შეგიძლიათ თამამად მაცნობოთ. გიბრძანებთ, წმინდა მორჩილების აღთქმის სახელით, რომელიც გავალებთ უპასუხოთ ჩემს კითხვას.

— მე არაფერი ვიცი.

— როგორ! განა ამათ არ ჩაგაგდეს შავ დღეში მას მერე, რაც პროცესი წააგეთ?

— ისინი მძიმე ცოდვად მითვლიდნენ აღთქმის დარღვევის სურვილს და ასეც უნდა მოქცეულიყვნენ; მათ მოითხოვეს პატიება მეთხოვა უფალი ღმერთისთვის.

— მაგრამ რა პირობებში მოხდა პატიების თხოვნა, აი, რისი ცოდნა მინდა...".

ამის თქმაზე თავი გააქნია და წარბები შეიჭმუხნა. მივხვდი, ახლა ჩემზე იყო დამოკიდებული წინამძღვრისთვის ნაწილობრივ მაინც გადამეხადა ყოველი მათრახის წილი, მისი ბრძანებით რომ მომხვდა. მაგრამ ამისი სურვილი არა მქონდა. უფროსმა ვიკარიუსმა დაინახა, რომ ჩემგან ვერაფერს გაიგებდა და გავიდა. წასვლის წინ კი დამარიგა, არპაჟონის წმინდა ევტროპის მონასტერში ჩემი გადაყვანა საიდუმლოდ შემენახა.

როცა ეს კეთილი კაცი გავიდა, მისი თანმხლებნიც გულითადად და ალერსიანად დამემშვიდობნენ. მე არ ვიცი, ვინ არიან ისინი, მაგრამ დაე, უფალმა შეუნარჩუნოთ გულითადობა და ლმობიერება, რაც ასე იშვიათია მათი მდგომარეობის ადამიანებში და თანაც ესოდენ აუცილებელი, რაკი უფლის გულმოწყალების შუამდგომლობა აქვთ მინდობილი. მეგონა, ბატონი ებერი ახლა რომელიმე მონაზონს ანუგეშებს, ტუქსავს ანდა დაჰკითხავს-მეთქი, რომ უცებ ჩემს სენაკში შემოვიდა და მკითხა:

"— საიდან იცნობთ ბატონ მანურის?

— ჩემი პროცესიდან.

— ვინ გირჩიათ?

— სასამართლოს თავმჯდომარის ცოლმა.

— ალბათ თქვენი საქმის გამო ხშირად გიწევდათ მასთან საუბარი?

— არა, ბატონო, იშვიათად მინახავს.

— მაშ, აუცილებელ ცნობებს როგორ აძლევდით?

— რამდენიმე ჩანაწერით, რომელიც თვითონ დავწერე.

— ამ ჩანაწერების ასლები გაქვთ?

— არა, ბატონო.

— ვინ გადასცემდა ამ ჩანაწერებს?

— სასამართლოს თავმჯდომარის ცოლი.

— როგორ გაიცანით იგი?

— იგი და ურსულამ გამაცნო, ჩემმა მეგობარმა და მისმა ნათესავმა.

— საქმის წაგების შემდეგ შეხვდით ბატონ მანურის?

— მხოლოდ ერთხელ.

— ცოტაა. თქვენთვის არ მოუწერია?

— არა, ბატონო.

— თქვენ არ მიგიწერიათ?

— არა, ბატონო.

— ის ყველაფერს გაგაგებინებთ, რაც კი თქვენთვის გააკეთა. გიბრძანებთ, მასთან შესახვედრად მისაღებში არ გამოხვიდეთ; თუ თავად ან ვინმეს საშუალებით მოგწერთ: იმ წერილს გაუხსნელად გამოუგზავნით. გაიგეთ? გაუხსნელად...

— დიახ, ბატონო. უმორჩილესად შევასრულებ თქვენს ბრძანებას...".

ვის ეკუთვნოდა ბატონ ებერის უნდობლობა, მე თუ ჩემს კეთილისმყოფელს, ვერ გავიგე და ამან გული მატკინა.

იმ საღამოსვე ჩამოვიდა ბატონი მანური ლონშანში. შევასრულე უფროსი ვიკარიუსისთვის მიცემული სიტყვა და უარი ვთქვი მის მიღებაზე. მეორე დღეს თავისი რწმუნებულის ხელით საიდუმლოდ გამომიგზავნა წერილი. წერილი ბატონ ებერს გადავუგზავნე გაუხსნელად. რამდენადაც მახსოვს, ეს სამშაბათს მოხდა. მოუთმენლად ველოდი, რას მომიტანდა უფროსი ვიკარიუსის დანაპირები და ბატონ მანურის თავგამოდება. ოთხშაბათმა, ხუთშაბათმა და პარასკევმა ისე გაიარა, არაფერი გამიგია. რა უსასრულო მეჩვენა ეს დღეები! მაცახცახებდა როცა ვფიქრობდი, რაიმე წინააღმდეგობას ხომ არ გადააწყდნენ და ყველაფერი წყალში ხომ არ ჩაიყარა-მეთქი. თავისუფლებას ვერა და ვერ ვეღირსე, მაგრამ საპატიმროს ხომ ვიცვლიდი და ესეც რაღაცას ნიშნავდა. ერთი ბედნიერი გარემოება ადამიანში მეორის იმედსაც აღვიძებს. ხომ ნათქვამია: "ბედნიერება ცალად არასოდეს დადისო".

აქაურ მონაზვნებს დიდებულად ვიცნობდი და ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ სხვა პატიმრებთან შედარებით მაინც მოგებული ვრჩებოდი, რადგან ახლები, როგორებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ამათზე ბოროტნი და მტრულად განწყობილნი ვერ იქნებოდნენ. შაბათ დილას, იქნებოდა ცხრა საათი, მონასტერი აირია. მონაზვნებს ასაწრიალებლად ცოტა რამ ჰყოფნით. მიდი-მოდიოდნენ, კარები იღებოდა და იხურებოდა, ჩურჩულებდნენ. და როგორც უკვე იცით, ეს ყოველივე იმის ნიშანია, რომ მონასტერში რაღაც უჩვეულო მოხდა. მე ჩემს სენაკში მარტო ვიყავი. გული გამალებით მიცემდა. კართან ატუზული ვაყურადებდი, სარკმლიდან ვიყურებოდი და აღარ ვიცოდი რა მექნა. სიხარულისგან ვთრთოდი და ჩემს თავს ვეუბნებოდი: "ჩემს გამო ჩამოვიდნენ, ახლავე გავალ აქედან..." და არც შევმცდარვარ.

ჩემთან ორი უცნობი ქალი შემოვიდა. ერთი მონაზონი იყო, მეორე — არპაჟონის მონასტრის მეკარე. მათ მოსვლის მიზანი მაცნობეს. აფორიაქებულმა ჩემი კუთვნილი მცირეოდენი ნივთები შევაგროვე და ეგრევე არეულ-დარეული მეკარე ქალს წინსაფარში ჩავუყარე. ამ უკანასკნელმა ბოღჩა შემიკრა. წინამძღვარს ნახვის სურვილიც არ გამოუთქვამს. ურსულა კი ცოცხლებში არ მყავდა. ჩავდივარ, მიღებენ კარს, მისინჯავენ, რა მიმაქვს, მერე ვჯდები კარეტაში და გზას ვადგები.

უფროსი ვიკარიუსი, მისი ორი თანაშემწე, სასამართლოს თავმჯდომარის ცოლი და... და ბატონი მანური თურმე უკვე ჩემი ახალი მონასტრის წინამძღვართან იყვნენ და იქ მიცდიდნენ. გზადაგზა მონაზონი თავის მონასტერს მაცნობდა და აქებდა, მეკარე კი, როგორც მისამღერს, ყოველი ფრაზის მერე უმატებდა: "ჭეშმარიტი სიმა-

რთლეა...“. მონაზონი გახარებული იყო, ჩემს წასაყვანად მაინცადამაინც ის რომ გამოგზავნეს და ჩემთან მეგობრობის სურვილს აცხადებდა. ამის გამო ზოგიერთი საიდუმლოც გამანდო და რჩევაც მომცა. ეს რჩევა, როგორც შევატყვე, მისთვის უფრო იყო სასარგებლო, მე კი არაფერში გამომადგებოდა. არ ვიცი, გინახავთ თუ არა [illegible] არპაჟონის მონასტერი. ეს გახლავთ ოთხკუთხა შენობ[illegible] ერთი მხარეც დიდ გზას გაჰყურებს, მეორე მხარე კი, უკანა — მინდვრებს და ბაღებს. ფასადის მხარეს ყველა ფანჯარაში ერთი, ორი თუ სამი მონაზონი ჩანდა. ეს გარემოება უფრო მეტად მეტყველებდა მონასტერში დამყარებულ წესრიგზე, ვიდრე მონაზვნისა და მეკარის ლაპარაკი. ალბათ, ჩვენი კარეტა იცნეს, რადგან მანდილებით შემკული თავები თვალის დახამხამებაში გაქრნენ. და მე მივადექი ჩემი ახალი საპატიმროს კარს. წინამძღვარი ხელგაშლილი გამომეგება, მომეხვია, მაკოცა, ხელი მომკიდა და დარბაზში შემიყვანა, სადაც რამდენიმე ცნობისმოყვარე მონაზონს უკვე მოესწრო შესვლა და დანარჩენებიც მოიჩქაროდნენ.

ამ წინამძღვარს ქალბატონი... ჰქვია. არ შემიძლია სურვილს არ დავემორჩილო და, ვიდრე თხრობას გავაგრძელებდე, არ აღგიწეროთ იგი: ტანმორჩილი, ჩამრგვალებული ქალია, ძალზე ცქვიტი და მოძრავი, თავს განუწყვეტლივ აქეთ-იქით ატრიალებს, ტანსაცმელში მუდამ რაღაცა აქვს არეული, მის სახეს არც ლამაზი ეთქმის, არც ულამაზო, უფრო მიმზიდველი აქვს. თვალებიდან ერთი, მარჯვენა, ოდნავ მაღლა აქვს და მგონი, უფრო დიდიც. ეს თვალები ცეცხლს აკვესებენ და აქეთ-იქით დარბიან. სიარულისას ხელებს წინ და უკან იქნევს, როცა ლაპარაკობს, პირს მანამდე აღებს, ვიდრე აზრს მოუყრიდეს თავს, რის გამოც ცოტა ენა ებმება; თუ ზის, ისე ცქმუტავს სავარძელში, თითქოს რაღაცა ანუხებსო. ზრდილობა სულ ავიწყდება, გულსაფარს იწევს და იფხანს. ჯდომისას ფეხი ფეხზე აქვს გადადებული. თუ რამე გკითხათ და თქვენ პასუხობთ, აღარ გისმენთ. თუ გელაპარაკებათ, თავგზა ებნევა, ჩუმდება, აღარ იცის, რაზე შეჩერდა, გული მოსდის და პირუტყვს, სულელს და ტუტუცს გიწოდებთ, თუკი მაშინვე გზაზე არ დააყენეთ და არ შეახსენეთ, რას ამბობდა. ზოგჯერ ისე გაშინაურდება, შენობით დაიწყებს ლაპარაკს, ხან კი ისეთი მბრძანებლური და ამაყია, რომ ზიზღს ვერ ფარავს, მაგრამ მალე გაუვლის ხოლმე. მასში ლმობიერება და სისასტიკე ერთმანეთს ენაცვლება. მის მობრეცილ სახეზე ხან სრული დაბნეულობა იხატება, ხან მერყეობა. მონასტერში წესრიგი და უწესრიგობა ერთმანეთს ცვლის. ზოგჯერ ყველაფერი არეულ-დარეულია, პანსიონის აღსაზრდელები მორჩილებთან დარბიან, მორჩილები — მონაზვნებთან, ერთმანეთის სენაკებში იკრიბებიან, ერთად სვამენ ჩაის, ყავას, ლიქიორს, ჭამენ შოკოლადს, ლოცვები მიუტევებელი სისწრაფით ტარდება... და ერთბაშად, ამ ნეტარების მწვერვალზე წინამძღვრის სახე მთლიანად იცვლება, ზარი რეკავს, ყველა თავის სენაკში გარბის და იკეტება. ხმაურის, ყვირილის, ჩოჩქოლის მერე ღრმა მდუმარება ისადგურებს. შეიძლება ისიც იფიქროთ, ყველანი უეცრად დაიხოცნენო. ეს ის დროა, როცა უმცირესი შეცდომისთვისაც კი წინამძღვარი თავის სენაკში მკაცრად იხმობს დამნაშავეს, უბრძანებს გაიხადე და ოცი მათრახი დაირტყიო. მონაზონი მორჩილად იხდის, იღებს მათრახს და თვითგვემას იწყებს. ერთი-ორჯერაც ვერ მოასწრებს მათრახის დარტყმას, რომ წინამძღვარს სი-

ბრალეულის გრძნობა ერევა, მონანიების იარაღს ხელიდან ჰგლეჯს და ცრემლად იღვრება, თან ამბობს, რომ უბედურია, როცა იძულებულია ვინმე დასაჯოს, შერისხულს კოცნის შუბლზე, თვალებზე, ტუჩებზე, მხრებზე, ეფერება და აქებს: "რა თეთრი და ნაზი კანი გაქვს! რა ალნაგობა! რა მშვენიერი ყელი! რა მშვენიერი თმა!.. ჩემო [illegible]ტა, ხომ არ შეიშალე, რისი გრცხვენია, რას ისწორებ პერანგს, მე ხომ ქალი ვარ და შენი წინამძღვარი. აჰ, რა მშვენიერი მკერდია, რა მკვრივი! განა მე ავიტანდი ამ მშვენების მათრახით წამებას? არა, არა და არა...". და კვლავ კოცნის, მონაზონს თავადვე წამოაყენებს, აცმევს, საალერსო სიტყვებს ელუღლუღება, ლოცვებიდან ათავისუფლებს და თავის სენაკში აგზავნის. ასეთ ქალთან ცხოვრება ადვილი არ არის. კაცმა არ იცის, როდის რა მოეწონება. რისი გაკეთებაა ნებადართული და რისი არა. მოწესრიგებული არაფერია, ხან კარგად იკვებებიან, ხან შიმშილითა კვდებიან. მონასტრის მეურნეობა ირღვევა, თუ რამე თქვი, ან მტრობად იღებენ, ან აინუნშიც არ აგდებენ. ამგვარი წინამძღვრები ან ძალზე ახლოს მიგიშვებენ, ან ძალზე შორს გაგყენებენ. არ არსებობს არც ნამდვილი ზღვარი, არც ზომა. რისხვა წყალობაში გადადის, წყალობა — რისხვაში, და კაცმა არ იცის, რა მიზეზით. გწყენავთ, ერთ პატარა მაგალითს გეტყვით, რაც წინამძღვრის წარმოსადგენად გამოდგება. წელიწადში ორჯერ, იგი სენაკიდან სენაკში დარბოდა და ბრძანებებს იძლეოდა — სარკმლებიდან გადაყარეთ ლიქიორის ბოთლებიო, მაგრამ ოთხი დღის მერე უმრავლესობას თავად უგზავნიდა ლიქიორს. აი, როგორი გახლდათ იგი, ვისაც საზეიმოდ მივეცი მორჩილების აღთქმა, რადგან ჩვენი აღთქმა ერთი მონასტრიდან მეორეში მოგვყვება.

ჰო, ოთახში წინამძღვართან ერთად შევედი. მას ცალი ხელი ჩემს წელზე ჰქონდა შემოხვეული. შემოიტანეს ხილი, მარციპანი[1], მურაბები. მკაცრი უფროსი ვიკარიუსი ჩემს ქებას მოჰყვა, მაგრამ წინამძღვარმა გააწყვეტინა: "— იმათი ბრალია, იმათი, მე ეს კარგად ვიცი...". უფროს ვიკარიუსს სიტყვის გაგრძელება სურდა, მაგრამ ვინ დააცადა, წინამძღვარმა კვლავ თავისი გააგრძელა: 'რატომ უნდოდათ ამისი მოშორება? ეს ხომ სილამაზისა და სისადავის განსახიერებაა. იმასაც ამბობენ ძალზე ნიჭიერიაო...". უფროს ვიკარიუსს დაწყებული სიტყვის დამთავრება უნდოდა, მაგრამ წინამძღვარმა ისევ გააწყვეტინა და ყურში ჩამჩურჩულა: " გაგიჟებით მიყვარხართ. და როცა ეს პედანტები აქედან წავლენ, დავუძახებ მონაზვნებს და რომელიმე სიმღერას გვიმღერებთ, ხომ?." მე შევცბი და კინაღამ სიცილი წამსკდა. მკაცრი ბატონი ებერიც კი ცოტა არ იყოს შეკრთა. ორივე ახალგაზრდა სამღვდელომ შეამჩნია ჩემი და მისი შეკრთომა და გაეღიმათ. ამასობაში, ბატონი ებერი მისთვის ჩვეულ თავშეკავებას დაუბრუნდა და წინამძღვარს მკაცრად უბრძანა, დაჯექით და გაჩუმდითო. წინამძღვარი დაჯდა, მაგრამ საკუთარ ქერქში მაინც ვერ ეტეოდა, სკამზე წრიალებდა, თავს იფხანდა, ტანსაცმელს ისწორებდა, თუმცა ამის საჭიროება სულაც არ იყო, ამთქნარებდა... უფროსი ვიკარიუსი კი ფრთხილად, გაბმით ლაპარაკობდა იმ მონასტერზე, მე რომ დავტოვე, იმ უსიამოვნებებზე, მე რომ გადავიტანე, იმ მონასტერზეც, რომელ-

---

1. მარციპანი — გახეხილი ნუშის, ნიგვზის ან გარგარის მასისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი.

შიც ეს-ეს არის ფეხი შემოვდგი, და იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც მეკისრებოდა იმათ წინაშე, ვინც ჩემი ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღო. ამის თქმაზე ბატონ მანურის გადახედა; მან თვალები დახარა. მერე საუბარი სხვა რამეებზე გადავიდა და წინამძღვრის თავისმომაბეზრებელ დუმილს ბოლო მოეღო. მე ბატონ მანურის მივეახლე და მადლობა ვუძღვენი ჩემზე გაწეული ამაგისთვის. მღელვარებით ვკანკალებდი, ვლუღლუღებდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა და რით გამომეხატა ჩემი მადლიერება.

ვიდექი დაბნეული, დარცხვენილი, გულაჩუყებული, ცრემლმორეული და მიხაროდა, რომ ეს ყოველივე უფრო უკეთ გამოხატავდა ჩემს მადლიერებას, ვიდრე ის სიტყვები, რომელთაც თავი ვერ მოვაბი. არც მისი პასუხი იყო დალაგებული. ისიც იმგვარივე დაბნეული ჩანდა, როგორც მე. არ ვიცი რა მითხრა, მაგრამ მივხვდი, რომ ძალზე მოხარული იქნებოდა თუ შეძლებდა და ხვედრს შემიმსუბუქებდა; რომ მუდამ ემახსოვრებოდა, რაც გააკეთა და ეს სიამოვნებას მოჰგვრიდა; რომ მისი საქმიანობა პარიზის სასამართლოში თავისუფალ დროს არ უტოვებდა, რათა ხშირად შემოევლო არპაჟონის მონასტერში; მაგრამ იმედოვნებდა, ბატონი უფროსი ვიკარიუსისა და ქალბატონი წინამძღვრის წყალობით ჩემს ჯანმრთელობას და მდგომარეობას ყოველთვის გაიგებდა.

უფროსმა ვიკარიუსმა ეს სიტყვები ვერ გაიგო, წინამძღვარმა კი უპასუხა: "რამდენიც გნებავთ, ბატონო, რასაც მოისურვებს, იმას გააკეთებს. ჩვენ ვეცდებით დავავიწყოთ ბოროტება, მას რომ აგემეს...". მერე ჩემს გასაგონად ჩუმად დაუმატა: "შვილო ჩემო, ნუთუ ასე გტანჯავდნენ? როგორ გაბედეს ლონშანის მონასტრის იმ მხეცებმა შენი წყენინება? მე ვიცნობდი შენს წინამძღვარს. ერთად ვიზრდებოდით პორ-რუაიალის დედათა მონასტრის პანსიონში. იმთავითვე საფრთხობელა იყო. ამაზე სხვა დროსაც ვილაპარაკებთ და ყველაფერს დაწვრილებით მიამბობთ...". ამ სიტყვებზე ჩემს ხელს დასწვდა და თავისი მომიტყაპუნა. ახალგაზრდა ღვთისმსახურებმაც ორიოდე საამო სიტყვა მითხრეს. უკვე გვიანი იყო. ბატონი მანური დაგვემშვიდობა. უფროსი ვიკარიუსი და მისი თანმხლებნი არპაჟონის სენიორთან, ბატონ მ... სთან იყვნენ მიწვეულნი და წავიდნენ. წინამძღვარი და მე მცირე ხანს მარტო დავრჩით. ბოლოს ყველა მონაზონმა, მორჩილმა და პანსიონის აღსაზრდელმა აქ მოირბინა. ერთ წამში უკვე გარშემორტყმული ვიყავი. არ ვიცოდი, ვისთვის გამეცა პასუხი. სახეები ერთმანეთში მერეოდა. ყველაფერზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ არც ჩემით და არც პასუხებით უკმაყოფილონი არ დარჩენილან.

როცა ეს კარგა ხანს გაგრძელებული, მომქანცველი საუბარი ბოლოს და ბოლოს დამთავრდა და პირველი ცნობისმოყვარეობა დაცხრა, ხალხი ნელ-ნელა შემცირდა. წინამძღვარმა დარჩენილებიც თავიდან მოიშორა და თვითონ წამომყვა, რათა ჩემთვის სენაკი მოეწყო. პატივი დამდო, მაჩვენა სახატე და მითხრა: "აქ, ჩემი პატარა მეგობარი ღმერთზე ილოცებს. ვუბრძანე, მუხლები რომ არ გეტკინოს, სალოცავ სკამზე ბალიში დადონ. სასხურებელში წმინდა წყლის წვეთი არ არის, ამ დოროთეას მუდამ რაღაცა ავიწყდება. ჩაჯექით სავარძელში, მოსინჯეთ ერთი, მოხერხებულია თუ არა თქვენთვის...".

ასე, ლაპარაკ-ლაპარაკით დამსვა, სავარძლის საზურგეზე თავი მიმაყრდნობინა და შუბლზე მაკოცა. მერე სარკმელთან მივიდა, რათა ენახა, ადვილად ეშვებოდა თუ არა ჟალუზები. საწოლის ფარდები

გახნი-გამოხსნია. ყურადღებით დაათვალიერა გადასაფარებლები: „კარგია", — თქვა ბოლოს. აიღო ბალიში, გააბუა და დაუმატა: „ეგ ძვირფასი თავი ამაზე დიდებულად დაისვენებს. ზეწრები ნაზი არ გახლავს, მაგრამ სხვებსაც ამგვარი უფენიათ. ლეიბი კარგია..." დათვალიერება მორჩა, კვლავ მომიახლოვდა, მაკოცა და წავიდა. მთელი ამ ხნის მანძილზე გულში ვფიქრობდი: „ო, რა გადარეული დედაკაცაა!" და კარგი და ავი დღეებისთვის გავემზადე.

სენაკში დავბინავდი. საღამოს ლოცვას დავესწარი, ვივახშმე და დასასვენებლად დარბაზში შევედი. ზოგი მონაზონი მომიახლოვდა, ზოგი კი შორიახლო იდგა. პირველთ ალბათ ეგონათ, რომ წინამძღვარი მფარველად მეყოლებოდა და რაიმე გავლენა მექნებოდა მასზე, სხვები კი აშკარად შეშფოთებული იყვნენ იმ გამორჩეული ყურადღებით, პირველ დღესვე რომ შემხვდნენ. ჯერ ერთმანეთის ქებაში და გამოკითხვაში ვიყავით. მეკითხებოდნენ ჩემს მიერ მიტოვებულ მონასტერზე, ცდილობდნენ ამოეცნოთ ჩემი სურვილები, ხასიათი, გემოვნება, ჭკუა-გონება. ასეთ დროს მონაზვნები ყოველმხრივ გამოწმებენ, გიგებენ პატარ-პატარა მახეებს და ამ გზით საკმაოდ ზუსტ დასკვნებსაც აკეთებენ. მაგალითად, რაიმე აუგს იტყვიან და თქვენ შემოგყურებენ. დაიწყებენ რაიმეს მოყოლას და გელოდებიან, თხოვთ თუ არა, გააგრძელეო. თუ ჩვეულებრივ სიტყვებს წარმოთქვამთ, ისინი აღტაცებით მიიღებენ, თუმცა ყველამ მშვენივრად უწყის, რომ განსაკუთრებული არაფერი გითქვამთ. განზრახ გაქებენ ან გაძაგებენ. ცდილობენ ამოიცნონ თქვენი ყველაზე იდუმალი ფიქრები. აინტერესებთ თქვენი ნაკითხობა. შემოგთავაზებენ წმინდანთა ან საერო წიგნებს და თქვენს არჩევანზე ალაპარაკდებიან. ცდილობენ მონასტრის წესებს ოდნავ მაინც გადაგაცდინონ. განდობენ საკუთარ საიდუმლოებებს. ჰყვებიან წინამძღვრის უცნაურობებზე. ყველაფერი მოკრებილია, ყველაფერი მოყოლილია და ყველაფერი გადმოცემული. წავლენ და კვლავ დაბრუნდებიან. სურთ იცოდნენ, რას ფიქრობთ მორალზე, შემწყნარებლობაზე, საერო, რელიგიურ, მონასტრულ ცხოვრებაზე, ერთი სიტყვით — ყველაფერზე. და მერელა ჩამოქნიან თქვენს დამახასიათებელ რაღაც ეპითეტს, რაც ზედმეტსახელად დაგერქმევათ. ამრიგად მიწოდეს დაი სიუზანა გულჩათხრობილი.

წინამძღვარი პირველსავე საღამოს მეწვია. სწორედ იმ დროს შემოვიდა, ტანზე რომ ვიხდიდი. თავსაბური თვითონ მომხადა, გულისპირიც შემიხსნა, დამვარცხნა და სამოსელიც გამხადა. საალერსო სიტყვებს აფრქვევდა, მეფერებოდა, ვერ მივხდი, რის გამო, მაგრამ ცოტა არ იყოს, თავს უხერხულად ვგრძნობდი, თუმცა არ მსურდა ცუდი რამე მეფიქრა. ის კი არა, ახლაც კი, როცა ყველაფერს ვიხსენებ, დასაძრახს მაინცდამაინც ვერაფერს ვხედავ. მაგრამ მაინც ვუამბე ჩემს მოძღვარს, რადგან მაშინაც და ახლაც ეს ყოველივე უწყინარი ვამილიარობა მგონია, მან კი მკრეხელობად მიიჩნია და შემდეგისთვის მკაცრად ამიკრძალა მსგავსი რამის გამეორება. წინამძღვარი მკოცნიდა კისერზე, მხრებზე, მუხლებზე, მიქებდა ჩათქვირებულ სხეულს, მერე ლოგინში ჩამაწვინა, ორივე მხარეს საბანი ამომიკეცა, თვალებში ერთხელაც მაკოცა, ჩარდახის ფარდები დახურა და წავიდა. დამავიწყდა მეთქვა, გადაღლილი იქნებაო, იფიქრა და ნება დამრთო ლოგინში იმდენ ხანს მენებივრა, რამდენიც მომესურვებოდა.

ვისარგებლე ამ სიკეთით და მგონი, ეს იყო ერთადერთი მშვიდი ღამე, რომელიც კი მონასტერში გამიტარებია და რომლის კედლებიც

თითქმის არასოდეს მიმიტოვებია. მეორე დღეს, ცხრა საათი იქნებოდა, ვიღაცამ ფრთხილად მომიკაკუნა. მე ჯერ ისევ ლოგინში ვიწექი, გამოვეხმაურე, შემოვიდა მონაზონი. მან საკმაოდ ავი ხმით მაუწყა, რომ უკვე გვიანია და დედა წინამძღვარი თავისთან მიბარებს. ავდექი, აჩქარებით ჩავიცვი და გავიქეცი.

"— გამარჯობა, შვილო ჩემო, — მითხრა მან, — კარგად გეძინათ? დალიეთ, ყავა უკვე საათია გელოდებათ. მგონი, მოგეწონებათ. ჩვენთან გადაჰკარით, მერე კი ვისაუბროთ...".

ლაპარაკობდა და თან მაგიდას სუფრას აფარებდა. მერე ხელსახოცი გულზე ჩამომაფარა, დამისხა ყავა, ჩამიგდო შაქარი. დანარჩენი მონაზვნებიც ერთმანეთთან საუბრობდნენ. ვიდრე დავნაყრდებოდი, ჩემს კოლეგებზე მიყვებოდა, ყველას იმგვარად ხატავდა, როგორადაც თვითონ მოსწონდა, ან სიყვარულით ან სიძულვილით. საალერსო სიტყვებს ბოლო არ უჩანდა. ჩემ მხრივაც მეკითხებოდა ძველ მონასტერზე, მშობლებზე, ათასგვარ მწუხარებაზე, აქებდა ან კიცხავდა იმის მიხედვით თუ რა ჟინი წამოუვლიდა. რაც კი ვუთხარი, ბოლომდე თითქმის არაფერი მოუსმენია. სიტყვა არ შემიბრუნებია. შევატყვე, კმაყოფილი დარჩა ჩემი გონებით, მსჯელობით, თავშეკავებით. ამასობაში, ჯერ ერთი მონაზონი შემოვიდა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე. ლაპარაკი წინამძღვრის ჩიტებზე დაიწყეს. ჭორავდნენ რომელილაც მონაზონს, იცინოდნენ, იმათ პატარ-პატარა უცნაურობებზე, ვინც ამჟამად აქ არ იყო, ყველანი გამხიარულდნენ. სენაკის კუთხეში პატარა კლავესინი იდგა, დაბნეულმა მის კლავიშებს შევახე თითები, რადგან მათი ხუმრობა არ მართობდა, მონასტერში ახლად მოსული არ ვიცნობდი იმ მონაზვნეებს, რომლებზედაც იცინოდნენ. თუმცა, რომ მცნობოდა კიდეც, ამგვარი ხუმრობა სიამოვნებას მაინც არ მომანიჭებდა. კარგი ხუმრობისთვის ნატიფი გონებაა საჭირო. თანაც სასაცილო რამ ვილას არა სჭირს. ვიდრე ისინი ამ ყოფაში იყვნენ, მე რამდენიმე აკორდი ავიღე და ნელა-ნელა მივიპყარი ყურადღება. წინამძღვარი მომიახლოვდა, მხრებზე ხელი გადამისვა და მითხრა: 'აბა, დაო სიუზანა, გაგვართე. ჯერ დაუკარი, მერე გვიმღერე". რაც მიბრძანა შევუსრულე. რამდენიმე პიესა დავუკარი, ზეპირად რაც ვიცოდი. მერე ცოტა ჩემით შევთხზე რაღაც. ბოლოს ფსალმუნიდან რამდენიმე სტროფი ვიგალობე მონდონვილის[1] მუსიკაზე.

"— მშვენიერია, — მითხრა წინამძღვარმა. — მაგრამ საღმრთო მუსიკის მოსმენა ეკლესიაშიც გვეყოფა. აქ მარტონი ვართ. ესენი ჩემი მეგობრები არიან, შენი მეგობრებიც გახდებიან. გვიმღერე რამე, უფრო მხიარული".

ზოგიერთმა მონაზონმა წამოიძახა: "— იქნებ სხვა არაფერი იცის. მოგზაურობა დაქანცავდა. გავუფრთხილდეთ. ახლა ესეც კმარა.

— არა, არა, — თქვა წინამძღვარმა, — საოცრად უკრავს. ხმა კი უკეთესი მგონი არავისა აქვს (მართლაც ცუდი ხმა არა მაქვს, მაგრამ კარგი სმენა, რბილი, მოქნილი ტონალობა უფრო დამახასიათებელია ჩემთვის, ვიდრე ძლიერი და ფართო დიაპაზონი), ვერ გავუშვებ, ვიდრე სხვა რამესაც არ გვიმღერებს".

მონაზვნების ნათქვამი მეწყინა და წინამძღვარს განვუცხადე, იქნება ჩემი სიმღერა ჩემს დებს სიამოვნებას აღარ ანიჭებს-მეთქი.

"— სამაგიეროდ, მე მანიჭებს სიამოვნებას".

---

1. ჟან-ჟოზეფ მონდონვილი (1715-1773) — ფრანგი კომპოზიტორი.

სწორედ ამგვარ პასუხს ველოდი და მეც ძალიან მხიარული სიმღერა წამოვიწყე. ყველამ ტაში შემოჰკრა. მეხვეოდნენ, მეფერებოდნენ, მაქებდნენ, მთხოვდნენ — კიდევ იმღერეო და ამ ყალბ აღტაცებას წინამძღვრის ნება წარმართავდა. დამსწრეთა შორის ალბათ ერთიც არ მოიძებნებოდა ისეთი, რომ თუ შესაძლებლობა ექნებოდა, ჩემთვის თითები გადაემტვრია და ხმაც ამოერთმეოდა. სამაგიეროდ, ვისაც ალბათ მუსიკა ცხოვრებაში ერთხელაც არ მოესმინა, ჩემს სიმღერაზე რაღაც სასაცილოს და გამქირდავის თქმა მოინადინეს, რასაც წინამძღვარზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

"— ხმა ჩაიწყვიტეთ, — ბრძანა მან, — ანგელოზივით მღერის და უკრავს. მინდა ყოველდღე მოვიდეს ჩემთან. ოდესღაც მეც ვუკრავდი კლავესინზე. უნდა დამეხმაროს და დავიწყებული გამახსენოს.

— ოჰ, ქალბატონო, — ვუთხარი მე, — რაც ოდესღაც იცოდით, მთლიანად არასოდეს იქნება დავიწყებული...

— შეიძლება. დამსვით თქვენს ადგილზე...".

რამდენიმე აკორდი აიღო, უკრავდა რაღაც გიჟურს, უცნაურს, მისივე აზრებივით უთავბოლოს, მაგრამ შეცდომათა შორის ისიც შევამჩნიე, რომ მისი თითები უფრო მეტი სიმსუბუქით დარბოდნენ, ვიდრე ჩემი. მოვახსენე კიდეც, რადგან სხვისი ღირსების აღნიშვნა დიდ სიხარულს მანიჭებს და თუ ქება სინამდვილეს მართლაც შეეფერება, ამგვარ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებ. ოჰ, ეს ისე სასიამოვნოა! მონაზვნები ერთიმეორის მიყოლებით გავიდნენ. მე და წინამძღვარი თითქმის მარტონი დავრჩით და მუსიკაზე დავიწყეთ ლაპარაკი. იგი იჯდა, მე გვერდით ვედექი. მან ჩემი ხელი აიღო, მომიჭირა და თქვა: "ეს მარტო მშვენივრად კი არ უკრავს, ყველაზე ლამაზი თითებიც აქვს. დახედეთ, დაო ტერეზა..." ტერეზამ თვალები დახარა, გაწითლდა და რაღაც ჩაიბურტყუნა. არ ვიცი მართალი იყო თუ არა წინამძღვარი, მაგრამ ეს მონაზონი მისმა სიტყვებმა რატომ ჩააგდო საგონებელში? წინამძღვარი ახლა წელზე მომეხვია, ჩემი აღნაგობით აღფრთოვანდა. თავისკენ მიმიზიდა და მუხლებზე დამისვა. თავი აშინია და მთხოვა, მე მიყურეო. აქებდა ჩემს თვალებს, ბაგეს, ლოყებს, სახის ფერს. მე ვდუმდი, თავს ვერ ვილებდი და მის ქებას ჭკუასუსტივით ვიტანდი. მონაზონი ტერეზა კი, დაბნეული და შეწუხებული, სენაკში წრიალებდა, ხან ერთ რაღაცას წაავლებდა ხელს, ხან მეორეს, აღარ იცოდა, რა ექნა, ხან ფანჯარაში იყურებოდა, ხან კარს აყურადებდა, ხომ არავინ აკაკუნებსო. წინამძღვარმა უთხრა:

— დაო ტერეზა, ჩვენთან თუ მოგეწყინათ, შეგიძლიათ წახვიდეთ.

— არა, ქალბატონო, არ მომწყენია.

— კიდევ ათასი რამ უნდა ვკითხო ამ ბავშვს.

— ეჭვიც არ მეპარება.

— მინდა მთელი მისი ცხოვრების ამბავი ვიცოდე. მაშ, როგორ შევუმსუბუქო ის ტანჯვა, თუკი არაფერი მეცოდინება? მინდა ყველაფერი მითხრას, არაფერი გამოტოვოს. დარწმუნებული ვარ, გული გამისკდება, ცრემლად დავიღვრები, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? დაო სიუზანა, როდის გავიგებ ყველაფერს?

— როცა მიბრძანებთ, ქალბატონო.

— ახლავე გთხოვდი, თუ დრო კიდევ დაგვრჩა. რომელი საათია?..

და ტერეზამ უპასუხა: — ხუთი საათია, ქალბატონო, მწუხრის სალოცავად მიგვიხმობენ მალე.

— დაიწყოს მაინც.

— მაგრამ, ქალბატონო, რომ დამპირდით, მწუხრის ლოცვის წინ მომხედავდით და მანუგეშებდით. ისეთი ფიქრები მტანჯავს. სული მინდა გადაგიშალოთ, დედაო. უამისოდ ლოცვას ვერ შევძლებ. ჩემი ვონება სხვაგან იქნება.

— არა, არა, — უპასუხა წინამძღვარმა, — ფიქრებმა ხე[illegible]შალეს. სანაძლეოს ვდებ, ვიცი, რაშიც არის საქმე. ამაზ[illegible] ილაპარაკოთ.

— ოჰ! ძვირფასო დედაო, — ცრემლის ღვრით წამოიძახა ტერეზამ და წინამძღვრის ფეხებთან დაეცა, — ბიჯობს ახლავე.

— ქალბატონო, — ვუთხარი წინამძღვარს და მისი მუხლებიდან წამოვიწიე, — იკმარეთ ჩემი დის ტანჯვა და აღუსრულეთ ვედრება. წავალ. თქვენი სურვილის აღსასრულებლად საკმაო დრო მაქვს. ჩემს ამბავს სხვა დროს გიამბობთ. მოუსმინეთ და ტერეზას და აღარ დაიტანჯება...

კარისკენ გავწიე. წინამძღვარმა ცალი ხელით დამიჭირა. დაჩოქილი მონაზონი მის მეორე ხელს ეცა და ტირილით დაუკოცნა. წინამძღვარმა უთხრა:

— დაო ტერეზა, თქვენი მოუსვენრობით ძალზე მაშინებთ. ამაზე ერთხელაც გელაპარაკეთ. ეს რა საქციელია? პირდაპირ მავიწროვებთ. მე არ მინდა ვინმე მავიწროვებდეს.

— ვიცი, გრძნობებს ველარ ვიოკებ. მინდა თავი შევიკავო, მაგრამ ვერ ვახერხებ...".

ამასობაში გარეთ გავედი და ახალგაზრდა მონაზონი წინამძღვართან დავტოვე. მერე, როცა ეკლესიაში ლოცულობდა, ველარ მოვითმინე და გადავხედე. იგი კვლავ სასოწარკვეთილი და განადგურებული ჩანდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და მომეჩვენა, რომ ჩემს შეხედვას ძლივს გაუძლო. რაც შეეხება წინამძღვარს, მან თავის სავარძელში ჩაიძინა.

ლოცვა სახელდახელოდ მომთავრდა. როგორც მომეჩვენა, ეკლესია ამ მონასტერში მაინცდამაინც საყვარელი ადგილი არ გახლდათ. მონაზვნები ფაცხაფუცხით გაცვივდნენ და გალიებიდან გამოფრენილი ჩიტების გუნდივით ატეხეს ჟრიამული. ერთმანეთის მიყოლებით სირბილით, სიცილით და ყბედობით გავარდნენ. წინამძღვარი თავის სენაკში ჩაიკეტა. მონაზონი ტერეზა სენაკის ზღურბლთან გაჩერდა, მიდარაჯებდა საით წავიდოდი. მე ჩემს სენაკში შევედი. ცოტა ხნის მერე კი დაი ტერეზას სენაკის კარი მიიხურა. სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ეს გოგონა ჩემზე ეჭვიანობდა. ეშინოდა, არ მიმეტაცა ის ადგილი, წინამძღვრის სულში რომ აშკარად ეკავა. ეშინოდა არ დაეკარგა წინამძღვრის სიახლოვე და კეთილგანწყობა. ორიოდე დღე განუწყვეტლივ ვაკვირდებოდი, მისმა თითქოსდა პატარა, ბრაზიანმა გამოხდომებმა, ბავშვურმა შიშმა და დაჟინებულმა თვალთვალმა, ჩემი ეჭვის სიმართლეში დამარწმუნა. ერთთავად ცდილობდა მე და წინამძღვარი მარტო არ დავეტოვებინეთ, საუბარში ერეოდა, აზვიადებდა ჩემს ნაკლს, ჩემს ღირსებებს კი ამცირებდა. ჩემი ეჭვი უფრო მეტად მისმა სიფითრემ, აშკარა ტანჯვამ, ცრემლებმა, ავადმყოფურმა იერმა, და შეიძლება, გონებრივმა არეულობამაც განმიმტკიცა. ამიტომ შევედი ერთხელ მასთან და ვკითხე: "ძვირფასო მეგობარო, რა დაგემართათ?"

მან არაფერი მიპასუხა. ჩემს სტუმრობას, ეტყობა, არ ელოდა და შეცბა, არ იცოდა, რა ეთქვა ან რა გაეკეთებინა.

"— ჩემს მიმართ უსამართლოდ იქცევით. პირდაპირ მითხარით, გეშინიათ, არ ვისარგებლო დედა წინამძღვრის კეთილი განწყობით და

მის გულში თქვენი ადგილი არ დავიჭირო? დამშვიდდით! მე ეს არ მჩვევია. თუ ბედნიერება მხვდება წილად და რაიმე გავლენას მივაღწევ...

— ყველაფერს მიაღწევთ, რასაც კი მოისურვებთ. მას უყვარხართ. იგი დღეს თქვენთვის ყველაფერს აკეთებს, ზუსტად ისევე, როგორც წინათ ჩემთვის აკეთებდა.

ეროვნული

— კეთილი! მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ჩემს მიმართ გამოჩენილ ნდობას მხოლოდ იმისთვის გამოვიყენებ, რომ თქვენ უფრო უყვარდეთ.

— განა თქვენზე იქნება დამოკიდებული?

— რატომაც არ იქნება?

პასუხის ნაცვლად მომეხვია და ოხვრით მითხრა:

— ვიცი, თქვენი ბრალი არ არის, ჩემს თავს ყოველთვის ამას ვეუბნები, მაგრამ აღმითქვით...

— რა უნდა აღგითქვათ?

— რომ...

— მითხარით, ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული".

იგი ყოყმანობდა, სახეზე ხელებს იფარებდა და ბოლოს ყრუ, ძლივს გასაგონი ხმით ალაპარაკდა: "— დამპირდით, რომ რაც შეგეძლებათ და როგორც შეგეძლებათ იშვიათად შეხვდებით მას...".

ამგვარი თხოვნა ისე უცნაური მომეჩვენა, თავი ველარ შევიკავე და ვკითხე: " – თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს იშვიათად ვნახავ წინამძღვარს თუ ხშირად? მე არ გავბრაზდებოდი, თუ ერთთავად მასთან იქნებოდით. თქვენ რატომ უნდა გეწყინოთ, თუ ჩემი მხრით ხშირად ენახე? განა ჩემი დაპირება ცოტაა? არც თქვენ დაზარალდებით და არც სხვა ვინმე.

გამერიდა, სარეცელზე დაემხო და სასოწარკვეთით აღმოხდა:

"— დავიღუპე!

— დაიღუპეთ? რატომ? როგორც ეტყობა, ამქვეყნად ყველაზე უფრო ბოროტ ვინმედ მთვლით!"

ამ ყოფაში ჩავარდნილებს თავზე წინამძღვარი დაგვადგა. ჩემს სენაკში შეევლო, იქ რომ ვერ მნახა, თითქმის მთელი მონასტერი შემოევლო. არც კი უფიქრია ტერეზასთან თუ შეიძლებოდა ვყოფილიყავი. როგორც კი უთქვამთ იმ მონაზვნებს ჩემს საძებნელად რომ დააგზავნა, მაშინვე აქეთ წამოსულიყო. მის იერსა და გამოხედვაში რაღაცნაირი დაბნეულობა იხატებოდა. ვაცადე, ეს დიდხანს არ გასტანდა. დაჲ ტერეზა საწოლზე იჯდა და დუმდა, მე კი ვიდექი.

"— ძვირფასო დედავ, მომიტევეთ თქვენი ნებართვის გარეშე რომ შემოვედი. — ვთქვი მე.

— მართალია, — მიპასუხა, — უკეთესი იქნებოდა ჩემთვის გეთხოვათ უფლება.

— შემებრალა ჩვენი ძვირფასი და, შევამჩნიე მწუხარებისგან იტანჯებოდა.

— რის გამო?

— გითხრათ? რატომაც არ უნდა გითხრათ? ამგვარი გრძნობა მის სულს მეტი პატივისცემის ღირსად ხდის და უფრო მტკიცედ მეტყველებს თქვენდამი მის დიდ სიყვარულზე. ჩემდამი გამოჩენილმა თქვენმა სიკეთემ შეაშფოთა მისი მგრძნობიარე გული. ეშინია, მე არ დავიკავო თქვენს გულში პირველი ადგილი. ეს ეჭვის გრძნობა გაბლავთ, მაგრამ ღირსეული, ბუნებრივი და მოწონების ღირსი, ძვირფასო

დედავ. ვიფიქრე, რომ ამან დიდი ტანჯვა მიაყენა ჩვენს დას და მეც მის დასამშვიდებლად შემოვედი.

წინამძღვარმა მომისმინა, მერე გაბრაზებულმა მეტი სიმკაცრით თქვა:

— დაო ტერეზა, მიყვარდით და კიდევაც მიყვარხართ. სამდურავს ვერაფერს გეტყვით და არც თქვენ უნდა გქონდეთ რამე დასამდურავი განსაკუთრებული პრეტენზიის ატანა არ ძალმიძს. მოთმინებით ვიტან სისულელეები, თუ გინდათ, ის დარჩენილი სიყვარულიც არ ჩაქრეს, თქვენდამი რომ მაქვს... და თანაც გაიხსენეთ დაჲ აგათას ბედი... — ამ დროს მეჩერდა და მე მომიბრუნდა: — ის მაღალ-მაღალი, შავგვრემანი ქალი ეკლესიაში ჩემს პირდაპირ რომ იდგა. (ისე მცირე ხანი დავყავი სხვა მონაზვნებთან, ისე მცირე დრო გავიდა ჩემი აქ მოსვლიდან, რომ ყველას სახელი არ ვიცოდი). მან განაგრძო: — მე მიყვარდა იგი, როცა დაჲ ტერეზა მოვიდა ჩვენს მონასტერში და ახლა ამისი გათამამება დავიწყე. ისიც ამგვარმა მოუსვენრობამ შეიპყრო. იგივე სისულელეები ჩაიდინა. მე გავაფრთხილე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. სხვა გზა არ მქონდა და იმგვარი მკაცრი ზომები გამოვიყენე, დიდი ხნის წინათ რომ იყენებდნენ და რაიც ჩემს ხასიათს ეწინააღმდეგებოდა. მონასტერში ყველა ერთხმად გეტყვით, რომ ძალზე კეთილი ვარ და მხოლოდ საკუთარი სურვილის წინააღმდეგ თუ დავსჯი ადამიანს... — მერე კვლავ დაჲ ტერეზას მიუბრუნდა: — შვილო ჩემო, არ მიყვარს, როცა ვინმე ხელ-ფეხს მიბორკავს. აკი გითხარით, კარგად მიცნობთ და მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ... — მერე მხარზე დამეყრდნო და მითხრა: — წამოდით, დაო სიუზანა, გამაცილეთ.

გავედით. დაჲ ტერეზას უნდოდა გამოგვყოლოდა, მაგრამ წინამძღვარმა გულგრილად მოაბრუნა თავი და მბრძანებლის ხმით უთხრა: — დაბრუნდით თქვენს სენაკში და ვიდრე უფლებას არ მოგცემთ, ფეხი არ გამოდგათ... იგი დაემორჩილა, კარი მიიჯახუნა და თან რაღაცა წამოიძახა, რომლის გაგონებამაც წინამძღვარი ააცახცახა, მე კი მათ აზრს ოდნავადაც ვერ ჩავწვდი. წინამძღვრის მრისხანება არ გამომპარვია და მოვახსენე: — ძვირფასო დედაო, თუ ჩემს მიმართ რაიმე სიკეთე მოგეძევებათ, აპატიეთ და ტერეზას. თავგზა აებნა და თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს და რას აკეთებს.

— რაო, ვაპატიო? განა, მე არ მინდა ვაპატიო? მაგრამ თქვენგან რას მივიღებ სამაგიეროდ?

— ოჰ, ძვირფასო დედაო, ბედნიერი ვიქნებოდი თუ რამე ნივთი მექნებოდა იმგვარი, თქვენ რომ მოგეწონებოდათ და სიმშვიდეს მოგგვრიდათ!"

მან თვალები დახარა, გაწითლდა და სწორედ რომ ნამდვილი შეყვარებულივით ამოიოხრა. მერე ისე ღონემიხდილი მომეყრდნო, თითქოს გრძნობას კარგავსო და ჩაიჩურჩულა: "მომიახლოვე შუბლი, გაკოცო...". დავიხარე და შუბლზე მაკოცა. ეს იყო და ეს, მას მერე, როგორც კი ვინმე მონაზონი ცოდვას ჩაიდენდა, ვესარჩლებოდი და დარწმუნებულიც ვიყავი, უწყინარი ალერსის წყალობით პატიებას მივაღწევდი. იგი მიკოცნიდა შუბლს, კისერს, ტუჩებს, ხელებს, მხრებს, უფრო კი ტუჩებს. თან ჩურჩულებდა, რომ ფაქიზი სუნთქვა, თეთრი კბილები, ქორფა და ალისფერი ტუჩები მქონდა.

ოდნავ მაინც რომ შეეფერებოდეს სიმართლეს, რასაც ჩვენი წინამძღვარი მეუბნებოდა, მართლა ლამაზი ვიქნებოდი. თუ შუბლზე მკოცნიდა, ამბობდა — რა სწორი და მშვენივრად მოხაზული შუბლი

გაქვსო. თვალებზე მეუბნებოდა — ბრწყინავსო. ლოყებზე კი — ალისფერი და ლაჟღაჟაო. ჩემი ხელები პატარა და ფუმფულა მიაჩნდა. გულმკერდზე მიმტკიცებდა — ქვასავით მკვრივი და მომხიბლავი გაქვსო. ასეთი იშვიათი სილამაზის ყელი არც ერთ მონაზონს არ აქვსო. და კიდევ, ვინ იცის, რაღას არ ამბობდა! რაღაც ნაწილი სიმართლისა მის სიტყვებში ალბათ იყო, ბევრი რამ კი გადაჭარბებულად მიმაჩნდა: ხანდახან თავით ფეხამდე აღფრთოვანებული მზომავდა და იმგვარი თვალებით მიყურებდა, სხვა ქალებისთვის რომ არასოდეს შემიმჩნევია. ამბობდა: "უდიდესი ბედნიერებაა, რომ უფალმა მონასტერში ჩაკეტვა მარგუნა, თორემ ჩემი გარეგნობით იმდენ მამაკაცს დავღუპავდი, რამდენიც კი შემხვდებოდა და თვითონაც მათთან ერთად დავიღუპებოდი. ღმერთი რასაც ქმნის, კარგად ქმნის".

როცა მის სენაკს მივუახლოვდით, წასვლა დავაპირე, მაგრამ ხელი მომკიდა და მითხრა: "უკვე ძალზე გვიანია ვერ მოასწრებთ მოყოლას, რაც წმინდა მარიამისა და ლონშანის მონასტრებში გადაგხდათ, მაგრამ მაინც შევიდეთ, კლავესინზე დაკვრაში მცირე გაკვეთილს ჩამიტარებთ".

სენაკში შევედით. მაშინვე გახსნა კლავესინი, გადაშალა ნოტები, მოსწია სკამი, — აკი ვთქვი ძალზე მოძრავი ქალი იყო-მეთქი. დავჯექი. იმის შიშით, არ გაცივდესო, სკამიდან ბალიში აიღო, დაიხარა და ფეხები ზედ დამაწყობინა. მერე კუპერენის, რამოს, სკარლატის[1] რამდენიმე პიესა დავუკარი. ამასობაში გულსაფრის ერთი კუთხე აშინია და შიშველ მხარზე ხელი გადამისვა, თანაც ისე, მისი თითების ბოლოები ჩემს ძუძუებს ეხებოდა. ხვნეშოდა, ეტყობოდა, სულს ძლივს ითქვამდა, სუნთქვა უჭირდა. იმ ხელით, მხარზე რომ ედო, ჯერ მაგრად მიჭერდა, მერე მოუდუნდა და ძალაგამოლეულივით უსიცოცხლოდ დაეკიდა. თავი ჩემს თავზე ჩამოუვარდა. ამ გიჟს მუსიკის სიყვარული დაუჯერებელი გრძნობებით ავსებდა. არასოდეს მინახავს ვინმე, მუსიკა ამგვარი გრძნეული ძალით რომ მოქმედებდეს.

ასე უბრალოდ და სასიამოვნოდ ვერთობოდით. ერთბაშად კარი ჯახუნით გაიღო. მე შემეშინდა, წინამძღვარსაც ფერი ეცვალა. ეს გახლდათ უგუნური დაა ტერეზა: ტანსაცმელაბურდულმა, თვალებარეულმა, დაბნეული მზერა მოგვავლო და აცახცახებულმა ერთი სიტყვის თქმაც ვერ შესძლო. ამასობაში გონზეც მოეგო და წინამძღვრის ფეხებთან დავარდა. მის ვედრებას ჩემი თხოვნა შევუერთე და კვლავ მიუტევა წინამძღვარმა, მაგრამ მტკიცე ხმით განუცხადა, რომ ეს უკანასკნელი მიტევება იყო და ორივენი მისი სენაკიდან გამოვედით.

ჩვენი სენაკებისკენ რომ მივდიოდით, ტერეზას ვუთხარი: '— ძვირფასო დაო, ფრთხილად იყავით, ჩვენს დედას აბოროტებთ, როგორც დაგპირდით, არ მიგატოვებთ, მაგრამ გავლენას დამაკარგვინებთ და მაშინ ვერც თქვენ დაგეხმარებით და ველარც სხვას. მითხარით, ერთი, რა გაშფოთებთ?

-----------------------

1. ფრანსუა კუპერენი (დიდი) (1668-1733) – ცნობილი ფრანგი ორღანისტი, კლავესინისტი, კომპოზიტორი.
ჟან-ფილიპ რამო (1683-1764) – გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი, ორღანისტი, კლავესინისტი, ოპერის რეფორმატორი.
დომენიკო სკარლატი (1685-1757) – კომპოზიტორი და კლავესინისტი. ნეაპოლიტანური მუსიკალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

პასუხი არ მიმიღია.

— რისი შიში გაქვთ, რა მოგელით ჩემგან?

პასუხი ისევ არ გაუცია.

— განა ჩვენი დედა წინამძღვარი ვერ შეძლებს ერთნაირად ვუყვარდეთ ორივე?

— არა, არა, — წამოიძახა ფიცხად, — შეუძლებელია. მას შემიზიზღებს და მწუხარებისგან მოვკვდები კიდეც. ოჰ, რად ჩამ[illegible]? თქვენი ბედნიერებაც დიდხანს არ გასტანს, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე კი სამუდამოდ ვიქნები უბედური.

— ვიცი, — ვუთხარი მე, — წინამძღვრის კეთილგანწყობილების დაკარგვა დიდი უბედურებაა, მაგრამ უფრო დიდი უბედურებაც ვიცი, თუკი ეს, რა თქმა უნდა, დამსახურებულია, მაგრამ თავს ხომ არაფერში სდებთ ბრალს?

— ოჰ, ნეტავი ასე ყოფილიყო!

— თუ სულის სიღრმეში რამე ცოდვაზე ფიქრობთ, უნდა ეცადოთ გამოასწოროთ, და მოთმინებით აიტანოთ სასჯელი.

— არ შემიძლია, არ შემიძლია... და თანაც განა მან უნდა დამსაჯოს?

— მან, დაო ტერეზა, მან! განა წინამძღვარზე ასე ლაპარაკობენ? როგორ იქნება! დარწმუნებული ვარ, ეს უფრო მძიმე შეცდომაა, ვიდრე ის, რაზეც თავს ჰკიცხავთ.

— ოჰ, ნეტავი ასე იყოს! — გაიმეორა მან, — ნეტავი ასე იყოს...".

და დავშორდით ერთმანეთს. იგი თავის სენაკში შევიდა, რომ მწუხარებას მისცემოდა, მე კი ჩემსაში, რათა ქალების უცნაურობებზე მეფიქრა.

აი, შედეგი კარჩაკეტილობისა. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებისთვის არის შექმნილი. გაჰყარე საზოგადოებას, განაცალკევებ მისგან და აზრი მისი დაემვება, ხასიათი აფთრისა გაუხდება და ათასგვარი სატკივარი ჩაიბუდებს მის გულში. გონებაში სულელური ფიქრები დაიწყებენ აღმოცენებას, ისე როგორც მიგდებულ ადგილებში მაყვლის ბარდები მრავლდება ხოლმე. გაუშვით კაცი ტყეში და იგი ერთბაშად გაველურდება, ულმობელი გახდება. მით უარესია მონასტერში, სადაც ცხოვრება მონობის ტოლფასია. ტყიდან გამოვა კაცი, მონასტრიდან გამოსასვლელი გზა კი არ არსებობს. ტყეში თავისუფალი ხარ, მონასტერში კი — მონა. გაჭირვებას კიდევ მოერევი, მაგრამ რაოდენი ძალისხმევა გმართებს, რათა მარტოობას აღუდგე წინ. გაჭირვება აკნინებს, ჩაკეტილობა კი რყვნის. რა უფრო სჯობს, გარიყვა თუ სიგიჟე? არ ვიცი, არჩევანს ვერც გავბედავ, მაგრამ პირველსაც უნდა ერიდო და მეორესაც.

ვამჩნევდი, წინამძღვარს ჩემდამი ნაზი გრძნობა დღითი დღე უფრო ერეოდა. ან მე ვიყავი მის სენაკში ან ის იყო ჩემთან. ოდნავ უქეიფოდაც რომ ვყოფილიყავი, მაშინვე ლაზარეთში მგზავნიდა, წირვალოცვიდან მათავისუფლებდა, ადრე მაძინებდა, დილის ლოცვაზე დასწრებას მიკრძალავდა. ეკლესიაში, სატრაპეზოში თუ დასასვენებელ დარბაზში ყოველთვის გამოძებნიდა ისეთ რამეს, ჩემთვის

მეგობრობა და კეთილგანწყობა რომ დაემტკიცებინა. ლოცვის დროს, როცა გრძნობით აღსავსე, გულის შემძვრელ, რაიმე ალერსიან სტროფს მოჰკრავდა ყურს, თავად გალობდა და მე მომმართავდა, თუ სხვა ვინმე მღეროდა, მაშინ მე მიყურებდა დაჟინებით. სატრაპეზოში ნუგბარ საჭმელს მიგზავნიდა, მხოლოდ მას რომ ეხერხებოდა იმგვარს. დასასვენებელ დარბაზში წელზე მხვევდა ხელს, თბილ, სასიამოვნო სიტყვებს მეუბნებოდა. რა ძღვენიც უნდა მიეღო შოკოლადი, შაქარი, ყავა თუ ლიქიორი, თამბაქო, თეთრეული თუ ცხვირსახოცები, ყველაფერს მინაწილებდა. ჩემი სენაკი მორთო, თავისი კი დააცარიელა. გადმოიტანა გრავიურები, ჭურჭელი, ავეჯი და უამრავი სხვა ნივთი. სენაკიდან გასვლას ვერ ვასწრებდი, რომ დაბრუნებისას რაიმე ნობათი მხვდებოდა. მადლობის სათქმელად რომ მივდიოდი, ისე უხაროდა, ენა ვერ იტყვის. მკოცნიდა, მეფერებოდა, მუხლებზე მისვამდა, მანდობდა მონასტრის ყველაზე საიდუმლო ამბებს და მიმტკიცებდა, თუ მეყვარებოდა, მისი ცხოვრება მონასტერში ათასჯერ უფრო ბედნიერი იქნებოდა, ვიდრე გარეთ რომ დარჩენილიყო. ერთხელაც, როცა ამგავრ რამეებს ამბობდა, გრძნობამორეული დამაცქერდა და მკითხა:

"— დაო სიუზანა, გიყვარვართ?

— რატომ არ უნდა მიყვარდეთ? უმადური უნდა ვიყო, რომ არ მიყვარდეთ.

— ჰო, მართალია.

— იმდენი სიკეთე გამიწიეთ...

— უმჯობესია მითხრათ, თუ მოგწონვართ...".

ამის თქმაზე თვალები დახარა. ერთი ხელი უფრო ძლიერ მომხვია, მეორე კი, მუხლებზე რომ ედო, მაგრად მომიჭირა, მერე თავისკენ მიმიზიდა და სახით ჩემს სახეს მიეხუტა. ხვნეშოდა, სკამზე გადაიწია და აცახცახდა, თითქოს რაღაცის გაკეთება უნდა და ვერ გაუბედიაო, ცრემლები სდიოდა და ჩურჩულებდა:

"— ოჰ, დაო სიუზანა, არ გიყვარვართ!

— მე არ მიყვარხართ, ძვირფასო დედავ?

— არა.

— მითხარით, რითი დაგიმტკიცოთ?

— თვითონ უნდა მიხვდეთ.

— ვცდილობ, მაგრამ ვერ კი მივმხვდარვარ".

ამასობაში თავისი გულსაფარი ჩამოიცილა და ერთი ხელი თავის მკერდზე დამადებინა. დუმდა. ვდუმდი მეც. ვიტყოდი, სიამოვნებით თრთოდა. საკოცნელად გამომიშვირა შუბლი, ლოყები, თვალები, ტუჩები... მეც დავემორჩილე და ვკოცნიდი. არ მეგონა, თუ ამით ცუდ რამეს ჩავდიოდი. ამასობაში უფრო მეტ თავდავიწყებას ეძლეოდა. მე კი გულუბრყვილოდ მსურდა მეტი სიამოვნება მიმენიჭებინა და კიდევ და კიდევ ვუკოცნიდი შუბლს, ლოყებს, თვალებსა და ტუჩებს. ხელი, რომელიც ჩემს მუხლებზე ედო, ჩემს სხეულზე ფეხის წვერებიდან წელამდე დასრიალებდა, ხან სად მომიჭერდა, ხან სად. უცხო, დახშული ხმით მთხოვა, ალერსი არ შეწყვიტო, უფრო მეტად მომეფერეო, მეც ვაგრძელებდი მოფერებას, ვიდრე ბოლოს არ დადგა წუთი, როცა, არ ვიცი, ძლიერი სიამოვნებისგან თუ ტანჯვისგან, მკვდარივით გაფითრდა, თვალები დახუჭა, სხეული დაეკრუნჩხა, გაიჭიმა, მტკიცედ მოკუმული ბაგე დაეცვარა და ნერწყვი დაედო. მერე ტუჩები ოდნავ

გახსნა და ღრმა ოხვრა აღმოხდა. ვიფიქრე კვდება-მეთქი და წამოვხტი. მეგონა, ცუდად იყო და მშველელის მოსახმობად გარეთ გავარდნა მინდოდა. ძლივს გაახილა თვალი და ჩამქრალი ხმით მითხრა: "უმანკო ბავშვო! არაფერია. სად გარბიხართ? შეჩერდით...". გაშტერებული ვუყურებდი და ვერ გადამეწყვიტა, წავსულიყავი თუ არა. მან კვლავ გაახილა თვალი, ხმის ამოღება ვერ შეძლო და მანიშნა, მუხლებზე ჩამომიჯექიო. არ ვიცი, რა მემართებოდა, შეშინებული ვცახცახებდი, გული ძალუმად მიცემდა. სული მეხუთებოდა, თან დათრგუნული ვიყავი, თან აღგზნებული, შიშით ვკანკალებდი. ვატყობდი, ძალა მეცლებოდა და საცაა გული წამივიდოდა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რასაც ვგრძნობდი — მტანჯავდა. მივუახლოვდი, ისევ მანიშნა, მუხლებზე ჩამომიჯექიო. ის მკვდარივით იყო, მე კი მომაკვდავივით. და ალბათ, კარგა დიდხანს ვიყავით ამგვარ უცნაურ ყოფაში. მოულოდნელად რომელიმე მონაზონს კარი რომ შემოეღო, ნამდვილად შეეშინდებოდა, გულწასულები ვეგონებოდით ან ჩაძინებულები. ამასობაში, ეს კეთილი წინამძღვარი, კეთილი-მეთქი, რადგან არ შემეძლო მისთვის კეთილი არ მეწოდებინა, თითქოს გრძნობაზე მოვიდა. თავის სკამზე ნახევრად გადაწოლილს და თვალდახუჭულს სახეზე ფერი მოუვიდა. ხან ერთ ხელს დასწვდებოდა ჩემსას, ხან მეორეს და კოცნიდა. მე ვუთხარი: "— ოჰ, ძვირფასო დედავ, როგორ შემაშინეთ... — მან, ისე რომ თვალი არ გაუხელია, ნაზად გაიღიმა.

— განა ცუდად არ იყავით? — ვკითხე მე.

— არა.

— მე კი მეგონა, ცუდადაა-მეთქი.

— უმანკო ბავშვო! ძვირფასო პატარავ, როგორ მასიამოვნეთ!..".

ეს თქვა, წამოიწია და სკამზე გასწორდა, კვლავ ჩამეხვია, მთელი ძალით დამიკოცნა ლოყები და მითხრა:

"— რამდენი წლისა ხართ?

— ოცი არ შემსრულებია.

— დაუჯერებელია.

— მართლა მოგახსენებთ, ძვირფასო დედავ.

— თქვენი ცხოვრების ამბავი მინდა ვიცოდე, ხომ მიამბობთ?

— დიახ, ძვირფასო დედავ.

— ყველაფერს?

— ყველაფერს.

— მაგრამ შეიძლება აქ ვინმე შემოვიდეს. კლავესინთან დავსხდეთ და თქვენ გაკვეთილს ჩამიტარებთ".

ჩვენ კლავესინთან მივედით. არ ვიცი, რა მემართებოდა, ხელები მიკანკალებდა, ნოტებს ველარ ვარჩევდი და დაკვრა ვერ შევძელი. გამოვუტყდი კიდეც. მან გაიცინა, ჩემს ადგილზე დაჯდა, მაგრამ ჩემზე უარესი დაემართა, ხელს ძლივძლივობით იმორჩილებდა.

"— შვილო ჩემო, — მითხრა წინამძღვარმა, — ვატყობ, გაკვეთილს ვერც თქვენ ჩაატარებთ და მეც არაფერი შემიძლია. ცოტა დაღლილი ვარ, დასვენება მინდა. ახლა წადით, ნახვამდის. ხვალ კი, ნულარ გადავდებთ, ყველაფერი მინდა ვიცოდე, რაც მაგ ნორჩ სულს გადახდომია. ნახვამდის...".

სხვა დროს, როცა მისგან გამოვსულვარ, კართან მდგარი მიყურებდა, ვიდრე ჩემს სენაკს მივაღწევდი, კოცნას მიგზავნიდა და თავის სენაკში მაშინღა შედიოდა, როცა კარს მივხურავდი. ახლა კი ძლივძლივობით წამოდგა, საწოლის გვერდით მდგარ სავარძლამდე ძლივს

მიაღნია, ჩაჯდა, თავი ბალიშზე დადო, ხელით კოცნა გამომიგზავნა და თვალები დახუჭა. მე გამოვედი.

ჩემი სენაკი თითქმის ტერეზას სენაკის პირდაპირ იყო, ეტყობა მელოდებოდა, რადგან სენაკის კარი ღია ჰქონდა, გამაჩერა და მკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

"— ოჰ, დაო სიუზანა, ჩვენს დედასთან იყავით?

— დიახ. — ვუპასუხე.

— დიდხანს დარჩით?

— იმდენ ხანს, რამდენი ხანიც მოისურვა.

— მაგრამ თქვენ ხომ დამპირდით.

— მე არაფერს დაგპირებივართ.

— იქნებ გაბედოთ და გამიმხილოთ, რას აკეთებდით მასთან?..".

დამშვიდებული მქონდა სინდისი, მაგრამ, გამოგიტყდებით, ბატონო მარკიზო, ამგვარმა შეკითხვამ მაინც შემაკრთო. მან ეს შემატყო და დაიჟინა. მე ვუპასუხე: "— ძვირფასო დაო ტერეზა, შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ალბათ ჩვენს ძვირფას დედას მაინც დაუჯერებთ. ვთხოვ, ყველაფერი გიამბოთ.

— ღმერთმა დაგვიფაროს, დაო სიუზანა, — მითხრა მაშინვე, ჩემი გაუბედურება გინდათ? ამას როგორ მაპატიებს. გეტყობათ, კარგად არ იცნობთ. ყველაზე დიდი გრძნობიდან დიდ ბოროტებაში გადასვლა არც ისე უძნელდება. ეტყვით და უკვე აღარ ვიცი, რა მომივა. მითხარით, რომ არაფერს ეტყვით.

— თქვენ ასე გსურთ?

— ვიჩოქებ და ისე გთხოვთ. გამიგეთ, თავი დავკარგე, მაგრამ მესმის, რომ მდგომარეობას უნდა შევურიგდე. შევურიგდები კიდეც. აღმითქვით, რომ არაფერს ეტყვით...".

ფეხზე წამოვაყენე და დავპირდი, არაფერს ვეტყვი-მეთქი. დამიჯერა და სწორადაც მოიქცა. ჩვენ ჩვენს სენაკებში შევედით.

სენაკში შესულმა, ისე ვიყავი დაბნეული, გონება ველარ მოვიკრიბე. ლოცვა მინდოდა და ვერ შევძელი. ვცდილობდი რაღაცა გამეკეთებინა, ხან რა ვცადე, ხან რა, მაგრამ თავი ვერაფერს მოვაბი. ხელები თავისთავად მიჩერდებოდა. სულელსა ვგავდი. მსგავსი რამ ჯერ არასოდეს განმიცდია. თვალები თავისით მეხუჭებოდა. ჩავთვლიმე, თუმცა დღისით არასოდეს ვიძინებ ხოლმე. გამოვფხიზლდი თუ არა, ვცადე მივმხვდარიყავი, მაინც რა მოხდა ჩემსა და წინამძღვარს შორის. კარგა ხნის ფიქრის მერე მივხვდი, რომ... მაგრამ ეს იყო იმდენად ბუნდოვანი, სულელური და უაზრო რამ, რომ მაშინვე თავიდან მოვიშორე. ვიფიქრე, ვიფიქრე და ისლა დავასკვენი, რომ წინამძღვარს რაღაც სნეულება ჭირდა, მერე ისიც გავიფიქრე, ეს ავადმყოფობა გადამდები იყო, უკვე გადასდებოდა დაო ტერეზას და ახლა მეც გადამედებოდა.

მეორე დღეს, დილის ლოცვის მერე, წინამძღვარმა მითხრა: "დაო სიუზანა, იმედი მაქვს დღეს ყველაფერს შევიტყობ, რაც თქვენ გადაგხდათ. გამომყევით...".

მეც გავყევი. საწოლის გვერდით მდგარ სავარძელში ჩამსვა. თვითონ კი დაბალ სკამზე ჩამოჯდა. მე ისედაც მაღალი ვარ, თანაც მაღალ სკამზე ვიჯექი და უფრო მაღალი გამოვჩნდი. ის ისე ახლოს მომიჯდა, მისი მუხლები ჩემს მუხლებში ჩაიხლართა, იდაყვით კი თავის საწოლს გადაეყრდნო.

მე დავიწყე:

"— ვიცი, ძალზე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ბევრი სიმწარე გადამხდა. ოცი წელი გახდება, რაც ამ ქვეყანაზე ვცხოვრობ და ოცი წე-

ლია, რაც ვიტანჯები. არ ვიცი, შევძლებ კი ყველაფერი გიამბოთ, და თქვენც გეყოფათ თუ არა მოთმინება და ძალა მოისმინოთ ყველაფერი: ვიტანჯებოდი წმინდა მარიამის მონასტერში, ვიტანჯებოდი ლონშა-ნის მონასტერში, ყველგან მხოლოდ ტანჯვა-წამება მდევდა. ძვირ-ფასო დედაო, საიდან დავიწყო?

ეროვნული

— თავიდან.

— მაგრამ, ეს ძალზე გრძელი და სამწუხარო ამბავია, [illegible] მწუხარება დიდხანს მოგგვაროთ.

— ნუ გეშინიათ. ტირილი მიყვარს. ცრემლი მგრძნობიარე სულის მომხიბლავი მდგომარეობაა. შენც უნდა გიყვარდეს ტირილი. მე შენ მოგწმენდ ცრემლებს, შენ — მე. და იქნებ როცა შენი ტანჯვის ამბავს მოყვები, ორივენი ბედნიერი ვიყოთ. ვინ უწყის, გრძნობა სადამდე მიგვიყვანს?..".

ესა თქვა და ქვემოდან უკვე ცრემლიანი თვალებით ამომხედა, ხელები მომხვია, უფრო ახლოს მოიწია და ახლა უკვე ერთმანეთს ვეკვროდით.

"— დაიწყე, შვილო ჩემო, — მითხრა მან, — გელოდები, ვატყობ, სწორედ ახლა მოითხოვს ჩემი გული თანალმობას. ასე მგონია, ცხ-ოვრებაში ამაზე უფრო მგრძნობიარე და ალერსიანი დღე არა მქონია-მეთქი".

როგორც იყო, ჩემი ამბის თხრობა დავიწყე, თითქმის ისევე, როგო-რადაც თქვენ გწერთ. სიტყვა ვერ აღწერს იმ შთაბეჭდილებას, რაც ამ ამბავმა მასზე მოახდინა. ხან ოხვრა აღმოხდებოდა, ხან ტიროდა, ხან აღშფოთებას ვერ მალავდა ჩემი სასტიკი მშობლების, წმინდა მარია-მის და ლონშანის მონასტრების საზარელი მონაზვნების მიმართ. არ ვიცი, რა დღეში ჩავვარდებოდი, სუყველას იმ წყევლა-კრულვის ნაწ-ილიც რომ მისვლოდა, რასაც წინამძღვარი უგზავნიდა. არ მინდოდა ჩემს ყველაზე საშინელ მტერსაც კი თუნდ თმის ერთი ბეწვი ჩამო-ვარდნოდა. იგი დროდადრო თხრობას მაწყვეტინებდა, წამოხტებო-და, აქეთ-იქით აწყდებოდა. ზოგჯერ ხელებს და თვალებს ცისკენ აღაპყრობდა, მერე თავს ჩემს მუხლებში მალავდა. როცა მინისქვეშა საპყრობილეში ჩამწყვდევის, ჩემგან ბოროტი სულის განდევნის და საჯარო მონანიების ამბებს ვყვებოდი, ღრიალს აღარაფერი უკლდა. ბოლომდე რომ გავედი და როგორც იყო გავჩერდი, ის უკვე სანოლზე იყო დამხობილი, ლოგინში სახეჩარგული და მკლავებგაშლილი კარგა ხანს იწვა ასე. მე მივუახლოვდი და ვუთხარი: 'ძვირფასო დედავ, მო-მიტევეთ, რაც მწუხარება მოგაყენეთ. აკი გაგაფრთხილეთ, მაგრამ თავად მოინდომეთ..." ამაზე მიპასუხა:

"— ბოროტი ქმნილებანი! საზარელი არსებანი! მხოლოდ მონას-ტრებში შეიძლება ამ ზომამდე განიძარცვოს ადამიანის გრძნობა, როცა ცუდი განწყობა და სიძულვილი ერთმანეთს უერთდება, მაშინ ამ ორთა შორის ყოველგვარი ზღვარი იშლება და უკვე კაცმა აღარ იცის, რას აკეთებს. საბედნიეროდ, მე მშვიდი ვარ, მიყვარს ყველა ჩემი მონაზონი. მეტნაკლებად ყველა ეგუება ჩემს ხასიათს და ერთმანეთ-იც ყველას უყვარს. მაგრამ ამ სუსტმა სხეულმა როგორ გაუძლო ამ-დენ ტანჯვას? როგორ არ დაიმსხვრა ეს პატარა ხელ-ფეხი? ცრემლმა როგორ არ ჩაგიქროთ ამ თვალების ციალი? დაუნდობლები! თოკი შე-მოუჭირო ამ ხელებს..." ამ დროს აიღო ჩემი ხელები და დამიკოცნა. "ცრემლში ჩააბრჩო ეს თვალები!.." და თვალებში მაკოცა. "ამ ბაგეს ოხვრა აღმოხდეს!.." და ტუჩებში მაკოცა. 'მწუხარების ღრუბელით

დაფარო ეს მშვენიერი, ნათელი სახე!..“ და სახე დამიკოცნა. “დააჭკნო ვარდები ამ ლოყებზე!..“ და ლოყა მოფერებით დამიკოცნა. ‘დაამახინჯო ეს თავი! ჩამოაგლიჯო ეს თმა! ტანჯვით მოღუშო ეს შუბლი!..“ და მკოცნიდა თავზე, შუბლზე, თმაზე... “გაბედო და ამ ყელს თოკი მოუჭირო. მახვილით დასერო ეს მხრები!..“ და მან გულსაფარი და მანდილი ამიწია, შემიხსნა კაბა, თმა შიშველ მხრებზე ჩამოეშალა, მკერდი ნახევრად მომიშიშვლა და მკოცნიდა და მკოცნიდა კისერზე, მხრებზე, ნახევრად შიშველ ძუძუებზე.

ეს იყო და აცახცახდა. აბდაუბდა სიტყვებს მოჰყვა, თვალები აემღვრა, ჩემს მუხლებში ჩახლართული ხელ-ფეხი აუკანკალდა. და მისი მხურვალე კოცნით თუ ძალით, რა ძალითაც მეხვეოდა, მივხდი, რომ მისი ავადმყოფობა ისევ ახლოვდებოდა. არ ვიცი, რა მომდიოდა, მეც შიშმა შემიპყრო, ავკანკალდი და საცაა გული წამივიდოდა, რამაც უფრო მეტად დამარწმუნა რომ მისი სნეულება გადამდები იყო.

მე ვუთხარი: “— ძვირფასო დედაო, დახედეთ, რა დღეში ჩამაგდეთ! ვინმე რომ შემოვიდეს...

— არ წახვიდეთ, არ წახვიდეთ, — მითხრა ყრუ ხმით, — არავინ შემოვა...

წამოდგომა და წასვლა ვცადე:

— ძვირფასო დედაო, თავს გაუფრთხილდით, საცაა მაშინდელი გაგიმეორებთ. ნება მომეცით დაგტოვოთ...“.

გაქცევა მინდოდა. მართლა მინდოდა, ეჭვი არ არის, მაგრამ ვერ შევძელი. ძალაგამოცლილს მუხლები მეკეცებოდა. ის იჯდა, მე ფეხზე ვიდექი. კვლავ მიმიზიდა. შემეშინდა, ზედ არ დავეცე-მეთქი და საწოლის კიდეზე დავჯექი:

“— ძვირფასო დედაო, არ ვიცი, რა მომდის, ცუდად ვარ.

— მეც, — მიპასუხა მან, — დაისვენე, გაგივლის, არაფერია...“.

წინამძღვარი დაწყნარდა და მეც დავწყნარდი. ორივენი ლონემიხდილი ვიყავით. მე მის ბალიშზე დავდე თავი, მან — ჩემს მუხლებზე. ჩემი ხელი კი აიღო და შუბლზე დაიდო. ერთი ხანობა ასე ვიყავით. არ ვიცი, რას ფიქრობდა. მე კი, მისუსტებული, არც არაფერზე ვფიქრობდი და არც შემეძლო მეფიქრა. ორივენი ვდუმდით. ბოლოს სიჩუმე წინამძღვარმა დაარღვია და მითხრა: ‘ —სიუზანა, თუ კარგად დავაკვირდებით, რაც თქვენს პირველ წინამძღვარზე მითხარით, იგი ძალიან გიყვარდათ.

— ძალიან.

— ვიცი, ჩემზე მეტად არ ეყვარებოდით, მაგრამ თქვენ ის უფრო გიყვარდათ, ვიდრე მე... მართალია?

— ძალზე უბედური ვიყავი. ის კი ტანჯვას მიმსუბუქებდა.

— მაგრამ ეს ზიზღი მონაზვნური ცხოვრებისადმი, რიდას გამოა? სიუზანა, რაღაცას მიმალავთ, ვატყობ, ყველაფერი არ გითქვამთ.

— მომიტევეთ, ქალბატონო.

— შეუძლებელია, ისეთი მომხიბვლელი არსებისთვის, თქვენ რომ ხართ, შვილო ჩემო, და თვითონ არ იცით, რა მომხიბვლელი ხართ, ვინმეს არ ეთქვა მომხიბვლელი ხარო.

— მეუბნებოდნენ.

— და ამისი მთქმელი მოგწონდათ?

— დიახ.

— და მისკენ ისწრაფოდით?

— არა.

— როგორ! თქვენი გული არასოდეს არაფერს აუთრთოლებია?

— არაფერს.

— მაშ, მარტო თქვენი მშობლების საძრახისი ვნებაა მიზეზი მონასტრისადმი ზიზღისა? გამენდეთ, მე შემწყნარებელი ვარ.

— არაფერი მაქვს გასანდობი, ძვირფასო დედავ.

— მაგრამ მაინც მითხარით, რამ შეგაზიზღათ მონაზვნური ცხოვრება?

— თვით ცხოვრებამ. მძულს ათასგვარი მოვალეობანი, რაღაც საქმიანობა, განმარტოება, ძალდატანება. ასე მგონია, ჩემი მოწოდება სხვაა.

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, რომ დარდი მკლავს. დარდიანი ვარ.

— აქაც?

— დიახ, აქაც, ძვირფასო დედავ, მიუხედავად ჩემდამი გამოჩენილი სიკეთისა...

— იქნებ სულის სიღრმეში რამე გაღელვებს ან რაიმე გსურს?

— არაფერი.

— მჯერა, რომ წყნარი ხასიათის ქალი ხართ.

— საკმაოდ.

— ცივიც კი.

— არ ვიცი.

— საერო ცხოვრებას იცნობთ?

— ცოტა რამ თუ გამეგება.

— მაშ, რიღათი გიზიდავთ იგი?

— არც მე ვიცი, მაგრამ ალბათ რაღაც მეგულება მიმზიდველი.

— იქნებ, თავისუფლების დაკარგვას წანობთ?

— რა თქმა უნდა, და იქნება სხვა რამესაც.

— აი, ეს სხვა რამე რაღაა? ძვირფასო მეგობარო, იყავით გულახდილი, ქმარი ხომ არ გინდოდათ?

— ახლანდელ ყოფას მართლაც რომ ოჯახის შექმნა მერჩივნა.

— საიდან იცით, რომ ოჯახი უკეთესია?

— არ ვიცი.

— არ იცით? მითხარით ერთი, რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე მამაკაცის ნახვა?

— თუ ჭკვიანი და კარგი მოლაპარაკეა, სიამოვნებით ვუსმენ. თუ მშვენიერი იერიცა აქვს მომწონს, სხვა არაფერი.

— გული მშვიდი რჩება?

— აქამდე ასე იყო.

— როგორ! მაშინაც კი, თუ მათი აღფრთოვანებული მზერა თქვენსას შეხვდება? განა არ გიგრძნიათ...

— მარტო უხერხულობა მიგრძნია და თვალები დამიხრია.

— სიმშვიდე მაინც არ დარღვეულა?

— არა.

— გრძნობა მაინც არაფერს გეუბნებოდათ?

— არ ვიცი, რას ნიშნავს გრძნობა.

— მაგრამ ის მაინც არსებობს.

— შეიძლება.

— და ამდაგვარი არაფერი გამოგიცდიათ?

— წარმოდგენაც არა მქონია.

— როგორ! ამაზე ტკბილი ხომ არაფერია, არ გინდათ გამოსცადოთ?

— არა, ძვირფასო დედავ. რაში მჭირდება?

— დარდი რომ გაიქარვოთ.

— გავიქარვოთ თუ გავიძლიეროთ? და თანაც რაში გამოგვადგება ეს რაღაც გრძნობები, როცა ობიექტი არა ჩანს?

— როცა გრძნობის ენაზე ლაპარაკობენ, მუდამ ქვეყანას მიმართავენ. რა თქმა უნდა, ეს უკეთესია, ვიდრე მარტოს საკუთარ თავთან ილაპარაკო. თუმცა ამაშიცაა რაღაც ლამაზი.

— ლამაზს ამაში ვერაფერს ვხედავ.

— თუ გსურთ, შვილო ჩემო, უფრო ნათლად შემიძლია გამოვხატო.

— არა, დედავ ძვირფასო, არ მინდა. არაფერი ვიცი და მირჩევნია არც ვიცოდე. რომ გავიგო, ამან შეიძლება უფრო უბედური გამხადოს. არცა მაქვს და არც მსურს იმგვარი სურვილი მქონდეს, რომლის დაკმაყოფილებასაც ვერ შევძლებ.

— რატომ ვერ შეძლებთ?

— აბა, როგორ შევძლებ?

— როგორც მე.

— როგორც თქვენ! ამ მონასტერში ხომ არავინ არის.

— თქვენა ხართ, შვილო ჩემო, და მე ვარ.

— კი მაგრამ, მე რა ვარ თქვენთვის? ან თქვენ რა ხართ ჩემთვის?

— რა უმანკოა!

— მართალი ბრძანდებით, ძვირფასო დედავ, ძალზე უმანკო ვარ და მიჯობს მოვკვდე, ვიდრე სხვანაირი გავხდებოდე".

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიტყვებმა წინამძღვარზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, სახე ერთბაშად შეეშალა, კუშტი გაუხდა. ჩემს მუხლებზე ჩამოდებულმა ხელმა შეწყვიტა მუხლის სრესა, მერე კი სულ აილო, თვალები კი დახარა.

ვკითხე: "რა მოგივიდათ, ძვირფასო დედაო, იქნებ რამე წამომცდა და წყენა მოგაყენეთ? მომიტევეთ. თქვენგან მონიჭებული თავისუფლებით ვისარგებლე მხოლოდ. არც კი ვფიქრობ, რას ვრომავ და თუნდაც მეფიქრა, სხვანაირად მაინც ვერ გეტყოდით. ის კი არა, იქნებ უარესიც მეთქვა. ჩვენი საუბრის თემა იმდენად უცხოა ჩემთვის! მომიტევეთ...".

ამის თქმაზე ხელები კისერზე შემოვხვიე და თავი მხარზე მივაყრდენი. მანაც მაშინვე მომხვია ხელი და ნაზად მიმიზიდა. ერთხანს ასე ვისხედით, მერე უფრო მეტი სიმშვიდე დაეუფლა და ჩვეული გულკეთილობით მითხრა:

"— სიუზანა, კარგად გძინავთ?

— მშვენივრად, განსაკუთრებით კი უკანასკნელ ხანს.

— მალე ჩაგეძინებათ ხოლმე?

— საკმაოდ მალე.

— მაგრამ თუ მაშინვე ვერ ჩაიძინებთ, რაზე ფიქრობთ?

— წარსულ ცხოვრებაზე, რა ხანიც დამრჩა საცხოვრებლად, ვინ იცის, კიდევ რაზე აღარ, ხან ვლოცულობ, ხან ვტირი...

— როცა ადრე იღვიძებთ?

— ვდგები.

— მაშინვე?

— მაშინვე.

— ოცნება არ გიყვართ?

— არა.

— ბალიშზე თავის მიდება?

— არა.

— თბილ საწოლში ნებივრობა?

— არა.

— არასოდეს?..“.

ამ სიტყვებზე შეჩერდა და მიზეზიც ჰქონდა: რაც მან მკითხა, ალბათ არ უნდა ეკითხა. მე კი ალბათ უფრო ცუდად ვიქცევი, ყველაფერს გიამბობთ, მაგრამ გადავწყვიტე არაფერი დამეფარა და არც ახლა ვფარავ.

„— არასოდეს მოგრევიათ სიამოვნების ცდუნება ესოდენ ლამაზს?

— არა, დედაო ძვირფასო, ისიც კი არ ვიცი, მართლა ისეთი ლამაზი თუ ვარ, როგორც თქვენ ამბობთ. თანაც, თუ ლამაზი ვარ, სხვებს უნდა მოვწონდე, მე კი არ უნდა მომწონდეს ჩემივე თავი.

— არასოდეს გიფიქრიათ, გადაგესვათ ხელი თქვენს მშვენიერ მკერდზე, თეძოებზე, ან მუცელზე, ამ მკვრივ, ნაზ და თეთრ კანზე?

— ოჰ, არა! ეს ხომ ცოდვაა! ასე რომ ყოფილიყო, არ ვიცი, აღსარების დროს როგორღა გამოვტყდებოდი...“.

არ მახსოვს სხვა რაზე ვილაპარაკეთ. მერე ვიღაცა შემოვიდა და წინამძღვარს მოახსენა, მისაღებში გელოდებიანო. მომეჩვენა, რომ იმ ვიღაცას გამოჩენამ გააღიზიანა და ჩემთან საუბრის გაგრძელება ერჩივნა, თუმცა უკვე იმგვარ წვრილმანებზე ვლაპარაკობდით, რომლის შეწყვეტაც დასანანი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ დავშორდით.

მგონი მონაზონთა კრებულს ასეთი ბედნიერი დღეები არა ჰქონია, როგორც იმ დღიდან დაუდგა, მე რომ მონასტერში შევდგი ფეხი. წინამძღვარმა ფხუკიანობა მოიშალა. როგორც ამბობენ, ჩემი წყალობით რაღაც სულის სიმშვიდე მოიპოვა. ჩემს გამო მონაზვნებს რამდენიმე დასვენების დღეც კი მისცა. ამგვარ დღეებს დღესასწაულებს ეძახდნენ, რადგან მომსახურებაც ჩვეულებრივზე უკეთესი ჰქონდათ და საკვებიც, წირვა-ლოცვები მოკლე გახლდათ და მთელი დრო დასვენებას მიჰქონდა. მაგრამ ამ ბედნიერ დღეებს უნდა გაევლო ჩემთვისაც და სხვებისთვისაც.

იმ სცენას, მე რომ დაგიხატეთ, სხვა მრავალიც მოსდევს, მაგრამ დანარჩენს გამოვტოვებ. მარტო ერთს გავიხსენებ და აი, რა მოხდა:

წინამძღვარს კვლავ მოუსვენრობა მოერია. გაუქრა მხიარულება, დაკარგა სიმშვიდე, და გახდა. ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა და მონასტერი სიჩუმეში იყო ჩაძირული, საწოლიდან წამომდგარა, ჯერ დერეფნებში უვლია, მერე ჩემს სენაკთან მოვიდა. ძილი ფრთხილი მაქვს და ასე მეგონა მისი ფეხის ხმა ვიცანი. შეჩერდა, როგორც ჩანს, შუბლით კარს მოეყრდნო, რამაც ისეთი ხმაური გამოიწვია, რომ მძინებოდა კიდეც, გამეღვიძებოდა. გავიტრუნე. თითქოს ოხვრა და კვნესა მომესმა. კანკალმა ამიტანა და გადავწყვიტე “Ave”[1] მეთქვა. ის კი ხმის ამოუღებლად, ფრთხილი ნაბიჯებით განშორდა კარს: ცოტა ხნის მერე კვლავ დაბრუნდა. ოხვრა და კვნესა ისევ განახლდა. მე ისევ წავიკითხე ლოცვა “Ave” და ის მეორეჯერაც განშორდა კარს. დავმშვიდდი და ჩამეძინა. ვიდრე მეძინა, ვიღაცა შემოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა: საწოლის ფარდები გადაწეული მქონდა. შემოსულს პატარა სანთელი ეჭირა და სახეს მინათებდა. ვიდრე მეძინა დამცქეროდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა, თუ იმით ვიმსჯელებთ, როგორადაც დავინახე თვალის ახელისას. ეს იყო ჩვენი წინამძღვარი.

სწრაფად წამოვიწიე. მიხვდა რომ შევშინდი და მითხრა:

„— დამშვიდდი, სიუზანა, მე ვარ...“.

---

1. „გიხაროდენ“ (ლათ).

ისევ ბალიშზე დავდე თავი და ვუთხარი: — ძვირფასო დედავ, ამ დროს აქ რას აკეთებთ? რამ მოგიყვანათ? რატომ არ გძინავთ?

— დაძინება არ შემიძლია, — მიპასუხა, — და კიდევ დიდხანს, დიდხანს ვერ დავიძინებ. აუტანელი სიზმრები მტანჯავს. როგორც კი თვალს დავხუჭავ, თქვენი ტანჯვა-წამება წარმომიდგება და იმ გულქვა მონაზვნების ხელში გხედავთ, ვხედავ სახეზე ჩამოყრილ თქვენს თმებს, გასისხლიანებულ ფეხებს, ვხედავ თქვენს კისერზე გამობმულ თოკს. მეჩვენება, რომ მოკვლას გიპირებენ. ვცახცახებ, ვკანკალებ, ცივი ოფლი მასხამს და მინდა გიშველოთ, ვყვირი, მეღვიძება და ამაოდ ვცდილობ კვლავ ჩაძინებას. აი, რა დამემართა ახლაც. შიშით ვიფიქრე, რომ ზეცა კვლავ მაუწყებდა ჩემი მეგობრის უბედურებას, ავდექი, თქვენს კართან მოვედი, მივაყურადე და მომეჩვენა, რომ არც თქვენ გეძინათ, რაღაცას ლაპარაკობდით და გაგეცალეთ. მერე კვლავ დავბრუნდი, ისევ ალაპარაკდით და მეც კვლავ გაგეცალეთ. მესამეჯერაც მოვედი, როცა დავრწმუნდი, ჩაგეძინათ, სენაკში შემოვედი. კარგა ხანია, რაც აქა ვარ, თქვენს სარეცელთან და თქვენი გაღვიძებისა მეშინია. ფარდების დახურვას ვყოყმანობდი, წასვლა მინდოდა, მეშინოდა თქვენი სიმშვიდე არ დამერღვია. მაგრამ თქვენი დანახვის სურვილს წინ ვერ აღვუდექი. მინდოდა მცოდნოდა თავს როგორ გრძნობდა ჩემი ძვირფასი სიუზანა. გიყურებდით. რა მშვენიერი ხართ, მაშინაც კი, როცა გძინავთ.

— თქვენ ისეთი კეთილი ბრძანდებით, დედაო!

— შემცივდა. მაგრამ ახლა ვიცი, რომ ჩემი პატარა კარგად მყავს და მეც მშვიდად ჩამეძინება. მომეცით ხელი.

ხელი გავუწოდე.

— რა მშვიდი მაჯისცემაა! რა თანაბარი! არაფერი აღელვებს...

— საკმაოდ მშვიდად მძინავს.

— რა ბედნიერი ხართ!

— ძვირფასო დედავ, გაცივდებით.

— მართალი ხართ, ნახვამდის, ლამაზო მეგობარო, ნახვამდის, მივდივარ".

მაგრამ მაინც არ წავიდა, ადგა და შემომცქეროდა. მერე მის თვალებს ორი კურცხალი მოსწყდა. "ძვირფასო დედავ, რა გემართებათ? ტირით? როგორ ვწუხვარ, რომ ჩემი უბედურების ამბავი გიამბეთ!...". მან კარი გადაკეტა, სანთელი ჩააქრო, მეცა და ჩამეხვია. საბნის ზემოდან მომიწვა, სახით ჩემს სახეს მოეხუტა და ლოყები ცრემლით დამისველა. ოხრავდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მემუდარებოდა:

"— ძვირფასო მეგობარო, შემიბრალეთ!

— ძვირფასო დედავ, — ვკითხე, — რა გემართებათ? თავს ცუდად გრძნობთ? როგორ მოვიქცე?

— ვკანკალებ, — თქვა მან, — ვცახცახებ, ჭირის ოფლმა დამასხა.

— გნებავთ, ავდგები და საწოლს დაგითმობთ?

— არა, — მითხრა, — თქვენი ადგომა რა საჭიროა, საბანი ოდნავ გადასწიე და გვერდით მოგიწვებით. გამათბეთ და ყველაფერი გაივლის.

— ძვირფასო დედავ, ეს როგორ იქნება. რას იტყვიან, რომ გაიგონ? მინახავს, ამგვარი რამისთვის მონაზვნები მკაცრად დაუსჯიათ. რაღა ამისთვის, ამაზე უფრო ნაკლები დანაშაულისთვისაც. წმინდა მარიამის ეკლესიაში ერთი მონაზონი მეორეს სენაკში ღამით შევიდა, და ენა ვერ იტყვის, რასაც იმათზე ლაპარაკობდნენ. მოძღვარმაც კი მკითხა

რამდენჯერმე, ვინმეს ხომ არ უთხოვია შენთან ღამის გათევაო და მკაცრად ამიკრძალა ამისი გაკეთება. ვუამბე როგორ მეფერებოდით ხოლმე. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ის კი ამგვარად როდი ფიქრობს. მისი ნათქვამის დავიწყება არ შემიძლია და მტკიცედაც გადავწყვიტე ამაზე თქვენთანაც მელაპარაკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძვირფასო მეგობარო, ახლა ყველას სძინავს, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. აქ მე ვიძლევი ჯილდოებს და მევე ვსჯი. მოძღვარმა რაც უნდა თქვას, ცუდს ვერაფერს ვხედავ, რომ ერთი მეგობარი თავისთან ლებულობდეს მეორეს, რომელსაც მოუსვენრობა აწამებს, ღამით ეღვიძება და ცუდი ამინდის მიუხედავად, მაინც მოდის, რათა გაიგოს, საფრთხე ხომ არ ემუქრება მის საყვარელ ადამიანს. სიუზანა, განა მშობლების სახლში თქვენს რომელიმე დასთან არ გძინებიათ?

— არა, არასოდეს.

— აუცილებელი თუ იქნებოდა, განა სინდისის ქენჯნის გარეშე არ დაიძინებდით, თუკი თქვენი და, შეშინებული და სიცივისაგან აკანკალებული, თქვენს გვერდით ადგილს გთხოვდათ. ნუთუ ამაზე უარს ეტყოდით?

— არა, ალბათ არა.

— განა მე შენი დედა არა ვარ?

— ხართ, როგორ არა, მაგრამ ეს ჩვენთან აკრძალულია.

— ძვირფასო მეგობარო, მე სხვებისთვის ვკრძალავ, თქვენ კი ნებას გაძლევთ და გთხოვთ კიდეც. მხოლოდ ერთი წამით გამათბეთ და ჩემს გზას ვეწევი. მომეცით ხელი...". ხელი მივეცი. "ნახეთ, წამავლეთ ხელი, სულ ერთიანად ვკანკალებ, — მითხრა მან, — მაციებს. გავიყინე...". და ეს სიმართლე იყო. "ოჰ, ძვირფასო დედავ, — ვუთხარი, — ავად გახდებით. დამაცადეთ, გვერდით გავიწევი და თბილ ადგილზე დაგაწვენთ". გვერდით გავიწიე, საბანი გადავწიე და ის ჩემს ნაწოლზე დაწვა. ო, რა ცუდად იყო! სხეულის ყოველი ნაწილი უკანკალებდა. რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ სიტყვა არ ამოსდიოდა. მოახლოვება უნდოდა, მაგრამ განძრევა არ შეეძლო და ჩურჩულებდა:

"— სიუზანა, ჩემო მეგობარო, ცოტა მოიწიეთ...".

ხელები გამომიწოდა. მე გადავბრუნდი და მისკენ ზურგშექცეული დავწექი. მომეხვია და მომეხუტა. მარჯვენა ხელი ქვეშიდან ამომიდო, მარცხენა კი ზევიდან გადმომხვია და მითხრა:

"— გავიყინე, მცივა, მაგრამ არ მინდა მოგეკარო, მეშინია ცუდი რამ არ დაგემართოს.

— ნუ გეშინიათ ძვირფასო დედავ".

მაშინვე ერთი ხელი მკერდზე დამადო, მეორე კი წელზე შემომხვია. თავისი ფეხები ჩემსას გადააჭდო. ვცდილობდი, როგორმე გამეთბო მისი ფეხები და ჩემსას ვუხახუნებდი. ძვირფასი დედა კი მეუბნებოდა:

"— აჰ, საყვარელო, ხედავთ, რა ჩქარა გამითბა ფეხები, იმიტომ რომ თქვენს ფეხებში მაქვს ჩახუტებული.

— ხელს რა გიშლით, — ვუპასუხე — რომ მთლიანად გათბეთ?

— არაფერი, თუ თქვენ უფლებას მომცემთ".

მისკენ შევბრუნდი. მან თავისი პერანგი გადაილელა, მე კი ჩემი, და ის იყო ვიღაცამ კარზე ორჯერ დააბრახუნა. მე საწოლის ერთ მხარეს გადავხტი შეშინებული, წინამძღვარი კი მეორე მხარეს. მივაყურადეთ. შემოგვესმა, ვიღაცა თითის წვერებზე როგორ მიდიოდა მეზობელი სენაკისკენ. "აჰ! — წამოვიძახე — დაი ტერეზაა, მან დაინ-

ახა როგორ გამოიარეთ დერეფანში და ჩემთან როგორ შემოხვედით. გვისმენდა. და ახლა როგორ აღარ შეატრიალებს ჩვენს ლაპარაკს. რას იფიქრებენ?..“. ცოცხალ-მკვდარივით ვიყავი. “— დიახ, ის არის, — თქვა მან გალიზიანებით, — ის არის, ეჭვიც არ მეპარება. იმედი მაქვს, დიდხანს დავამახსოვრებ ამ თავხედობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ძვირფასო დედავ, ასე მკაცრად ნუ მოექცევით.

— სიუზანა, ნახვამდის, ღამე მშვიდობისა. დაწექი და მშვიდად დაიძინე. დილის ლოცვიდან გათავისუფლებთ. მე კი იმ თავქარიანთან წავალ, მომეცით ხელი...“.

საწოლის მეორე მხრიდან ხელი გავუწოდე. მან სახელო აიწია და თითის ფრჩხილებიდან მხრებამდე ერთოლვით დამკოცნა. წასვლისას კი დაიქადნა, იმ თავქარიან გოგოს, რომელმაც მისი შეწუხება გაბედა, ანანებდა საკუთარ საქციელს. მე მაშინვე საწოლის მეორე მხარეს მოვექეცი და სიჩუმეს ყური მივაპყარი. იგი ტერეზასთან შევიდა. მინდოდა უკან გავყოლოდი და თუ ცუდი რამ მოხდებოდა, წინამძღვარსა და ტერეზას შუაში ჩავვარდნილიყავი. მაგრამ ისეთი დაბნეული და აღელვებული ვიყავი, საწოლში ყოფნა ვამჯობინე. დაძინება კი ვერ შევძელი. მეშინოდა, მთელი მონასტრის სალაპარაკო გავხდებოდი და ამ ამბავს, რომელსაც ჩემი ფიქრით მხოლოდ უწყინარი ამბავი ეთქმოდა, ყველაზე უხამსი რამეებით შეალამაზებდნენ და აქ უფრო უარეს დღეში ჩავვარდებოდი, ვიდრე ლონშანში ვიყავი, სადაც მე თვითონაც არ ვიცოდი, რაში მდებდნენ ბრალს; რომ ჩვენს ამბავს უფროსების ყურამდე მიიტანდნენ, წინამძღვარს გადააყენებდნენ და ისიცა და მეც სასტიკად დავისჯებოდით. ამ ყოფაში ვიყავი და თან ყური ფხიზლად მეჭირა, მოუთმენლად ველოდი, როდის გამოვიდოდა წინამძღვარი ტერეზას სენაკიდან. როგორც ჩანს, საქმე არც ისე იოლად მოგვარდა, რადგან მან ტერეზასთან მთელი ღამე გაატარა. როგორ მებრალებოდა იგი, პერანგის ამარა, ფეხშიშველი, სიცივისა და სიბრაზისგან აცახცახებული.

დილით მინდოდა წინამძღვრის სურვილისამებრ საწოლში მენებივრა, მაგრამ ამისი გაკეთება საჭიროდ არ ვცანი. საჩქაროდ ჩავიცვი და ეკლესიაში ყველაზე ადრე მივედი. იქ არც წინამძღვარი მოსულა და არც ტერეზა. ამან გამახარა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ მონაზონს ადვილად ვერ შევხედავდი, მეორეც იმიტომ, რომ თუ ტერეზამ წინამძღვრისგან დილის წირვაზე დაუსწრებლობის უფლება მიიღო, წინამძღვარს ყველაფერი უპატიებია და მეც შიშის საბაბი აღარა მქონდა. გამოვიცანი.

როგორც კი დილის ლოცვა დამთავრდა, წინამძღვარმა ჩემს მოსაძებნად მონაზონი გამოგზავნა. შევედი. იგი საწოლში დაღლილდაქანცული იწვა. მითხრა: “— თავს სუსტადა ვგრძნობ. მთელი ღამე არ მძინებია. ტერეზა გასულელდა, თუ ასეთ რამეს კიდევ ჩაიდენს, დამწყვდევა მოუწევს.

— ოჰ, ძვირფასო დედავ, — ვუთხარი, — ნუ იზამთ ამას.

— ვნახოთ, როგორ მოიქცევა. დამპირდა, გამოვსწორდებიო. იმედი მაქვს, ასეც იქნება. თქვენ, ძვირფასო სიუზანა, თქვენ როგორღა ხართ?

— კარგად, ძვირფასო დედავ.

— ცოტა მაინც დაისვენეთ?

— ძალიან ცოტა.

— მითხრეს, ეკლესიაში იყოო. რატომ არ დაიძინეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საწოლში თავს ცუდად ვგრძნობდი, თანაც ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, თუ...

— არა, საუხერხულო არაფერი იყო. მესმის. თქვენც გირჩევთ ნახვიდეთ და დაისვენოთ, თუკი, რა თქმა უნდა, ჩემს გვერდით მიწოლა არ გესიამოვნებათ.

— ძვირფასო დედავ, დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ სენაკში მარტოობას მივეჩვიე, სხვასთან ვერ ვიძინებ.

— მაშ, წადით. სატრაპეზოში სადილად ვერ ჩამოვალ, აქ მომართმევენ. შეიძლება სალამომდე ვიწვე. შემოიარეთ, სხვა მონაზვნებიც იქნებიან მოწვეულნი.

— და ტერეზაც მოვა? — ვკითხე.

— არა, — მიპასუხა მან.

— ძალიან მიხარია.

— რატომ?

— არ ვიცი, მაგრამ მგონი მასთან შეხვედრისა მეშინია.

— დაწყნარდი, შვილო ჩემო. დამიჯერე, მას უფრო ეშინია, შენ საშიში არაფერი გაქვს".

წინამძღვარი დავტოვე და ჩემს სენაკში დასასვენებლად წავედი. შუადღის შემდეგ კვლავ წინამძღვართან შევედი. იქ საკმაოდ ბევრნი დამხვდნენ, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზი მონაზვნები. დანარჩენები მხოლოდ სანახავად თუ შემოვიდოდნენ და ისევ მალე გადიოდნენ.

თქვენ ხომ კარგად იცნობთ ფერწერას, გარწმუნებთ ბატონო მარკიზო, ეს საკმაოდ მომხიბლავი სანახაობა იყო. წარმოიდგინეთ სახელოსნო, სადაც ათ-თორმეტ გოგონას მოუყრია თავი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი თოთხმეტი წლისა თუ იქნება, ყველაზე უხნესი კი — ოცდასამისაც არა. და სარეცელზე ნახევრად წამოწოლილი ორმოციოდე წლის წინამძღვარი, თეთრი, ფაშფაშა, ორმაგი ჩაფუნთულებული ნიკაპით, თითისტარივით გრძელთითებიანი, დიდი, ცოცხალი, მოალერსე, ყოველთვის ნახევრად მოჭუტული შავი თვალებით, თითქოს მის პატრონს ბოლომდე გახელა ეზარებაო... ვარდივით ალისფერი ტუჩები, რძესავით თეთრი კბილები, მშვენიერი ლოყები, ფუმფულა ბალიშში ღრმად ჩაფლული ლამაზი თავი, აქეთ-იქით ნაზად გაშლილი მკლავები, იდაყვებქვეშ კი — პატარა ბალიშები. მე საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი. სავარძელში მოკალათებულ ერთ მონაზონს საქარგავი დაედო მუხლებზე, სხვები ფანჯრებთან მიმსხდარიყვნენ და მაქმანს აკეთებდნენ. ზოგიც პირდაპირ იატაკზე მოფენილ ბალიშებზე იჯდა. ვინ კერავდა, ვინ ქარგავდა, ვინ ბაწარს არღვევდა და ვინ კიდევ პატარა გორგლებად ახვევდა. აქ ქერა გოგონებიც იყვნენ და მავგვრემანებიც; ერთმანეთს არავინ ჰგავდა, მაგრამ ყველა ლამაზი იყო. ხასიათებიც განსხვავებული ჰქონდათ, როგორც იერი. ზოგი მშვიდი იყო, ზოგი — მხიარული, ზოგი — დინჯი, ზოგი — სევდიანი და ნაღვლიანი. როგორც გითხარით, ჩემს გარდა ყველა რაღაცას აკეთებდა. არც იმის შემჩნევა იყო ძნელი, ვინ ვისთან მეგობრობდა, ვინ ვის მიმართ იყო გულგრილი ან გადამტერებული. მეგობრები ან ერთმანეთის პირისპირ, ან ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ყბედობდნენ, ერთმანეთს რაღაცას ასწავლიდნენ, ჩუმად უთვალთვალებდნენ, ერთმანეთისთვის თითებზე ხელი რომ მოექცრათ, ქინძისთავს, ნემსს, მაკრატელს აწოდებდნენ. წინამძღვრის თვალები კი ხან ერთზე გადარბოდა, ხან მეორეზე. ვის ზედმეტი გულმ-

ოდგინებისთვის ტუქსავდა, ვის — უქმად ყოფნისთვის, ვის — გულგრილობისთვის, ვის კი ნაღველისთვის. ზოგიერთს ნახელავის ჩვენება უბრძანა, ზოგი შეაქო, ზოგი გაკიცხა, ზოგს თავსაფარი გაუსწორა... "ძალიან გაქვთ წამოწეული... სახეს გიფარავთ, ლოყები არ გიჩანთ... ნაკეცები ცუდად გაგიკეთებიათ...". და ყველას ან ოდნავ ტუქსავდა, ან ოდნავ ეფერებოდა.

აი, როგორი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. უცებ კარზე ფრთხილი კაკუნი შემომესმა. გასაღებად წამოვდექი. წინამძღვარმა მომაძახა:

"— დაო სიუზანა, დაბრუნდებით?

— დიახ, დედაო.

— ახლავე დაბრუნდით. მნიშვნელოვანი რამ უნდა გაუწყოთ.

— ახლავე დავბრუნდები...".

კართან საცოდავი ტერეზა ხმის ამოუღებლად ატუზულიყო, არც მე ამომიღია ხმა, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო ვკითხე:

"— ძვირფასო დაო, ჩემი ნახვა ხომ არ გინდოდათ?

— დიახ.

— რითი შემიძლია გემსახუროთ?

— ახლავე გეტყვით. ჩვენი საყვარელი დედის წყრომა დავიმსახურე. მეგონა უკვე მომიტევა-მეთქი. მიზეზიც მქონდა, რომ ეს მეფიქრა, მაგრამ ყველანი მასთან შეიკრიბეთ, ჩემს გარდა, მე კი სენაკში ყოფნა მიბრძანეს.

— შემოსვლა გინდათ?

— დიახ.

— მოიცათ, ძვირფასო მეგობარო, ახლავე მოვალ.

— მართლა სთხოვთ?

— რა თქმა უნდა. ისე რატომ გეტყოდით, ან რატომ არ უნდა ვთხოვო, თუკი გითხარით?

— ოჰ! — წამოიძახა მან და ნაზად შემომხედა, — თქვენით გატაცებას შევუნდობ. თქვენ ყოველი ღირსების, მაღალი სულის და მშვენიერი გარეგნობის განსახიერება ხართ".

მზად ვიყავი სიხარულით გამეწია ეს პატარა სამსახური და სენაკში შევბრუნდი. ჩემი ადგილი რომელიღაც მონაზონს დაეკავებინა, იგი წინამძღვრისკენ დახრილიყო, მის ბარძაყებს შორის იდაყვით ლეიბს ეყრდნობოდა და თავის ნახელავს აჩვენებდა. წინამძღვარს კი ნახევრად მილულულა თვალი და პასუხობდა "დიახ", "არა" და ნახელავს ზედაც არ უყურებდა; გვერდით რომ დავუდექი, ვერც კი შემამჩნია. მისი გონება სადღაც ფრინავდა, მაგრამ მალე გამოფხიზლდა. მონაზონი ადგა და მე მისი ადგილი დავიკავე. წინამძღვრისკენ დავიხარე და მავედრებელი თვალით შევხედე. იგი ოდნავ წამოიწია და მკითხა:

"— აბა, რა მოხდა? თქვით, რა გინდათ? განა არის რაიმე ისეთი, რაზეც უარს გეტყვით?

— და ტერეზა...

— მესმის, გული ჯერაც ვერ მომიბრუნებია. მაგრამ რაკი და სიუზანა ესარჩლება, მიმიტევებია. უთხარით, შეუძლია შემოვიდეს".

გავიქეცი — საცოდავი პატარა გოგო კარს უკან მელოდა. სენაკში მივიწვიე. თავდახრილი კანკალით შემოვიდა; ხელში თარგზე გაკრული მარმაშის გრძელი ნაჭერი ეჭირა, და პირველი ნაბიჯის გადმოდგმისთანავე გაუვარდა. ავიღე, ტერეზას ხელი მოვკიდე და წინამძღვართან მივიყვანე. ტერეზა მუხლებზე დაეცა, წინამძღვრის ხელს ეცა

და კვნესით დაუკოცნა, თვალებიდან ცრემლი სცვიოდა, ჩემს ხელს სწვდა, მერე წინამძღვარს ჩაუდო ხელში და ორივე დაკოცნა. წინამძღვარმა წამოდგომა ანიშნა, ნება მისცა — სადაც გინდა, იქ დაჯექი. იგი დაემორჩილა. ცოტა ხნის შემდეგ მსუბუქი საუზმე შემოიტანეს. წინამძღვარი წამოდგა, ჩვენთან ერთად არ დამჯდარა, მაგიდის ირგვლივ მოჰყვა სიარულს. ერთს ხელი ალერსით გადაუსვა, თავი [illegible]უნია და შუბლზე აკოცა. მეორეს გულსაფარი აუხადა, ყელზე ხელი მოუთათუნა და ერთხანს ასე იდგა, სავარძლის თავზე მიყრდნობილი. დანარჩენებს ზოგს ეფერებოდა, ზოგს კი ტუჩებთან ხელს მიუტანდა საამბორებლად. მოტანილ ჩაროზს ოდნავ შეახებდა ბაგეს და ხან ერთს გადააწვდიდა, ხან მეორეს, ხან მესამეს. ასე შემოუარა მთელს მაგიდას და ჩემს გვერდით გაჩერდა. ნაზი ალერსით მომაჩერდა. მონაზვნებმა თავი ჩაქინდრეს, ტერეზამაც თავი დახარა, თითქოს შეეშინდათ — ხელი არ შეეშალათ წინამძღვრისთვის და მისი საამო ნეტარყუჩობა არ დაერღვიათ. ტრაპეზი რომ დამთავრდა, კლავესინს მივუჯექი და დავუკარი. ორი მონაზონი ამღერდა, არცთუ ცუდად მღეროდნენ, გემოვნებაც ეტყობოდათ, მაგრამ დაუხვეწავი. მეც ვიმღერე. წინამძღვარი საკრავთან იჯდა, ვატყობდი სიამოვნებას ჰგვრიდა ჩემი ცქერა და მოსმენა. ზოგი ფეხზე იდგა და ისე მისმენდა, ზოგი კვლავ ხელსაქმობდა. მომხიბლავი საღამო იყო. მუსიკის შემდეგ ყველა წავიდ-წამოვიდა.

დანარჩენებთან ერთად მეც წასვლა დავაპირე, მაგრამ წინამძღვარმა გამაჩერა: "— რომელი საათია? — მკითხა.

— ექვსი საათი იქნება.

— ახლა აქ ჩვენი მონასტრის საბჭოს რამდენიმე წევრი მოვა. თქვენს ნაამბობზე ლონშანის მონასტრიდან წამოსვლის შესახებ ბევრი ვიფიქრე და საბჭოს წევრებს ჩემი აზრი ვაცნობე, დამთანხმდნენ. რაღაც გადავწყვიტეთ. შეიძლება ვერ გავიმარჯვოთ, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, ჩვენს მონასტერს რაღაც სარგებლობას მოუტანთ, არც თქვენ დარჩებით ზარალში...".

ექვს საათზე მონასტრის საბჭოს წევრები შემოვიდნენ. საბჭოში, როგორც დაწესებულია, მუდამ ხანდაზმული და დაჩაჩანაკებული მონაზვნები არიან. მე წამოვდექი, ისინი ჩამოსხდნენ. წინამძღვარმა მომმართა:

"— დაო სიუზანა, განა არ მითხარით, რომ ჩვენს მონასტერში შემოტანილ თქვენს წილ ქონებას, ბატონ მანურის გულუხვობას უნდა უმადლოდეთ?

— დიახ, ძვირფასო დედავ.

— მაშ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ლონშანის მონასტერს კვლავაც ხელში აქვს ის ქონება, რომელიც იქ მისვლისას შეიტანეთ ხომ?

— დიახ, ბატონო დედავ.

— არაფერი დაგიბრუნეს?

— არაფერი, დედავ ბატონო.

— არც პენსია დაგინიშნეს?

— არა, დედავ ბატონო.

— ეს უსამართლობაა. ამაზე მოვახსენე კიდეც მონასტრის უხუცესთა საბჭოს წევრებს. ისინიც ჩემსავარად ფიქრობენ. თქვენ უფლება გაქვთ ლონშანის მონასტერს მოთხოვნა გაუგზავნოთ, რათა ან ის თავდაპირველი შესატანი გადმოგცენ, ან არადა, პენსია დაგინიშნონ. შემოსანერს კი, რომელიც თქვენმა კეთილისმყოფელმა ბატონმა მა-

ნურიმ გადმოგვცა, ერთი ბეწო კავშირიც არა აქვს ლონშანის მონასტრის ვალთან. ბატონ მანურის მათი ჯავრი როდი აწუხებდა, როცა თქვენს სახელზე ჩვენს მონასტერს შემოსაწერს აძლევდა.

— მეც ასე ვფიქრობ, ყველაზე იოლი და დამაჯერებელი იქნებოდა წერილი გაგვეგზავნა.

ეროვნული

— უეჭველად. თუ სასურველ პასუხს მივიღებთ, მერე ვიცი როგორც მოვიქცეთ. თქვენი სახელით ლონშანის მონასტერს მოთხოვნას წარვუდგენთ. ხარჯები ალბათ დიდი არ იქნება და ჩვენს თავზე ავიღებთ. ბატონი მანური უარს არ იტყვის და საქმის გაძღოლას თავად იკისრებს. თუ საქმეს მოვიგებთ, ჩვენი მონასტერი თქვენთან ერთად გაიყოფს მოგებულ თანხას ან პენსიას. რას ფიქრობთ, ძვირფასო დაო? რატომ არაფერს ამბობთ? რას ჩაფიქრებულხართ?

— ლონშანელმა დებმა მრავალი მწუხარება მარგუნეს, მაგრამ სასოწარკვეთილება შემიპყრობს, თუ ისინი იფიქრებენ, რომ ამას შურისძიების გამო ვაკეთებ.

— საქმე შურისძიებაში როდია. იმას მოითხოვთ, რაც კანონიერად გეკუთვნით.

— და კვლავ სპექტაკლი გავმართო?

— სწორად ვერ გამიგეთ. თქვენზე სიტყვაც არ იქნება თქმული. ჩვენი საკრებულო ღარიბია, ლონშანისა კი მდიდარი. თქვენ ჩვენი მწყალობელი გახდებით, ყოველ შემთხვევაში — ვიდრე ცოცხალი იქნებით. რა თქმა უნდა, ჩვენ მარად თქვენს მფარველად დავრჩებით, უპირველესად კი იმის გამო, რომ ყველას ძალიან გვიყვარხართ...

ამის თქმაზე ყველა მონაზონმა ერთხმად წამოიძახა: "როგორ შეიძლება არ გიყვარდეს, ის ხომ სრულქმნილი არსებაა".

— შეიძლება ყოველ წუთში მოვკვდე, ჩემს შემცვლელ წინამძღვარს კი შეიძლება იგივე გრძნობა არ აკავშირებდეს თქვენთან, რაიც მე მაქვს. რა სათქმელია, რა თქმა უნდა, არ ექნება... თქვენ კი შეიძლება ავად გახდეთ, ანდა სულაც პატარ-პატარა მოთხოვნილებები გაგიჩნდეთ. ასეთ დროს სასიამოვნოა, როცა ორიოდე გროში გაგაჩნიათ და შეგიძლიათ შეიმსუბუქოთ ცხოვრება ანდა სულაც სხვას დაეხმაროთ.

— ძვირფასო დედებო, — თქვენს გადაწყვეტილებას გულგრილად ვერ შევხვდები, რაკი კეთილი გინებებიათ და ეს საქმე წამოგიწყიათ. მაგრამ არის სხვა რამეც, ჩემთვის გაცილებით არსებითი. როგორი ზიზღიც არ უნდა მქონდეს გულში ჩარჩენილი, მზადა ვარ თქვენი გულისთვის მსხვერპლი გავიღო. ერთადერთ მოწყალებას გთხოვთ, ბატონო დედავ, რომ ბატონ მანურისთან მოლაპარაკებამდე წურაფერს დაიწყებთ, და მოილაპარაკეთ ჩემი თანდასწრებით.

— ამაში ურიგოს ვერაფერს ვხედავ. გნებავთ თვითონ მისწერეთ.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, დედავ ბატონო.

— მისწერეთ. და ამ ამბავს მეორეჯერ ნუღარ დავუბრუნდებით. ამგვარ საქმეთა გარჩევისას მოწყენილობისგან ვთავდები. ახლავე მისწერეთ!"

მომცეს კალამი, მელანი და ქაღალდები. მე მაშინვე მივწერე ბატონ მანურის, ვთხოვე კვლავ გაეწია სიკეთე და არპაჟონში ჩამოსულიყო, როგორც კი შესაძლებლობა ექნებოდა, რადგან კვლავ ვსაჭიროებდი მის დახმარებას და რჩევას ერთ მნიშვნელოვან საქმეზე და სხვა... უხუცესთა საბჭომ გაიცნო წერილის შინაარსი, მოიწონა და გაგზავნეს.

ბატონი მანური ორიოდე დღის მერე ჩამოვიდა. წინამძღვარმა საქმის შინაარსი გააცნო. ბატონი მანური წუთითაც არ დაფიქრებულა და ყველაფერში დაგვეთანხმა. ჩემი მეტისმეტი კეთილსინდისიერება სასაცილოდ არ ეყო. გადაწყვიტეს, მეორე დღესვე აღეძრათ საქმე ლონშანის მონაზონთა წინააღმდეგ. ასეც მოიქცნენ. და აი, აქ, ჩემდა უნებურად, ჩემი სახელი კვლავ გამოჩნდა განცხადებებში, მოხსენებით ბარათებში, სასამართლოს სხდომებზე, და ეს ყოველივე ისე დაწვრილებით, იმგვარი ყალბი მტკიცებებით, ისეთი სიცრუითა და საძაგლობებით, რაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია მოიგონოს, რათა სხვას ჩირქი მოსცხოს სასამართლოსა და საზოგადოების თვალში. მაგრამ, ბატონო მარკიზო, განა ადვოკატებს აქვთ უფლება რაც მოესურვებათ, ის დაგწამონ? განა ამის გამო არ უნდა დაისაჯონ? მე რომ შემძლებოდა წინასწარ მცოდნოდა მთელი სიმწარე, ამ საქმემ რომ მაგემა, გარწმუნებთ, ვერავინ დამითანხმებდა. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ჩვენი მონასტრის რამდენიმე მონაზონს საძაგელი ჭორები გამოუგზავნეს ჩემს წინააღმდეგ შეთხზული და სასამართლოზეც გამოაცხადეს. მონაზვნები განუწყვეტლივ მოდიოდნენ და ისეთ საშინელ ამბებზე მეკითხებოდნენ, რაც არასოდეს მომხდარა. მე არაფერი ვიცოდი, მათ კი უფრო მეტად ეგონათ, რაღაცაში ტყუისო, რაკი ვერც ვერაფრით ვასაბუთებდი, არც არაფერს ვაღიარებდი და ყველაფერზე მარტო უარს ვამბობდი. ისინი იცინოდნენ. საწყენ რაღაცებს გადაკრულად მეუბნებოდნენ, მხრებს იჩეჩდნენ. ჩემი უდანაშაულობა არავის სჯეროდა. მე ვტიროდი და ძალზე ვდარდობდი.

უბედურება ცალად არასოდეს დადის. დადგა აღსარების დროც. მოძღვარს უკვე გამოვუტყდი იმ ალერსზე და ნაზ გრძნობებზე, რომლითაც წინამძღვარი პირველ დღეებში შემხვდა. ამაზე მოძღვარმა მკაცრად გამაფრთხილა. მაგრამ განა შეიძლება უარი თქვა იმაზე, რაც უდიდეს სიამოვნებას განიჭებს? თანაც თუ ამ ადამიანზე მთლიანადა ხარ დამოკიდებული, შენ თვითონ კი ცუდს ვერაფერს ხედავ?

ჩემი მოგონების დარჩენილ ნაწილში ამ მოძღვარმა დიდი როლი უნდა ითამაშოს. ამიტომაც მგონია, უადგილო არ იქნება კარგად გაგაცნოთ იგი.

ის ფრანცისკანელი ბერია, მამა ლემუანი ჰქვია, ორმოცდახუთი წლისა მაინც იქნება. ისეთ მშვენიერ სახეს, მას რომ აქვს, იშვიათად შეხვდება კაცი. წყნარი, ნათელი, გულღია, მომღიმარი და სასიამოვნოა, როცა საკუთარ წოდებაზე არ ფიქრობს. მაგრამ როგორც კი თავისი მდგომარეობა გაახსენდება, შუბლი ეჭმუხნება, წარბები ეკვრება, თვალებს ძირსა ხრის და კუშტი ხდება. არ მეგულება სხვა ამისთანა ადამიანი: მამა ლემუანი საკურთხეველში და მამა ლემუანი მისაღებში, მარტო თუ საზოგადოებაში მოტრიალე. თუმცა ყველა ღვთის მსახური ამგვარია. რამდენჯერ დამიჭერია ჩემი თავი, როცა მისაღები ოთახისკენ მიმავალი გავჩერებულვარ, თავსაფარი გამისწორებია, ერთბაშად გამომიცვლია იერიც, თვალებიც, ტუჩებიც, ხელების მოძრაობაც და მიხრა-მოხრაც, სიმშვიდე მომიკრებია და ისე გამივლია. მამა ლემუანი მაღალი, კოხტა, მხიარული, ძალზე თავაზიანი, დიდებულად მოლაპარაკე კაცია, რომელსაც საკუთარი ნების დამორჩილებაც შეუძლია. თავის მონასტერში დიდ თეოლოგად ითვლება, საერო წრეში კი — მშვენიერ მქადაგებლად, მომხიბლავ მოსაუბრედ. მისი წოდებისა და მდგომარეობისთვის უცხო საკითხებშიც ღრმად

ერკვევა, მშვენიერი ხმა აქვს, იცის მუსიკა, ისტორია, ენები. სორბონის დოქტორია. თუმცა ჯერ ისევ ახალგაზრდა ეთქმის, მაგრამ უკვე მიაღწია თავისი ორდენის უმაღლეს საფეხურს. მგონი, არც ინტრიგანია და არც პატივმოყვარე. ორდენის ძმებს ძალიან უყვართ. მან თავისი დაბეჯითებული სურვილით მოითხოვა ჩვენს მონასტერში მოძღვრად დანიშვნა. იმედოვნებდა, დაწყებულ გამოკვლევებს ახალ ადგილას გააგრძელებდა. თხოვნა შეუსრულეს. დედათა მონასტრის მოძღვრის არჩევა განსაკუთრებული საქმეა, მოძღვარი გავლენიანი და მაღალი სულიერი თვისებებით გამორჩეული უნდა იყოს. ყველაფერი გაკეთდა, მამა ლემუანი რომ ჩვენს მონასტერში დაენიშნათ, დანიშნეს კიდეც, ოღონდ მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში უნდა მოსულიყო.

დიდი დღესასწაულების წინადღეს მონასტრის კარეტას უგზავნიდნენ და ისიც ჩამოდიოდა. უნდა გენახათ, რა მღელვარება იპყრობდა მონაზონთა საკრებულოს, როგორ ელოდებოდნენ, როგორ უხაროდათ, როგორ ემზადებოდნენ სენაკებში ჩაკეტილნი სააღსარებოდ, რაღას არ იგონებდნენ, რომ მოძღვართან ცოტა მეტხანს დარჩენილიყვნენ და მისი ყურადღება დაეპყროთ.

ეს მოხდა სამების წინადღეს. სწორედ მის ჩამოსვლას ელოდებოდნენ. მე ძალზე შეშფოთებული ვჩანდი ალბათ, რადგან წინამძღვარმა შემამჩნია და მკითხა, რა მოგივიდაო, მიზეზი არ დამიმალავს. შევატყე, რომ ის ჩემზე მეტად შეშფოთდა. თუმცა ეცადა არაფერი შეემჩნია. მამა ლემუანს ახირებული ვიღაცა უწოდა, ჩემს მღელვარებას დასცინა და თქვა, მამა ლემუანი ჩვენი გრძნობების სიწმინდეს ჩვენს სინდისზე უკეთესად ვერ განსჯისო და მკითხა, საკუთარ თავს რამეში ხომ არ საყვედურობო. მე ვუპასუხე, არა-მეთქი. "კეთილი და პატიოსანი, — მითხრა, — მე თქვენი წინამძღვარი ვარ, და მოვალე ხართ დამემორჩილოთ, გიბრძანებთ, დაივიწყოთ ეს სისულელეები და თუ ამ წვრილმანების გარდა სათქმელი არაფერი გაქვთ, არც კი წახვიდეთ აღსარებაზე"-ო.

ამასობაში მამა ლემუანი ჩამოვიდა. აღსარებისთვის მაინც მოვემზადე. მონაზვნებს სააღმსარებლოში მოხვედრა ეჩქარებოდათ და გამასწრეს. ჩემი ჯერი რომ დგებოდა, წინამძღვარი მომიახლოვდა, გვერდზე გამიყვანა და მითხრა: "— დაო სიუზანა, მე კვლავ ვიფიქრე, რაც მითხარით. დაბრუნდით სენაკში, არ მსურს დღეს აღსარება თქვათ.

— რატომ, დედაო ბატონო? — ვკითხე, — ხვალ დიდი დღესასწაულია, ყველანი ზიარებას მიიღებენ. რას იფიქრებენ ჩემზე, თუ დავრჩები და უფლის ტახტს არ მივეახლები?

— რაც უნდათ ისა თქვან, აღსარებაზე თქვენი მისვლა არაფრით არ შეიძლება.

— ძვირფასო დედაო, — ვუთხარი მე, — თუ მართლა გიყვარვართ, ნუ ჩამაგდებთ ამ სირცხვილში, გევედრებით, მოიღეთ მოწყალება.

— შეუძლებელია. არ მინდა ამ კაცთან რაიმე უსიამოვნებას გადამყაროთ.

— არა, დედაო ბატონო, გარწმუნებთ რომ არა!

აღმითქვით რომ... არა, არ არის საჭირო. ხვალ დილით ჩემს სენაკში მოხვალთ და მეტყვით რაც გაწუხებთ. ისეთი ცოდვა არაფერი გაქვთ, რომლის მიტევებაც მე არ შემეძლოს. იმ ცოდვებს მე შეგინდობთ და სხვებთან ერთად წახვალთ ზიარებაზე. ახლა წადით".

სენაკში მოწყენილი, შეშფოთებული და ჩაფიქრებული წავედი. არ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი. მაინც წავსულიყავი მამა ლემუანთან

თუ წინამძღვრის მიერ მიტევებულ ცოდვებს დავუჯერებოდი და ხვალ მთელს საკრებულოსთან ერთად მიმეღო წმინდა ზიარება, თუ უარი მეთქვა ზიარებაზე და არაფრად ჩამეგდო რას იტყოდნენ ჩემზე. მეასობაში წინამძღვარი შემოვიდა, საალმსარებლოში ყოფილიყო და მამა ლემუანს ჩემზე ეკითხა, რატომ არ გამოჩნდა, ცუდად ხომ არ არისო. არ ვიცი, წინამძღვარმა რა უპასუხა, მაგრამ მოძღვარს დაუმშვიდებია და უთქვამს, საალმსარებლოში ველოდები და მოვიდესო.

"— წადით, — მითხრა მან, — წადით, რაკი ასეა საჭირო, მაგრამ სიტყვა მომეცით, რომ დადუმდებით.

მე ვყოყმანობდი, ის კი დაჟინებით მოითხოვდა.

— მე სულელო, — მითხრა მან, — განა რა მოხდა თვალი დახუჭო ისეთ წვრილმანებზე, რაშიც ცუდი არაფერია?

— მაშ თქმაში რაღაა ცუდი? — ვკითხე მე.

— არაფერი, მაგრამ მაინც უხერხულია, ვინ იცის, რას იფიქრებს ეს კაცი? მომეცით სიტყვა, რომ...". მე ისევ შევყოყმანდი, ბოლოს დავპირდი, არაფერს ვიტყვი თუ თვითონ არაფერს მკითხავს-მეთქი და საალმსარებლოში წავედი.

დავამთავრე აღსარება და გავჩუმდი. მოძღვარმა შეკითხვები მომცა და მეც აღარაფერი დამიფარია. რა აღარ მკითხა. ახლაც რომ ვიხსენებ, ბევრი რამ ჩემთვის ისევ გაუგებარია. ჩემდამი დიდი ცნობისწადილი ვერ შევატყვე, მაგრამ წინამძღვარი იმგვარი სიტყვით შეამკო, კანკალი დამაწყებინა. გარყვნილი, მრუში, გაფუჭებული სულის პატრონი უწოდა და მოითხოვა: მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენის შიშის სახელით მასთან მარტო აღარასოდეს დავრჩენილიყავი და ალერსის უფლებაც არ მიმეცა.

"— მაგრამ მამაო, — ვუთხარი, — ის ჩემი წინამძღვარია, მას ჩემთან შემოსვლაც შეუძლია და თავისთან დაძახებაც, როცა კი მოისურვებს.

— ვიცი, ვიცი და ძალიანაც ვწუხვარ, შვილო ჩემო — მითხრა მან, — დიდება უფალს, აქამდე რომ გიფარავთ ცოდვისგან! თავადაც ვერ ვბედავ, უფრო ნათლად გამოვხატო შიში, მეც რომ არ გავხდე მონაწილე წინამძღვრის უღირსი საქციელისა. იმ საწამლავით, ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ჩემს ბაგეს რომ აღმოხდება, არ დავაჭკნო ნაზი ყვავილი, რომელიც ქორფად და შეუბღალავად შემოინახეთ დღემდე განგების ნება-სურვილით. გიბრძანებთ, განერიდოთ თქვენს წინამძღვარს, უარყოთ მისი ალერსი, მარტო არასოდეს შეხვიდეთ მის სენაკში, ჩაუკეტოთ კარი, განსაკუთრებით ღამით. და თუ მაინც შემოვიდა, წამოხტეთ საწოლიდან, გავარდეთ დერეფანში და საშველად ვინმეს უხმოთ. თუ საჭირო გახდა, საკურთხეველს მიაშურეთ, თუნდაც შიშველი იყოთ, იყვირეთ, ფეხზე დააყენეთ მთელი მონასტერი. და გააკეთეთ ყველაფერი, რასაც შთაგაგონებთ უფლის სიყვარული, ცოდვის შიში, თქვენი წოდების სიწმინდე, სულის ხსნის სურვილი. თუნდაც თვით სატანა გამოგეცხადოთ და თან გდევდეთ. დიახ, შვილო ჩემო, სატანა. რადგან გარემოება მაიძულებს ამნაირად დაგანახვოთ თქვენი წინამძღვარი. თავად ცოდვათა უფსკრულშია ჩაფლული და თქვენს ჩათრევასაც ცდილობს, და ალბათ მართლა ჩაინთქმებოდით კიდეც, თუ არა თქვენი უმანკოება, რამაც შიშით აღავსო იგი და უთხრა შეჩერდითო". მერე თვალები ზეცას მიაპყრო და აღმოხდა: "უფალო, ნუ მოაკლებ მფარველობას ამ ბავშვს... გაიმეორეთ ჩემთან ერთად "satana, vade retro, apage, satana![1] თუ ის უბედური რაიმეს გკითხ-

---

1. "განვედ, სატანავ!" (ლათ.)

ავთ, ყველაფერი მოახსენეთ ჩემი სახელით. უთხარით, რომ სჯობდა სულაც არ დაბადებულიყო, ანდა მომკვდარიყო და ჯოჯოხეთის ცეცხლში შთანთქმულიყო.

— მაგრამ მამაო, — შევეპასუხე, — ახლახან განა თქვენ თვითონ არ მოისმინეთ მისი აღსარება?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან არაფერი თქვა, მხოლოდ ამოიოხრა, სააღსარებლოს მოაჯირს დაეყრდნო, მერე სიმწრით შეპყრობილმა თავი მიადო, ერთი ხანობა ასე დარჩა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, მე კი მუხლები მიკანკალებდა. ისეთი შემკრთალი და დაბნეული ვიყავი, რომ წარმოდგენაც გაგიჭირდებოდათ. ასე ალბათ მაშინ გრძნობენ თავს, როცა წყვდიადში, უფსკრულებს შორის დაბორიალობენ, მიწისქვეშეთიდან კი ესმით: 'შენ იღუპები!".

მან მშვიდი, სათნო თვალებით შემომხედა და მკითხა:

"— ჯანმრთელად ხართ?

— დიახ, მამაო.

— ძალიან ხომ არ გაგიჭირდებათ ერთი ღამის უძილოდ გატარება?

— არა, მამაო.

— კეთილი, — მითხრა მან, — დღეს ნუ დაწვებით, საღამოს ტრაპეზის მერე ეკლესიაში მოდით, საკურთხევლის წინ დაიჩოქეთ და მთელი ღამე ლოცვაში გაატარეთ. თვითონ არ უწყით ის საფრთხე, რასაც გადაურჩით. მადლობა უთხარით უფალს, რომ დაგიფარათ. სხვებთან ერთად ხვალ უფლის ტახტთან მიდით. მხოლოდ ერთ ეპიტიმიას გადებთ. თქვენი წინამძღვრისგან შორს დაიჭირეთ თავი, ხელი ჰკარით მის მომწუსხველ ალერსს. წადით, თქვენს ლოცვებს ჩემსაც შევუერთებ. როგორ მაწუხებს თქვენი ბედი! მესმის, რაც მოჰყვება ამას, მაგრამ ამგვარია ჩემი მოვალეობა, თქვენს წინაშეც და საკუთარი თავის წინაშეც. მბრძანებელი უფალია, ჩვენ მხოლოდ მისი ნების აღმსრულებლები ვართ".

უკვე ძალზე ბუნდოვნად მახსენდება, მოწყალეო ბატონო ყოველივე, რაც მან მითხრა. ახლა, როცა ამას გიყვებით, მახსენდება ის საშინელი შთაბეჭდილებები, მაშინ ჩემზე რომ მოახდინა, მაგრამ დღევანდელ ნაამბობს ისეთი ამაღელვებელი შთაბეჭდილება აღარ აქვს. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მონაყოლი ერთმანეთთან დაუკავშირებელი და აბნეულია, ბევრი რამ აკლია, ბევრი რამ ვერ დავიმახსოვრე, რადგან რაზეც ის მძვინვარებდა, მე თვითონ ძალზე ბუნდოვნად მესმოდა. ჩემთვის გაუგებარი დარჩა და არც მაშინ მიმიცია დიდი მნიშვნელობა, არც ახლა ვაძლევ. მაინც რა ნახა ასეთი უცნაური კლავესინის ამბავში? განა ცოტაა ისეთი ადამიანი, მუსიკა რომ აჯადოებს? მეც კი მეუბნებოდნენ, ზოგიერთი მელოდიის, ზოგიერთი მოდულაციის დროს სახე სულ გეცვლებაო. ამგვარ დროს, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი ხოლმე და მეც არ ვიცი რა მომდის. მაგრამ ვის მოუვა აზრად, ამაში ბრალი დამდოს? რატომ არ შეიძლება ასე დამართოდა ჩემს წინამძღვარსაც, რომელიც უგუნურობისა და მერყევი ხასიათის მიუხედავად, მაინც ყველაზე მგრძნობიარე ქალი იყო ამქვეყნად? გულის შემძვრელ ამბავს ისე ვერ მოისმენდა, ცრემლად არ დაღვრილიყო, როცა ჩემი ცხოვრების ამბავს მოვუთხრობდი, ისეთ დღეში ვარდებოდა, რომ შეგეხედათ, შეწუხდებოდით. ნუთუ მოძღვარი ამგვარ თანაგრძნობასაც დანაშაულად თვლიდა? ახლა ღამის ამბავი, რომლის დასასრულსაც ძრწოლვით ელოდა?.. ნამდვილად მეტისმეტად მკაცრი გახლდათ ეს კაცი...

მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო, მე მაინც სიტყვასიტყვით შევასრულე მისი ყველა ბრძანება, რომლის უშუალო შედეგიც უთუოდ წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული. როგორც კი სა[illegible]ბლოდან გამოვედი, საკურთხევლის წინ დავემხე. შიშისაგან თავგზა მებნეოდა. ვახშმობამდე ასე ვეგდე. ჩემი დაგვიანებით აღშფოთებულმა წინამძღვარმა მონაზონი გამომიგზავნა. მოახსენეს, ლოცულობსო. მერე თვითონაც რამდენჯერმე გამოჩნდა ეკლესიის კარებში, მაგრამ იმგვარი სახე მივიღე, თითქოს ვერ შევამჩნიე. ვახშმის ზარმაც დაჰკრა! სატრაპეზოში წავედი, სახელდახელოდ ვივახშმე და მაშინვე ეკლესიაში დავბრუნდი. საღამოთი დასასვენებელ დარბაზში არ გამოვჩენილვარ, ეკლესია არც მაშინ მიმიტოვებია, როცა სენაკში შესვლისა და ძილის დრო დადგა. წინამძღვარმა იცოდა, სადაც ვიყავი. შუაღამისას, როცა მონასტერი სიჩუმეში ჩაიძირა, ეკლესიაში შემოვიდა. მოძღვრის მიერ დახატული მისი სახე მაშინვე თვალწინ დამიდგა, კანკალი ამივარდა და თვალი ვერ გავუსწორე. მეშინოდა, მისი სახე ცეცხლის ალში გახვეული არ დავინახო-მეთქი. და მხოლოდ ჩემთვის ვლუღლუღებდი: "satana, vade retro, apage, satana!". უფალო მიხსენი, განმაშორე ეშმაკისეული.

მან მუხლი მოიყარა, ერთხანს ლოცულობდა, მერე მკითხა:

"— აქ რას აკეთებ, დაო სიუზანა?

— თქვენ თვითონ ხედავთ, ქალბატონო.

— იცი, რომელი საათია?

— ვიცი, ქალბატონო.

— რატომ თქვენს სენაკში არ წახვედით, ძილისთვის განკუთვნილი დრო ხომ დადგა?

— სახვალიო დღესასწაულისთვის მომზადება მინდოდა.

— მაშ, გადაწყვეტილი გაქვთ მთელი ღამე აქ გაატაროთ?

— დიახ, ქალბატონო.

— ვინ მოგცათ ამისი ნება?

— მოძღვარმა მიბრძანა.

— მოძღვარს უფლება არ აქვს ისეთი ბრძანებები გასცეს, რაც მონასტრის წესდებას ეწინააღმდეგება. გიბრძანებთ, დასაძინებლად წახვიდეთ.

— ქალბატონო, ეს ეპიტიმია მოძღვარმა მომისაჯა.

— სხვა სასჯელით შეცვალეთ.

— ჩემს არჩევანზე არ არის.

— ასეა, შვილო ჩემო, — მითხრა მან, — წამოდით, აქაური ღამის სიცივე თქვენს ჯანმრთელობას ზიანს მოუტანს. სენაკში ილოცეთ.

ეს თქვა და ჩემთვის ხელის წავლება მოინდომა, მაგრამ სასწრაფოდ მოვიშორე.

— გამირბით? — მკითხა მან.

— დიახ, ქალბატონო, გაგირბით."

წმინდა ადგილმა, უფლის სიახლოვემ, სულის გაწმენდამ სიმტკიცე მომანიჭა და გადავწყვიტე მისთვის თვალი გამესწორებინა, მაგრამ შევხედე თუ არა, კივილი აღმომხდა, ეკლესიაში შეშლილივით დავრბოდი და ვყვიროდი: "განვედ, სატანავ!.."

ის ადგილიდან არ დაძრულა, მარტო მშვიდად გამომიწოდა ხელები და მღელვარე, ნაზი ხმით თქვა:

"— რა დაგემართათ? ასე რამ შეგაშინათ? შეჩერდით. მე სატანა არა ვარ. შენი წინამძღვარი ვარ და მეგობარი".

შევჩერდი, მისკენ მოვიხედე. მივხვდი, მართლა დავეშინებინე იმ უცნაურ სახეებს, ჩემმა წარმოსახვამ რომ შექმნა, რასაც ეკლესიის მქრთალმა ნათელმაც, წინამძღვრის თითებზე რომ ეცემოდა, შეუწყო ხელი, სხეული კი სიბნელეში არ ჩანდა. ამ სურათმა ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ცოტა რომ გამოვფხიზლდი, სალოცავ სკამზე დავეცი. იგი მომიახლოვდა, ჩემს გვერდით უნდოდა ჩამოჯდომა, მაგრამ წამოვხტი, ზემოთა რიგის სკამზე გადავინაცვლე. ასე, სკამიდან სკამზე ვინაცვლებდი, ის კი მომყვებოდა, ვიდრე ყველაზე ბოლო სკამზე არ აღმოვჩნდი. იქ შევჩერდი და შევევედრე, ერთი სკამი მაინც დარჩეს ჩვენს შორის-მეთქი.

"— კარგით, თანახმა ვარ", — თქვა მან.

ორივენი დავსხედით. ერთმანეთისგან ერთი სკამი გვყოფდა. წინამძღვარმა ლაპარაკი დაიწყო: "— დაო, სიუზანა, შეიძლება გავიგო, ასე რატომ შეგაშინეთ?

— ძვირფასო დედაო, — ვუპასუხე, — მომიტევეთ, დამნაშავე არა ვარ, ყველაფერი ბატონ ლემუანის ბრალია. ის ნაზი გრძნობა ჩემდამი რომ ამჟღავნებით, ის ალერსი, რომელშიც, უნდა გამოვტყდე და ცუდს ვერაფერს ვხედავ, მან საშინელებად დამიხატა. მიბრძანა თქვენგან შორს დამეჭირა თავი, თქვენს სენაკში მარტო არ შემოვსულიყავი, და თუ თქვენ შემოხვიდოდით ჩემს სენაკში, გავქცეულიყავი. სატანად დაგხატათ და, ამ საბაბით, რა ვიცი, რაღას არ მეუბნებოდა.

— გამოდის, რომ ყველაფერი უთხარით?

— არა, ძვირფასო დედაო, მაგრამ მის კითხვებზე პასუხის გაუცემლობა ვერ შევძელი.

— და მე თქვენს თვალში საზარელი გავხდი?

— არა, ძვირფასო დედაო, როგორ შემიძლია არ მიყვარდეთ, როგორ შემიძლია თქვენს სიკეთეს არ ვაფასებდე. გთხოვთ, კვლავაც არ მომაკლოთ იგი. მაგრამ მე ჩემს მოძღვარს უნდა დავემორჩილო.

— და ჩემს სანახავად ვეღარ მოხვალთ?

— ვერა, ძვირფასო დედაო.

— და არც მე შემომიშვებთ სენაკში?

— არა, ძვირფასო დედაო.

— აღარც ჩემი ალერსი გენდომებათ?

— ეგ ალერსი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან ბუნებით ალერსიანი ვარ, მიყვარს ალერსი. მაგრამ, რა ვქნა, უარი უნდა შემოგბედოთ. ეს ჩემს მოძღვარს აღვუთქვი და საკურთხევლის წინ დავიფიცე. ნეტავ შემეძლოს გადმოგცეთ, რას არ ამბობდა თქვენზე! რად მაჩვენებდა ეს ღვთისმოშიში და ნათელი კაცი საფრთხეს იქ, სადაც საფრთხე არ მელოდა? რად სურდა განმეშორებინა მონაზვნის გული თავისი წინამძღვრის გულისგან? მაგრამ ალბათ თქვენი და ჩემი გულუბრყვილობის მიღმა ის მხოლოდ გახრწნილობის იდუმალ მარცვალს ხედავს, რომელიც, მისი აზრით, თქვენში მომწიფდა და ეშინია ჩემშიაც არ გადმოინერგოს. არ დაგიმალავთ, და ასეთი რამ მეც მიგრძნია ზოგჯერ... მაშ, რისგანაა, ძვირფასო დედაო, თქვენგან წამოსულს და ჩემს სენაკში დაბრუნებულს, მღელვარება და დაბნეულობა რომ მომძალებია? მაშ, რისგან იყო, რომ ამის მერე აღარც ლოცვა შემეძლო და აღარც რაიმე საქმის კეთება? მაინც საიდან მოდის, რაღაც უცხო სევდა. მსგავსი რამ ადრე არასოდეს განმიცდია? მაშ, რატომ ხდება, რომ მე, რომელსაც დღისით არასოდეს მიძინია, ძილი მერევა? გამოგიტყდებით, ვფიქრობდი, რომ თქვენში რაღაც გადამდები სნეულებაა ჩასახლე-

ბული და ჩემშიაც ლამობს გადმოსვლას... მაგრამ მამა ლემუანი სულ სხვანაირად უყურებს ამ ამბავს.

— როგორ უყურებს?

— იგი მხოლოდ საზიზღარ ცოდვას ხედავს, შედეგად კი — თქვენს საბოლოო და ჩემს შესაძლო დაღუპვას. განა ძალმიძს ამეებზე [illegible]ვა?

— თქვენი მამა ლემუანი რაღაც-რაღაცებს თხზავს, — თქვა მან, — ჩემს წინააღმდეგ სხვა დროსაც გამოსულა. საკმარისია რომელიმე მონაზონს გულთბილად მოვექცე, რომ მაშინვე მისმა ტვინმა ამღვრევა დაიწყოს. ცოტას გადარჩა, სიგიჟემდე არ მიიყვანა საცოდავი ტერეზა. მომბეზრდა უკვე, თავიდან უნდა მოვიშორო ეს კაცი. აქედან ათ ლიეზე ცხოვრობს. ძნელია მისი ჩამოყვანა, თანაც, როცა საჭიროა, ვერსად იპოვი. მაგრამ ამაზე ჩვენ შესაფერის ადგილას ვილაპარაკებთ. მაშ, არ გინდათ სენაკში ასვლა?

— არა, დედაავ ბატონო, გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და ნება დამრთოთ, მთელი ღამე აქ გავატარო. თუ ჩემს ვალდებულებებს არ აღვასრულებ, ხვალ ვეღარ გავბედავ მთელს საკრებულოსთან ერთად საიდუმლო ზიარების მიღებას, თქვენ, ძვირფასო დედაავ, თქვენც ეზიარებით?

— რა თქმა უნდა.

— მაგრამ, მამა ლემუანმა არაფერი გითხრათ?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. სააღსარებოდ ცოდვათა მოსანანიებლად მიდიან, მე კი ცოდვას ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ მიყვარს ისეთი მომხიბლავი ბავშვი, როგორიც დაა სიუზანაა... და თუ რამეში დამნაშავე ვარ, მარტო იმაში, რომ მთელი ჩემი გრძნობა მხოლოდ მისკენაა მიმართული, ნაცვლად იმისა, რომ ყველა მონაზონს ერთნაირად გავუნაწილო. მაგრამ ეს ჩემზე როდია დამოკიდებული. ვერ ავუკრძალავ საკუთარ თავს, რომ ღირსეულებში ღირსება დავინახო და უპირატესობაც მივანიჭო. ამაზე მხოლოდ უფალს ვთხოვ პატიებას. არ მესმის, თქვენმა მამა ლემუანმა რად გადაწყვიტა, რომ მე უფლისგან საბოლოოდ ვარ შეჩვენებული, იმგვარი ბუნებრივი მიკერძოებისთვის, რომლისგანაც თავს ძნელად დაიცავს ვინმე. ვცდილობ ყველა მონაზონი ბედნიერი იყოს... მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც სხვებზე მეტ პატივს ვცემ და სხვებზე უფრო მიყვარს, რადგან ისინი უფრო მეტად არიან სიყვარულისა და პატივისცემის ღირსნი. აი, მთელი ჩემი ცოდვა! დაო სიუზანა, თქვენც მიგაჩნიათ, რომ ეს ცოდვა ძალზე მძიმეა?

— არა, დედაავ ბატონო.

— მაშ, ჩავიკითხოთ ძვირფასო შვილო, ერთი პატარა ლოცვა და წავიდეთ."

კვლავ ვთხოვე, ეკლესიაში დარჩენის ნება მომეცი-მეთქი. ის დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამგვარი რამ სხვა დროს აღარ განმეორდება და წავიდა.

მე მის სიტყვებს ჩავუფიქრდი და უფალს შევთხოვე, გაენათებინა გონება ჩემი. ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და დავასკვენი, ადამიანებს, თუნდაც ერთი და იგივე სქესისას, შეუძლიათ უკუღმართადაც გამოავლინონ ერთმანეთისადმი მეგობრული გრძნობები. რომ მამა ლემუანმა, ამ მკაცრმა ადამიანმა, შეიძლება

ცოტა გააზვიადა, მაგრამ მისი რჩევის ყურადღება, დიდი თავშეკავე-ბის გამოჩენა მაინც მმართებდა და საკუთარ თავს აღვუთქვი ასეც მოვიქცეოდი-მეთქი.

დილით, როცა მონაზვნები ეკლესიაში შეიკრიბნენ და თავ-თავი-ანთი ადგილი დაიკავეს, ყველამ ჩემს ადგილზე [illegible] უახ-ლოვდებოდნენ წინამძღვრის წინ მდგარ უფლის [illegible] ყურათმა საბოლოოდ დამარწმუნა ამ ქალის უცოდველობაში, მაგრამ გულში კვლავ ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთგული ვრჩებოდი. ესეც არ იყოს, მას უფრო მეტად ვუნდოდი, ვიდრე მე იგი. ვეღარ მოვ-ითმინე და ჩემდა უნებურად ჩემს პირველ წინამძღვარს შევადარე იგი. ო, რამხელა განსხვავებაა მათ შორის! არა, ეს არ იყო იმგვარი თანა-გრძნობა, არც იმგვარივე სიდარბაისლე, არც იმგვარივე ღირსება, არც იმგვარივე ერთგულება, არც იმგვარივე სიბრძნე და წესიერების სიყ-ვარული.

რამდენიმე დღის მერე ორი დიდი ამბავი მოხდა: ერთი, რომ ლონ-შანის მონასტრის წინააღმდეგ აღძრული საქმე მოვიგე, სასამართლომ ჩემს მიერ შეტანილი წილიდან წმინდა ევტროპის მონასტრის სასარგე-ბლოდ ყოველწლიური გადასახადი დააკისრა. მეორე ამბავი მოძღვრის შეცვლა იყო. ეს კი თვით წინამძღვარმა მაუწყა.

მასთან მუდამ რამდენიმე მონაზვნის თანხლებით შევდიოდი და თვითონაც მარტო არასოდეს შემოდიოდა, მაგრამ მაინც გამუდმებით ჩემს ძებნაში იყო, მე კი გავურბოდი. ეს არ გამოეპარა და საყვედურე-ბით ამავსო. არ ვიცი, მის სულში რა ხდებოდა, ალბათ რაღაცა უჩვეუ-ლო. ღამით ადგებოდა და დერეფნებში დაბორიალობდა, უფრო ხშირ-ად კი ჩემს დერეფანში იყო. მესმოდა, როგორ დადიოდა წინ და უკან, როგორ ჩერდებოდა ჩემს კართან, როგორ ოხრავდა და კვნესოდა. მე ვცახცახებდი და საწოლში ვიკუნტებოდი. დღისით კი, სადაც უნდა ვყოფილიყავი, სასეირნოდ, ხელსაქმის ოთახში თუ დასასვენებელ დარბაზში, მთელი საათობით მიყურებდა, თან ისე, არ შემემჩნია. ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა. კიბეზე ჩასულს კიბის ბოლოში მხ-ვდებოდა, ასულს კი — კიბის თავთან. ერთ დღეს შემაჩერა, დიდხანს უსიტყვოდ შემომყურებდა, ცრემლები ღვარად მოსდიოდა, მერე ერთ-ბაშად მიწაზე დაემხო, მუხლებზე შემომეხვია და ამომძახა: "გულქვა დაო, მთხოვე სიცოცხლე და გიბოძებ, ოღონდ თავს ნუ მარიდებ, უშე-ნოდ სიცოცხლეს ვერ შევძლებ...". ისეთ ყოფაში იყო, შემებრალა. თვალები ჩაქრობოდა, გამხდარიყო და თავისი ჩვეული ფერი დაკარ-გოდა. ჰო, ეს იყო ჩემი წინამძღვარი, ჩემს ფერხთით დამხობილი, მუხ-ლებზე მეხვეოდა და თავით მეკვროდა. ხელი გავუწოდე, ის კი აღგ-ზნებული ეცა ჩემს ხელს და კოცნა დაუწყო. მერე ისევ შემომაჩერდა. წამოვაყენე. ფეხზე ძლივს იდგა, ძლივს გამომყვა. სენაკამდე მივაც-ილე და როცა კარი გავუღე, ხელი მომკიდა, უსიტყვოდ, მშვიდად, ისე რომ არც კი შემოუხედავს, მიმიზიდა, რათა სენაკში შევყოლოდი.

"— არა, — ვუთხარი მე, — არა, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი. ასე გვიჯობს, მეც და თქვენც. თქვენს სულში დიდი ადგილი მიკავია და ეს ადგილი უფლისთვის დაკარგულია, რადგან ყოველივეს მხოლოდ ის ერთადერთი უნდა ფლობდეს.

— განა მსაყვედურობთ ამისთვის?..

მე თან ვლაპარაკობდი, თან ვცდილობდი თავი დამეხსნა მისი ხე-ლიდან.

— მაშ, არ შემოხვალთ? — მკითხა მან.

— არა, დედავ ბატონო, არა.

— არ გსურთ, დაო სიუზანა? თქვენ არ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს ამას, არა, არ იცით. თქვენ მე მომკლავთ...".

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ის გრძნობა ვერ გამილვიძა, თავად რომ ჰქონდა იმედი. ხელი გამოვტაცე და გავიქეცი. თვალი გამომაყოლა. მერე სენაკში შევიდა. ღიად დარჩენილი კარიდან მისი გულსაკლავი კვნესა შემომესმა და გავხევდი. ერთი წუთით გადავწყვიტე მოვბრუნებულიყავი, მაგრამ ზიზღის გრძნობამ მაინც განშორება მაიძულა, თუმცა გული მტკიოდა, რომ ამგვარ დღეში ჩავარდნილს ვტოვებდი. მე ხომ გულისხმიერება არ მაკლია. სენაკში ჩავიკეტე. თავს ცუდად ვგრძნობდი. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, რა გზას დავდგომოდი, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, აღელვებული და დაბნეული დავბორიალობდი, ხან გამოვდიოდი სენაკიდან, ხან შევდიოდი. ბოლოს ჩემს მეზობელს — და ტერეზას მივუკაკუნე. მას გულითადი საუბარი გაება თავის მეგობარ მონაზონთან. ვუთხარი: "ძვირფასო დაო, ვწუხვარ, რომ საუბარი გაგაწყვეტინეთ, მაგრამ გთხოვთ, ერთი წუთით მომისმინოთ, რაღაც მინდა გითხრათ..." ის სენაკში გამომყვა და ყველაფერი ავუხსენი: "არ ვიცი, რა ემართება ჩვენს წინამძღვარს, რაღაცაზე წუხს. შედით, იქნება ცოტა დაამშვიდოთ..." მან არაფერი მიპასუხა, მეგობარი მიატოვა, კარი გამოკეტა და წინამძღვართან გაიქცა.

ამ ქალის საქმე დღითიდღე უკან-უკან მიდიოდა. სევდიანი და გულჩათხრობილი გახდა. მხიარულება ჩვენს მონასტერში, ჩემი მოსვლის დღიდან რომ არ შეწყვეტილა, ერთბაშად გაქრა. ყველაფერი უმკაცრეს წესებს დაემორჩილა. წირვა-ლოცვები ჯეროვანი რიგით მიდიოდა. უცხოებს თითქმის აღარ ღებულობდნენ. მონაზვნებს ერთმანეთის სენაკებში სიარული აეკრძალათ. ყოველი წესი გულმოდგინე სიზუსტით სრულდებოდა. აღარც წინამძღვართან იკრიბებოდნენ და პირის ჩატკბარუნებებსაც მოეღო ბოლო. ყველაზე უმცირესი შეცდომაც კი მკაცრად ისჯებოდა. ვიღაც-ვიღაცები კიდევ მიხმობდნენ საშველად, მაგრამ მე უარს ვეუბნებოდი. ამგვარი უეცარი გარდაქმნის მიზეზი არავისთვის არ იყო უცნობი. ხანში შესულ მონაზვნებს საწუხარი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ახალგაზრდები იყვნენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი. ყველა მტრულად მიყურებდა, მე კი ჩემს სიმართლეში დარწმუნებული, არც მათ უკმაყოფილებას ვაგდებდი რამედ და არც მათ საყვედურებს.

რაც შეეხება წინამძღვარს, რომლის ტანჯვის არც შემსუბუქება, არც ხელის შეშლა, დიდი სურვილის მიუხედავად, არ შემეძლო, მელანქოლიიდან საბრალო ყოფაში ჩავარდა. მერე კი ბოდვაც დაანყებინა. მის სნეულებას დაწვრილებით არ ალგიწერთ, თორემ იმდენ წვრილმანებში გადავვარდები, ბოლოს ველარ ვიპოვი. მარტო იმას გეტყვით, რომ ავადმყოფობის დაწყებისას ხან მეძებდა, ხან გამირბოდა, ხან მეც და დანარჩენებსაც მისთვის ჩვეული სინაზით გვეპყრობოდა, ხან კი უსაზღვროდ მკაცრდებოდა. თავისთან დაგვიძახებდა და მაშინვე დაგვითხოვდა. დასვენების ნებას დაგვრთავდა და წუთის მერე თავისივე განკარგულებას აუქმებდა. ეკლესიაში შეგვყრიდა და როცა ყველა და ყოველივე ამოძრავდებოდა, კვლავ ზარებს ჩამორეკდნენ და სენაკებში დაბრუნებას გვიბრძანებდნენ. წარმოსადგენადაც კი ძნელია ის ქაოსი, რაც ჩვენს მონასტერში მეფობდა. მთელი დღე მარტო იმაში გადიოდა, რომ ხან გამოვდიოდით სენაკებიდან, ხან ისევ უკანვე ვბრუნდებოდით, ხან ლოცვანს ვიღებდით, ხან გვერდზე გადავდებ-

დით, ხან კიბეზე ავდიოდით, ხან ჩამოვდიოდით, ხან თავსაბურავებს ვიხდიდით, ხან ვიხურავდით. ღამეც თითქმის იმგვარივე ჭრიული იყო, როგორც დღე.

ზოგიერთი მონაზონი ჩემთან მოდიოდა და ცდილობდა მივეხვედრებინე, რომ წინამძღვრისადმი ცოტა მეტი თავშეკავება და ყურადღება მმართებდა, და თუ ასე მოხდებოდა, ყველაფერი ისევ ჩვეულებრივ წესსა და რიგს დაუბრუნდებოდა. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ეთქვათ, ჩვეულ უწესრიგობას დაუბრუნდებაო. მე არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავი და ვპასუხობდი: "მენანებით, მაგრამ ნათლად გამარკვიეთ, რა უნდა გავაკეთო..." ამის თქმაზე ისინი თავჩაქინდრულნი, უსიტყვოდ გამეცლებოდნენ-ხოლმე, მეორენი რაღაც რჩევას მთავაზობდნენ, რომელიც ჩვენი მოძღვრის რჩევას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა. იმ მოძღვარზე მოგახსენებთ, რომელიც გადააყენეს, მისი შემკვიდრე კი ჯერ არ გამოჩენილიყო.

წინამძღვარი ღამით სენაკიდან უკვე აღარ გამოდიოდა. მთელს დღეებს ჩაკეტილში ატარებდა, აღარც წირვა-ლოცვებზე ჩნდებოდა, აღარც სატრაპეზოში ან დასასვენებელ დარბაზში. ზოგჯერ დერეფნებში თუ მოვკრავდით თვალს ან ეკლესიაში. ზოგჯერ კი მონაზვნებს უკაკუნებდა და შესაბრალისი ხმით იხვეწებოდა: "ძვირფასო დაო, ილოცე ჩემთვის; ძვირფასო დაო, ილოცე ჩემთვის..." ხმა გავარდა — დიდი აღსარებისთვის ემზადებაო.

ერთ დღეს ყველაზე ადრე ჩავედი ეკლესიაში და მიაჯირზე მიკრული ქაღალდი შევნიშნე. მივუახლოვდი და წავიკითხე: 'ძვირფასო დებო, ილოცეთ ცდომილი მონაზვნისთვის, რომელმაც თავისი მოვალეობა დაივიწყა და ახლა სურს უფალს დაუბრუნდეს..." მინდოდა ჩამომეხია, ხელი არ ვახლე. ორიოდე დღის მერე კვლავ გამოჩნდა ფურცელი, რომელზეც ეწერა: "ძვირფასო დებო, უფალს შესთხოვეთ მოწყალება იმ მონაზვნისთვის, რომელმაც თავისი ცოდვა შეიგნო. იგი დიდია..." მერე კიდევ ერთი მოწოდება გამოჩნდა: "ძვირფასო დებო, ევედრეთ უფალს და შესთხოვეთ იმ მონაზვნის გადარჩენა, რომელმაც დაკარგა რწმენა ღვთიური მოწყალებისა..."

ეს ქაღალდები დაუდგრომელი სულის საშინელ ტანჯვას გამოხატავდა, და ღრმად დამაშწუხრა. ერთხელ გაქვავებულივით შევჩერდი ერთი იმ ქაღალდის წინ და ვცდილობდი გამომეცნო, რა ცოდვაში ადანაშაულებდა საკუთარ თავს. საიდან მოდიოდა მისი ამგვარი შიში და რომელ ცოდვათა გამო ეშინოდა უფლისა. ვიხსენებდი მოძღვრის აღშფოთებულ შეძახილებს, მის ნათქვამს და ჩემთვის გასაგებ აზრს ვეძებდი. მაგრამ უშედეგოდ. ერთ ადგილზე ვიდექი გათანგული. რამდენიმე მონაზონი თან მე მიყურებდა, თან ერთმანეთს ელაპარაკებოდა, იქნებ იმაზეც ლაპარაკობდნენ, რომ მეც იგივე საშინელება მემუქრებოდა.

უბედური ჩვენი წინამძღვარი ახლა მხოლოდ პირბადეჩამოფარებული თუღა გამოჩნდებოდა. მონასტრის საქმეებში აღარ ერეოდა. არავის ელაპარაკებოდა. ხშირად ეთათბირებოდა ახალ მოძღვარს. ის ახალგაზრდა ბენედიქტელი ბერი იყო. არ ვიცი, მან მოსთხოვა თუ არა ხორცის მოკვდინება, წინამძღვარმა რომ წამოიწყო. კვირაში სამ დღეს მარხულობდა, თავს იმათრახებდა, წირვას ყველაზე განაპირა სკამზე მჯდარი ისმენდა. ეკლესიაში წასვლისას მისი სენაკის წინ უნდა გაგვევლო, ის კი მუდამ ზღურბლზე გართხმული გვხვდებოდა და მხოლოდ

მაშინ დგებოდა, როცა ყველანი ჩავივლიდით. ღამით სენაკიდან პერანგის ამარა, ფეხშიშველა გამოდიოდა, და თუ დაი ტერეზა ან მე შევეფეთებოდით, მიბრუნდებოდა და სახით კედელს ეკვროდა. ერთ დღეს, ჩემი სენაკიდან გამოსვლისას, იატაკზე დამხობილი ვიპოვე, ხელები ფართოდ გაეშალა, სახე იატაკზე დაედო და ამბობდა:

"— გადამიარეთ, გადამიარეთ, გადამთელეთ, ფეხი დამბანეთ, სხვას არაფერს ვიმსახურებ".

ეს ყოფა რამდენიმე თვეს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე მთელმა მონაზვნობამ ჩემი შეძულებაც მოასწრო და წამებაც. აღარას ვიტყვი იმ უბედურებებზე, რომელიც წილად ხვდებოდა მონაზონს, რომელიც მთელი მონასტრის სიძულვილს იმსახურებს. ყოველივე თქვენთვის კარგადაა ცნობილი უკვე. ნელ-ნელა კვლავ დამეუფლა ჩემი წოდებისადმი ზიზღი. არაფერი დამიმალავს, ახალ მოძღვარს გავანდე ეს ზიზღი და მთელი ჩემი წამება. მას მამა მორელი ჰქვია. ორმოც წელს მიღწეული ფიცხი კაცია. გულითადი ყურადღებით მომისმინა და მთელი ჩემი ცხოვრების გაგება მოიწადინა. მაამბობინა ჩვენი ოჯახის უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. ჩაეძია ჩემს სურვილებს, მიდრეკილებებს და ხასიათს, მათქმევინა თუ რას ვფიქრობდი იმ მონასტრებზე, სადაც ადრე მომიხდა ყოფნა და იმაზეც, სადაც ახლა ვიმყოფებოდი. ისიც მკითხა, რაც ჩემსა და წინამძღვარს შორის მოხდა. არაფერი დამიმალავს. მომეჩვენა, რომ მას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ მიუცია წინამძღვრის საქციელისთვის, როგორიც მამა ლემუანმა მისცა. კეთილი ინება და მხოლოდ ორიოდე სიტყვა თქვა. ამას იგი ისე უყურებდა, როგორც უკვე მოთავებულ საქმეს. განსაკუთრებით ჩაეძია ჩემს მტრულ განწყობილებას მონაზვნური ცხოვრებისადმი. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ვუხსნიდი გულს, ჩემდამი მისი ნდობა იზრდებოდა. აღსარება ვუთხარი, ისიც ყველაფერში გამენდო. ტანჯვა, რომელიც თავადაც გადაუტანია, ზუსტად დაემთხვა ჩემსას. ბერად საკუთარი სურვილის წინააღმდეგ შემდგარა, და იმგვარსავე ზიზღს განიცდიდა თავისი წოდების მიმართ, როგორსაც მე. და ისიც ჩემსავით არანაკლებ შესაბრალისი ყოფილა.

"მაგრამ, ძვირფასო დაო, — დაუმატა მან, — რა ვქნათ? მხოლოდ ერთი გზა არსებობს, რამდენადაც შეგვიძლია, ვეცადოთ და შევიმსუბუქოთ საკუთარი ხვედრი". მერე ზოგიერთი რჩევა მომცა, რომლითაც თავად ხელმძღვანელობდა. მისი დარიგება საკმაოდ ჭკვიანური მეჩვენა. "რა თქმა უნდა, ამ გზით მწუხარებას მთლიანად ვერ მოვიცილებთ, მაგრამ გულს გაგვიმაგრებს და ტანჯვას შეგვიმსუბუქებს. ეკლესიას ზიარებული ადამიანი მაშინ არის ბედნიერი, თუ ჯვრის ტარება უფლის წინაშე დამსახურებულად მიაჩნია და სიხარულით ატარებს. ამგვარი ადამიანები თავადვე ცდილობენ ხორცის დათრგუნვას და მით უფრო ბედნიერნი არიან, რაც უფრო ხშირი და მტანჯველია ეს გამოცდა. ამით ამქვეყნიურ ბედნიერებას იმქვეყნიური ბედნიერებით ცვლიან. საკუთარ თავს ზეციურ ნეტარებას მოუპოვებენ, რადგან საკუთარი ნებით ამბობენ უარს მიწიერ ბედნიერებაზე. ისინი საშინლად ეწამებიან და კვლავ და კვლავ შესთხოვენ უფალს: "Amplius, Domine", "უფალო, მომივლინე უფრო დიდი ტანჯვა..." და ამ ვედრებას უფალი მუდამ უსმენს და მუდამ უსრულებს. მაგრამ მე და თქვენ, ამგვარი ტანჯვის საფასურად ჯილდოს ვერ დაველოდებით. იმ ჯილდოს იმათთვის ფასი აქვს, ჩვენთვის კი არა. ჩვენ სწორედ ის არ გაგვაჩნია, რითაც ყოველივე განიზომება — სიმშვიდე და თვინიერება. ო, რა სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუხაროა! აბა, მე ვით ძალმიძს შთაგაგონოთ სათნოება, რაც ესოდენ გჭირდებათ, როცა თავად მე არ გამაჩნია იგი? უამისოდ კი, სააქაოში გადატანილ ყველა უბედურების წილ, საიქიოშიც გველის უბედურება. პო, ჩვენ დაუსრულებლად ვლოცულობთ და თავს ვიგვემთ, და მაინც ისევე განწირულნი ვართ მარადიული ტანჯვისათვის, როგორც ამ ქვეყნის ნეტარებაში ჩაფლული საერონი. ჩვენ დავთ[illegible]ერი სიამოვნებები, საერონი კი სიკეთით სარგებლობენ, და მაინც ერთნაირი ტანჯვა-წამება გველის.

საშინელებაა ბერი ან მონაზონი იყო და საამისოდ ერთი ბეწო სურვილიც არ გაგაჩნდეს! ამგვარია ჩვენი ხვედრი და ჩვენ არაფრის შეცვლა შეგვიძლია. სამუდამოდ დაგვადეს მძიმე ჯაჭვი, რომელიც მუდამ უნდა ვათრიოთ და არა ჩანს არავითარი იმედი მისი განწყვეტისა. ვეცადოთ, ძვირფასო დაო, ყოველივეს ატანა. ახლა კი წადით, მე კიდევ ჩამოვალ თქვენს სანახავად".

რამდენიმე დღის მერე მართლაც ჩამოვიდა. მისაღებ ოთახში შევხვდი და შორიახლო გავჩერდი. კარგად შევათვალიერე ახლოდან. მან დაამთავრა თავისი ცხოვრების ამბავი, მე კი — ჩემი. მისი და ჩემი ცხოვრების მრავალ გარემოებათა მსგავსება, ჩვენი ბედის ერთიანობას ქმნიდა და ამან უფრო დაგვაახლოვა. მანაც იგივე გამოსცადა მშობლების სახლში და მონასტერშიც, რაც მე გამოვცადე. არც შემიმჩნევია, რომ მის მიერ გამოთქმული ბედის სამდურავი გამოსადეგი არ იყო ჩემი ტანჯვის შესამსუბუქებლად, და მაინც, მისმა თავგადასავალმა ჩემზე მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება და ვგონებ, ჩემმა მასზე. ხასიათებითაც იმდენად ვგავდით ერთმანეთს, როგორც ცხოვრებაში გამოვლილი გზით და რაც უფრო ხშირად ვხვდებოდით, მით უფრო მოგვწონდა ერთმანეთი. მისი მოქცევის ამბავი ჩემი მოქცევის ამბავს ჰგავდა. რაც მან განიცადა, იგივე ჩემი განცდა მეგონა. მისი სულის ისტორია თვით ჩემი სულის ისტორია გახლდათ.

როცა ორივემ საკუთარ თავზე საკმაოდ ვილაპარაკეთ, ახლა სხვებზე გადავედით, განსაკუთრებით კი წინამძღვარზე. მოძღვარს, დიახაც დიდი თავშეკავება მართებს, მაგრამ ნათქვამიდან მაინც მივხვდი, რომ ეს ქალი ამგვარ ყოფას დიდხანს ვერ აიტანდა და საკუთარ თავს ამაოდ ებრძოდა; გარდაუვალი იყო ორიდან ერთი: ან უნდა დაბრუნებოდა თავის ჩვეულ მიდრეკილებას, ან შეშლილიყო. ცნობისმოყვარეობა მომეძალა და უფრო მეტის გაგება მოვინადინე. მას შეეძლო იმ ყველაფრის ახსნა, რაც მე მაწვალებდა და პასუხი ვერ მეპოვა, მაგრამ კითხვა ვერ გავბედე. ისიც ძლივს ვკითხე, მამა ლემუანს ხომ არ იცნობთ-მეთქი.

"— დიახ, — თქვა მან, — ვიცნობ, ღირსეული ადამიანია, ფრიად ღირსეული.

— უეცრად მიგვატოვა.

— მართალია.

— არ შეგიძლიათ მითხრათ, რა მოხდა?

— ამისი გახმაურება არ მესიამოვნება.

— ჩემი თავშეკავების იმედი გქონდეთ.

— მგონი მასზე არქიეპისკოპოსს მისწერეს საჩივარი.

— რა ბრალდება შეეძლოთ მოენახათ?

— რომ ძალზე შორს ცხოვრობდა მონასტრიდან და როცა სჭირდებოდათ, ძნელი საპოვნი იყო. რომ ზედმეტად მკაცრ მორალს მოითხოვდა. რომ რაღაც ახალი მიმდინარეობის მომხრე იყო; რომ მონას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერში უთანხმოებას თესავდა და ცდილობდა სულიერად დაეშორებინა მონაზვნები და წინამძღვარი.

— საიდან იცით?

— თავად მიამბო.

— მას ხვდებით ხოლმე?

— ვხვდები. იგი ბერჯერ მელაპარაკა თქვენზე.

— რა გითხრათ?

— რომ თქვენ ღირსი ხართ სიბრალულისა და ვერ მიმხვდარა, რა ძალამ გადაგატანინათ ამდენი ტანჯვა-წამება. მართალია, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ ისაუბრა თქვენთან, მაგრამ მას მიაჩნია, რომ თქვენ მონაზვნურ ცხოვრებასთან შეგუებას ვერასოდეს შეძლებთ. მას აზრად მოუვიდა...

ამ დროს გაჩუმდა. მე ვკითხე:

— რა მოუვიდა აზრად?

მამა მორელმა მიპასუხა:

— ეს მეტისმეტად კერძო ამბავია, არ შემიძლია გითხრათ...

აღარ დავაძალე და ვთქვი:

— მან მიბრძანა თავი შორს დამეჭირა წინამძღვრისგან.

— და კარგიც ქნა.

— რატომ?

— დაო ჩემო, — თქვა მან და სახე გაუმკაცრდა. — მიჰყევით მის რჩევას და ნუ ჩაეძიებით მიზეზებს, ვიდრე ცოცხალი ხართ.

— მაგრამ, თუ ყველაფერი მეცოდინება, უფრო ფრთხილად მოვიქცევი და საფრთხეს დროზე ავიცილებ თავიდან.

— ან შეიძლება პირიქითაც მოხდეს.

— ასე მგონია, ჩემზე ცუდი აზრისა ბრძანდებით.

— თქვენს უმანკოებასა და სულიერ სიწმიდეზე სწორედ იმას ვფიქრობ, რასაც იმსახურებთ. მაგრამ მერწმუნეთ, არსებობს დამღუპველი ცოდნა, რომელსაც სხვანაირად ვერ შეიძენთ თუ არ დაჰკარგავთ ყველაზე ფასეულს. თქვენი წინამძღვარი სწორედ თქვენმა უცოდველობამ შეაჩერა. თქვენ რომ უფრო მეტი ცოდნა გქონოდათ, იგი ნაკლებ დაგზოგავდათ.

— არაფერი მესმის.

— მით უკეთესი.

— განა სიახლოვე და ალერსი ერთი ქალისა შეიძლება სახიფათო იყოს მეორე ქალისთვის?

პასუხი არ მიმიღია.

— განა ისევ იმგვარი არა ვარ, როგორიც ამ მონასტერში მოვედი?

მამა მორელი დუმდა.

— განა კვლავაც ისეთი არ ვიქნები? რა არის ცუდი სიყვარულში, სიყვარულზე ლაპარაკში ან სიყვარულის აღიარებაში? ამაზე დიდი სიამოვნება რაღა უნდა იყოს?

— მართალია, — თქვა მან და თვალი გამისწორა, აქამდე ვიდრე ვლაპარაკობდი, თავდახრილი იყო.

— მაშ, დედათა მონასტრებში ეს ხშირად ხდება? საცოდავი ჩემი წინამძღვარი, რა დღეში ჩავარდნილა!

— ცუდი საქმე მოხდა, და ვშიშობ, რომ უარესი მოხდება. ის ქალი მონაზვნობისთვის არ არის შექმნილი! ადრე თუ გვიან, მუდამ ასე ხდება, როცა ეწინააღმდეგებიან საკუთარ ბუნებრივ სურვილებს. როცა ადამიანი ბუნებრივ მიდრეკილებებს თრგუნავს, იგი ვნებათა ხრწნისკენ მიდის. ეს ერთგვარი შეშლილობაა.

— მაშ, ის შეშლილია?

— დიახ, შეშლილია და უფრო მეტად შეიშლება.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ამგვარი ბედი ელის ყველას, ვინც აღთქმა საკუთარი მოწოდების საწინააღმდეგოდ დადო?

— არა, ყველას არა. ზოგიერთი აქამდე ვერ ეგუება და კვდება, ზოგიერთებს დამყოლი ხასიათი აღმოაჩნდებათ, [illegible] და ბოლოს, ეგუებიან. ზოგს კი ერთი ხანობა ბუნდოვანი იმედი აძლებინებს.

— რა იმედი უნდა ჰქონდეს მონაზონს?

— უპირველეს ყოვლისა — აღთქმის დარღვევის იმედი.

— და თუ ეს იმედიც აღარ არის?

— მაშინ, იმედად ისღა რჩება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მონასტრის კარი გაიღება, რომ ადამიანები რაღაცას შეიგნებენ, აკლდამებში აღარ ჩაკეტავენ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქმნილებებს, და მონასტრები მოისპობა; რომ ცეცხლი შთანთქავს მონასტერს, ან მიწისძვრა საპყრობილეს კედლებს დაამხობს, ან ვიღაცა მოვა მხსნელად... აი, რამდენი რამ ერევათ თავში. ბაღში სეირნობისას უაზროდ შესცქერიან კედლებს, ძალზე მაღალი ხომ არ არისო. სენაკებში ფანჯრის გისოსებს ებღაუჭებიან და უაზროდ არყევენ. თუ ფანჯრები ქუჩაში გადის, ქუჩაში იყურებიან. თუ ვინმეს ფეხის ხმას გაიგონებენ, გული გადაუქანდებათ და გათავისუფლების მოლოდინში მძიმედ ოხრავენ; თუ რამე მოხდება და ალიაქოთის ხმა მონასტრამდე მოაღწევს, იმედი უფრო ღვივდება. იმედი აქვთ ავადმყოფობისა, რომელიც მამაკაცთან მიახლოების უფლებას აძლევთ ან სამკურნალო წყლებზე გაემგზავრონ, ესეც იმედია.

— მართალია, მართალი, — წამოვიყვირე, — თქვენ ჩემს გულში ჩაიხედეთ. მეც მუდამ ამგვარი ცრუ იმედები მკვებავდა.

— და როცა ყოველივეს ღრმად ჩაუფიქრდებიან, ეს სასიამოვნო იმედი ნელ-ნელა ქრება, გულს გონება ჯაბნის და უბედურების მთელი სიღრმე ცხადად მოჩანს. ეს ის დროა, როცა საკუთარი თავი სძულთ, სძულთ სხვებიც. ტირიან, კვნესიან, ყვირიან და სასოწარკვეთის მოახლოებას გრძნობენ. ზოგი წინამძღვართან გარბის, მის წინ მუხლზე ეცემა და მასთან ეძებს ნუგეშს, ზოგი თავის სენაკში ან საკურთხევლის წინ განირთხმება და ზეცას უხმობს ხსნისთვის. ზოგი სამოსელსა და თმას იგლეჯს. ზოგი ღრმა ჭას, მაღალ სარკმელს, მაგარ თოკს ეძებს და ხშირად პოულობს კიდეც. ზოგიერთი ამგვარ ტანჯვაში ადამიანურ სახეს ჰკარგავს და ბოლოს გიჟდება. სუსტნი და სნეულნი უძლურდებიან. ზოგიერთები ჭკუიდან იშლებიან და ცოფდებიან. ყველაზე ბედნიერნი კი ისინი არიან, ვინც შეძლებს და კვლავ აღიდგენს არარსებულ იმედს, რათა მას სიკვდილამდე ელოლიავონ. მათი სიცოცხლე იმედისა და სასოწარკვეთის მონაცვლეობაში გადის.

— ყველაზე უბედურები კი ისინი არიან, ვინც ერთმანეთის მიყოლებით ეს ყოველივე გადაიტანა... ოჰ, მამაო, ჩემი ბედის ტირილს ვუსმენდი ახლა! — ვთქვი და ამოვიოხრე.

— როდის?

— აქამდე თურმე არაფერი ვიცოდი. ახლა ყველაფერი გავიგე. ცრუ იმედი მალე დამემსხვრევა. ნუთუები...".

მინდოდა გამეგრძელებინა, მაგრამ ამ დროს ჯერ ერთი მონაზონი შემოვიდა, მერე — მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და უკვე სათვალავი აღარ ჰქონდა. საუბარი საერთო გახდა. ზოგი მოძღვარს შესცქეროდა, ზოგი სხვათა საუბარს ისმენდა თავდახრილი, ზოგი

სხვებს არ უსმენდნენ და ერთად ყაყანებდნენ. მოძღვარს კითხვები დააყარეს.

პასუხებით ყველა აღფრთოვანებული იყო. მე კუთხეში ვიჯექი ღრმა ფიქრებში წასული. საუბარი იძაბებოდა. ყველა ცდილობდა სხვების მჯობნი ყოფილიყო და წმინდა მამის ყურადღება მიეპყრო. ამ დროს ვიღაცის ჩუმი ფეხის ხმა გაისმა. ვიღაცა ნელა გვიახლოვდებოდა, ხან გაჩერდებოდა და მძიმედ ოხრავდა. ყველა სმენად იქცა, ვიღაცამ დაიჩურჩულა: "ის არის, წინამძღვარია". ყველანი ჩაჩუმდნენ და წრიულად დასხდნენ. მართლაც წინამძღვარი იყო, შემოვიდა. თავსაბური წელამდე სწვდებოდა, გულხელი დაეკრიბა და თავი დაეხარა. პირველად მე დამინახა, მაშინვე ცალი ხელი თვალებზე აიფარა, გვერდზე შებრუნდა და მეორე ხელით გარეთ გადითო გვანიშნა. ჩვენ ჩუმად გამოვედით. იგი მამა მორელთან მარტო დარჩა.

ვიცი, ბატონო მარკიზო, ჩემზე ცუდი აზრი შეგექმნებათ, მაგრამ თუ იმისი არ შემრცხვენია, რაც ჩავიდინე, მაშინ აღიარებისას რაღად ვავწითლდე? და თანაც როგორ გამოვტოვო სწორედ ის ამბავი, რომელსაც უკვალოდ არ ჩაუვლია? ისიც უნდა ითქვას, რომ ერთობ უცნაური რამ მემართება: როცა იმგვარ ამბებზე შემოგჩივით, რითაც თქვენი პატივისცემა შეიძლება დავიმსახურო, ან უფრო მეტი თანაგრძნობა გამოვიწვიო, კარგად ვწერ თუ ცუდად მნიშვნელობა არ აქვს, ვწერ სწრაფად და იოლად. სული სიხარულით მითრთის, სიტყვები თავისთავად მოდის, სიხარულის ცრემლები მცვივა. ასე მგონია, ჩემს გვერდითა ხართ, მხედავთ და მისმენთ. თუ იძულებული ვარ პირიქით, თავი ცუდი სახით გაჩვენოთ, ძლივს ვაზროვნებ, საჭირო სიტყვებს თავს ველარ ვუყრი. კალამი ძლივს მოძრაობს. და ეს თვით ხელნაწერსაც ემჩნევა. წერას მაინც ვაგრძელებ და იდუმალ იმედს არ ვკარგავ, რომ ამ ადგილებს არ წაიკითხავთ. აი, ერთი ასეთი ადგილი:

როცა ყველა მონაზონი წავიდ-წამოვიდა... — "თქვენ რაღა ჰქენით?" იკითხავთ. განა ვერ ხვდებით? ვერა, ვერ მიხვდებით, თქვენ საამისოდ ძალზე პატიოსანი ბრძანდებით. ჩუმად, ფეხის ცერებზე აწეული, ჩავედი და მივიპარე მისაღები ოთახის კართან, რათა მომესმინა ის, რასაც იქ იტყოდნენ.ოო, ეს ძალზე ცუდია! შესძახებთ... დიახ, ცხადია. ძალზე ცუდია, მეც ამას ვეუბნებოდი საკუთარ თავს. მღელვარება, სიფრთხილე, ვინმემ არ შემამჩნიოს-მეთქი, საკუთარი სინდისის ხმა ყოველ ნაბიჯზე თან რომ მომყვებოდა, სწორედ რომ უკან მობრუნებას მკარნახობდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც არ მასვენებდა და წინ მიბიძგებდა. მაგრამ თუ ცუდია ორი ადამიანის საუბრის მოსმენა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მარტო არიან, იქნება უფრო მათი ნათქვამის თქვენთვის შეტყობინებაა ცუდი? აი, ესეც ერთი ამბავი, რომელსაც იმ იმედით გწერთ, რომ წაკითხვისას გამოტოვებთ. მჯერა, ასე არ მოხდება, მაგრამ მაინც მინდა, რომ ასე მჯეროდეს.

კარგა ხნის დუმილის მერე, პირველმა სიტყვებმა, მე რომ მომესმა, კანკალი დამაწყებინა. აი, ეს სიტყვებიც:

"— მამაო ჩემო, დაწყევლილი ქალი ვარ...".

თანდათან დავმშვიდდი და ყური მივუგდე. ფარდა, რომელიც აქამდე ჩემს თავს დატეხილ უბედურებას ფარავდა, გადაიწია და... დამიძახეს კიდეც. წასვლა იყო საჭირო და მეც წავედი. მაგრამ ვაი რომ ძალიან

ბევრი რამ გავიგე. ეს რა ქალი ბრძანებულა, ბატონო მარკიზო, რა საშინელი ქალი!..

აქ მონაზონ სიუზანას ჩანაწერები წყდება, მერე მხოლოდ პატარ-პატარა ნაგლეჯები მოსდევს, რომელსაც, როგორც ჩანს, დარჩენილი ნაწილის გასაგრძელებლად ვარაუდობდა. ეტყობა, წინამძღვარი ბოლოს და ბოლოს გაგიჟდა და მის უბედურებას აღგვიწერს ქვემოთ მოტანილი ფრაგმენტებიც.

ამ ალსარების შემდეგ ორიოდე მშვიდმა დღემ გაიარა. მონაზონთა საკრებულოს სიხარული დაუბრუნდა. ამის გამო ცოტა საქები სიტყვა როდი მითხრეს, მაგრამ ყველაფერს აღშფოთებული უარვყოფდი.

წინამძღვარი აღარ გამირბოდა. მიყურებდა და ვატყობდი, ჩემი დანახვა აღარ აცბუნებდა. ვცდილობდი დამეფარა ზიზღი, რომელიც იმ დროიდან დამეუფლა, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, უფრო ახლოს რომ გავიცანი.

მალე წინამძღვარი სულ დადუმდა. ორ სიტყვას თუ იტყოდა ხოლმე, — "ჰოს" ან "არას". მარტოდმარტო დასეირნობდა. საჭმელს აღარ იკარებდა. მერე ნერვიული აღგზნება დაერთო, ციებ-ცხელება დააწყებინა, ბოდავდა.

მარტოდ მწოლს ეჩვენებოდა, რომ მე მხედავდა, მელაპარაკებოდა, მევედრებოდა, მომიახლოვდიო, მიალერსებდა. თუ მის სენაკთან ვინმე ჩაივლიდა და ფეხის ხმას გაიგებდა, ყვიროდა: "ის არის, ჩაიარა. მისი ფეხის ხმა ვიცანი. დაუძახეთ. არა, არა, არ დაუძახოთ".

ძალზე უცნაურია, მაგრამ არასოდეს ცდებოდა, ჩემი ფეხის ხმა სხვისაში არასოდეს არევია.

ერთიბაშად ხარხარს იწყებდა, წამის მერე კი ცრემლად იღვრებოდა. მონაზვნები ირგვლივ მდუმარედ ედგნენ, ზოგიერთი კი მასთან ერთად ტიროდა.

უცბად იტყოდა: "ეკლესიაში არა ვყოფილვარ. არ მილოცია... ადგომა მინდა. ჩაცმა მწადია. ჩამაცვით...". თუ ადგომის ნებას არ მისცემდნენ, იტყოდა: "ჩემი ლოცვანი მაინც მომეცით...". აწვდიდნენ ლოცვანს, შლიდა, თითით ფურცლავდა გვერდებს და "გვერდების შლას" მაშინაც განაგრძობდა, როცა ყველა ფურცელი უკვე გადაშლილი ჰქონდა. ამასობაში გამოხედვაც აერეოდა.

ერთ ღამეს ეკლესიაში მარტო ჩავიდა. რამდენიმე მონაზონი დაედევნა. საკურთხევლის წინ განერთხო, ოხვრას, კვნესას და ხმამაღლა ლოცვას მოჰყვა, მერე გამოვიდა, მერე ისევ შიგ შებრუნდა და თქვა: "წადით და ის მომინახეთ. მას ისეთი სუფთა სული აქვს! თუ იგი თავის ლოცვებს ჩემს ლოცვებს შემოუერთებს...". მერე დანარჩენებს მიმართა: "წადით, ყველანი წადით, მარტო ის დარჩეს ჩემთან. თქვენ მასთან მიახლოვების ღირსი არა ხართ. თქვენი ხმა მისას რომ შეერიოს, თქვენი უბადრუკი ფარისევლობა შერყვნის უფლის წინაშე მისი ლოცვების სიწმინდეს. განვედ, განვედ...". მერე შემევედრა, უფალს ჩემთვის ჰატიება და შველა გამოსთხოვეო. ღმერთს ხედავდა, ეჩვენებოდა, ელვა მის თავზე იკლაკნებოდა. გაჯავრებული ანგელოზები ციდან ეშვებოდნენ. ღმერთი დასცქეროდა და ღმერთის თვალი კანკალს ჰგვრიდა. აქეთ-იქით აწყდებოდა, ეკლესიის ბნელ კუთხეებში იმალებოდა, ევედრებოდა შემიწყალეთო. მერე იატაკზე დავარდა,

სახით მიეკრო და დადუმდა. ნესტიანი სიგრილით აცახცახებული, როგორც მიცვალებული, ისე შეიტანეს თავის სენაკში.

მეორე დღეს ეს საშინელი ღამე მის გონებაში უკვე წაშლილი იყო. "სად არიან ჩვენი დები? — იკითხა მან, — ვერავის ვხედავ. ამ მონასტერში მარტო დავრჩი. ყველამ მიმატოვა, და ტერეზამაც კი. ყველანი დაც მოიქცნენ. რაკი და სიუზანა აქ აღარ არის, შემიძლია გარეთ გავიდე და მას აღარ შევხვდე... ოჰ! ნეტავ შემახვედრა! მაგრამ აქ რომ აღარ არის? ხომ მართალია, რომ აქ აღარ არის?.. ბედნიერი მონასტერი, სადაც ის შევა! ყველაფერს თავის ახალ წინამძღვარს უამბობს. რას იფიქრებენ ჩემზე?.. განა და ტერეზა მიიცვალა? მთელი ღამე მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი ზარების რეკვა ჩამესმოდა... საბრალო გოგონა! სამუდამოდ დაიღუპა, ამაში მე ვარ დამნაშავე, მე ვარ! მე ვარ! ერთი დღეც იქნება კვლავ შევხვდები და რა ვუთხრა, რა პასუხი გავცე? მწუხარება მას! მწუხარება მე!

ცოტა ხნის მერე კითხულობდა: "ჩვენი დები დაბრუნდნენ? უთხარით, რომ ძალიან ავადა ვარ. ბალიში ამიწიეთ... ზონარები გამიხსენით... რაღაცა მაწვება... თავი მეწვება, მანდილი მომხსენით... დაბანა მინდა... წყალი მოიტანეთ. დამისხით. კიდევ დამისხით... ხელები თეთრი მაქვს. სულს კი რჩება სირცხვილის ლაქა... სიკვდილი მინდა. ნეტავ არ გავჩენილიყავი და არც მას შევხვდებოდი".

ერთ დილას კი ნახეს, ყვირილით როგორ დარბოდა თავის სენაკში, პერანგისამარა, თმაგაწეწილი და დუჟმორეული; როგორ მიიფარა ყურებზე ხელი, დახუჭა თვალები და კედელს აეკრა... 'მოშორდით ამ უფსკრულს. გესმით ღრიალი? ეს ჯოჯოხეთია. ამ უფსკრულიდან ცეცხლის ენები იკლაკნება. შუაგულ ცეცხლიდან რაღაც ხმები ამოდის და მიხმობს... უფალო, შემიბრალე!.. გაიქეცით, ზარებს ჩამოჰკარით, მონაზვნები შეკრიბეთ. უთხარით, ყველამ ჩემთვის ილოცოს, მეც ვილოცებ... მაგრამ ჯერ რომ არ გათენებულა და მონაზვნებს ისევ სძინავთ... მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ძილი მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი."

ერთმა მონაზონმა უთხრა: "— ქალბატონო, რაღაცა გაწვალებთ, გამენდეთ, იქნებ შვება მოგცეთ და შეგიმსუბუქდეთ.

— დაო აგათა, მომისმინეთ, მომიახლოვდით... ახლოს... უფრო ახლოს... არავინ უნდა გაგვიგოს. ყველაფერს გიამბობთ, მაგრამ საიდუმლოდ უნდა შეინახოთ... თქვენ იგი ნახეთ?

— ვინ ქალბატონო?

— ხომ მართალია, რომ მასავით ლამაზი არავინ არის? როგორ დადის! რა ღირსება! რა კეთილშობილება! რა თავმდაბლობა!.. მიდით მასთან, უთხარით... არა, არაფერი უთხრათ, არ წახვიდეთ... მასთან მიახლოვებას ვერ შეძლებთ. ციური ანგელოზები იცავენ. მის ირგვლივ შემოჯარულან გუშაგებად. მე ვნახე ისინი. თქვენც ნახავთ და ისევე შეგეშინდებათ, როგორც მე. დარჩით. თუ წახვალთ, რას ეტყვით? ისეთი რამე მოიგონეთ, რაც არ გააწითლებს...

— ქალბატონო, იქნებ რჩევისთვის თქვენს მოძღვარს მიმართოთ?

— დიახ, დიახ... არა, არა, ვიცი, რასაც მეტყვის. ათასჯერ მომისმენია... რაზე უნდა ველაპარაკო? ნეტავ მახსოვრობა დამეკარგოს!.. ნეტავ არარაობაში შემეძლოს გადასვლა, ან ხელახლა დაბადება!.. არ დაუძახოთ მოძღვარს. უმჯობესია, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ვნებათა ამბავი წამიკითხოთ... წამიკითხეთ... სუნთქვა მიადვილდება... მისი სისხლის მხოლოდ ერთი წვეთია საკმარისი, რათა ცოდვათა-

გან განვიწმინდოთ... ვხედავ, როგორ ჩხვლეტენ მის გვერდს... გადმოხარეთ ეგ წმინდა ქრილობა ჩემსკენ... თავზე მისი სისხლი დამდის არ კი მიჩერდება... დავილუპე!.. მომაშორეთ ჯვარცმა... დამიბრუნეთ ისევ...".

ისევ მიუტანეს ჯვარცმა. ორივე ხელით ჩაებღაუჭა და კოცნა დაუწყო, მერე დაუმატა: "ეს მისი თვალებია, მისი ბეჭედი, ნეტავ ვნახავ კიდევ? დაო აგათა, უთხარით, რომ მიყვარს. კარგად აუხსენით, რა დღეშიცა ვარ. უთხარით, რომ ვკვდები".

მერე სისხლი გამოუშვეს. აბაზანა მიალებინეს, მაგრამ, ეტყობა, ამით სნეულება უფრო მოერია. ვერ ვბედავ გადმოგცეთ ყოველი უხამსობა, რასაც ის სჩადიოდა, გაგიმეოროთ ყველაფერი, რასაც ბოდვის დროს ამბობდა? ყოველ წუთს ხელი შუბლთან მიჰქონდა, თითქოს აკვიატებული ფიქრებისა და მოჩვენებების მოშორება უნდაო. რა ვიცი, რა ეჩვენებოდა! ლოგინში თავს ჩარგავდა, სახეზე ზეწარს გადაიფარებდა და ყვიროდა: "მაცდუნებს! ის არის! რა უცნაური სახე მიიღო! მოიტანეთ წმინდა წყალი. მასხურეთ... გეყოფათ. მორჩა, აღარ არის საჭირო".

ბოლოს მისი თავისუფლად გაშვება აღარ შეიძლებოდა და ჩაკეტეს. სენაკი კარგად არ იყო დაცული და ერთ დღეს გაქცევა მოახერხა. შემოიხია ტანსაცმელი და დერეფნებში დედიშობილა დარბოდა, მარტო შუაზე განყვეტილი თოკის ორი ნაგლეჯი დასთრევდა ხელებზე. ის კი ყვიროდა: "თქვენი წინამძღვარი ვარ. ყველამ შემომფიცეთ მორჩილება. დამემორჩილეთ. მე ჩამამწყვდიეთ, უბედურებო? აი, ჯილდო სიკეთისთვის! შეურაცხყოფას მაყენებს, რადგან მეტისმეტად კეთილი ვარ. აღარ ვიქნები კეთილი!.. ცეცხლი!.. მკლავენ!.. მიშველეთ!.. დაო ტერეზა! დაო სიუზანა!.." ამასობაში დაიჭირეს და სენაკში დააბრუნეს. ის კი ამბობდა: "მართალი ბრძანდებით, მართალი ბრძანდებით, ვაი! შევიშალე, ვგრძნობ, რომ შევიშალე".

ზოგჯერ ტანჯვა-წვალების სხვა სურათები აეკვიატებოდა. ხედავდა ყელზე თოკგამობმულ, ზურგს უკან ხელებგაკრულ ქალებს. ხანაც ვითომ მათ შორის იყო, ვინც სახალხოდ თავს იგვემავდა. ეჩვენებოდა, დასასჯელად მიჰყავდათ და ჯალათს ევედრებოდა: "დავიმსახურე ყველაფერი, დავიმსახურე. ოჰ, ნეტავ ეს ტანჯვა უკანასკნელი იყოს, მაგრამ მარადიულია! მარადიული ანთია ცეცხლი!..".

არა, ისეთს არაფერს ვამბობ, რაც ნამდვილად არ მომხდარა. და სხვაც ბევრი რომ მეთქვა, არც ის იქნებოდა ჭეშმარიტებას მოკლებული, მაგრამ ზოგი დამავიწყდა, ზოგის თქმა კი სინითლეს მომგვრიდა და ამ ნაწერსაც შებილწავდი.

რამდენიმე თვე გაატარა ამგვარ საცოდაობაში და ბოლოს აღესრულა. რა სიკვდილი იყო, ბატონო მარკიზო! მაშინ ვნახე, როცა თავის სულს უფალს აბარებდა. ეს იყო საშინელი სასოწარკვეთილებისა და ცოდვის ტრიალი. ეჩვენებოდა, რომ მისი სულის ხელში ჩასაგდებად გამზადებული ჯოჯოხეთის მოციქულები ირგვლივ ერტყმოდნენ. ბორგავდა და ყრუ ხმით ამბობდა: "აგერ, ისინიც! აგერ, ისინიც!..". და რათა თავი დაეცვა, ჯვარცმას ხან ერთი მხრიდან აიფარებდა, ხან მეორე მხრიდან. ღმუოდა: "უფალო!.. უფალო ჩემო!..". მისი სიკვდილის მერე მონაზონი ტერეზაც მალე გარდაიცვალა. დაგვინიშნეს ახალი წინამძღვარი, ბებერი, პირქუში და ცრუმორწმუნე-მოშიში.

ახლა ამ ბებრის წინამორბედის მოჯადოებაში მადანაშაულებენ. ახალ წინამძღვარს ყოველივე სჯერა. ჩემი ტანჯვა განახლდა. საეკ-

ლესიო ხელისუფლება ახალ მოძღვარსაც ავიწროვებს. მოძღვარი მარწმუნებს, მონასტრიდან გავიქცეთო.

გაქცევა გადაწყვეტილია. შუაღამისას თერთმეტი საათიდან თორმეტამდე უნდა გავიდე. თოკს მიგდებენ. ტანზე ვიხვევ, მაგრამ თოკი წყდება და ისევ უკან მიწაზე ვეცემი. ფეხი გადამიტყავდა. ხელიც ვიტკინე. მეორე თუ მესამე ცდაზე კედელზე ამათრიეს. ქვევით ჩავდივარ და გაოცება მიპყრობს. საფოსტო კარეტის ნაცვლად საცოდავი ეტლი მხვდება. ახალგაზრდა ბენედიქტელი ბერის თანხლებით პარიზისკენ მიმავალ გზას ვადგები. ტლანქ ხმასა და მღელვარებაზე ერთბაშად მივხვდი, რომ ქარს გაჰყოლოდა ყველა პირობა, რაც ერთმანეთთან დავდეთ. ჩემი სენაკის მიტოვება მაშინვე ვინანე და ახლანდელი მდგომარეობის მთელ საშინელებას მივხვდი.

აქ ეტლის ამბავს აღვწერ. რა ამბავი იყო! რა კაცია! მე ვყვირი. მეეტლე საშველად მორბის. მეეტლესა და ბერს შორის ცხარე ცემა-ტყეპა იმართება.

პარიზში ჩავდივარ. ეტლი ერთ პატარა ქუჩაზე, ვიწრო კარის წინ ჩერდება. კარს იქით ბნელი და ბინძური გასასვლელია. დიასახლისი ჩემს შესახვედრად გამოდის და სახლის სულ ზედა სართულზე, პატარა ოთახში მიჩენს ბინას, სადაც მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ნივთები ალაგია. ჩემთან შემოდის ქალი, რომელიც თურმე პირველ სართულზე ცხოვრობს. "ახალგაზრდა ბრძანდებით, ალბათ მოწყენილიც იქნებით, მადმუაზელ, ჩემთან ჩამობრძანდით, სასიამოვნო საზოგადოებას შეხვდებით. თუმცა ყველა ისეთი მშვენიერი არ იქნება, როგორც თქვენა ხართ, მაგრამ თითქმის ყველა თქვენსავით ახალგაზრდაა. ვმხიარულობთ, ვყბედობთ, ვთამაშობთ, ვმღერით, ვცეკვავთ. თუ ყველა კავალერს თავბრუს დაახვევთ, გარწმუნებთ, ჩვენი ქალები არ იეჭვიანებენ და არ გაბრაზდებიან. ჩამობრძანდით, მადმუაზელ...". ეს ქალი საშუალო ხნისა იქნებოდა, ვნებიანი თვალებით, ტკბილი და ძალზე შემპარავი ხმით...

ამ სახლში თხუთმეტი დღე გავატარე. ჩემი ვერაგი გამტაცებლისგან ყოველ წამს საფრთხე მელოდა. ათასგვარი ალიაქოთი, ამ საეჭვო სახლში რომ ხდებოდა, შიშით გულს მიხეთქავდა. გასაქცევ დროს ვარჩევდი.

ბოლოს გაქცევის შემთხვევაც მომეცა. ეს მოხდა შუაღამისას. მივრბივარ. მაგრამ არ ვიცი, საით. ჩემი მონასტერი რომ ახლოს ყოფილიყო, ისევ იქ დავბრუნდებოდი. კაცები მაჩერებენ. მე კი საშინლად მეშინია. სანთლების გამყიდველის ფარდულის წინ დაღლილობისგან უგრძნობლად ვეცემი. როცა გონზე მოვდივარ, ვხედავ, ღარიბულ საწოლში ვწევარ. ირგვლივ რამდენიმე კაცი დგას. მეკითხებიან ვინა ხარო. არ ვიცი, რა ვუპასუხო. გასაცილებლად მოახლე გოგოს მაყოლებენ. მკლავზე ვეყრდნობი და მივდივარ. გვარიანი მანძილი გავიარეთ. გოგონა მეკითხება:

"— მადმუაზელ, თქვენ, ალბათ, იცით, სადაც მივდივართ?

— არა, ჩემო პატარავ. ალბათ, ღარიბთა თავშესაფარში წავალ.

— თავშესაფარში? განა სახლი არა გაქვთ?

— არა.

— ნეტავი რა დააშავეთ, ასეთ დროს სახლიდან რომ გამოგაგდეს! აგე, უკვე წმინდა ეკატერინეს თავშესაფართანაც მოვედით. ვნახოთ, კარს გაგვიღებენ თუ არა. ნუ შეგეშინდებათ, ქუჩაში არ დაგტოვებთ, ჩვენთან გაათევთ ღამეს".

კვლავ სანთლების გამყიდველის ფარდულში [illegible]. მოახლე გოგო შეაშფოთა ჩემმა ფეხებმა მონასტრიდან გამოქცევისას რომ გადავიტყავე. იმ ღამეს იქ ვათენებ. მეორე საღამოს, კვლავ წმინდა ეკატერინეს თავშესაფარში მივდივარ. იქ სამი დღე ვრჩები, მერე, მიცხადებენ, საქალაქო თავშესაფარში გადადი, ან რაიმე საქმეს დაადექიო.

თურმე ამ თავშესაფარშიც ვერ დავრჩებოდი უშიშრად. როგორც მერე გავიგე, აქ ეძებდა საკბილოს ქალაქის გარყვნილი ხალხი. სილატაკეც აშკარად მემუქრებოდა, თავხედურადაც ბევრი მომექცა და მოსყიდვასაც ეცადნენ, მაგრამ ჩემთან ვერავინ ვერაფერს გახდა. ვყიდი მთელ ჩემს ტანსაცმელს და ვყიდულობ ახლანდელი მდგომარეობისთვის შესაფერ კაბას.

მუშაობას ვიწყებ სამრეცხაოში, სადაც დღესაც ვიმყოფები. ვაუთოებ თეთრეულს. სამუშაო მძიმეა. საჭმელიც ცუდი მაქვს, ბინაც და საწოლიც. სამაგიეროდ, ადამიანურად მექცევიან. ქმარი მეეტლეა, ცოლი ცოტა უხეში, მაგრამ კეთილი ქალია. კმაყოფილიც ვიქნებოდი ჩემი ბედით, თუ იმედი მექნებოდა, რომ სიმშვიდეს არავინ დამირღვევდა.

პოლიციას ჩემი გამტაცებელი ბერი დაუჭერია და საეკლესიო ხელისუფლებისთვის გადაუცია. უბედური! ის ჩემზე უფრო საცოდავია. მის საქციელზე ისეთი ხმაური ატყდა. თქვენ არ იცით, რა მკაცრად უსწორდებიან ბერებს ამგვარი დანაშაულისთვის. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისი ბინა საპყრობილე იქნება; ამგვარი დასასრული მომელის მეც, თუ დამიჭერენ. მაგრამ ის ჩემზე უფრო დიდხანს იცოცხლებს.

ნატკენი ადგილები თავს მახსენებენ. ფეხები დამისივდა, ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი მიჭირს. ვზივარ და ისე ვმუშაობ, რადგან ფეხზე დგომა აღარ შემიძლია. გამოკეთებისა მეშინია. რაღა მიზეზს ვიპოვი, რომ სახლიდან არ გამოვიდე? ალბათ, რამდენი საშინელება მელის ქუჩაში! საბედნიეროდ, კარგა დიდი დრო მაქვს. ჩემს ნათესავებს ეჭვიც არა აქვთ, რომ პარიზში ვარ, თორემ ყველა ღონეს იხმარდნენ ჩემს მოსაძებნად. მსურდა ჩემს სხვენში ბატონი მანური მომეწვია, მაგრამ იგი უკვე ცოცხლებში აღარ არის.

სულ შიში მაწვალებს, უმცირესი ხმაურიც კი — სახლში, კიბეზე, თუ ქუჩაში, მაძრწუნებს, ვთრთი, ვცახცახებ, მუხლები მეკეცება და საქმე ხელიდან მივარდება. მთელი ღამე თვალი არ მეხუჭება, თუ ჩამეძინა, მორჩენებები მტანჯავს, ძილში ვლაპარაკობ, მშველელს ვუხმობ, ვყვირი. ვერ გამიგია, აქამდე რატომ ვერ მიხვდნენ ჩემს გარშემო მყოფნი, თუ ვინა ვარ?

ეტყობა, ჩემი გაქცევა ყველამ იცის. სხვანაირად არც იქნებოდა. გუშინ ერთმა მეეტლემ მიამბო ჩემი გაქცევის ამბავი და თანაც იმდენი ბილწი რამ ჩაურთო, დარდით აღარ ვიყავი. ამას რომ ჰყვებოდა, საბედნი-

ეროდ, ლამპიდან ზურგშექცეული იდგა და სველ თეთრეულს თოკზე ჰფენდა, ჩემი დაბნევა ვერ შეამჩნია. მაგრამ დიასახლისმა შენიშნა, რომ ვტიროდი და მკითხა: "მარი, რა მოგივიდათ?" "არაფერი". — ვუპასუხე. "აბა, რა იყო, — დაუმატა მან, — განა ისეთი სულელი ხართ, რომ ცრემლს ღვრით იმ უმაქნისი, უზნეო, ურწმუნო მონაზვნისთვის, რომელიღაც საძაგელ ბერს რომ გამიჯნურებია და მონასტრიდან გამოქცეულან? ეტყობა, ძალზე მგრძნობიარე ხართ. სვამდა, ჭამდა, ლოცულობდა და ეძინა. რაღამ გააქცია? არაფერი მინდა, ერთი ეცადა და სამჯერ-ოთხჯერ მდინარეში თეთრეული გაევლო, თანაც ასეთ ამინდში, მაშინ გაიგებდა მონასტრის სიტკბოს...". მე ვუთხარი, იქნებ ისიც ნაკლებად არ იტანჯებოდა-მეთქი, უმჯობესი კი იყო გავჩუმებულიყავი, მაშინ პასუხსაც აღარ დამიბრუნებდა: "კარგით ერთი, ვიღაცა გაიძვერაა და ღმერთიც კარგად დასჯის...". ამ სიტყვებზე მაგიდაზე დავიხარე და მანამდე ვიყავი ასე, ვიდრე დიასახლისმა არ მიყვირა: "მარი, რამ დაგაფიქრათ? ვიდრე ასე ყვინთავთ, საქმე წინ არ წავა".

მონაზვნური ცხოვრება ჩემთვის მუდამ უცხო იყო, ამას მოწმობს ჩემი ბოლო საქციელიც, მაგრამ ზოგიერთ მონასტრულ ადათს ისე მივეჩვიე, რომ მინდა თუ არ მინდა, ვიმეორებ. მაგალითად, როცა ზარები რეკენ, პირჯვარს ვიწერ ან მუხლს ვიყრი. როცა კარზე აკაკუნებენ, ვპასუხობ: "Ave". როცა რამეს მეკითხებიან, ჩემი პასუხი ყოველთვის ამგვარია: "დიახ, დედაო", "არა, დედაო" ან "დაო". თუ უცბად უცხო ვინმე შემოვა, გულხელს ვიკრებ და თავის დაკვრით ვესალმები. სხვები კი იცინიან და ფიქრობენ, რომ მონაზვნებს ვაჯავრებ. მაგრამ ეს ყოველივე, ალბათ, უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ჩემივე დაუდევრობა გამცემს და საბოლოოდ დავიღუპები.

მოწყალეო ბატონი, იჩქარეთ და მიხსენით. ალბათ, იტყვით, მითხარით, რა შემიძლია გავაკეთო თქვენთვისო? აი, რა — საკმაოდ უბრალო სურვილით მოგმართავთ: მჭირდება მოახლის, მეკუჭნავის ანდა უბრალო მსახურის ადგილი, ოღონდ სადმე სოფელში, მიყრუებულ ადგილას უნდა ვიცხოვრო, რომ არავინ მიცნოს, პატიოსან ხალხთან, სადაც ბევრი ვინმე არ იყრის თავს. გასამრჯელოს მნიშვნელობა არა აქვს. უსაფრთხოება, სიმშვიდე, პური და წყალი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემი საქმიანობით ყველა კმაყოფილი დარჩება. მშობლების სახლში მუშაობას მიმაჩვიეს, მონასტერში კი — მორჩილებას. ახალგაზრდა ვარ, სათნო ხასიათისა, როცა ფეხები მომირჩება, იმაზე მეტი ძალა მომეცემა, ვიდრე ჩემი მოვალეობის შესასრულებლად მეყოფა. ვიცი კერვა, რთვა, ქარგვა და რეცხვა. მონასტერში შესვლამდე თვითონ ვიკეთებდი მაქმანებს, და ხელად აღვიდგენ უწინდელ ცოდნას. უგერგილო არა ვარ და არც საქმის კეთება მეთაკილება. მაქვს კარგი ხმა, ვიცი მუსიკა და იმდენად კარგად ვუკრავ კლავესინზე, რომ შემიძლია დიასახლისი გავართო, თუ, რა თქმა უნდა, საამისო სურვილი ექნება, ბავშვებს კი გაკვეთილები ჩავუტარო. მაგრამ მეშინია, ეს ჩემი ნატიფი ხელოვნება, ჩემი პიროვნების გამჟღავნების საბუთი არ გახდეს. თუ საჭირო გახდება დიასახლისის დავარცხნა, ჩემი მოხერხებულობისა და გემოვნების იმედი მაქვს. ერთი ცდის მერე ამ უბრალო საქმესაც ავითვისებ. ბატონო, ერთი ასატანი ადგილი, თუკი შესაძლებელი იქნება, თუ არადა, სულ ერთია რა ადგილი იქნება, აი, ყველაფერი, რაც თქვენგან მჭირდება. სხვა უფრო მეტი რამ არ

მსურს. შეგიძლიათ ენდოთ ჩემს სინდისს. ერთი შეხედვით შეიძლება ვერ დაგარწმუნოთ, მაგრამ კეთილი და შემბრალე ქალი ვარ. ოჰ, ბატონო, ჩემი ტანჯვა საბოლოოდ დასრულდებოდა და აღარც ადამიანებისა შემეშინდებოდა; უფალს მაშინ რომ არ შევეჩერებინე, როცა რამდენჯერმე მონასტრის ბაღში, ღრმა ჭასთან მივედი და იქ თავი არ დავიხრჩე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის გაკეთებას ხელს არავინ მიშლიდა, რადგან მხოლოდ ამის გაკეთების უფლება მქონდა. არ ვიცი, როგორი დასასრული მელის, მაგრამ თუ ერთ დღეს კვლავ მონასტერში დაბრუნება მომიწევს, როგორიც არ უნდა იყოს ეს მონასტერი, აღარ ვიცი, რა მოხდება... ჭა ყველგან მოიძებნება! შემიბრალეთ, მოწყალეო ბატონო, და ნურც თქვენ გაიწამებთ მერე თავს ხანგრძლივი სინდისის ქენჯნით.

დაღლილობისგან ძალ-ღონე მეცლება, შიში მერევა. სიმშვიდე დავკარგე. ეს ჩანაწერები, საჩქაროდ რომ დავწერე, ახლა ხელახლა გადავიკითხე და შევამჩნიე; უნებურად, ყოველ სტრიქონში ჩემი თავი ისეთი უბედური წარმოვაჩინე, როგორიც ნამდვილად ვიყავი, სიკეთითკი, უფრო კეთილი გამოვჩნდი, ვიდრე სინამდვილეში ვარ. იქნებ გვგონია, რომ მამაკაცები ჩვენი ტანჯვის აღწერას უფრო გულგრილად ხვდებით, ვიდრე ჩვენი მომხიბვლელობის გამომზეურებას? ხომ არ გვეჩვენება, რომ მამაკაცთა აღგზნება უფრო ადვილია, ვიდრე გულაჩუყება? ამგვარ რამეების ძალზე ცოტა რამ გამეგება, რადგან არ ვიცნობ მამაკაცთა საზოგადოებას. მაგრამ ბატონი მარკიზი, რომელიც ცნობილია თავისი სულიერი სიფაქიზით, დარწმუნდება, რომ მე მის ქველმოქმედებას კი არა, მის ზნეობას მივმართავ. ნეტავ რას ფიქრობს ბატონი მარკიზი ჩემზე? ეს კითხვა ძალიან მაწუხებს. ალბათ ბატონი მარკიზი არ იქნება მართალი, თუ მთელი ჩემი სქესის ყოველ სისუსტეს მხოლოდ მე მომაწერს. მეც ქალი ვარ, შეიძლება ცოტა მეც ვკეკლუცობ, არ ვიცი, მაგრამ ასეც რომ იყოს, რა მოხდა? იგი ბუნებრივია და მასში უჩვეულო და მზაკვრული არაფერია.

კრისტინა ბუსტა (1915-1987)

# ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან
თარგმნა ლულუ დადიანმა

კრისტინა ბუსტა მეოცე საუკუნის ავსტრიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია; მისი ლირიკა ყოველთვის იპყრობდა გერმანულენოვანი პოეზიის გამოჩენილ ლიტერატურისმცოდნეთა ყურადღებას, რაც პოეტის შემოქმედების პრესტიჟული პრემიების მინიჭებით აღინიშნებოდა (გეორგ თრაკლის, ანტონ ვილდგანსის, ჰანს-ქრისტიან-ანდერსენისა და სხვა).

მთარგმნელი

*წიგნიდან "ხრული წარმავლობის შუაგულში"*

## კვლავშიგნების მცირე ტოპოგრაფია

I
თავდაპირველად ჩვენ ღვთისმშობლის
მოახლესთან მოვბრუნდით ისევ.
ამის მოყოლა არც კი დაგეჭირდა,
მან ყოველივე იცოდა უკვე
და იღიმოდა სათნოებით, მიმტევებლურად.
ასე უზადოდ მშვენიერი იგი არ მახსოვს.

II
ტაძრის შუკაში უნდა დავსხმოდით
შეყვარებულთა კოცნის აღრიცხვას,
ბინდის სილბოთი რომ იშლებოდა
წყვილთა ღაწვებსა და ბაგეებზე.

III
ბლუტგასეზე[1] კი ბნელოდა უკვე.
იდგა თბილ-მოტკბო ნელი სურნელი
ვანილისა და სასუსნავისა.
შენ მე ჩამჭიდე ხელი და მკითხე;
"აქ სახლობს ვინის ტყის ჯადოქარი,
ვინც ნამცხვრებს ასე მაცდურად აცხობს?"
მე გითხარ მხოლოდ: "გაჰკურცხლე, ჭინზელ".

---

1. ბლუტგასე – სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც სისხლის შუკა, პოეტი ამ სიტყვას აქ ორმაგ დატვირთვას ანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ჩვენ მეტისმეტად აგზნებული ვიყავით ჯერაც,
Ancora Verde[2]-ს რომ შევრჩენოდით.
მხოლოდღა ძველი სამჭედლოდან
დავეშვით ქვევით ჩვენი წარსულის
მრუმე სარდაფში.
წითელი ღვინის მწველმა ალმურმა
კვლავ შეადუღა განაბზარი,
ჩვენი გულების ნაქუჩებმა კი
ახალ თანხმიერ ძგერას მიაგნო.

## ლოცვანი

I

უფალს მადლობა
როგორ შეგკადრო,
რომ შენ არსებობ?
და შენ არსებობ –
უკვე ჩემთვისაც.

II

„თუკი ყრმებივით არ შეიქნებით..."
აკი ვიყავით. გვებოძა ნება
კვლავაც ყოფნისა.
ვართ აქამომდე ისევ და ისევ-
ძეი, ცათა სასუფევლით!

III

ორმარცვლიანი არის ენა,
ენა ღმისა:
წარმოთქვამს ვარსკვლავს,
მეტყველებს მთვარეს,
გამოგთქვამს შენაც!

IV

რა უხმაუროდ ეხსნები შენს თავს
და მემატები!
მე ვხუჭავ თვალებს
და შენ გატყვევებ.
ხვაშიადად დაგიგულოვნებ,
უსიტყვო ლოცვავ გამოუთქმელის.

V

ვუმზერ შენს სახეს:
ჩრდილთა მშვენებით,
ია-იების სიფაქიზით
ცხადდება ჩემთვის
კაეშანი შენი ფარული.

VI

რა არის ჩვენთვის კიდევ მიღმა,
რა არის წიაღ?
განა ჩვენ ოდენ მემბრანები
არ ვართ კოსმოსის?
მთვარის თითებით შენახებნი,
მზის ნატყორცალნი.
განა სინათლის და მუსიკის არ
ვართ ოსმოსნი[1]?

VII

ჩვენი ლოცვების მქრქალი ალმური
ფერფლივით ნაზი,
სუნთქვაღმობილი
ბავშვურ უმანკო ძილს
შევახიზნოთ...

VIII

ცისკრის მცირედი ძღვენი

ცისკრისას დილის
შემკრთალ ბინდბუნდში

---

1. **Ancora Verde** – (იტალ.) მწვანე ღუზა. იგულისხმება ვენის ერთ-ერთი რესტორანი "მწვანე ღუზა", სადაც ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები იკრიბებიან თავს.
2. **ოსმოსი** – [ბერძ. ბიძგი] – (ფიზ.) გამხსნელის თანდათანობითი შეღწევა ხსნარში მათი გამყოფი თხელი ტიხრის გავლით.

ჩემი ქალაქის ზეცის კაბადონს
ვაშლის სიმწვანე
დაჰკრავს ხანდახან
ისეთი მსუყე –
დავყნოსო ლამის.
ამ ღამეს თეთრად გავათენებდი,
რომ მომეწყვიტა
ვაშლი დროულად
და შენს სარკმელთან
დამედო უმალ,
დაე, შენთვისაც
ტკბილსურნელებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყნარი შეგონება

დაისვენებდე.
აღარ გჭირდება შენ ბალახის მოთიბვა ჩემთვის.
მიეცი ნება, ამოზავთებულ სარეველებთან შერეულმა
იხაროს კვლავაც ჩემს მწვანე კორდზე.

სჯობს ყური უგდო, მიწის წიაღით
უკვე ფერხავსხედ ამწვანებული ხმა ხომ
კვლავაც არ გესიტყვება: “ვიზრდები შენში...”

## ამპარტავნების გარეშე

დაე, ვილოცოთ ყველასათვის,
ვინც უგუნურად იქცევა თავად:

ვინც ცრუპენტელობს, სიყვარული არ ძალუძს რადგან.
ვინც შემცდარია, გულმოწყალება სჩვევია რადგან,
ვინც სიცილს ირჩევს, ცრემლებს სისუსტედ მიიჩნევს რადგან,
ვინც სამსჯავროს წინ, კორექტულ, მარჯვედ
მორგებულ ჰალსტუხს მოიაზრებს
შემარბილებელ გარემოებად.

ვინც აწ ცხოვრებას აღარად აგდებს, გამწარებული,
რადგან მათ არ სურთ დაიხარჯონ ცხოვრებისათვის,
ვინც უვედრებელ პურს ჭამს, შიმშილობს,
რადგან ვერასდროს ვერ აითვისეს,
მთლიანი პურის გემო, ჭაშნიკი,
მცირე ნამცეცშიც რომ შეიმეცნონ.

დაე, ვილოცოთ ყველასათვის,
ვინც მხოლოდ სხვისთვის ლოცულობს დღემდე,
მათ მორჩილება აკლიათ რადგან,
თავად წყალობის რომ ჰქონოდათ თუნდაც იმედი.

## შემობრუნება

სულის წიაღ დაიუნჯებდე.
დანებებულად მისცემდე ნებას ძირს დაცემისა
და მარტოოდენ გაიოცებდე.

ნაიძინებდე
მოქცევასა და მკვრივ კლდოვანს შორის –
ზღვა ახლდეს მხოლოდ შენს ყურთასმენას.

ნუთუ ეს მხოლოდ დაღლილობაა
და ქანცგაწყვეტა
თუ უკვე
დიდი ნდობაა სრული?

## გახსენ სარკმელი შენეული!

მე აკი მტრედი გამოგიგზავნე.
გუშინ წავაწყდი უეცრად პარკში.
დიაყვისფერ მის ფაქიზ ბუმბულს
ყელსაბამივით ამკობს ფაფუკი თალხი არშია.

ის მტაცებელი არ გეგონოს სხვა მტრედებივით.
მიეცი ნება უმალ მხრებზე შემოგაფრინდეს.
მას მხოლოდ შენი ლაწვის ახლოს
სურს შეყოვნება, სურს რომ გიცქერდეს
გარინდებით, მოუხმობლად, მონუსხულივით.

## კოსმიური საათის დროით

ჩვენ ჩვენივე სიყვარულისთვის
ვარსკვლავიერი წამნახევრის
მემილიარდე ჯერადიც კი არ დაგვრჩენია.
ჩვენ დაეჭვების დროც აღარ გვივის.

# *წიგნიდან "ზეცა წაბლნარში"*

## არა მხოლოდ ჩემთვის ნათქვამი

თუ გიყვარს ჩიტი და ხეთა რიგი,
გესმოდეს ნათლად და გაიაზრე,
რომ შენ იმათთვის არაფერს ნიშნავ.
მათ შენ სრულიად არად სჭირდები,
შენ კი ისინი გჭირდება მარად.

მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს
ხელეწიფება, რომ შენს სიყვარულს
გასცეს პასუხი. თუმც უმნიშვნელოდ
არ მიიჩნიო, თუ ძალუძს მხოლოდ
სიყვარულის შორით დათმენა
და გრძნობის განშლას ემსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველნაირი სიყვარული,
შენ რასაც გასცემ, ან იღებ სხვისგან,
სრულ მიტევებას საჭიროებს.
რადგან შენ სხვათა მოვალედ რჩები.

ერთხელაც ალბათ უფლის ვეება
გულგრილობას უსასრულო თმენად
მიითვლი და მიენდობი.

მე არ მეგულვის სხვა ნუგეში და სასოება.

## განუზომელი სიდატაკის შესახებ

ადამიანი, თავდავიწყებით გიყვარს რომელიც,
უცხოა ხშირად, ახლობელი არ არის ჩვენი.
მაგრამ ჩვენ კიდევ გაგვაჩნია ის ახლობელიც,
ვისაც ამჟამად ვესაკლისებით და შევიძლებდით
რომ უაღრესი ახლობლობა გავწიოთ მისთვის,
თუ სასიკეთოდ თავს თავადვე არ შევიკავებთ.
უღარიბესად რჩება, რომელიც
ემახლობლება თავის თავს მხოლოდ,
უმდიდრესად კი, ვინც ქედს კვლავ უხრის
თვით მორებელის ყოველ მოთხოვნას.

იგი
ღვთიური სიდატაკის მონაწილეა.

## რეტროსპექტული ეპიგრაფი

არსებობს, არის ხელოვნების თავისუფლება
ყველანაირი დიქტატურის მიღმიერ მხარეს.
და ადამიანს გააჩნია თავისუფლება,
მხოლოდ თავისი აირჩიოს მან ხელოვნება,
თუმც ხელოვნების დიქტატურის მიღმიერ მხარეს.

## აბელი ესარჩლება კაენს

მას კვამლის სვეტმა გზა აუბნია.
ნუ სდევნით! თავად გადიხვეწება.
ვერ მიხვდა იგი, რომ მე არ მსურდა
მეტოქეობა, ძმობა მეწადა.
გიჯობთ უშველოთ, ვიდრე უფალი
თვით განუმარტავს, რად გაიმეტა
გასახრწნელად მან მისი მსხვერპლი.

მოიღეთ მადლი! მომეცით ნება
თქვენში განვაგრძო მე არსებობა
მის სასარგებლოდ. გააგებინეთ,
რომ საკუთარი ბოროტება
ნაკლა მან ჩემში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე უვნებელი ველოდები მას უკვე სრულქმნილს
უქვამლო მხარეს.

## გაშლილ მკლავებით

ურწმუნონიც კი იმეორებენ
მეგობრობისა და სიყვარულის
გამოხატვის ჟამს
ჯვარცმულის გაშლილ
მიმსჭვალულ მკლავებს,
რომელიც რჩება განუხრელად,
როგორც სიმბოლო
აღთქმული ხსნისა.

მაისი, 86

## ერთი შეხვედრის წინარეგანცდა

ჩემს წაბლის ხეზე კვირტები უკვე
ფერსავსედ ბზინავს.
სულ მალე ალბათ
დასკდება კიდეც.
მე ორიოდე კვირით დავასწარ.
ჩემში ანთია,
ელვარებს უკვე
სანთელი ყველა.

## ეგრეთ წოდებულ ჭკუა-გონების წინააღმდეგ

ადამიანის ინტელექტის უწმინდესი პირველსახეა
სიკეთის ცნება.
და ამ სიკეთეს საკუთარი სრულყოფისათვის
წრეგადასული ქმედება და ქიშპი სჭირდება
ეგრეთ წოდებულ ჭკუა-გონებასთან შესარკინებლად.

## *წიგნიდან "ზუნთქვა სიტყვისა"*

## თოვლში სათუთად ჩაღვენთილი

შაშვის წყვეტილი ნაკვალევი
აფრენასა და დაფრენას შორის.

რამდენია, ჩიტის ერთი ციდა სიცოცხლე!
ჩიტისნისკარტა სიკვდილის წილ,
ხანდახან თუნდაც – გალობის წილ.

## წასაკითხთა ნუსხა

ამოიკითხე ქვა იდუმალი
ფრაგმენტი ტყავის,
ფურცელი ერთი,
ადამიანის სახის ნაკვთების
დამწერლობა, ბრმათა ხაზები;
შენი სიტყვაც და
შენი ცხოვრებაც
გარდაიქმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკლული ასპიტი

ასო მსახვრალი
მხურვალე ქვაზე.

პირმშვენიერი გორგონა,
ფრთხილად ბორკილახსნილი.
ყელის სურნელი
ახლავს თითქოს
ჩრდილს და სინათლეს.

## კოცნა

კვალი აღარ ჩანს
ღაწვზე, ბაგეზე,
გულში კი ფერფლი
საშობაო თოვლივით ელავს.

## ინფორმაცია სტუმრებისთვის

არ არსებობს არც განრიგი, არც გასაღები.
მარტოობისგან აგებულია თავშესაფარი.
იქნებ შეგძლო და შეგეხიდო,
იქნებ ორიოდ სიტყვა მაინც აღმოაცენო.

არ წაბორძიკდე, არ წამოჰკრა ქვებს ბაღში ფეხი,
თითოეული, ვინც წინ მიდის, სხვას უკან ტოვებს.
მე ვცდილობ ფრთხილად ყვავილები დავრგო მათ შორის.

განა "ნახვამდის", "კეთილი იყოს მობრძანება"
გამცნობს წარწერა ღია კარებზე.

## ერთგულება

ვინც გამომდევნა,
ისევ მომიკრებს,
იხვეჭს ჩემს ენას,
იხვეჭს ჩემს სმენას, სახეს ჩემეულს.
მე კი მისი
ვარსკვლავებისთვის
ვრჩები ღამისგან
აკინძულ ბუდედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძახილი

ვისი ძახილი ერთვის ყოველადვე
ღაღადისს ჩვენსას ადამიანის
მოხმობისათვის? ჩვენი ხმაც ისმის,
ღვთის სახმობლად და გულის ხმობა
თვით ჩვენს წიაღში მის მისაგნებლად.

პარტიტურები შეუხმეხელი,
ქურად ღებას რომ მოითხოვს ჯერაც.

## ლოცვის შესახებ

ჩვენ განა უფლის მავედრებულნი
არა ვართ მხოლოდ?

ლოცვა — ეს არის,
მწირადქმნა შენში,
როგორც შენ იქეც შენშივე მწირად.

საყოველთაოდ,
კიდობანის გარეშეც, ყველგან.

## ბრძენ, აქამომდე მოდღვეულ ხალხებს

მხოლოდ ბინძური ჩვრებით გაკრული
საკუთარი ბავშვები ხშირად
სამოვარზეც კი მიჰყავთ ადრიან.
შემდეგ ისინი ვიდრე ენას
ამოიდგამენ, დედა ენასაც
დედის რძესთან ერთად იწოვენ
სისხლხორცეულად.

მხოლოდ მიჯნურებს,
და უძლურსად გულმავიწყ ხალხებს
კვლავ გაეგებათ ეს უკვე უცხოდ
ქცეული ენა და საუბრობენ
ერთმანეთთან ქვეშეცნეულად
და უსიტყვოდ,
სამებისეულ მეტყველებას ზიარებულნი.

## რა იყო ნეტავ?

უჩინარად და უჩუმარად
მძინარე უცებ რამ გამაოგნა?

თითქოსდა თოვლის შეხება ვიგრძენ
— გაღვიძებისას, უკვე ცრემლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინოტივედ რომ დამდნარიყო,
თუმც სევდის განცდა არ შემრჩენია.

არანაირი მოგონება, არც რამ სურვილი.
ღაწვებზე ჯერაც – ეს აუხსნელი
გრძნობა ჩუმი მადლიერების.

## ჩემს მკითხველებს

არ ვიცი, მე ვის შევეხიზნები
ერთ ადამიანს თუ მამა უფალს.
გზას მივდევ ისევ. და სადაც მუხლი
მომეკვეთება ქანცგაწყვეტისგან,
დასასვენებლად, ან საბოლოო
განსასვენებლად ჩავიკეცები
და მოვკვდები, ვით თვითმხილველი
უამრავი შეხვედრისა.

ჩემი მხლებლები
ზეცის ყოველი მიმართულებით
წყალზე, მიწაზე, ჰაერში, ცაში –
გზაში არიან.
წყვდიადსაც ჰკვეთენ.

## სადაც მე ვცხოვრობ

ხუროთმოძღვარი ხომ უნდა იყოს
მიწისძვრის მედეგ სახლებს ვინც აგებს.
ვერ მოვიძიე ვერავინ ჩემთვის.

მე მომთაბარის კარავში ვცხოვრობ.
თუ შენ საფრთხეში გეგულვის თავი
და სივიწროვით შეჭირვებულხარ,
გეპატიჟები
დამისთევით, მესტუმრე, გელი.
სტუმართმოყვარედ გაგხდის უდაბნო
და სულ ერთია – პოლარულ ყინვის
თუ ქვიშნარის ხარ ბინადარი.

## სიყვარულის დუმილი

რომ არ არსებობდეს,
ჩვენ ერთმანეთთან დავრჩებოდით მარადჟამს უბრად.

# *წიგნიდან "ჩიტების თავშესაფარი"*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადამიანი და ღმერთი

ხამყარო ჩვენზე ხანდაზმულია:
იყო წყვდიადი, იყო ნათელი,
წყალი და მყარი, ვარსკვლავების და
ქარის თამაში, უბიწო შფოთვა
ხის და ბალახის. შენ ჩვენზე უფრო
ფრინველებს, თევზებს, ფუსფუსა ფუტკრებს
ხარ განდობილი, პირუტყვის მახვილ
გუშს და ალღოსაც, ღრმა მორჩილების
უაღრესობით, შენ ეგულვი
უანგაროდ, წინამორბედად.

ჩვენ ოღონდ სრული არსით გვინდიხარ:
მაშ შევიჭრებით საუკუნეთა
სიღრმის წიაღ, შენი შესაქმის
ყოველცისმარე დღის შესაცნობად.
და რამდენადაც გიახლოვდებით,
ჩვენს თავს ვშორდებით. თვალნაუწვდენი
ზღვის ფსკერი არის უკვე ჩვენ მიერ
ხელშენახები, მიწა უბიწო
გამსჭვალულია ლამის ცეცხლოვან,
ვარვარა ბირთვის გულის გულამდე.
ცოტაღა დარჩა, და მადნეულსაც
მოვიპოვებთ ვარსკვლავებიდან
და შევაზავებთ ზენას და ქვენას!

* * *

თუ ჩვენეული მეშვიდე დღე
განუყოფელი ყოვლადობიდან
აიზიდება, მამაო, მაშინ შენს სამსჯავროზე
ბოლოს და ბოლოს პირველნი მოვალთ.

## უნბრული იავნანა

ჩემო პატარავ, ნანა ნანინა!
მარტოდმარტონი ვართ, პაწაწინავ.
და რაც არ უნდა მოიმოქმედო,
სოფელს ვერ შეცვლი შენ სასიკეთოდ.
ჩემო პატარავ, ნანა ნანინა!

ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!
სიმხნევემაც კი გალია ხანი,
შეჭამა ეშმამ ყრმის ტკბილი ფია,
დარჩა მარილი, სისხლი და ტყვია.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო პატარავ, ნანინა ნანა!
ხვალის დღე რასმე მოგვიტანს განა?
პურის ყუას და მჭლე ნაჭერს ვაშლის,
სიკვდილი ახლავს უთუოდ ბავშვის.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანა!

ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!
აბელს კაენთან დაუდევს ზავი,
და თუ ჩვენს ფესვებს ჩავწვდებით წამით,
ერთი დედისა ვართ შვილნი ლამის.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!

## დილის რიჟრაჟზე

გარეთ ცა უკვე იწყებს ნელ ლივლივს.
ვიცი რომ ფერფლი საშინელი აწვიმს ჩვენს ვარსკვლავს,
და ეფინება უამრავი ფერფლი გულებსაც.

ახლოსაა სიკვდილი უკვე,
სიცოცხლის სუნთქვა ილევა ნელა,
და მხოლოდ შენი ბაგეებიდან
მოყვასის პირისახემდე აღწევს,
შენ ფერფლის აღძვრა ჯერ კიდევ ძალგიძს,
გაქრობის პირას მისული ქროლვით
რომ გაუმკლავდე საზარელის მოახლოებას.

ღმერთმაც ხომ ოდენ ამოისუნთქა,
ადამიანი როდესაც შექმნა,
მსგავსად და ხატად, ჩვენსავ დაკარგულ
ვარსკვლავიერ სამარეთათვის.

## ფაზები

მათ არაფერი შერჩათ მარადი,
ისინი სავსე მთვარის ფაზაშიც
ნამგლის სიმრუდეს ხედავენ მხოლოდ,
ორსახა ნიშანს, ანუ სიმბოლოს
იმ უცდომელი მომკალისა,
ვისაც მარჯვენაც მარცხენასავით
თანაბრად უჭრის.
დროის მოწყალე მონაკვეთი კი
ხელთა ანაზდად შენაცვლებისას
რჩება აწ წმინდა ამაოების
სასწაულისთვის სილუეტ სიცხადედ:

რადგან მრუმე სახურავებზე ლამაზად ჰყვავის
უნაყოფო ყვავილი თოვლის,

აწ განძარცული ჩვენი ზაფხულის
ჩიტთა გალობა იმქვეყნიური,
შინ უბრუნდება შინაგან სმენას,
ყაყაჩოების გახუნებული აბრეშუმი
კანს მეწამულად გვიფაკლავს ისევ,
სათუთ წვრილთა ძარღვებში კვლავაც
კარგახანია ვერწასაკითხად
გადაქცეულ გულების ლანდშაფტს
გულმოდგინებით მივხდევთ კვალდაკვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წვიმის ზღაპარი

იქ ზის ტყის პირას, ნაძიან სერზე,
რუხ-ნისლისფერი ანგელოსი წვიმის სამოსით.
და საათობით, უსასრულოდ, გულს ირგვლივ მახვევს
მის ნატიფ ძაფებს თითისტარი მოუსვენარი.
დაღამებამდე ოდნავ მზემ თუ გამოანათა,
შემოფრინდება შენს სარკმელში ფრთა სველი ვერცხლის.

## სახიფათო ზაფხული

შემალულია, შეძურწულა ლოდებქვეშ ჩრდილი.
არ ჩაეძინოს! წყალი სწყურია თავთავა ხორბალს,
ვარვარებს ბალბა, ქუთუთოებქვეშ ყაყაჩო ყინობს.
თუ გაიღვიძებ, ყურში სიკვდილის გესმის წივილი.

## წლის ბოლოს ნათქვამი

სიტყვები მძიმე, არდარჩეხილი,
თოვლის ნამქერში თეთრად წერილი.
სიტყვები, უკვე რომ არ ვენდობით,
ზეცის და მტრედთა გასანდობარი.
სულ უსახელოდ შთენილ ქართათვის,
ჯერაც არმოსულ ანგელოსთათვის.

## გაშლილი ხელები

აი, ესაა ყველაფერი რაც ზედმეტია:
არც ვარდის ზეთი, არც ყაყაჩოს თესლის იოტა,
მუხლებზე გიწყობ ათ ცალ თეთრ მთვარეს,
გაბზარულან და არც არასდროს გასრულდებიან.
ვერწასაკითხი შრიფტი დარჩა სიცოცხლის შემდეგ.

## ჩიტების მარეკი

სინათლემ გასცა ტოტთა სიშიშვლე,
ხის საიდუმლო გაცხადდა ჩემთვის.
მალე ჩიტების მარეკიც მოვა
და შინ ლტოლვილებს დაუთმობს ბუდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## არავინ

ამ კართა მიღმა *არავინ* ცხოვრობს,
სავარგი ჩემთვის,
ფიქრობდა კაცი
და კიბეს ზევით მოუყვებოდა,
სხვენში ასული
სინჯავდა დიდხანს ნარმის თეთრეულს.

უფრო ადრე კი მის კარს *არავინ*
ჩამოუარა სარდაფისაკენ მიმავალმა,
იგი კარგა ხანს სინჯავდა წრიაპს.

შემთხვევით შეხვდნენ ორთავენი უკანა გზაზე
და შემკრთალები მიესალმნენ ერთიმეორეს.
ერთიც, მეორეც კიდევ იდგა გარინდებული
წამით კარს უკან, ბინადრობდა სადაც *არავინ*.

## უცხო ლანდშაფტი

უცხო ლანდშაფტი არსებობს მხოლოდ ადამიანთა მეოცნებეთათვის:
იქ არ ჟღერს ტკბილად ზაფხული ხილით, ყურძნის მტევნებით,
შემოდგომაზე იქ დუღს მხოლოდღა მარადი ვაშლის საზიზღი ლოხი,
იქ მზე ხორცს ახმობს განკითხვის ჟამის ბაზრობებისთვის.

უარესია ღამეები შეუდარებლად,
რადგან ვარსკვლავნი დიდებულნი, ჩირაღდნებივით
ციმციმებენ ბრმათა დაშრეტილ, ბნელ ფოსოებში.
წყვდიადი კი რჩება წყვდიადად.

ეს ლანდშაფტია ნაზარეველის,
მაცხოვნებელი სიტყვის მეუდრო, წმიდა სავანე,
ყრუთა სმენისთვის ამაო და შეუსმენელი,
უნატიფესი მოციქულის ტკივილ-ენებაში გამოტანჯული
და მიჯნურთაგან ჯვარცმით ხსნისთვის მარად ნატრული.

## გამოთხოვება

მწირ ქოხმახებში ბჟუტავს სანთელი,
გაუსაძლისი ბორგავს გრიგალი, თოვს და ღამეა.
ნუ ტირი! მგლების დამშეულ ხროვას ვერ ვუღალატებ.
ვერ დავბრუნდები იქ, სადაც ველოდი კარგახანია.

უზო სოფელში დილაობით კვალს ნუ დაეძებ,
ნულარ მოიხმობ მონადირეთ ხელკეტიანებს.
შერჩეთ გაჩრილი ძაღლისგულებს თმა-წვერში ძეძვი,
მე კი მეივანი ღვთის ღაღადი შემეხმიანოს.

## უსახლკაროთა სავედრებელი სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას იმღერიან ღამით ნეტავ საბრალო ყრმები?
"გაპარსე კრავი, გაპარსე კრავი,
შენ მეცხვარეო ზეციერო!"

რას იმღერიან ღამით საბრალო დედანი ნეტავ?
"დაჩეჩე მატყლი, ქსოვე სამოსი,
ზეციერო, შენ, ქალბატონო!"

რას იმღერიან ღამით საბრალო მამანი ნეტავ?
"დაჩეხე შეშა, მოთრიმლე ტყავი,
შენ, ორლესულო ქარო–ბატონო!"

რას იმღერიან ღამით მარჯი მეურვეები?
"გააღე კარი, გახსენი სკივრი,
შედგი ღუმელ'ში საცხობად პური,
გამოარიდე შებოლვის ხორცი,
ჯერ ოღონდ ავი დააბი ძაღლი
მაგარი ჯაჭვით!
ეს საბრალონი დღეს ასე ტკბილად თოვლს უმღერიან."

## განაცხადი ძებნილის შესახებ

ვარგი და მარგი არ გახლავართ მე სამწუხაროდ,
მაგრამ ზღარბივით ვიჩხვლიტები ნუგბარი რითმით
და უცნაური ფრინველებისთვის ვქსოვ ფაცერკორდებს,
ფარფატა, მსუბუქ ხატულა პეპლებს ვატყვევებ სიტყვით.

ღიმილს და ცრემლებს ვაგროვებ და ვთავაზობ მყიდველს,
უსასყიდლოდაც გავცემ, ვინმემ თუკი ინება.
ვსწავლობ ფინის ერთგულებას და მის სიმკვირცხლეს
და კურდღელივით გაქცევაში ვეძიებ შვებას.

თაყვანს ვცემ უფალს, თუმცა ეშმა კვანტს მიღებს მაინც,
ასე ვაწყდები ბრმად ცბიერ ნლიქებს, თუ ვხდევ დიდებას
და მზესუმზირის ფესვებს მტკიცედ კვლავ ვეჭიდები,
წმინდა ფრანჩესკომ მარადისთვის მომმადლა რაიც.

## იოსებ არიმათიელის ბაღნარში

ჩემს მეგობრებს

უჩუმრად შედი მძინარე ბაღში,
აქ სასოება დაემარხეთ ჩვენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლდესთან შეხებას ვერ ბედავს სიოც,
ერთის მცველთა ლოდთან ბრინჯაოს სხივი.

უწაღოდ შედი, მხოლოდ მიშველი
შეიგრძნობს ტერფი ბალახის ლტოლვას,
მიწის წიაღში ჩანასახს უკვე
ყლორტზე უჩინრად უთრთის ყვავილი.

არ შეუშინდე ნარ-ეკლის რხევას,
მისწყრებიან ბრმად შუბებს მცველნი.
მებაღეს ჩიტის არ გასცემს სტვენაც,
სისხამზე უკვე გზას ადგას იგი.

## წყალი და ქვა

მცენარე, მხეცი, ადამიანი
წყურვილს წყლით იკლავს,
ქვა კი წყალს ითმენს
და წლიდან წლამდე
ცვდება, ილევა.

მე შენ კენჭს გიძღვნი
გულს მისარქმელად.

## ივან ბუნინი

# მიტიას სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ უ ს უ ლ ი დ ა ნ
თარგმნა გიორგი ბაქანიძემ

## I

უკანასკნელი ბედნიერი დღე, მიტიამ მოსკოვში რომ გაატარა, ცხრა მარტი იყო. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეგონა.

დილის თორმეტი საათი იქნებოდა, იგი და კატია აღმა მიუყვებოდნენ ტვერის ბულვარს. გაზაფხულმა უეცრად იმძლავრა, გატეხა ზამთარი, მზვარეში თითქოს კიდეც ცხელოდა; თითქოს მართლა მოფრინდნენ ტოროლები და სითბო, სიხარული მოიტანეს. ყველაფერი სველი იყო, ყველაფერი დნებოდა, სახურავებიდან ცვიოდა წვეთები, ქვაფენილებზე ყინულს ამტვრევდნენ მეეზოვეები, სახლებს თოვლავდნენ, ყველგან ხალხმრავლობა და გამოცოცხლება სუფევდა. მაღლა ცაზე თეთრ, თხელ კვამლად იშლებოდნენ ღრუბლები და ნოტიო ლაჟვარდში იძირებოდნენ. შორს სათხო ფიქრებით ნაღვლევნილი პუშკინი აღმართულიყო და ვნებათა მონასტერი ბრწყინავდა. კატიაც განსაკუთრებით ლამაზი ჩანდა ამ დღეს. სულ გულწრფელობად და გულითადობად ქცეულიყო, დროდადრო მიმნდობი ბავშვივით გამოსდებდა ხელს დიდი ნაბიჯებით მიმავალსა და ბედნიერებისგან თითქოს ცოტათი გაამპარტავნებულ მიტიას, თვალში შესციცინებდა და ნაბიჯს ძლივსღა უსწორებდა.

პუშკინის ძეგლთან რომ მივიდნენ, კატიამ ანაზდად თქვა:

— რა სასაცილოდ, რა საყვარლად, მიამიტი ბავშვივით აღებ მაგ დიდ პირს, როცა იცინი ხოლმე. ნუ მიწყენ და სწორედ ამ ღიმილისათვის მიყვარხარ. ჰო, მაგ ბიზანტიური თვალების გამოც...

მიტიამ ღიმილი შეიკავა, ცდილობდა არ დასტყობოდა ერთდროულად წამოძალებული უცნაური კმაყოფილება და ფარული წყენა; მოულოდნელად თავზე წამომდგარ ძეგლს ახედა.

— ბავშვობას თუ ვიტყვით, — მიუგო მეგობრულად, — ამაში დიდად ვერ გავექცევით ერთმანეთს მე და შენ. ბიზანტიელს კი ისევე ვგავარ, როგორც შენ — ჩინეთის დედოფალს. თქვენ ყველანი მართლა შეიშალეთ, სულ ბიზანტიელები და ალორძინებები გაბოდებთ... დედაშენისა ვერაფერი გამიგია!

— როგორ, მის ადგილზე რომ ვიყო, კოშკში გამომკეტავდი? — ჰკითხა კატიამ.

— კოშკში არა, მაგრამ ამ ყოველ არტისტულ ბოჰემას, სტუდიებს, კონსერვატორიებს, თეატრალური სკოლების ამ მომავალ

გენიოსებს ფეხსაც არ შემოვადგმევინებდი სახლში. — მიტია კვლავ ცდილობდა მშვიდი და გულგრილი ყოფილიყო. — აკი თვითონვე თქვი, ბუკოვეცკიმ უკვე ვახშამზე მიმიწვიაო, ხოლო ეგოროვმა რაღაცნაირი, ზღვის მომაკვდავი ტალღისმაგვარი ჩემი ქანდაკი უნდა გამოძერწოსო. რასაკვირველია, [illegible] თავმოქონილი ხარ ამხელა პატივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ერთია, ხელოვნების შენი გულისთვისაც ვერ მოვანებებ თავს. შეიძლება, ბიწიერი ვიყო, როგორც ამბობ ხოლმე, — თქვა მან, თუმცა მიტიას ამგვარი რამ არასოდეს დასცდენია, — შეიძლება, უზნეოც, მაგრამ ასეთი ვარ და ასეთი გინდოდე... ნუ ვიჩხუბებთ, ამ საოცარ დღეს მაინც ნუღარ იეჭვიანებ. როგორ არ გესმის, რომ ჩემთვის მაინც ყველაზე კარგი და ერთადერთი ხარ? — ხმადაბლა და დაჟინებით უთხრა, მაცდური თვალები შეანათა და ნელა, ფიქრიანად წარმოთქვა:

ჩვენს შორის ჰგიეს იდუმალება —
ჩვენ შევუერთეთ ხელები ერთურთს.*

ამ ლექსმა მიტიას მწარედ გაუკენწლა გული. საერთოდ, ბევრი რამ ამ დღესაც კი უამური და გულისმომწყვლელი იყო: თუნდაც წეღანდელი ხუმრობა ბალღურ მიამიტობაზე. ამგვარი ხუმრობა არც ახალი იყო და არცთუ შემთხვევითი: კატია ბევრ რამეში მასზე მოწიფული ჩანდა, დროდადრო (უნებურად, ესე იგი — სავსებით ბუნებრივად) კიდეც ამჟღავნებდა ამა თუ იმ უპირატესობას და მიტია ამას მტკივნეულად განიცდიდა, რადგან ყველაფერში მისი რაღაცნაირი, ბიწიერი გამოცდილობა ენიშნებოდა; გულზე მოხვდა ეს “მაინც” (ჩემთვის მაინც ყველაზე კარგი ხარო) და ისიც, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას კატიამ რატომღაც უეცრად დაუდაბლა ხმას. მეტადრე ლექსი და მისი მანერული წაკითხვა არ მოეწონა — სწორედ ისა, რაც ყველაზე მეტად ახსენებდა იმ წრესა და გარემოს, რომელიც კატიასართმევდა და გულში ეჭვს, სიძულვილს უნთებდა. და მაინც, ამ ბედნიერ ცხრა მარტს, მოსკოვში მის ყველაზე ბედნიერ დღეს (როგორც თვითონ ფიქრობდა ხოლმე შემდეგში), მან ესეც იოლად გადაიტანა.

ამ დღეს, კუზნეცკი მოსტიდან რომ მობრუნდნენ (იქ კატიამ ციმერმანისაგან სკრიაბინის რამდენიმე ნაწარმოები შეიძინა), ქალმა მიტიას დედაზე წამოიწყო ლაპარაკი.

— ვერ წარმოიდგენ, — თქვა სიცილით, — ამთავითვე როგორ მეშინია მისი!

აქამდე მომავალზე სიტყვაც არ დასცდენიათ, არც უფიქრიათ, თუ რით დაბოლოვდებოდა მათი ურთიერთობა. ახლა კი, მოულოდნელად, კატიამ ისე უჭოჭმანოდ ახსენა მიტიას დედა, თითქოს მათი მომავალი რძალდედამთილობა უეჭველი და უთუო ამბავი იყო.

## II

მერმე თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო. მიტია დაჰყვებოდა მას სამხატვრო თეატრის სტუდიაში, კონცერტებზე,

---

*პოეტური სტროფები და სტრიქონები აქ და შემდეგ თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ლიტერატურულ საღამოებზე, ანდა ერთთავად მის სახლში იჯდა, კისლოვკაზე. კატიას დედა, სათნო და სახიერი, ყოლის-ფერთმიანი ბანოვანი რა ხანია ქმარს გასცილებოდა (ქმარს სხვა ოჯახი ჰყავდა), მუდამ ფერუმარილი ესვა სახეზე, განუწყვეტლივ ეწეოდა თამბაქოს და ქალიშვილს გადაჭარბებული თავისუფლებით ანებივრებდა. ამით სარგებლობდა მიტია და ღამის ორ საათამდე რჩებოდა ხოლმე კატიასთან. ზოგჯერ კატიაც შეირბენდა მოლჩანოვკაზე, მის ნაქირავებ, სტუდენტურ ბინაში და მათი შეხვედრები, ისევე როგორც წინათ, ხვევნა-ალერსით იწყებოდა და უსაზმნო თრობაში იწურებოდა. მაგრამ მიტიას აეკვიატა აზრი, რომ იწყებოდა რაღაც ამაზრზენი: რაღაცნაირად შეიცვალა, გარდაისახა კატია.

განქარდა ის დაუვიწყარი და უდარდელი დრო, როცა ის-ის იყო ერთმანეთს შეხვდნენ, გაეცნენ და ორივემ უცებ იგრძნო, რომ ყველაზე სასურველი მათთვის მხოლოდ ერთმანეთთან თუნდაც გაუთავებელი საუბარი იყო, როცა მიტია მოულოდნელად აღმოჩნდა ბავშვობიდან და ყრმობიდან ნალოდინევი სიყვარულის ზღაპრულ სამყაროში.

იმხანად დეკემბერი იყო — სუსხიანი და კეთილი ტაროსი. მოსკოვს დღითიდღე რთავდა მოსალებული ჭირხლი და დაბლა მდგარი მზის მღვრიე-წითელი დისკო. იანვარ-თებერვალმა მიტიას სიყვარული განუწყვეტელ, აღსრულებულ, ანდა აღსრულებაზე მიწეული ბედნიერების გრიგალში გახვია. და მაინც, მიტიას ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ორი კატია არსებობდა: ერთი ის, გაცნობის წუთიდანვე რომ სათნოყო და დაუოკებელ ლტოლვად ექცა, მეორე — ნამდვილი, ჩვეულებრივი. პირველს ქრთილისოდენადაც რომ არა ჰგავდა. ასე იყო თუ ისე, მაშინ მიტიას ამდაგვარი არაფერი უგრძვნია.

ადვილად შეიძლებოდა ყველაფრის ახსნა: გაზაფხული დადგა და ქალებს უამრავი საზრუნავი გაუჩნდათ: რამდენი რამ უნდა ეყიდათ, რამდენი რამ უნდა გაებარებინათ; დაიწყო დაუსრულებელი გადაკეთება-გადმოკეთება და კატიასაც, ცხადია, ხშირად უხდებოდა დედასთან ერთად მკერავებში სიარული; კერძო თეატრალურ სკოლაშიც, სადაც სწავლობდა, მალე გამოცდაზე უნდა წარმდგარიყო. ამიტომ მისი დაბნეულობა და ფიქრიანობა, შესაძლოა, სავსებით ბუნებრივი ყოფილიყო და მიტიაც თავს ინუგეშებდა, მაგრამ ვეღარც ნუგეში შველოდა საქმეს — მისი ეჭვნეული გულის ვარაუდი უფრო ძლიერი იყო და სულ უფრო მეტი სიცხადით დასტურდებოდა: კატიას თანდათან რაღაცნაირი, შინაგანი უყურადღებობა დასჩემდა და მიტიასაც გაუძლიერდა უნდობლობა და ეჭვი. თეატრალური სკოლის დირექტორი კატიას ქებით აბრუებდა და იმანაც თავი ვეღარ შეიკავა, ყველაფერი უამბო მიტიას... ჩემი სკოლის დირექტორის სიამაყე ხარო — ეუბნებოდა კატიას დირექტორი (იგი თავის მოსწავლე გოგონებს შენობით ელაპარაკებოდა), გამოცდაზე მისი წარმატებით განსაკუთრებით ეწადა თავის გამოჩენა და საერთო მეცადინეობის გარდა ცალკე გაკვეთილებსაც უტარებდა. ცნობილი კი იყო, რომ იგი რყვნიდა თავის

მოსწავლეებს, ზაფხული არ გავიდოდა, რომ კავკასიაში, ფინეთში ან საზღვარგარეთ არ წაეყვანა რომელიმე მათგანი. მიტიამაც ვერა და ვერ მოიცილა აზრი, რომ ამჯერად დირექტორს კატია ჰყავდა შეგულებული და ქალიც, თუმცა დამნაშავე არ იყო, უეჭველია გრძნობდა ამას, ხვდებოდა და [illegible] უკვე თითქოს საზიზღარი, დანაშაულებრივი რაღაც აკავშირებდა მასთან. ეს აზრი მით უფრო აწვალებდა, რაც უფრო აშკარა გახდა, რომ კატია სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მას. ეტყობოდა, რაღაცამ თანდათან გადაიბირა მისი გული და გონება. მიტიას არ შეეძლო დირექტორზე დამშვიდებით ეფიქრა, მაგრამ რაღა დირექტორი! ატყობდა, რომ რაღაც სხვა ინტერესებმა დათრგუნეს კატიას სიყვარული. იგი ეჭვიანობდა ყველაზე, ყველაფერზე, უმთავრესად კი — თავისსავე წარმოსახულ რაღაც ზოგადზე, რითაც მისგან ფარულად კატიამ თითქოსდა უკვე დაიწყო ცხოვრება. მას ეჩვენებოდა, რომ კატია დაუძლევლად ილტვოდა სადღაც მისგან შორს და, ვინ იცის, იქნებ ისეთი რაღაცისკენ, რისი გაფიქრებაც კი საშინელი იყო.

ერთხელ შინ, დედის თანდასწრებით, კატიამ თითქოს ხუმრობით უსაყვედურა:

— თქვენგან ნაღდი ოტელო დადგებოდა, ისე მოძველებულია თქვენი მსჯელობა ქალებზე. ჰოდა, კიდეც არასოდეს შეგიყვარებდით და არც ცოლად გაგყვებოდით.

— მე კი ეჭვიანობის გარეშე სიყვარული ვერ წარმომიდგენია, — შეეპასუხა მას დედა. — ჩემი აზრით, ვინც არ ეჭვიანობს, იმას არც უყვარს.

— არა, დედა, — კატიას მუდამ სხვისი აზრების განმეორება სჩვეოდა, — ეჭვიანობა საყვარელი ადამიანის უპატივცემულობაა. თუკი არ მენდობიან, მაშასადამე, არც სიყვარული აქვთ ჩემი. — თქვა და მიტიას განზრახ მოარიდა თვალი.

— ჩემი აზრით კი, — კვლავ შეედავა დედა, — სწორედ ეჭვიანობა არის სიყვარული. სადღაც წამიკითხავს კიდეც, ძალიან კარგად იყო დამტკიცებული. ბიბლიიდანაც კი მოჰყავდათ მაგალითები, თვითონ უფალი იხსენიება მეჭველად და შურისმგებლად...

მიტიას სიყვარული კი ახლა თითქმის ეჭვიანობაშიღა ცხადდებოდა. ეს ეჭვიანობაც უბრალო კი არა, რაღაცნაირი, როგორც თვითონ მას ეგონა — განსაკუთრებული იყო. იგი და კატია ჯერ კიდევ არ გადასცდენოდნენ სიახლოვის ბოლო სამანს, თუმცა ერთად ყოფნისას თავს არცთუ ისე იზოკავდნენ. ახლაც, როცა მარტონი რჩებოდნენ, კატია წინანდელზე ჭარბ ვნებას ამჟღავნებდა, მაგრამ მიტიას უკვე ეს ვნებიანობაც ეჭიოთირებოდა და ზოგჯერ მეტად მწვავე გრძნობებს უღვიძებდა. ყოველი გრძნობა, ამ ეჭვიანობას რომ კვებავდა, მტკივნეული იყო, მაგრამ მათში მაინც მძლავრობდა ერთი, რომელიც სიმძაფრით სხვებს აღემატებოდა და რომლის განსაზღვრა და გაგებაც მიტიამ ვერასგზით ვერ შეძლო: ვნების ის გამოვლინება, სწორედ ის, რაც მათთან, კატიასა და მიტიასთან მიმართებით ასე ტკბილი და სანეტარო, ამქვეყნად ყოვ-

ლის უმწვერვალესი და უმშვენიერესი იყო, წარმოუდგენლად საზიზღარი და არაბუნებრივიც კი ჩანდა, როცა მიტია კატიასა და თავის მეტოქე მამაკაცზე დაიწყებდა ფიქრს. ხოლო წუთებში უნაპირო სიძულვილით სძულდა თავისი საცოლე. ყოველივე რასაც კი მასთან განმარტოებისას თავად განიცდიდა, სამოთხისეული მშვენებითა და უბრყვილობით იყო აღსავსე, მაგრამ როგორც კი ვინმე მოცილეს წარმოიდგენდა თავის ადგილზე — წამსვე იცვლებოდა, ურცხვობა-სიბილწედ იქცეოდა და კატიას მოშთობის წყურვილს უღვიძებდა (უწინარეს ყოვლისა, სწორედ მისი და არა წარმოსახული თავისი მეტოქის მოშთობის წყურვილს).

III

დიდმარხვის მეექვსე კვირას, როგორც იქნა, დაინიშნა კატიას გამოცდა. მიტიას ეჭვების მთელი სიმართლეც განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამომზეურდა. კატია ამ დღეს სულ უცხო იყო, მთლად საამკარაოზე გამოსული. მიტიას ვეღარც კი ამჩნევდა.

მას დიდი წარმატება ხვდა. თავით-ფეხებამდე პატარძლივით თეთრად მორთულიყო და მღელვარება კიდევ უფრო ალამაზებდა. მთელი დარბაზი უკრავდა ტაშს და დირექტორიც, წინა რიგში მჯდომი თვითკმაყოფილი, ცივი, თვალხედვიანი მსახიობი, მხოლოდ მომეტებული სიამაყის გამო ამხელდა ზოგჯერ მის შეცდომას — ხმადაბლა, მაგრამ როგორღაც ისე, რომ მთელს დარბაზში ისმოდა და უამურად ჟღერდა.

— ნაკლები კეკლუცობა, — ამბობდა დამაჯერებლად, მშვიდად და ისე მბრძანებლურად, თითქოს კატია მისი საკუთრება იყო, — კი არ ითამაშო, განიცადე, — შენიშნავდა ნაწყვეტნაწყვეტ.

მიტიას არ შეეძლო ამის ატანა. აუტანელი იყო თვით ეს გამოსვლაც, ტაშს რომ იწვევდა. აღგზნებული და აყირმიზებული კატია კრთებოდა, ზოგჯერ ხმა უწყდებოდა, ჰაერი არა ყოფნიდა, და ყოველივე ეს ამაღელვებელი და მომხიბლავი ჩანდა. მაგრამ კითხულობდა იგი იმ უხამსი მღერალობით, ყოველი ბგერა იმ სისულელითა და სიყალბით იყო შეზავებული, რაიც კითხვის უმაღლეს ხელოვნებად ითვლებოდა მიტიასათვის საძულველ წრეში, რომელსაც კატია უკვე მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა; იგი კი არ კითხულობდა, წამდაუწუმ წამოიძახებდა ხოლმე სიტყვებს რაღაცნაირი, გულისგამაწვრილებლად მინაზებული ვნებით, გადამლაშებული და გაუმართლებლად ამოჩემებული ვედრებით და მიტიამ არ იცოდა სირცხვილს სად წასულიყო. ყველაზე გულსატკენი მაინც ანგელოზური სიწმინდისა და ბიწიერების ის ნაზავი იყო, კატიას ატკეცილ სახეზე, მის სპეტაკ მაშიებსა და აბრეშუმის თეთრ წინდებში გამოკვართულ ფეხებში რომ მჟღავნდებოდა (ესტრადაზე კაბა უფრო მოკლე ჩანდა, რაკი მაყურებლები დაბლიდან უმზერდნენ კატიას). "ქალწული წყნარი გალობდა ტაძრად", — არაბუნებრივი, წრესგადასული მიამიტობით ჰყვებოდა კატია

რომელიღაც, თითქოსდა ანგელოზივით უცოდველი გოგონას ამბავს და მის მაცქერალ მიტიას ერთსა და იმავე დროს სიახლოვის მწველი გრძნობაც ეძალებოდა – როგორც ხდება ხოლმე, როცა საყვარელ ადამიანს ბრბოში გარეულს უჭვრეტს კაცი – და სასტიკი მტრობაც უხივებდა გულს: როგორც [illegible] სიამაყით ავსებდა შეგნება იმისა, რომ კატია, ბოლოს და ბოლოს, მაინც მას ეკუთვნოდა, იქვე გაჩნდებოდა გულის დამწვრავი ტკივილიც: არა, აღარ ეკუთვნოდა უკვე!

მერმე ისევ ბედნიერი დღეები წაუწყო ერთმანეთს, მაგრამ მიტიას უკვე აღარაფერი სწამდა ისე ადვილად. გამოცდას როცა გაიხსენებდა, კატია ეტყოდა ხოლმე:

– რა სულელი ხარ! ნუთუ ვერა გრძნობდი, რომ მხოლოდ შენთვის ვკითხულობდი ისე კარგად!

მიტიას კი ჯერაც ახსოვდა გამოცდისდროინდელი სალმობანი: ვერ გარკვეულიყო, განთავისუფლდა მათგან თუ ისევ ისე იქენჯნებოდა. კატიაც გრძნობდა ამას და ერთხელაც იყო, კინკლაობისას, წამოსძახა:

– ვერ გამიგია, რად გიყვარვარ, თუკი ყოველმხრივ ცუდი ვარ! ბოლოს და ბოლოს, რა გინდა ჩემგან?

მიტიამ კი თვითონაც არ იცოდა, რისთვის უყვარდა იგი, თუმცა გრძნობდა კი, რომ სიყვარულის სახმილი არცთუ უნელდებოდა, პირიქით – უფრო და უფრო ედებოდა, უღვივდებოდა და, ამასთანავე, უძლიერდებოდა ის იჭვნეული ბრძოლაც, ვიღაცისა თუ რაღაცის წინააღმდეგ რომ დაუწყო კატიასა და თავისი სიყვარულის დასაცავად (ეს სიყვარული კი თანდათან გამძაფრებულიყო და მისგან სულ მეტსა და მეტს ითხოვდა).

– შენ მხოლოდ სხეული გიყვარს ჩემი, სული კი არა! – მწარედ შესჩივლა ერთხელ კატიამ.

ეს სიტყვებიც უცხო და თეატრალური იყო, მაგრამ მთელი მათი უაზრობისა და გაცვეთილობის მიუხედავად, მაინც რაღაც მტკივნეულსა და ამოუცნობს ეხებოდნენ. მიტიამ არ უწყოდა, რატომ უყვარდა კატია, არ შეეძლო ზუსტად ეთქვა, რა უნდოდა... რა არის, საერთოდ, სიყვარული? არც სატრფიალო წიგნებსა და არც მოსმენილ-გაგონილ ამბებში არ მოიძებნებოდა მისი ზუსტად განმსაზღვრელი სიტყვა და, მით უმეტეს, ძნელი იყო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. წიგნებსა და ცხოვრებაში ყველანი თითქოს ერთხელ და სამუდამოდ შეთანხმებულიყვნენ, ან მხოლოდ რაღაცნაირ, თითქმის უსხეულო სიყვარულზე ელაპარაკნათ, ან მხოლოდ იმაზე, რასაც ვნებას, გრძნობიერებას არქმევენ. მისი სიყვარული კი არც ერთსა ჰგავდა, არც მეორეს. მაშ, რასა გრძნობდა? იმას, რაიც სიყვარულად იწოდება, თუ იმას, რასაც გატაცებას ეტყვიან? როცა საკინძს უხსნიდა და სამოთხისდარად სანატრელ ქალწულებრივ მკერდს უკოცნიდა – სულისშემძვრელი თვინიერებითა და უმანკოების წმინდა უბრყვილობით მოშიშვლებულ მკერდს – რას მიჰყავდა გულშეღონებამდე და უმწვერვალეს ნეტარებამდე, მის სულს თუ მის სხეულს?

IV

კატია კიდევ უფრო გამოიცვალა.

გამოცდაზე მოპოვებული წარმატება მრავლისმეტყველი იყო და მაინც, ამ ცვლილებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

გაზაფხული დადგა და კატია როგორღაც ერთბაშად იქცა მაღალი საზოგადოების ყმაწვილქალად, მორთულ-მოკაზმული მუდამ რომ სადღაც მიიჩქარის. ახლა, როცა იგი მოდიოდა, — ფეხით კი არა, ეტლით მობრძანდებოდა ხოლმე, — მიტიას თავისი ჩაბნელებული ტალანი მართლაც რომ თავზე სჭრიდა. კატია სწრაფად, აბრეშუმის შარიშურით მიაცურავდა ამ ტალანში: სახეზე პირბადე ეფარა. ახლა იგი მუდამ ნაზი და ალერსიანი იყო, მაგრამ სულ იგვიანებდა და წასვლითაც ადრე მიდიოდა: ისევ მკერავ ქალთან უნდა წავყვე დედას, — ამბობდა.

— ხომ იცი: გკოხტაობთ, თავს ვიწონებთ! — იტყოდა და ფართოდ გახელილ თვალებს მხიარულად, გაოცებით ააქ-ქუნებდა: ხვდებოდა, რომ მიტიას მისი აღარაფერი სჯეროდა, მაგრამ მაინც ასე შერჩებოდა — უკვე არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო.

ქუდს არ მოიხდიდა, არც ქოლგას უშვებდა ხელს, ყოველწამ გაქცევაზე ეჭირა თვალი, მიტიას საწოლზე იჯდა და აბრეშუმის წინდებში გამოკვანწული კანჭებით ფეხს თავგზას აკარგვინებდა, ხოლო როცა წასვლას დააპირებდა და გააფრთხილებდა: ამ საღამოს შინ არ ვიქნებით, — ისევ დედას უნდა წაჰყოლოდა ვიღაცასთან — მიტია რომ გაეცურებინა და, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, დაეჯილდოვებინა მისი "სულელური" ტანჯვისთვის, უცვლელად ერთსა და იმავეს იქმოდა: კარს თვალთმაქცურად, ქურდულად გახედავდა, საწოლიდან ჩამოსრიალდებოდა, ეხუტებოდა მიტიას და მალიად უჩურჩულებდა:

— აბა მაკოცე ბარემ!

V

აპრილის ბოლოს მიტიამ, როგორც იქნა, სოფელში გამგზავრება გადაწყვიტა.

კატია ხომ გაიწვალა, მაგრამ თავიც გაიწამა და ეს საბანჯველი მით უმეტეს ძნელი ასატანი იყო, რადგან საამისოდ თითქოს არაფერი მიზეზი უნდა ჰქონოდა — მართლაცდა, კატიამ რაც დააშავა, იმას რა ბრალი მიუძღოდა? და ერთხელ კიდეც მიახალა პირში მიტიას დაურიდებლად, როგორც სასოწარკვეთილს სჩვევია ხოლმე:

— წადი სოფელში, აღარ ძალმიძს მეტის ატანა! დროებით უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, უნდა გაირკვეს ჩვენი ურთიერთობა. ისეთი გამხდარი ხარ, დედაჩემი დარწმუნებულია, რომ ჭლექი გჭირს... მეტის ატანა აღარ შემიძლია!

მიტიას გამგზავრებაც გადაწყდა. დარდისაგან თავი აღარ ახსოვდა, მაგრამ თავისდა გასაკვირად, როგორც კი წასვლა დაითქვა, მოულოდნელად შემოიქცა წარსული, დაბრუნდა ხან-ეტარო დღეები... მას ხომ ისედაც არაფრით უნდოდა იმ მტან-

ჯული ვარაუდის დაჯერება, ღლუდაღამ მოსვენებას რომ აკარგვინებდა. ჰოდა, საკმაო გახდა სულ ერთი ბეწოთი შეც-ვლილი კატია, რომ კატიას თვალშიაც გარდაქმნილი იყო ყვე-ლაფერი: კატია ისევ ნაზი და სათნო გახდა, მაგრამ უკვე ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე (ამას ეჭვიანი ადამი-ანის უტყუარი ალღოთი გრძნობდა); ისევ ღამის ორ საათამდე რჩებოდა მიტია მასთან. კვლავ აღარ ელეოდათ სათქმელი და სალაპარაკო და რაც უფრო ახლოვდებოდა განშორების დღე, მით უფრო უაზრო ჩანდა განშორებაცა და "ურთიერთობის გარკვევის" საჭიროებაც. ერთხელ კატია კიდეც ატირდა — იგი კი არასოდეს ტიროდა — და ამ ცრემლებმა უცებ საოცრად ახლობელი გახადა იგი მიტიასათვის, გული მძაფრი სიბრალუ-ლითა და მის წინაშე თითქოსდა რაღაც დანაშაულის გრძნო-ბით გაიმსჭვალა.

კატიას დედა ივნისის დამდეგს ყირიმში მიემგზავრებოდა ხოლმე მთელი ზაფხულით და კატიაც თან მიჰყავდა. გადაწ-ყვიტეს მისხორში შეხვედრა; მიტიაც მისხორში უნდა ჩასულიყო.

იგი საგზაოდ ემზადებოდა, დაბორიალობდა მოსკოვში იმ უცნაური თრობით მოცული, ჯერკიდევ გაუტეხელ, მაგრამ უკვე რაღაც მძიმე სენით შეპყრობილ კაცს რომ სჩვევია. უქმიფოდ, ავადმყოფურად უბედური და ამავე დროს ავადმყოფურადვე ბედნიერი, შეძრული იყო კატიას უკუმოგებული სიახლოვითა და მზრუნველობით, ყოველივეთი, რაც კი მათი სიყვარულის ადრეულ ხანას მოაგონებდა (კატია ბარგის შესაკრავი თასმე-ბის საყიდლადაც კი წაჰყვა, თითქოს მისი საცოლე ანდა მეუღლე ყოფილიყო); ასეთნაირადვე აღიქვამდა გარემოსაც: სახლებს, ქუჩაში მოსიარულეებს, გაზაფხულის კვალობაზე ერთთავად მოქუფრულ ამინდს, მტვრისა და წვიმის სუნს, შესახვევებში ღობეების მიღმა გაყვავილი ნინარების საკმეველისდარ სურ-ნელებას — ყველაფერი განშორების სიმწარეს ღაღადებდა, მეტყველებდა საზაფხულო იმედთა სიტკბოზე, ყირიმში შეხვე-დრაზე, სადაც ხელის შემშლელი აღარვინ ეყოლებოდათ და ყველაფერი ხორცს შეისხამდა, თუმცა არ იცოდა, მაინც რა იყო ეს ყველაფერი.

გამგზავრების დღეც მოვიდა. მიტია ბარგსა ჰკრავდა, როცა გამოსათხოვებლად პროტასოვმა შემოუარა, უფროსკლასელ გიმნაზიელებსა და სტუდენტებში ხშირად შეხვდები ყმაწვილებს, რომელთაც ისე უჭირავთ თავი, თითქოს მრავალ-მოჭირნახული და გამობრძმედილი ადამიანები არიან, ჰოდა, ყველას და ყველაფერს ქუში, მაგრამ უწყინარი დაცინვით მაღ-ლიდან დასცქერიან. ასეთი გახლდათ პროტასოვიც, მიტიას ერთადერთი ჭეშმარიტი მეგობარი, უახლოესი ძმაკაცი. მიტიას გულჩახურულობისა და სიტყვაძვირობის მიუხედავად, მან მისი სიყვარულის ყოველი საიდუმლო უწყოდა.

პროტასოვი უყურებდა მიტიას, ხედავდა, როგორ კრავდა იგი ნემოდანს და როგორ უცახცახებდა ხელები, მერმე ბრძენივ-ით, ნაღვლიანად ჩაიცინა და წარმოთქვა:

— უმანკო ბავშვები ხართ, უფალო, მომიტევე! ყველაფრის შემდეგ, ჩემო ძვირფასო ტამბოველო ვერთერო, მაინც დროა

შეიგნო, რომ კატია, უწინარეს ყოვლისა, ტიპიური მდედრი არსებაა, ხოლო ქალების ასავალ-დასავალი პოლიციის ბოქაულმაც კი არ უწყის. შენ, მამრი არსება, უყურებ მას გვარის გაგრძელების ინსტიტუტის უზენაეს მოთხოვნილებებს, კედლის შუბლით ანგრევ და, რასაკვირველია, ეს [illegible] სავსებით კანონიერი და, გარკვეული აზრით, წმინდა[illegible]ც შენი არის უმაღლესი გონი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბერი ნიცშე. მაგრამ ისიც კანონიერია, რომ ამ წმინდა გზაზე შეიძლება კისერიც მოიტეხო კაცმა. არიან კიდეც ცხოველთა სამყაროში არსებანი, რომელთაც საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებათ თავიანთი პირველი და უკანასკნელი სასიყვარულო აქტი. მაგრამ რამდენადაც შენთვის ასეთი რამ, უეჭველია, არცთუ ისე სავალდებულოა, ფხიზლად იყავი და თავს მიხედე. საერთოდაც, ნუ აჩქარდები. "იუნკერო შმიდტ, ღმერთმანი, ზაფხული ისევ მოვა". ეს ქვეყანა არც ნალითაა დახურული და არც მარტო კატიას ირგვლივ ტრიალებს... გხედავ, ჩემი აზრი ჭკუაში არ გიჯდება, ისე მიძალებით ახრჩობ მაგ ჩემოდანს. მა'შ, მომიტევე არამკითხე მრჩევლობა — დაე, გფარავდეს წმინდა ნიკოლოზი და თანამდგომნი მისნი!..

მაგრამ ჩამოართვა ხელი და წავიდა. მიტია ქვემაგების შეკვრას შეუდგა. ანაზდად ეზოში გადამჭურე ღია სარკმლიდან მგრგვინავი ბანი შემოესმა: მოპირდაპირე სახლში მცხოვრებმა სტუდენტმა, სიმღერას რომ სწავლობდა და დილიდან საღამომდე ვარჯიშობდა, ხმა მოიხინჯა და "აზრა" წამოიწყო. მიტია აფაცურდა, დაუდევრად შეაზნია თასმები, ქუდს ხელი დასტაცა და კატიას დედასთან გამოსამშვიდობებლად კისლოვკაზე გასწია. სიმღერის ჰანგი და სიტყვები ისე დაჟინებით ჟღერდნენ და მეორდებოდნენ მის არსებაში, რომ ვერც ქუჩებს ხედავდა, ვეღარც გამვლელებს ამჩნევდა, გაბრუებული და დარეტიანებული მიაბიჯებდა. თითქოს მართლა კატიას ირგვლივ დატრიალდა ქვეყანა და თითქოს იუნკერი შმიდტიც სწორედ ტყვიას იკრავდა შუბლში! რა გაეწყობა, დატრიალდა და დატრიალდეს, ფიქრობდა მიტია და კვლავ იმ სიმღერას უბრუნდებოდა; ესმოდა, თუ როგორ ხვდებოდა ხოლმე ბაღში სასეირნოდ გამოსული, "მკერდით თვისით გაბრწყინებული" სულთანის ასული შადრევანთან გარინდულ, "სიკვდილით გაფითრებულ" შავ მონას, თუ როგორ ჰკითხა ერთხელ ვინაობა-სადაურობა და მონამაც აუღელვებლად, მაგრამ თავმოდრეკით, პირქუში ჟღრიალებით წამოიწყო:

სახელი ჩემი მუჰამედი...

და საზეიმო ტრაგიკული გოდებით დაამთავრა:

ვარ მოუხაფარ აზრათა მოდგმის,
ჩვენ ვკვდებით, ტრფობა რა მოგვეახლოს.

კატია ტანთ იცვამდა: სადგურზე უნდა წასულიყო. პირველ ზარზე იქ ვიქნებით, გამოსძახა მიტიას თავისი ოთახიდან (რამდენი დაუვიწყარი საათი გაუტარებია მიტიას იმ ოთახში!).

ქოლოსფერთმიანი, სანდომიანი ბანოვანი მარტო იყო, თამბაქოს ეწეოდა და მიტიას ძალზე ნაღვლიანად უმზერდა/ ალბათ, რა ხანია იცოდა ყველაფერი, ყველაფერს ხედავდა... აჭარხლებულმა, ერთიანად მოცახცახე მიტიამ პირმშოსავით მოიდრიკა თავი და მის ნაზ, დუნე ხელს ეამბორა. ქალმაც დედური ალერსით რამდენჯერმე აკოცა მიტიას საფეთქელზე და პირჯვარი გადასწერა.

— ჰმ, ჩემო კარგო, — მფრთხალი ღიმილით წარმოთქვა გრიბოედოვის სიტყვები, — ღმერთმა სიხარული ნუ მოგიშალოთ! მაშ, გაემგზავრეთ, გაემგზავრეთ, ქრისტე გფარავდეთ...

VI

მიტიამ სასტუმროს საქმეები მოითავა, მერმე მსახურის დახმარებით თავისი ბარგი მოღრეცილ ღია ეტლში ჩაალაგა, თვითონაც რის ვაი-ვაგლახით ბარგს მიუჯდა, დაიძრა და მაშინვე იგრძნო ის განსაკუთრებული რაღაც, გამგზავრებისას რომ შეიპყრობს ხოლმე კაცს — სამუდამოდ დასრულდა ცხოვრების ერთი კარი! ამასთანავე მეყსეულად შვებაც იგრძნო: წინ ახალი რაღაც ელოდა... ცოტათი დამშვიდდა და უფრო მხნედ, თითქოს სხვა თვალით იწყო ირგვლივ ცქერა. მორჩა, მშვიდობით, მოსკოვო და ყოველივე, რაც აქ განცდილა და გადატანილა! ჟინჟღლავდა, უამური ამინდი იყო, შესახვევებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, რკინასავით ბზინავდა მრუმე ქვაფენილი, მოწყენით იდგნენ ჭუჭყიანი სახლები. მეეტლეს გამაწამებელი ზოზინით მიჰყავდა ეტლი, თავის მგზავრს წამდაუწუმ აიძულებდა პირი მიებრუნებინა და, შეძლებისდაკვალად სუნთქვა შეეკავებინა. გაიარეს კრემლი, მერმე პოკროვკა, შესახვევები, სადაც წვიმისა და საღამოს მომასწავებელი ხრინწიანი ხმით ჩხაოდა ყვავი, მაგრამ მაინც გაზაფხული იყო და საგაზაფხულო სურნელი ტრიალებდა. აი, როგორც იქნა, სადგურსაც მიაღწიეს! მიტია მებარგულს გაეჩითო ხალხით გაჭედილ დარბაზში, ბაქანზე, მერმე გავარდა მესამე ლიანდაგთან, სადაც უკვე ჩამომდგარიყო კურსკის გრძელი და მძიმე მატარებელი. ვეება, უსახურ ბრბოში, მატარებელს რომ ეხვია, მოზღვავებულ მებარგულებში, ხრიგინითა და ცაცხანით რომ მიაგორებდნენ ბარგით დაზვინულ ურიკებს, მან წამსვე გამოარჩია კატია: ეულად იდგა "მშვენებით თვისით გაბრწყინებული" და ამ ბრბოში კი არა, მთელი დედამიწის ზურგზედაც კი სრულიად გამორჩეულ არსებად ჩანდა. პირველი ზარი უკვე ჩამოკრეს, ამჯერად მან დააგვიანა და არა კატიამ; იგი მასზე ადრე მოვიდა, მას ელოდა, — სიხარულმა შეძრა მიტიას გული.

— საყვარელო, — კატია ახლაც მზრუნველ საცოლესავით თუ მეუღლესავით მიეჭრა მას, — ჩქარა, ადგილი დაიკავე! მეორე ზარია!

მეორე ზარის შემდეგაც გულისშემძვრელად იდგა ბაქანზე, კვლავ თვალებში შესციცინებდა მესამე კლასის ვაგონის კარებში ჩამდგარ მიტიას (ვაგონი ხალხით გაჭედილიყო და ყარდა); ყველაფერი მომხიბვლავი ჰქონდა: პატარა, ლამაზი, საყვარელი

პირისახე, მორჩილი ტანი, სინორჩე, ყმაწვილქალობა, რომელშიაც ქალურობა და ბავშვურობა ჯერაც ერწყმოდნენ ერთმანეთს; მაღლა მაცქერალი ნათელი თვალები, [illegible] ღეროჯი ქუდი, რომლის თითოეული ნაკეცი უცნაურ, ხატოვან სილაღეს ამხელდა; რუხი კოსტიუმი, რომლის ქსოვილს [illegible] აბრეშუმსაც კი ეთაყვანებოდა მიტია. თვითონ [illegible] მაღალყელიანი, უხეში ჩექმები და ძველი ქურთუკი ჩაეცვა, ქურთუკის გაცვეთილი ღილებიდან ჭიაფერად უბრჭყვიალებდა სპილენძი, გამხდარი და ულამაზო ჩანდა, მაგრამ კატია მაინც არ აცილებდა წრფელი სიყვარულითა და ნაღველით სავსე მზერას... მესამე ზარი მოულოდნელად და მკვახედ გახმიანდა, მიტიას თავზარი დაეცა. გიჟივით ჩამოიჭრა იგი ვაგონის წინა ბაქნიდან და ასევე გიჟივით გამოექანა მისკენ შეძრწუნებული ქალი. მიტია ბაგეებით დაეკონა მის თათმანიან ხელს, მერმე უკანვე ვაგონში აიჭრა და აცრემლებულმა გამალებით დაუქნია ქუდი, კატიამ კი კაბის კალთაზე იტაცა ხელი და ბაქანთან ერთად გაცურდა უკან, მიცურავდა სულ უფრო და უფრო ჩქარა, გასცქეროდა ვაგონის სარკმლიდან თავგადმოყოფილ მიტიას, რომელსაც სულ უფრო ძალუმად უწეწავდა თმას ქარი; ორთქლმავალიც უფრო და უფრო გათამამდა, თავხედური და მუქარის მაუწყებელი ღრიალით ითხოვდა გზას — და უცებ მოწყდა კატიაც და ბაქნის კიდეც...

VII

რა ხანია დამკვიდრდა საღამო, საწვიმარი ღრუბლებით ჩამობინდული და გაზაფხულის კვალობაზე გრძელჟამიერი. მძიმე ვაგონი შიშველ, გრილ ველზე მიგრიალებდა (მოსკოვში ჯერაც ადრეული გაზაფხული იყო), ვაგონის დერეფანში მიმოდიოდნენ კონდუქტორები, ბილეთებს ამოწმებდნენ, ფარნებში სანთლებსა დგამდნენ, მიტია კი ისევ ისე მიმდგარიყო მოზრიალე სარკმელთან, გრძნობდა ბაგეზე შერჩენილ სურნელს კატიას ხელთათმანისას და კვლავ განშორების წამის მწვავე ალით იდაგებოდა. ბედნიერი და მტანჯველი მოსკოვური ზამთარი, მთელი მისი ცხოვრება რომ გარდაქმნა, ახლა მთლიანად, ახალი შუქით გაცხადებული დგებოდა მის თვალწინ. ახლებურად ხედავდა კატიასაც. მართლაცდა, ვინ არის, რა არის იგი? სიყვარული, გატაცება, სული და სხეული რაღაა? ყოველივე ეს არ არსებობს, რაღაც სხვა ჰგიეს, სულ სხვა! აი, ეს ხელთათმანის სურნელება — განა ესეც კატია არ არის, ესეც სიყვარული, სული. ესეც სხეული არ არის? ეს გლეხები, მუშები, ქალი, ფეხსადგილში თავისი უსახური ბავშვი რომ მიჰყავს, მოზრიალე ფარნებში მბჟუტავი სანთლები და საგაზაფხულოდ მოქცეულ ტრამალზე ჩამოწოლილი მწუხრი — ყველაფერი ეს სიყვარულია, ყველაფერი სულია, ტანჯვაა და გაუმხელი სიხარულიცაა.

დილით ორიოლს ჩავიდა. აქედან სხვა მატარებლით უნდა ემგზავრა. ეს პროვინციული მატარებელი შორეულ ბაქანთან იდგა და მიტიამ იგრძნო, რა უბრალო, რა მშვიდი და მშობლი-

ური იყო ეს სამყარო სადღაც ცხრა მთას იქით დარჩენილ მოსკოვურ ცხოვრებასთან შედარებით, რომლის შუაგულში კატია იდგა (იგი აქედან როგორღაც ეული და საბრალო ჩანდა და მიტიასაც ნაზი, მშვიდი სიყვარულით უყვარდა); ზეცაც კი, აქა-იქ საავდრო ღრუბელთა მკრთალი სილურჯით [illegible]ჯებული ზეცა, და ქარიც კი აქ უფრო სადა და მშვიდი [illegible] ორიოლს შემდეგ მატარებელი ნელა მიზოზინებდა, მიტია ნება-ნება შეექცეოდა ტულურ თაფლაკვერს, მარტოკა იყო გამოცარიელებულ ვაგონში. მერმე მატარებელმა სიჩქარეს უმატა, მოქანცა მიტია, დააძინა...

ვერხოვიეშიღა გაეღვიძა. მატარებელი იდგა. საკმაო ხალხმრავლობა და ფუსფუსი იყო, მაგრამ მაინც მიყრუებულსა ჰგავდა აქაურობა. სადგურის სამზარეულოდან მადისაღმძვრელი სუნი დიოდა — მიტია გემოზე შეექცა ერთ მათლაფა შჩის და ზედ ბოთლი ლუდიც დააყოლა. მერმე დაღლილობამ უწია და ისევ ჩათვლიმა, ხოლო, როცა გაიღვიძა, მატარებელი უკვე ნაცნობ, საგაზაფხულოდ მფეთქავ არყიანში მიქროდა და წინ ბოლო სადგურიღა დარჩენილიყო. საღამო იდგა, ღია სარკმელში წვიმისა და, თითქოს, სოკოების სუნი სცემდა. ტყე ჯერაც შიშველი იყო, მაგრამ მატარებლის გუგუნი აქ მაინც უფრო მკაფიოდ გაისმოდა, ვიდრე ტრამალზე, შორს კი უკვე სადგურის სევდიანი ფარნები კრთოდნენ. აი, სემაფორის მაღალი, მწვანე შუქიც — სილამაზით გამორჩეული მწუხრში ჩაყურსულ ამ შიშველ არყიანში — და მატარებელმა დგანდგარით იწყო მეორე ლიანდაგზე გადასვლა. ღმერთო, რა საბრალო და კარგი იყო სოფლელი მსახური, ბატონიშვილს სადგურზე რომ ელოდებოდა!

სადგურიდან ეტლით გამოემგზავრნენ. გაზაფხულისდაგვარად ატალახებულ დიდ სოფელზე გაიარეს. ბინდი და ღრუბლები სულ უფრო იგრაგნებოდა. ყველაფერი უჩვეულოდ რბილ ბინდბუნდში, მიწის ღრმეს მდუმარებაში ჩანთქმულიყო. უცნაური, საავდროდ აშლილი ღრუბლები თბილ ღამეში ჩაძირულ ტრამალს ერწყმოდნენ და მიტია ჰკვირობდა და ხარობდა: რა მშვიდი, სადა და ბეჩავი იყო სოფელი, ეს სურნელის მკმეველი. რა ხანია ჩაძინებული ქოხმახები — ხარება დღეს აქეთ მორწმუნე ხალხი ცეცხლს სულს არ უბერავდა — და რა კარგი იყო ამ მრუმე, თბილ ტრამალზე ყოფნა! ეტლი ღრანტეებში ხტოდა, ტალახში ეფლობოდა, მდიდარი გლეხის ეზოს მიღმა აღმართულიყვნენ ჯერაც შიშველი და პირქუში, ჭილყვავთა ბუდეებით გადაშავებული მუხები. უცნაური, თითქოს წარსულიდან მოვლენილი ფეხშიშველა მიწის მუშა ქოხთან იდგა და ბინდს მისჩერებოდა, დაფლეთილი ტყაპუჭი ეცვა, სწორსა და გრძელ თმაზე ფაფახი ეხურა... და წამოვიდა თბილი, ტკბილი, სურნელოვანი წვიმა. მიტია ფიქრობდა ამ ქოხმახებში მძინარე გოგონებსა და ჯეელ დედაკაცებზე, ყოველივე ქალურზე, რასაც ამ ზამთარში კატიას მეშვეობით ეზიარა, და ყველაფერი ერთმანეთს შეენივთა: კატია, გოგონები, ღამე, გაზაფხული, წვიმის სურნელება, დახნული და ნაყოფის ჩასახვად მო-

ქცეული მიწის ოხშივარი, ცხენის ოფლის სუნი, კატიას ხელთათმანის სურნელი...

VIII

სოფელში მიტიას წყნარი და საუცხოო ყოფა-ცხოვრება დაუდგა. ღამით სადგურიდან სოფლისკენ რომ მიეშურებოდა, კატიას სახე თითქოს ცოტათი გაფერმკრთალდა, გაიქრა ტრამალის ბინდბუნდში, მაგრამ ეს მოჩვენებითი ამბავი იყო და კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მანამ, სანამ მიტია გამოიფხიზლებდა, გონს მოეგებოდა, თვალს შეაჩვევდა მშობლიური სახლის ზღურბლზე ბავშვობის დროინდელ შთაბეჭდილებათა ხელახლა შემოჯარვას, სოფელს, სოფლის გაზაფხულს, ხელახალი ყვავილობისათვის წმინდად და ჭაბუკურად შემართული ბუნების საგაზაფხულო სიმშვიდესა და სიცარიელეს.

მამული პატარა იყო, სახლი — ძველი და სადა; ადვილად თავგასართმევი მეურნეობა ბევრ მუშახელს არ ითხოვდა — დაიწყო უზრუნველი ცხოვრების დღეები. მისი და-ძმა, ანია და კოსტია, ერთი — გიმნაზიის მეორეკლასელი, ხოლო მეორე — მოზარდი კადეტი, ორიოლში სწავლობდნენ და შინ არაუადრეს ივნისის დამდეგისა უნდა ჩამოსულიყვნენ; დედა, ოლღა პეტროვნა, ერთიავად მეურნეობას ადგა თავს (მას მხოლოდ მოურავი, ანუ როგორც შინაყმები ეძახდნენ — მამასახლისი ეხმარებოდა), სულ მინდვრად იყო და დასაძინებლადაც შებინდებისთანავე წვებოდა.

ჩამოსვლის მეორე დღეს სუფთად ჩაცმული მიტია, თორმეტ საათამდე რომ ეძინა, თავისი მზიანი ოთახიდან გამოვიდა (ოთახს სარკმლები აღმოსავლეთ მხარეს, ბაღისკენ ჰქონდა). ყველა ოთახი შემოიარა და ცხოვლად შეიგრძნო მათი მშობლიური სილბო და მშვიდი, გულისა და სულის შემამსუბუქებელი სისადავე: ყველაფერი ისევ ისე, ძველებურად იდგა, ისევ იმ ნაცნობი და საყვარელი სუნით გაჟღენთილიყო. მიტიას ოთახები საგანგებოდ დალაგებული დაახვედრეს, იატაკი ყველგან მოერეცხათ, სადაა დარბაზსაც მოასუფთავებდნენ, რომელიც წინა ოთახსა და, როგორც აქამდე ეძახდნენ — საფარეშოს ეკვროდა. დაქორავებული მუდლეური, სახუნაყვავილარი სოფლეული ქალიშვილი ავანზე გამავალ კართან, სარკმლის რაფაზე შემდგარიყო, ზემო მინას მიწვდენოდა, ჭრაჭაჭრუჭით წმენდდა და ქვემო მინაზე მისი ცისფერი, თითქოსდა შორეული ანარეკლი ლიცლიცებდა. ფეხშიშველა მოახლემ, პარაშამ, ცხელი წყლით სავსე კასრიდან ჩვარი რომ ამოიღო და იატაკზე პაწია ქუსლებით გააბიჯა, მიტიას დანახვისთანავე, წაკოტავებული იდაყვით ოფლი შეიმშრალა ატკეცილ სახეზე.

— წადით, ჩაი მიირთვით, — შინაურულად, სხაპასხუპით უთხრა მიტიას, — დედათქვენი დილაუთენია სადგურზე წავიდა, მამასახლისი გაიყოლა. ალბათ, არც გაგიგიათ...

და მაშინვე კატიამაც მბრძანებლური ძალმოსილებით შეახსენა თავი: ვაჟმა საცნაურმყო ამ წამკლავებული დიაცური

ხელისა და სარკმელზე აპოტიკებული ქალიშვილის მდუღრული სხეულისადმი ავხორცული ნდომა (ქალიშვილის ქაყუკაბის ქვეშ მკვრივ კუნძებად სრულდებოდნენ შიშველი ბარძაყები) და სიხარულით შეიგრძნო კატიას მორჩილება, მისი იდუმალი თანხლება ამ დილის თითოეული შთაბეჭდილებას კვალდაკვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თანხლება დილით დღე ცხოვლად იგრძნობოდა, უფრო მშვენიერდებოდა იმისდა მიხედვით, რაც უფრო მშვიდდებოდა, წყნარდებოდა მიტია და, რაც უფრო ივიწყებდა იმ ჩვეულებრივ კატიას, რომელიც ასე აწამებდა მოსკოვში და ასე ხშირად არ ესადაგებოდა მიტიას მიერ შექმნილ თავისსავე ორეულს.

IX

პირველად იგრძნო მიტიამ შინ მამაკაცად თავი; ახლა დედაც, წინანდელთან შედარებით, როგორღაც სხვანაირად ექცეოდა; რაც მთავარია, ახლა პირველი, ნამდვილი სიყვარული უღვივოდა გულში, განხორციელებულიყო სწორედ ის, რასაც ბუნდოვნად ელოდა ბავშვობიდანვე, ყრმობიდანვე.

ჯერეთ ყრმა იყო, უცხოდ და იდუმლად გაუფანუნდა გულში რაღაც კაცის ენაზე გამოუთქმელი რამ. ოდესღაც და სადღაც, ვინ იცის, იქნებ მაშინაც გაზაფხული ყვაოდა, ბაღში, იასამნის ბუჩქებში — ცოფის ბუზთა ის მკვეთრი სუნიც კი ახსოვს — იდგა იგი მთლად პაწაწინა, ვიღაც ახალგაზრდა ქალთან (ძიძა თუ იყო მისი) და უცებ, მის წინაშე ცისური შუქით გასხივოსნდა სახე თუ სავსე მკერდზე შემომსკდარი სარაფანი იმ ქალისა, ტანში ცხელ ტალღად ჩაუქვარა და აუთამაშდა რაღაც, ჭეშმარიტად ისევე, როგორც ბავშვი შეტოკდება დედის საშოში... მაგრამ ის ამბავი სიზმარსა ჰგავდა. სიზმარსავე ჰგავდა ყველაფერი, რაც მერმე იყო — ბავშვობაში, ყრმობისას, გიმნაზიაში სწავლის წლებში. განსაკუთრებულ, უჩვეულო აღფრთოვანებას ჰგვრიდა ხოლმე ხან ერთი, ხან მეორე გოგონა, მის საყმაწვილო დღესასწაულებზე რომ ნამოდიოდნენ თავიანთ დედებთან ერთად. ფარული, ხარბი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ამ პატარა, მომხიბვლელ არსებებს, მოკლე კაბები და მაშიები რომ ეცვათ, აბრეშუმის ბაფთები რომ ეკეთათ, მათ თითოეულ მიმოხრას ზვერავდა. უფრო მოგვიანებით, როცა საგუბერნიო ქალაქში ცხოვრობდა, მთელი შემოდგომა უყვარდა ერთი მეზობელი გოგონა, გიმნაზიელი. ხშირად ხედავდა მას იმათი ბაღის მესერის გადაღმა ხეზე აცოცებულს: მისი სიკისკასე, დამცინარობა, ყავისფერი კაბა, თმაში გარჭობილი მრგვალი სავარცხელი, მოთხვრილი პაწია თითები, წკრიალა სიცილი და ყიჟინი — ყველაფერი ისე საამო იყო, რომ მიტია დილიდან საღამომდე მასზე ფიქრობდა, მოიწყენდა ხოლმე, ზოგჯერ ატირდა კიდეც, რაღაც გაურკვეველი ეწადა მისგან. მერმე ეს ამბავი თითქოსდა თავისთავად შეწყდა, დავიწყებას მიეცა და დაიწყო ახალი, მეტნაკლებად ხანიერი და კვლავაც მალული გატაცებანი. გიმნაზიის ბალებზედაც უეცრად შეჰყვარებია ვინმე და მწვავე სიხარულიცა და ბევრი მწუხარებაც

ხვდომია... რაღაცნაირი წუხილი შეხჯდომოდა ტანში, გულს კი ბუნდოვანი წინათგრძნობა, რაღაცის მოლოდინი დაუფლებოდა...

მიტია სოფელში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ რაკი გიმნაზიაში სწავლობდა, გაზაფხულზე ძალაუნებურად ქალაქში უხდებოდა ყოფნა. მხოლოდ შარშანწინდელი გაზაფხული იყო გამონაკლისი — ყველიერს ჩამოვიდა, ავად გახდა და, სანამ მოიკეთებდა, მარტი და აპრილის ნახევარი შინ გაატარა. ორი კვირა იწვა, მხოლოდ სარკმლიდან ხედავდა სამყაროში სითბო-სინათლის მატებასთან ერთად ცვალებად ცას, თოვლს, ბაღს, ხეებსა და ტოტებს. ხედავდა: აი, დილაა და ოთახში იმდენი სინათლე და სითბოა, რომ ფანჯრის მინებზე უკვე ცოცავენ მოცოცხლებული, მოღონიერებული ბუზები... აი, მეორე დღეს, სადილობის შემდგომი ჟამი: მზე სახლს მიეფარა, სარკმლიდან კი უკვე ღიაცისფერი, გაზაფხულის თოვლი ჩანს და ცის ლაჟვარდში, ხეთა კენწეროებს შორის, დიდი, თეთრი ღრუბლები გამოკრთის... აი, ერთი დღეც: ღრუბლიან, აცრიატებულ ცაზე ისე კაშკაშა ნაპრალებია, ხეთა ქერქზე ისე სველი ელვარებაა, სახურავებიდან წყალი ისე მოლიკლიკებს, კაცი ცქერითა და სიხარულით ვერ გაძღება. მერმე წამოვიდა თბილი ღრუბლები, დაიწყო წვიმა, რამდენიმე დღეში წავიდა და გაქრა თოვლი, დაიძრა მდინარე, ბაღსა და ეზოში მიწამ ხალისიანად და ცინცხლად დაიწყო გაშველება და გაშავება... მიტიას დიდხანს დაამახსოვრდა მარტის მიწურულის ერთი დღე, როცა იგი პირველად გავიდა მინდვრად ამხედრებული. ზეცა არცთუ მკვეთრად, მაგრამ ცხოველმყოფელად და მხიარულად ნათობდა ბაღის მქრთალ, უფერულ ხეებში, ხოლო იქ, სადაც უკვე ხნავდნენ — შვრია უნდა დაეთესათ — ზეთოვნად, პირველქმნილი ძალმოსილებით გადაშავებულიყო ბელტი მიწა. მიტიასაც პირდაპირ ამ ნაწვერალებსა და ნაყამირალებზე მიჰყავდა ცხენი ტყისაკენ და გამჭვირვალე ჰაერში შორიდან ხედავდა ტყეს — შიშველი იყო, მოციცქნული, თავიდან ბოლომდე საჩინო, მერმე ჩაეშვა მის ლარტაფებში და ცხენის ფლოქვები ახმიანდა დახვავებულ შარშანდელ ფოთლებზე, ალაგ-ალაგ სულ მშრალი რომ იყო, ალაგ-ალაგ კი სველი და ყავისფერი, გადაიარა ფოთლებით ამოხუმქრული ღრანტეები, სადაც ჯერაც დიოდა მინდვრებიდან ნაჟური ნაღრუვალი წყალი და ცხენის ფეხთა ქვეშ ტკრციალით იჭრებოდნენ ჰაერში მოშავო-ოქროსფერი ტყის ქათმები... რა იყო მისთვის მთელი ეს გაზაფხული და, განსაკუთრებით, ეს ერთი დღე, დღე, როცა მინდვრად გასულს გრილი ქარი სახეში სცემდა და ნესტით გაჟიჟინებულ ნაწვერალებზე, შავ ხნულებზე მიმავალ ცხენსაც ნესტოები ხმაურით ებერებოდა, ხოლო შიგანი საოცარი ველური ძალით უქშინავდა და ულმუოდა? მაშინ ეჩვენებოდა, რომ სწორედ ეს გაზაფხული, ვიღაცისა თუ რაღაცისადმი განუწყვეტელი ტრფიალის დღეებით სავსე (როცა ყველა გიმნაზიელი გოგონა და მთელი საქალეთი უყვარდა), იყო კიდეც მისი პირველი, ჭეშმარიტი სიყვარული. რა შორეული ჩანდა ახლა იგი დრო!

რა უასაკო იყო მაშინ მიტია, რა უმანკო და მიამიტი, რა საცოდავი თავისი მორცხვი ხვედით, სიხარულითა და ოცნებებით! სიზმარი, ანდა უფრო სწორად, რომელიღაც საუცხოო სიზმრის მოგონება იყო მისი მაშინდელი უსაგნო და უსხეულო სიყვარული. ახლა კი ქვეყანაზე იყო კატია, იყო სული, რომელიც თავისთავში მოიქცია მთელი სამყარო და ყველაფერზე ბატონდა.

X

ამ დღეებში კატიამ მხოლოდ ერთხელ შეახსენა ბუდითად თავი.

გვიანი საღამო იყო, მიტია უკანა აივანზე გამოვიდა. ძალზე ბნელოდა, სიჩუმე იდგა, ნოტიო მინდვრების სურნელი დიოდა. დამსხვრეულ ღრუბელთა და ბაღის მღვრიე სილუეტთა შორის ციმციმებდნენ წვრილი ვარსკვლავები. ანაზდად სადღაც შორს რაღაც აზრახდა ველური, ამაზრზენი ხმით, აყეფდა, აწკმუტუნდა, ჩაბჟირდა... მიტია შეჩქმფდა, გაშეშდა, მერმე ფრთხილად დაეშვა აივნიდან, შევიდა ბნელ, თითქოს ყოველი მხრიდან მტრულად მოდარაჯე ხეივანში, ისევ შეჩერდა, სმენად და ლოდინად იქცა. რა ხმა იყო, სად არის ის, რამაც ასე მოულოდნელად და შემაძრწუნებლად ააზმაანა ბაღი? ბუკიოტია, ტყის ზარნაშო, თავის ცალს ეხიყვარულება და სხვა. ფიქრობდა მიტია, თან ისე გატრუნულიყო, თითქოს თვით დემონის უხილავ სიახლოვეს გრძნობდა ამ უკუნეთში. უცებ კვლავ გაისმა გულისა და სულის შემძვრელი კივილი, ახლოს, ხეთა კენწეროებში კვლავ ათრთოლდა და აზმაურდა რაღაც და დემონი უხმაუროდ გადაფრინდა სადღაც, ბაღის სხვა კუთხეში. იქ ჩვეახლა აყეფდა, მერმე ბავშვივით მორთო მხვეწარე, მავედრებელი წუწუნი და ტირილი, ატეხა ფრთების ფათქუნი და მტანჯველი ტკბობით სავსე ყიჟინი.აჭყივლდა,გადაფრინდა ისეთი ფიცხი სიცილით, თითქოს უღიტინებდნენ და აწამებდნენ. ერთიანად აცახცახებული მიტია თვალებად და სმენად იქცა, დაჟინებით მისჩერებოდა წკვარამს, მაგრამ ხმა უცებ მოწყდა, სული შეეგუბა, მოთენთილი, სიკვდილისწინა მოთქმით გასჭოლა ბნელი ბაღი და გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ამაოდ ელოდა მიტია ამ ტრფობის საშინელების განმეორებას, კიდევ რამდენიმე წუთს იდგა, მერმე ჩუმჩუმად შებრუნდა თავის ოთახში და მთელი ღამის განმავლობაში, სიზმარშიაც კი აწამებდა ყველა ის ავადმყოფური, უხამსი აზრი და გრძნობა, რაღაც გარდაისახა მისი სიყვარული მოსკოვში, გაზაფხულის პირველ თვეში.

დილით, როცა მზე ამოვიდა, უმალ განქარდა ღამეული წამებანი. მიტიას გაახსენდა, როგორ ატირდა კატია, როცა მოსკოვიდან დროებით წამოსვლა გადაწყდა, გაახსენდა, რა აღტაცებით ჩაეჭიდა იგი აზრს, რომ ივნისის დამდეგს მიტიაც ყირიმში ჩავიდოდა, რა სათუთად ეხმარებოდა გამომგზავრების სამზადისში და როგორ გამოაცილა სადგურზე... ამოიღო მისი ფოტოსურათი, დიდხანს, დაჟინებით აკვირდებოდა პატარა,

მორთულ თავს, აოცებდა ჯიქური, გახსნილი მზერის შუქი და სიწმინდე... მერმე დაჯდა და მისწერა მას ფრიად გრძელი და ფრიად მხურვალე, სიყვარულის დიდი რწმენით აღსავსე ბარათი და კვლავ იხინა თავი ყველაფერში კატიას განუწყვეტელი თანხლების შეგრძნებამ.

ეროვნული

მიტიას ახსოვდა, როგორ განიცადა ცხრა წლის წინათ მამის სიკვდილი. მაშინაც გაზაფხული იყო. მიტია ძრწოლით შევიდა დარბაზში, სადაც მამის კუბო ესვენა მაგიდაზე, შეხედა ამოზნექილ მკერდზე დაკრეფილ დიდრონ, ფერმკრთალ ხელებს, აზნაურის მუნდირზე დაფენილ ხშირ, შავ წვერს, თეთრად ამოჩენილ ცხვირს. გაიარა დარბაზი, აივანზე გავიდა, თვალი მკიდა კართან მიყუდებულ კუბოს ყუბა სახურავს, ოქროსფერი ფარჩა რომ ეკრა და, უცებ იგრძნო: ქვეყნად სიკვდილი სუფევდა! სიკვდილი იყო ყველაფერში: მზის სხივში, ეზოში ამწვანებულ ბალახზე, ცაზე, ბაღში... მიტია ძირს ჩავიდა, განვლო მზის სხივებით აჭრიატებული ცაცხვების ხეივანი, მერმე უფრო განათებულ გვერდით ხეივანში შეუხვია, უმზერდა ხეებსა და ახალგამოსულ თეთრ პეპლებს, უსმენდა ჩიტების ტკბილ გალობას და ვერაფერსა სცნობდა: ყველაფერში სიკვდილი იყო, დარბაზში მდგარი საშინელი მაგიდა და გრძელი, მოფარჩული სახურავი!.. ძველებურად აღარ ნათობდა მზე, ბალახიც აღარ მწვანობდა წინანდებურად, გაზაფხულის ჯერ მხოლოდ წვერში შეცხელებულ ბალახზე ისე აღარ იტრუნებოდნენ პეპლები, ერთ დღე-ღამეში გარდაიქმნა ცა და მიწა, ქვეყნის დასაბამის სიახლოვე გაქრა თითქოს ყველაფერში, გაზაფხულის სიტურფე და მარადი სიჭაბუკეც თითქოს სევდიანი და უბადრუკი გახდა და ასე გრძელდებოდა დიდხანს შემდეგაც: გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, ხოლო მორეცხილ და მრავალგზის განიავებულ სახლში კიდევ დიდხანს იგრძნობოდა — ან ეჩვენებოდათ — საშინელი, საძაგელი, მოტკბო სუნი...

სწორედ ასეთ ცვლილებას — ოღონდ სულ სხვარიგს — განიცდიდა მიტია ახლაც: ეს გაზაფხულიც, მისი პირველი სიყვარულის გაზაფხულიც, ძირფესვიანად განირჩეოდა ყველა წინა გაზაფხულისაგან. სამყარო ამჯერადაც გადასხვაფერდა, ამჯერადაც ალივსო რაღაც გარეშე, მაგრამ არა მტრული და შემზარავი, არამედ ისეთი ძალებით, საუცხოოდ რომ ეხმატკბილებოდნენ გაზაფხულის სიხარულსა და სინორჩეს. ეს გარეშე ძალა იყო სწორედ კატია. ანდა, უფრო სწორად — ის ამქვეყნიური უმშვენიერესი რამ, რაც სურდა, რასაც ითხოვდა მისგან მიტია. ახლა კი, რაც უფრო იწურებოდა გაზაფხული, მიტია სულ მეტსა და მეტს ითხოვდა მისგან. ახლა კატია შორს იყო და მიტიას მხოლოდ მისი სახება ხლებოდა თან, ისიც — არსებული კი არა, სასურველი. და იგი უკვე მისადაგებოდა იმ უნაკლო და მშვენიერ რაღაცას, რასაც მისგან ითხოვდნენ, და დღითი დღე სულ უფრო და უფრო საცნაური ხდებოდა ყველაფერში, რასაც კი მიტიას მზერა მისწვდებოდა.

## XI

მიტიასათვის ეს სარწმუნო გახდა იმ პირველივე კვირას, შინ რომ გაატარა.

გაზაფხულის კვირაძალი იდგა. მიტია სასტუმრო ოთახის ღია სარკმელთან ჩამომჯდარიყო, წიგნი ეჭირა, ბაღნარში ძველი ნაძვისა და სოჭის ხეებში გამომკრთალ ამღვრეულ მდინარეს და გაღმა ფერდობზე შეფენილ სოფელს გასცქეროდა; მეზობელი მემამულის ბაღში, მიშველ, ასწლოვან არყის ხეებზე დილიდან საღამომდე დაუცხრომლად ჩხაოდნენ (როგორც ადრე გაზაფხულზე ჩხავიან ხოლმე) ნეტარი ფუსფუსით ქანცგალეული ჭილყვავები. ჯერაც ვერანი და პირქუში იყო ფერდობზე შეფენილი სოფლის ყომრალი ხედი, მხოლოდ ტირიფის ტოტებს მოსდებოდა მოყვითალო სიმწვანე... მიტია ბაღში ჩადიოდა და ბაღიც ჯერეთ დაბალი, გაძრცვილი და გამჭვირვალე იყო, მხოლოდ წვრილი ფირუზისფერი ყვავილებით ერთიანად გადაჭრელებული მდელოები მოჩანდა მწვანედ, ხეივნის გასწვრივ აკაციით შებუმბლულიყო და სამხრეთით, ბაღის ქვემო ნაკვეთზე გამავალ ღარტაფში ალუბლები შეყვავილებულიყვნენ მკრთალი და მეჩხერი სითეთრით: მინდვრად გაივლიდა და იქაც ჯერ სიცარიელე სუფევდა, ყველაფერი მოლუშულიყო, ჯაგრისივით ამოჩხორილიყო ნაწვერალი, იისფრად დახვეულიყვნენ გამშრალი ველის ბილიკები... მაგრამ ყოველივე ეს ახალგაზრდობის, მოლოდინის ჟამის სიმშვენე იყო — კატიას სუფევა იყო! და თუ ეზოში ამა თუ იმ საქმით გართულ მეღღეურ გოგონებსა და სამოახლოს ჯალაბს, წიგნის კითხვას, სეირნობას, დედასთან საუბარს, ნაცნობ გლეხებთან სტუმრობას, მამასახლისთან ერთად ცხენების ჭენებას თითქოს გულს აყოლებდა და კატიას ივიწყებდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი ამბავი იყო.

გავიდა ერთი კვირა. ღამით კოკისპირული წვიმა მოვიდა. მერმე მცხუნვარე მზემ ერთბაშად იმძლავრა, გაზაფხულმა დაკარგა თვინიერება და უფერულობა და ყველაფერმა დღეობით კი არა, საათობით იწყო ცვალება. დაიწყო ნაწვერალის ხვნა, მიწის შავად ახავერდება, ამწვანდა საყანე მიჯნები, ეზოში ლორთქო ბალახი ამობიბინდა, ცის ლაჟვარდი გაკრიალდა და გამკვეთრდა, ბაღმა სწრაფად იწყო ახალი, თვალნათლივაც კი ფაფუკი სიმწვანით მორთვა, იასამნის ნაცრისფერი მტევნები გაიისფერდა, სურნელებით აფშვინდა და მის კრიალა, მუქმწვანე ფოთლებსა და ბილიკებზე დაცემული სინათლის ლაქებსაც შავი, ლითონივით მბზინავი მსხვილი ბუზის ჯარი დაეხვია. სხვა მცენარეთა ქვემოთ თავიანთი მრუდე ტოტებით გაფარჩხული, ჯერაც შიშველი ვაშლისა და მსხლის ხეები ხვრიში, მონაცრისფრო და თოთო ფოთლებით შებუსუსდა, მაგრამ უკვე ამ ხეებსაც მოედო ხუჭუჭა, რძისფერი თოვლი და ეს ფერი დღითიდღე უფრო თეთრი, უფრო მოძალებული და კეთილსურნელოვანი ხდებოდა. მიტია სალისით, დაჟინებით აკვირდებოდა ამ საოცარი ჟამის თითოეულ ცვლილებას, მაგრამ კატია არათუ უკან იხევდა და იკარგებოდა ამ ფერისცვალებაში, პირიქით — მთლიანად მონაწილეობდა მასში, თავის თავსა და თავის სილამაზეს აქსოვდა ყველაფერში,

ყვაოდა გაზაფხულთან ერთად, ბაღის კვალდაკვალ სპეტაკდებოდა, ზეცის სილაჟვარდეში წილს იდებდა.

XII

და აი, ერთხელ, ნაშუადღევის მზით დაყურსულ დარბაზში სავახშმოდ რომ შევიდა, სამოვრის გვერდით კონვერტი შენიშნა, რასაც დილითვე ამაოდ ელოდებოდა. კატიას რა ხანია უნდა ეპასუხა თუნდაც ერთ წერილზე — მაგიდასთან მიიჭრა და პაწია, ფაქიზმა კონვერტმაც, ზედ ნაცნობი დაუდევარი ხელით მისამართი რომ ეწერა, მკაფიოდ და ამაზრზენად შეანათა თვალებში. ხელი დასტაცა ბარათს, სახლიდან გამოვიდა, ბაღში ჩავიდა, მთავარ ხეივანს გაუყვა, გაემართა უშორესი კუთხისაკენ, იქით, სადაც ბაღზე ღარტაფი გადიოდა, შეჩერდა, მიმოიხედა და უცებ გახსნა კონვერტი. მოკლე ბარათი იყო, სულ რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ მიტიას გული ისე უცემდა, ხუთჯერ მაინც დასჭირდა მისი წაკითხვა, რომ, ბოლოს, შინაარსი გაეგო. "ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო!" — კითხულობდა, ისევ და ისევ კითხულობდა; კითხულობდა იგი და ფეხქვეშ მიწა ერწეოდა. მან თვალები მაღლა აღაპყრო: ბაღის თავზე საზეიმოდ, ხალისიანად ბრწყინავდა ზეცა, გარშემო თოვლის სისპეტაკით ელავდა ბაღი, შორეული ბუჩქების ნორჩ სიმწვანეში მკაფიოდ და მთელი ძალით, მგალობლის თავდავიწყების მთელი სიტკბოთი სტვენდა ბულბული, უკვე მერძნი შედამებისწინა სიცივე — და სახე გაუფითრდა მიტიას, თმაში ჭიანჭველებმა დაურბინეს...

სახლისაკენ ნელი ნაბიჯით მოდიოდა — პირთამდე ავსილიყო მისი სიყვარულის თასი. ასევე ფრთხილად დაატარებდა მას შემდეგაც, დღეების განმავლობაში და, ბედნიერებით მთვრალი, წყნარად ელოდა ახალ ბარათს.

XIII

ბაღი მრავალფრად ირთვებოდა.

უზარმაზარი ბებერი ქორაფი, ბაღის მთელ სამხრეთ ნაწილზე აღმატებული და ყოველი მხრიდან სახილო, უფრო დიდი და თვალადი გახდა, ნორჩი და ხშირი ფოთლოვანით შეიმოსა. სიმაღლე და იერი შეემატა მთავარ ხეივანსაც, რომელსაც მიტია მუდამ გასცქეროდა თავისი ფანჯრებიდან: მისი ბებერი ცაცხვების კენწეროებიც, მოსილნი (თუმცა ჯერაც თხლად) ნორჩი ფოთლების ხავშით, წამოდგნენ და ბაღის თავზე ღიამწვანე გრეხილად გაგრძელდნენ. ქორაფს ქვემოთ, ხეივნის ძირში, გაწვა რაღაც ერთიანი, სურნელოვანი ნაღების ფერი რამ. და ყოველივე: ქორაფის ვეება და ფაფუკი კენწერო, ხეივნის ღია მწვანე გრეხილი, ვაშლის, მსხლის, შოთხვის ხეთა საქორწილო სითეთრე, მზე, ცის სილაჟვარდე და ყველაფერი, რაც ბაღის ძირში, ღარტაფში, გვერდითი ხეივნების, ბილიკების გასწვრივ და სახლის სამხრეთი კედლის ქვემოთ იზრდებოდა — იასამნის, აკაციის, მოცხარის, მამულას, ოროვანდის ბუჩქები — სავსე იყო თავისი სიხშირით, სინედლითა და სიახლით.

სუფთა, მწვანე ეზო ყოველი მხრიდან მოძალებულმა მცენარეულობამ თითქოს შეავიწროვა, სახლი დაპატარავდა და გალამაზდა, თითქოს სტუმრებს ელოდა — მთელი დღეობით კარები და ფანჯრები ღია იყო ყველა ოთახში, დიდ დარბაზში, ცისფერ ძველებურ სასტუმროში, ცისფერ სადივნოში, სადაც ოვალური მინიატურები ეკიდა; მამის ბიბლიოთეკაში, დიდ და ცარიელ კუთხის ოთახში, სადაც მხოლოდ ძველი ხატები ესვენა, ხოლო წინა კუთხეში, კედლების გასწვრივ წიგნის დაბალი, იფნის კარადები იდგა. ყველგან, ყველა ოთახში, მოზეიმედ იმზირებოდნენ სახლთან მოჯარული, მწვანის რაგინდ-რაგვარი ელფერით მოსილი — ზოგი ღია, ზოგიც მუქი — ხეები, რომელთა შტოებში ცის ელვარე სილურჯე მოჩანდა.

ბარათი კი არ მოდიოდა. მიტიამ იცოდა, კატიას ბარათების წერა რომ არ ეხერხებოდა, ისიც — რარიგ უძნელდებოდა საწერ მაგიდასთან დაჯდომა, კალმის, ქაღალდის, კონვერტის მოძებნა, მარკის ყიდვა... მაგრამ გონივრული მოსაზრებანი ახლაც ვერაფერს შველოდა; სვებედნიერი და თითქმის ამაყი გულდაჯერებულობა, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში მეორე ბარათის ლოდინს უმსუბუქებდა, გაუქრა და მიტია უფრო მეტად შფოთავდა. კაცმა რომ თქვას, ისეთ ბარათს, როგორიც ის პირველი იყო, მალევე რაღაც უფრო მშვენიერი და სასიხარულო უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ კატია დუმდა.

მიტიამ უკლო სოფლად სიარული, იშვიათად გადიოდა მინდვრად ცხენზე ამხედრებული, იჯდა ბიბლიოთეკაში, ფურცლავდა ათეული წლების მანძილზე კარადებში ჩაყვითლებულ და გამომშრალ ჟურნალებს. ჟურნალებში ბევრი კარგი ლექსი იყო ძველთა მგოსანთა, საუცხოო სტრიქონები, მუდამ ერთზე რომ მეტყველებდნენ, იმაზე, რითაც დღიდან ქვეყნის გაჩენისა აღსავსეა ყველა ლექსი და სიმღერა, რითაც აღსავსე იყო აწ მისი გულიც და რაც უცვლელად შეეძლო, ასე თუ ისე, თავის თავისთვის, თავისი სიყვარულისთვის, კატიასათვის მიესადაგებინა. საათობით იჯდა ღია კარადასთან მიდგმულ სავარძელში და თავს იწამებდა, კითხულობდა და კითხულობდა:

ყველას ღრმა ძილით სძინავს, ბაღს მივაშურებთ მალე,
ვერ დაგვემალოთ მხოლოდ ცაზე ვარსკვლავთა თვალებს...

ეს მომაჯადოებელი სიტყვები და მოწოდებები თითქოს მისი სიტყვები და მისი ძახილი იყო და თითქოს მხოლოდ ერთადერთ ადამიანს უხმობდა, იმას, ვისაც მარადჟამ ხედავდა ყველგან და ყველაფერში; ხანდახან ეს სიტყვები მრისხანედაც კი ჟღერდა:

წყლის სარკეში თრთის და კრთება
თოვლისფერი გედის ფრთები
და იმსხვრევა სარკე უცბად.
ხე აკრა ქარს მონასხლეტს,
ვარსკვლავები ცაზე დასხდნენ,

რად არ მოხვალ, რაღას უცდი?

მიტია თვალებს ხუჭავდა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა, ზედიზედ რამდენჯერმე იმეორებდა ამ მოწოდებას სიყვარულის ძალმოსილებით მოპირთავებული და [illegible]მსა და ნეტარ აღსრულებას მოწყურებული გულის[illegible] მერმე დიდხანს გაუშტერდებოდა თვალი, უსმენდა სახლის ირგვლივ გამეფებულ ღრმა სიჩუმეს და თავს მწარედ გააქნევდა ხოლმე: არა, კატია აღარ ეპასუხებოდა, იგი უჩუმრად ბრწყინავდა სადღაც იქ, უცხო და შორეულ მოსკოვურ სამყაროში — და კვლავ უცივდებოდა გული, კვლავ ეძალებოდა, ფეხს იდგამდა ეს მრისხანე, ავისმომასწავებელი, ჯადოთი შემკვრელი სიტყვები:

ვარსკვლავები ცაზე დასხდნენ.
რად არ მოხვალ, რაღას უცდი?..

## XIV

ერთხელ, ნასადილევს გამოძინებული მიტია (შუადღეზე სადილობდნენ ხოლმე), ბაღში ჩავიდა. ბაღში ახლაც მუშაობდნენ გოგონები, ვაშლის ხეებს ძირებს უბარავდნენ. მიტიას ჩვევად უქცა მათთან ჯდომა და ლაყბობა.

ცხელი, წყნარი დღე იყო. მიტია ხეივნის მუქ ჩრდილში მიაბიჯებდა და ირგვლივ მოჯარულ თეთრ, ხუჭუჭა ტოტებს უცქეროდა. განსაკუთრებით ხშირი და მოწიფული ყვავილებით მსხლის ხეები მოსილიყო; ამ სისპეტაკისა და ცის მკვეთრი ლაჟვარდის ნაზავი მის ელფერს ქმნიდა. მსხლისა და ვაშლის ხეებს მჭკნარი ყვავილები სცვიოდათ და მათ ძირებში შემობარული მიწა ერთიანად თეთრად მოფენილიყო. თბილ ჰაერში ყვავილების მოტკბო, ნაზი სურნელი იდგა, რაც ბაქიდან მოდენილ გამოხარ, ნახურებულ ნაკელის სუნს ერთვოდა. დროდადრო ცაზე ღრუბლის ქულა ჩნდებოდა, ლურჯი ზეცა ღია სიცისფრეს იკრავდა და ამ საგაზაფხულო ედემის სურნელოვან ალხში მთვლემარედ, განცხრომით ზუზუნებდნენ თაფლოვან, ხუჭუჭ თოვლში ჩაფლული ფუტკრები და ბზიკები, ხოლო აქა-იქ — ამინდის კვალობაზე — ნეტარი სევდით სტვენდა ხან ერთი, ხან მეორე ბულბული.

ხეივანი შორს, კალოს კარზე მთავრდებოდა. მარცხნივ, მოწაყრილის კუთხეში ჭრელჭრელად მორთული ორი გოგო მუშაობდა. მიტიამ ახლაც გაუხვია მათკენ. დაიხარა, გაძვრა გადმოხრილ, გაფარჩხულ ტოტებში, სახეზე ქალური სინაზით რომ ელამუნებოდა, თაფლისა და თითქოს ლიმონის სუნი რომ უდიოდა და, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთმა გოგომ, ქერა და კაფანდარა სონკამ, მოჰკრა თუ არა მას თვალი, ველურივით გადაიკისკისა და განგებისად, შიშით დაიყვირა: — ვაიმე, ბატონო!.. — წამოხტა მსხლის კუნძიდან და ბარს ეცა.

მეორე გოგო, გლაშკა პირიქით, აუჩქარებლად განაგრძობდა ბარვას. ისეთი სახე მიეღო, თითქოს მიტიას ვერ ამჩნევდა,

რკინის ბარზე დინჯად ადგამდა ქჩის შავ ბანდულიან ფეხს (ბანდული თეთრი ფურცლებით გავსილიყო). ბარს ღრმად უშვებდა მიწაში, ბელტს ბელტზე აბრუნებდა და ხმამაღლა, ძლიერი და საამო ხმით მღეროდა: “ჰოი, ბალო, ჩემო ბალო, ვისთვის ჰყვავი!” იგი ზორბა, მამაკაცური იერის მქონე მუდამ სერიოზული გოგო იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტია მივიდა და სონკას ადგილზე დაჯდა, მსხლის კუნძზე, დაუბარავში რომ ეგდო. სონკამ თვალები შეანათა მას და მხიარულად, ნაძალადევი სითამამით ჰკითხა:

– ახლა ადექით? გაფრთხილდით, საქმე არ გამოგეპაროთ ძილში!

სონკას მოსწონდა მიტია, ყოველნაირად ცდილობდა ამის დაფარვას, მაგრამ არ გამოსდიოდა და უხერხულად ეჭირა მასთან თავი, რას არ როშავდა, ზოგჯერ ქარაგმებსაც გადაუკრავდა ხოლმე, რაკი ხვდებოდა, რომ მიტია პარაშასთან მრუშობდა, ან ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა მის დაყოლიებას. სონკა ეჭვიანობდა, მიტიას ხან ნაზად, ხანაც უხეშად ელაპარაკებოდა, ხან მიზნედით უცქეროდა და თავის გრძნობებს არ უმალავდა, ხანაც ცივად და მტრულად ეკიდებოდა. ყოველივე ეს მიტიას უცნაურ სიამეს გვრიდა. ბარათები არა და არ მოდიოდა, მიტია ახლა კი არ ცხოვრობდა, დილიდან დილამდე არსებობდა მხოლოდ დაუცხრომელი მოლოდინით, სულ უფრო და უფრო აწამებდა ეს მოლოდინი და ისიც, რომ შეუძლებელი იყო ვინმესათვის გაეზიარებინა თავისი სიხარული და ტკივილი, ესაუბრა კატიაზე, ყირიმში შეხვედრის იმედებზე, ამიტომაც ვიღაც სონკას ქარაგმები რაღაც სიყვარულზე დია სიამოვნებდა: ეს ქარაგმები ხომ იმ წმინდა რაღაცას ეხებოდა, რითაც სალმობდა მისი გული. ისიც სიამოვნებდა, რომ იგი ნაწილობრივ მისი ახლობელი, მისი გულის სამიჯნურო ვაების ფარული თანამონაწილე იყო; კიდევ მეტი: უცნაურად ეიმედებოდა, რომ ამ ქალიშვილში თავისი გულის მესაიდუმლეს ანუ, ცოტათი, კატიას შემცვლელ არსებას იპოვიდა.

ახლა სონკა, მისდა უნებურად, კვლავ შეეხო მიტიას საიდუმლოს: “უფრთხილდით, საქმე არ გამოგეპაროთ ძილში!” მიტიამ მიმოიხედა. ნაძვნარის მუქმწვანე ტევრი დღის ბრწყინვალებაში თითქმის ნამრუმებულიყო. ნაძვის ხეების კენწეროებში გამომკრთალი ზეცა მოელვარე ლაჟვარდად ილვრებოდა. ცაცხვების, ქორაფთა, თელების ნორჩი სიმწვანე ბაღის თავზე ერთიან თაღარსა ქმნიდა; მსუბუქი, მხიარული თაღარი მზის სხივებით გაბრწყინებულიყო, ბალახზე, ბილიკებზე, მდელოებზე ჭრელ ჩრდილებსა და ნათელ ლაქებს აფენდა, ფაიფურისებრი სითეთრით აელვარებდა გაცხელებულ სურნელოვან ყვავილებს. მიტიას უნებურად გაეღიმა:

– რა საქმე უნდა გამომეპაროს! სწორედ ეგ მაწუხებს, რომ არავითარი საქმე მე არა მაქვს!

– გაჩუმდი მაინც, ღმერთს ნუ ფიცავ, ისედაც მჯერა! – მხიარულად, როყიოდ წამოიძახა სონკამ და მიტიას გული მოუფხანა: ქალს სჯეროდა, რომ იგი სამიჯნურო ამბებში იყო

გარეული... ამასობაში სონკას ქალი, თეთრ-ხუჭუჭა ნიკორიანი ხბო წამოეპარა, მისი კაბის ფურჩალას დაუწყო ღეჭვა.

– აჰ, შე სამგლევ! – წამოიყვირა სონკამ და ხბო გააგდო. – აგა, ვაჟიშვილიც მაჩუქა ღმერთმა!

– მართლა... შენზე ამბობენ, უნდა დაინიშნოსო, – თქვა მიტიამ, რადგანაც არ იცოდა, რა ეთქვა, ხოლო საუბრის გაგრძელება კი სწადდა. – კარგი სახლ-კარი აქვსო, ბიჭადაც კარგიაო, შენ კი, თურმე, მამას არ უჯერი, უარი შეგითვლია...

– მდიდარია, მაგრამ შტერია, თავში ბზე უყრია, – ყოჩაღად მიუგო რამდენადმე ნაამებმა სონკამ, – იქნებ, მეც სხვა ვინმე მყავს უბეში...

სიტყვაძვირმა გლაშკამ თავი გააქნია ისე, რომ მუშაობა არ შეუწყვეტია.

– ეჰ, ღობე-ყორეს ედები, ქალიშვილო! – ხმადაბლა თქვა. – ლაყბობ აქ, სოფელში კი ხმა გაგივარდება...

– მორჩი, ნუ კაკანებ მანდ! – უყვირა სონკამ. – მეც მყავს ჩემი ჩალხანა!

– მაინც ვინა? – ჩაეკითხა მიტიამ.

– ამ წუთას ჩაგიკაკლავ, ხო იცი! – თქვა სონკამ. – აი, თქვენი ბებერი მწყემსი რომ დაჩანჩალობს, ის ჩამივარდა გულში, დავინახავ და სულ ელეთმელეთი მივლის. მე თქვენზე ნაკლებად არ მიყვარს ბებრები, – თქვა მან გამომწვევად და, როგორც ჩანს, ოცი წლის პარაშაზე გადაუკრა სიტყვა, სოფელში უკვე შინაბერად ითვლებოდა; უცებ ბარი მიაგდო, ბატონიშვილისადმი ფარულმა ტრფიალებამ თითქოს გამბედაობა შემატა – მიწაზე დაჯდა, უხეშ ბოტებსა და შალის წინდებში გამოკრული ფეხები გაწვართა, ხელები უმწეოდ ჩამოყარა:

– იჰ, არაფერი გამიკეთებია და მაინც დავიღალე! – სიცილით წამოიძახა და ზარიანად წამოიწყო სიმღერა: "ფეხზე შემაცვა და ჩექმა, ლაქი კი მაინც შერჩა".

და კვლავ სიცილით წამოიყვირა:

– წავიდეთ, საბძელში დავისვენოთ, ყველაფერზე თანახმა ვარ!

სიცილი მიტიასაც გადაედო, იგი წამოხტა, უხერხულად იღიმებოდა, მივიდა სონკასთან, წამოწვა და თავი მუხლებზე დაუდო; ფიქრში უკანასკნელად წაკითხულ უამრავ ლექსთაგან ერთ-ერთი წამოეძალა:

კარგი ჩანს, ზრდილი ობლად
ნორჩ ბაგე-კბილს განაპობდა:
ცვრით და ნამით შენამკობი –
ვრცეული და უჩვეული,
კეთილი და კურთხეული
არს ქვეყანა ესე ტრფობის...

– არ მომკლარო, – უკვე მართლა შეშინდა სონკა, თავი წამოუწია და მუხლების განთავისუფლება სცადა, – თორემ ისე ვიკივლებ, ქვეყანას შევყრი! არავითარი გრძნობა აღარ მაქვს, მქონდა, მაგრამ ჩამიქრა!

მიტიას თვალები დაეხუჭა, დუმდა. ტოტებსა და ყვავილებში აჭრიატებული მზე სახეს ცხელი ლაქებით უხატავდა და უღიტინებდა. სონკამ ნაზად მოქაჩა მისი შავი, უხეში თმა, "ზუსტად ცხენის ფაფარია!" — წამოიძახა და ქუდი თვალებზე ჩამოუფხატა. მიტია მის მუხლებს გრძნობდა კეფაზე, [illegible] მის მუცელს, მისი ჩითის ქვედაკაბისა და კოფთის სუნს [illegible] და და ყოველივე ეს აყვავებულ ბაღსა და კატიას ერწყმოდა. ბულბულთა გალობა, გაუჩერებელი, აცხორცულად მთვლემარე ზუზუნი აურაცხელ ფუტკართა, თბილი და თაფლოვანი ჰაერი და ზურგით მიწის უბრალო შეგრძნებაც კი რაღაც ზეადამიანური ბედნიერების წყურვილით ტანჯავდა. არაზღად ნაძვების წვეროკინებში რაღაცამ გაიფაჩუნა, მხიარულად, ღვარძლიანად გადაიხარხარა და გაისმა: "გუ-გუ! გუ-გუ!". — ისე ამაზრზენად, ისე ცხადად, ისე ახლოს და აშკარად, რომ ერთციცქნა, წამახული ენის ხრინწი და თრთოლვაც კი იგრძნობოდა, ხოლო კატიას ნდომამ და სწორედ ზეადამიანური ბედნიერების წყურვილმა ისე მძაფრად შეიპყრო მიტია, რომ გაოცებულ სონკას ზედაც არ შეხედა, ფიცხლად წამოხტა და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გაეცალა.

ამ მძვინვარე ნდომასა და ბედნიერების მოუთმენელ წყურვილთან ერთად, და ამ ხმაში, მოულოდნელად რომ გაისმა სწორედ მის თავთან და შესძრა საგაზაფხულოდ მორთული სამყაროს მთელი წიაღი, მიტიამ უცებ იგრძნო, რომ მოსკოვში რაღაც მოხდა, ან ეს-ესაა ხდებოდა, და რომ თვითონაც დაიღუპა და წახდა!

## XV

შინ მობრუნებული წუთით სარკის წინ შეჩერდა. "კატია მართალია, — გაიფიქრა, — ბიზანტიურისა რა გითხრა, მაგრამ შეშლილის თვალები კი ნამდვილად მაქვს. აქეთ კიდევ ეს სიგამხდრე, უხეში და ძვლოვანი ნაკვთები, წარბების კუშტი კუთხეები, თმაც შავი და მაგარი... აკი სონკამაც: "ცხენის ფაფარს გიგავსო".

შიშველი ფეხების ტყაპატყუპი მოესმა. შეკრთა, შემობრუნდა.

— ნაღდად შეყვარებული ხართ, სულ სარკეში იყურებით. — ალერსიანი შეხუმრებით ესროლა პარაშამ, მდუღარე სამოვრით ჩაურბინა და აივანზე გავიდა. — დედა გეძებდათ, — დაუმატა მან, ნაისათვის გაწყობილ სუფრაზე სამოვარი დადგა, მობრუნდა და მიტიას სწრაფად, დაკვირვებით გამოხედა.

"ყველამ იცის, ხვდებიან..." — გაიფიქრა მიტიამ და უილაჯო ხმით იკითხა:

— სადაა?

— თავის ოთახში.

მზემ სახლს მოუარა, დასავლეთით გადაიხარა, სარკისებურად ბრწყინავდა ნაძვისა და სოჭის ხეებში, თავიანთი წიწვიანი შტოებით რომ დაეჩრდილათ აივანი. უფრო ქვემოთ

თითქმის საზაფხულოდ ელავდა კიდობანას ბუჩქები. კრიალებდა მეჩხერი ჩრდილითა და სინათლის ცხელი ლაქებით აფორაჯებული სუფრა. თეთრი პურით სავსე ხელძარს, [illegible] სამურაბესა და ფინჯნებს კრაზანები დასტრიალებდნენ და ყველაფერი საუცხოო, სოფლურ ზაფხულს ამჟღავნებდა. აქ ბედნიერად, უდარდელად შეიძლებოდა ცხოვრება. მიტია დედის ოთახისაკენ გაემართა. დედა, ალბათ, სხვებზე ნაკლებად როდი ხვდებოდა შვილის საწუხარს და მიტიას უნდოდა მისი ეჭვები გაექარწყლებინა, ეჩვენებინა, რომ არაფერი ჰქონდა სადარდებელი და საჩუმათო. დერეფანში გამოდიოდა მისი ოთახის, დედის ოთახისა და იმ ორი სენაკის კარები, სადაც ანია და კოსტია ცხოვრობდნენ ზაფხულობით. ოლღა პეტროვნას ოთახი გაჭედილი იყო უპირატესად ძველებური ავეჯით, რაც კი სახლში ებადათ: კარადებით, განჯინებით, ვეება საწოლითა და სახატეთი — მის წინ მიწყივ ენთო კანდელი, თუმცა ოლღა პეტროვნა არცთუ ისე თავგადადებული მორწმუნე გახლდათ. მთავარი ხეივნის თავში, ღია ფანჯრების მიღმა აყრილ ყვავილნარზე ფართო ჩრდილი იწვა, ჩრდილს იქით კი საზეიმო სიმწვანითა და სისპეტაკით მოღაღანე ბაღს ცხოველი მზე დანათოდა. ოლღა პეტროვნა, ორმოციოდე წლის ზორბა, შავგვრემანი მანდილოსანი, სარკმელთან მდგმულ სავარძელში იჯდა, ამ ნაცნობ სანახებს იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდა, სათვალიანი სახე ხელსაქნარზე დაეხარა, ქსოვდა.

— მეძახდი? — მიტია შევიდა და კართან შედგა.

— ისე... შენი ნახვა მინდოდა. ველარა გხედავ, სადილზე თუ შეგავლებს კაცი თვალს, — როგორღაც განსაკუთრებული, მეტისმეტი სიმშვიდით მიუგო ოლღა პეტროვნამ; ხელსაქმე არც შეუჩერებია.

მიტიას ცხრა მარტი, ტვერის ბულვარზე განშორება მოაგონდა — კატიამ რომ უთხრა: დედაშენისა მეშინიაო... მოაგონდა ამ სიტყვებში ნაქსოვილი ფარული, მომხიბლავი აზრი... უხერხულობა იგრძნო, წაიბურტყუნა:

— მაგრამ, იქნებ, რაიმე სათქმელიც გქონდა?

— არაფერი... ოღონდ, მგონი, ამ ბოლო დროს რაღაც მოიწყინე... იქნებ გაგევლო სადმე, თუნდაც მეშჩერსკებთან; ქვეყნის გასათხოვარი გოგონებია იქ. — ოლღა პეტროვნას გაეღიმა. — ისეც, ძალზე კარგი და გულითადი ოჯახია.

— კეთილი, — თქვა მიტიამ. — როგორმე შევივლი ამ დღეებში.

იცოდა, გამჭრიახი და თავშეკავებული დედამისი ამ უხერხულ საუბარს მეტად აღარ დაუბრუნდებოდა.

აივანზე შებინდებამდე ისხდნენ; ჩაის შემდეგ ოლღა პეტროვნა ხელსაქმეს დაუბრუნდა, ქსოვდა და მეზობლების, მეურნეობის, ანიასა და კოსტიას შესახებ ლაპარაკობდა (ანიას კვლავ უძნელდებოდა სწავლა!). მიტია უსმენდა, ზოგჯერ პასუხობდა, მაგრამ სულერთიანად მომჩვარულიყო, თითქოს მძიმე ავადობა შეჰყროდა, ისევე როგორც მოსკოვიდან გამომგზავრების წინ. ხოლო, როცა მწუხრი ჩამოდგა, მთელი ორი

საათის განმავლობაში შეუჩერებლად ბოლთასა სცემდა; ბიბლიოთეკის სამხრეთ სარკმლამდე მივიდოდა და სასტუმრო ოთახის, დარბაზის გამოვლით კვლავ უკან ბრუნდებოდა... სარკმლებში, ნაძვისა და ფიჭვის ხეებს შორის მეწამული დაფიონი ლიცლიცებდა, ისმოდა საფარეშოსთან ვახშმად შეყრილი მონაყმების ყაყანი და სიცილი, კრთოდა საღამური ცის უფერული მქრქალი სილურჯე, სადაც კენტად ენთო უძრავი, ვარდისფერი ვარსკვლავი; ცის კაბადონზე სურათოვნად ეხატა ქორაფის მწვანე კენწერო და აყვავებული ბაღის თითქოსდა ზამთრული სითეთრე. მიტია კი დადიოდა და დადიოდა. უკვე აღარც ედარდებოდა, როგორ ახსნიდა სახლეული მის ფორიაქს. კბილები ისე მაგრად დაეჭირა ერთმანეთზე, რომ თავი სტკიოდა.

## XVI

ეს დღე იყო და ეს დღე, უკვე აღარ უთვალთვალებდა კარსმომდგარი ზაფხულის გარდამქმნელ მუშაკობას, ხედავდა და გრძნობდა გარშემო მიმდინარე თითოეულ ცვლილებას, მაგრამ ამ ცვლილებებს უკვე დაკარგოდა ფასი და მხოლოდ სალმობიერ ნეტარებასღა ანიჭებდა მიტიას. კატია ახლა ჭეშმარიტად წყალდიდობას დამსგავსებოდა, ყველაფერში უცნაურად განსაგნებულიყო და ყოველი ახალი დღეც უფრო და უფრო ამტკიცებდა, რომ უკვე აღარ არსებობდა მიტიასათვის, სხვისი გამხდარიყო, გული სხვისთვის მიეძღვნა. მიტიასაც უკვე უსარგებლო და სავაგლახო ეჩვენებოდა ამა ქვეყნის ყოველი ნიჭი და სილამაზე, მით უფრო უსარგებლო და სავაგლახო, რაც უფრო მშვენიერი იყო...

ღამღამობით თითქმის არ ეძინა. შეუდარებელი იყო ამ მთვარიან ღამეთა ხიბლი. უჩუმრად, წყნარად იდგა ღამეული, რძისფერი ბაღი. მორიდებულად სტვენდნენ განცხრომისაგან ძალმილეული ბულბულები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გალობათა სიტკბო-სიფაქიზეში, სიწმინდესა და გულმოდგინებაში. ნაზი, ფერწასული მთვარე იდუმლად ეკიდა ბაღის თავზე, მუდამ გარემოცული იყო მოლურჯო ღრუბელთა სიფრიფანა, აუწერლად წარმტაცი ჭავლით. ღია, უფარდო სარკმლებში მთელ ღამეს იმზირებოდა ბაღი და მთვარე. ყოველთვის, როცა თვალს გაახელდა და მთვარეს შეხედავდა, მიტია შეპყრობილივით გაიფიქრებდა: “კატია!” — ისეთი ტკივილიანი აღტაცებით, რომ თავად უკვირდა, თუ რა მსგავსება უნდა ყოფილიყო კატიასა და მთვარეს შორის; მსგავსება ნამდვილად იყო, ხშირი მსგავსებაც კი! ზოგჯერ კატიას ნდომა, მისი სიახლოვის გახსენება ისე ძლიერად მოიცავდა, რომ ერთიანად ცახცახებდა და ღმერთს ევედრებოდა — და ვაი, რომ ყოველთვის ამაოდ — აი, ამ საწოლზე, თავის გვერდით, თუნდაც სიზმარში ეხილა იგი. ერთხელ “ფაუსტზე” წავიდნენ დიდ თეატრში, სობინოვი და შალიაპინი მღეროდნენ... იმ საღამოს ყველაფერი განსაკუთრებით უჩვეულო ბრწყინვალე იყო: მათ ქვემოთ პირდ-

ალუბული, გაკაშკაშებული უფსკრული, ხალხმრავლობისაგან რომ დახუთულიყო და სურნელებას ჰფენდა; წითელი, ოქროსფერ-ვილი ხავერდით გაწყობილ ლოჟათა სარტყლები; მდიდრულად მოკაზმული ხალხი; უფსკრულის თავზე ჩამოკიდებული ვეებერთელა ჭაღის მარგალიტისებური ნათება; ქვემოთ, სულ ქვემოთ, დირიჟორის მეუფეობაში დამორჩილებული ორკესტრის ხან აზავთებული, ხანაც უსაზღვროდ ნაზი და ნაღვლიანი ბგერები: "თულეში ერთი მეფე სვიანი..." სპექტაკლის შემდეგ მიტიამ კისლოვკაზე მიაცილა კატია. მთვარიანი ღამე იყო, ყინავდა; ნამეტნავად გვიანობამდე ისხდნენ კატიას ოთახში, ხვევნა-კოცნით დაოსხდნენ. წამოსვლისას მიტიამ თან წამოიღო აბრეშუმის ბაფთა, რითაც კატია ღამით თმას იკრავდა ხოლმე. ახლა, მაისის ამ მტანჯველ დღეებში, ამ ბაფთაზე ფიქრიც კი აღელვებდა (ბაფთა საწერი მაგიდის უჯრაში ეგდო).

დღისით გვიანობამდე ეძინა, მერმე ცხენით მიდიოდა მეზობელ სოფელში, სადაც რკინიგზის სადგური და ფოსტა იყო. დარიანი დღეები იდგა. ხანდახან წამოიწვიმებდა, ჭექა-ქუხილი და ღვართქაფი გადაივლიდა, მერმე კვლავ თაკარა მზე აცხუნებდა და ჩვეულებრივ საქმიანობდა ბაღებსა, მინდვრებსა და ტყეებში. ყვავილობის ჟამი იწურებოდა, ბაღის სითეთრე განქარდა, სამაგიეროდ სიმწვანე გახშირდა და გამუქდა. ტყე და მაღალი ბალახი ათასფრად დაიფერა, მათი გაცოცხლებული წიაღი ბულბულთა და გუგულების ხმებით შეუწყვეტლივ ეპატიჟებოდა კაცს. მორჩა მინდვრების სიშიშვლე, ხშირი ჯეჯილი წამოიზარდა. მიტიაც სულ ტყეებსა და მინდვრებში იკარგებოდა.

კატიას ბარათი ისევ არ ჩანდა. მიტიას ერცხვინებოდა ყოველდღე აივანზე მსახურთა თვალწინ ყუდება და ფოსტაში წასული მამასახლისის ან მსახურის ლოდინი. ყოველთვის არც მამასახლისსა და შინაყმებს ჰქონდათ ცხრა ვერსზე ტყუილუბრალოდ წასვლის დრო. მიტიაც ადგა და თავად იწყო ფოსტაში სიარული, მაგრამ მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა, ორიოლის უბადრუკ გაზეთსა და ანიას, ან კოსტიას ბარათს თუ მოიტანდა დროდადრო, ავესო მოთმინების ფიალა. ტყე-მინდვრები, გზად რომ ეღო, თავიანთი სილამაზითა და სვიანობით გულს ისე უმძიმებდა, რომ მკერდში ფიზიკურ ტკივილსაც კი გრძნობდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, უკაცრიელ მეზობელ მამულზე გამოიარა. თავის ნებაზე მიშვებული პარკი ირგვლივ მოჯარულ არყიანს დაეხუთა. ვეებერთელა, მუქი ნაძვის ხეების ორი მწკრივი საუცხოო ხეივანს ქმნიდა. მიტიას ამ დერეფნისებურ ხეივანში მიჰყავდა ცხენი. პირქუში, ფართო დერეფანი ელალი და ლიპი წიწვების სქელი ნაფენით მოგებულიყო. შორს, ხეივნის ბოლოს, ძველი სასახლე ჩანდა. პარკის მარცხენა მხარეს, ცის კაბადონზე ჩამავალი მზის მეწამული, მშრალი და მშვიდი დაფიონი წიწვების ოქროსფერ ნაფენს აელვარებდა. გარშემო ისეთი მოჯადოებული სიჩუმე იყო (მხოლოდ ბულბულებიღა სტვენდნენ კიდით კიდემდე), ისე ტკბილი სურნელი ჰქონდა

ნაძვის ხეებსა და სასახლის ირგვლივ აზრდილი ჟასმინის ბუჩქებს, ისე დიადი იყო ყველაფერი, რომ მიტიამ ვიღაცის მორეული, გარდასული ბედნიერება შეიგრძნო ამ მდუმარებაში. ხოლო ჟასმინის ბუჩქნარში გამომკრთალ ვეება აივანზე უცებ ისე შემაძრწუნებელი სიცხადით წარმოუდგა [illegible] თავისი ახალგაზრდა მეუღლე, რომ თვითონვე იგრძნო [illegible] სასიკვდილო გაფითრებამ როგორ შეუმსჭვალა. — და წარმოთქვა მტკიცედ, ხმამაღლა, ისე რომ მთელს ხეივანში გახმიანდა:

— თუ ერთ კვირაში ბარათი არ მოვიდა — თავს მოვიკლავ!

## XVII

მეორე დღეს ძალიან გვიან ადგა. ნასადილევს აივანზე გავიდა. იჯდა, მუხლებზე წიგნი ედო, უცქეროდა ბეჭდური ასოებით აჭრელებულ ფურცლებს და ფიქრობდა: "წავიდე თუ არა ფოსტაში?"

ცხელოდა, თეთრი პეპლები წყვილ-წყვილად ფარფატებდნენ გახურებულ ბალახზე, კიდობანას ხარკისებურად მბრწყინავ ბუჩქზე. მიტია პეპლებს უცქეროდა, თან სულ ერთსა ფიქრობდა: "წავიდე, თუ ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტო ეს სათაკილო წაწალი?"

ჭიშკარში ულაყზე ამხედრებული მამასახლისი შემოვიდა. აივანს თვალი ჰკიდა და პირდაპირ გამოემართა მიტიასაკენ; ცხენი აივანქვეშ შეაყენა და თქვა:

— დილა მშვიდობისა! ისევ კითხულობთ, ხომ?

ჩაიცინა, მიმოიხედა.

— დედილოს სძინავს? — ხმადაბლა იკითხა.

— მგონი, — მიუგო მიტიამ. — რა არი?

მამასახლისი დადუმდა. მერე სერიოზულად თქვა:

— წიგნი კაი რამეა, ბატონიშვილო, რაც მართალია, მართალია. მაგრამ თავისი დრო უნდა ყველაფერს. ბერად ხომ არ შედექით, განა ცოტაა ქალები და გოგონები?

მიტიამ არაფერი უპასუხა, თვალები წიგნზე დახარა.

— სად ყოფილხარ? — ისე ჰკითხა, მისკენ არც გაუხედავს.

— ფოსტაში ვიყავი, — თქვა მამასახლისმა, — და, რასაკვირველია, წერილისნაირი არაფერი მინახავს. ერთი გაზეთია და ეგ არი.

— რატომ "რასაკვირველია?"

— იმიტომ რომ, ალბათ, ჯერაც წერს, არ დაუმთავრებია, — უხეშად და დამცინავად მიახალა; ეწყინა მიტიამ მხარი რომ არ აუბა. — ინებეთ. — გაზეთი ააწოდა, ცხენი დასძრა და იქაურობას გაეცალა.

"თავს მოვიკლავ!" — მტკიცედ გადაწყვიტა მიტიამ. წიგნს ჩასცქეროდა და ვერაფერს ხედავდა.

## XVIII

იცოდა, რა წარმოუდგენლად მძიმე ცოდვაცაა თავის მოკვლა, დამსხვრევა საკუთარი თავის ძალისა, ძლიერი, ჭაბუკური

გულის ჩაწუმება, ჩახშობა აზრისა და გრძნობისა, დაყრუება, დაბრმავება, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აგერ ახლახან გაცხადებული ქვეყნითგან წასვლა, უარყოფა ცხოვრებისა, სადაც სუფევს კატია და ეს კარსმომდგარი ზაფხული, ზეცა, ღრუბლები, მზე, თბილი ნიავი, მინდვრად [illegible] ჯეჯილი, სოფლები, დაბები, გოგონები, დედა, ბაღი, ბიბლიოთეკა, ძველ ჟურნალებში გაბნეული ლექსები, ხოლო სადღაც შორს – სევასტოპოლი, ბაიდარის ჭიშკარი, ფიჭვნარითა და წიფლნარით მოსილი, ზაფხულის ხვატში იასამნისფრად მოელვარე მთები, თეთრი და გახურებული გზატკეცილი, ლივადიისა და ალუპკის ბაღნარები, მოლაპლაპე ზღვა და გავარვარებული ქვიშა, მზით გახუხული ბავშვები და გარუჯული მობანავე ქალები – და ისევ კატია, თეთრკაბიანი, თეთრი ქოლგის ქვეშ ზღვისპირა კენჭებზე მჯდარი და თვალისმომჭრელად მოციმციმე ტალღები, უმიზეზო ბედნიერების უნებლიე ღიმილს რომ იწვევენ.

იგი ამას ხვდებოდა, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა, როგორ და საით წასვლოდა ამ მოჯადოებულ წრეს, რომელიც რაც უფრო ლამაზი იყო, მით უფრო მტანჯველი და აუტანელი გახდომოდა. სწორედ ამ მოზღვავებული სამყაროს სვეკეთილობა იყო გაუსაძლისი, რადგანაც მას ყველაზე მთავარი და საჭირო რაღაც აკლდა.

გაიღვიძებდა დილით და პირველი, რასაც ხედავდა, ხალისიანად მბრწყინავი მზე იყო; პირველი, რასაც გაიგონებდა, იყო ცვრით განბანილი, ჩრდილნათელით აჭრელებული, ჩიტების ჭიკჭიკით გაცოცხლებული და ყვავილებით მოჩითული ბაღის მიღმა მდგარი ეკლესიის ზარების ბავშვობიდანვე ნაცნობი, მხიარული წკრიალი; ამა და სანუკვარი იყო კედლებზე გაკრული გაყვითლებული შპალერი, ბავშვობაშიაც ასე ნაყვითლებული რომ ახსოვდა. მაგრამ გაღვიძებისთანავე მოუფრინდებოდა ხოლმე აღმაფრთოვანებელი და შეშინებული აზრი: კატია! დილის მზე კატიას სიკისკასით ბრწყინავდა, ბაღის სიახლე მისი სიახლე იყო, ზარების მხიარული, ხალასი წკრიალიც მისი სახის მადლითა და მარილით იყო ცხებული, ეს მამაპაპური შპალერიც კი კატიასაგან ითხოვდა, მიტიასათვის ეწილადებინა სოფლის მშობლიური სიძველენი, ყოფა, რომლითაც მიტიას მამაპაპანი ცოცხლობდნენ და კვდებოდნენ აქ, ამ ეზოში, ამ სახლში. მიტიაც გადაიგდებდა ხოლმე საბანს, პერანგისამარა, მკერდგადაღეღილი წამოიჭრებოდა (გამხდარი იყო, გრძელკანჭებიანი, მაგრამ მაინც ძალოვანი, ჯეელი, ჩამობარი), სწრაფად გამოსწევდა საწერი მაგიდის უჯრას, ფოტოსურათს გამოიღებდა, გაშეშდებოდა და დაჟინებით დასცქეროდა ამ პაწია, ცოტათი გვერდისებურ თავს, ვარცხნილობას, ოდნავ გამომწვევსა და მაინც მიამიტ მზერას, რომელიც იტევდა ქალური არსების ყოველ სილამაზესა და მიმოხრას, მთელს იმ იდუმალ, ნათელსა და მომხმობ ძალმოსილებას, რაც კი ქალთათვის მიუმადლებია ბუნებას. მაგრამ ამ მზერაში გამოცანასავით მიჩქმალულიყო აუღაგმავი და კვიმატი ღიმილით საესე სხივიც და მიტიას ძალა აღარ შესწევდა, რომ მისი სიახლოვე და სიშორე,

მისი დაკარგვა გადაეტანა. იქნებ, ახლა საუკუნოდ სხვისი იყო ეს სახე და ეს თვალები — მიტიას გული ეწურებოდა; უმწვერვალესი ბედნიერების კარიბჭე ვინაც გაუხსნა, მანვე უხორ[illegible]ვილოდ და საძაგლად მოატყუა.

იმ საღამოს, როცა შახოვსკოეს — ამ ძველებურ, უ[illegible]ნო მამულის მრუმე ხეივანში მოჰყავდა ცხენი, სწ[illegible]დურესობამდე მისული უილაჯობა გამოხატა თავისი გაუცნობიერებელი წამოძახილით. ერთხელაც, ფოსტის სარკმელთან, ცხენიდან ჩამოუხდომლად რომ ელოდებოდა გაზეთებისა და წერილების ხვავში ამაოდ მოფათურე ფოსტალიონს, სადგურს მოახლოებული მატარებლის ანაზდეული ხმაური შემოესმა და ამ ხმაურმა, ორთქლმავლის კვამლის სუნმა გული კურსკის ვაგზლისა და, საერთოდ, მოსკოვის მოგონებებით შეუძრა. ფოსტიდან რომ ბრუნდებოდა, წინ მიმავალ ყოველ ტანმორჩილ გოგონაში, მათი სხეულის მიმოხრაში შიშით იჭერდა რაღაც კატიასეულს; გზად შეხვედრილ სამცხენა ეტლში თვალი ჰკიდა ორ ქუდს, ერთი ქალიშვილისა რომ იყო და კინაღამ წამოიყვირა: “კატია!” საყანე მიჯნაზე მიმოფენილი თეთრი ყვავილებიც წამიერად კატიას თეთრ ხელთათმანებზე ანიშნებდა; ლურჯი დათვისკენკრა მისი პირბადის ფერს ახსენებდა... ხოლო, როცა შახოვსკოეს მამულს მიადგა, ნაძვის ხეთა მშრალმა, ტკბილმა სუნმა და ჟასმინის ამო სურნელებამ ისე ხელშესახებად აგრძნობინა ზაფხული და ვილაცის გარდასული, საზაფხულო ცხოვრება ამ მდიდარსა და საუცხოო მამულში, რომ, შეხედა თუ არა ხეივანში მოძალებული დაისის მეწამულ-ოქროსფერ არილსა და ხეივნის ბოლოს მიმწუხრის ჩრდილში მდგარ სახლს, უცებ დაინახა კატია, მთელი თავისი ქალური მშვენებით გაფურჩქნული, აივნიდან ძირს რომ ჩამოდიოდა. ეს ჩვენება ისე ჭეშმარიტი და ცხადი იყო, როგორც თვალნათლივ დანახული სახლი და ჟასმინის ბუჩქები. უკვე რა ხანია დაეკარგა კატიაზე თვალნათლივი წარმოდგენა — დღითი დღე არაჩვეულებრივი და გადასხვაფერებული წარმოუდგებოდა ხოლმე, ამ საღამოს მოლანდებული სახე კი ისე ძირფესვიანად იყო გარდაქმნილი, რომ იგი უფრო მეტად შეძრწუნდა, ვიდრე იმ შუადღით, როცა მოულოდნელად გუგულმა დასძახა თავზე.

## XIX

და მან შეწყვიტა ფოსტაში სიარული, თავს უკიდურესი ძალა დაატანა. წერილების გზავნაც შეწყვიტა — უკვე ყველა გზა მოსინჯული ჰქონდა, ყველაფერი დაწერილი: მტკიცება გაუნელებელი და დედამიწის ზურგზე ჯერაც არნახული სიყვარულისა, დამამცირებელი ვედრება სიყვარულისა თუ არა, “მეგობრობის” გამო მაინც, სულმდაბალი ტყუილი — ავად ვარ და წერილსაც ლოგინად ჩავარდნილი ვწერო (თუნდაც სიბრალული, ოდნავი ყურადღება რომ გამოეწვია); მუქარით სავსე ქარაგმები, რომ ერთი გზაღა დარჩენია: ამქვეყნად თავისი

არსებობის ტვირთისაგან გაათავისუფლის კატიაცა და თავისი "უფრო ყისმათიანი მეტოქეებიც". რაკი წერილების წერა და პასუხის მიღებისათვის ჩალიჩი შეწყვიტა, მიტიამ ძალების დაძაბვით შეეცადა არც რაიმეს მოლოდინი ჰქონოდა (გულში მაინც ულვივოდა იმედის ნატამალი, რომ ბარათი სწორედ მაშინ მოვიდოდა, როცა ან ძალზე მოსერხებ[illegible]მაშებული გულგრილობით თვალს აუხვევდა კატიას, ანდა მართლა გულგრილი გახდებოდა); ცდილობდა თავში არ შეეშვა კატიაზე ფიქრი, ეძებდა ხსნას, კვლავ კითხულობდა ყველაფერს, რასაც კი მოიხელთებდა, დაჰყვებოდა ახლომახლო სოფლებში სამეურნეო საქმეებზე მოსიარულე მამასახლისს და თავს იოწმუნებდა: "სულ ერთია, მოხდეს, რაც მოსახდენია".

ერთხელ მამასახლისთან ერთად სოფლიდან ბრუნდებოდა. მსუბუქ ეტლში ისხდნენ და, როგორც ყოველთვის, ცხენს გამალებით მოერეკებოდნენ. მამასახლისი წინ იჯდა, მართავდა. ორივენი ხტოდნენ ბიძგებისაგან, განსაკუთრებით მიტია — ბალიშს ებღაუჭებოდა და ხან მამასახლისის დაუღალავ კეფას, ხანაც წინ მოტორტმანე მინდვრებს უცქეროდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, მამასახლისმა სადავეებს უშვა ხელი, ცხენები ნაბიჯით წაიყვანა, თამბაქოს გახვევას შეუდგა, გახსნილ ქისაში ჩაიხითხითა და თქვა:

— მაშინ ტყუილად გეწყინათ, ბატონიშვილო. განა მართალს არ გეუბნებოდით: წიგნი კარგია, რატომაც არ უნდა იკითხო მოცლილ დროს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, წიგნი არსად გაგექცევათ.

მიტია აპილპილდა, მაგრამ თავისდაუნებურად, მოჩვენებითი მიამიტობითა და უხერხული სიცილით მიუგო:

— კი მაგრამ, რაღაც არავინა მყავს ნიშანში...

— როგორ? — თქვა მამასახლისმა. — რამდენი გოგო და ქალი დადის!..

— გოგოები შორიდან გეპრანჭებიან და მეტი არაფერი. — მიტია ცდილობდა მამასახლისის ტონით ელაპარაკნა. — მტერს ჰქონდეს მაგათი იმედი.

— შორიდან კი არ გეპრანჭებიან, მიდგომა არ იცით, — თქვა მამასახლისმა უკვე დამრიგებლური კილოთი, — და, ამას გარდა, ფულსაც ხელს უჭერთ. ფული კი... ნათქვამია, კაცმა ფული იშოვა და ფულმა — ციხის გასაღები.

— არაფერსაც არ მოვუჭერდი. ნაღდი და გზიანი საქმე კი იყოს და, — უტიფრად მიუგო უცებ მიტიამ.

— თუ ასეა, საქმე დამშია, — თქვა მამასახლისმა, გაამთლა და ცოტათი ნაწყენი კილოთი განაგრძო, — მე განა თქვენი მანეთიანი მიწყავს თვალს, ან რაიმე საჩუქარი მინდა, მე თქვენი სიამოვნება მინდა და ესაა. გიყურებ, ვხედავ — მოწყენილი დადიხარ, ბატონიშვილო! არა, ამ საქმის აგრე დატოვება არ ივარგებს-მეთქი, ვფიქრე. მე ჩემი ბატონები მუდამ ფიქრში მყავს ხოლმე. აგერ, მეორე წელია თქვენსა ვარ და, მადლობა ღმერთს, არც თქვენგან, არც ქალბატონისაგან ერთი სიტყვა არ გამიგია. სხვებს, სიტყვაზე ვთქვათ, რაში ენაღვლებათ ბა-

ტონის საქორწილო? გამაძღარია — კარგი და კეთილი, არაა და — ეშმაკსაც წაუღია. მე კი ასე არა მწამს. ბიჭებსაც სულ ვეუბნები: მე რაც გინდათ მიყავით, საქორწილო კი არ მომიშალოთ-მეთქი!

მიტიამ ერთი პირობა იფიქრა, მამასახლისი გა[illegible]შიაო, იმან კი უცებ შეცვალა ნაწყენი და გულითად[illegible] მოხედა და ჰკითხა:

— აი, ალიონკა რითია ცუდი? ფუცხუნა დედაკაცია. ახალგაზრდაცაა, ქმარი ჰყავს და მაღაროშია... ოღონდ იმასაც, რასაკვირველია ცოტა რამე უნდა მიაშავოთ: ყველაფერი დიდი-დიდი, ხუთი მანეთის ამბავია. მანეთი გამასპინძლებას, ორსაც ხელზე მისცემთ, მეც თუთუნისათვის ცოტა რამეს...

— საქმე ფულზე არაა, — კვლავ უნებლიედ მიუგო მიტიამ, — ოღონდ ეგ რომელი ალიონკაა?

— მეტყევის რძალი, — თქვა მამასახლისმა. — არ იცნობ? ახალი მეტყევის პატარძალი... მგონი გასულ კვირას ნახეთ ეკლესიაში. მაშინვე ვიფიქრე: აი, ვინაა-მეთქი ჩვენი ბატონიშვილის საფერი! სულ მეორე წელია, გათხოვილია, სუფთად იცვამს და ყველაფერი.

— რა გაუწყობა, — ჩაიცინა მიტიამ, — მიდი და მოაწყე ეს საქმე.

— თუ ასეა, მე, ცხადია, შევეცდები, — თქვა მამასახლისმა და სადავეები აკრიფა, — მე, ცხადია, ამ დღეებში მოვხინჯავ, თქვენც მასიობაში დაქინმანებული იყავით. ხვალ გოგოები მოვლენ, მიწაყრილია შესაკეთებელი. ალიონკაც იქნება. წიგნი კი არსად წაგივათ, მოსკოვშიაც მოუსწრებით წიგნის კითხვას.

ეტლი დაიძრა, აჯაყჯაყდა. მიტია ბალიშზე თავს იმაგრებდა, ცდილობდა, მამასახლისის სქელი, ნაწითლებული კისრისათვის არ ეცქირნა, შორს იყურებოდა, ხედავდა ბაღში აყრილ ხეებსა და იმათ მიღმა, მდინარისპირა ჭალებისაკენ დაშვებულ ფერდობზე მოხასხასე ტირიფებს. უკვე სანახევროდ მოგვარებულიყო ერთობ მოულოდნელი, სულელური და თანაც ისეთი რაღაც, რისგანაც ტანში ჟრუანტელის მომგვრელი წუხილი შესდგომოდა. ხეთა კენწეროებში გამომკრთალი ბავშვობიდანვე ნაცნობი სამრეკლო და დაისის შუქში აელვარებული ჯვარიც კი, შეცვლილი, გადასხვაფერებული ეჩვენებოდა.

## XX

მიტია ისე იყო გამხდარი, რომ გოგონებმა მწყვარი შეარქვეს. შავი თვალები მუდამ გაფართოებული ჰქონდა, მეჩხერი და თხელი ღინღლი სახეზე დაჩხუჭუჭებოდა; იგი იმ ჯურის ადამიანებს ეკუთვნოდა, მოწიფულობაშიაც რომ ამოხდით წვერულვაში. მაინც, მამასახლისთან საუბრის მეორე დღეს, სისხამ დილით გაიპარსა პირი, აბრეშუმის ყვითელი პერანგი ჩაიცვა, დამაზად, უცნაურად რომ უშუქებდა მოღლილსა და თითქოს შთაგონებულ სახეს.

თერთმეტი საათი იქნებოდა. ჩრდილოეთისაკენ მიქცეული მთავარი აივნიდან ბაღში ჩავიდა. ცდილობდა მოწყენილი, უსაქ-

მოდ მოსყირნე კაცის იერი ჰქონდა. ჩრდილოეთით, ეტლების სადგომისა და ბაკის სახურავების ზემოთ და ბაღის იმ ნაწილის თავზე, საიდანაც მუდამ ჩანდა სამრეკლო, ჩალისფერი იდგა. საფარეშოდან ამოსული კვამლი ჰაერს გასჯდომოდა და ნატისუხლის სუნი ტრიალებდა. მიტიამ სახლს მოუარა, ცაცხვების ხეივნისაკენ გაემართა, მიაბიჯებდა, ხეების კენწეროებსა და ცას უცქეროდა. ბაღის მიღმა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაძრულ ღრუბელს ცხელი ნიავი მოჰქონდა, ჩიტები აღარ გალობდნენ, ბულბულებიც კი მიყუჩებულიყვნენ, მხოლოდ აურაცხელი ფუტკარი დაფრინავდა ბაღის კიდით კიდე და დალას ეზიდებოდა.

გოგონები ახლაც ნაძვნარის სიახლოვეს მუშაობდნენ, მიწაყრილზე. საქონლის განატკეპნ საძვრომებს მიწით ავსებდნენ, აყრიდნენ ორთქლიან, საამო სუნით გაჟღენთილ ნაკელს. ბაკიდან ხეივნის გავლით რომ ეზიდებოდნენ მინაყმეები (ხეივანი ქანტი, ლაპლაპა ნეხვით მოთესილიყო). სულ ექვსნი იყვნენ: სონკა აღარ ჩანდა, ძალით დაენიშნათ და ახლა შინ იჯდა, საქორწინოდ ემზადებოდა; ალიონკას გარდა რამდენიმე ქორფა გოგონა მოსულიყო, ერთიც — ანიუტკა, წარმოსადეგი და თვალადი ქალი, და გლაშკა, ახლა უფრო კუშტი და ტლანქი რომ გამხდარიყო. მიტიამ შორიდანვე შეამჩნია და გამოარჩია ალიონკა, ხელად მიხვდა, რომ ის იყო, თუმცა პირველად ხედავდა. მყისეულად, ელვასავით დაურბინა და თვალი მოსჭრა ამ ორი ქალის, ალიონკასა და კატიას მოზმანებულმა თუ ცხადმა მსგავსებამ. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ მიტია შედგა, წამით გაშეშდა. მერმე ჯიქურ წავიდა პირდაპირ მისკენ, თან თვალს არ აცილებდა. ალიონკაც კატიასავით ტანმორჩილი იყო, იმასავით სხარტი, შავ სამუშაოზე გამოსულიყო, მაგრამ მაინც კარგი კაბა ეცვა — თეთრი, წითელკოპლებიანი, ლაქის შავი ქამარი ერტყა, აბრეშუმის ვარდისფერი თავსაფარი ებურა, შალის წითელი წინდები ემოსა და შავი, რბილი ბანდულები ეცვა. მიტიას კატიასეულად ეჩვენა ეს პაწია, მსუბუქი ფეხი, რაღაც ქალურისა და ბავშვურის ნაზავი რომ იყო, თავიც პატარა ჰქონდა და შავი თვალებიც თითქმის ისევე უბრწყინავდა, როგორც კატიას. მიახლოებისთანავე მიტიამ შენიშნა, რომ მხოლოდ ის ერთი არ მუშაობდა, თითქოს გრძნობდა თავის უპირატესობას, მარჯვენა ფეხი ფიწალზე ედგა და მამასახლისს ელაპარაკებოდა. მამასახლისი ვაშლის ხის ძირას მხართეძოზე წამოწოლილიყო, ქვეშ სარჩულგამოგლეჯილი პიჯაკი ეგო, თამბაქოს აბოლებდა. მიტია მივიდა და მამასახლისიც თავაზიანად გადაიწია ბაღახზე, პიჯაკი მას დაუთმო.

— დაბრძანდით, მიტრი პალიჩ, გააბოლეთ, — მეგობარივით, შინაურულად უთხრა.

მიტიამ წამით შეავლო ალიონკას თვალი — ვარდისფერთავსაფარი ქალის სახეს შუქს ჰფენდა — დაჯდა, თვალები დახარა და თვითონაც თამბაქო გააბოლა (ზამთარშიაც და გაზაფხულზედაც არაერთგზის მიატოვა წევა, ახლა ისევ დაიწყო). ალიონკა არ მისალმებია მას, თითქოს სულაც ვერ ხე-

დავდა, მამასახლისთან საუბარი გააგრძელა. მიტიამ მათი ნალაპარაკევისა ვერაფერი გაიგო, რაკი საუბრის თავი არ იცოდა. ალიონკა იცინოდა, მაგრამ რაღაცნაირად უგულოდ, სულელურად. მამასახლისი თითოეულ თავის ფრაზას აგდებული და დამცინავი ნართაულებით კაზმავდა, ალიონკაც ასევე [illegible]ფლად და დამცინავად ეპასუხებოდა, გადაუკრა კიდეც: — [illegible] მახსოვს ვიღაცას რომ ეტორღიალებოდი, თავი ბრიყვულად და მეტისმეტად უტიფრად გეჭირა და ცალკე ცოლისაც გემინოდაო.

— კარგი, კარგი, შენ ვინ მოგიგებს, — თქვა ბოლოს მამასახლისმა და კამათი შეწყვიტა, აქაოდა, გული ნუ გააწყალეო: — უკეთესია, ჩვენკენ მოიწიო, ჩამოჯექი აგერ. ბატონს სიტყვა აქვს შენთან.

ალიონკამ ხაღლაც განზე გაისროლა, საფეთქლებთან ჩამოშლილი შავი კულული გაისწორა, ფეხიც არ მოუცვლია.

— მოდი, შე სულელო, რომ გეუბნები! — კვლავ უთხრა მამასახლისმა.

ალიონკა ერთხანს შეყოყმანდა, დაფიქრდა, მერმე უცებ ჩამოხტა მიწაყრილიდან, მოირბინა, პიჯაკზე წამოწოლილი მიტიას შორიახლო ჩაცუცქდა და შავი, გაფართოებული თვალებით მხიარულად და ცნობისწადილით მიაჩერდა, შეხცინა:

— მართალია, ბატონიშვილი ქალებს არ ეკარებაო? როგორც ერთი ვინმე დიაკვანიო?

— რა იცი, რომ არ ეკარება? — ჰკითხა მამასახლისმა.

— ვიცი, მსმენია, — ალიონკას უცებ თვალები აუციმციმდა. — არა, ქალებს როგორ გაეკარება, მოსკოვში ჰყავს საბედო...

— მისი ჯუფთი არავინაა და კიდეც ამიტომ გაურბის, — მიუგო მამასახლისმა. — ბევრი კი გაგეგება ბატონის საქმისა!

— როგორ თუ არავინაა? — გაიცინა ალიონკამ. — ქვეყნის ქალებია! აი, ანიუტკა რითია ცუდი? აქ მოდი, ანიუტკა, ერთი საქმე გავჩარხოთ! — წკრიალა ხმით გასძახა.

ანიუტკა შემობრუნდა. კაცს თვალში მოხვდებოდა მისი ფართო, თონთლო ზურგი და მოკლე ხელები. მარილიანი პირისახე კი ჰქონდა, კეთილი და საამო ღიმილით დამშვენებული; ჩასუხად რაღაც წაიმღერა და უფრო გულდაგულ განაგრძო მუშაობა.

— მოდი, შენ გეუბნებიან! — კიდევ უფრო წკრიალა ხმით გაუმეორა ალიონკამ.

— არაფერი მესაქმება მანდ, მასეთი საქმეები ხელთ არ მძღის, არ მისწავლია. — მხიარულად წაიმღერა ანიუტკამ.

— ანიუტკა რაში გვარგია, უფრო სუფთა და კეთილშობილი დედაკაცი გვჭირდება, — აუხსნა მამასახლისმა. — თვითონვე იცით, ვინც უნდა იყოს. — თქვა და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ალიონკას. ალიონკა შეცბა, ცოტათი გაწითლდა.

— არა და არა, — მიუგო მამასახლისს, თან გაიღიმა, შეცბუნება რომ დაეფარა. — ანიუტკაზე კარგს ვერც მოძებნით. ანიუტკა არ გინდათ, მაშინ ნასტენკა. ისიც სუფთაა, ქალაქში ნაცხოვრებია...

— აბა, კმარა, გაჩუმდი. — მამასახლისი გაწყრა. — შენს საქმეს მიხედე! იტიტინე და გეყოფა. ისედაც მლანძღავს ქალბატონი, ქაქანის მეტს არას აკეთებენო.

ალიონკა ახლაც საოცრად მსუბუქად წამოხტა და ფიწალს წაეტანა, მაგრამ ერთ-ერთმა შინაყმამ, ამ დროს ნაკელით სავსე ბოლო ფორანი რომ დაცალა, დაიძახა: „საუზმე!", სადაგებები მოხსნა და ცარიელი ფორანი ყოჩაღად გააჩრიგინა ხეივანში.

— საუზმე, საუზმე! — ერთმანეთში აირია გოგონების ხმები. ნიჩბები და ფიწლები მიყარ-მოყარეს, მიწაყრილიდან ჩამოხტნენ (გაკრთა პაწია თეთრი ფეხები და ნაირფერი წინდები), ნაძვნარში შეცვივდნენ და თავ-თავიანთ ბოღჩებს მიაშურეს.

მამასახლისმა მიტიას გადახედა, თვალი ჩაუკრა: აქაოდა, საქმე გაჩარხულიაო, წამოდგა და, როგორც უფროსს შეეფერებოდა, კვერი დაჰკრა:

— კეთილი. საუზმეა, საუზმე იყოს.

გოგონები ნაძვნარის ჩრდილში მწვანეზე დასხდნენ, ვისაც სად მოუხდა. ბოხჩები გახსნეს, ამოიღეს კვერები, გაჩაჩხულ ფეხებს შორის კალთაზე დაიწყვეს, ბოთლს პირზე იყუდებდნენ და ისე სვამდნენ რძესა თუ ბურახს, განაგრძობდნენ უთავბოლო ლაპარაკს, ყოველ სიტყვაზე ხმამაღლა კისკისებდნენ და ცნობისმოყვარედ, გამომწვევად წამდაუწუმ მიტიასაკენ იხედებოდნენ. ალიონკა ანიუტკასაკენ გადაიხარა, ყურში რაღაც უჩურჩულა. ანიუტკამაც მომხიბლავად გაიღიმა, უბიძგა (ალიონკა სიცილით იგუდებოდა, თავი მუხლებზე ჩამოუვარდა) და განგებისი აღშფოთებით, ყველას გასაგონად წამოიყვირა:

— სულელო! რას ხარხარებ შტერივით? ნეტა, რა გიხარია?!

— წავიდეთ, მიტრი პალიჩ, ცოდვას განვერიდოთ, — თქვა მამასახლისმა. — ამათ ეშმაკები ჰყავთ შემჯდარი!

XXI

მეორე დღეს არ მუშაობდნენ, აღდგომა იყო.

ღამით კოკისპირული, ჭანჭახა წვიმა შხაპუნობდა სახურავზე, ჟამიჟამ გაიელვებდა და ბაღს მკრთალად, მაგრამ თავიდან ბოლომდე ზღაპრულად ახხივოხნებდა. გამთენიისას წვიმა ჩაცხრა, ამინდი კვლავ გამოკეთდა და მიტია სამრეკლოს ხალისიანმა, სადღესასწაულო გუგუნმა გამოაღვიძა. მან აუჩქარებლად დაიბანა ხელ-პირი, ჩაიცვა, ჭიქა ჩაი დალია და წირვაზე წასასვლელად შეემზადა. "დედათქვენი უკვე წაბრძანდა, — ალერსიანად უსაყვედურა პარაშამ, — თქვენ კი თითქოს ვინმე ურჯული იყოთ..."

ეკლესიისაკენ ორი გზა მიდიოდა: ერთი ჭიშკრის გავლით მარჯვნივ, სახოფლებისაკენ უხვევდა, მეორე — ბაღის მთავარ ხეივანზე მიემართებოდა, მერმე კი მარცხნივ, ბაღსა და კალოს შუა... მიტია მეორე გზას დაადგა.

არემარეს უკვე საზაფხულო იერი ედო. მიტია მზის სხივებით აბრჭყვიალებულ ხეივანს მიუყვებოდა. კალოსა და მინდვრებსაც თაკარა მზე დანათოდა. მზის ელვარება და ზარების

წკრიალი როგორღაც საუცხოოდ ერწყმოდა ერთმანეთსაც და ამ სოფლურ დილასაც. რაკი ხელ-პირი დაიბანა, სველი, მაგრამ აწრიალებული თმა დაივარცხნა და სტუდენტური ქუდიც დაიხურა, მიტიას უცებ გარემოც ძალზე ლამაზი ეჩვენა, თუმცა ამ ღამითაც არა სძინებია და მოჯარულ ფიქრსა და ს[illegible]ში დასთენებოდა; უცებ მოეცა თავისი ყოველი სა[illegible] ბედნიერად დასრულების, გადარჩენისა და განთავისუფლების იმედი. ზარები რეკდნენ და უხმობდნენ, ელავდა გათაკარებული კალო; აგერ კოდალაც დაინახა — ჯერ გაიტრუსა, მერმე კი ქოჩორი აიფოფრა და უმალ აირბინა ცაცხვის დაკოჟრილ ტანზე, მზით გახალისებულ დიამწვანე კენწეროს შეეფარა. ხავერდოვანი, შავ-წითელი ბზიკები საქმიანად ფუთფუთებდნენ მზის გულზე, მინდვრის ყვავილებში, ხოლო ბაღში ამაოდ ელურტულებდნენ ჩიტები... ყველაფერი ისეთივე იყო, მრავალგზის რომ ენახა სიყმაწვილეში — მიტიას ცხადად წარმოუდგა თავისი წარსული, ბედნიერი და უდარდელი დრო და უცებ გაუღვივდა უფლის კეთილმოწყალეობის იმედი, იქნებ კატიას გარეშეც შეეძლო ამქვეყნად ცხოვრებაო, იფიქრა.

“მიდი, მართლაც გავუშვი მეშჩერსკებს”, — ანაზდად გაუელვა თავში.

გაიხედა და ოციოდ ნაბიჯზე, ბაღის ჭიშკართან ჩავლილ ალიონკას შეასწრო თვალი. ალიონკას ახლაც აბრეშუმის ყვითლისფერი თავსაფარი მოეხვია, ფურჩალებით გაწყობილი ციისფერი კაბა და ახალი, ქუსლებიანი ფეხსაცმელი ჩაეცვა; მიტია არც შეუმჩნევია, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თეძოებს მიარხევდა. მიტია ფიცხლად ჩამოეცალა გზიდან, ხეს მოეფარა. გაუჩინარდა ალიონკა და მიტიაც მაშინვე შინისაკენ გამობრუნდა. უცებ მიხვდა: წირვაზე რომ მიდიოდა, იდუმალ ალიონკას ნახვა ეიმედებოდა; ისიც იაზრა: ეკლესიაში მასთან შეხვედრა არ ივარგებდა და არც საჭირო იყო.

## XXII

სადილობისას სადგურიდან დეპეშა მოიტანეს — ანია და კოსტია ხვალ საღამოსათვის ჩამოსვლას იუწყებოდნენ. მიტია გულგრილად შეხვდა ამ ამბავს.

სადილობა რომ მოთავდა, აივანზე გამოვიდა და წნულ ტახტზე წამოწვა. თვალებმილულული გრძნობდა მცხუნვარე მზეს, აივნამდე ჩამოწვერილ სხივებს, უსმენდა მწერთა საზაფხულო ზუზუნს, გული უთრთოდა, ისევ აწვალებდა გადაუჭრელი კითხვა: კიდევ რა გზები გამოუნახა ალიონკას დასაპყრობად, საბოლოოდ როდის დათანხმდება ალიონკა? რატომ პირდაპირ არ შეეკითხა გუშინ მამასახლისი: თანახმაა თუ არა, და თუ თანახმაა, მაშინ სად და როდის? ამავე დროს, მეორე კითხვაც გადასაჭრელი იყო: გადათქვას თუ არა თავისი სიტყვა, ფოსტაში მეტად აღარ ვივლიო? ხომ არ მიაკითხოს ერთხელაც, უკანასკნელად? კვლავ თავმოყვარეობის ფუჭი შებღალვა ხომ არ გამოუვა? ისევ მტკნარი იმედებით გაიწამოს თავი?

მაგრამ ამ ერთმა წასვლამ (არსებითად, უბრალო გასეირნებამ) რაღა უნდა წაუმატოს მის სატანჯველს? განა აშკარა არ არის, რომ მოსკოვში უკვე ყველა გზა გადაკეტილია? საერთოდ, რა უნდა ქნას ახლა?

— ბატონიშვილო! — ხმამაღლა დაუძახა ვიღაცამ. — გძინავთ, ბატონიშვილო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტიამ იმწამსვე თვალები გაახილა და მამასახლისი დაინახა. მამასახლისს ჩითის ახალი პერანგი ჩაეცვა, ქუდიც ახალთახალი ეხურა, გამარჯვებული კაცის სახე ჰქონდა, გამაძღარი, ცოტათი უძილო და ნამთვრალევი.

— ჩქარა, ბატონიშვილო, ტყეში მივდივართ, — აჩურჩულდა იგი, — ტრიფონი უნდა ვნახო-მეთქი ფუტკრის თაობაზე, ქალბატონს ვუთხარი. ჩქარა უნდა გავიდეთ, სანამ სძინავს, თორემ, ერთიც ვნახოთ და, გაიღვიძა, იქნებ, გადათქვას და წყალში ჩაგვეყაროს ყველაფერი... ჰო, ცოტა პურ-მარილიც უნდა წავიტანოთ: თქვენ ტრიფონს შეიქცევთ, მე კი ორ ღერ სიტყვას ვეტყვი ალიონკას... ჩქარა გამოდით, ცხენი უკვე შეკაბი...

მიტია წამოიჭრა, საფარეშო გაირბინა, ქუდს ხელი დასტაცა და გაიქცა ეტლების სადგომისაკენ, სადაც უკვე ელოდა ორთვალაში შებმული ფიცხი ულაყი.

## XXIII

ცხენი გრიგალივით გავარდა ჭიშკარში, ეკლესიის გასწვრივ დუქანთან წუთით შეჩერდნენ, იყიდეს გირვანქა ლორი და ბოთლი არაყი და ისევ გააქროლეს ეტლი. გზად თავის ქოხთან მდგარი, მორთულ-მოკაზმული ანიუტკა დალანდეს. მამასახლისმა ხუმრობით, მაგრამ უხეშად და ტლანქად მიაძახა ქალს რაღაც, სადავეები უაზრო და უგულო სილაღით მოკრიფა და ულაყს გავაზე უცხუნა. ცხენი უარესად გახელდა. მიტია თავს ძლივსღა იკავებდა, ხტოდა; კეფაზე მზე აჭერდა, სახე კი აყვავებული ჭვავის, გზაზე ავარდნილი ბუღისა და ბორბლის საცხის სუნით გაჯერებული ტრამალის ალმური სცემდა. ჭვავის ყანა მორუხო-მოვერცხლისფროდ ლივლივებდა, საუცხოო ბეწვესა ჰგავდა, ირხეოდა და ფერს ფერზე იცვლიდა, ყანის თავზე ცერად მიფრინავდნენ და გალობდნენ გზისპირებიდან ზედიზედ წამოფრენილი ტოროლები, კვლავ ძირს ცვიოდნენ, შორს კი ფაფუკი, ზურმუხტისფერი ტყე მოჩანდა...

თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ტყეში იყვნენ და კვლავ გამალებით, ფესვებსა და როკებზე ჯახაჯუხით მიჰქროდნენ ჩრდილოვან გზაზე, მზის ლაქებსა და აქეთ-იქიდან მომდგარ ბალახში მოძალებულ ყვავილებს რომ გადაეჭრელებინა. ალიონკა საგუშაგოს წინ ჩამომჯდარიყო და ქარგავდა. ლურჯი კაბა ეცვა, დაბალყელიან წაღებში ჩადგმული ფეხები პირდაპირ ჩამოეშვა. მამასახლისმა ეტლი გვერდზე ჩაუგრიალა, მათრახით დაემუქრა და ცხენი ზედ ზღურბლზე შეაყენა. მიტია გააოცა მუხის ფოთლების მწარე, ნედლმა სურნელმა, გააყრუა ფინია ძაღლების წკავწკავმა — ძაღლები ეტლს შემოეხ-

ფიცხნენ, გააფთრებით, სხვადასხვა ხმაზე ყეფდნენ (ტყე გამოძახილებით აივსო), თუმცა კეთილი, ბანჯგვლიანი დრუნჩები ჰქონდათ და კუდებსაც აქიცინებდნენ.

სტუმრები ჩამოხტნენ, ცხენი სარკმლის წინ ასხორილ ხმელ, ნამეხარ ხეზე მიაბეს და ჩაბინდულ წინკარში შევიდნენ.

ქოხში სიგრილე იყო, მაგრამ ყველაფერი წკ[illegible] მყუდროება სუფევდა. ცხელოდა — ცალკე ორივ სარკმლიდან შემოჭრილი მზის, ცალკე იმის გამო, რომ დილით გამტკიცე-ლი პური გამოეცხოთ და ღუმელი ახლაც ხურდა. ფეკლოხია, ალიონკას დედამთილი, შესახედავად სპეტაკი და სათნო მოხუცი, მაგიდას უჯდა და მზიანი, ქინქლებით მოფარული სარკმლისკენ ზურგი მიექცია; ბატონიშვილის დანახვაზე წამოდგა, მიტიას მდაბლად მიესალმა. შემოსულებმაც სალამი თქვეს, დასხდნენ, თამბაქო გააბოლეს.

— ტრიფონი სადაა? — იკითხა მამასახლისმა.

— საკუჭნაოშია, ისვენებს. ახლავე დავუძახებ. — ფეკლოხია გავიდა.

— აეწყო საქმე! — წასჩურჩულა მამასახლისმა მიტიას და ორივე თვალი ჩაუკრა.

მაგრამ ჯერჯერობით საქმეს პირი არ უჩანდა. მიტია აუტანელ უხერხულობას გრძნობდა, რადგანაც მოეჩვენა, რომ ფეკლოხია ძალიანაც კარგად მიხვდა მათი მოსვლის მიზანს, მათ განზრახვას. კვლავ გაუელვა მოულოდნელმა საფიქრალმა: "რას ვშვრები? მართლა ჭკუაზე ვიშლები!" მთვარეულსა ჰგავდა, თითქოს რაღაც გარეშე ძალების ტყვეობაში მოქცეულიყო, სულ უფრო უახლოვდებოდა საბედისწეროს, მაგრამ გაუსაძლისად მიმზიდველ უფსკრულს. ცდილობდა დამშვიდებული, ბუნებრივი იერი ჰქონოდა, იჯდა და თამბაქოს აბოლებდა, ქოხს ათვალიერებდა, მაგრამ იცოდა, საცაა შემოვიდოდა ტრიფონი და სირცხვილი სწვავდა, რადგანაც გაეგონა მისი გუნებამძიმობა და საზრიანობა; ტრიფონი, ალბათ, იმწამსვე, ფეკლოხიაზე ნაკლებ არ მიხვდებოდა მის გულისწადილს. მიუხედავად ამისა, გულში სხვა ფიქრიც უტრიალებდა: "მაინც, სად სძინავს ხოლმე ალიონკას? აი, ამ ტახტზე თუ საკუჭნაოში? ალბათ საკუჭნაოში", — დაასკვნა ბოლოს. ზაფხულის ღამე, საკუჭნაოს უმინო და უჩარჩო სარკმლებში მთელი ღამე ისმის მთვლემარე ტყის შრიალი, ალიონკას კი სძინავს...

## XXIV

შემოვიდა ტრიფონი, მიტიას მდაბლად მიესალმა. მაგრამ სიტყვა არ უთქვამს და არც თვალებში შეუხედავს მისთვის. მერმე მაგიდასთან, მერხზე ჩამოჯდა და ძუნწად, უცხვირპიროდ აჰყვა მამასახლისის საუბარში. რა ამბავია, რაზე შეწუხებულხართ? მამასახლისმაც სანქაროდ აუხსნა, ქალბატონმა გამოგზავნა, გთხოვთ, მოხვიდეთ და ფუტკარს დახედოთ, ჩვენი მეფუტკრე გამოლენჩებულია, არაფერი გაეგება ფუტკრისა, შენ კი ჭკუითა და ცოდნით მთელს ოლქში განთქმული მეფუტკრე

ხარო; აღარც ბევრი დაახანა. შარვლის ერთი ჯიბიდან არყიანი ბოთლი ამოაძვრინა, მეორედან ნაცრისფერ, ხეშეშსა და გაქონილ ქაღალდში შეხვეული ლორი ამოიღო. ტრიფონმა ცივად და დამცინავად გახედა ლორსა და არაყს, მაინც ადგა და თაროდან ჩაის ფინჯანი ჩამოიღო. მამასახლისმა ჯერ მიტიას მიართვა სასმისი, მერმე ტრიფონს მიაწოდა, ფედოსიასაც მიართვა — იმან სიამოვნებით გამოწრუპა ფინჯანი — ბოლოს თავისთვის დაისხა, გადაჰკრა, მაშინვე მეორედ შემოტარება დაიწყო, თან გამტკიცულ პურსა ლეჭავდა და ნესტოებს ბერავდა.

ტრიფონი მალე დაითრო, მაინც არ დაიმალა უცხვირპირობა და ქილიკი. საუბარმა ვითომდა მეგობრული ელფერი მიიღო, მაგრამ ორივეს უნდოდ, ბოროტად უელავდა თვალები. ფედოსია ჩუმად იჯდა, თავაზიანად უმზერდა მათ, არადა სახეზე მაინც უკმაყოფილება ეტყობოდა. ალიონკა არ ჩანდა, მიტიამ დაკარგა ყოველი იმედი; ეტყობოდა, ფუჭი ოცნება იყო, რომ მამასახლისი ოდესმე დაიმარტოხელებდა მას და “ორ ლერ” სიტყვას უჩურჩულებდა. მიტია ადგა და მკაცრად თქვა, წასვლის დროაო.

— ახლავე, ახლავე, მოვასწრებთ! — უტიფრად გამოეხმაურა მოლუშული მამასახლისი, — კიდევ რაღაც მაქვს სათქმელი, საიდუმლოა.

— ჰოდა, წავიდეთ და გზაში მეტყვი, — თავშეუკავებლად, კიდევ უფრო მკაცრად უთხრა მიტიამ. — წავედით!

მამასახლისმა მაგიდას ხელისგული დაჰკრა და მთვრალი კაცის ჩვეული ჭირვეულობით ხმამაღლა გაუმეორა:

— გზაში არ ითქმება! გამომყევით ერთი წამით... — მძიმედ წამოდგა და საკუჭნაოს კარი გამოაღო.

მიტია გაჰყვა.

— აბა, რა გინდა?

— ჩუმად! — კვლავ ჩურჩულებდა გაჭირვეულებული მამასახლისი. კარი მიხურა, ბარბაცებდა.

— რისთვის გავჩერდე?

— ჩუმად!

— არ მესმის შენი.

— გაჩუმდით! ჩვენსას გავიტანთ! ნაღდ სიტყვას გეუბნებით!

მიტიამ ხელის კვრით ჩამოიცილა იგი, საკუჭნაოდან გამოვიდა, კართან დადგა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ცოტა ხანს კიდევ დაეცადა, თუ ამდგარიყო და თვითონვე წაეყვანა ეტლი, ანდა სულაც ფეხით წასულიყო? ათიოდე ნაბიჯის იქით იწყებოდა მწვანე უღრანი, უკვე მიმწუხრის ჩრდილით მოსილი და, ამიტომ, უფრო ცინცხალი, სუფთა და ამო სახილველი. კენწეროების მიღმა კარგი ამინდის მომასწავებელი, კრიალა მზე ჩადიოდა და ხეთა ტოტებში ბაჯაღლო ოქროსფერ სხივებს აბამდა. ანაზდად ტყის სიღრმეში, სადღაც, როგორც მიტიას მოეჩვენა — შორეული ხევის იქით, ქალის ნარნარი ხმა გაისმა და ისე მომხმობად, ისე ტკბილად გახმიანდა, როგორც მხოლოდ ტყეში და ისიც ზაფხულის საღამოთი ხმიანებს ხოლმე

— ჰაუ! — გაბმით გასძახა ხმამ. ტყის გამოძახილით თუ ერთობოდა ვიღაც. — ჰაუ!..

მიტია კარის ზღურბლიდან წამოხტა, ყვავილებსა და ბალახებში გაიქცა ტყისაკენ. ტყე ქვიან ხევში ჩადიოდა. ხევში ალიონკა იდგა, ფურისულასა სჭამდა. მიტიამ ფლატეზე ჩაირბინა და შედგა. ქალმა გაოცებული თვალებით ამოხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ რას აკეთებ? — ხმადაბლა ჰკითხა მიტიამ.

— ძროხას დავეძებ. რა იყო? — იგიც ხმადაბლა გაეპასუხა.

— რას იზამ, მოხვალ?

— მუქთად რატომ ვიარო? — თქვა ალიონკამ.

— ვინ გითხრა, მუქთადო? — უკვე ჩურჩულით ჰკითხა მიტიამ. — ამაზე ნუ სწუხარ.

— როდის? — შეეკითხა ალიონკა.

— როდის და ხვალ... შენ როდის შეგიძლია?

ალიონკა დაფიქრდა.

— ხვალ დედასთან მივდივარ, ცხვრის კრეჭაში ვეხმარები, — თქვა მან, მიტიას მიღმა ბორცვაკზე შეფენილი ტყე დაკვირვებით მოათვალიერა. — საღამოთი მოვალ, როცა შებინდდება. მაგრამ სად? კალოზე არ შეიძლება, ვინმე შემოგვისწრებს... გინდათ, თქვენს ბაღში რომ საბძელი დგას, იქ მოვალ? ოღონდ არ მომატყუოთ, მუქთად მე არა ვარ თანახმა... ეს თქვენ მოხკოჯი ნუ გაიგიათ, — უთხრა და ჟაჟუნა თვალებით ამოხედა, — იქ, ამბობენ, ქალები აქეთ უხდიანო ფულს.

## XXV

შინ მოჯამაშულები ბრუნდებოდნენ.

ტროფიმი ვალში არ დარჩენილა, თვითონაც ჩამოდგა ერთი ბოთლი და მამასახლისი ისე გაილეშა, რომ კი არ დაჯდა — დავარდა კოფოზე, ცხენიც დაფეთდა და კინაღამ მშრალზე დატოვა თავისი პატრონი. მიტია დუმდა, უგულისყუროდ უცქეროდა მამასახლისს, ითმენდა, ელოდა მის დაჯდომას. ბოლოს, როგორც იქნა, გზას დაადგნენ. მამასახლისი კვლავ გაოყოთრებით მოერეკებოდა ცხენს. მიტია დუმდა, გასცქეროდა საღამურ ცასა და დარწყულ მინდვრებს, მის წინ რომ იკარგებოდა. ტრამალის თავზე ტოროლები ამთავრებდნენ უკვე თავიანთ, სადღეისო საგალობლებს. აღმოსავლეთი შებაცებულიყო, ლიცლიცებდა მშვიდი და მორცული, დარის მომასწავებელი დაფიონი. მიტია გრძნობდა შეღამების სილამაზეს, თუმცა ეს სილამაზე უკვე გაუცხოვებულიყო მისთვის. "ხვალ საღამოს!" — უტრიალებდა გულსა და გონებაში.

შინ ამბავი დახვდა, წერილი მოსულიყო: ანია და კოსტია ხვალ საღამოს მატარებლით უნდა ჩამოსულიყვნენ. მიტია შეშფოთდა — მოვლენ, ბაღს გადაატრიალებენ, იქნებ დარტაფშიაც შემოუხვიონ, საბძელში შემოიხედონ... მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ მათ ათ საათზე ადრე ვერ მოიყვანდნენ სადგურიდან. მერმე ავახშმებდნენ, ჩაის დაალევინებდნენ...

— წახვალ შესახვედრად? — ჰკითხა ოლღა პეტროვნამ.

მიტიამ იგრძნო, რომ ფერი ეკარგებოდა.

— არა, არა მგონი... რაღაც არ მინდა წასვლა... და არც დასაჯდომი ადგილი იქნება...

— მერე რა, ცხენითაც შეგეძლო...

— არა, არ ვიცი... მაინც, რისთვის? ახლა რატომღაც არ მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლღა პეტროვნამ დაკვირვებით შეხედა შვილს:

— ავად ხომ არა ხარ?

— სრულიადაც არა, — თითქმის უხეშად მიუგო მიტიამ. — ოღონდ, საშინლად მეძინება...

მაშინვე თავის ოთახში გავიდა, სიბნელეში დივანზე წამოწვა და არც გაუხდია, ისე დაეძინა.

ღამით შორეული, ნელი მუსიკა ჩაესმა და ესიზმრა, თითქოს ვეება, მკრთალად განათებულ უფსკრულს გადაჰყურებდა. უფსკრული თანდათან განათდა, გაღრმავდა, მერმე კამკამა შუქში გაცხადდა ხალხით ამოვსებული სართულები, ხოლო სიღრმიდან სავსებით გარკვეულად, სევდითა და სინაზით დაიძრა შორეული ჰანგი და სიმღერა: “თულეში ერთი მეფე სვეიანი...”

გული აუჩუყდა, შეიშმუშნა, მერე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი.

## XXVI

დღე აღარ თავდებოდა.

მიტია გახევებულივით გამოდიოდა ჩაიზე, სადილზე, მერმე კვლავ თავის ოთახს უბრუნდებოდა, წვებოდა, იღებდა საწერ მაგიდაზე რახანია მიგდებულ პისემსკის ტომს, კითხულობდა, სიტყვაც არ ესმოდა, დიდხანს, დაჟინებით უცქეროდა ჭერს, უსმენდა სარკმლის მიღმა საგაზაფხულოდ გამზიარებული ბაღის თანაბარ, ატლასისებურ შარიშურს... მხოლოდ ერთხელ ადგა და ბიბლიოთეკაში წიგნის შესაცვლელად შევიდა, მაგრამ სიძველითა და მყუდროებით მოცული ოთახი, რომლის ერთ სარკმელში სანუკვარი ქორაფი, ხოლო სხვებში — დასავლეთის მეწამული ზეცა მოჩანდა, ისე ცხადად ახსენებდა აწ უკვე უსასრულოდ შორეული გაზაფხულის დღეებს (როცა აქ იჯდა ხოლმე და ძველ ჟურნალში გაბნეულ ლექსებს კითხულობდა) და ისე კატიასეულად ესახებოდა, რომ მოტრიალდა და თავის ოთახს დაუბრუნდა. “ეშმაკსაც წაუღია! — გაღიზიანებულმა გაიფიქრა. — ეშმაკსაც წაუღია სიყვარულის ეს პოეტური ტრაგიზმი!”

აღშფოთებულმა ისიც გაიხსენა, როგორ გადაწყვიტა, თუ კატიას ბარათი არ მოვიდა — უსათუოდ თავს მოვიკლავო, ისევ წამოწვა, პისემსკის ტომს მიუბრუნდა, კითხულობდა და აზრი ვეღარ გამოჰქონდა; ზოგჯერ, როცა წიგნში თავჩარგული ალიონკაზე ფიქრობდა, მუცელში ცახცახი შეუდგებოდა და რაც უფრო ახლოს იყო საღამო, მით უფრო ეძალებოდა ეს ცახცახი. სახლში ფუსფუსებდნენ, ეზოშიაც ხმაური იყო, უკვე შეემზადებინათ სადგურზე წამსვლელი ეტლი და ეს ხმიანობა ისევე ძლიერდა,

როგორც ავადმყოფობისას ნაცხმის ხოლმე კაცს, როცა მარტოკა წევს, ხოლო გარშემო ჩვეულებრივად ჩქეფს ყოველდღიური ცხოვრება, გულგრილად რომ უვლის მას გვერდს და, ამიტომ, უცხო-და მტრულიც რომ არის. ბოლოს, საიდაც შორიდან დაიყვირა: “ქალბატონო, ცხენები მზადაა!”, გაისმა [illegible] უმბერი ბუბუნი, მერმე ყელოქვების ხმა და აივანთან მოგორებული ეტლის ჭრაჭუნი. “აჰ, როდისღა მორჩებიან!” — წაიბუტბუტა გულგადაღლილმა მიტიამ, ფეხი არ მოუცვლია, მაგრამ ხარბად უსმენდა ოლდა პეტროვნას, გამგზავრების წინ განკარგულებებს რომ იძლეოდა საფარეშოში. მერმე ეჟვნები აჟრიალდა და ეს ჟრიალიც თანდათან მიყუჩდა ფერდობზე დაშვებული ეტლის გრიალში...

მიტია წამოიჭრა, დარბაზში გამოვარდა, დარბაზი დაცარიელებულიყო, ნათელ, მოყვითალო დაფიონს გაეშუქებინა, უცნაურ, საშიშ სიცარიელეს დაესადგურებინა მთელს სახლში. თითქოს აქაურობას ეთხოვებაო, მიტიამ ღია კარების გასწვრივ ჩარიგებულ ოთახებს გახედა — სასტუმროს, სამდივნოს, ბიბლიოთეკას, რომლის სარკმელშიაც ზეცის დასავლეთი კაბადონი ჩალურჯებულიყო, მწვანედ მოხასხასე ქორაფის ხატული კენწერო ჩანდა და მის თავზე ვარდისფერ წერტილად ანთებული ანთარესი... მერმე საპირფარეშოში შეიხედა, უნდოდა გაეგო, იყო თუ არა იქ პარაშა, რაკი ნახა, რომ საფარეშოც დაცარიელებულიყო. ბაღში ჩახტა, თავისი გრძელი ფეხებით ყვავილნარს გადაალაჯა, წამით გახევდა, მერმე დაიკუზა, ბაღში თავი შერგო, აკაციებითა და იასამნების ბუჩქებით გადაბურულ გვერდითს ხეივანს შეერია.

## XXVII

ცას მისხალი ნამი არ გაუგდო და, წესით, არც მიმწუხრის ბინდში ჩანთქმული ბაღის სხვადასხვარიგი სურნელება უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც საგრძნობი. მიუხედავად ამისა, თუმცა ამ საღამოს ყველაფერს ქვეცნობიერად იქმოდა, მიტიას მაინც მოეჩვენა, რომ არასოდეს, ალბათ, ყრმობის წლებშიაც კი, არ შეხვედრია ახლანდელივით მძაფრი და მრავალგვარი სურნელება. ყველაფერი ფშვენდა — აკაციის ხეები, იასამნის, მოცხარის, ოროვანდისა და მამულას ბუჩქები, ფოთლები, ყვავილები, ბალახი, მიწა...

მიტიამ აჩქარებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, “რომ მომატყუოს და არ მოვიდეს?” — ანაზდად გაიფიქრა და ტანში ჟრჟოლა შეუდგა (ახლა თითქოს ალიონკას მოსვლა-არმოსვლაზე ეკიდა მთელი მისი სიცოცხლე), მცენარეთა ათასგვარ სურნელკმევაში რომელიღაც სოფლიდან მოდენილი კვამლის სუნიც გამოარჩია, ერთხელაც შეჩერდა, შემობრუნდა: საიდაც ახლოს ნელიად ფრენდა და ბზუოდა ხოჭო და თითქოს სიჩუმესა და ბინდსა თესავდა, მაგრამ ზაფხულის ხანიერი, მთელს ნახევარ ცაზე მოდებული დაფიონი ჯერაც ანათებდა შემოგარენს, ხოლო ხეებს შორის აქა-იქ გამომკრთალი ცის გამ-

ჭვირვალე სიცარიელეში უკვე ელავდა ახალშობილი მთვარის მკაფიო, მახვილი ნამგალი. მიტიამ მთვარეს შეხედა, გულისკოვზზე აჩქარებით გადაიწერა პირჯვარი და ჯაგნარების ტევრში შევიდა. ხეივანი ლარტაფისაკენ მიდიოდა; საბძლის რომ მისდგომოდა, მიტია გუზად, ოდნავ მარცხნივ უნდა წასულიყო. მან ბუჩქებს გადაალაჯა, დაბლა ჩამოფენილ ტოტებში შემლიგინდა, თან ტოტებს ირიდებდა, იკუზებოდა. წუთიც და, დათქმულ ადგილზე იყო. მოშნეულად შეაბიჯა ჩახურებული ნამჯით აშმორებულ საბძელში. სიბნელეში მიმოიხედა. დარწმუნდა, რომ ალიონკა არ მოსულიყო და ცოტათი კიდეც გაეხარდა. საბედისწერო წუთი კი ახლოვდებოდა. მიტია საბძელთან დადარაჯდა, ერთიან ალღოდ და გრძნებად გადაიქცა. მთელი დღის მანძილზე ერთი წუთითაც კი არ სტოვებდა სხეულის უწყვეტი აღგზნება — ახლა უკიდურესად მოსძალებოდა, მაგრამ უცნაური იყო, რომ ეს აღგზნება მთლიანად კი არ მოიცავდა მას, არამედ მხოლოდ მის სხეულსღა ფლობდა, სულს კი არ ეკარებოდა. გული მაინც საშინლად უცემდა; ირგვლივ კი ისეთი უწყვეტი სიჩუმე იყო, რომ მხოლოდ საკუთარი გულისცემა ესმოდა. ტოტებში, ვაშლის ხეების მუქ ფოთლებში, ათასნაირ სურათებად რომ ეხატნენ საღამურ ცაზე, უჩუმრად, დაუცხრომლად ირყოდნენ ნაზი, მკრთალი ციცინათელები და სიჩუმეს თითქოს აღრმავებდნენ და აჯადოებდნენ. მოულოდნელად ზურგს უკან რაღაც გაფაჩუნდა და ამ ჩქამმა მიტიას თავზარი დასცა. იგი ფიცხლად მოტრიალდა მიწაყრილისაკენ, ვაშლის ხეების ძირში აბორიალებულ მრუმე საგანს მიაჩერდა, გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ ეს საგანი ახლოს მოეჭრა, რაღაცნაირად გაიფოფრა და, უცებ მის წინ ალიონკა ამოიმართა. ქალმა თავზე აფარებული შალი, უხეში ქვედაწელის კალთა ჩამოშალა და შემკრთალი, გაბადრული პირისახე გამოაჩინა. ფეხშიშველა იყო, მარტო ქვედაკაბა და მასში ჩატანებული უბრალო, უხეში პერანგი ეცვა, პერანგქვეშ ქალწულური ძუძუები ამობურცვოდა, ფართო საყელოდან მოშიშვლებული ყელი და მხრების თავები მოუჩანდა, იდაყვზე აკეცილი სახელოები კი სალუქ მკლავებს უჩენდა. მიტიას მხოლოდ ნაცმული ენახა ალიონკა, ახლაღა იხილა სისადავის მთელი მშვენიერებით მაღლფენილი. ყველაფერი — ყვითელი თავსაფრით გაკრული პაწია თავით დაწყებული და ნამცეცა, შიშველი, ქალური და, ამავე დროს, ბავშვური ფეხებით დამთავრებული — ისე კარგი, ისე ცხოველი, ისე ტურფა იყო, რომ მიტიას ღრმა ოხვრა აღმოხდა.

— აბა, ჩქარა რაღა... — მხიარულად, ქურდულად წაიჩურჩულა ალიონკამ, მიიხედ-მოიხედა, საბძლის სურნელოვან ბინდს შეეფრია და შედგა. კბილების რაკარუკი რომ შეეკავებინა, მიტიამ კრიჭა შეიკრა, საჩქაროდ ჩაიყო ხელი ჯიბეში — ფეხები რკინასავით დაძაგროდა — და დაჭმუჭნილი ხუთმანეთიანი ჩაუდო ხელისგულში. ქალმა მაშინვე უბეში დამალა ფული და მიწაზე დაჯდა. მიტია მის გვერდით დაეშვა, ყელზე მოეხვია, არ იცოდა რა ექნა, ეკოცნა თუ არა. მისი თავსაფრის, თმის სურ-

ნელი, მის ტანში გამჯდარი, ქოხისა და კვამლის სუნთან შერეული ხახვის სიმყრალე თავბრუს ახვევდა, საამო იყო და მიტია ხვდებოდა ამას, გრძნობდა. და მაინც, კვლავ ხორციელი ნდომის იმ დაუოკებელ ძალას მოეცვა, სულიერ ლტოლვასა, ნეტარება-აღმაფრენასა და განცხრომაში რომ გადაიდოდა. ქალი გულაღმა გადაწვა. მიტია მიუწვა, მიეხუტა, ხელი მოჰხვია, ქალმა წყნარად, ნერვული სიცილით დაუჭირა ხელი, ქვემოთ დასწია.

— არ შეიძლება, — თქვა. მიტია ვერ მიხვდა, ხუმრობდა თუ მართალს ამბობდა იგი.

ვაჟის ხელი ისევ ისე, მჭიდრედ ეჭირა თავის პაწია ხელში. მისი თვალები საბძლის სამკუთხა ჩარჩოში ჩასმულ ვაშლის ხეებს, მათი შტოების მიღმა მიბინდულ ლურჯ ზეცასა და ანთარესის კენტ, უძრავ წერტილს მისჩერებოდნენ. რას მეტყველებდნენ ეს თვალები? კიდევ რა იყო საჭირო? ყელზე, ტუჩებში კოცნა? უცებ ალიონკა თავის მოკლე, შავ ქვედაკაბას წაეტანა:

— აბა, ჩქარა რაღა... — თქვა სულწასულმა.

როცა ადგნენ, მიტია საოცარ იმედგაცრუებას გრძნობდა. ალიონკამ თმა გაისწორა, თავსაფარი მოიხვია და ცოცხლად, ჩურჩულით ჰკითხა, უკვე ისე, როგორც ახლობელსა და საყვარელს შეეფერებოდა:

— გაიგე, სუბოტინოში ყოფილხართ, თურმე მღვდელი გოჭებს ყიდის იაფად, ნეტა, მართალია? არ გაგიგიათ?

## XXVIII

ამავე კვირის შაბათ დღეს კოკისპირულად ასხამდა ოთხშაბათს დაწყებული და დილიდან გადაუღებელი წვიმა. შაბათს მაინც სულ მოიხსნა ცამ პირი, მერეხი დაუშვა.

მიტიასაც მთელი დღე მუხლი არ ჩაუხრია, ბაღში მიმოდიოდა და ისე მწარედ ტიროდა, ზოგჯერ თვითონაც უკვირდა თავის ცრემლების ძალა და უხვობა.

პარაშამ ეზო და ცაცხვების ხეივანი შეაწრიალა, ეძებდა და ეძახდა მას, მაგრამ მიტია არც გაპასუხებია და არც სადილზე და ჩაიზე შესულა შინ.

ციოდა. ლეგლუგა ღრუბლები შემოგარენს გამთოშავი ნესტითა და ბინდით კრავდა. ბაღის აბურდული სიმწვანე უფრო ხშირი და ხასხასა ჩანდა ღრუბელთა ყომრალ ფონზე. დრო-დრო მოტყვებული ქარი ხეებს ღვართქაფს აყრევინებდა, შხეფთა კორიანტელს აყენებდა. მაგრამ მიტია დაბრმავებულიყო, არაფერს აქცევდა ყურადღებას: თეთრი ქუდი მუქ-ნაცრისფრად ჩამოეფლაშა, სტუდენტური ქურთუკი ჩამოუშავდა, მუხლებამდე ამოელაფა ფეხები. მართლაც რომ საშინელი სანახავი გახდა: თავით ფეხებამდე გალუმპული, სახეგამტკნარებული, ნამტირალევი, თვალებარეული... პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, ფართო ნაბიჯით დააბოტებდა ატალახებულ ხეივანში, ხან — სადაც მოუხდებოდა, ვაშლისა და მსხლის ხეთა ძირებში ყრილ ბალახ-ბულახში დაღაჟუნობდა, აწყდებოდა მრუდე,

დაკვარჯღულ, მუქმწვანედ შეხავსულ როკებს, ჯდებოდა გაფიჟინებულ, გაშავებულ ძელსკამზე, დარტაფში ჩადიოდა, წვებოდა საბძლის ჩაყანტებულ ნამჯაზე, იმავე ადგილას, სადაც ალიონკასთან ერთად წოლილა. სიცივისა და ბნელში გამჯდარი მსუსხავი ნესტისაგან დიდი ხელები ეყინებოდა, ბაგეები ჩაეტეტკა, პირზე სიკვდილის ფერი [illegible]ნაცვენილი სახე გაუმწვანდა. გულაღმა იწვა, ფეხი ფეხზე გადაედო; ხელები თავქვეშ ამოეწყო, გიჟივით უცქეროდა ნამჯის ნაშავებულ სახურავს, საიდანაც ხოშორი და ჟანგიანი წვეთები ცვიოდა. მერმე სახის ნაკვთები დაეძაბებოდა, წარბები აუთამაშდებოდა და ფეთიანივით წამოიჭრებოდა, ჯიბიდან ასჯერ გადაკითხულ, დათხვრილ-დაჭმუჭნილ ბარათს იღებდა (ბარათი გუშინ საღამოს მოეტანა რაღაც საქმეზე მამულში რამდენიმე დღით ჩამოსულ მიწისმზომელს) და ათასმეერთეჯერ ნთქავდა სტრიქონებს:

"ძვირფასო მიტია! ცუდად ნუ მომიგონებთ, დამივიწყეთ, ყველაფერი დაივიწყეთ, მე თქვენი ღირსი არა ვარ, ქარაფშუტა და ხელიდან წასული ვარ, მაგრამ გაგიჟებით მიყვარს ხელოვნება! უკვე გადავწყვიტე, გადაწყდა ჩემი ბედი, მივემგზავრები – იცით, ვისთან ერთადაც... თქვენ მგრძნობიარე ხართ, ჭკვიანი, თქვენ გამიგებთ, გევედრები, შენც ნუ იწამებ თავს და მეც ნულა მტანჯავ! წერილი აღარ მომწერო, ამას აზრი აღარ ექნება".

ამ სტრიქონებს რომ ჩაიკითხავდა, ბარათს ჭმუჭნიდა, სახეს სველ ნამჯაში მალავდა, გაცოფებული აჩრჭიალებდა კბილებს, ქვითინით იხრჩობოდა. ეს უნებური "შენ" ყველაზე ძნელი ასატანი იყო, იგი ახსენებდა და აღადგენდა მათ გარდასულ სიახლოვეს, გულში უსაზღვრო სინაზეს უღვრიდა. და სწორედ ამ "შენს" მოსდევდა მტკიცე მოთხოვნა, წერილს ნუღარ გამომიგზავნიო, რამეთუ უკვე ფუჭიაო. დიახაც ფუჭი იყო! ყველაფერი დასრულდა და სამუდამოდ დასრულდა!

ნაშუადღევს ბაღს გაათკეცებული ძალით, მეხის უეცარი დარტყმებით დაატყდა წვიმა და მიტია გააქცია – თავით ფეხებამდე სველი, გათოშილი, აკანკალებული; მან ტოტებში გაიჭვრიტა, დარწმუნდა, რომ კაციშვილი არ უმზერდა, მიირბინა თავის სარკმელთან, ფანჯრის ჩარჩო ასწია (ძველებური ჩარჩო იყო, ერთი თვალი ასაწევი ჰქონდა), ოთახში გადაძვრა, კარი გასაღებით ჩაიკეტა და ტახტზე მიეგდო. თანდათან ბნელდებოდა. ყველგან წვიმა ხმიანებდა – სახურავზეც, სახლის გარშემოც, ბაღშიაც. ორპირი ხმაური იყო: ბაღში – სხვა, სახლის ირგვლივ, შეტბორებულ ლაფაროში ჩაქცეული წვეთების განუწყვეტელ ლიკლიკსა და შხაპუნში – სხვა. ეს ხმაური აუხსნელ განგაშსა და ხურვებაში ჩხვევდა წამიდან წამზე სადღაც ლეთარგიულ გარინდებაში დანთქმულ მიტიას,თითქოს ნარკოზით მსჭვალავდა, უქმნიდა რაღაც გარეშე სამყაროს, მოგხიბავდა და მიტიაც თითქოს ხედავდა შემაძრწუნებელი წინათგრძნობით მოცულ უცხო სახლს, სადა თითქოს რომელიღაც სხვა საღამოს დაევანებინა, იცოდა და გრძნობდა, რომ თავის

ოთახში იმყოფებოდა, წვიმისა და მოძალებული მწუხრისაგან შებნელებულ ოთახში; გრძნობდა, რომ იქ, დარბაზში, ჩაის მაგიდას უსხდნენ და საუბრობდნენ დედა, ანია, კოსტია და მიწისმზომელი, მაგრამ ამავე დროს უკვე რომელიღაც სხვა სახლშიაც მიაბიჯებდა ახალგაზრდა ძიძის კვალზე და [illegible] და უცნაური, სულ უფრო მზარდი ძრწოლა, შერეული [illegible]თან, რაც ვიღაცის ვიღაცასთან შეერთების წინათგრძნობით იყო გამოწვეული, არაბუნებრივი და საზიზღარი იყო, მაგრამ რაშიც როგორღაც თვითონაც მონაწილეობდა. ყოველივე ეს ცნაურდებოდა დიდი და თეთრი პირისახიანი ბავშვის მეშვეობით, წელში გადაზნექილ ძიძას რომ აეტატებინა და რწევით მიჰყავდა. მიტია მის გასწრებას ლამობდა, გაასწრო კიდეც და ახლა სახეზე უნდა შეეხედა — ალიონკა ხომ არ იყო იგი? — მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა გიმნაზიის ბინდითმოცულ საკლასო ოთახში, ცარცით მოთხვრილი მინები რომ ჰქონდა. ოთახში, განჯინასთან, სარკის წინ ვიღაც ქალი იდგა. მიტია უჩინარი გახდა, ქალს არ შეეძლო მისი დანახვა... ქალს აბრეშუმის ყვითელი ქვედაკაბა შემოტმასნოდა მოკვერცხილ თეძოებზე. ეცვა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და აჟურული წინდები, რომელშიაც ხორციელი სისავსე გამოსჭვიოდა. ქალს რცხვენოდა, სახე ატკრეცოდა, რადგან იცოდა, რა უნდა მომხდარიყო ახლა. უკვე მოასწრო და ბავშვი განჯინის უჯრაში დამალა. ნაწნავი გადმოიგდო, იწნავდა, ცალი თვალი კარისკენ ჰქონდა. ისე კი სარკეში იყურებოდა; სარკეში ირეკლებოდა მისი პატარა, შეპუდრული სახე, ტიტველი მხრები და მოცისფრო, რძისფერი, ვარდისფერკერტებიანი, კოკობა ძუძუები. კარი ფართოდ გაიღო, ჯიქურ შემოვიდა სმოკინგიანი ბატონი — გაპარსული, გაფითრებული სახე ჰქონდა, მოკლე შავხუჭუჭა თმა — მიიხედ-მოიხედა, ამოიღო ოქროს ბრტყელი სათუთუნე, თამამად და უბოდიშოდ გააბოლა. ქალი მორჩა თმის დაწვნას, მორცხვად შესცქეროდა ბატონს, იცოდა მისი მოსვლის მიზანი... მერმე ნაწნავი მხარზე მიიფუშა. ასწია შიშველი ხელები... კაცი მოწყალედ მოეხვია და ქალმაც მოაჭდო მას მკლავები — მუქი იღლიები გამოუჩნდა — მიეკრა, სახე მის მკერდში ჩამალა...

## XXIX

და მიტია გამოერკვა. მთლად ოფლში გალღვრილიყო. შემაძრწუნებელი სიცხადით შეიგრძნო, რომ იღუპებოდა. მიხვდა, ამ სამყაროზე დაყანებული ესევითარი უსაშველო უსახურება და გულქვაობა ქვესკნელშიაც, სამარეშიაც არ იქნებოდა. უკვე ბნელოდა, ფანჯრების მიღმა წვიმა ხმიანებდა და ეს ხმაური, წყლის შხაპუნ-თქრიალი, მარტო თავისი ხმითაც კი აუტანელი იყო ცხროიანი, აძაგძაგებული სხეულისათვის. ყველაზე უფრო ამაზრზენი კაცთ აღრევის საკვირველი არაბუნებრიობა იყო, რაც მან თითქოს იმ გაპარსულ ბატონთან ერთად ეს-ესაა გაიზიარა. დარბაზში გახმიანებული ლაპარაკი და სიცილიც არაბუნებრივი, შემაძრწუნებელი და უცხო იყო — ცხოვრების

სიტლანქე, მისი გულგრილობა და დაუნდობლობა ეცნაურებოდა ამ ხმებშიაც...

— კატია! — საწოლზე წამოჯდა და ფეხები ჩამოუშვა, — კატია, ეს რა მოხდა! — თქვა ხმამაღლა; სწამდა, რომ კატიას ესმოდა, აქვე იყო, და თუ არ ეპასუხებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონაც დათრგუნვილიყო, ეგრძნო ამ ქვეყნის მთელი საშინელება. — ეჰ, სულ ერთია, კატია, — წაიჩურჩულა მან მწარედ და ნაზად, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ყველაფერს აპატიებდა, ოღონდ კი ის ძველებურად მოვარდნილიყო, ოღონდ კი ორივენი გადარჩენილიყვნენ, ოღონდ კი გადაერჩინათ სულ ცოტა ხნის წინათ ასეთ სამოთხისდარ საგაზაფხულო სამყაროში მორჭმული თავიანთი მშვენიერი სიყვარული, მაგრამ, როცა წაიჩურჩულა: "ეჰ, სულ ერთია, კატია!" — იგი მაშინვე მიხვდა, რომ არა, ყველაფერი სულ ერთი არ არის, რომ ხსნა და დაბრუნება იმ უცხო ჩვენებასთან, რაც ერთხელ მოეცა შახოვსკოეში, ჟასმინით გადაბურულ აივანზე, მეტად აღარასოდეს ექნებოდა, მიხვდა და წყნარად ატირდა გულის დამფლეთი ტკივილისაგან.

ეს ტკივილი ისე ძლიერი, ისე აუტანელი იყო, რომ არც ფიქრობდა, თუ რას ხნადიოდა, არც იცოდა, რა დაემართებოდა ამით, ძლიერ სურდა მხოლოდ ერთი რამ — თუნდაც წუთით გათავისუფლებულიყო ამ ტკივილისაგან და კვლავ არ მოხვედრილიყო იმ საშინელ სამყაროში, სადაც დაჰყო მთელი დღე და სწორედ ეს-ესაა იხილა მიწიერ სიზმართაგან ყველაზე შემაძრწუნებელი და უხამსი სიზმარი — მან თითები მოაფათურა პაწია სალამურ მაგიდაზე, გამოწია უჯრა, რევოლვერის ცივი და მძიმე ტარი მოიხელთა, ღრმად, ნეტარებით ამოისუნთქა, პირი გააღო და ძალუმად, განცხრომით დასცალა...

# ლატვიური პოეზია

## ვიტაუტს ლუდენსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიურიდან
თარგმნა რენე კალანდიამ

### ქებათა ქება დაღლილობას

ქება-დიდება დიდ დაღლილობას! — ბაღახბულახის მთიბავისა, კირითხუროს დაქანცულობას, შეშის მჭრელის დაღლილობა-მოქანცულობას — ბოლო კუნძის გაპობის შემდეგ.

ქება-დიდება დიდ დაღლილობას! — ვრცელი პოემის დაწყება-გასრულებისას, ოფლით და ცრემლით დასმულ წერტილს და ღრმა ამოხუნთქვას პოეტისას; ფერწერული ტილოს დაშრობას მზიურ-მწყურვალე მხატვრის მიერ — გაშლილ და ბოლო მოსმას ფუნჯისას — ადრე შორეულ, ახლა კი უკვე თვალწინ მდგარი პლანეტების შარავანდში მოქცევას ნამდვილ ფერმწერისას — იმ პლანეტებზე წვალებით ასვლის შემდეგ.

ქება-დიდება დიდ დაღლილობას! — თითოეული თმის ღერიდან თავად ფეხის თითებამდე დაღლილობის ასომთავრულით შენში წერია. შენს გატანჯულ სულსა და ხორცში გამჯდარია შენი მარადი უძილობის, შრომა-ჯაფის, ოფლის, სისხლის და ცრემლის წვეთები. და დიდი დაღლილობის სიტყვები შენი გულისთქმით ამბობენ: საქმე, რომელიც შენ გაასრულე, იყო ფრიად მნიშვნელოვანი, ვიდრე შენი ყოველდღიური, ჩვეულებრივი სამუშაო — სამსახური და მისთანანი, რაც შემოქმედ ადამიანში დაღლილობის კვალსაც არ ტოვებს...

ახლა კარგად ჩანს, რომ გიშრომია, არა შენი ძალ-ღონის ერთი მეათედით, არამედ მთელი ძალისხმევით.

შენ მხოლოდ საყრდენი წერტილი იპოვე.

შენ მარტოოდენ ბერკეტის სწორი მხარი განსაზღვრე და ყველაფერი გამოგივიდა.

და თუ ამ ბებერ დედამიწას არ გადაატრიალებ, უკვე გექნება შესაძლებლობა, რომ თუნდაც ერთი ადამიანის ცხოვრებას მაინც, სახით მზისკენ მიატრიალებ და განათდება იგი მარადიული ნათელით.

ქება-დიდება დიდ დაღლილობას! — მთელი ძალ-ღონის კვადრატში, კუბში აყვანის შემდეგ: შენი ძალ-ღონის ქვაზე, ხეზე, რკინაზე კვლავ მოსინჯვის შემდეგ, მთელი ძალის უსასრულო და უსაზღვრო სილახვავზე მოსინჯვის შემდეგ.

ქება-დიდება დიდ დაღლილობას! — ის წინაპართა დანატოვარი თიხის უწმინდესი ჯამია, რომელიც უნდა აღივსოს პირთამდე ახალი ძალ-ღონით, ახალი რწმენით.

## ფარები

ჩვენი ხალხური სიმღერები ძველთაძველი და კვლავ უდრეკი ფარებია, ჩვენ მათ დავიდებთ თავსასთუმალთან ომჟამად.

აწ გარდასულ წინაპართა სულის სიმტკი[illegible]ის ნაჭედი ფარებია, მამა-პაპათა ხელების მადლით ალ[illegible] ჩვენ კვლავ ვისუნთქავთ მამულის ჰავას, როგორც ბორცვები დედამდინარის – დაუგავას ნაპირებზე – მოდარაჯენი.

ჩვენ თვალები ღია გვექნება აწ და მარადის, და ვერვინ შესძლებს, რომ თავს დაგვესხას მოულოდნელად, და მშობლიური – ასე ძვირფასი დაუგავას კალაპოტი ამოავსოს ჩვენი ნაგვემი გვამებით და დაჩეხილ ძვლებით.

ლატვიელი ხალხი უკვე პირქუში ქვაა, ისტორიის ქარტეხილებში გამოჯეკილი თიხა და ქვიშა, საუკუნენი ჩვენი ერი ადიოდა მაღლა და მაღლა დაჭრილი, მაგრამ გადარჩენილი, რომ ქვევით, დაბლა დაუგავას შესძლებოდა დინჯად დინება და ხალხის თუვზით დასაჩუქრება.

ჩვენი ხალხური სიმღერები ხომ ძველთაძველი და ამაყი ფარებია – აწ გარდაცვლილ წინაპართა გამრჯე ხელებით გამოჭედილი, თუ ჩვენ მათ დავდებთ თავსასთუმალთან, არ მოგვასვენებს მათი ჟრიალი, ჭახანი არც სიზმარ-ცხადში, არც მერმისში, ჩვენსკენ მომავალ საუკუნეთა მოლოდინში ვერ დაგვაწვება ძილქუში – აწ უდარდელად ნამდვილად არ დაგვეძინება.

●

ყმუის ძაღლი – კბილჩოლქურა –
ზამთრის კართან: ბედმა
მას წაართვა პატრონი, მზე
დაუბინდა ქარბუქმა, ხოლო ყინვამ
გაუნელა საოცარი სურნელება
ასე ტკბილად დასატკბერი ძვალის.

## მურყანი

მურყანს ძალუძს, რომ რტოებით დაიჭიროს ღრუბლები,
და მურყანის ძირში შეიძლოა ჩახუტება, კოცნაც,
და მურყანის ძირში შენ დარჩები, ჩემთვის უძვირფასესო.
უმაღლეს და ულამაზეს არსებად.

მიხარია,
მწვანე კაბა მურყნისა, რომ სადა არის:

და მე მიმიფურთხებია,
რომ არ მოსწონთ მისი შეშა,
და არჩევენ ალვისას.

მურყანის მადლი, კარგად მახსოვს, ამაყად იდგა,
ჩემი პირველი სიყვარულის აკვანს ზემოთ და...
ხოლო, რაც შეშას შეეხება, არ მედარდება,
რადგან ამ ზამთარს ნაღდად მეყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედა ენა

დედაო ენავ,
შენი სიტყვების საფეხურებით
მე ავაღწიე ჩემს ერამდე.
ო, ლატვიურო ენავ,
შენი სიტყვების
ცრემლისფერი საფეხურებით
ადის ერი მაღლა-მაღლა და
სიცოცხლის მინდვრებში გადის.
ოფლის და ოქროს საფეხურები,
ცრემლის და ვერცხლის საფეხურები,
დაღვრილი სისხლის საფეხურები! —
დაე, ყოველი სულდგმული და
ამაყი სული გრძნობდეს მარად,
რომ იგი უკვე მზესთან ახლოა,
ანუ მზემდე
ერთი საწუთრო დარჩა.

●

ქარის სანოტო ხაზზეა
დო – რე- მი – ფა წვიმის,
აკორდები სინათლის და
პაუზები უკუნის.
ვალტორნები ქვისა და
ხავსის ვიოლინოები.
ქოროები ზღვათა და
მდინარეთა ანსამბლები:
ღვთაებრივი მუსიკაა,
რომელიც ჟღერს
მწვანე უსასრულობად.

●

როგორც ძროხა სათიბში ან ცხენი ჭალაში,
იბერება სახურავი: ფისი დნება, წვეთავს...
ხოლო ყავრის ფართო ფურცლებს ნეკერჩხლებთან გადაშლილით,

ესალმება ფიჭვი და მოწკრიალე ზღვაც.

ვერცხლისფერი ლურსმანი იჟანგება წვეთებით
და გულმძიმე დრუბელი ყავარს ეხახუნება,
კრთიან სახურავები — ბნელში — თავგამეტებით...

საგულისხმო საათში წუთების დაფეთებით
გაიქროლეს უკუნში მწვანე ტყის კაცუნებმა...

●

ქვეყნიერების ყველა ტკივილი
შეუერთე ტკივილებს შენსას,
დედამიწის ყველა წყურვილი
დაუმატე საკუთარ წყურვილს,
და ყველა გზით დინჯად იარე
მხოლოდ ადამიანურობისკენ,
რათა შემთხვევით არ მიხვიდე
ზეიმზე არაადამიანთა.

●

როცა ნაშობი ჩვენგნით ტალღა — ჩვენივე პირმშო
მეც გამანათებს და შენც, ძვირფასო,
და უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ რატომ წარმოვადგენ მე დროს,
და შენც, ძვირფასო, დრო რატომ გქვია:
რატომ ვაშენებთ ბუდეებს — სახლებს
უძლიერესი და უზუსტესი საათებისგან
და არასდროს გარდავიცვლებით — ისე, უდროოდ,
ჩვენ არ მოვკვდებით, იმიტომ რომ გვწამდა და მჯერა,
რადგან ირგვლივეთს ბალღი — ტალღა ასხივოსნებდა,
დღესაც ნათელს ჰფენს სიყვარულით, უდასასრულოდ...

## ცეცხლოვანი ციხე

დუმელის კარი გაეღო —
ბჭე ცეცხლოვანი ციხის:
ცეცხლისფერ ტახტზე იჯდა
ხელმწიფე — ცეცხლოვანი,
მართავდა ცეცხლის სამეფოს.
მეფეს ასული ჰყავდა —
პრინცესა — ალისფერი...
ცეცხლისფერ ხმით ალრიალდნენ
დარაჯნი — გველეშაპები:
ვერ იქნა, ვერ შეაღწიე
ცეცხლოვან სამფლობელოში.

●

ყოველს, ვისაც კი საკუთარი ნაჯახი აქვს,
შეუძლია თავი თვისი მომავალში თვითონ გაიპოს?

თითოეულს, ვისაც ოჯახში საკუთარი ურო შემორჩა,
შეუძლია, რომ მყოფადში თავი თვისი ჩააჭედოს როგორც ლურსმანი.

კაცადკაცს, ვისაც საკუთარი სიმღერა აქვს წუთისოფელში,
შეუძლია, რომ თავი თვისი
თუნდაც მერმისში აამღეროს ომახიანად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ქურდი

...ქება-დიდება იმ ქურდს, რომელიც
მსოფლიო მტრობას მოიპარავს და გადამალავს...

●

ქვიდან
ცული გამოკვეთე.

ბუმბულისგან
გააკეთე ურო.

სილახვავის წარსულიდან –

ქვიშის ნამცეცებიდან
ამოხაპე სიმღერების სუვდა.

კიდე-კიდე იარე და
რამდენიმე ხიდი გადე
გაუგებარ საწუთროდან
დაუკავშირებელამდე.

## ალექსანდრე ჩაქსი

### მე და მატარებელი

ღამე.
უცნობი სადგური.
სინათლეები – ყვითელი ძონძები.
კონდუქტორი უსტვენს მეათეჯერ,
მაგრამ მატარებელი არ იძვრის.
კონდუქტორი უსტვენს მეთერთმეტეჯერ –
ერთი და იგივე.

მე ვზივარ ციცქნა
რესტორნის ბუტერბროდივით პაწაწინა
და ბნელ ვაგონში,
ასანთს ვაჩხაკუნებ მეათეჯერ,
მაგრამ ასანთი ქრება.
მე –

ვაგონში მჯდარი — ჯიუტად
ასანთს ვაჩხაკუნებ მეთერთმეტეჯერ —
ერთი და იგივე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაშინ ვდგები და ვაღებ ფანჯარას,
რომ შემოვუშვა სუფთა ჰაერი,
ხრიალით ვაღებ დამპალ ფანჯარას,
რათა გავაღვიძო მემანქანე.
მატარებელმა მიაკივლა და დაიძრა,
ვაგონში სუფთა ჰაერი შემოიჭრა,
და, როგორც იქნა, აენთო ასანთიც,
წითელი ვით გული ჩემი.

## მე და მთვარე

მთვარევ,
ეს შენ ხარ ერთიანად
ყვითელი სიმბოლო ვნებათა,
რომელთაც ღამე აფრქვევს უხვად —
უდასასრულოდ.

ო, როგორი უსირცხვილო ხარ:
დაეხეტები ველ-მინდვრებში,
დაეთრევი ქალაქებს ზემოთ, —
მრგვალი და თანაც შიშველი,
როგორც მოხუცის კეფა.

უზრდელო:
შარვალი მაინც ჩაგეცვა, როცა მიდიხარ
სხვადასხვა სახლში უწვევ სტუმრად —
საქორწილოდ, ანდა სულაც
ფანჯრებში ურცხვად შესაჭვრეტად...
ავხორცო,
ბილწო,
ყიამყრალო,
ინტრიგანო ბერბიჭავ და
ცრუო შერლოკ ჰოლმსო.

უჰ, როგორ მძულხარ,
შენ — მოთვალთვალე,
შენ — ყვითელი,
შენ — მქირდავი...
შენ, ლაჟვარდის მარადიულო მეფისტოფელო,
მძულხარ,
თუნდაც იმის გამო, რომ კარგად იცი,
თუ რა ცუდი ვარ, რა საძაგელი,
და რანაირი საზიზღარი ვნებების ჭურჭელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოადგენს სული ჩემი –
მავანისთვის უმიზეზოდ მოწრიალე და
მოუსვენარი,

ეჰ, რომ შემეძლოს
შენი მოწყვეტა ცის სიმაღლიდან.
შე ეშმაკო,
ჩემი სიმწრის გამღვიძებელო;
რა დაგიშავე,
რატომ მაწამებ ნეტავ?..
დამეკარგე,
არ დამენახო,
ან მიხსენი და გადამარჩინე –
ამაშორე ავ მისწრაფებებს, ტანჯვა-წვალებას,
რომლებიც ფლეთენ ჩემს დაღლილ სხეულს...
ოღონდ თვალებში ნუ მიყურებ
ქედმაღლური დიდსულოვნებით,
ვით საყვედური, ჩუმი დატუქსვა,
ნუ მიყურებ თვალებში, როცა
ჩვენს ირგვლივ მხოლოდ ღამეა.

მთვარევ,
ეს შენ ხარ ყრთიანად
ყვითელი სიმბოლო ვნებათა,
რომელთაც ღამე აფრქვევს უხვად –
უდასასრულოდ.

## ჩემი აბანოს ჭიების ანსამბლი

ძვირფასო ჩემო,
შენი გულისთვის
ვირის საპალნეს ავიკიდებდი
და ტიბეტისკენ გავუტევდი.
ხოლო შენ კი?
შენ ძველებურად გეცინება და ისედაც
თლილი თითების წვერებზე ფრჩხილებს
თითქმის იქლიბავ პაწია ქლიბით...
სული ჩემი მტვერივით წევს
შენი ულამაზესი კაბის ძვირფას ნაკეცებში.

სამწუხაროა,
რომ სწორედ ახლა,
ტვინი ჩემი ნეკრისის ქარით დაავადდა...
რაღა უნდა ვქნა?
ლუდხანა გავხსნა?

მაგრამ თუ იქაც არ გამიმართლა,
ხელი მოვკიდო რამე უბრალო,
უწყინარ საქმეს,
ვიჩალიჩო...
ჰო რას იტყოდი ნეტავ?..
ცუდია, ცუდი! –
ჭაკურად მიდის ჩემი ცხოვრება...
ჰა, ოდნავ მაინც რომ გაამო,
გახიამოვნო,
როგორმე გული მოვიგო შენი,
მე ბითუმად მოვაჭრესგან ვიყიდე
თორმეტი აბანოს ჭია –
ყავისფერი და დიდულვაშა
და ჩემს ოთახში გავუშვი.
ახლა ისინი იქ დადიან ამპარტავნულად,
კრიალა ლოყებს ისუსხავენ
იატაკსა და შპალერზე.
მაშინ
ძველ სარკეს
ჩერწყვით /ბოდიში!/
ერთ საათში დავუბრუნე ადრინდელი ბრწყინვალება,
შემდეგ კი
სარკის ცივ და პრიალა ზედაპირზე
ოცი ფანდი – ხრიკი – ტრიუკი –
სხვადასხვა სცენა გასწავლეთ,
მე და თაყვლმა ერთად ჩავუდეთ თავში,
ყავისფერ და დიდულვაშა აბანოს ჭიებს.

როდესაც სული შენი, ძვირფასო,
სიმარტოვისგან აწრიალდება
და შეშფოთება დაგეუფლება,
გამაგრდი და
წამოდი ჩემთან...
აქ ყველაფერი,
ყოველი ნივთი ძველებურად –
მოგონებებით,
წარსულით და სიზმრებით ცოცხლობს...
ნუ გეშინია,
აჩრდილების და ორპირი ქარისგან დასაცავად
შენს უსათუთეს მხრებს აქ დახვდება
ხავერდოვანი თავსაფარი,
რომელსაც ნაზად ვინახავ
ჩაის ვარდის ფურცლებთან ერთად
ჩემს ძველთაძველ კარადაში...
შენ აქ იქნები კოხტად ჩამჯდარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბუაჩემის მუქ წითელ და თანაც საოცრად ღრმა სავარძელში,
ხოლო შენს წინ,
ძვირფასო ჩემო,
ოთახის ლურჯად იდუმალ მწუხრში
ჩემი თორმეტი აბანოს ჭია
აღულუნდება,
უფრო ნაზად და
უფრო ტკბილად,
ვინემ მტრედები...
დიდუღლვაშა აბანოს ჭიებს
ფანჯრიდან ხარბად და ალმაცერად
დაუწყებს თვალთვალს
ერთადერთი ჩემი ქათამი.
საღამო ჟამს,
როცა ჩემი ციდა ოთახი
შენთვის გახდება მრუმე,
შენ გგონია, რომ მოვიწყენ,
მოვიშლები და ამეწეწება ნერვები?
არა, ძვირფასო,
სულაც არა!
გაძვალტყავებულ პურის ყუას
უკვე ამოჭმულს და საოცრად თხელს
ფარატინა ქაღალდივით,
ფრთხილად დავკიდებ ჭერზე,
როგორც ერთადერთ ლამპიონს
და ოთახში ყოველი ნივთი,
თვით უმნიშვნელო საგანიც კი
მიიღებს მხოლოდ მისთვის ნიშნეულ
და უცნაურ მოხაზულობას.
მე კი
დავუკრავ, ძვირფასო, შენთვის
ჭიშკრის ძველთაძველ გასაღებზე,
ასგზის ჯადოსნურ ფლეიტაზე...
და დაიღვრება ჯადო ბგერები –
პაწაწინა და მწვავე ცახცახით
იდუმალება აშრიალდება...

ჩემო ძვირფასო,
სწორედ მაშინ,
ოთახის ჩუმ სიგრილეში და ნოტიო ელვარებაში,
ძველი სარკის ლანდისებრ და
თვალისმომჭრელ ზედაპირზე, როგორც სცენაზე გამოვლენ ნაზად
ჩემს მიერ ადრე გამოწვრთნილი ძმები –
აბანოს ჭიები
და დაიწყებენ ამაყად,

ქით დიდებული ფარშევანგები დაკვრას:
აჟღერდება ფერენც ლისტის "უნგრული რაფსოდიები" და
ედვარდ გრიგის "ოზეს სიკვდილი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოი, სამყაროვ, შეჩერდი!
და შენ, ძვირფასო,
არ ვიცი, თუ გეამებოდა, ჩემო კარგო,
და ამ მეჯლისზე გაიღიმებდი,
ანაზდეული სიხარულისგან,
უეცრად ჩემი ვეება გული გადიქცეოდა
ულამაზესი ყვავილების გვირგვინად და
ჩემს ბეჯით მოწაფეებთან ერთად,
რომელთაც ამდენი ხანი –
ღამღამობით ვასწავლიდი,
ვავარჯიშებდი,
წავიდოდი გერმანიაში
და ჰამბურგის ბნელ ბუნაგებში,
სადაც ნოტიო, გრილი ჰაერი
ეჭვიანი კაქტუსივით მტკივნეულად ჩხვლეტს
მოხმურთა ფილტვებს,
იქ,
სარდაფების თამბაქოს ბოლში,
დიდუღლეაშა შეგირდები –
ჩემი აბანოს ჭიები
ვალსში დატრიალდებოდნენ
ლაღად, ზეუმაღლესი ჰაეროვნებით...
უშიშრად გადაახტებოდნენ ცეცხლმოდებულ მუგუზლებს და
იფრენდნენ როგორც ჭრიჭინობლები,
თან იმღერებდნენ ხმამაღლა
ცნობილ ინგლისურ მარშებს...

აღტაცებული მატროსები
ღრიანცელში დაუწყებდნენ ყროშანეთს ჩიბუხების სროლას,
ჭიქების მსხვრევას,
ხოლო მე
დროს მოვიხელთებდი
და ლოთების რია-რიაში
ჩამოვივლიდი მოწკრიალე სპილენძის ჯამით
და მორიდებით შევაგროვებდი
ფულს შენთვის, ჩემო ძვირფასო...
თუმცა შემდეგ
/აჰ, ნეტავ ახლა წამომეწყო ის სენტიმენტალური სიმღერა!/
ერთ-ერთი ჩემი საშიში
და მელაძუა მეტოქე,
კარგა ხნით ერთგულ ჩემს ლაქიას მოისყიდის და...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგი – მართლაცდა ლაქია,
მზიან დილით,
როცა ულურჯეს იაპონურ აბრეშუმზე
ჯერაც სძინავთ
მთელი ღამე ვალსის ცეკვით დაღლილებს და
გულუბრყვილო, დიდულვაშა აბანოს ჭიებს,
ლაქია
მწვანე, სასიკვდილო ფხვნილს მოაყრის და მორჩა, გათავდა...

მე კი
ნანახით შეძრწუნებული
სულ ამაოდ დავუწყებდი თვალცრემლიან აბანოს ჭიებს
ტანის დაზელვას
ჩემი საუკეთესო სპირტით:
ისინი მაინც მოკვდებოდნენ
საშინელ-ტანჯვა-წამებაში...
შემდეგ
საერთო კუბოსთან,
თანაც ძვირფასთან და დიდებულთან
ვიქნებოდი მუნჯივით მდგარი
მწუხარე და საბრალო ჭირისუფალი,
ხოლო ჩემს გვერდით – ორთავე მწვრთნელი, –
ორი მაღალი, საოცრად ჩუმი და ფიქრიანი ფინელი,
ჩვენს ხელებში კი უმწუხარესად
დახრიდნენ თავებს დაბლა
ქვეყნიერების ულურჯესი და ულამაზესი ია-იები.
შემდეგ
ჩვენ დავკრძალავდით აბანოს ჭიებს სახელოვან
ჰამბურგის მწერთა სასაფლაოზე...
გავა ხანი
და მოვარდება აპრილი,
აყვავდებიან ხეები,
მე რა მომივა ნეტავ?
იქნებ მავანი ფიქრობს,
რომ დამინახავს,
სადმე უსაქმურს,
მდინარის პირას, ანკესით ხელში
ნაფოტას მოლოდინში გატრუნულს?..

არა!
ვიქნები მშიერ-მწყურვალი,
აღარ მექნება საბრალოს გროშიც,
ვერც ვიმათხოვრებ, ჰოდა,
ჯიბეში ბრაწით – ყინჩად ვივლი

ყარიბი:
– დამბადებელო, გვედრი, მითხარი, რისთვის შთამბერე სული?
დუმილი. ისევ დუმილი? მაშინ,
ჩემო ძვირფასო,
რომ დაგივიწყო,
– შენ, უდიდესო სიყვარულო და უბედურებავ, ჩემო სიცოცხლევ,
რომ დაგივიწყო სამარადისოდ,
წავნანწალდები ხრიალა პორტში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ – ნავსადგურში გადავიქცევი
მტკიცე,
გაფისულ, მძიმე ბაგირად –
დავაბამ მძიმე ხომალდს და
დაველოდები ნაჯახს, რომელიც
ალბათ გვიანი ღამით
უეცრად, ერთი მოქნევით
გადამჭრის წელში
შუაზე.
ეს უკვე დასასრულია.

დილა.
უცნობი ვიღაც უზარმაზარი ავტოკალმით გამოხრუტავს შავ
ტუშს ზეციდან.

## ტრამვაიში

ტრამვაიში ამოსულს
ისეც მოკლე ქვედაკაბა
მე თვალებით
მუხლებს ზემოთ ავუწიე.

ის კი დაჯდა
ჩემ პირდაპირ, თან საოცრად გაბუსხული,
ცივი, მიუკარებელი,
ვით სპილენძის მოყლევარე სახელური ტრამვაისა
ოცდასამ გრადუსიან ყინვაში.

აჰ, პაწია ქალბატონო,
რომ იცოდეთ, გული ჩემი
ოცნებების და გიჟურ ქროლვას აჰყვა,
როგორც თქვენი მარმარილოს თითები
"როიალის" ფირმის კოხტა საბეჭდ მანქანის
კლავიშებზე რომ დაქრიან

და ბეჭდავენ მინისტრის
მნიშვნელოვან მითითებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის კი დაჯდა
ჩემ პირდაპირ გაბუსხული
ცივი, მიუკარებელი,
ვით სპილენძის მოელვარე სახელური ტრამვაისა
ოცდასამ გრადუსიან ყინვაში.
რა საქმე აქვს
მას აბეზარ ვიღაც ტიპთან –
ჭვინტიანი ფეხსაცმლითა და ჟოკეის გაცრეცილი კეპით?

ჩანს, რომ მიდის ქალიშვილი
მნიშვნელოვან სერობაზე,
რათა თვალმოჭუტულმა წრუპოს მწვანე ლიქიორი
და იცეკვოს ჩარლსტონი,
ხოლო გათენიისას,
ასე დილის ოთხ საათზე,
სიბნელეში მოცახცახე დანებდეს
ფრაკში გამოწყართულ ახალგაზრდა კოხტაპრუწას.

# ოსკარ უაილდი

ლექსები ი ნ გ ლ ი ს უ რ ი დ ა ნ
თარგმნა მარიკა აბაშიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მთვარის გაქცევა

გარე შეგრძნების არარა აკრთობთ,
მშვიდობა არის სავსე ოცნებით,
ღრმა სიმშვიდეა ჩრდილოვან მხარეს,
ღრმა სიმშვიდეა ჩრდილების იქით.
გაისმის მხოლოდ ექო კივილის,
ხმა უნუგეშო, ეული ჩიტის;
ღალღის ყივილი სწორს რომ მოუხმობს
პასუხი არის ნისლიანი მთის.
და უცაბედად მთვარე მიბრუნავს
მისი ნამგალით ელვიან ციდან
და მის დაბინდულ ღრუსკენ მიფრინავს
მოფარებული პირბადეს ყვითლად.

## სილუეტები

ნაცრისფერი სვეტების მწკრივებს დაუფერავს ზღვა,
ჩამკვდარი ქარი მელოდიას არ უკრავს, მიწყდა
და როგორც დამჭკნარ და გაცრეცილ ფარფატა ფოთოლს,
ისე მიაფრენს ქარიშხლიან ყურეზე მთვარეს.

ფერმკრთალ ქვიშაზე ჩანს მკაფიოდ გამოკვეთილი
ნავია შავი: პატარა ბიჭი მეზღვაური
ზედ ასვლას ცდილობს მოუთმენლად, გახარებული,
ხელს ათინათი დასთამაშებს, სახეს ღიმილი.

მაღლა, ზემოთ კი, ტყის ქათმების ისმის ყივილი,
სადაც მაღლობზე სიარულით უვალ ბალახში
მთიბავ ყმაწვილებს ყელ-კისერი დასწვიათ მზეზე
და წააგვანან სილუეტის მოძრავებს ცაზე.

## დე განისვენოს

ფრთხილად იარე, ის სულ აქვეა თოვლის საფარქვეშ,
დაიჩურჩულე, მას ხმა ესმის ზიზილების ზრდის.
მისი ოქროსფრად მოკიაფე თმა ჟანგმა დალაქა,
მისი შვენება, ახალგაზრდობა დაფარა მტვერმა.

ის ნორჩი იყო, შროშანის მსგავსი, თოვლივით თეთრი,
ისე წავიდა, ვერც შეამჩნია, რომ ქალი გახდა.
კუბოს ფიცარი, საფლავის ლოდი მკერდზე მას აწევს,
ჩემს გულს ვასკდები მხოლოდ და მხოლოდ, ის განისვენებს.
დე განისვენოს, მას ხმა არ ესმის ქნარის, სონეტის,
ჩემი სიცოცხლე აქა მარხია, გროვა მიწის ქვეშ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ემილი დიკინსონი

●

დასასრულამდე ჩემი ცხოვრება ორჯერ დასრულდა,
ის ჯერ აქ არის, რომ დარწმუნდეს
მარადისობა თუ გამიმხელს რაღაც მესამეს,
დიდ მოვლენას, ისეთ გიგანტურს, უიმედოს წარმოსადგენად,
როგორც ეს ორი, რომელიც მოხდა.
განგებამ ციდან გვარგო მხოლოდ ჩვენ განშორება
და ჯოჯოხეთიც მხოლოდ მისით განისაზღვრება.

## ევგენი ხრამოვი

●

მე გავიარე სიცოცხლის ველი
და დაქანცული იქვე ჩამოვჯექ,
ნაზად ჰყვაოდა ბაბუაწვერა
და გაისმოდა ტოროლას მღერა.
თავი საოცრად კარგად ვიგრძენი,
იქ თითქოს ისიც გადამავიწყდა,
რომ გავიარე სიცოცხლის ველი
და გზა, სავალი მეტი არ დარჩა...

# დრამატურგია

## ერიკ-ემანუელ შმიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმარი

თ ა რ გ მ ნ ა
ლილი მჭედლიშვილმა

ცნობილი ფრანგი დრამატურგი ერიკ-ემანუილ შმიტი, დაიბადა 1960 წელს. მისი პიესები მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანაში იდგმება. მიღებული აქვს მოლიერის პრემია (1994წ.), არის გამარჯვებული სამ ნომინაციაში: "თეატრალური აღმოჩენა", "საუკეთესო მსახიობი" და "საუკეთესო სპექტაკლი". წინამდებარე პიესა ტრიუმფით მიდიოდა როგორც საფრანგეთის, ისე საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე. 2001 წელს საფრანგეთის აკადემიის მიერ შმიტი დაჯილდოებულ იქნა "გრან პრი დე ტეატრ"-ით.

იგი მოულოდნელი სიუჟეტური გარდატეხების, ბრწყინვალე, დახვეწილი დიალოგების ოსტატია. მისი პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი გმირების შერჩევაა, რომელთა შორისაა ფრედერიკ ლამარკი, დიდრო, დონ ჟუანი და ბოლოს _ პიესა "სტუმარში" იდუმალებით მოცული უცნობი, რომელიც სტუმრად ეწვევა ზიგმუნდ ფროიდს.

პიესა

მოქმედი გმირები:

ზიგმუნდ ფროიდი
ანა ფროიდი – **მისი ქალიშვილი**
გესტაპოს ოფიცერი
უცნობი

*(ვენა, ბერგასის №19-ში დოქტორ ზიგმუნდ ფროიდის კაბინეტი. მკაცრ სტილზე გაწყობილი ოთახი. კედლებზე მუქი ფერის ფიცრის პანელი; ბრინჯაოს კრიალა სტატუეტები და ორმაგი მძიმე ფარდები. წინა პლანზე – საწერი მაგიდა და დივანი.*

*დეკორაცია უკიდურესად რეალისტურია, განსხვავებულია მხოლოდ ოთახის ზედა ნაწილი. წიგნის თაროებს ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედილ უზარმაზარ ცას თითქოს ვენის ყველაზე ღირსშესანიშნავი შენობების ჩამუქებული კონტურები სჭრება შესდგომია. მეცნიერის ფართოდ გაღებული კაბინეტი უსასრულობას ერთვის.*

## სცენა I

ფროიდი, ანა

*(ფროიდი იატაკზე მიყრილ-მოყრილ წიგნებს ხელს ალაგებს თაროებზე. უკვე მოხუცია, მაგრამ შავი, სიცოცხლით სავსე თვალები უბრწყინავს, სიბერე დაუცხრომელ ენერგიას ახვამს მაინც და მაინც პირიქით, რაღაც გაუგებრობადაც გეჩვენება. მთელი ღამე ათეულა, ახლაც თავს ვერ იკავებს და კიბოთი დასნეულებული ყელის ტკივილისგან გატანჯული რამდენჯერმე სახე ეღრიცება.*

*ანა მამაზე უფრო დაღლილად გამოიყურება. სოფაზე ზის გადაშლილი წიგნით ხელში და ამთქნარებს. ის საუკუნის დასაწყისის ტიპიური სწავლული ქალია, აქვს მკაცრი გარეგნობა და "ლურჯი წინდის" რამდენადმე სასაცილო ჩვევები. მისი გარეგნობაც კომიკური იქნებოდა, რომ არა ბავშვური ღიმილი და სახეზე აღბეჭდილი ღრმა, უსაზღვრო სიყვარული მამის მიმართ.)*

ფროიდი. წადი, ანა, დაისვენე.

*(ანა უარის ნიშნად თავს ოდნავ აქნევს.)*

ხომ ვხედავ, გეძინება...

*(ანა მთქნარებას ძლივს იკავებს, დასაძინებლად კი მაინც არ მიდის.*

*ქუჩიდან ნაცისტი ჯარისკაცების ხმამაღალი სიმღერა ისმის. ფროიდი ფანჯრიდან ინსტინქტურად უკან დაიხევს და თავისთვის ჩაილაპარაკებს):*

ვერ იტყვი, ცუდად მღერიანო...

*(ანას თავი წიგნზე ჩამოუვარდება, ფროიდი უკნიდან მიუახლოვდება და ხელს მოხვევს.)*

დროა დაიძინოს ჩემმა გოგონამ.

ანა *(გაოცებულს გაეღვიძება).* სად ვიყავი?

ფროიდი. არ ვიცი, ალბათ სიზმარში.

ანა *(ყვლავ გაოცებულ კილოზე).* როცა ვიძინებთ, ნეტავი სად მივდივართ? როცა ყველაფერი ქრება, როცა სიზმარსაც კი არ ნახულობ, სად ვიკარგებით? *(ოცნებით).* მითხარი, მამა, თავს სად ამოვყოფთ, ულებ თვალს თუ გაახელთ და აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი — ვენაც, შენი კაბინეტიც, შენი ეგ წიგნებიც და აი ისინიც... აი, იქ... მხოლოდ სიზმარი იყო?

ფროიდი. შენ ისევ პატარა გოგონად დარჩი. ბავშვები სტოიკური ფილოსოფოსები არიან, ერთთავად კითხვებს იძლევიან.

ანა. დიდები?

ფროიდი. დიდები სტოიკური რეგვნები ბრძანდებიან.

*(ანა ისევ ამთქნარებს.)*

წადი-მეთქი, დაიძინე... *(დაჟინებით).* ახლა უკვე დიდი ხარ!

ანა. შენ კი — უკვე არა.

ფროიდი. ეს როგორ?

ანა *(ღიმილით).* შენ უკვე დიდი აღარ ხარ.

ფროიდი *(ისიც ღიმილით).* რა თქმა უნდა, უკვე მოხუცი ვარ.

ანა *(ალერსით)*. და სნეული.

ფროიდი *(იმეორებს)*. და სნეული... *(თითქოს თავისთვის.)* წლები... ეს რაღაც არახელშესახები რამ არის... ისეთივე აბსტრაქტულია, როგორც ციფრები: ორმოცდაათი, სამოცი, ოთხმოცდაორი — რას ნიშნავს [illegible], ცარიელი ციფრებია? — ვიღაცები რაღაცას [illegible] ხელებზე, ჩვენთან კი არავითარი კავშირი არა აქვთ.

ანა. შეიძლება დაივიწყო ასაკი, მაგრამ ამით უფრო ახალგაზრდა ვერ გახდები.

ფროიდი. ადამიანი არ იცვლება, ანა, მხოლოდ სამყარო იცვლება შენს ირგვლივ, ახლა ნელა დადიხარ და ჩუმად ლაპარაკობ, ზამთარი ყოველწლიურად სულ უფრო ცივი გეჩვენება, ზაფხული — ცხელი. კიბის საფეხურები უფრო და უფრო მაღლდება, წიგნებში ასოები წვრილდება, წვნიანი გემოს კარგავს, სიყვარულიც... შენს წინააღმდეგ ყველამ პირი შეკრა, შენ კი შინაგანად ისევ ისეთი ხარ, როგორიც იყავი. *(მოჩვენებითი მხიარულებით.)* აი, ხომ ხედავ, სიბერის მთელი ტრაგედია ის არის, რომ იგი ყოველთვის ახალგაზრდას ატყდება თავს! ახლა კი წადი, დაიძინე.

*(ანა ამთქნარებს.)*

ანა *(სიმღერით გალიზიანებული)*. მაინც საიდან არიან ამდენი! დაეთრევიან ჯოგ-ჯოგად და ღრიალებენ.

ფროიდი. ეგენი აქაურები არ არიან. გერმანელებს თავისი ხალხი თვითმფრინავებით ჩამოჰყავთ და სწორედ ისინი დაეხეტებიან ქუჩებში აღმა-დაღმა. *(ჯიუტად.)* ვენას არ ჰყავს ნაცისტები.

*(მძიმედ ახველებს. ანა წარბს იკრავს.)*

ანა. ჰო, რა თქმა უნდა... მაგრამ აქ უფრო მეტს ყაჩაღობენ, ხალხს უფრო მეტად იგდებენ აბუჩად, ვიდრე გერმანიაში. ჩემი თვალით ვნახე, როგორ მიათრევდნენ ვიღაც მუშას ცოლთან ერთად შუშნიგის[1] მხარდამჭერი ლოზუნგების წასაშლელად ტროტუარებზე. ბრბო კი ღრიალებდა: "გაუშვი, ცოტა მაგ ურიებმაც წაიმუშაონ!.. მადლობა ფიურერს — სამუშაო გამოუნახიათ"... იქვე, ორ ნაბიჯზე, სავაჭრო ჯიხურის პატრონს ცოლისა და შვილის თვალწინ ცემით ცხვირ-პირს ულილავებდნენ. ცოტა მოშორებით ებრაელების გვამები ეყარა — ეს ისინი იყვნენ, რომლებმაც აღარ მოიცადეს ვიდრე მათ წასაყვანად მოვიდოდნენ და ფანჯრებიდან გადმოცვივდნენ... მართალი ხარ, მამა, ვენაში ნაცისტები არ არიან... ამ საზიზღარი საქციელისთვის მათთვის ცოტა უფრო მაგარი სახელის მოძებნაა საჭირო.

*(ფროიდს ხელებისაგან სუნთქვა ეკვრის.)*

---

1. კურტ შუშნიგი (1897-1977) — ავსტრიის კანცლერი 1934 წლიდან. 1938წ. თანამდებობიდან გადააყენა ჰიტლერმა.

მამა, მოაწერე ამ ქაღალდს ხელი, რათა აქედან როგორმე წასვლა შევძლოთ!

ფროიდი. ეგ ქაღალდი სამარცხვინო ქაღალდია!

ანა. საზღვარგარეთ შენი ნაცნობების დახმარებით შეგვე-ძლია ვენიდან გავემგზავროთ, სხვათა შორის, ლეგალუ-რად. ჩვენს განკარგულებაში არა უმეტეს ერთი დღეა, ნუ დაელოდები, ვიდრე უკვე გვიან არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროიდი. მაშინ ურთიერთპასუხისმგებლობას, სოლიდარობას რაღა ვუყოთ, ანა?

ანა. ვისთან, გერმანელებთან?

ფროიდი. არა, ჩვენს ძმებთან, იმათთან, ვისაც ძარცვავენ, ვინც აქ რჩება, ვისაც ამცირებენ და ხოცავენ... წახვიდე, ეს იმას ნიშნავს, შენდა სამარცხვინოდ უარი თქვა ამ ადამიანებზე.

ანა. შენის აზრით, ებრაელს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია? სჯობს მკვდარი იყოს, ვიდრე ცოცხალი? გთხოვ, მამა, გთხოვ, მოაწერე ხელი!

ფროიდი. კარგი, მოვიფიქრებ, ახლა კი წადი, დაიძინე...

*(ანა უარის ნიშნად თავს აქნევს.)*

ჯიუტი ხარ!

ანა. არა, ფროიდივით.

ფროიდი *(ფანჯარაში იყურება. უცებ კიდოს იცვლის).* ისე მელაპარაკები, როგორც სასიკვდილოდ განწირულს.

ანა (მაშინვე). მამა!

ფროიდი. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ... მე კი პირველივე ყმელითი მომიწევს გამგზავრება. *(ანასკენ შებრუნდება, უხალისდება.)* შენ აქ ყოველ საღამო ნაცისტების გამო როდი ზიხარ, არც ავსტრიის ბედი განაღვლებს, შენ მხოლოდ მე არ მშორდები გვერდიდან, გგონია, სადაა უსულოდ დავეცემი. საკმარისია დავახველო, მიშისაგან ცახცახებ, ერთი სიტყვით, მყარაულობ. *(შუბლზე კოცნის.)* ნუ, შვილო, ნუ იზამ მეტისმეტს. თქვენ ორივენი, შენცა და დედაშენიც, ძალიან თბილად და ალერსიანად მექცევით... მაგრამ არ გინდათ, თორემ ისე ჩავეჭიდები ამ ცხოვრებას, წასვლა გამიჭირდება.

*(ანა სწრაფად წამოდგება.)*

ანა. ღამე მშვიდობისა, მამა, მეძინება.

*(მამასთან მიდის. მამა ისევ შუბლზე ჰკოცნის.)*

სცენა II

გესტაპოს ოფიცერი, ფროიდი, ანა.

*(ისმის კარის ჯახუნი და ჩექმების ბრაგაბრუკი. გესტაპოს ოფიცერი კაბინეტში ისე შემოვარდება, პასუხს არც კი უცდის.)*

ოფიცერი. გესტაპო! *(მხარს ზემოთ თავის ხელხს:)* მანდ იდექით!

*(ჩექმების ბრაგუნი უკვე დერეფანში ისმის. ფროიდს თვალები რისხვით უელავს.*

*ოფიცერი ბატონკაცურად, ნელა დააბიჯებს კაბინეტში).*

დოქტორო ფროიდ, მე თქვენთან ისე, უბრალოდ, მეგობრულად შემოვიარე... *(უყურებს წიგნების თაროებს).* აჰა, ესე იგი, ჩვენ აქ თაროებზე წიგნების ჩამწკრივებაში ვართ! *(როგორც თავად ჰგონია, ძალიან მოხერხებულად).* ამას წინათ თქვენი წიგნები, მგონი, ცოტა აუტო-დაფეურიც, დამნაშავე ვარ! *(თაროებიდან წიგნებს იატაკზე ყრის).*

ფროიდი *(მისივე ტონით).* არაფერია, გეთაყვა, არაფერია! ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა ერუდირებულ ადამიანებთან ურთიერთობა!

*(ოფიცერი მხიარულად ათვალიერებს თაროებს.)*

ანა. აბა, რა! გვაინტერესებს რა უყავით ჩვენს წიგნებს? ისინიც მამაჩემის წიგნებივით დაწვით?

ფროიდი. რით ხარ, ანა, უკმაყოფილო, პროგრესს მადლობა უთხარი! შუა საუკუნეებში მე თვითონ დამწვავდნენ კოცონზე, ახლა კი მხოლოდ ჩემს წიგნებს წვავენ!

ოფიცერი *(კბილებიდან გამოსცრის).* კეთილი საქმის ჩადენა არასოდეს არის გვიან!

*(ანა მამისაკენ ისე გაიწევა, თითქოს უნდა ჩამოეფაროს.)*

ფროიდი *(ისევ დაცინვით, მუქარას ყურადღებას არ აქცევს).* რასაც ეძებდით, იპოვეთ? იპოვეთ რეჟიმის ძირგამომთხრელი დოკუმენტები? როგორ, ნუთუ იმ წიგნების ფურცლებში, თქვენ რომ წაიღეთ, მსგავსი არაფერი აღმოჩნდა? *(ოფიცერი ხელს გაღიზიანებული ჩაიქნევს. ფროიდი თავს გაგებით უქნევს).* კარგი, ვაღიარებ... თქვენ მათი პოვნა ვერ შეძელით... იმიტომ, რომ... *(ახლა უკვე ჩურჩულით)* უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები... დიახ, დიახ... *(დაინტერესებული ოფიცერი მასთან ახლოს მიდის).* მე გეტყვით სად არის... *(ერთ ხანს შეყოვნდება).* ისინი ინახება აქ... *(ფროიდი თითს მკერდზე იდებს).* აი, აქ!

ანა *(თითს ისიც მკერდზე იდებს).* და აქ!

*(ოფიცერს მუქარით სავსე მზერა ხან ერთზე გადააქვს, ხან მეორეზე.)*

ოფიცერი. ჩავთვალოთ რომ ეს ებრაული იუმორია?

ფროიდი *(ისევ გამომწვევად).* რა თქმა უნდა! მართალია, დიდი ხანია უკვე დამავიწყდა, ებრაელი რომ ვარ, მაგრამ ნაცისტებმა შემახსენეს და ამისთვის მადლობელი ვარ. ვაღიარო თავი ებრაელად ნაცისტების წინაშე, ვფიქრობ, ღირსეული პოზიციაა. ებრაელად რომც არ დავბადებულიყავი, ვისურვებდი გავმხდარიყავი თქვენს ჯინაზე! ფრთხილად, იცოდეთ, ადამიანებში ფარულ ძალებს გააღვიძებთ!

*(ოფიცერი იატაკზე კიდევ რამოდენიმე წიგნს აგდებს. მერე ხელს ერთ ძველ სტატუეტს დაავლებს. ფროიდი მისკენ გაფრთხილების ნიშნად ხელს იშვერს).*

ოფიცერი. ერთი მითხარით, ეს რაღაც ძალიან ძვირფასია?

ანა. ფრთხილად!

ფროიდი *(ქალიშვილს სიტყვას აწყვეტინებს).* რა თქმა უნდა, არა. მე ის, უბრალოდ, მემკვიდრეობით მერგო. კარგა

ხანია გადაგდებას ვუპირებ... მოგეწონათ? თუ გნებავთ, გაჩუქებთ.

ოფიცერი *(სტატუეტს თავის ადგილზევე დადებს).* არა, ეგ ნაგავი არ მჭირდება.

*(ანა და ფროიდი მზერით ამოისუნთქავენ.)*

ანა. *(რისხვას ძლივს იკავებს).* გაქვთ ორდერი? ვინ მოგცათ უფლება, გამოგვეცხადოთ აქ ყოველდღე და გვძარცვოთ?!

ოფიცერი. მგონი ვიღაცამ რაღაცა თქვა.

ანა. რაც ვთქვი, მშვენივრად გაიგეთ! გეკითხებით, ვინ მოგცათ-მეთქი უფლება, ასე ყოველდღე რომ გვაწამებთ!

ოფიცერი *(ფროიდს).* წარმოგიდგენიათ, აქ ყველაფერი ისე საინტერესოა... ხმებიც კი ნამეხმის.

ანა. ვფიქრობ, უბრალო ოფიცრის კადრობაზე მეტისმეტად ბევრს იღებთ საკუთარ თავზე. არ დაგავიწყდეთ, რომ მეგობრები მთელ მსოფლიოში გვყავს. ფიურერს თხოვნით პრეზიდენტმა რუზველტმა და თავად მუსოლინმა სთხოვა, ჩვენთვის ხელი არ გეხლოთ და ქვეყნიდან გაგეშვით.

ოფიცერი. საოცარია! ახლა უკვე ალარაფერი მესმის.

ანა *(უხეშად).* ჰოდა, გაეთრიეთ აქედან!

ოფიცერი *(გაუგონარებენივით).* რაო, რაო?

ანა. გაეთრიეთ აქედან და თქვენს კრეტინებს უთხარით, იატაკზე თოფებს ნუ ათრევენ. ემილიმ ამას წინათ მთელი სამი დღე პარკეტი ხეხა.

ოფიცერი. გესმის, ვის ელაპარაკები, უმსგავსო ურიავ?

ანა. სჯობს არ მკითხო!

ფროიდი. ანა!

*(ოფიცერი ანას გასარტყმელად ხელს მოუქნევს. ფროიდი მათ შორის ჩადგება, გესტაპოელს ჯიქურ მეყურებს სახეში, სწრაფად და მკაცრად ამბობს):*

მოიტანე ფული, ანა.

ოფიცერი *(წუთით დამშვიდდება, შემდეგ კი მტაცებლის ღიმილით).* თქვენ მე შესანიშნავად მიგებთ, დოქტორო ფროიდ!

ფროიდი. ეს ძნელი არ არის.

ანა. მამა, ფული აღარა გვაქვს.

ფროიდი. სეიფშია...

*(მიუთითებს სცენის სიღრმეში კედელზე. ანა კედელთან მიდის, სურათს ოდნავ სწევს და საიდუმლო სეიფს აღებს. ფროიდი ოფიცერს მაღალი წრის დახვეწილ კილოზე მიმართავს):*

აი, რაზე არ გიფიქრიათ, ხომ ასეა?

ოფიცერი. ებრაელ ძაღლებს ძვალი ყოველთვის აქვთ სადღაც ჩაფლული.

ფროიდი. შეგიძლიათ მოახსენოთ უფროსებს.

ანა. ამათ ფულს კიდევ რატომ აძლევ?

ფროიდი. იმიტომ, რომ სიმშვიდე მოვიპოვო.

ანა. თუ ეს სიმშვიდეა, მაშინ ვერ წარმომიდგენია ომი რაა!

ფროიდი. ნუ ღელავ, ესენი შენზე მდიდარი წარმოსახვის არიან.

ანა *(ფულს მაგიდაზე დებს და ოფიცერს მიმართავს)*. აიღეთ.

ოფიცერი. რამდენია?

ფროიდი. ექვსი ათასი შილინგი.

ეროვნული

ოფიცერი. შესანიშნავია! *(აღტაცებისაგან [illegible].)*

ფროიდი. ჰო, ცუდი არ არის. შეგიძლიათ იამაყოთ — ამოდენა თანხის მიღება ერთ ხეანსზე მე ვერასოდეს შევძელი.

ოფიცერი *(ფულს სწრაფად იღებს)*. თქვენ, ებრაელებს, ყვე-ლაზე ცუდი ის გჭირვებიათ, რომ არასოდეს გვეწინააღმდე-გებით.

ანა *(აღშფოთებული)*. აიღეთ თქვენი ფული, მოკეტეთ და გა-ეთრიეთ აქედან!

ფროიდი. ანა!

ანა. ეს პირუტყვი ასე უდიერად გვექცევა, ჩვენ კი, შენის აზრით, მხოლოდ იმიტომ უნდა მოვითმინოთ, რომ მთელი ნახირია ამ პირუტყვების?

ფროიდი. ანა!

ანა. მამა, აბა ერთი შეხედე, ჩექმები როგორ უპრიალებს! ნამ-დვილი შავი მარმარილო გეგონება! ალბათ აპრიალებს და აპრიალებს მთელი საათობით! *(ოფიცერს)*. წაუსვამ ვაქსს და აპრიალებ ჯაგრისით, აი ასე — შუუ... შუუ... სასიამოვნოა, არა?

ოფიცერი. მე...

ანა. მერე აიღებ ჩვარს, გაუსვამ ჩექმას და გამოუსვამ, გაუსვამ და გამოუსვამ,ვიდრე კრიალს არ დაიწყებს. რაც უფრო მეტად ლაპლაპებს, მით უფრო მეტად გსიამოვნებს, ქალ-თან კი ალბათ დიდი ხანია არ წოლილხარ. ქალებთან არც ისე ბრწყინვალედ გამოგდის, ხომ ასეა?

ოფიცერი. ეს ქალი ჩემთან წამოვა.

ანა. მაინც სად? სად უნდა წამოვიდე?

ოფიცერი. გესტაპოში.

ანა. ამას, ეტყობა, სიამოვნებს თავისი ამბების მოსმენა, უნდა რაღაც კიდევ მოვუყვე... გინდა აგიხსნა, ყოველ დილას მთელ თხუთმეტ წუთს იმაზე რატომ ხარჯავ, თმა იდე-ალურად გაყოფილი, ღერი-ღერზე გქონდეს დადებული? ან რატომ აღმერთებ უთოთი გატკიცინებულ ნაკეცებს? რატომ იკვნეტ ფრჩხილებს?.. გინდა გითხრა, ქალებს ცხვირს რატომ უბზუებ, უპირატესობას ლუდსა და მა-მაკაცების საზოგადოებას რატომ ანიჭებ?

ოფიცერი. გესტაპოში!

ფროიდი. ო, არა!

ანა. თავი დაანებე, მამა! ძალიან არ შემაშინეს ამ ჩაძირლებმა!

ოფიცერი. თუ იცი, რას გიზამენ ამ სიტყვებისთვის?

ანა. ვიცი... ყოველ შემთხვევაში, შენზე უკეთესად!

*(ოფიცერი ანას ხელაღურებული დასარტყმელად მოვარდება.)*

ფროიდი. შვილო!

ანა *(ჯიუტად წელში გამართული).* მაინც ვინ გგონია შენი თავი? არაკაცი, გულნამცეცა კაცუნა, ვისაც თამაშის წესებზე წარმოდგენა არ აქვს. რაო, არ იცი, რომ უკვე მივემგზავრებით აქედან? ეს მთელმა მხიარ[illegible]!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცერი. გამომყევი, დაპატიმრებული ხარ!

ანა. ჰო-ჰო, გაიქეცი შენს ნახირში, იქ თავს უფრო ძლიერად იგრძნობ!

ოფიცერი *(ფროიდს).* უყურე, უყურე შენს ნაშიერს, შენ მას ველარასოდეს იხილავ.

ანა. მამა, ნუ ღელავ, გვაშინებენ, იციან უკვე გვიანაა, თითს ვერ დაგვაკარებენ.

ოფიცერი. თითს ვერ დაგვაკარებენო! გგონია, ყველაზე ჭკვიანი ხარ, მაიმახო! ისე, კაი ქალიშვილი კი გაგიზრდია, ურიავ!

*(მიდის და ანასაც მკლავში ხელჩაბღუჯულს მიათრევს.)*

ანა *(კარის ზღურბლიდან).* მამა, გესმის, მოაწერე ხელი იმ ქაღალდს. დედას კი არაფერი უთხრა. უსათუოდ მოაწერე, სხვაგვარად ვიზას ვერასოდეს მიეიღებთ. *(ცდილობს განთავისუფლდეს ოფიცრის ხელიდან.)* ხელი გამიშვით, მოვდივარ!

*(გადიან. კარი ჯახუნობს.)*

## სცენა III

ფროიდი *(შეძრწუნებულია. მექანიკურად იმეორებს).* ქაღალდი... სად არის ქაღალდი!.. ანა!.. ანა!..

*(ცდილობს დამშვიდდეს. შუბლზე ხელს ისვამს. მიდის სამუშაოდ გაშლილ საწერ მაგიდასთან. ისევ ისე მექანიკურად, ოღონდ ახლა უკვე ისე ნერვიულად არა.)*

სად არის ქაღალდი?..

*(უცებ თავში აზრად რაღაც მოსდის. ყურმილს იღებს და ნომერს გაბედულად კრეფს.)*

ალო! შეერთებული შტატების საელჩოა? ლაპარაკობს პროფესორი ფროიდი. შეგიძლიათ მისტერ უაილდთან შემაერთოთ? დიახ, ფროიდი ვარ. სასწრაფო საქმეზე ვრეკავ. *(პაუზა.)* ალო! ბატონი ელჩი ბრძანდებით? ფროიდი ვარ. ეს-ესაა ჩემი ქალიშვილი — ანა წაიყვანეს... დიახ... გპირდებით, მოვაწერ... დიახ, ძალიან გთხოვთ, დამირეკეთ, დაგელოდებით!

*(აღელვებული ყურმილს დებს და მხოლოდ შემდეგ დასძენს)*

გმადლობთ.

*(მერე გაახსენდება, ანამ და ელჩმა რა სთხოვეს.)*

ქაღალდი... სად არის ქაღალდი...

*(ბოლოს საჭირო ქაღალდს პოულობს, მაგიდასთან ჯდება და ვიდრე ხელს მოაწერდეს, ქაღალდს კითხულობს.)*

"მე, ქვემო ხელის მომწერი, პროფესორი ფროიდი, ვადასტურებ, რომ გერმანიის რეიხთან ავსტრიის შეერთების

შემდეგ გერმანულმა ხელისუფლებამ, კერძოდ კი გესტაპომ, ჩემი სამეცნიერო რეპუტაციისადმი სათანადო პატივისცემა გამოიჩინა. მაქვს საშუალება ვიცხოვრო და ვიმუშაო თავისუფლად. მათ ჩემთვის არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნიათ, მათ მიმართ უკმაყოფილების მიზეზი არ მაქვს."

*(ამოიოხრებს, კალამს იღებს, მაგრამ უცებ რაღაც იდეა გონებას გაუნათებს, კალამს ისევ სამელნეში ჩააწობს და მიაწერს:)*

"Post scriptum". სულით და გულით ვუწევ რეკომენდაციას ყველას და თვითეულს, ახლოს გაეცნოს გესტაპოს".

*(მერე ხელს აწერს და მელნის შესაშრობად ფხვნილს აყრის.)*

სცენა IV

ფროიდი და უცნობი.

*(ფანჯრის ფარდებს უკნიდან მოულოდნელად გამოდის უცნობი. არავინ იცის, როდის და როგორ შემოვიდა ფანჯრიდან. მისი გამოჩენა უბრალოც უნდა იყოს და იდუმალიც.)*

*აცვია ძალიან ელეგანტურად, არც მეტი, არც ნაკლები, ოპერაში გამოსასვლელად გამზადებულ დენდს ჰგავს. იგი ფროიდს აშკარა სიამაყით შეჰყურებს.*

*ფროიდი მზერას იგრძნობს და შემოტრიალდება.)*

უცნობი *(გულისხმიერად)*. საღამო მშვიდობისა.

*(ფროიდი საწერ მაგიდას ღონივრად დაეყრდნობა და წამოდგება.)*

ფროიდი. ვინ ხართ?

*(სიჩუმე.)*

რა გნებავთ?

*(უცნობი იღიმება, მაგრამ დუმს.)*

საიდან შემოხვედით?

*(ისევ ის თავაზიანი ღიმილი და სიჩუმე.)*

აქ რა გინდათ?

*(ფროიდი წუთით გაიფიქრებს, ეს კაცი ნამდვილად ქურდიაო.)*

დააგვიანეთ, ფული აღარ მაქვს.

უცნობი *(სახეს ჭმუხნის)*. კითხვები უკეთესად გამოგდით.

ფროიდი. ვინ ხართ?

*(უცნობი იღიმება, მაგრამ პასუხს არ ჩქარობს.*

*ფროიდი თავს ვეღარ იკავებს და საწერი მაგიდის უჯრიდან რევოლვერს იღებს, თუმცა, თავისი ამ საქციელის უაზრობას მაშინვე მიხვდება და რევოლვერს დაუშვებს.*

*ძალიან გაკვირვებით:)*

ვინ ხართ?

უცნობი *(მშვიდად)*. სულერთია არ დამიჯერებთ. აი მაგ სათამაშოსგან კი არაფერი გამოვა. *(დივანთან მიდის და მოხდენილად ჯდება.)* ჯობს, ვილაპარაკოთ...

ფროიდი *(რევოლვერს გვერდზე გადადებს)*. იმ ადამიანთან საუბარს არ ვაპირებ, ვინც ჩემთან ფანჯრიდან ძვრება და თავისი ვინაობის გამხელა არ უნდა.

უცნობი. რა გაუწყობა, რახან ასე გსურთ...

*(ფანჯარასთან სწრაფად მიდის და ფარდის უკან უჩინარდება. ორიოდე წამის შემდეგ დაბნეული და აქოშინებული გამოდის. თითქოს პირველად დაინახაო, ფროიდთან მიდის და ფეხებში უვარდება.)*

ბატონო, მიხსენით!.. მიხსენით, ბატონო, გემუქრებიან! მომდევენ, მიშველეთ, გადამარჩინეთ! *(თამაშობს შეშინებულად.)* აი ისინიც... აგერ უკვე აქ არიან... *(მიირბენს ფანჯარასთან.)* გესტაპო! დამინახეს... სახლში შემოდიან! *(ისევ მუხლებზე დაეცემა.)* მიშველეთ, მიშველეთ, ნუ გამცემთ!..

ფროიდი *(წუთით თითქოს დაიჯერა).* გესტაპო?

უცნობი *(გადაჭარბებული თეატრალობით).* დამმალეთ, ო, დამმალეთ!

ფროიდი *(გულმოსული უცნობს ხელს ჰკრავს).* შეწყვიტეთ!

უცნობი *(თამაშს შეწყვეტს).* ნუთუ არ გეცოდებათ უბედური მსხვერპლი?

ფროიდი. თქვენ მსხვერპლი კი არა, ჯამბაზი ხართ!

*(უცნობი წამოდგება.)*

უცნობი. განა თქვენ თვითონ არ მოისურვეთ, რაღაც მომენახა?

ფროიდი *(თავს მოერევა. თავდაჯერებით).* იცით რა, იმის თაობაზე, თუ რისთვის გამომეცხადეთ, ორ შესაძლებელ ახსნას ვხედავ — ან ქურდი ხართ, ან ავადმყოფი. პირველ შემთხვევაში თქვენ აქ ტყუილად მოხვედით — თქვენმა გესტაპოელმა კოლეგებმა ყველაფერი პირწმინდად წაიღეს. მეორე შემთხვევაში კი...

უცნობი. ხოლო მესამე შესაძლებლობას არ უშვებთ, ხომ ასეა?

ფროიდი. ესე იგი, ავადმყოფი არ ხართ?!

უცნობი *(ეს სიტყვა ენითირება).* ავადმყოფი? რა საძაგელი სიტყვაა!

ფროიდი. თუ ავადმყოფი არ ხართ, მაშინ რისთვის მოხვედით ჩემთან?

უცნობი *(არაგულწრფელად).* განა კიდევ ცოტა რამ არის ისეთი, რასაც შეიძლებოდა თქვენთან მოვეყვანე? მაგალითად, ცნობისმოყვარეობას, აღტაცებას...

ფროიდი *(მხრებს იჩეჩს).* ყველა ჩემი ავადმყოფი ასე ამბობს.

უცნობი *(არაგულწრფელად).* იქნებ ვინმე ნაცნობის გამო მოვედი?

ფროიდი. დიახ, მერე კი...

უცნობი *(ნაწყენი).* კარგი. დავუშვათ, თვითონ მჭირდება დახმარება... რას მირჩევდით?

ფროიდი. მიღებაზე ჩაეწერეთ. *(უცნობს კარისკენ უბიძგებს.)* კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, ისეთი დრო შეარჩიეთ, რომელიც ორივესთვის ხელსაყრელი იქნება. რამდენიმე დღეში ისევ შევხვდეთ.

უცნობი *(წინ გადაუღობავს).* შეუძლებელია. ხვალ მე უკვე აქ აღარ ვიქნები, ორიოდე თვის შემდეგ კი — აღარც თქვენ...

ფროიდი. რაო, რა თქვით?

უცნობი. თქვენ პარიზში გაემგზავრებით, პრინცესა ბონაპარტთან... მერე ლონდონში, მერსფილდ-გარდენსში, თუ, რა თქმა უნდა, მესსიერება არ მღალატობს...

ფროიდი. მერსფილდ-გარდენსში? ეგ საიდან მოიტანეთ? აზრადაც არასოდეს მომსვლია...

ბიბლიოთეკა

უცნობი. ზუსტად გეუბნებით! მაგრამ, ნუ დელავთ, ყველაფერი კარგად იქნება. დიდი პატივით მიგიღებენ... ლონდონური გაზაფხული მოგეწონებათ, თქვენს წიგნს მოსეზე დაამთავრებთ.

ფროიდი. ეტყობა, კითხულობთ სამეცნიერო პრესას.

უცნობი. რას დაარქმევთ იქ თქვენს წიგნს? ჰო, აი ასე – "მოსე და მონოთეიზმი"?.. არა, არ გეტყვით, რა აზრისა ვარ მასზე.

ფროიდი *(აწყვეტინებს)*. სათაური ჯერ არ მომიფიქრებია. *(უცნობის წინადადებას აწონ-დაწონის და თავისთვის იმეორებს)*. "მოსე და მონოთეიზმი..." არა, ცუდი არ არის... მომწონს... დაინტერესებული ხართ ფსიქოანალიზით?

უცნობი. არა, უფრო თქვენით.

ფროიდი. ვინ ხართ?

უცნობი *(განაგრძობს შეწყვეტილ თემას)*. მაგრამ, რაც ყველაზე უცნაურია, იქ თქვენ ვენაზე იდარდებთ.

ფროიდი *(მკვახედ)*. არავითარ შემთხვევაში!

უცნობი. ნაყოფს გემოს მაშინ გაუგებ, როცა შეჭამ! გარდა ამისა, თქვენ იმ ადამიანთაგანი ხართ, ვისთვისაც ხელმისაწვდომი მხოლოდ დაკარგული სამოთხეა. დიახ, დიახ, თქვენ იდარდებთ ვენაზე... თქვენ უკვე დარდობთ – შეგეძლოთ ერთი თვის წინაც წასულიყავით, მაგრამ არ წახვედით.

ფროიდი. უბრალოდ, ვიმედოვნებდი, მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, რაღაც მოგვარდებოდა.

უცნობი. არა, უბრალოდ, გენანებათ ვენის დატოვება. აქ, პრატერის ხეივანში მოკლეშარვლიანი დარბოდით, აქაურ ყავახანებში აყალიბებდით თქვენს პირველ თეორიებს, აქ, დუნაის სანაპიროზე სეირნობდით თქვენს პირველ სიყვარულთან ხელგადახვეული... მერე კინაღამ თავი დაიხრჩეთ დუნაის მოალერსე ტალღებში... აქ თქვენი ახალგაზრდობა რჩება, ლონდონში კი სიბერე გელით. *(მერე თითქოს თავისთვის:)* და მაინც მშურს თქვენი...

ფროიდი. მითხარით, ვინ ხართ?

უცნობი. ვიცი, არ დამიჯერებთ.

ფროიდი *(ცდილობს ამ გამაღიზიანებელ გაუგებრობას წერტილი დაუსვას)*. თუ ასეა, წადით!

უცნობი. მაინც როგორი დაღლილი ხართ ადამიანებით.... ჩემს მოშორებას ასე რატომ ჩქარობთ? დოქტორო ფროიდ, მეგონა, უფრო ყურადღებიანი იყავით პაციენტების მიმართ, თქვენ კი მაგდებთ... განა შეიძლება ასე მოექცეთ ნერვებით დაავადებულ ადამიანს? იქნებ თქვენ მისი

უკანასკნელი იმედი ხართ? რა იქნება, ახლა აქედან რომ გავიდე და მანქანას შევუვარდე?

*(ფროიდზე სტუმრის სიტყვები საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს და დივანზე მოწყვეტით დაეშვება.)*

ფროიდი. უდროო დროს მოხვედით, ამ საღამოს [illegible]თარი დოქტორი ფროიდი არ არსებობს... თქვენ ხვდებით, რაკიღა სხვებს მკურნავ, არ შეიძლება ხვნით მე თვითონაც ვიტანჯებოდე? ხანდახან იმ ადამიანების მიმართ, ვინც მე გადავარჩინე, ბრაზი მიპყრობს – მე ხომ ვერავინ მშველის, მე ხომ მარტოდმარტო ვარ ჩემს მწუხარებასთან.

უცნობი. ის დაბრუნდება.

*(ფროიდი გაკვირვებული უყურებს.)*

ჰო, ანა დაბრუნდება, დიდხანს არ გააჩერებენ. ამის უფლებას მათ არავინ მისცემს, ეს მათ ჩინებულად იციან. მალე დაბრუნდება და თქვენ მას გახარებული ჩაიკრავთ, თუმცა ეს სასოწარკვეთას უფრო ემსგავსება, ვიდრე ბედნიერებას – აი როდის იგებ, რომ ცხოვრება თურმე ძაფზე კიდია და ეს ძაფი ამჯერად არ გაწყდა... არ გაწყდა იმიტომ, რომ ეს სისუსტე სიყვარულის ძალას აძლევს...

ფროიდი. ვინ ხართ?

უცნობი. როცა ისეთს გხედავთ, როგორიც ახლა ხართ, სურვილი მიჩნდება – გამოგიტყდეთ.

*(ცდილობს თავზე ხელი გადაუსვას. გაკვირვებული ფროიდი უცებ გადაწყვეტილებას იღებს, მასში ექიმი იღვიძებს.)*

ფროიდი. ჩემი დახმარება გჭირდებათ?

უცნობი *(გაოცებული)*. დიახ! ესე იგი, არა... ესე იგი... მომეჩვენა, რომ... ეჰ, სასაცილოა იმის გაფიქრება, თითქოს... არა, ტყუილი იმედია... მართალი გითხრათ, მეეჭვება.

ფროიდი. რატომ? შემიძლია დაგეხმაროთ. ჰო, რა თქმა უნდა! *(ნვეული აღფრთოვანებით)* ყველას თავისი თავი უნიკალური ჰგონია, მეცნიერება კი საპირისპიროს ამტკიცებს. ნუ ღელავთ, დაგეხმარებით... სულერთია დილამდე ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენია. *(უცნობს სახეში შეჰყურებს.)* უცნაურია, რატომღაც ჩემში შეცოდებას არ იწვევთ.

უცნობი. ასეც უნდა იყოს!

ფროიდი. რაც არის, არის, შევუდგეთ. *(საკმაოდ გახალისებული.)* დაწექით, აი, აქ... *(მიუთითებს დივანზე.)* თქვენი სახელი?

უცნობი. ნამდვილი სახელი?

ფროიდი. დიახ, წესი ასეთია. *(მოთმინებით.)* თქვენი სახელი და მამის სახელი?

უცნობი. მამა არ მყავს.

ფროიდი. მაგრამ, რაღაცას ხომ გეძახიან?

უცნობი. მე არავინ არაფერს მეძახის.

ფროიდი *(გაღიზიანებული).* არ მენდობით?

უცნობი. ეს თქვენ არ მიჯერებთ მე!

ფროიდი. კარგი, მაშინ ახლა სხვანაირად ვცადოთ. მომიყევით თქვენი ბოლო სიზმარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი. მე სიზმრებს არ ვხედავ.

ფროიდი *(დიაგნოზს სვამს).* მეხსიერების ბლოკირება — შემთხვევა სერიოზულია, მაგრამ კლასიკური... მაშინ, უბრალოდ, რაღაც მომიყევით.

უცნობი. სულერთია?

ფროიდი. რაც გნებავთ.

*(უცნობი ფროიდს ისე დაჟინებით შეჰყურებს, თითქოს სულში სწვდებაო.)*

უცნობი. პატარა რომ ვიყავი, უღრუბლო ციდან ყოველდღე ჩახჩახა მზე დამბრდღვიალებდა, კეთილი გადიები თავს მევლებოდნენ, სიყვარულით დამკლდურტულებდნენ, მათ მოლიავებულ მკერდს ვანილის ტკბილი სურნელი სდიოდა. და აი ერთხელაც, დილით, როცა ჯერ მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი, ვიჯექი მარტოდმარტო უკაცრიელ სამზარეულოში, იატაკზე. დიდ, უზარმაზარ ოთახში ავეჯი კედლებთან ისე იყო მიდგმული, თითქოს მოცარიელებულ შუა ადგილს შეშინებულნი გაერიდნენო, შუა ადგილს, საიდანაც ყოველ მხარეს თეთრი და წითელი ფილების ირიბი ბილიკები მიემართებოდა. მიყვარდა სამზარეულოში ბოდიალი, დავხოხავდი და დავხოხავდი მუხლებზე, მოსამსახურეებს ფეხებში ვებლანდებოდი. ზოგჯერ რაიმე გემრიელ სასუსნავს — ძეხვის პატარა ნაჭერს ან ღვეზელს წავაწყდებოდი. რატომ არავინ იყო იქ იმ დღეს, არ ვიცი, ეს კითხვა უფროსებს ეხება, მაშინ მე ამაზე არ დავფიქრებულვარ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ბრდღვიალა წითელსა და თეთრ, წყალივით უფერულ ნახჭებში მარტოდმარტო, სრულიად მარტოდმარტო ვიჯექი... ფერად უჯრედებში საოცარი სამყარო იმალებოდა. მარტო უფროსები ხედავენ ფეხქვეშ მხოლოდ იატაკს, ბავშვებისთვის თვითეული ფილა თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. ერთზე — ორნამენტებიდან და ლაქებიდან — პირდაღებული ურჩხული იყურება, მეორეზე — კუნკულიანი ბერები არიან ჩამწკრივებულნი, მესამეზე სახით ვიღაც ტალახით აჭრელებულ მინას აჰკვრია... სამზარეულო ჩემთვის მთელი სამყარო იყო. მას უამრავი სხვა სამყარო უერთდებოდა, რომლებიც ვიწრო კვადრატებიდან თითქოს თავის დაღწევას ცდილობდნენ. უცებ ვიყვირე. მე თვითონაც არ ვიცი რატომ. ალბათ ან დახმარება მინდოდა ვინმესი, ან საკუთარი ხმის გაგონება... მაგრამ არავინ გამომხმაურებია.

*(ფროიდი გაოცებული უსმენს. უცნობი კი განაგრძობს.)* *იატაკი უცებ ბრტყელი და უსახური გახდა. დუმილს ღრმა ძილით ეძინა. ქურა, რომელზეც ყოველთვის ქვაბი გაჰქონდა თუხთუხი მიცვალებულივით დუმდა.*

*(ფროიდი, თითქოს წარსულში იძირება. უცნობთან ერთად ტუჩებს აცმაცუნებს...)*

ვყვიროდი და ვყვიროდი... ჩემი ყვირილი ზედა სართულამდე აღწევდა, ცარიელ ოთახებში აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ იქ მისი გამგონი არავინ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროიდი *(ამბავს ისე განაგრძობს, თითქოს წინასწარ იცოდა ყველაფერი).* ყვირილმა მთელი სახლი მოიარა და უკან ექოდ დამიბრუნდა. სიჩუმე კიდევ უფრო აუტანელი მეჩვენა.

უცნობი *(აიტაცებს).* სამზარეულო უცებ როგორღაც გაუცხოვდა. ახლად მორეცხილი იატაკი, ავეჯი, ავეჯის განლაგებაც კი — ყველაფერი უცხო და უცნაური მეჩვენა.

ფროიდი. თავი ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილად ვიგრძენი. და აი მაშინ გავიფიქრე...

ფროიდი და უცნობი *(სინქრონულად).* "აი ეს მე ვარ, ზიგმუნდ ფროიდი. მე ხუთი წლის ვარ. მე ამ წუთს სამუდამოდ დავიმახსოვრებ".

*(პაუზა. ფროიდს მზერა ნელ-ნელა გადააქვს უცნობზე.)*

უცნობი *(ისევ მთვარეულივით განაგრძობს).* და კიდევ გავიფიქრე: "ცარიელ სახლში ვტირი, ვღრიალებ, მაგრამ არავის ესმის... სამყაროც ასეთივე ცარიელი სახლია — ძახილზე არავინ მეპასუხება!.." *(პაუზა).* ფროიდ, მე აქ იმის სათქმელად მოვედი, რომ ეს ასე არ არის. რომ არის ვიღაც, ვისაც ესმის შენი, ვინც მოდის შენთან...

*(ფროიდი შიშით შეჰყურებს. მიდის, ხელით ეხება, მის რეალობაში რწმუნდება და უკან ბრუნდება.)*

ფროიდი. ეს შეუძლებელია. საიდან გაიგეთ? ეს იგი, გესტაპოში იყავით, ჩემი ქაღალდები წაიკითხეთ.

უცნობი. კი მაგრამ, დაწერეთ თქვენ სადმე ამის შესახებ?

ფროიდი *(პაუზის შემდეგ).* არა. არც მიმიყოლია არავისთვის. *(პაუზა.)* თქვენ ეს ყველაფერი მოიგონეთ!

*(უცნობი არაფერს პასუხობს.*

*ფროიდი დაბნეულია, უნდა რაღაცას ჩაეჭიდოს. უცებ გონება გაუნათდება.)*

ნუ მოძრაობთ. *(მაგიდიდან ჯიბის საათს იღებს.)* იწყება, აი ასე...

*(უცნობი არ ეწინააღმდეგება. ფროიდს მის წინ საათი სამაჯურით ჩამოკიდებული უჭირავს და აქანავებს.)*

დაღლილი ხართ, მოდუნდით...

უცნობი *(ჩაიცინებს).* ეს ჰიპნოზია, დოქტორო? მეგონა დიდი ხანია უარი თქვით ამ მეთოდზე.

ფროიდი. როცა პაციენტი კონტაქტზე არ მოდის, ჩემი ძველი ჯიბის საათი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა. *(საათის ქანქარს განაგრძობს. შთამაგონებლად:)* თქვენი ქუთუთოები მძიმდება... გეძინებათ... ცდილობთ ასწიოთ მარცხენა ხელი, მაგრამ არ გემორჩილებათ... თქვენ დაიდა-

ლეთ... ძალიან დაიღალეთ... დაიძინეთ... ჰო, უნდა დაიძინოთ...

*(უცნობი იძინებს. ჰიპნოზის სცენას თან სდევს ჩუმი, იდუმალი მელოდია. უცნობი ფროიდს კითხვაზე პასუხობს და მისი ხმაც მელოდიური ხდება.)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ხართ?

უცნობი. სახელი მაშინ არის საჭირო, როცა შენს ირგვლივ შენი მსგავსები არიან. მე ხომ ერთი ვარ...

ფროიდი. ვინ არიან შენი მშობლები?

უცნობი. მე მშობლები არ მყავს.

ფროიდი. გარდაიცვალნენ?

უცნობი. არა, დაბადებიდან ობოლი ვარ.

ფროიდი. მათ შესახებ არაფერი გახსოვთ?

უცნობი. არაფერი...

ფროიდი. რატომ არ გინდათ, რაიმე გაიხსენოთ?

უცნობი. სიამოვნებით გავიხსენებდი, მაგრამ არაფერი მაქვს გასახსენებელი.

ფროიდი. რა გინდათ დაივიწყოთ?

უცნობი. არასოდეს არაფერს ვივიწყებ, მაგრამ არც მოგონებები მაქვს.

ფროიდი. როდის გაიცანით დოქტორი ფროიდი?

უცნობი. როცა პირველად მისი ხმა გავიგონე. მან თქვა: "აი ეს მე ვარ, ზიგმუნდ ფროიდი, მე ხუთი წლის ვარ, მე ამ წუთს სამუდამოდ დავიხსომებ". მისი სუსტი, სლუკუნა ხმა ჩემამდე სხვა მიწიერ გნიასთან ერთად აღწევდა.

ფროიდი. მაგრამ ზიგმუნდ ფროიდი თქვენზე უფროსია. რამდენი წლის ხართ?

უცნობი. მე უასაკო ვარ.

ფროიდი. თქვენ ზიგმუნდ ფროიდს ვერ მოუსმენდით, მაშინ ჯერ დაბადებული არ იყავით.

უცნობი. მე არც არასოდეს დავბადებულვარ, არც არასოდეს ვქმნილვარ.

ფროიდი. სად იყავით, როცა ფროიდის ხმა გაიგონეთ?

უცნობი. არსად — არც შორს, არც ახლოს, სხვა განზომილებაშიც კი არა. ეს... წარმოუდგენელია... წარმოსახვა სახეებით აზროვნებს, იქ კი ეს არ არის – არც მდელოებია, არც ღრუბლები,არც ლაჟვარდოვანი სივრცე — არაფერი არ არის... სად იმყოფებით ხოლმე სიზმარში?..

ფროიდი. კითხვებს მე ვიძლევი. იქ, თქვენთან... ადამიანები არიან?

უცნობი. არიან ჩემში და არსად – ისე როგორც ადამიანებში სიზმრები.

ფროიდი. ახლა, აი ამ წუთას სად იმყოფებით?

უცნობი. ახლა, 1938 წლის 22 აპრილს მე ვიმყოფები ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ბერგასის ცხრამეტში, დოქტორ ფროიდის მისაღებში.

ფროიდი. ვინ არის დოქტორი ფროიდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი. მრავალი, როგორც სწორი, ისე არასწორი გაბედული ჰიპოთეზის ავტორი, მოკლედ, გენიოსი.

ფროიდი. მაინცდამაინც მას რატომ მიმართეთ?

უცნობი. წინასწარმჭვრეტებს თვალებს სთხრიან, წინასწარმეტყველებს კი კიბო ამარცხებს. ისიც ავადაა.

ფროიდი. მალე მოკვდება?

უცნობი. დიახ.

ფროიდი. როდის?

უცნობი. 23 სექ... *(უცებ თვალს ახელს.)* მაპატიეთ, დოქტორო, ასეთ კითხვებს არ ვპასუხობ.

ფროიდი. *(უცნობის მოულოდნელი გაღვიძებითა და პასუხებით დაბნეული.)* მაგრამ... ჰიპნოზიდან ასე არავინ გამოდის... თქვენ...

უცნობი. მე რომ თქვენთვის ახლა ამ კითხვაზე პასუხი გამეცა, იმ დღეს, ანუ იმ ჩემს მიერ ხსენებულ დღეს თქვენ შეიძლება თვითშთაგონებით მომკვდარიყავით, დამნაშავე კი მე ვიქნებოდი. *(ადგება და ოთახში გაივლ-გამოივლის.)*

ფროიდი *(თავისთვის)*. მგონი ჭკუაზე ვიშლები.

უცნობი. ხშირად სიგიჟე გონიერებაზე ბრძენია. *(წელში გაიმართება.)* არა, სხეული დიდი უცნაური რამ არის, მაგრამ რა სწრაფად ბერდება და უძლურდება. მე ამას უკვე დიდი ხანია გადავეჩვიე. *(სარკეში იყურება.)* მოგწონვართ? ალბათ რა სასაცილო სიფათი მაქვს? იმ ერთი აქტიორის გარეგნობა გამოვიყენე, რომელიც მაშინ დაიბადება, როცა თქვენ უკვე აღარ იქნებით.

ფროიდი *(მექანიკურად)*. ლამაზი სახე გაქვთ.

უცნობი *(გულწრფელად გაოცებული ისევ სარკეში იყურება)*. მართლა? მაგრამ ახლა ხომ ჩემს ნამდვილ მეს იოტისოდენადაც არ ვგავარ?

ფროიდი *(ისიც სარკესთან მიდის)*. თქვენა გგონიათ, მე კი ვცნობ ჩემს თავს იმ წვერიან მოხუცში, სარკიდან რომ შემომცქერის? მივეჩვიე, მაგრამ სულერთია, არ მჯერა, რომ ეს მე ვარ...

უცნობი. არ მოგწონთ საკუთარი გამოსახულება?

ფროიდი. ადამიანი სარკეში ჩემთან ერთად პირს აღებს, ხელებს მაღლა სწევს და მე მის შესახებ ვამბობ, რომ ეს მე ვარ! მაგრამ, ეს ნაოჭებით დაღარული შუბლი, ჭაღარა თმა, გამოფიტული, დამჭკნარი ტუჩები — ჩემი არ არის. შუბლი გადატკეცილი მქონდა, თმა — შავი, თუმცა შეიძლება არც მაშინ იყო მაინცა და მაინც ჩემს სხეულსა და ჩემს მეს შორის თანამთხვევა.

უცნობი. თქვენ ზუსტად იმას აღწერთ, რასაც ყოველთვის განვიცდი, როცა გარდასახვა მიწევს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თქვენც — ადამიანებიც რაღაც ამდაგვარს განიცდით.

ფროიდი *(სარკეში უცნობის გამოსახულებას ერთხანს მდუმარედ მიჩერებს).* მაპატიეთ, მაგრამ, არ შემიძლია, ვერ დავიჯერებ, რომ ეს თქვენ ხართ!

უცნობი. ვიცი... ვიცი, რომ ჩემში ჩემობა არ გჯერა. დოქტორი ფროიდი – ბრწყინვალე ათეისტი, ათეიზმის ქადაგებელი და ჩეოფიტი.

ფროიდი. რატომ გამომეცხადეთ მე და არა რომელიმე კიურეს ან რაბინს?

უცნობი *(დაუდევრად).* თაყვანისმცემლებთან საუბარი ისეთი მოსაწყენია! გარდა ამისა...

ფროიდი. რა?

უცნობი. არა მგონია, მღვდელმა თქვენზე უკეთ გამიგოს. ეს ხალხი ჩემი სახელით ქადაგებასა და მოქმედებას, ჩემს მაგიერ რჩევა-დარიგებების გაცემას ისე მიეჩვია... ვშიშობ, ვაითუ ხელი შევუშალო.

*(ქუჩიდან ყვირილი და ჩექმების ბრაგაბრუგი ისმის.)*

ფროიდი. და მაინც რატომ მოხვედით ჩემთან? *(პაუზა.)* იმიტომ, რომ მომაქციოთ?

უცნობი *(იცინის).* რა ამაყია! არა... ესეც რომ არა, უკვე გვიანაა. რამოდენიმე თვის შემდეგ შენს წიგნს – "მოსეს" გამოაქვეყნებ... მე შენ არ მომიქცევიხარ.

ფროიდი. მაგრამ მე თქვენ აქ – ჩემ წინაშე გხედავთ.

უცნობი. შენ უბრალოდ ადამიანს ხედავ.

ფროიდი. თქვენ ისე მოულოდნელად გამოჩნდით...

უცნობი. შემეძლო ფანჯრიდან გადმოვმძვრალიყავი.

ფროიდი. იცოდით, ანა რომ გესტაპოში წაიყვანეს?

უცნობი. ეს მთელმა სახლმა იცის.

ფროიდი. ნუ დამცინით. როგორ შეგეძლოთ მოგეყოლათ ის, რაც მე ხუთი წლისას გადამხდა?

უცნობი. გგონია, უნიკუმი ხარ? არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ისეთი ამბები შეთხზან, სადაც ადამიანები თავის თავს შეიცნობენ – მათ მწერლები ჰქვიათ. იქნებ მე ღმერთი კი არა, უბრალოდ, კარგი მწერალი ვარ? დიდი ამბავი, შუა სამზარეულოში ბიჭუნას უცებ გონება თუ გაუნათდა და მიხვდა, ვარსებობო!

ფროიდი. სისულელეა, თქვენ მე ვერ გამაცურებთ!

უცნობი *(ფროიდთან ახლოს მიდის).* უცნაური ამბავია, ძვირფასო ჩემო ფროიდ, ასე უცებ რატომ შეგიპყრო რწმენის წყურვილმა. რატომ აღარ ყოყმანობ, რატომ აღარ გსურს ამის გაგონება? *(მოულოდნელად.)* რამდენი წლის იყავი, როცა ის გარდაიცვალა?

ფროიდი. ვინ?

უცნობი. მამაშენი.

ფროიდი. ორმოცის.

უცნობი. თავს ისე ნუ იჭერ, ვითომ არ გესმოდეს! რამდენი წლის იყავი, როცა ის შენს თავში გარდაიცვალა?

ფროიდი. ეს ისე დიდი ხნის წინ იყო...

უცნობი. შენ მაშინ ცამეტის იყავი... დიახ, მთელი ცამეტი მიწიერი წელი იცხოვრე, როცა უცებ მიხვდი, რომ მამა

შეიძლება შეცდეს, უფრო მეტიც, არ გატყდეს, არ აღიაროს თავისი შეცდომები... მიხვდი, ის რაც შენ სიმართლის ძალად მიგაჩნდა, სინამდვილეში უვიცობა და ნა[illegible]ჩენილობა იყო. შენ მამის სუსტი მხარეები აღმოაჩინე, დაინახე, რომ ზოგჯერ ის მშიშარაა და გაუბედა[illegible] ცოლის და მეზობლების ეშინია... შენთვის ნა[illegible]და, რომ მამის პრინციპები სამყაროს კანონებს კი არ წარმოადგენს, მზესავით მარადიულსა და უცვლელს, არამედ საკუთრივ მის აზრებს, ძველი ფლოსტებივით შეჩვეულ, დაზეპირებულ ფრაზებს, რომლებსაც გაუთავებლად იმეორებს, თითქოს ეს მათ უფრო აზრიანს და დამაჯერებელს ხდიდეს. მიხვდი, რომ კანი უბერდება, ხელები უკვე უკანკალებს, წელში იხრება, გონება უსუსტდება. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს მიხვდი, რომ მამაშენიც ერთი ჩვეულებრივი ადამიანია.

ფროიდი. იმ დღეს ჩემი პირით მოზრდილი ადამიანი ალაპარაკდა.

უცნობი. ასე გგონია? არა, ფროიდ, იმ დღეს შენ ბავშვივით ალაპარაკდი და მაშინვე ღმერთთან გაიქეცი – შენი მოტყუებული სიყვარული ნუგეშს და რწმენას ეძიებდა. გინდოდა მოკვდავი მამა უკვდავით, ზებუნებრივით შეგეცვალა, იმით, ვინც ცაში გეგულებოდა.

ფროიდი. მაგრამ...

უცნობი. ნუ მეკამათები, ამის თაობაზე ყველა წიგნშია დაწერილი. ვინაიდან შენი მიწიერი მამა შენთვის გარდაიცვალა, შენ იგი ცაში აიყვანე. შენი აზრით, ასეთია ღმერთის წარმოშობის იდეა – ადამიანი ღმერთს ქმნის იმიტომ, რომ ძალიან უნდა, სწამდეს მისი. ღმერთი ადამიანების მიერაა მოგონილი, მათი რაღაც მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. *(ხმას უწევს.)* გამოდის, რომ მე მათი ილუზიური ნუგეში ვარ?! *(ყვირის.)* ასეა?

ფროიდი *(ხმაჩაქრალი).* ასეა.

უცნობი. თუ ასეა, შენ უბრალოდ, ბოდავ, ფროიდ. მე კი შენი ფანტაზიის ნაყოფი ვარ, ასე გამოდის.

*(კიბეზე ჯარისკაცების ხმაური და ფეხის ხმა ისმის.)*

ფროიდი. ჩემთვის არც ერთ ადამიანს არ შეეძლო ეთქვა ის, რაც თქვენ ახლა ჰიპნოზის ქვეშ მითხარით.

*(ისმის კარზე უხეში კაკუნი. ფროიდი ისე შეშფოთებული შესცქერის უცნობს, თითქოს ეკითხება, რა ხდებაო.)*

უცნობი *(ჩურჩულით).* ჰო, ჰო, უპასუხეთ!

*(უცნობი სასწრაფოდ ფარდის უკან იმალება. იმავე წუთს შემოდის გესტაპოს ოფიცერი.)*

სცენა V

ფროიდი, ოფიცერი, უცნობი ფარდის უკან.

*(ოფიცერი ოთახს მზერას საეჭვოდ მოავლებს.)*

ოფიცერი. რაღაც დიდხანს მოუნდით კარის გაღებას. *(ნიშანს აძლევს შემოსასვლელში გაჩერებულ ჯარისკაცებს.)* განაგრძეთ უჩემოდ.

ფროიდი. სად არის ჩემი ქალიშვილი?

ოფიცერი *(ოთახს თვალს მოავლებს).* გესტაპოში.

ფროიდი. ხომ მალე გამოუშვებთ?

ოფიცერი. ვნახოთ. ჯერ კი ბიჭები ერთობიან მასთან. თქვენ მშვენიერი ქალიშვილი გყავთ. *(ტონს დაუწევს, ჩურჩულად)* აქ თქვენს გარდა არავინ არის?

ფროიდი. რა თქმა უნდა, როგორც ხედავთ!

ოფიცერი *(საწერ მაგიდასთან მიდის).* ო, აი თურმე მოგიწერიათ ხელი დოკუმენტისათვის... *(მაგიდიდან ხელმოწერილ ქაღალდს იღებს და ჯიბეში ინახავს.)* ვერაფერს იტყვი, ფრიად გონივრული საქციელია.

ფროიდი. კი მაგრამ, ჩემი ქალიშვილი?

ოფიცერი *(თითქოს ვილაცას ეძებსო, ისევ აქეთ-იქით იყურება).* ცოტა მოითმინეთ! თქვენ თუ წახვალთ, მასაც აუცილებლად დაგიბრუნებენ. ერთი ებრაული ოჯახისაგან თუ გავთავისუფლდებით, მხოლოდ გაგვიხარდება.

ფროიდი. და თქვენ მას უვნებლად დააბრუნებთ?

ოფიცერი *(გულიანად ხარხარებს).* მაშ როგორ!.. თქვენ რა, კიდევ გაქვთ მისი გათხოვების იმედი? *(წიგნის კარადის წინ დგას. ხერითზულად:)* ებრაელებზე განსაკუთრებული ყნოსვა მაქვს – მე მათ სუნით ვცნობ.

ფროიდი. ნუთუ მართლა? მეც მისუნეთ?

ოფიცერი *(სიცილით--).* რა თქმა უნდა!

ფროიდი. მერედა, როგორი სუნი მდის?

ოფიცერი *(გულუბრყვილოდ).* თქვენ კი არა, როცა ჩემს გვერდით ხართ, სუნი მე მდის.

ფროიდი. მაინც, რისი?

ოფიცერი. განავლის.

ფროიდი *(ყურებს არ უჯერებს).* მაპატიეთ?!

ოფიცერი. ჰო, რა თქმა უნდა! ყოველთვის ასეა. თუ უცებ საკუთარ თავს უბადრუკ არარაობად ვიგრძნობ, თუ იმის განცდა დამეუფლა, ფული არა მაქვს და არც მექნება, არც ქალებს მოვწონვარ-მეთქი, ესე იგი, სადღაც ახლოს ებრაელია და მიყურებს. საკმარისია გავიხედო, რომ ზუსტად ასეა, წყალი არ გაუვა! საკმარისია სადმე ახლომახლო ებრაელი გამოჩნდეს, ყროლის სუნი მდის, დიახ, დიახ, ყველგან და ყოველთვის მხოლოდ ებრაელების გამო! აი ახლაც, როცა აქ, თქვენთან ვარ, როცა ამ დიდებულ ავეჯს ვხედავ, ამ სურათებს, ამ მაგიდას, ამ წიგნებს, რომელიც მე არასოდეს წამიკითხავს, ვიხრჩობი, სუნთქვა მეკვრის, ვიცი ებრაელის სახლში ვარ.

ფროიდი. უცნაურია. მე კი როცა საკუთარი თავითა ვარ უკმაყოფილო, ისევ საკუთარ თავს ვადანაშაულებ.

ოფიცერი. საკუთარ თავს, ესე იგი, ებრაელს! სწორია, ასეც უნდა იყოს! *(ჯიუტად.)* საერთოდ კი, ხომ ვამბობ, განსაკუთრებული ალღო, განსაკუთრებული ყნოსვა მაქვს! *(იმავე წუთს ჯიბიდან რაღაც ქაღალდს ამოიღებს – იმას, რის გამოც მოვიდა.)* იცნობთ ამას? *(ფროიდი არ*

*პასუხობს. ქაღალდის დანახვა მას აშკარად ახურვე-ულებს.)* საოცარია! სიხარულისაგან რატომ არ ხტუნავთ? ალბათ ნერვიულობდით, გეგონათ, დაკარგეთ. ანდერძი დიდად სასარგებლო რამ არის, განსაკუთრებით თქვენს ასაკში... თანაც ახლანდელ დროს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფროიდი. ამით რის თქმა გინდათ?

ოფიცერი. ცხადია რისაც. თქვენი ანდერძის მიხედვით აშკარაა, რომ საზღვარგარეთ საბანკო ანგარიშები გაქვთ. თქვენ კი ამის შესახებ არაფერი გვითხარით... ცუდია, ძალიან ცუდია!..

ფროიდი. თქვენ ამის თაობაზე არ გკითხავთ.

ოფიცერი. გადაიტანით ფული კორდონს იქით!.. სად არის თქვენი პატრიოტობა?!. თქვენ ხომ ამით სახელმწიფოს ქურდავთ!

ფროიდი. ეს ფული ჩემი შვილებისთვის იყო.

ოფიცერი. აი ხედავ! მოდა, სწორედ ძალიან გამოადგება თქვენს ქალიშვილს... ახლა შეიძლება აღარ დაკითხონ ისე მიკერძოებულად... *(შეპარვით.)* ანდერძის შესახებ მხოლოდ მე ვიცი. გესტაპოს თუ ვუჩვენებ, თქვენც და თქვენს ქალიშვილსაც უსიამოვნება შეგხვდებათ.

ფროიდი *(ნებდება)*. რას მოითხოვთ?

ოფიცერი. უპირველეს ყოვლისა, კარგად მოიფიქრეთ... თქვენ ეს ჩინებულად შეგიძლიათ, პროფესორო... *(ცალი ხელით ანდერძს აფრიალებს, მეორე ხელით იმ ქაღალდს აჩვენებს, რომელსაც ფროიდმა ეს-ესაა ხელი მოაწერა.)* აი ამ ქაღალდს — აი ამის ანულირება შეუძლია! რას იტყვით? *(დერეფანში ისმის ჯარისკაცების ჩექმების ბრაგუნი. ოფიცერი კარისკენ შებრუნდება და ჯარისკაცებს გასძახებს):* აქ არაფერია, ზედა სართული გაჩხრიკეთ!

ფროიდი *(ანგარიშმიუცემლად)*. ვინმეს ეძებთ?

ოფიცერი. თქვენ არავინ დაგინახავთ, ხომ ასეა? კეთილი... *(შეჩერდება ზღურბლთან.)* იფიქრეთ და გადაწყვიტეთ. მე მგონი ეს ამბავი ჩვენ შორის უნდა დარჩეს... გესმით, რის თქმა მინდა? *(ფართოდ იღიმება.)* მოგვიანებით შემოგივლით...

*(მიდის.)*

სცენა VI

უცნობი, ფროიდი.

*(უცნობი ფარდის უკნიდან გამოდის და თითქოს მოჩვენებას ხედავსო, სადღაც სივრცეში იყურება.)*

უცნობი. ეგ კაცი ტყუის.

ფროიდი *(დათრგუნული)*. სამწუხაროდ, ეგ კაცი მართალია. მე მართლაც მაქვს საბანკო ანგარიშები საზღვარგარეთ.

უცნობი. ანაზე მან იცრუა. ანა არ დაუკითხავთ.

ფროიდი *(აღელვებული)*. რა უყვეს, რა დაუშავეს?

უცნობი *(სივრცეს დაჟინებით გასცქერის)*. ანა გესტაპოში — სასტუმრო მეტროპოლშია. ზის დერეფანში და ელოდება.

ფროიდი. ეს კარგია!

უცნობი. კარგი ამაში არაფერი არ არის. ანამ იცის, თუ არ დაჰკითხავენ, დერეფანში იჯდება, საღამოს კი სხვა ებრაელებთან ერთად შეიძლება პირდაპირ ქარაკში უკრან თავი... ან დახვრიტონ.

*(ატირებული ფროიდი უცნობს საყურმილს აწვდის.)*

ფროიდი. რაღაც გააკეთეთ, უშველეთ!

უცნობი. ანა უნდა დაკითხონ.

ფროიდი. მიდით, იმოქმედეთ, რაღაც გააკეთეთ, ჩქარა!

*(უცნობი ფროიდს მშვიდად იცილებს და იმის აღწერას განაგრძობს, რასაც ხედავს.)*

უცნობი. ანა ჯიბეში იქექება, რაღაცას ეძებს... ვერ ვარჩევ, რას?.. მგონი, ხელში ფლაკონი უჭირავს.

*(ფროიდი სკამზე ულონოდ ეშვება.)*

ფროიდი. ვიცი რაც არის – ვერონალია. ანამ ეს ჩემს ექიმს – შურს სთხოვა, უნდოდა ორივეს ერთად მოგვეკლა თავი.

უცნობი *(წუთით თავს ანებებს სიერცეში ცქერას)*. თქვენ ეს შემოგთავაზათ ანამ?

ფროიდი. დიახ.

უცნობი. მერედა, რა უპასუხეთ?

ფროიდი. ვუთხარი, ნაცისტებსაც სწორედ ეს უნდათ-მეთქი.

უცნობი *(ისევ ჭვრეტაში იძირება)*. ჯერჯერობით დასამშვიდებლად ფლაკონს მხოლოდ ხელს უჭერს. ახლა ხელი პირთან მიაქვს და... *(ხმამაღლა ხარხარებს.)*

ფროიდი. რას აკეთებს?

უცნობი *(სიცილით)*. საკუთარ მაჯას ისისხლიანებს... აი სისხლიც წამოუვიდა!

ფროიდი *(აღელვებული)*. რა ხდება? რა სჭირს?

*(უცნობი, თითქოს რაღაც აპარატი გამოთიშაო, ჩვენებას თვალს სწყვეტს.)*

უცნობი. შესანიშნავია, ყველაფერი ისე მიდის, როგორც წერილშია.

ფროიდი. რა? რა ხდება იქ?

უცნობი *(სხაპასხუპით)*. აი გესტაპოელები შემოცვივდნენ... ესენი მილიონობით ადამიანს ისე ხოცავენ, თვალს არ ახამხამებენ, ქალს კი, კანი უბრალოდაც რომ გაეკაწროს, სისხლი წამოუვიდეს, დახმარების გარეშე არ ტოვებენ. ანამ თავისას მიაღწია, ყურადღება მიიქცია... ძვირფასო ფროიდ, ქალიშვილზე ნუ დელავთ, ჭკვიანი შვილი გყავთ.

*(ფროიდი შეძრწუნებულია.)*

ფროიდი. არ ვიცი... მგონი, შემიძლია დაგიჯეროთ.

*(თანხმობის ნიშნად უცნობი თავს უქნევს. ფროიდთან ღიმილით მიდის, ხელში ხელს ჰკიდებს და გასამხნევებლად ხელს უჭერს. მისი სიტყვები არც თუ ისე ესადაგება მის თბილ ღიმილს.)*

უცნობი. ამ ერთი თვის მანძილზე ვენაში თავი ხუთასმა ადამიანმა მოიკლა, ძირითადად ებრაელებმა.

ფროიდი. საიდან იცით?

უცნობი. გაზეთებიდან, ნაცისტურმა ხელისუფლებამ ამის უარსაყოფად ერთი ასეთი პატარა ცნობა გამოაქვეყნა: ხმა გაზვიადებულია, თავი ხუთასმა კი არა, მხოლოდ ოთხას ორმოცდაშვიდმა მოიკლაო. ამ ბატონებს ყველაფერში სიზუსტე უყვართ...

*(ვესტიბიულში ისევ ჯარისკაცების ფეხის ხმა და ოფიცრის ყვირილი ისმის. ოფიცერი ბრძანებას იძლევა.)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროიდი *(შიშით)*. აი ისიც!.. რა ვუთხრა? რომ დავეთანხმო, გროშიც არ დაგერჩება.

უცნობი. შეცვალე ძალთა განლაგება!

ფროიდი. როგორ?

*(უცნობი მაგიდიდან სურათს იღებს და ფროიდს აწვდის.)*

უცნობი. აი, გამოიყენე!

ფროიდი. სურათი? რად მინდა, რაში გამოვიყენო?.. არ ვიცი, რა პასუხი გავცე!.. არ წახვიდეთ, ჩემთან დარჩით.

უცნობი. კარგი, ძვირფასო ფროიდ, კარგი, ნუ ბავშვობ. მგონი უკვე შეგიძლია მენდო.

ფროიდი. გეთაყვა, დარჩით, გთხოვთ! დაელაპარაკეთ!

უცნობი. ეს, უბრალოდ, სასაცილოა! ის ხომ ვერ დამინახავს, დღეს მე ხომ მხოლოდ თქვენთვის ვარ ხილული!

## სცენა VII

ფროიდი, ოფიცერი, უცნობი ფარდის უკან.

*(ოფიცრის გამოჩენისთანავე უცნობი სასწრაფოდ იმალება. ფროიდს ხელში ჯერ ისევ ფოტოსურათი უჭირავს.)*

ოფიცერი. რას იტყვით, პროფესორო ფროიდ, მოიფიქრეთ?

*(ფროიდი თავს მოურევა, თუმცა ჯერ ისევ არ იცის, რა პასუხი გასცეს.)*

ფროიდი. მოვიფიქრე. *(ოთახში ბოლთას სცემს, დროს წელავს და თან გესტაპოელს შეჰყურებს.)* დიახ, მოვიფიქრე... იცით... *(ფიქრობს დაძაბული.)* შემთხვევით ხელში ბიძაჩემის — სიმონის სურათი ჩამივარდა... *(ოფიცერს სურათს ახლოს ხსნის.)* აი...

ოფიცერი *(სურათს არ უყურებს)*. გეყოფათ ჭკუთობა!.. ფულს როგორ გადმომცემთ?

ფროიდი *(მოქმედებისთვის მზად არის)*. დიახ, დიახ, ახლავე მოგახსენებთ. იცით, ბიძია სიმონის სურათს ვათვალიერებდი და უცებ თქვენი არაჩვეულებრივი ყნოსვის ამბავი გამახსენდა. მაინც რა არის ყნოსვა? რა არის და, ცხვირი! იცით, უცნაური ამბავია... მომეჩვენა, რომ... ო, არა... ალბათ შევცდი.

ოფიცერი. რა მოხდა?

ფროიდი. უბრალოდ, თავში აზრად მომივიდა, რომ... ყნოსვა... ცხვირთანაა დაკავშირებული...

ოფიცერი. რა, რაა?!

ფროიდი. ზუსტად ისეთი ცხვირი გაქვთ, როგორიც ძია სიმონს, ის კი რაბინი იყო.

*(ოფიცერი უნებურად ცხვირზე ხელს ისვამს.)*

რა თქმა უნდა, მე დიდი არაფერი ფიზიონომისტი ვარ, მაგრამ აქ ისეთი მსგავსებაა, მაშინვე თვალში გვხვდება... ასე მეგონება, ნამდვილი სისხლისმიერი ნათესავები ხართ... არა, დააკვირდით – ცხვირი მე გაცილებით სწორი მაქვს, ვიდრე თქვენ... მაგრამ მე ებრაელი ვარ! მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგაშიც კი არ დავდივარ, მაინც ებრაელი ვარ! არც ფულს გამოვდევნებივარ როდისმე... და მაინც ებრაელი ვარ! არა, ეს მართლაც უცნაურია, ნუთუ თქვენთვის არასოდეს არაფერი უთქვამთ თქვენი ცხვირის შესახებ?

ოფიცერი *(უკან-უკან იხევს).* ჩემი წასვლის დროა.

ფროიდი. იქნებ თქვენს ნათესავებში...

ოფიცერი. კმარა, მივდივარ.

ფროიდი. თქვენ სწორად მოიქეცით, ებრაელებს რომ აუმხედრდით. ჯერ უნდა ამოირჩიოთ, ვისკენ ხართ, მერე კი მუსრი გაავლოთ ყველას... ყველას, დიახ, ყველას!.. მაინც რით არის ებრაელი საშიში? იმით, რომ სულ ეჭვში ხარ, ვაითუ მეც ებრაელი ვიყოო! *(შეწყვეტით.)* მგონი ჩემს საზღვარგარეთულ ანაბრებზე დალაპარაკება გინდოდათ?

ოფიცერი *(შანტაჟზე წამოეგება).* არა, არ ღირს.

ფროიდი. რატომ? სიამოვნებით დაველაპარაკებოდი თქვენს უფროსებს... ფულზე, აი იმ ფულზე... იმაზე, რომ თქვენ მათ დაუმალეთ ჩემი ანდერძი... გარდა ამისა, გავუმხელდი ჩემს, როგორც მოყვარულის მოსაზრებას, ზოგიერთი თქვენი ფიზიკური მონაცემის თაობაზე... საუბარი სასიამოვნო იქნებოდა...

ოფიცერი. არა, არ ღირს... მე თქვენი ანდერძი თვალითაც არ მინახავს.

ფროიდი. მერედა, ჩემი ქალიშვილი? მალე ვნახავ?

ოფიცერი. დიახ, მალე...

ფროიდი *(ირონიული ღიმილით).* ძალიან მალე?

ოფიცერი. შესაძლებელია... თქვენ? თქვენ რაღას იზამთ? მალე წახვალთ აქედან?

ფროიდი *(ისეთივე ღიმილით).* ძალიან მალე.

ოფიცერი. ნახვამდის, ღამე მშვიდობისა.

ფროიდი. ღამე მშვიდობისა. *(ოფიცერი გასასვლელისკენ ნაბიჯს დგამს.)* იცით, ბატონო გესტაპოელო, ახლა ვხედავ, რომ მე ნამდვილი ებრაელი ვარ, თქვენ კი – არა. რამდენიმე დღეში ჩვენ – ბარგაკიდებულები, ქვეყნიდან დევნილები, ანუ მე, ჩემი მეუღლე და შვილები გზაში ვიქნებით. ებრაელი ხომ ყოველთვის დევნილია, ჩანს, ეს მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.

ოფიცერი *(გულითადად).* მშვიდობით.

*(გესტაპოელი მიდის. ფროიდი ხელებს გახარებული იფშვნეტს – გაიმარჯვა.*

*მერე იმ ფარდას მიუახლოვდება, რომლის უკანაც უცნობია დამალული, რათა თავისი სიხარული მასაც გაუზიაროს,*

*მაგრამ ოფიცერი ისევ გამოჩნდება კარის ზღურბლზე. მიუხედავად იმისა, რომ გუნებაწამხდარია, მაინც გაახსენდება რისთვის მოვიდა.)*

მაშასადამე, არავინ დაგინახავთ?

ფროიდი *(გაოცებულია, მაგრამ დაუფიქრებლად პასუხობს).* არა, არავინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცერი *(კმაყოფილი).* ძალიან კარგი!

ფროიდი. კი მაგრამ, ვინ უნდა დამენახა?

ოფიცერი *(მიდის).* რახან არავინ დაგინახავთ, მნიშვნელობა არა აქვს.

ფროიდი *(გესტაპოელს მოულოდნელად ოთახიდან არ უშვებს).* მაინც ვინ უნდა დამენახა?

ოფიცერი. არა, ისეთი არავინ, დოქტორო. ვიღაც ტიპი გაიქცა და ბურგასზე რომელიღაც სახლში დაიმალა. აგერ უკვე ერთი საათია ვეძებთ.

ფროიდი *(სწრაფად და ალღოებით).* აქ არავინ არის.

ოფიცერი. მე თქვენი მჯერა, ნახვამდის. *(ისევ ჩქარობს წასვლას.)*

*ფროიდი. საიდან გაიქცა? ციხიდან?*

ოფიცერი. არა, აგერ უახლოესი საავადმყოფოდან. გიჟია. დაინახეს, თქვენს სახლში როგორ შემოირბინა... ზემოთა სართულებზე მოვძებნით.

ფროიდი. რა სჭირს — ისტერია, მანია თუ დეპრესია? რას ნიშნავს, გიჟიაო?

ოფიცერი *(პროფესიული დაჯერებით).* რასდა, ფსიხია... *(პაუზა.)* მაგრამ საშიში არ არის. რაღაც სისულელეებს ბოდავს, ხან გოეთე ვარო, ხან — ნაპოლეონი...

ფროიდი *(შეშფოთებული).* ესე იგი, მიფომანია.

ოფიცერი. მშვიდობით, დოქტორო. ყოველი შემთხვევისთვის მაგრად ჩაკეტეთ კარი და ფანჯარა. *(მიდის.)*

სცენა VIII

ფროიდი და უცნობი.

*(ფროიდი შეშფოთებულია, ძალიან განიცდის იმ რწმენის დაკარგვას, რასაც ეს ესაა ეზიარა. გაქვავებულივითაა.*

*უცნობი ფრთხილად გამოდის ფარდის უკნიდან და ფანჯრებს კეტავს. მერე ფროიდს მიუბრუნდება.)*

უცნობი. ვალტერ ობერზაიტი!

ფროიდი *(გულგრილად).* რაა?

უცნობი. ვალტერ ობერზაიტი! ასე ჰქვია იმ ადამიანს, რომელსაც ისინი ეძებენ.

ფროიდი. ესე იგი, თქვენ?

*(უცნობი არ უარყოფს.)*

უცნობი. ვალტერ ობერზაიტი. უბედური ვალტერ ობერზაიტი! თორმეტ წლამდე სარდაფში ჰყავდათ გამოკეტილი. სრულ წყვდიადში... არც სინათლის შუქი უხილავს, არც ადამიანის ხმა გაუგონია. როცა წყვდიადიდან გამოუშვეს, არაფერზე რეაგირებდა, ამიტომაც ყველას შეშლილი

ეგონა. მერე ალაპარაკდა და თითქოს დაკარგული ცხოვრების ამოგება უნდაო, თავის თავზე დაუჯერებელ ამბებს თხზავდა. სწორედ მაშინ შეარქვეს მითომანი.

*(ფროიდი ისე შეაწუხა ამ ამბავმა, ჯდომა ვერ გაძლო.)*

მის აკვანზე დახრილს არავის უოცნებია. ნეტავი რა კაცი დადგებაო?.. არავის დაულოცავს, [illegible] წარმატება და ბედნიერი სიყვარული არავის უსურვებია. მოდა, ჭკუანაკლულებიც სწორედ ის ბავშვები გამოდიან, ვის მომავალზეც არავის უოცნებია. *(პაუზა.)* მეც თითქმის ასეთი ვარ.

ფროიდი *(მშვიდად).* უცნაურია, თქვენ მე მასულდგმულებთ, მე კი თქვენზე არ ვბრაზდები. *(ფანჯარასთან მიდის და აღებს.)* პირიქით, შვებასაც ვგრძნობ, თითქოს იმ ხიწვისაგან განვთავისუფლდი, რომელიც ტკივილს მაყენებდა...

უცნობი. ეს ეჭვი იყო.

ფროიდი *(ფანჯარას აღებს).* მთელი სამყარო დღეს ტკივილისგან იკრუნჩხება,

*(სადღაც შორს ჯარისკაცები ნაცისტურ სიმღერას მღერიან.)*

სამყაროს ღვარძლით სავსე კივილი აძრწუნებს... მე კი დღეს შვილი წამართვეს და ჩემს ცხოვრებაში პირველად, სურვილი არ მაქვს, პაციენტს ვუმკურნალო, პაციენტს, რომელიც ჩემთან დახმარების სათხოვნელად მოვიდა. *(უცნობისკენ შებრუნდება.)* მე თქვენ არ გიმკურნალებთ. არც დღეს, არც ხვალ... მე უკვე აღარ მჯერა ფსიქოანალიზის... მე უკვე აღარ მჯერა ამ ქვეყნის... *(თავისთვის.)* ღირს კი გადაარჩინო კანარის ჩიტი, მაშინ როცა მთელი ქალაქი იღუპება! განკურნო ერთი ან ორი ადამიანის გონება, როცა მთელი სამყარო შეშლილია... *(ისევ მიტრიალდება უცნობისკენ.)* მართლა არ ჰყვარებიხარ არასოდეს არავის?

უცნობი *(ხმაკანკალებული).* მყვარებივარ? ნამდვილი სიყვარულით? არ ვიცი.

ფროიდი *(უცნობს არ უყურებს).* მარტო, უსიყვარულოდ... საშინელებაა...

*(უცნობი არ პასუხობს. მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვრის.)*

ანა რომ არ მიყვარდეს, არ მიყვარდეს მარტა და ვაჟიშვილები, ალბათ ვეღარ ვიცოცხლებდი.

უცნობი. მაგრამ ამ სიყვარულს ისინიც იზიარებენ, ვინც გიყვართ — ისინიც სიყვარულზე სიყვარულით გპასუხობენ.

ფროიდი. მართალი ხართ.

უცნობი. ცალმხრივად თუ გიყვართ, უპასუხოდ, სიყვარულშიც მარტო ხარ, სრულიად მარტო.

ფროიდი *(უცნობისკენ შებრუნდება, მის ხელს ხელში უხერხულად იღებს).* საქმე ის როდია, რომ მომატყუეთ... არა, მე თქვენზე ნაწყენი არა ვარ. მაგრამ დღეს მე არაფრის გაკეთების თავი არ მაქვს — ჩემს ანას, ჩემს გოგონას

ველოდები. ხვალ შემოიარეთ და დავილაპარაკოთ... რა ვიცი, იქნებ ვერ შევძლო თქვენი შეყვარება, მაგრამ ვეცდე-ბი განგკურნოთ და ესეც თავისებური სიყვარული იქნე-ბა... *(გადაწყვეტით.)* დიახ, მე თქვენ გიმკურნალებთ.

*(უცნობი ფროიდის ხელს ხელიდან არ უშვებს, [illegible] გრძნობების ამგვარი გამოვლინების მიმართ თავისი [illegible] დამოკიდებულების მიუხედავად, ხელს არ ითავისუფლებს.)*

ხედავთ, მე და თქვენ ორი ტანჯული ადამიანი ვართ, ორივე ერთნაირი ტკივილით ვიტანჯებით... აი ესეც იმის დასტური, რომ ღმერთი არ არსებობს... ჩვენს ზემოთ ცა ცარიელია, ჩვენი ამ ტანჯვის მიმართ სრულიად გულ-გრილი.

უცნობი. თქვენ ასე გგონიათ?

ფროიდი. გონებამ გაფანტა ილუზია... უკვე აღარავითარი წმინდანები აღარ არსებობენ... ერთადერთი იმედი ექიმე-ბზეღაა. ადამიანს მხოლოდ მეორე ადამიანი უშველის. *(პაუზა.)* დიახ, მე თქვენ დაგეხმარებით.

უცნობი *(გულითადად).* მაგრამ, ეს-ესაა თქვენ მე მიწამეთ. ოღონდ, გამოტყდით... *(ცაზე მიუთითებს.)* ხომ ირწმუნეთ იგი?

ფროიდი *(შეცბუნებულია).* გონება ამერია, დავიბენი.

უცნობი *(ნაცინებით).* გაგიარათ უკვე დაბნეულობამ, გაგინათლ-დათ გონება? *(ფროიდი თავს უქნევს.)* გამოდის, თქვენთვის უფრო ადვილია ირწმუნოთ ვალტერ ობერზაიტი, ვიდრე უფალი ღმერთი?

ფროიდი. მე უკვე ბებერი ვარ, ბატონო ობერზაიტ. მთელი სიცოცხლე სიბრიყვეს და ჩამორჩენილობას ვებრძოდი, ადამიანებს ვკურნავდი. ჩემთვის არც სიმშვიდე იყო, არც დასვენება. მერედა შედეგად რა მივიღე? ზოგჯერ ყელ-ში ნირქი ისე ყარს, ჩემი ერთგული ძაღლი – ტოპიც კი ახლოს არ მეკარება, მიიყუჟება კუთხეში და დამნაშავე-სავით მიყურებს... მერჩია მშვიდად, უცებ მოვმკვდარიყავი, მე კი ხანგრძლივი აგონიისთვის ვარ განწირული. რამ-დენჯერ მინდოდა, ღმერთისთვის მეხმო, ნეტარ სიმშვიდეს შევხვეწებოდი, საკუთარი ძალა მერწმუნა, ტკივილისთვის გამეძლო და სიკვდილს შევხვედროდი. მაგრამ ამ სურ-ვილს ყოველთვის ვთრგუნავდი. ახლაც კინაღამ ცდუნებას ავყევი და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს არსებაში შიში ალაპარაკდა.

უცნობი. დიახ, უნდა აჰყოლოდით კიდევაც.

ფროიდი. ჩემთვის სხვა ნარკოტიკებიც კმარა, მეტის სურ-ვილი ნამდვილად არ მაქვს.

უცნობი. მაინც რა არის აქ ცუდი?

ფროიდი. ეგ გონების ნარკოზია.

უცნობი. მაგრამ, თუ ესაჭიროება თქვენს გონებას ნარკოზი?

ფროიდი. არა გონებას, არამედ ჩემს სულში, ჩემს არსებაში რაღაც ცხოველურს სურს ირწმუნოს. სხეული ტკივი-ლის შემსუბუქებას ეძიებს, დევნით გატანჯულ, ძაღლებ-

ის ჯგროში შემწყვდეულ შვილს ჯერ კიდევ აქვს გადარჩენის იმედი... ღმერთი – სასოწარკვეთილებაში ნაგარდნილი სხეულის კივილია!

**უცნობი.** ესე იგი, არ გინდათ ირწმუნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ რწმენა ტკივილს შეგიმსუბუქებთ?

**ფროიდი** *(გაბრაზებული).* არ მწამს იმიტომ, რომ ჩემს გულს ყველაფერის დაჯერება სწყურია. არ მწამს იმიტომ, რომ მინდა მჯეროდეს! არ მწამს იმიტომ, რომ ბედნიერი ვიქნებოდი – მერწმუნა!..

**უცნობი** *(ოდნავ ნაცინებით).* მაგრამ, მომისმინეთ, დოქტორო ფროიდ, თუ ამის ასეთი დიდი სურვილი გაქვთ, რა საჭიროა მისი დათრგუნვა? რატომ ეწინააღმდეგებით საკუთარ თავს? რამდენადაც მახსოვს, თქვენი შრომები...

**ფროიდი.** ეს სახიფათო სურვილია...

**უცნობი.** სახიფათო ვისთვის? თქვენთვის?

**ფროიდი.** ჭეშმარიტებისთვის... არ შემიძლია თავს შეცდენის უფლება მივცე.

**უცნობი.** დიახ, ჭეშმარიტება მკაცრი მბრძანებელია.

**ფროიდი.** და ულმობელი...

**უცნობი.** და სტომაქამოუყორავი.

**ფროიდი.** კმაყოფილება ჭეშმარიტების მახასიათებელი არ არის. *(განაგრძობს თავის აზრს).* ადამიანი, ბატონო ობერნაიტ, წყვდიადით მოცულ გამოქვაბულში დაეხეტება. ერთადერთი, რაც წყვდიადს უნათებს, ზეთში ამოვლებული ძონძების ჩირაღდანია. მან იცის, რომ ცეცხლი მალე ჩაინავლება, მაგრამ რწმენა აიძულებს დაიჯეროს, რომ წინ, გვირაბის ბოლოს – კარია, და ეს კარი სინათლეში გაიყვანს. ათეისტმა კი იცის, რომ არავითარი კარი არ არსებობს. სინათლე ზუსტად იმდენი აქვს, რამდენის მოპოვებაც საკუთარი ძალებით შეუძლია. რაც შეეხება გვირაბს, გვირაბი იქ მთავრდება, სადაც სიცოცხლე. ამიტომაც, როცა კედელს აწყდება, მისთვის ეს მეტად მტკივნეულია. ხოლო კიდევ უფრო მტკივნეული შვილის დაკარგვაა... ძნელია ამ დროს თავი ღირსეულად გეჭიროს... მაგრამ – შენ ამას ახერხებ! სიბნელეში ყოფნა შიშს გაგვრის, ტკივილი და შიში სულ უფრო აუტანელი ხდება, გარდაუვალი სიკვდილი სულ უფრო ახლოვდება... თავად სიცოცხლე გვევლინება სასიკვდილო სნებად.

**უცნობი.** თქვენი ათეისტი, უბრალოდ, სასოწარკვეთილი ადამიანია.

**ფროიდი.** ამ სასოწარკვეთას ვაჟკაცობა ჰქვია. ათეისტმა უარი თქვა ილუზიებზე, მან იგი ვაჟკაცობაზე გაცვალა.

**უცნობი.** მერედა ამით რა მოიგო?

**ფროიდი.** ღირსება.

*(პაუზა. უცნობი მიუახლოვდა ფროიდს. ელაპარაკება თბილად, გულითადად.)*

**უცნობი.** მეტისმეტად ამაყობ შენი ამ ვაჟკაცობით.

ფროიდი. ნუ მელაპარაკებით "შენობით".

*(პაუზა.)*

უცნობი. თქვენ ჩემზე გაბრაზებული ხართ?

ფროიდი. ახლა მხოლოდ ტკივილს ვგრძნობ, სიბრაზისთვის გულში აღარ დამრჩა ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*(უცნობი მის ხელს კვლავ ხელში იღებს.)*

უცნობი. გმადლობთ! *(პაუზა.)* თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ იმის გამო მისაყვედუროთ, აქამდე რომ არ მოვედი. თუმცა, ადრეც რომ მოვსულიყავი, თქვენთვის ეს არაფერს შეცვლიდა, თქვენ ისევ იმ ცხოვრებით იცხოვრებდით, ფროიდ, ღირსებით სავსე, კეთილშობილი, მშვენიერი ცხოვრებით...

ფროიდი *(დაღლილი ხმით)*. კმარა, ვალტერ ობერხაიტ, თავი მართლა ღმერთად ნუ მოგაქვთ. თქვენი ცნობიერების ჯანსაღმა ნაწილმა მშვენივრად იცის, რომ ეს სიცრუეა.

*(ხელს ითავისუფლებს.)*

უცნობი *(ღიმილით ოდნავ გვერდზე მიდგება)*. მაშასადამე, ღმერთი არ გწამთ, ვალტერ ობერხაიტისა კი გჯერათ. *(თავს უხრის.)* ეს მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს. *(დაცინვით.)* მაგრამ, სად არის იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ვალტერ ობერხაიტი ნამდვილად არსებობს?

ფროიდი *(პირქუშად)*. გამიგეთ, ძალიან დავიღალე.

უცნობი. არა, საქმე დაღლაში როდია, თქვენ გამუდმებით ფიქრობთ ანაზე. ეს მეტად ამაღელვებელია, მაგრამ საკმაოდ შეურაცხმყოფელი.

ფროიდი *(განრისხებული)*. ასეა თუ ისე, დღეს თქვენთვის უკეთესია იმად დარჩეთ, რაც ხართ — ანუ თვითმარქვიად... ვინაიდან, თქვენ რომ ნამდვილად ღმერთი იყოთ...

უცნობი. მაშინ? რა იქნებოდა მაშინ?

ფროიდი *(წამოიწევს)*. თქვენ რომ ღმერთი იყოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ გამოცხადებისთვის შეუფერებელი დრო აირჩიეთ... ო, ღმერთი რომ არსებობდეს...

უცნობი. რომ არსებობდეს, მაშინ რა?

ფროიდი. მე თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... მაგრამ ღმერთი... ახლა იგი უცებ არყოფნიდან რომ გამომცხადებოდა, არ ვიცი, რას ვიზამდი, სად მოვათავსებდი... მაშინ ალბათ...

უცნობი. მაინც რას იზამდით, უცებ რომ გამოგცხადებოდათ?

ფროიდი. უცებ რომ გამომცხადებოდა, ბევრ რამეს ვკითხავდი... მე მას ვკითხავდი...

*(მისი მრისხანება სულ უფრო მატულობს. ადგილიდან წამოხტება.)*

უცნობი *(აგულიანებს)*. თქვენ მას ჰკითხავდით...

ფროიდი. არა, მე მას ვეტყოდი... *(უკვე აშკარა გაბრაზებით.)* რომ ფანჯარაში გაეხედა და თვალები კარგად მოეფშვნიტა. იცის თუ არა მან, უფალმა ღმერთმა, რომ ბოროტება გაპრიალებული, ნალებდაჭედილი ჩექმებით ბერლინისა და ვენის ქვაფენილებს ტკეპნის, რომ სულ მალე მთელ ევროპასაც გადათელავს? იცის თუ არა მან, ყოვ-

ლად ძლიერმა ღმერთმა, რომ ხელისუფლებაში მოვიდა მძულვარების პარტია, რომ მასში ებრაელების, ბოშების და ყველა იმ ადამიანის სიძულვილმა დაისადგურა, ვინც მათებურად არ ფიქრობს და ვინც სუსტია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი *(თავისთვის)*. იცის კი არა...

ფროიდი. ბოროტება ასე აშკარად რომ არ გამომჟღავნებულიყო, იარაღი რომ არ აღმართულიყო, სისხლს მიწა არ შეეღება, სიავე უამისოდაც საკმარისზე მეტია... მე მას ყველგან და ყველაფერში ვხედავ იმ დღიდან, როცა ჯერ სულ უსუსური ყრმა სამზარეულოში იატაკზე ვიჯექი, ვყვიროდი, ვიღაცას ვუხმობდი, მაგრამ არავინ მპასუხობდა. *(უცნობს მიუახლოვდება.)* ღმერთი ჩემ წინ რომ გამოცხადებულიყო, მე მას იმის გამო დავადანაშაულებდი, რომ თავგზას უბნევს, თვალს უხვევს ადამიანებს, უამრავ დაპირებას იძლევა და არაფერს ასრულებს.

უცნობი. პირდება და არ ასრულებს?

ფროიდი. ბოროტება დაპირებულის არშესრულებაა. *(ხმამაღლა ფიქრობს.)* რამეთუ, რა არის სიკვდილი, თუ არა დაპირებული სიცოცხლის შეწყვეტა, უგულებელყოფა იმისა, რაც ჩემს ძარღვებში სისხლთან ერთად ფეთქავს! როცა საკუთარ სხეულს ვგრძნობ, როცა ჩემი გონება ყოფიერების ნეტარებით არის მთვრალი, ასე მგონია, არასოდეს მოვკვდები. სიკვდილი არც თავშია, არც სტომაქში... მე სიკვდილს არ ვგრძნობ, მის შესახებ მხოლოდ თეორიულად ვიცი, მხოლოდ სხვებისაგან. თუ არ მეტყოდნენ, როგორ მეცოდინებოდა, რომ მოვკვდები? სიკვდილი ზურგში ვერაგულად გვირტყამს. დიახ, ჩემდათავად მის შესახებ თავში აზრადაც არასოდეს არაფერს გავივლებდი, თავი უკვდავი მეგონებოდა. სიკვდილი იმით კი არ არის საშინელი, რომ სიცარიელე მოაქვს, არამედ იმით, რომ სიცოცხლით მიღებულ დაპირებას არღვევს. ამაში კი მხოლოდ ღმერთია დამნაშავე! რა არის ტკივილი, თუ არა სხეულის მთლიანობისა და სრულყოფილებაზე იმედის გაცრუება. ჩვენი სხეული – მთელი და საღ-სალამათი, შექმნილი მოძრაობისა და სიხარულისთვის, უცებ მოწყვლადი აღმოჩნდება – მახინჯდება და ინგრევა! ესე იგი, გამოდის, რომ მოგვატყუეს! არა, ტკივილისგან იტანჯება არა ხორცი, არა მხოლოდ სხეული, არამედ თვითეული ჭრილობა სულს ასახიჩრებს, ვინაიდან ეს დაპირებულის არშესრულება, სიტყვის გატეხაა... და აქაც ისევ ღმერთია დამნაშავე! რას იტყვით, რა არის მტრობა? რა არის ბოროტება, ტკივილი, რასაც ადამიანები ერთმანეთს აყენებენ, თუ არა ჰარმონიის ნგრევა? ყველაფერი ჰარმონიას გვპირდებოდა – დედის მკერდის სითბო, მისი გულში ჩამწვდომი, ნაზი ხმა, მისი საუბარი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სიტყვების არაფერი გაგვეგება. ის თანხმიერება სამყაროსთან, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ გვებოძა, როცა

მთელი სამყარო ჩვენთვის იმ ორ მზრუნველ ხელამდე დაიყვანებოდა, რომელიც გვიალერსებდა, გვანანავებდა და გვკვებავდა. მერედა რა იქნა, სად წავიდა ის ყველაფერი? საიდან გაჩნდა ეს ღვარძლი და სიძულვილი?.. დიახ, ესეც ისევ შეპირებულზე უარის თქმაა და ამაშიც ისევ ღმერთია დამნაშავე!.. მაგრამ, ბოროტებათა შორის ყველაზე დახვეწილი, ყველაზე გაწაფული ბოროტება ის არის, რასაც მთელ შენს ცხოვრებაში ვერ გამოისყიდი – ეს არის ჩვენი უბადრუკი, მოკლე ჭკუა, რომელიც კიდევ უფრო ჩლუნგდება მისი განვითარებისთვის ჩვენივე ფაფხურის გამო... გამოდის, რომ ღმერთმა გონება მხოლოდ იმიტომ გვიბოძა, რათა ნიადაგ მის შეზღუდულობას წავწყდომოდით, მან ჩვენ წყურვილის გრძნობა მოგვცა, მაგრამ არ მოგვცა წყალი. წარმოვიდგენთ, თითქოს ყველაფრის გაგება და გააზრება შეგვიძლია, გვეჩვენება, რომ შეგვწევს უნარი ყველაზე თამამი განზოგადებისა და მახვილი განსჯისა, მაგრამ ჩვენი ჭკუა-გონება ამისთვის საკმარისი არ არის. მერედა, რა? ის რომ ჩვენ არაფერი გაგვეგება. ჩვენ მხოლოდ საცოდავ ნამცეცებს შევიმეცნებთ – სამი ათასი წელიც რომ ვიცოცხლოთ, ცისა და ვარსკვლავების საიდუმლოს, სულერთია, ვერასოდეს ამოვიცნობ, საითაოდაც რომ ჩამოვთვალოთ, მაინც ვერასოდეს ჩავწვდებით, აქ, ამ დედამიწაზე, ამ ტალახში რას ვაკეთებთ?.. ჩვენი გონების სიმწირე – აი ჩვენი ბოლო განუხორციელებელი აღთქმათაგანი. ცხოვრება მშვენიერი იქნებოდა, ერთი დიდი სიცრუე რომ არ ყოფილიყო... სიცოცხლე იოლი იქნებოდა, ხანგრძლივი, სამართლიანი და ბედნიერი რომ არ მგონებოდა...

უცნობი. შენ მეტისმეტად ბევრს ელოდი მისგან.

ფროიდი. ღმერთს უფრო სულელი უნდა შევექმენი, რათა ზედმეტად იმედიანი არ ვყოფილიყავი. ისე რომ, ბატონო ობერზაიტ, თუ ღმერთი არსებობს, ის მატყუარა ღმერთია, რომელიც ბევრს გვპირდება და არაფერს ასრულებს. ასეთი ღმერთი ბოროტების შემოქმედია, რამეთუ ბოროტება შეპირებულის არშესრულებაა.

უცნობი. ნება მომეცით, აგიხსნათ.

ფროიდი. ამიხსნათ, ესე იგი, გაამართლოთ? არავითარი ახსნა არ მსურს, რახან ღმერთი კმაყოფილია იმით, რაც შექმნა, კმაყოფილია ამ სამყაროთი, მაშინ ეს ძალზე უცნაური ღმერთია – მკაცრი, ცბიერი, ღმერთი-კაცთმოძულე და ყოველგვარი ბოროტების სათავე. ასეთს სჯობია სულ არ არსებობდეს. და თუ არსებობს – ეს არის არა ღმერთი, არამედ ეშმაკი.

*(უცნობი შეტორტმანდება.)*

უცნობი. ფროიდ!

ფროიდი. თქვენ, ვალტერ ობერზაიტო, მატყუარა ხართ, გაწაფული, დახელოვნებული მატყუარა, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ

არის თქვენზე ცოტა უფრო უარესი, ყველა თაღლითზე თაღლითი მატყუარა – თავად უფალი ღმერთი.

უცნობი. თქვენ ბოდავთ.

ფროიდი. ღმერთი რომ გამომცხადებოდა, დღეს და ამ საათში, როცა მთელი ქვეყანა ცრემლშია ჩაძირული, ხოლო ჩემი შვილი გესტაპოს ტორებშია მომწყვდეული, მე მას ვეტყოდი: “შენ არ არსებობ! ხოლო თუ არსებობ, თუ ყოვლისშემძლე ხარ, მაშასადამე, ბოროტი ბრძანდები, მაგრამ თუ ბოროტი არა, მაშინ არც ყოვლისშემძლე. ორიდან ერთი – ან ავკაცი ხარ, ან უძლური... ხოლო ჭეშმარიტ ღმერთს არც ერთი ეკადრება, არც მეორე... სამყაროს არსებობა, სადაც არავითარი სამართალი არ არის, შეიძლება ასედაც აიხსნას – ატომები, იშვიათი მოვლენები, ქაოტური შეჯახებანი – ეს სრულიად საკმარისია სამყაროს შესაქმნელად, შენ კი... შენ უსარგებლო ჰიპოთეზა ხარ!”

უცნობი *(რბილად)*. ამაზე ღმერთი ასე გიპასუხებდა: “შენ რომ შეგეძლოს ისე ხედავდე მომავალს, როგორც მე, შენი საყვედურები კიდევ უფრო მძიმე და შემაძრწუნებელი იქნებოდა. მაგრამ შენს ამ ბრალდებებს ღმერთის კი არა, ჭეშმარიტი დამნაშავის მიმართ გამოიყენებდი...” *(თვალებს ჭუტავს.)* წინ რომ გაიხედავდე... *(განრინდებულად, წინასწარმეტყველის კილოზე.)* მიხვდებოდი, რომ ეს საუკუნე ყველაზე საშინელი იქნება იმ საუკუნეებს შორის, რომელიც კი ოდესმე დედამიწას უნახავს. მას პროგრესის საუკუნედ მონათლავენ, მაგრამ ეს იქნება აგრეთვე შავი ჭირის, დიდი ქამიანობის საუკუნე. აღმოსავლური წითელი ჭირის ნაცვლად დასავლეთს ყავისფერი ჭირი მოიცავს... და აი სწორედ ეს ყავისფერი ჭირი მოადგა ახლა ვენის კედლებს, მაგრამ ის, რასაც თქვენ ხედავთ და აკვირდებით, მხოლოდ პირველი ბუზბონია. ცოტაც და მთელ სამყაროს ისე მოედება, წინააღმდეგობის გამწევიც კი არავინ იქნება. თქვენ გდევნიან, დოქტორო ფროიდ? ჩათვალეთ რომ ბედმა გაგიღიმათ. სხვებს – შენს მეგობრებს, შენს დებს, შენს მოწაფეებს – დახოცავენ. გაანადგურებენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს – მათ საშხაპე პავილიონების მსგავს კამერებში შეყრიან, ოღონდ წყლის ნაცვლად გაზს მიუშვებენ, მერე კი მათსავე ძმებს აიძულებენ, მათი გვამები კამერებიდან გამოხვეტონ და ერთმანეთზე ახორხლონ. ნაცისტები მიცვალებულთა ქონიდან საპნის კეთებაში გაიწაფებიან... რას იტყვი, როგორია? გაისაპნო უკანალი იმით, რაც შენთვის ასე საძულველია – ხომ უცნაური იდეაა? და ეს ორი ჭირი – წითელიც და ყავისფერიც – თუმცა არა ერთადერთი და უკანასკნელი მიზეზი ყველა ამ ეპიდემიისა – ერთი და იგივე ვირუსია, ვირუსი, რომელიც ხელს გიშლის მირწმუნო და მაღიარო. ეს ვირუსი ამპარტავნობაა! ადამიანის ამპარტავნობას

ასე ფართოდ არასოდეს გაუშლია ფრთები. ოდესღაც ღმერთი მან ბრძოლაში გამოიწვია, ახლა კი მისი ადგილის დაკავებას ცდილობს. ადამიანში არის ღვთაებრივი საწყისი და სწორედ ეს ღვთაებრივი საწყისი აღძრავს მას ღმერთის უარყოფისაკენ. ნაკლებზე თქვენ, ადამიანები, თანახმანი არა ხართ. თქვენ თქვენთვის [illegible] გაწმენდა დაგჭირდათ და აჰა, ინებეთ — სამყარო შემთხვევითობის, მოლეკულების სწრაფი, უწესრიგო მოძრაობის ნაყოფია! არ არსებობს არავითარი უზენაესი განმგებელი! საკუთარ ნებას თავს ამიერიდან თავად უკარნახებთ. მართო ყველაფერი, იყო განმგე ყველაფრის!!. განდიდების მანიას თავბრუ ასე არასოდეს დაუხვევია ადამიანებისათვის, როგორც ახლა, ამ საუკუნეში! ადამიანი მართავს ბუნებასო და აი, სწორედ თქვენ, ადამიანები აბინძურებთ ცასაც და მიწასაც! ადამიანი მართავს მატერიასო — და თქვენ, ადამიანები არყევთ და ამოწურებთ პლანეტას! ადამიანი წარმართავს პოლიტიკასო — და თქვენ, ადამიანები ამყარებთ ტოტალიტარიზმს! ადამიანი წარმართავს სიცოცხლესო — და თქვენ, ადამიანები შვილებს კატალოგების მიხედვით ირჩევთ! ადამიანი მართავს საკუთარ სხეულსო — და თქვენ, ადამიანები, ისე ძრწით ავადმყოფობის და სიკვდილის წინაშე, რომ ყველაფრისათვის მზად ხართ, რათა იცოცხლოთ. მზად ხართ არა იმისათვის, რომ იცხოვროთ, არამედ იმისათვის, რომ იარსებოთ — იცხოვროთ და იარსებოთ უმიზნოდ, ნარკოზის ქვეშ, ისე როგორც ბოსტნეული სათბურში. ადამიანი მართავს მორალსო — და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ზნეობრივი კანონები ადამიანის მიერაა მოგონილი და მაშასადამე მათ — ყველას ერთი ფასი აქვს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გროშადაც არ ღირს! ერთადერთ კერპად დარჩება ფული, ფულს ყველგან, ყველა ქალაქში ტაძრებს აუგებენ, ღმერთის გარეშე დარჩენილი ადამიანი კი მხოლოდ ტვინის ამაო ჭყლეტით დაიმშვიდებს თავს. თავიდან თქვენ გახარებული იქნებით იმით, რომ ღმერთი მოკალით. ადამიანი ხომ ღმერთის წინაშე არაფრით არის ვალდებული! მაშასადამე, ყველაფერი ადამიანის ხელთაა! დიდი ხნის მანძილზე თქვენი მოჩვენებითი ამპარტავნობა ურყევი დარჩება. თქვენ განადიდებთ, ცამდე აიყვანთ, ქება-დიდებით შეამკობთ საკუთარ გონებას, მაშინ როცა ასეთი თვითკმაყოფილი, არაფრის მაქნისი ფილოსოფოსები ქვეყნიერებას არასოდეს უხილავს.

მერე კი — შენ ჯერ ამას ვერ ხედავ, ფროიდ, — მერე კაცობრიობა დაკარგავს სინათლეს და იმ ჭაბუკს, რომელიც თავის მარადიულ ეჭვებში გახარკვევად მოწიფულ მამაკაცებს ჰკითხავს — ცხოვრების აზრი რა არისო? პასუხის გაცემას ვერავინ შეძლებს.

და ეს ყველაფერი თქვენი ნამოქმედარი იქნება.

მათ შორის პირადად შენიც.
თქვენ, ამა დიდებული საუკუნისანო, ადამიანი მიუყავით ადამიანთან, ხოლო სიცოცხლე სიცოცხლესთან. და აი, გამოდის, რომ ადამიანი, ცალკე სენაკში გამომწყვდეული შეშლილივით, ჭადრაკის პარტიას საკუთარ ქვეცნობიერებასა და ცნობიერებას შორის გაათამაშებს. შენი თეორია ადამიანს სამუდამოდ გამოამწყვდევს ციხეში. შენ ჯერ ისევ პირველადმომხენის ასაკში ხარ, ჭრი ყამირს, საძირკველს ყრი... მაგრამ იფიქრე სხვებზეც, იფიქრე იმათზე, ვინც ჯერ არ დაბადებულა – შენ მათ რა ქვეყანას უტოვებ? აი ესეც შენი ათეიზმი! სინამდვილეში ეს არის ცრურწმენა, ოღონდ არსებულ ყველა ცრურწმენაზე აზრს მოკლებული და უნიჭო!

ფროიდი *(შეძრწუნებული).* არა, მე ეს არ მინდოდა...

*(უცებ ფროიდი მიხვდება, რომ უცნობს ისე ელაპარაკება, თითქოს ის მართლაც უფალი ღმერთი იყოს. თავში ხელს იტაცებს, კვნესის. ცდილობს გონს მოეგოს.)*

თქვენ მეტისმეტად ჭკვიანი ბრძანდებით, ვალტერ ობერზაიტ, ალბათ ძალიან უბედურიც. სამწუხაროდ, წინასწარმეტყველების მე არაფერი გამეგება, ეს არ არის ჩემი საქმე... ვფიქრობ, ჩვენთვის, ორივესთვის უკეთესი იქნება, ახლავე თუ წაბრძანდებით.

უცნობი. სად, საგიჟეთში?

ფროიდი. ჩვენ ხვალ უსათუოდ შევხვდებით, გპირდებით!

უცნობი. მაშინ აჯობებს თქვენს გესტაპოელ ნაცნობს გადამცეთ – ის ამით აღფრთოვანებული, თქვენ კი მის თვალში მოგებული დარჩებით.

ფროიდი. არა, თვითონ დაბრუნდით პალატაში...

უცნობი *(აზუსტებს).* ესე იგი, კამერაში. *(მოკლე პაუზა.)* სხვათაშორის, ახლანდელ დროში, ალბათ, ნაკლებ სახიფათოც კია, გიჟად თუ ჩაგთვლიან.

*(პაუზა. ფროიდი უკიდურესად დაძაბულია, მიუხედავად იმისა, რომ ყელი ეწვის, სიგარეტს მაინც ეწევა.)*

*(უცნობი თანაგრძნობით შეჰყურებს ფროიდს და მის წინ ჯდება.)*

ჰო, მაგრამ, რატომ არ გინდათ დაუთმოთ საკუთარ თავს?

ფროიდი *(იმპულსურად).* დავუთმო? არასოდეს!.. ან რა უნდა დავუთმო?

უცნობი. უნდა დაუჯეროთ.

ფროიდი *(თითქმის მანიაკალური სიჯიუტით).* ვინ ვიქნები, საკუთარ თავს თუ დავუჯერებ? სამსახურიდან გასული ჩვეულებრივი ებრაელი ექიმი, მთელი სიცოცხლე სურდოს რომ უნდა ვუმკურნალო, ნაღრძობი თავის სახსარში ჩავსვა! *(ადგება.)* რწმენა კი არა, ზუსტი ცოდნა მჭირდება. დადებითი შედეგები. ხოლო შეშლილის, თუნდაც გენიალური შეშლილის დასკვნები, იმისთვის, რათა... არაფერს ნიშნავს... *(უცებ რაღაცას მიხვდება.)* თქვენ მართლა ვალტერ ობერზაიტი ხართ?

უცნობი. როგორ ფიქრობთ?
ფროიდი. გეკითხებით, ვალტერ ობერზაიტი ხართ?
უცნობი. კი ბატონო, გეტყვით, რომ არა! მაგრამ ვალტერ ობერზაიტიც ხომ ასე გიპასუხებდათ.
ფროიდი *(მკვირცხლად)*. ჩინებულია! ესე იგი, თქვენ მატყუებთ, რომ ღმერთი ხართ? თუ ასეა, დაამტკიცეთ!
უცნობი. რაო-რაო?
ფროიდი. თუ თქვენ ღმერთი ხართ, დაამტკიცეთ! მე მხოლოდ იმის მჯერა, რასაც საკუთარი თვალით ვხედავ.
უცნობი. კი მაგრამ, მე ხომ მხედავთ?
ფროიდი. მე მხოლოდ ადამიანს ვხედავ.
უცნობი. ესე იგი, უნდა გარდავსახულიყავი, ობობად ან ყვავილის ქოთნად გამოგცხადებოდით... არა მგონია, უკეთესად გაგვეგო ერთმანეთის.
ფროიდი. სასწაული მოახდინეთ!
უცნობი. ხუმრობთ?
ფროიდი. მოახდინეთ სასწაული!
უცნობი *(ხარხარებს)*. ფროიდი, დოქტორი ფროიდი, ყველა დროისა და ხალხების ერთ-ერთი უდიდესი თავთაგანი, დოქტორი ფროიდი მთხოვს, სასწაული მოვახდინო!.. რას მიბრძანებთ, რად გარდავისახო, მეგობარო ჩემო, ტყრად, მხედ, ზეციურ ტახტზე დაბრძანებულ ზევსად, ჯვარზე გაკრულ სისხლმდინარე ქრისტედ თუ წმინდა მარიამ ღვთისმშობლად?.. მე კი ჩემს სასწაულებს ბრიყვებისთვის ვინახავდი.
ფროიდი *(გაცოფებული)*. ბრიყვები სასწაულს ყველაფერში ხედავენ, მეცნიერის გაცურება კი არც ისე ადვილია. სამწუხაროა, რომ უფალმა სასწაული ერთხელაც არ აჩვენა სორბონსა ან სამეცნიერო ლაბორატორიებში.
უცნობი *(სარკაზმულად)*. თქვენ თუ დამიჯერებთ, ეს უკვე სასწაული იქნება.
ფროიდი. არ შეგიძლიათ, არა? *(ცივად.)* ჰა, მიდით, ჩაიდინეთ სასწაული!
უცნობი. სახაცილოა! *(მოულოდნელად უთმობს.)* კარგი. *(ვითომ ფიქრობს.)* მზად ხართ? გთხოვთ, დამიჭირეთ ჩემი ეს ხელჯოხი.

*(ფროიდს ხელჯოხს გაუწვდის და ისიც ინსტინქტურად ართმევს. იმავე წუთს ხელჯოხი ყვავილების დიდ თაიგულად იქცევა. ფროიდი გაოცებული და აღტაცებულია. უცნობი მის ამ რეაქციას უყურებს და ხარხარებს.*

*ფროიდი ხვდება ფოკუსს, ხედავს თავისი ამ მოთხოვნის მთელ ამ უაზრობას და თაიგულს იატაკზე მოისვრის.)*

ფროიდი. წადით, ახლავე წადით! თქვენ არა მხოლოდ მითომანი ხართ, არამედ სადისტური გადახრების ნევროტიკიც!.. პირწავარდნილი სადისტი!

*(უცნობი ხარხარს არ წყვეტს, რასაც ფროიდი განრისხებამდე მიჰყავს.)*

დიახ, სადისტი უნდა იყო, რათა განგებ ეს ღამე აირჩიო... ჩემი სისუსტით ისარგებლო!

*(უცნობი სიცილს ერთბაშად წყვეტს და თითქმის მკაცრად ამბობს:)*

უცნობი. ეს სისუსტე რომ არა, მე აქ არ მოვიდოდი!

ფროიდი. კმარა, არაფრის გაგონება აღარ მინდა! მოვრჩეთ ერთხელ და სამუდამოდ! გაძვერით ამ ფანჯარაში და აიბარგეთ აქედან – ოთხსავ კუთხი[illegible]ეთ!

*(კარზე თავაზიანი კაკუნი ისმის.)*

*(გაღიზიანებული.)* შემოდით!

სცენა IX

ოფიცერი, ფროიდი, უცნობი.

*(შემოდის გესტაპოს ოფიცერი. საქციელშეცვლილს თავი ახლა თავაზიანად უჭირავს, თითქმის ღირსეულადაც კი.*

*უცნობი მის დანახვაზე ბნელ კუთხეში იმალება. ფროიდი თვალს დამცინავად ადევნებს.)*

ოფიცერი *(მლიქვნელურად).* პროფესორო, გავბედე და ისევ შეგაწუხეთ, რათა დაგიბრუნოთ ეს დოკუმენტი... ანუ ეს ანდერძი, რომელიც მე თვალითაც არასოდეს მინახავს და ხელში არასოდეს მჭერია.

*(ფროიდს ცნობისმოყვარედ შეჰყურებს, აინტერესებს დაზავებაზე თანახმაა თუ არა.)*

ფროიდი. ჩემი ქალიშვილი სად არის?

ოფიცერი. ახლა სწორედ დაკითხვაზეა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ უბრალო ფორმალობაა. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე მე მათ მითითება მივეცი.

*(პასუხის նაცვლად ფროიდი ხელს გაიწვდის და ანდერძს გამოართმევს.)*

ფროიდი. კარგი, აღარ დაგაკავებთ...

*(ოფიცერი თავს უხერხულად დაუქნევს და წასვლას დააპირებს.)*

ოფიცერი. ჰო, მართლა, მინდოდა თქვენთვის მეთქვა... აი იმ გაქცეული შეშლილის თაობაზე მეთქვა... ვიპოვეთ.

ფროიდი. რაა?

ოფიცერი. დიახ, აი ის საგიჟეთიდან გამოქცეული შიზოიდი ვიპოვეთ, აქვე, თქვენს ეზოში იმალებოდა, ნაგვის ავზების უკან. დავიჭირეთ და სანიტრებს გადავეცით.

ფროიდი. მე რატომ მეუბნებით?

ოფიცერი. უკაცრავად, მომეჩვენა, რომ თქვენ ეს გაინტერესებდათ. *(ისევ კარისკენ შებრუნდება.)*

ფროიდი. ჰო, მაგრამ, სრულიად დარწმუნებული ხართ იმაში, რაც თქვით?

ოფიცერი. რაზე ამბობთ?

ფროიდი. აი იმ შეშლილზე. ნამდვილად ის არის?

ოფიცერი. რა თქმა უნდა.

ფროიდი. ვალტერ ობერზაიტია?

ოფიცერი. დიახ, ასეა... თქვენ მას იცნობთ? ყოველ შემთხვევაში, საავადმყოფოს ექიმებმა ძალიან გაიხარეს, ასე

მალე რომ ვიპოვეთ. ამბობენ, როცა კარგ ფორმაშია, ვისაც უნდა და რაშიც უნდა იმაში დააჯერებს! ჩვენ ჩვენი საქმე კარგად ვიცით — ის ისევ ცხრაკლიტულ-შია... კარგად ბრძანდებოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროიდი *(დაბნეულად)*. ნახვამდის.

*(ოფიცერი მიდის.)*

## სცენა X

ფროიდი და უცნობი.

*(თავს რომ მოერიოს და მღელვარებას სძლიოს, ფროიდი სიგარას ეწევა. უცნობი კუთხიდან გამოდის, ფროიდს თანაგრძნობით შეჰყურებს, მერე მიდის და სიგარას ფრთხილად ართმევს.)*

უცნობი. მომაკვდინებელ ცეცხლში ისედაც უკვე ინთქმებით, არ არის საჭირო ნაღვერდლის მიმატება.

*(ფროიდი არ ეწინააღმდეგება.)*

*(პაუზა.)*

*(ფროიდი უცნობს დაძაბული შეჰყურებს.)*

ფროიდი. რატომ მოხვედით?

უცნობი *(ოდნავ შეცბუნებული)*. ამას იმიტომ ამბობთ, რომ მიწამეთ, ან იქნებ ისევ ჩემი თავიდან მოშორება გინდათ?

ფროიდი. მაინც რატომ მოხვედით?

უცნობი *(ცდილობს პასუხს თავი აარიდოს)*. მე თქვენს გულწრფელობაში დარწმუნებული არა ვარ.

ფროიდი *(რბილად და მბრძანებლურად-, გამოცდილი ექიმის სიმტკიცით)*. ეს თქვენ არ ხართ გულწრფელი... რისთვის მოხვედით? სიმართლე მითხარით.

უცნობი. კარგი, გეტყვით...

*(უცებ ცუდად ხდება.)*

*(აღელვებული.)* ფროიდ, სისხლი თავში ამივარდა...

ფროიდი *(მშვიდად)*. ჰო, ვხედავ ძალიან გაწითლდით...

უცნობი. საფეთქლებში მირტყამს.. ნეტავი რა მჭირს?

ფროიდი. ეს საშიშია.

უცნობი. რაო, ყოველთვის ასეა, როცა სიმართლის თქმას დააპირებ? უკვე მესმის, ადამიანები ამდენს რატომ ცრუობენ. *(ნაღვლობს)*. აი რას ნიშნავს კეთილსინდისიერი გარდასახვა!

ფროიდი *(თვალს არ აცილებს)*. კმარა ყბედობა — რატომ მოხვედით?

უცნობი *(ცივად)*. ყოველ შემთხვევაში არა იმიტომ, რომ მომექცეთ.

ფროიდი. მაშინ — რატომ?

უცნობი. მოწყენილობის გამო...

ფროიდი. ტყუილია!

უცნობი. ერიდეთ უცნაური განმარტებების უგულებელყოფას, მათში ხშირად ჭეშმარიტება იმალება. *(გაჩუმდება. ფროიდს გამომწვევად შეჰყურებს.)* არა, მიზეზი მოწყენილობა კი არა, შურია — მე თქვენი მშურს.

ფროიდი. გშურთ? ჩემი გშურთ? რატომ? რა გშურთ?

უცნობი *(უაილდისეული დენდის კილოზე).* ის, რომ თქვენ ადამიანები ხართ, ტლანქი და გონებაჩლუნგი პირუტყვები! თქვენ გგონიათ, ასე კარგია ღმერთად ყოფნა? *(ჯდება. ფეხს ფეხზე ლამაზად გადაიდებს.)* მე ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვფლობ – მე ყველაფერი ვარ! კვერცხივით დასრულებული, თვითკმარი, საკუთარი თავით ყელამდე მაძღარი! და ეს ყველაფერი ასე სამყაროს შექმნის პირველი დღიდანაა! რა ვისურვო, როცა ყველაფერი მაქვს? ყველაფერი, გარდა აღსასრულისა, ვინაიდან უსასრულო ვარ... სიკვდილი და იმქვეყნიური ცხოვრება ჩემთვის მიუღწეველია... გარდა საკუთარი თავისა, დაჯერებაც კი არავისი შემიძლია... იცი რა არის ღვთაებრივი ყოფა? ეს არის ის ერთადერთი ციხე, საიდანაც ვერასოდეს გაიქცევი.

ფროიდი. ჩვენ?

უცნობი. ვინ "ჩვენ?"

ფროიდი. ჩვენ – ადამიანები? *(ყოყმანით.)* განა ჩვენ... თქვენი გასართობი არ ვართ?

უცნობი. მითხარით, ოდესმე თუ გადაგიკითხავთ ხელმეორედ საკუთარი შრომები?

*(ფროიდი უარყოფის ნიშნად თავს გააქნევს.)*

*(ლექტორის კილოზე.)* მე ყველასა და ყველაფერზე მაღლა ვარ, არ არის არაფერი ჩემზე უფრო აღმატებული. მე შევქმენი ყველაფერი. საითაც არ უნდა წახვიდე, ყველგან ან მე ვარ, ან ჩემგან შექმნილია. ადამიანები მეტისმეტად თავდაჯერებულები არიან იმისათვის, რათა ვარაუდით მაინც მიხვდნენ, რომ ღმერთს მაინცადამაინც დიდად არ სიამოვნებს მათთან ურთიერთობა, მაგრამ, აბა, საიდან მოიყვანოს სხვა? განა ეს ადვილია როცა შენთვის ყველა და ყველაფერი საშინლად მოსაწყენია... და საშინელ მარტოობას გრძნობ...

ფროიდი *(რბილად).* ეს მეფის მარტოობაა...

*(ქუჩაში ნაცისტები ვიღაც ქალსა და მამაკაცს მისდევენ. ისმის საშრალო დევნილთა ქვითინი, ნაცისტების უხეში შეძახილები. ფროიდი და უცნობი აყალმყოფურად კრთიან.)*

უცნობი *(მოულოდნელად.)* გჯერათ ჩემი?

ფროიდი. არც ისე.

უცნობი. მართალიცაა.

*(გაქცეული ქალს და მამაკაცს იჭერენ და სცემენ. ორივე საცოდავად ყვირის. ეს მართლაც საშინელებაა!*

*ფროიდი წამოხტება და ფანჯრისკენ მიდის. უცნობი წინ გადაელობება.)*

არ გინდათ, გეთაყვა, არ გინდათ!

ფროიდი. და თქვენ იძლევით ამ ყველაფრის უფლებას?

უცნობი. ადამიანი მე თავისუფალი შევქმენი.

ფროიდი. თავისუფალი ბოროტების ჩასადენად?

უცნობი *(ფანჯარასთან არ უშვებს. ყვირილი თანდათან ძლიერდება).* თავისუფალი — სიკეთისთვისაც და ბოროტებისთვისაც, სხვაგვარად ეს არ იქნებოდა თავისუფლება.

ფროიდი. და პასუხს არაფერზე აგებთ?

*(ნაცვლად პასუხისა, უცნობი უკან იხევს და ფრთხილად ფანჯარასთან მიირბენს. ყვირილი წყდება. ისმის მხოლოდ უკან გაბრუნებული ჯარისკაცების ჩექმების ბრაგუნი).*

*(უცნობი სკამზე დაღლილი ეშვება.)*

ისინი უკვე დაიჭირეს და წაიყვანეს... *(მიუბრუნდა უცნობს.)* სად? სად წაიყვანეს?

უცნობი *(ღონემიხდილი).* ბანაკში...

ფროიდი. ბანაკში?

*(ამ ამბით გაოგნებული ფროიდი უცნობთან მიდის — უცნობი კიდევ უფრო შეძრწუნებულია.)*

შეაჩერეთ! შეწყვიტეთ ეს საშინელება! როგორ უნდა მწამდეს მე თქვენი ყოველივე ამის შემდეგ?! შეაჩერეთ! *(საყელოში ხელს ჩაავლებს და აჯანჯღარებს.)*

უცნობი. არ შემიძლია.

ფროიდი *(გაცოფებული).* ჩაერიეთ!.. შეაჩერეთ ეს საშინელება, ჩქარა!

უცნობი. არ შემიძლია... მეტი აღარ შემიძლია!

*(უცნობი ძალ-ღონეს მოიკრებს, წამოდგება, ფანჯარასთან მივა და დაკეტავს.*

*ჩექმების ბრაგუნი აღარ ისმის.*

*ღონეგამოლეული უცნობი ფანჯრის მინას მიეყრდნობა.)*

ფროიდი. შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ?

უცნობი. არა. იმ წუთიდან, რა წუთიდანაც ადამიანები გავათავისუფლე, ყოვლიშემძლეობა და ყოვლისმცოდნეობა დავკარგე. მე რომ მექანიკური რობოტები შემექმნა, ყველაფერი წინასწარ მეცოდინებოდა, ყველაფერს თვალს მივადევნებდი.

ფროიდი. მაშინ რისთვის შექმენი ეს სამყარო?

უცნობი. იმ გულის წადილის გამო, რომელიც გაიძულებს სისულელე ჩაიდინო! რომლის შედეგადაც შეიქმნა ყველაფერი და ურომლისოდაც არაფერი შეიქმნებოდა... სიყვარულის გამო.

*(ფროიდს შეჰყურებს — ფროიდი დაბნეულია.)*

შენ მე თვალს მარიდებ, ჩემო ფროიდ, რაო, არ მოგწონს მოსიყვარულე ღმერთი? ჰო, ალბათ ღმერთი-დამსჯელი გერჩია, წარბშეკრული, მრისხანედ მოღუშული და მეხთამტეხი. თქვენ, ადამიანებს, მოყვარული კი არა, მკაცრი, მრისხანე მამა გჭირდებათ...

*(დამჯდარ ფროიდთან მიდის და მის წინ მუხლებზე ეშვება.)*

რატომ შეგქმნიდით, თუ არა იმიტომ, რომ მყვარებოდით? მაგრამ თქვენ არ გჭირდებათ ჩემი სიყვარული, არ გჭირდებათ ღმერთი, რომელიც ცრემლებს ღვრის... იტანჯება...

*(თბილად.)* შენთვის საყვარელი უფრო ის ღმერთია, ვის წინაშეც პირქვე გაერთხმები და არა ასეთი მუხლმოდრეკილი...

*(ფროიდის წინ იგი მუხლმოდრეკილი დგას. ხელში მისი ხელი უჭირავს. შეცბუნებული ფროიდი განზე იწევა.)*

*(უცნობი წამოდგება. მიდის ფანჯარასთან, საიდანაც სიმღერა ისმის. აღებს. ნაცისტები თავის მარშს მღერიან.)*

ლამაზად მღერიან, არა?

**ფროიდი.** დიახ, სამწუხაროდ.

**უცნობი.** თქვენ, ადამიანებს, სილამაზე გიყვართ...

**ფროიდი** *(გაოცებული).* თქვენ — არა?

**უცნობი.** მე... *(იგონებს.)* მგონი, ერთხელ როგორღაც... იყო რაღაც ასეთი უჩვეულო...

*(თავს ასწევს, ნესტოები უფართოვდება. სულ უფრო გარკვევით ისმის მომღერალი ქალის ხმა. ფროიდი უსმენს.)*

მე ვიცი, როგორ ჩურჩულებენ ღრუბლები, ვიცი გარეული ბატების ყივილი, როცა გზას აფრიკისკენ იღებენ და სოლივით დაწყობილები ცის მშვიდ სივრცეს ფატრავენ. ვიცი თხუნელების სიზმრები, ჭიაყელების სასიყვარულო კვნესა, კომეტების მშფოთვარე ქროლვა. მაგრამ, ამგვარი...

*(მუსიკა სულ უფრო მატულობს.)*

ამგვარი რამ არასოდეს მსმენია.

*(მუსიკა ახლა უკვე შორიდან ისმის. ეს არის გრაფის ასულის არია — "Dove sono i bei momenti" — ოპერა "ფიგაროს ქორწინებიდან".)*

თავიდან ვიფიქრე, რომ ეს რომელიმე მიწიერი ქალთაგანი აიბლანდა ირმის ნახტომში... რომ ეს სადღაც უკიდეგანო კოსმოსის შორეთში, მოსიყვარულე დედა მიხმობდა გულში ჩასაკრავად... ვიფიქრე...

**ფროიდი.** მაინც რა იყო ეს?

**უცნობი.** მოცარტი. მას შეუძლია გაიძულოს, რომ ირწმუნო ადამიანი...

*(არია სულ უფრო ხმამაღლა ჟღერს. ხელებზე თავჩახრილი ფროიდი მაგიდასთან ზის, მუსიკას თვალებდახუჭული უსმენს.*

*უცნობი შეუმჩნევლად ისევ ფარდის უკან იმალება.)*

სცენა XI

**ანა, ფროიდი, უცნობი ფარდის უკან.**

*(ანა სწრაფი ნაბიჯით შემოდის კაბინეტში. მაგიდასთან მჯდომარე მამის დანახვაზე შეჩერდება. ფროიდი ჯერ ვერ ხედავს.*

*ანა მის წინ დგას და აღელვებული ეძახის.)*

**ანა.** მამა!

*(მუსიკა წყდება. ფროიდი ბურანიდან გამოდის და ტკივილისა და სიხარულისაგან სუნთქვაშეკრული შვილის სახელს ჩურჩულით წარმოთქვამს.)*

ფროიდი. ანა!

*(მამა-შვილი ერთმანეთს ეხვევა.*

*თვალცრემლიანი ფროიდი შვილს ისე ეფერება, როგორც პატარა გოგონას.)*

ანა, ჩემო სიხარულო, ჩემო ტკივილო და მწუხარებავ ჩემო ბედნიერებავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*(ანა გულში ეკვრის და ტირის.)*

ხომ არაფერი დაგიშავეს?

ანა. არა, მამა, თითიც არ დაუკარებიათ.

*(ფროიდი კიდევ უფრო მაგრად იკრავს შვილს გულში.)*

ჩვენი საზოგადოების შესახებ გამომკითხეს... უნდოდათ გაეგოთ, ჩვენს ფსიქოანალიზის საზოგადოებას აქვს თუ არა რაიმე კავშირი პოლიტიკასთან. მე მგონი, დავარწმუნე, რომ არავითარი კავშირი არა გვაქვს... მამა, შენ მე გამჭყლეტ!

*(ფროიდი ოდნავ ანთავისუფლებს თავისი მკლავებიდან.)*

...ვიცრუე, უწყინარ მოყვარულთა ერთი პატარა ჯგუფი ვართ-მეთქი... მართალი გითხრა, მრცხვენია კიდევაც... *(უცებ გაახსენდება.)* მამა, დაყოვნება აღარ შეიძლება. მე იქ იმდენი საშინელი რამ გავიგონე... რამდენადაც მივხვდი, ებრაელებს რომელიღაც ბანაკებში მიერეკებიან, იქ კი რას უშვრებიან, არავინ უწყის...

ფროიდი *(მოქუშად)*. ვიცი.

*(ანა განცვიფრებული შეჰყურებს.)*

ანა *(განაგრძობს)*. მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, მამა, ებრაელები გაჩუმებულები არიან. იქ მათ გესტაპოში მიერეკებიან, ისინი კი მთელი საათობით დგანან და მორჩილად უცდიან... შეურაცხყოფენ, სახეში აფურთხებენ, ისინი კი ხმას არ იღებენ.

*(გალიზიანებული ოთახის კუთხიდან კუთხეში ბოლთას სცემს.)*

ისე იქცევიან, თავი ისე უჭირავთ, თითქოს მათ ეს ყველაფერი დაიმსახურეს. მაგრამ, აბა მითხარი, რაში არიან დამნაშავე, რა დააშავეს? ის, რომ ებრაელები არიან? აი თუნდაც ჩვენმა პატარა მაშამ, შენმა შვილიშვილმა, რომელიც ეს-ესაა დაიბადა, რა დააშავა, რაშია დამნაშავე? იმაში, რომ გაჩნდა? ცოცხლობს და ცხოვრობს ამქვეყნად?

ფროიდი. ჩვენ წავალთ აქედან.

ანა. წავალთ და ყველაფერს მოვყვებით. დაე, მთელმა კაცობრიობამ გაიგოს.

ფროიდი. წავალთ და ჩუმად ვიქნებით. ვენაში მე კიდევ ორი ღვიძლი და მრჩება... ჩემს მაგივრად პასუხს იმათ აგებინებენ... გარდა ამისა, აქ რჩებიან ებრაელები, რომლებზეც შურს ჩვენს მაგიერ იძიებენ.

ანა. როგორ, შენც, მამა?! შენც გაჩუმდები?

ფროიდი. ახლა თუ ისე, სიკვდილი მე უკვე ყელში მიჭერს.

*(ანა მამას მკერდზე ეკვრის.)*

წავალთ, შვილო, მალე წავალთ აქედან.

*(ფროიდი ლამის იხრჩობა ხველებისაგან.)*

ანა. მოწიე, არა?

ფროიდი. გელოდებოდი.

ანა. მერე რა, რომ მელოდებოდი! არ შეიძლება შენთვის მოწევა!

ბიბლიოთეკა

ფროიდი. კვანძი ვიწროვდება, ანა. *(ღონეს იკრებს.)* წავიდეთ აქედან... ვიცი ფუქსავატურად ვიქცევი, მიუხედავად საშიშროებისა, მხოლოდ ჩემს ტყავზე ვფიქრობ, ამ ბეხრეკა ყველასათვის უსარგებლო ტყავზე, რომელიც მიახმა ვენას... *(უცებ მიხვდება, რომ უცნობი გაქრა.)* კი მაგრამ, რა იქნა? სად წავიდა?.. მინდოდა შენთვისაც გამეცნო.

ანა. ვისზე ლაპარაკობ?

ფროიდი *(ფარდის უკან იყურება).* ვიდრე შენ აქ არ იყავი, ჩემთან ერთი სტუმარი მოვიდა... არაჩვეულებრივი სტუმარი... მან მე იმედი ჩამისახა...

ანა. ჰო, მაგრამ, ვინ არის?

ფროიდი *(დიდის ამბით).* მთავარია, ღირს იმისი გაცნობა, მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვი. *(ახლა ეძებს ყველგან.)* ანა ეს როგორ? ის ხომ აქედან არ გასულა... არც კარიდან, არც ფანჯრიდან... შენ რომ მოხვედი, ვსაუბრობდით.

ანა. არა, მამა, შენ აქ მარტო იყავი.

ფროიდი. დაგინახა თუ არა, ეტყობა, დაიმალა... ვკამათობდით...

ანა *(ნაზად).* მამა, მე რომ შემოვედი, შენ სკამზე იჯექი და გეძინა.

ფროიდი *(აღელვებული).* არა, ეს შეუძლებელია!

ანა. მაშინ სად არის შენი სტუმარი?

*(ფროიდი ფარდას განრისხებული ურტყამს.)*

ფროიდი. არ მეძინა, არა, არ მეძინა! გესმოდა მუსიკის ხმა?

ანა. წადი, ბალახების ჩაის მოგიმზადებ, მერე კი მომიყევი რა გესიზმრა.

*(ანა გადის.)*

სცენა XII

ფროიდი და უცნობი.

*(უცნობი იმ კარიდან შემოდის, საიდანაც ეს-ესაა ანა გავიდა.*

*გრძნობამორეული, ოდნავ დამცინავი ღიმილით აკვირდება ფროიდს, რომელიც მის ძებნას განაგრძობს.)*

უცნობი. არ მინდოდა თქვენთვის და თქვენი ქალიშვილისთვის ხელი შემეშალა.

ფროიდი *(მისკენ შემობრუნდება).* სად იყავით?

უცნობი *(ორჭოფობს).* ეს გარდასახვის ერთგვარი ფიზიკური ეფექტი იყო.

*(ფროიდი ვერ ხვდება. უცნობი ჟესტით ტუალეტისკენ მიანიშნებს.)*

უცნაურია, ლამის ცოცხალ ფანტანად ვიქცევი.
ფროიდი. არ წახვიდეთ, მინდა ანამაც გნახოთ.
უცნობი. არა, არ ღირს.
ფროიდი. გთხოვთ!
უცნობი. ჯობია თავად მოუყვეთ...
ფროიდი. თქვენ მას სჭირდებით – იმასაც!.. განსაკუთრებულ დღეს.
უცნობი. თუ ისიც ისეთი ჯიუტია, როგორც თქვენ, მთელი ღამე არ გვეყოფა.
ფროიდი. გთხოვთ!
უცნობი *(უთმობს)*. კარგი... ოღონდ თქვენი პასუხისმგებლობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენა XIII

ანა, ფროიდი, უცნობი.

*(შემოდის ანა, შემოაქვს ლანგარზე დაწყობილი ჩაის ლამაზი ჭურჭელი.*

*თავდაპირველად უცნობს ვერ ამჩნევს.*

*მიდის უსიტყვო თამაში. ფროიდი უბიძგებს უცნობს, რათა ანას მხედველობის არეში მოახვედროს, მაგრამ ანა სწორედ ამ მომენტში სხვა მხარეს ბრუნდება.*

*ბოლოს სასოწარკვეთილი ფროიდი ანას მიმართავს:)*

ფროიდი. შენ ჩემს სტუმარს ვერ ხედავ?

*(ანა შემოტრიალდება, უცნობს დაინახავს, მაგრამ მშვიდად, თითქოს გულგრილად წარმოთქვამს:)*

ანა. აჰა, ეს თქვენ ხართ?

*(მაგიდიდან ცარიელ ჩაიდანს იღებს და ცივად, თავაზიანად ამბობს:)*

რა გაეწყობა, დაბრძანდით... გნებავთ ჩაი? კიდევ ერთ ფინჯანსაც შემოვიტან.

*(ანა გადის და მასპინძელსაც და სტუმარსაც გაოცებისგან დამუნჯებულს ტოვებს.)*

## სცენა XIV

ფროიდი, უცნობი.

ფროიდი. "აჰ, ეს თქვენ ხართ!" რას ნიშნავს – "აჰ, ეს თქვენ ხართ"? თქვენ რა, იცნობთ ერთმანეთს?
უცნობი. არა, გარწმუნებთ რომ არა! მე თვითონაც ვერაფერი გამიგია.

*(ანა ბრუნდება.)*

## სცენა XV

ანა, ფროიდი და უცნობი.

*(ანას ჩაიდანი და ცარიელი ფინჯანი შემოაქვს.)*

ფროიდი. შენ იცნობ... ამ ბატონს?
ანა. რა თქმა უნდა. მართალი გითხრა, მხოლოდ სახეზე.
ფროიდი. ჰო, მაგრამ, ვინ გგონია?
ანა. რა?

ფროიდი. ვინ გგონია-მეთქი?
ანა. ვინ და, ვინც არის.
ფროიდი *(მოუთმენლად)*. ეს იგი?
ანა. მამა, არ მინდა შენს სტუმართან უზრდელი გამოვჩნდე.
ფროიდი. ანა, გეკითხები, ვინ არის, ვინ გგონია-მეთქი, ეს ბატონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა. მე ის ადამიანი მგონია, ვინც აგერ უკვე ორი კვირაა ყოველდღე, როცა მე საბავშვო ბაღში მივდივარ, მომდევს და ღიმილს არ იშურებს, რომელსაც მე უყურადღებოდ ვტოვებ... თვალს მიკრავს, მე კი თავს ისე ვიჭერ, ვითომ ვერც კი ვამჩნევ. ერთი სიტყვით, ეს ფრიად გაუზრდელი ბატონი ბრძანდება.
უცნობი. მაგრამ, გარწმუნებთ, მე თქვენ...
ანა. ნუ ცრუობთ. მე თქვენზე ისედაც არც თუ დიდი წარმოდგენისა ვარ. ხოლო თქვენზე ჩემი ეს წარმოდგენა, იმის გამო, რომ ჩემთან შემოსაღწევად მამაჩემთან შემოძვერით, სულ უფრო უარესი ხდება. თქვენ მამას ღლით, ჩემი დამოკიდებულება კი თქვენს მიმართ არ იცვლება.
უცნობი. დამიჯერეთ, მე ის კაცი არა ვარ!
ანა. ეს იგი, ბატონო ჩემო, გამოდის რომ ორეული გყავთ, თანაც იდეალური ორეული. პირდაპირ სასწაულია!.. მამა, მივდივარ. მაშინ დავბრუნდები, როცა შენი სტუმარი აქაურობას დატოვებს.
*(მიდის.)*

## სცენა XVI

ფროიდი, უცნობი.
*(ფროიდს თავი ხაზგასმით გულცივად უჭირავს. უცნობი, თითქოს არაფერი, ჩაის ისხამს.)*
ფროიდი. თქვენ შეგეძლოთ ეს წინასწარ განგეჭვრიტათ. დიახ, წინასწარ... რახან ყველაფერი იცით...
უცნობი *(აგდებულად)*. თითქმის ყველაფერი.
ფროიდი. მე თქვენგან ახსნა-განმარტებას მოვითხოვ!
უცნობი. მაშ ასე, ფროიდი მარზეა, ისევ ჭკუობს! *(საცოდავად)* იმედი მაქვს ყველაფრის თავიდან დაწყებას არ აპირებ? *(უკიდურესად დახვეწილი ჟესტით ფროიდს ფინჯანს ნამდვილი დიასახლისივით აწვდის.)* განა არ ჯობია, შევეცადოთ და ყველაფერში მშვიდად გავერკვეთ? *(იცინის.)*
*(პაუზა.)*
პირადად ჩემი დანახვა, ის რაც ნამდვილად ვარ, არავის შეუძლია, მაგრამ თვითეული ჩემში იმის პროექციას ხედავს, რაც ყველაზე მეტად მოსწონს, რითაც მისი გონებაა დაკავებული. მე კი მომიწია ყოფილიყავი თეთრი, შავი, ყვითელი, პირგაპარსული, გრძელწვერა, ათხელიანი... ის კი არა, ქალიც... სულის სიღრმეში თქვენი ანა ალბათ არც ისე წინააღმდეგია თავისი იმ აბეზარი თაყვანისმცემლისა.
ფროიდი *(ფანჯარას მექანიკურად აღებს)*. ვთქვათ, ასეა.
*(ორივე ჩაის სვამს. უცნობი სიცილისგან იგუდება.)*
რა გაცინებთ?

უცნობი. ახლა მე იმის ფიქრში ვარ, ამ სითხეს რომ დავლევ, ისევ მოვუშვებ შადრევანს?

*(უცნობი ისევ იცინის, თან ფროიდს შეჰყურებს.)*

დოქტორი ფროიდი ვიცი დამძრახავს ჩემი ამ ბავშვური საქციელის გამო, მაგრამ როცა სიცოცხლით ვტკბებით, ყველანი ბავშვურად ვიქცევით.

*(უცებ სერიოზულდება და ფროიდს მხარზე ხელს ადებს.)*

ფროიდ, მე მივდივარ. მე არც მამა მყავს, არც დედა, არც სქესი მაქვს, არც ქვეცნობიერება გამაჩნია... თქვენ მე ვერაფერს მიშველით, მაგრამ მომისმინეთ და ამისთვის მე თქვენი მადლობელი ვარ.

ფროიდი. მტოვებთ?

უცნობი. მე შენ არასდროს მიმიტოვებიხარ.

ფროიდი. კი მაგრამ, მე ხომ თქვენ ვეღარასდროს გნახავთ?

უცნობი. მაშინ მნახავთ, როცა მოისურვებთ, ოღონდ თვალით არა.

ფროიდი. მაშინ — როგორ?

უცნობი *(ფროიდს მკერდზე თითით ეხება).* მე აი აქ ვიყავი, ფროიდ, აქ მე უხილავად ყოველთვის ვიყავი. შენ მე არასოდეს მპოვებდი, მაგრამ არც მკარგავდი.. ხოლო როცა ამბობდი, რომ ღმერთი არ გწამს, ასე მეგონა, იმ ბულბულის გალობა მესმოდა, რომელიც ჩივის — მუსიკისა არაფერი გამეგებაო. *(ფანჯარას აღებს და თავს გარეთ ყოფს.)* მალე გაემგზავრეთ, დოქტორო ფროიდ... და ყვე-ლა წაიყვანეთ, ვის წაყვანასაც შეძლებთ. გადაარჩინეთ.

*(შებრუნდება და თავის ელეგანტურ ლაბადას აიღებს.)*

მშვიდობით.

ფროიდი *(მოულოდნელი სიმკაცრით).* არა, თქვენ არ წახ-ვალთ!

უცნობი *(მშვიდად).* მე გითხარით — მშვიდობით-მეთქი, ფროიდ!

*(ფროიდი ფანჯარას ეფარება. უცნობს არ უშვებს.*

ფროიდი. მე კი გითხარით, არა-მეთქი!

უცნობი. გონს მოდით, ფროიდ!

ფროიდი. თქვენ ამ ფანჯრიდან არ გახვალთ — არ გახვალთ, როგორც ადამიანი, როგორც თაღლითი! მე მინდა აქვე, ჩემს თვალწინ, აქედან ფეხის მოუცვლელად გაქრეთ!

უცნობი *(ნაცინებით).* ეკალი მოსვენებას არ მაძლევს.

*(ფანჯარასთან მიდის. ფროიდს დაჟინებით შესცქერის, თითქოს რომელიღაც უხილავი ძალით აიძულებს ჩამოეცა-ლოს.)*

ღამე მშვიდობის...

*(ფროიდი თავს ერევა. რევოლვერს ხელს დასტაცებს, უცნობს უმიზნებს.)*

ფროიდი. გესვრით.

უცნობი *(ღიმილით).* მართლა?

ფროიდი. გეუბნებით, გესვრით-მეთქი.

უცნობი. დიახ, დიახ... *(პაუზა.)* მაგრამ თუ მე გაქცეული შეშ-ლილი — ვალტერ იბერზაიტი ვარ, ან ის კაცი, ვინც ანას გასაქანს არ აძლევს, ხელში მხოლოდ გვამიღა შეგრჩე-ბათ. ერთი ტყვია და — მორჩა! დაფიქრდით, დოქტორო ფროიდ, ერთდროულად რწმენაც დაკარგეთ და თავისუ-

ფლებაც, თანაც მკვლელობისათვის სიცოცხლის ბოლომდე ციხის კედლები ხერხო – ღირს კი ჩიტი ბრდღვნად!

ფროიდი *(ჩახჩახებს)*. ჰო, მჯერა, რომ ტყვიის არ გეშინიათ.

უცნობი. ჰოდა, დარჩით ამ აზრზე. რწმენა არ საჭიროებს დამამტკიცებელ საბუთებს.

ეროვნული

ფროიდი *(ხელებაკანკალებული)*. დამცინი! [illegible] მხოლოდ სატანას შეუძლია ადამიანი ტანჯოს!

უცნობი. ღმერთი ღმერთად რომ გამოგცხადებოდა, მაშინ ისიც მიწიერ მბრძანებელს დაემსგავსებოდა. მე ხომ ყოველთვის ჩრდილში ვარ, მე იდუმალებით ვარ მოცული, სხვაგვარად აბა რაზე მოგიწევდათ ტვინის ჭყლეტა! *(რევოლვერს მკერდზე იდებს.)* მე გამოცანა კი არა, საიდუმლო ვარ, ფროიდ.

ფროიდი. შენ მე ვერ მომაქცევ.

უცნობი. მაგრამ შეგიძლია შენ თვითონ მოექცე – შენ თავისუფალი ხარ! ხმები მხოლოდ მაშინ ცხადდებიან, როცა თავად ადამიანი უხმობს.

ფროიდი. მე ვერაფერი შევიძინე.

უცნობი. დღემდე შენ ფიქრობდი, რომ ცხოვრებას აზრი არა ჰქონდა, ახლა კი იცი, რომ იგი საიდუმლოებებით არის სავსე.

ფროიდი. დამეხმარე.

უცნობი *(ფანჯრის რაფას გადაახტება)*. მშვიდობით, ფროიდ. *(თვალს უფარება.)*

## სცენა XII

ფროიდი *(მარტო)*.

*(ცდილობს დააკავოს უცნობი, მაგრამ ის ხელიდან უსხლტება.)*

ფროიდი. გაქრა, წავიდა?

*(ფანჯარას გადაეყუდება და ქვევით იყურება.)*

აჰ, შენ მე მაგულისებ, მაღიზიანებ, არა? არ გინდა, რომ გაქრე, არა? ისე მიიპარები წყლის მიღმა, როგორც ქურდი! *(გაცოფებული.)* თავს ჩემგან ასე იოლად ვერ დააღწევ!

*(მაგიდასთან მიდის, რევოლვერს ხელს დასტაცებს, ფანჯარასთან მიირბენს, თვალს ხუჭავს, უცნობის მიმართულებით ისვრის და ბოლოსაკენ ახვევს.*

*მერე ფანჯრის რაფაზე გადაიხრება და იყურება.)*

ასცდა!

(ფარდა)

# წერილები

ძმები გონკურები

## დღიური

ფრაგმენტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ და გია ლოლაძემ

1860 წელი. შაბათი, 17 მარტი

გულით გავიხარე. დიდი მსახიობი გამოდის ერთ უბადრუკ პიესაში.

„ლიონელ შიკრიკში“ თამაშობს პოლ მენიე, ამ ბოლო წლების ეს უპირველესი, ბრწყინვალე კომიკოსი.

იგი ხასიათების შემქმნელია სილუეტებით, ჟესტებით, თამაშის მხრებითაც და წარმოსახავს ბოროტმოქმედს. ყოველივე ამისათვის მას მხოლოდ თვალი მოუკრავს ცხოვრებაში, ტალანტისათვის კი მისაბაძად ესეც საკმარისია.

პოლ მენიე დღესდღეობით ერთადერთი მსახიობია, რომელიც მაყურებელში იწვევს ისეთსავე თრთოლვას, როგორსაც აღძრავდა ფრედერიკ ლემეტრის თამაში.

1862 წელი, ორშაბათი, 7 აპრილი

ადამიანის სხეული ისე მარადუცვლელი როდია, როგორც ჩვენ გვგონია.

ყოველი საზოგადოება, ყოველი ცივილიზაცია სახეს უცვლის შიშველ სტატუებს.

ანთროპოგრაფ კრანახის, პარმეზანის და გუჟონის, აგრეთვე ბუშესა და კუსტუს ნამუშევრებში გამოსახულია სამი სხვადასხვა ეპოქის და სამი განსხვავებული ბუნების ქალი.

პირველი შესრულებულია კუთხოვანი, ჩანასახოვანი მოხაზულობით, მას ახასიათებს გოთური სიგამხდრე. ეს არის შუასაუკუნეების დროინდელი ქალი.

მეორე — თავისუფალი, წაგრძელებული, დიდი, მაგრამ მაინც ტანწყობილი, ნატიფი, არაბესკულად მომრგვალებული, ხის მაგარი კიდურები აქვს და დაფნას მოგვაგონებს — ესაა აღორძინების პერიოდის ქალი.

ბოლო კი პატარაა და ფუნთუშა. ჩაკუნტული ლოყებით — იგი მეთვრამეტე საუკუნის ქალი გახლავთ.

1863 წელი, 2 სექტემბერი

დღეს ლუვრში, XVIII საუკუნის ფრანგული ნახატების დარბაზში, დავინახე კოლეჯის ფორმაში გამოწყობილი ორი მოწაფე, რომლებიც ტაბურეტებზე ისხდნენ [illegible]ხატავდნენ ვატოს მიერ ფანქრით შესრულებულ სამ ნახატს. ეს ნამუშევრები მუზეუმმა დიმეკურის ნივთების აუქციონზე შეიძინა.

ასე იწყება პოპულარობა იმ დიდოსტატისა, რომლის ქმნილებები აქამდე მხოლოდ მხატვრებს ახიბლებდა სიამეს.

1865 წელი, კვირა, 26 თებერვალი

ხედავდე, გრძნობდე, გამოხახავდე — აი, რა არის ხელოვნება.

1865 წელი. 10 ოქტომბერი

ყველაფერი იხრწნება, ყველაფერი კვდება ხელოვნების გარეშე. ხელოვნება კი ამ მკვდარი სიცოცხლის ბალზამირება გახლავთ და ყოველივე წარმავალია, გარდა იმისა რაც დაიწერა, გამოიძერწა, ანდა, რაც ფუნჯმა გამოხატა.

1866 წელი, 21 იანვარი

გაბზარული ფაიფურის წკარუნი მე მომაგონებს დაჭრილის ამოგმინვას.

1866 წელი, 5 მარტი

ადამიანის სახის სილამაზეს ანტიკურ ხანაში მისი ნაკვთებით გამოხახავდნენ.

თანამედროვე სახის სილამაზეს კი წარმოაჩენენ მასზე აღბეჭდილი ვნებით.

1867 წელი, 1 ივლისი

მე არ მაღელვებს თეატრსა და საკონცერტო დარბაზში მოსმენილი მუსიკა.

იგი მხოლოდ მაშინ მოქმედებს ჩემზე, როცა ბუნების წიაღში მყოფს ჩამესმება მოულოდნელად.

1867 წელი, 18 სექტემბერი

კურბეს ამ გამოფენაზე ღირსშესანიშნავი არაფერია ორ მარინისტულ ნახატზე გამოსახული ცის ლაჟვარდის გარდა.

უცნაურია, რომ რეალიზმის ამ დიდოსტატს ბუნებისა არაფერი გაეგება. მის ნახატზე ("ქალი თუთიყუშით") გამო-

სახულ სხეულებს ისევე არაფერი საერთო არა აქვთ ნამდვილ შიშველ სხეულთან, როგორც XVIII საუკუნის რომელსაც გნებავთ აკადემიურ ნახატს.

სიმახინჯე, მარტოოდენ სიმახინჯე, სიმახინჯე მეშჩანური, მოკლებული ყოველგვარ თავისებურებებს და რაღა თქმა უნდა, სიმახინჯის სილამაზეზე ხომ აქ ლაპარაკი ზედმეტია.

1868 წელი, 24 ოქტომბერი

ჩვენი დროის ხელოვნების ნაკეთობანი დიდად არ განსხვავდება დირექტორიის დროინდელი სანთლების კონებისა ანდა ფეხსაცმელებისაგან.

ესენი უკვე იმგვარი ნაკეთობები როდი გახლავთ, რომლებიც გულზე ხვდება ადამიანს და რომლებიც ოდესღაც კოლექციონერთა არსების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ახლა ხელიდან ხელში გარდამავალი ძვირფასეული ნივთები წარმოადგენენ ანტიკვარი მილიონერების მოგების საშუალებას. ეს ნარნები ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე მოიცილონ ისინი თავიდან. მათ შემხედვარეს მოგაგონდებათ ერთი ცნობილი თამაში, რომლის წესისამებრ პარტნიორები უსწრაფესად სჩრიან ერთიმეორეს ხელში ანთებულ კვარს.

1868 წელი, 29 ოქტომბერი

ადრე მხოლოდ ჩვენ ვიყავით გატაცებული ჩინური და იაპონური ხელოვნებით. დღესდღეობით კი ყველა თავსა სდებს ამაზე. ასე განსაჯეთ. მეშჩანებიც კი.

ახლა ისიც ვთქვათ, ვინ შეიგრძნო ჩვენზე უმეტეს ეს ხელოვნება, ვინ იქადაგა და სახელი გაუთქვა მას?

ვინ იყო ყველაზე უფრო აღფრთოვანებული იაპონური ალბომებით და ვის შესწევდა გამბედაობა უყოყმანოდ შეეძინა ისინი?!

1869 წელი, 11 იანვარი

ბრაუნმა, ცხენების მხატვარმა, ჩვენ მოგვითხრო ერთი სასაცილო ამბავი.

იგი ხეზე გრავიურების შესასრულებლად მოუწვევია დალოზის ილუსტრირებული გაზეთის რედაქტორს, მუსიო პუანტელს, რომელიც თავის თავს ღვთისმოსაობის განსახიერებად თვლიდა.

პუანტელი შეეკითხა ბრაუნს თუ რას ხატავდა იგი.

— ცხენებს, — მიუგო მხატვარმა.

ცხენებსო? და პუანტელი ცივ-ცხელებიანივით აწრიალდა თავის კაბინეტში.

— ცხენები... ცხენებს ლამაზმანები მოჰყვება... ესენი კი ოჯახს ანგრევენ... არ დავინახო ცხენები ჩემს გაზეთში.

1872 წელი, 28 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წლის შემდეგ, რომლებმაც ისე გაწვლეს, რომ არაფერი შემიძენია, დღეს პირველად აღმეძრა ცდუნება სურათის ყიდვისა.

1875 წელი, პარასკევი, 22 იანვარი

მართლაც პარადოქსალურია საგნების ფასი. ჩემს წინ დევს იაპონური ბრინჯაოს ნაკეთობა, იხვი, რომელიც ძალზე გავს ვატიკანის ანტიკურ ცხოველებს. ეს იხვი იტალიის ნანგრევებში რომ ეპოვათ, ალბათ 10000 ფრანკი ეღირებოდა. მე კი სულ რაღაც ასოცი ფრანკი დამიჯდა. ამ ნაკეთობიდან ჩემი მზერა გადადის იაპონური სპილოს ძვლის, ტეკუანის მეომრის სამოსში გამოწყობილი მაიმუნის სტატუეტზე. საჭურვლის მოჩუქურთმება სრულყოფილების და მომთავრებულობის სასწაულია. ჩელინის საჭრეთლის საკადრისი განძეულია.

წარმოგიდგენიათ, რა ეღირებოდა ეს სპილოს ძვალი, იტალიელ მხატვარს რომ ამოეკვეთა ზედ თავისი გვარი. იქნებ სტატუეტზე მიწერილი იაპონელი მოქანდაკის სახელი თავის სამშობლოში ძალზედ ცნობილიც იყოს, მაგრამ მისი სახელი საფრანგეთში მაინც ოც ფრანკად ფასობს.

სულაც არ ვნანობ, რომ ჩემს წიგნში „XVIII საუკუნე" მრავალ იაპონელს დავუთმე ადგილი. არსებითად, XVIII საუკუნის ხელოვნება რამდენადმე სანდომიანობის კლასიციზმია. მას აკლია თვითმყოფადობა, სიდიადე. ეს პერიოდი დღეხანს რომ განგრძობილიყო, ალბათ სიბერწე არ ასცდებოდა. ამ ალბომებს, ბრინჯაოს თუ სპილოს ძვალს კი აქვთ ის ღირსებები, რომ ჩვენ გონებასა და გემოვნებას წარიტაცებენ წარმოსახვის, ძალის ნამდვილი შემოქმედების მორევში.

1876 წელი, სამშაბათი, 31 ოქტომბერი

იაპონელების ყურადღებას იპყრობს ბუნების უმნიშვნელო მოვლენებიც კი და სწორედ ეს განგვასხვავებს ჩვენ, ევროპელებს მათგან.

ჩვენ ვცდილობთ ბუნება გამოვსახოთ მთელი სიდიადით, შნო-ლაზათი მივცეთ მას ჭექა-ქუხილით, მზის ჩასვლით ან ამოსვლით.

იაპონელები როდი ირჯებიან ასე.

ახლახან შევიძინე იქაური ხმლის ქარქაში, რომელზეც გამოსახულია დანისლული ცა და რქისებრი, ნავერცხლები

მთვარე. ხეებიდან, რომელიც არ ჩანს, წყდება ორი შემოდგომისეული ფოთოლი.

ესაა და ეს მთელი ჩუქურთმის მოტივი. მხოლოდ ეს ორ-დორი ფოთოლი ქმნის მთელ შედევრს.

და სავსებით შესაძლო იყო ეს მოტივი იაპონიაში მთელ პოემას დასდებოდა სათავედ.

1885 წელი, ორშაბათი, 5 იანვარი

ჩვენი ევროპული პლასტიკური ხელოვნება უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ ცხოველთა რჩეულ წარმომადგენლების, მტაცებლების, ცხენის, ძაღლის გამოსახვას.

ისინი მოკლებულნი არიან იმ თავისებურ სინაზეს, რომელიც ნიშნადია აღმოსავლეთის მხატვრებისათვის და რაც მათ განაწყობს სიყვარულით ხატონ ყოველნაირი ცხოველი, თუნდაც შესაზიზღი, საზარელი, ჯუჯა რამ, მაგალითად, გომბეშო.

1885 წელი, ორშაბათი, 2 მარტი

დღეს, დილაადრიან, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლიარემ “ანრიეტა მარეშალთან” დაკავშირებით გავიფიქრე, რომ თუკი განვაგრძობ თეატრისათვის წერას, მაშინ ძველი სკოლების ყოველგვარ ხელოვნურ ლირიზმს უნდა ავუკრა გუდა-ნაბადი სცენიდან და შევცვალო იგი ნამდვილი ვნებით.

1885 წელი, ხუთშაბათი, 12 მარტი

დელაკრუას გამოფენა კაზმული ხელოვნების მუზეუმში. მე თაყვანს არ ვცემ ენგრის გენიას. მაგრამ გამოტეხილად რომ ვთქვა, არც დელაკრუას გენიას ვაყენებ მასზე მაღლა.

დელაკრუა სურთ კოლორისტად მონათლონ. ამის საწინააღმდეგო რა მაქვს, ოღონდაც იგი ხომ არსებულ კოლორისტთა შორის ყველაზე არაჰარმონიული იქნებოდა.

მისი წითელი ფერი მიაგავს გაკოტრებული, საწყალი მოწყობილობებით მოვაჭრის იაფფასიან ლუქს. მისი ლურჯი ფერისთვის ნიშნადაა პრუსიული ლურჯის სიუხეშე. ყვითელი და იისფერი მოგვაგონებს ევროპის ძველი ქაშანურის ფერს. ცდილობს შიშველი ფიგურების ნაწილებს თეთრი შტრიხებით მისცეს სინათლე, რაც მეტისმეტად ჭრის თვალს.

დელაკრუას მიერ გამოსახული მოძრაობები ყოველთვის არაბუნებრივი მეჩვენებოდა, ეპილეპტიკური, თეატრალური და უფრო უარესიც, ისინი კარიკატურულადაც კი მიმაჩნდა. ამ ფიგურებს გავარნის ლითოგრაფიებზე გამოსახული ტაკიმასხარების ჟესტიკულაცია ახასიათებთ.

მე ვცნობ დელაკრუას მხოლოდ ერთ უნარს, უნარს ბრბოს მიმოძრაობის გამოსახვისა (მაგალითად “ხოცვა-ჟლეტა ლიო-

ეში" ანდა "ბუასი დ' ანგლასი", სადაც ყველა გმირის მიმიკურ ზედმეტობებს ნთქავს საერთო მოძრაობა).

არსებითად, ნამდვილი მხატვარი თავის ნაწარმოებებში არაა ლიტერატურის ილუსტრატორი. იგი ხატავს იმ საგნებს, რომლებიც თვალში ხვდება. ხატავს კაცებს, ქალებს, პეიზაჟებს, ქსოვილებს და კიდევ ათას რამეს. ოღონდ, თავისი პალიტრისთვის წიგნში ყველაზე ნაკლებად ეძებს მოტივებს.

მხატვარი-ილუსტრატორი (შესაძლოა ამ აქსიომის ზუსტი ფორმულირება) – ყოველთვის არასრულყოფილი მხატვარია.

ასე მოდგამს დელაროშიდან დელაკრუამდე.

1885 წელი, ხუთშაბათი, 20 აგვისტო

მთელი წელია მარტოობა მტანჯავს. ბოლო თვეს გამოსავალი ვიპოვნე.

ამ ფერგამკრთალ, თითქოსდა შემოდგომისეულ დღეებში დილიდან საღამომდე დავხეტიალობ ლუვრში.

1887 წელი, კვირა, 3 აპრილი

მე არა მსურს ჩემი სიკვდილის შემდეგ მთელი ეს ნივთები მუზეუმში გამოკეტონ, სადაც დაეხეტებიან მოწყენილი ადამიანები, მარტო იმას რომ ამჩნევენ, რაც თვალში მოხვდებათ.

მე მსურს, ყოველმა ჩემმა ნივთმა მის ახალ მფლობელს მოჰგვაროს ის პირადული სიამე და მცირე სიხარული, რასაც მე განვიცდიდი მათი შეძენის დროს.

1888 წელი, პარასკევი, 6 ივლისი

დღეს საღამოს მწუხრისას მე ჩავუარე უკვე განათებულ ოპერას. თეთრი შუქი ეღვრებოდა რუხ ქვებს, რომლებსაც საღამო ჟამს მკვდრული ფერი დასდებოდათ.

და ეს შუქი ზღაპრული ციხე-კოშკის იერით მოსავდა ოპერის შენობას, თითქოსდა, გუსტავ მოროს სურათიდან გადმოსულს.

1889 წელი, ხუთშაბათი, 19 სექტემბერი

დღეს საღამოს შოპენის ნაწარმოების ნაწყვეტის მოსმენის შემდეგ განვაცხადე, რომ მე სრულიად ვერ ვგრძნობ მუსიკას, იგი ჩემში მხოლოდ ნერვიულ მღელვარებას აღძრავს.

ოღონდ დავსძენდი, რომ ვერცერთი კომპოზიტორი ვერ იწვევს ჩემში ისე დიდ ნერვულ ძვრას, როგორც ბეთჰოვენი.

1889 წელი, პარასკევი, 20 სექტემბერი

დღეს დილით დოდე მელაპარაკა თავის პიესაზე "ბრძოლა სიცოცხლისათვის" და საერთოდ თეატრზეც.

— ოჰ, თეატრი, — წამოიძახა მან, — ესაა დაფა და ჩვარი, ცარცით იწერება, წამსვე იშლება კიდეც... ასე მოდის ჯერ კიდევ შექსპირის და მოლიერის დროიდან.

1890 წელი, სამშაბათი, 7 იანვარი

მართალია, ჩინური ფაიფური და იაპონური თიხა აღარც კი მახსოვს, მაგრამ XVIII საუკუნის ფრანგული ნამუშევრების დარმა საქსონურმა კერამიკამ, ამ თითქოსდა ცოცხალი ყვავილების ხილვამ ოდნავ შემათრო.

საკვირველია, გერმანელებს ოდესღაც მაინც რომ ჰქონიათ ასეთი ოქროს ხელი. ოღონდ, ერთია, მათი ოსტატობა მარტოოდენ ფაიფურის ძერწვაში გამოვლენილა. საკითხავია, რატომ მხოლოდ ამ სახით გამოვლინდა და არა სხვაგვარ?!

1890 წელი, პარასკევი, 28 თებერვალი

თეატრალური კრიტიკის მოსაზრებებისა და დრამატურგიაში ნახედული მაყურებლის გულწრფელი გრძნობების შეუთანხმებლობის გამო ასეთი იდეა დამებადა. თუკი ოდესმე მომიწევს თეატრში დიდი ბრძოლის გადახდა, ასეთ შემთხვევაში ხომ არ გამეკრა მთელ პარიზში აფიშები, რომლებზეც ტიტრების ქვემოთ იქნებოდა მიწერილი:

"მე ედმონ დე გონკური, მივმართავ თავის თავს მინდობილ, დამოუკიდებელ მაყურებლებს და ვთხოვ მათ, თუკი სამართლიანად მიაჩნიათ, ადგნენ და უარყონ თეატრალური კრიტიკის მიერ გაზეთებში გამოთქმული აზრები, სწორედ იმგვარად, როგორც მოიქცნენ ისინი, როცა "ჟერმინი ლასერტე" დაიდგა.

1890 წელი, შაბათი, 13 სექტემბერი

ჩემი სამუშაო ოთახის კუთხიდან, წერის დროს როცა თავს ავიღებ, ვხედავ ტუალეტის კაბინეტის კარებზე ნახევრად დაჩრდილულ ჰოკუსაის კურტიზან ქალს, ისეთი კაბით, რომელზეც მიმოფანტულია მიმჟრინავი წეროები.

საწოლი ოთახის სიღრმეში ლაქით დაფერილი ავეჯია, მოვერცხლილი შევარდნებით დამშვენებული.

უფრო მაღლა დიდი რუხ-მომწვანო ფაიფურის მოჭიქული ლარნაკია. ამ ლარნაკის თეთრი და ოქროცურვილი ზედაპი-

რი გამოკვეთილად ჩანს კრემისფერ ნოხზე, რომელზეც გამოსახულია XVIII საუკუნის ფარეხი.

ესაა ერთი ნათელი ადგილი ჩემი სამყოფელისა, უხვი ფერით და მომაჯადოებელი შუქით მოციალე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1890 წელი, შაბათი, 20 დეკემბერი

ვსაუბრობ მხატვარ კარიურთან. იგი ჯიბიდან იღებს პატარა უბის წიგნაკს, სადაც მონიშნული აქვს პარიზის მოტივების სია, რომელთა დახატვაც მას განუზრახავს. ამ მოტივებს შორის არის პარიზის ქუჩის ბრბოს მიმოძრაობა. ეს თავისებური დინება ბრბოსი მე არაერთხელ მიხილავს ბულვარის კაფეში მჯდარს.

კარიერს სურს გამოხატოს ეს წრიული მოძრაობები. ბრბოს ამგვარი დინება მხატვარს აგონებს ერთმანეთზე გადაბმული რგოლების ჯაჭვს.

1891 წელი, სამშაბათი, 19 მაისი

ადამიანის მხატვრული გემოვნება ხელოვნებაში არ განისაზღვრება მარტოოდენ ფერწერით.

მას უნარი უნდა ჰქონდეს შეაფასოს ფაიფურის ნაკეთობა, წიგნის ყდა, საიუველირო ნუქურთმა. ყველაფერი ხელოვნებისეული. ვიტყოდი მეტსაც, მას უნდა ჰქონდეს შარვლის აკარგიანობის შეფასების უნარიც.

ის ვაჟბატონები კი, რომლებსაც მხოლოდ ფერწერის მოყვარულად ანდა სახვითი ხელოვნების მცოდნედ მოაქვთ თავი, რომ გულაფშუტები არიან, ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ. მათ სურთ გარეგნული შნო და ლაზათი არ აკლდეთ ესაა და ეს.

1891 წელი, შაბათი, 30 მაისი

შემზარავი გამოფენაა. რა ბრიყვულად გამოიყურება თეთრ მარმარილოში გამოკვეთილი ბურჟუათა თავები.

1891 წელი, ხუთშაბათი, 23 ივლისი

სადილის წინ მე და როდენი ვსეირნობდით. მან მითხრა, რომ აღფრთოვანებულია იაველი მოცეკვავე ქალების საუცხოო მონახაზებით.

ეს მონახაზები კი სრულყოფილად ვერ გამოხატავენ ამ ქალების ეგზოტიურობას. მათ ანტიური იერი დაჰკრავთ.

როდენი ლაპარაკობდა აგრეთვე ლონდონში მოწყობილი იაპონური სოფლის საკუთარ ჩანახატებზე (სწორედ იქ ნახა-მან იაპონელი მოცეკვავეებიც).

როდენმა თქვა, ჩვენს ცეკვებში ძალზე ბევრი ხტუნვაა, მაშინ როცა აღმოსავლური ცეკვები ხასიათდება ერთმანეთში გარდამავალი გრეხილით, ტალღისებური მოძრაობებით.

სადილის მერე კვლავ განვაახლეთ საუბარი. მე ვთქვი, რომ ძველი და თანამედროვე ევროპელის თვალი ხაზს უფრო აწყობს, ვიდრე ფერს. ამის მაგალითად მოვიყვანე ეტრუსკული ლარნაკი, რომლის მთელი სილამაზე მდგომარეობს მასზე გამოხატული ფიგურების მოხაზულობებში, მაშინ როცა ჩინური და იაპონური კერამიკის სილამაზეს უპირველესად ფერების ლაქები ქმნიან.

მე ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელიც არაა დაჯილდოებული მწერლური ნიჭით, შესაძლოა, ასე თუ ისე, გაიწაფოს წერაში.

რაც შეეხება მუსიკას, ანდა მხატვრობას, ამ უნარს მოკლებული ადამიანი გაწირულია. ბგერა და ელფერი ძნელად აღსაქმელია.

მხატვრობის შესახებ ვიტყოდი: გრძნობა, სული, უშუალობა, გულწრფელობა, — ყველაფერი ეს სიტყვების ფუჭ რახარუხად მიმაჩნია. ყველა ეს თვისება გამოგონილია, ტიერის, გიზოს, ტენის, ფერწერის ყველა ისეთი პროფესორის მიერ, რომელთაც არ ძალუძთ განასხვავონ ორიგინალისაგან თუნდაც ყველაზე უბადრუკი ასლი.

მხატვრობა სხვა არაფერია, თუ არა ელფერებისა და ფაქტურის ძიება.

1891 წელი, ოთხშაბათი, 16 დეკემბერი

დუეტი ბრაკმონთან:
კოროში სუფევს ცისკარი და მწუხრი.
თეოდორ რუსო შთაგონებული გრავიორია
ტერნერი — ესაა ნაღდობი ძვირფასი ქვა.

1892 წელი, კვირა, 28 თებერვალი

დღეს საღამოს როდენთან საუბარი ჩამოვარდა ვალსზე. მე იმ აზრისა ვარ, რომ ვალსს უმეტესად იმ ქვეყნებში ცეკვავენ, სადაც ციგურებით სრიალია გავრცელებული.

ფრანგი ქალები ვალსს ცეკვავენ წელში გამართულნი, მაშინ, როცა ჰოლანდიელი და იმ ქვეყნის ქალები, სადაც ციგურებით სრიალი ჩვევადა აქვთ, ცეკვის დროს წელში ცოტას იხრებიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულის ეს გადაქნევა გავს ყინულზე სრიალისას ტანის დახრას

1893 წელი, ორშაბათი, 15 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა ელისეს მინდვრებზე, ნამუშევარი №2954 – შესანიშნავი ჩანაფიქრია.

ნამდვილი ნიჟარის სადაფოვანი ზედაპირის მთელ სიგრძეზე წაწოლილა ვარდისფერი ცვილისაგან გამოძერწილი მომცრო ნაიადა, რომელიც ცდილობს ნიჟარიდან გამოიღოს მარგალიტი.

1893 წელი, ორშაბათი, 21 აგვისტო

ელმეს მუსიკის მასწავლებელმა, ხანში შესულმა მადამ კლერამბომ, რომელიც დაახლოებული იყო როსინისთან, ერთხელ გვითხრა თუ როგორ განუდგა ამ თხუთმეტი წლის წინათ შემოქმედებას კომპოზიტორი. გულისხმობდა რა ჰალევის და მეიერბერის ოპერებს, გაიძახოდა, წაგვლეკეს ამ გერმანელებმაო.

ვაგნერის და როსინის კინკლაობაზეც მოგვითხრო:

– თქვენ არ გესმით სიჩუმის ჰარმონია? – უკითხავს ვაგნერს.

– დიახ, დიახ, როგორ არა, – უპასუხნია როსინის, ხელში აუღია ქაღალდი და თავისი საქმე განუგრძნია.

ვაგნერიც აღარ მობრუნებია ამ საკითხს.

მადამ კლერამბო გვიყვება კიდევ პატარა დეტალს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თუ როგორი მუცელღმერთა ყოფილა როსინი.

იგი თურმე დილიდან საღამოს 5 საათამდე ჭიქა ყავაზე გადადიოდა. მერე კი აღარ იკლებდა არაფერს.

1894 წელი. სამშაბათი, 12 ივლისი

გამოფენა ელისეს მინდვრებზე.

ო, რა უბადრუკი ფერწერაა. გუნებას წაგიხდენს, ისეთი მუქი ფერებია, მდარე ფაიფურის ფერები მოგაგონდებათ.

მხოლოდ ერთი ტილო შევნიშნე, რომელიც ჭეშმარიტ მხატვრობას მიეკუთვნება. ესაა ინგლისელი ორჩარდსონის ტილო. მას „ გამოცანა" ჰქვია. ზედ გამოსახულია დივანზე ჩამომჯდარი, იმპერიის დროინდელ კოსტუმებში გამოწყობილი, ერთმანეთთან თითქოსდა გაბუტული ქალი და კაცი. ეს სურათი დახატულია გაწყალებული, ქარვისფერი ზეთით, რომლის ფერი რაღაცით მოგვაგონებს ქარვის ნატეხში ჩაკირული მწერების ბაც ფერს. საგნები ლამაზადაა დახატული, გადმოცემულია გონებამახვილური და დაუდევარი მანერით.

ასე ჩანს, ნამდვილმა ხელოვნებამ ახლა მთლიანად გამოყენებით ხელოვნებაში გადაინაცვლა. სწორედ გამოყენებითი

ხელოვნების ნაწარმოებებია ამ გამოფენაზე ყველაზე საინტერესო.

ავიღოთ მაგალითად, ლუდრიუს კალისაგან გაკეთებული დიდი დოქი, დოქის სახელური წარმოადგენს ნაიადას, რომელიც ხელებით მოჭიდებია ჭურჭლის პირს, ხოლო ფეხები დელფინის ზურგზე მიუბჯენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქის ქვედა ნაწილზე გამოსახულ მეორე ნაიადას, რომელიც ტალღებში ცურავს, ხელები ყვვაზე შემოუჭდვია.

ო! კალა ბატონობს ყველგან და, მე ვგონებ, მისმა გამოყენებამ ზეგავლენა უნდა იქონიოს ქანდაკებაზე, აიძულოს ოსტატები მარმარილოსა, ქვასა და ბრინჯაოზე ისეთი ლბილი მანერით იმუშაონ, როგორც კალაზე.

აქ არის კიდევ რისპალის მიერ ფერადი ცვილისაგან გაკეთებული მედალიონი, რომელზედაც გამოსახულია წმინდა ცეცილია.

ეს მედალიონი საოცრად არტისტულია. მოყავისფრო-წითელ ფონზე ნუბიელის კოხტა თავია გამოსახული და ამ ნაძერწზე, რომელიც ქღალადაა შეყვერილი, ელვარებს ოქროსფერი შარავანდი და ბზინავს ცეცილიას თმებზე შემოკრული ვერცხლისფერი ბაფთი.

1894 წელი, კვირა, 26 აგვისტო

მთელმა ჩემმა ცხოვრებამ განვლო ჩემი საცხოვრებელი ადგილისათვის ორიგინალური დეკორის ძიებაში. დღეს ერთი, ხვალე მეორე...

ამას წინათ ჩემი წიგნების ყდებისათვის ვიყიდე ისეთი აბრეშუმის კაბები, რომლებსაც ატარებდნენ XVIII საუკუნის ქალები.

ყოველთვის მოვიგონებ ხოლმე რაღაცას, თუნდაც ძალზე უმნიშვნელოს, რაც სხვას თავში არ მოუვა. და ამ წვრილმანებს, რომლებიც არაარტისტული ბუნების ხალხს აგრერიგად სძაგთ, მე, შესაძლოა, შევალიო იმოდენი წარმოსახვა, რამდენიც ალბათ ჩემი წიგნების დაწერისათვის არ მომინდომებია.

1894 წელი, პარასკევი, 26 ოქტომბერი

ჩემი ოცნებაა მქონდეს საკუთარი გალერეა, სენტ-ლაზარის სადგურის დარბაზივით დიდი, რომლის კედლებზე, ირგვლივ, მხრების სიმაღლეზე განლაგებული იქნება წიგნები. ზემოთ, კაცის სიმაღლეზე მოეწყობა ვიტრინები სამშვენისებით, მთელ დარბაზს გარს შემოერტყმის აივანი და იქ სამ წყებად გამოეფინება სურათები. მესამე სართულს ახალი აივანი შექმნის,

რომელიც ლამის ჭერს მიაღწევს. ზედ XVIII საუკუნის ლითფერის ხალიჩები გადაკვრება.

აი, იქ ვიქნებოდი ჩემს ეკმოზე. ვიმუშავებდი, ვიკითხავდი, მოვისვენებდი.

ქვემოთ კი გაშენდებოდა ზამთრის ბაღი, მოფენილი მარად მწვანე ბუჩქებით. ნაზი ჰაერის ჭავლები ირხეოდნენ ამ ბაღში და ფოთოლთა სიმწვანეში ჩაყვლიობოდა დიდებული თეთრი ქვისაგან გამონათალი, კარპის "ქვეყნის ოთხი მხარე".

1895 წელი, ორშაბათი, 11 თებერვალი

ფრანც კურდენმა გადმომცა მხატვარ როპსის სარეკომენდაციო ბარათი, ბანკეტის საორგანიზაციო კომიტეტისათვის. წერილი გამსჭვალულია გულთბილი სიმპათიით.

აი, რა ამოვიკითხე ამ ბარათში...

"რამოდენიმე დღის წინ; როდესაც ვათვალიერებდი ჩემს ძველ უბის წიგნაკში გაკეთებულ ჩანაწერებს, ასეთი რამ აღმოვაჩინე: თუკი მუშაობისას ხელმოკლეობის გამო ხელი წაგძლევთ რაიმე თვალში საცემი გააკეთოთ და თუკი იგრძნობთ, რომ ეშვებით ზერელე ბანალურობამდე, გაიხსენეთ გონკურების ნამუშევრების გულწრფელობა, სიმართლე. ედმონ გონკური სწორედ ამიტომ იყო ჩემი მასწავლებელი. თუმცა, ჩემს თავს მის სულიერ მოწაფედ ვთვლი".

1895 წელი, პარასკევი, 9 აგვისტო

დღეს სადილის შემდეგ მოვისმინე ბეთჰოვენის „სანქტუსი". ნერვიულად ავღელდი და თვალებზე ცრემლები მომადგა.

საეკლესიო გალობები ჩემში აღძრავს წარსულის ნაღველს და მე, სკეპტიკოსი, ურწმუნო, ვისზეც არ მოქმედებს საეკლესიო ქადაგება, ალბათ მოვიქცეოდი ასეთი გალობის ანდა იმ ნაწარმოების მოსმენით, რომელთა მოტივებიც სათავეს სწორედ ამგვარ მუსიკაში იღებს.

1895 წელი, ორშაბათი, 30 დეკემბერი

გამოფენა ბინგთან.

მე არა ვარ საერთოდ გამოფენის იდეის წინააღმდეგი, მე მხოლოდ დღევანდელი აი, ამ გამოფენის მომხრე არ გახლავართ.

ნუთუ იმ სახელმწიფოს, რომელსაც ჰქონდა XVIII საუკუნის კოპწია, მომრგვალებული, განცხრომისათვის გამიზნული ავეჯი, ახლა დაუდგა საშიშროება ამ უხეში და კუთხოვანი ავეჯისა, რომელიც გამოქვაბულებსა და ქოხებშიც მცხოვრებ პირველყოფილი ადამიანებისათვის გეგონებათ განკუთვნი-

ლი. ნუთუ საფრანგეთს წყევლასავით დაებედება ის ფორმები, რომლებსაც, თითქოს და, სიმახინჯის კონკურსში გაუმარჯვიათ — კარ-ფანჯრების და კარადების ისეთი ჭრილები, რომლებიც გადმოღებულია გემის ილუმინატორებისაგან. დივნების, სავარძლების, სკამების ზურგები, რომლებიც ფურცლოვან-რკინასავით უხეში და ბრტყელია, და ისეთი ქსოვილითაა გადაკრული, რომელზეც გამოსახულია მღვრიე მოლურჯო-მოყვითალო ფონზე მიმომფრენი ბატის სკინტის ფერი ნიტები. ტუალეტის მაგიდები და სხვა სახის ავეჯი, რომელიც ჰგავს მორგის ქუჩაზე განლაგებული კბილის ექიმთა კაბინეტების პირსაბანებს.

ნუთუ პარიზელი ისადილებს ისეთ სასადილო ოთახში, ამ წითელი ხის ფრად შეღებილი პანელების გარემოცვაში, რომლებიც გაწყობილია მოოქროვილი არაბესკებით, იმ ბუხრის გვერდით, საერთო აბანოს პირსახოცების საშრობს რომ წააგავს.

ნუთუ პარიზელი დაიძინებს იმ საწოლ ოთახში, ამ გულისამრევად უგემოვნო ორ სკამს შორის ჩადგმულ ისეთ საწოლში, რომელიც ისეთ შეგრძნებას გაძლევს, თითქოსდა ლეიბი ზედ საფლავის ქვაზე დაუგიათო.

ნუთუ მართლა დავკარგავთ ჩვენს ეროვნულ სახეს? ახლა მეტად ხომ არ ვართ დამონებულნი, ვიდრე ვიქნებოდით, უცხოთა მიერ დაპყრობილნი.

დღესდღეობით ხომ საფრანგეთში ვერ ნახავთ სხვა ლიტერატურას, გარდა მოსკოვური, სკანდინავური, იტალიური ლიტერატურისა. ამას მალე ალბათ პორტუგალიურიც შემოემატება.

ახლა ხომ საფრანგეთში სხვა ავეჯი არ იშოვება, გარდა ანგლოსაქსონურისა და ჰოლანდიურისა.

ესაა საფრანგეთის მომავალი ავეჯი? არა და არა! ათასჯერ არა!

როცა გამოვდიოდი ამ გამოფენიდან, თავი ვერ შევიკავე და ხმამაღლა ვიმეორებდი ქუჩაში, ეს რა ნაშლეგარია-თქო სიმახინჯისა.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და მკითხა:

— მე მითხარით რამე ბატონო ჩემო?

* * *

ლიტერატურისა და ხელოვნების XX საუკუნის იმ მოყვარულებისათვის, რომელთაც ვინძლო გაიხსენონ ორი ძმა, მინდოდა შეანდერძა ჩემი „ჩვენის" ლიტერატურული კატალოგი, ჩემი სიკვდილის მერე მას ხომ, ალბათ, არსებობა აღარც უწერია. მე მსურდა ამ ჩანაწერში წარმომეჩინა მათთვის ნატი-

ფი გემოვნებით შესრულებული წარმტაცი საგნის მიკრო-კოსმოსი, – ის საგნები, ანტიკვარების იშვიათ საგანძურთა საცავიდან რომ მოიძიება.

ზემო სართულის ის სამი პატარა ოთახი, რომლებიდანაც ერთ-ერთში ჩემმა ძმამ დალია სული, ორ ოთახში [illegible] დაკეთდა. მომცრო ოთახი უფრო მოდიდოს უერთდება ღიობით, რაც ამ სამყოფელს სძენს იერს პატარა თეატრისას, სადაც თითქოსდა, ეს-ესაა ფარდა უნდა აიხადოს.

ჭერზე, კედლებზე, ჩარჩოებზე, შავად შეღებილი წიგნის თაროების ირგვლივ მეწამულად ღელავს ზედ გაკრული ყუმაში, პარკეტზე თურქული ასოების მაგვარი ლურჯი არაბესკებით მოხატული ალისფერი ჩოხი აფენია.

ავეჯი შედგება მუქწითელი, იისფრად და ყვითლად აფერადებული აღმოსავლური ნოხებით გარშემოკრული დივნებისა, დაბალი სავარძლებისა და სკამებისაგან, რომელთა შუა ორკეცი სავარძელი–სარწეველა დგას. აუხდენელი ოცნებების აკვანია ეს სავარძელი.

პატარა ოთახში, წითელ კედლებზე გაკრულია XVII საუკუნის იაპონური სარტყელი, რომელზეც გამოსახულ თეთრ გლიცინიებს შორის მერცხლები დაფრენენ.

...წითელ კედლებზე გაფენილია ფუკუსა, ტოკუგავას გვარის გერბით. გერბი ბალბის მცენარეა, რომლის ღია ვარდისფერ ფონზე იკვეთება ოქროს ძნაზე დაქინდრული ყანწა.

კედლებზე მიდგმული, წიგნებით გატენილი კარადის ზემოთ ჩამოკიდებულია ოთხი კაკემონო.

პირველი კაკემონო ო კიოს ნამუშევარია. მასზე გამოსახულია პატარა, სქელტუჩება, დრუნჩიანი, რომბისებრი მოხაზულობის ძაღლები. ერთ მათგანს მეორის ზურგზე მიუდვია თავი და თვლემს. ნახატი შესრულებულია ჩინური ტუშით. ძაღლების წითურ ფერში იჭრება მცენარეულის მწვანე ფერი.

მეორე კაკემონო განკუს ეკუთვნის. აქ უკვე ვეფხვია დახატული, ოღონდ ამ ვეფხვს ფანტასტიური იერი აქვს. ჩანს ვეფხვი დაუხატავს ისეთ მხარეში მცხოვრებ მხატვარს, სადაც ამ ცხოველის ჭაჭანებაც არაა. და ხელოვანი საკუთარ ფანტაზიას დაყრდნობია.. მტაცებელი კამარას კრავს გორაკიდან. მუცელი შეუზნექია. შაგ, აჯღრიან გოროზ ღრუბელს მოგვაგონებს. ცხოველი დახატულია ჩინური ტუშის შმაგი მონასმებით და ეს ანათესავებს მას ღელაკრუას ვეფხვებთან.

მესამე კაკემონო ეკუთვნის სოსენის მეტოქეს, ევროპაში ნაკლებად ცნობილ უნკეის. ნახატზე გამოსახულია ხეზე ჩამომჯდარი მაიმუნი, თავისი ნაშიერით. მათი თავები დაფერილია სანგვინით და დაშტრიხულია წვრილად. ეს ნამუშევარი მოგვაგონებს ვატოს სამფეროვან ნახატს.

მეოთხე კაკემონო კორინის ფუნჯს ეკუთვნის. მისი შემცირებული რეპროდუქცია დაიბეჭდა ბინგის „იაპონიაში". მკრთალ ცაცისფერ ფონზე გამოსახულია თეთრი და ლურჯი

ირისები, რომლებიც მოგვაგონებენ მწვანეპირიანი ხანჯლებისაგან შეკრულ მარაოს. ყვავილები აქ გამოსახულია ფუნჯის ისეთი თამამი მონასმებით, რასაც ვერ დაიქადნის ვერცერთი ევროპელი მხატვარი. ესაა აკვარელი, ოღონდ ისეთი მკვრივი ფაქტურით, რომელიც ფრესკული ნახატებისთვისაა დამახასიათებელი.

იქვეა ორი კაკემონო. ერთი ეკუთვნის სიახლის მაძიებელ მხატვარს, კანო სოკენს, რომელმაც უარყო კანოს სკოლა ფილოსოფოსთა და ასკეტთა მკაცრი ფერწერა, რათა ეხატა კურტიზანი ქალები. ამ კაკემონოზე იგი წარმოგვიდგენს იაპონელ ქალს, რომელიც ლექსების გრაგნილს აყვავებული ალუბლის ხეზე ჰკიდებს.

მეორე ნახატი ხელმოუწერელია. მასზე ჩანს ჩინური ხელოვნების გავლენა. ზედ გამოსახულია პრინცესა თავის სამყოფელში. ამ ნამუშევარს ჰაიაში იუკონობუს მიაწერს.

კედელზე ჰკიდია რამდენიმე სამშვენისი, მოპირკეთებული ფერადი, მჭირვალი მასალით. ისინი შესრულებულია ამომავალი მზის იმპერიის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მანერით.

გავყვეთ მათ რიგს:

მარაოს სახელური – ლამაზად დაძარღვული ხის გრძელი დაფა, რაზედაც ატმასნილა სადაფისა, კუს ბაკნისა და რომლიდაც, ფირუზის მსგავსი ქვისაგან გამოკვეთილი, გაფოთლილი მცოცავი მცენარე.

პატარების ნახაწყობი ბუდე, სამი ფუტის სიმაღლის. ზედ აგრეხილი მწვანე კვახის ღეროთი, რომელსაც მწვანე ნაყოფი ასხია.

ბზის პატარა ეტაჟერზე თავმოყრილია ხელოვნების ორიგინალური ნიმუშები;

ბრინჯაოს წყლის შროშანას ფოთოლი, რომელზეც მიცოცავს კიბორჩხალა. ეს წარმტაცი ბრინჯაო დაფერილია მუქი ოქროსფერი პატინით.

ყვითელი თუთის ხისაგან გამოჭრილი ზარდახშა, რომლის კედლებზე ნაირგვარი აჟურული გეომეტრიული ფიგურებია. გაფერადებულ სპილოს ძვლის ფოთლებზე კი სადაფის ქრიზანთემებია დაკრული.

აქ ვხედავთ აგრეთვე ლოტოსის ყვავილს, რომელსაც გარს შემოვლებია ცვილის მაგვარი ბამბუკისაგან გაკეთებული ორკოკრიანი ლიანა. ნახატი ხელმოწერილია ჩინელი ოსტატის უ სი ფანის მიერ.

ჭედური ლანგარი – იგი გამოსახავს მწერების მიერ გამოჩრჩილულ წყალმცენარის ფართო ფოთოლს, რომელზეც მიხოხავს წითელი თითბერისაგან გაკეთებული კიბორჩხალა. ფოთოლი მოცვარულია ვერცხლისაგან ჩამოსხმული წყლის წვეთებით.

ხისაგან გამოთლილი ნამცხვრების კოლოფი, რომელიც მოპირკეთებულია ლაქით. მის სახურავზე გამოსახული მეომარი გადმოხატულია ხოკუსაის მიერ დასურათხატებულის ალბომის[1] („იეჰონ საკიგაკე", — სახელგანთქმული გმირები) ყდიდან. ეს მეომარი ხის ღეროზე აწერს რჩევას, რომელიც მისი პატრონი უნდა იხსნას.

სამელნე — გამოთლილი იაპონიაში „მამლის ბიბილოდ" წოდებული წითელი მარმარილოსაგან. იგი მოთავსებულია შავი ხის ზოლებიან ზღვის ტალღების მსგავს დასადგარზე. შეფერილი სპილოს ძვლისაგან გაკეთებულ სახურავზე გამოსახულია ურჩხული.

საქაღალდე - რომელზეც გამოხატულია ოქროს ყვავილებიან მინდორზე დაისის ჟამს მობალახე რქოსანი პირუტყვი, საქაღალდეც მარჯნიდანაა გაკეთებული და მზეც.

ბრინჯაოს კიბორჩხალა — შესრულებული ისეთი ამაღელვებელი სიმართლით, რომ თავდაპირველად იგი კინაღამ ნამდვილი კიბორჩხალას ტვიფარად მივიჩნიე, ნატურალისტ პუშეს რომ არ მიენიშნებინა, კიბორჩხალას ხომ გამრავლების ორგანოები აკლიაო. ეს ბრინჯაო ხელმოწერილია ჩო კვა კენის მიერ.

პატარა ეტაჟერს ზემოთ, რომელზედაც დგას ეს სამშვენისები, ჩამოკიდებულია ფუკუშა. იგი ნამდვილი ნიმუშია წმინდა იაპონური ფერწერული კოლორიტისა. მოწნული, წითური ფერის ლარნაკი, სავსე ნარინჯისფერ-შერეული თეთრი ქრიზანთემებით, რომლებიც გამოიყოფა ბაცი მწვანე ფოთლებისა და საერთო ყვითელ ფონზე.

ეტაჟერს გასწვრივ სამასლაათოდ განკუთვნილი, ნინელი ქალის კაბის ქსოვილით გადაკრული დივნის თავზე, „კვერცხის ნაჭუჭად" წოდებული ფაიფურისაგან გაკეთებულ თეფშების რიგებს შუა ჰკიდია ნაქარგი კაკემონო, სადაც თეთრ გლიცინიებს შორის აღერილა გიგანტური ყაყაჩო.

ამ ოთახის ნამდვილი მშვენება მაინც ბუხრის თავზე, ორ რქას შუა ჩამოკიდებული, ძველი ხავსისა და ძვლებური, ოქროსფრად ნაქარგი XVI საუკუნის თვალწარმტაცი სპარსული ხალიჩაა. აქ ორი ფერი ქმნის ფონს, რომელსაც ზიგზაგებად გასდევს ზღვის ფრინველების ირაოს მსგავსი ლურჯი არაბესკები. რქებზე ამოჭრილია წრეები და რამოდენიმე კუ. ბუხარში შედგმულია ვერცხლით მოჭედილი ბრინჯაოს ხიბატი.[2]

ოთახები, რომლებიც „სხვენს" ქმნიან, მანსარდებიდანაა გადაკეთებული. სწორედ ამიტომ მათი ფანჯრები იმ შუასაუკუნეობრივი სარკმელებივით ღრმა გახლავთ, რომელთა ორთავე მხარეს ქვის სკამები იდგმებოდა. „სხვენის" ფანჯრების წა-

---

1. მონოგრაფია "ხოკუსაიში" — გონკური უფრო დაწვრილებით აგვიწერს ამ ალბომს.
2. ხიბატი — მაყალი.

ლოჯში, სადაც თითქმის დაბინდებამდე დგას ნათელი, დავიგულე ადგილი ჩემი საყვარელი წიგნებისა და გრავიურების ჩამოსაკიდებლად.

მარცხენა კედელზე კიდია ვატოს „ავადმყოფი კატა" — ესაა ლიოტარის მახვილგონიერი, რამოდენიმე მონასმით შესრულებული ოფორტი, რომელიც წარმოგვისახავს სცენას „ოთოსას გასაჭირიდან". ქალიშვილს მაღალ მკერდზე მიუკრავს კატა მინეს თავი, რომელიც ცდილობს გამოუძვრეს ხელიდან, და რომელსაც იტალიური კომედიის პერსონაჟის მსგავსი სასაცილო ექიმი უსინჯავს მაჯას.

ორი ფურცელი ტიულრის ხედებისა. ეს ორი ოფორტი, რომლებითაც გაბრიელ დე სენტ ობენი ავლენს თავის ხელოვნებას, გამოსახავს 1762 წლის გრძელ ხეივანში მოსეირნე ქალებისა და კაცების მიკროსკოპულ ფიგურებს.

"მზის ჩასვლას ირლანდიაში" — ესტამპი, რომელსაც მე ვთვლი ერთ-ერთ უმესანიშნავეს თანამედროვე ოფორტად და რომელშიც სეიმურ ჰეიდენმა კვლავ მიაგნო რემბრანდტისეულ შავ ხავერდოვან ფერს და, ასე ვთქვათ, ქაღალდზე ამეტყველა მიმწუხრის მელანქოლია.

მარჯვენა კედელზე ჩემი ძმის სამი ოფორტია. პირველი — ესაა ედმონდ მარსილის კოლექციაში დაცული, ლა ტურის ნახატის მიხედვით შესრულებული რეინალის პორტრეტი. იგი ერთი იმ ოფორტთაგანია, რომელიც ჩემმა ძმამ ორ საათში დახატა. მან ერთ დროს მოისურვა კიდეც სენკანტენის მუზეუმის ყველა სურათების მოსამზადებელი ეტიუდების გრავირება.

ფრაგონარის „კითხვა", რომლის ყავისფრად შესრულებული დედანი ინახება ლუვრში.

„მამაკაცის თავი", გადმოღებული გავარნის მიერ კბილის ჯაგრისით შესრულებული მონახაზიდან. აქ რბილი დაშტრიხვა გადმოცემულია კოშტი, შავი ლაქებით.

დიდ ოთახში, შემოსასვლელი კარის ორთავე მხარეზე ორი დამისული, მთვარით განათებული პეიზაჟია.

ისაის კაკემონოზე გამოსახულია შავ ტბორში არეკლილი მნათობი, რომელზეც დაზიდულა შებისხბრი რტოები.

მეორე კაკემონო, ეს უკვე ბუნჩოს ეკუთვნის, წარმოგვიდგენს ჩამცხრალ ცას და სავსე მთვარეს, რომელთა ფონზე თავს სწევენ მარცვლოვანი მცენარეები. იგი შესრულებულია მოლურჯო-მოწითალო გახუნებული ფერებით.

კედლებთან მომცრო კარადებია მიდგმული, მეტრნახევარი სიმაღლის. ერთ-ერთში, გარდა რამოდენიმე ბროშურისა, აწყვია ბალზაკის სიცოცხლეშივე გამოსული მისი ყდაში ჩასმული ყველა თხზულება. ამ ტომების უმრავლესობაში არის ავტორის მიერ წარწერილი მიძღვნები. "უცნობი ტანჯულები" ეგზემპლარი, რომელიც დიუტაკის აუქციონზეა ნაყიდი, წარმოადგენს ამ "თანამედროვე ფედონის ნაწყვეტის" საკორექტურო ფურცლებს. აქ ვნახულობთ სხვა საკორექტურო

ფურცლებსაც. დავასახელებთ "წეხიერ ქალებს", – ეს სტატია შეტანილია კრებულში "ფრანგები თავისი თავის შესახებ" და გამოქვეყნებულია "ლე ბ"-ს გრიფით. ამ ხელნაწერის ბოლო უნახავითაა აკრეხილი.

დანარჩენი სამი წიგნის კარადა შეიცავს [illegible], მიუსეს, სტენდალის პირველ გამოცემებს. ამათში შერეულია საუცხოო ქაღალდზე დაბეჭდილი თანამედროვეთა პირველი გამოცემები, რომლებშიც ჩაკრულია ავტორთა ხელნაწერის თითო ფურცელი, ასეთია დოდეს და ზოლას ტომები, რენანის "ბავშვობის მოგონებები", ასეთია "მადამ ბოვარის" ტომი, რომელშიც იმავით დიდი შრომით შექმნილი ხელნაწერის ფურცელს. იგი თავით ბოლომდე გადახაზულ-გადმოხაზულია. სავსეა ნასწორებებითა და შენიშვნებით. ეს ფურცელი მე მიბოძა მადამ დე კომანვილმა. ასეთივეა "ლოტის ქორწინება", რომელსაც დართული აქვს დანაღვლიანებული რარაჰუს[1] ბოლო წერილის ხელნაწერი. ასევეა გამოცემული ბარბე დ' ორევილის "ეშმაკისეული მოთხრობები". ამ ტომში ჩახავთ მწერლის ძლიერი ხელწერით დაწერილ ფურცელს. იგი ხმარობდა წითელ მელანს. ქვემოთ ბარბე დ' ორევილის მიერ დასმულია ისარი, რომლის ოქროს ფხვნილი ახლაც ბრჭყვიალებს. ყველა ამ გამოცემათა შორის, რომლებიც გვაცნობს ავტორთა ხელწერას, არის მიშლეს „ჩემი სიყმაწვილე", სადაც ხელნაწერის უქონლობის გამო ჩადებულია მისი მოწაფეობის დროინდელი თხზულება მარიუსზე. თხზულების არეზე დიდ ისტორიკოსს წაუწერია: „ბატონმა ვილმენმა გულწრფელად შემაქო და მეც დავრწმუნდი საკუთარ თავში".

მეხუთე კარადაში დაცულია გავარნის თითქმის ყველა ნაწარმოები. ეს კოლექცია მოითვლის მისი გრავიურებისა და ლითოგრაფიების ექვსასამდე საცდელ ანაბეჭდს.

ამ თაროს თავზე ვიტრინაა, სადაც გამოფენილია ცნობილი ოსტატების მიერ ყდაგადაკრული 5 ტომი. ესენია „მანეტ სალომონის" ეგზემპლარი, რომლის ყდა დამშვენებულია კლოდიუს პოპლენის ორი მინანქარით, რომლებზეც ვხედავთ მენატურეების სადგომზე აღმართულ მანეტს. ერთ მინანქარზე ქალი პირით ჩვენსკენაა, მეორეზე კი – ზურგით. აქ არის ჩემი ძმის ნეკროლოგებისაგან შედგენილი ალბომი. იგი იწყება მეგობრული თანაგრძნობის წერილებით. იწერებიან მიშლე, ვიქტორ ჰიუგო, ჟორჟ სანდი, ფლობერი, ტენი, ბანვილი, სეიმურ ჰეიდენი და სხვა. კრებულის ყდაზე გამოსახულია პოპლენის მიერ შავ ემალზე ოქროთი დახატული ჩემი ძმის ბრწყინვალედ შესრულებული პროფილი.

აქ არის „მარია ანტუანეტას ისტორია", ყდაში ჩასმული ლორტიკის მიერ. წიგნის ყდაზე მიმობნეულია სამეფო შრო-

---

1. რარაჰუ - "რარაჰუ" პიერ ლოტის ეგზოტიური რომანი. (1882 წ. გამოცემული იყო "ლოტის ქორწინების" სახელწოდებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანები, რომელთა შუა ჩასმულია მარია ანტუანეტას ქორწინების დღის აღსანიშნავად გამოჭედილი ვერცხლის მედალიონი. ესაა მეტად იშვიათი მედალიონი წარწერით: "Maria-Antonia Gallia Delphina" — მარია-ანტუანეტა — გალიის პრინცესა.

აქ არის წიგნი "ლუდოვიკო XV-ის საყვარლები". ამ წიგნ-ის ყდა გაკეთებულია წარსული საუკუნის ყვავილე[illegible] ბესკებით დამშვენებული მდიდრული წიგნების მიბაძვით. იგი კამეს ბოლო ნამუშევარია.

ყოველი ამ წიგნის ყუაზე ამოტვიფრულია ჩვენი ორიგინალური ex libris ხვეულწერილით გამოყვანილი ინიციალები E.J. რომელიც გამოვიგონეთ ჩვენს მიერ ერთად დაწერილი წიგნებისათვის.

აქ არის „XVIII საუკუნის ქალის" დიდის მიერ ილუსტრირებული ეგზემპლარი, იმდროინდელი სურათების ნახატებისა და ესტამპების რეპროდუქციებით, ილუსტრაციებით. ამ წიგნის წითელი, აღმოსავლური ტარსიკონის ყდაზე გამოიყოფა სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ამური, რომელიც დაფდაფს სცემს. თვალს საამოდ ხვდება ამურის სიმსუქნე, რომელსაც არა სცხია რა ახლანდელი სპილოს ძვლის სისისტისა.

და ბოლოს, მოვიხსენებთ ნაწილ-ნაწილ გამოცემული „XVIII საუკუნის ხელოვნების" პირველი გამოცემის ნიმუშს, სადაც ჩართულია ჩემი ძმის ოფორტები. ყდა მიშელის ნამუშევარია, იდეა კი მე მეკუთვნის. შებისებრი პლუში ეხვევა ჩემი ბაღის „მომინის" მეწამულ რტოს. ეს ყოველივე ამოტვიფრულია ტყავზე და შეფერილია ამ მცენარეთა ბუნებრივი ფერით. ამ ორი მცენარის ერთმანეთზე გადახვევით მხატვარმა შექმნა ორნამენტი დიდი ლათინური ასოს G.-ს სახით.

კარადის თავზე ჰკიდია თეთრი ფაიფურის ორი საქსონური საკომპოტე, ზედ გამოსახული ნატიფად გოფრირებული ყვავილებით,ამ ორ საკომპოტეს შუა ლუისბურგული ოვალური ლანგარია მოთავსებული, რომლის კიდეებზე თხელი აჟურული ნახატია ნახჩახა იისფერი ტიტით...

კიდევ მაღლა ჰკიდია ნინის ნამუშევარი, ამობურცული მედალიონები. ზედ გამოხატულია XVIII საუკუნის კარის დიდებული ქალების გრაციოზული და კეკლუცური თავები, რომლებიც ჩანს მათი უჩვეულო, ზიზილ-პიპილოებიანი ტანისამოსიდან. მათ შორისაა სუზან ჟარანტ დე რენიერის პორტრეტი (1789), იგი ნინის შედევრია. პროფილი ნაზია, კულულები აბურდული, დაგორგლილი ნაკეცები ფარავს ქალის დეკოლტეში ამოჩენილ გულმკერდის ღრუს.

ამ მედალიონებს შუა კიდია ცხვირპაჭუა ქალის თავი თმებზე დახვეული ლენტით. თეთრად მოსჩანს ეს თავი ვეჯვუდის ლურჯი ფაიფურის ფონზე.

შემდეგ მოდის ეგრეთწოდებული მადამ როლანის პორტრეტი და კიდევ ასსუიანი მონეტის ზომის, სევრის ნაზი მოჭიქული ფაიფურისაგან გაკეთებული მედალიონი, მარია ანტუ-

ანტას გამოსახულებით, რომლის შესრულების სინატიფე ტოლს არ დაუდებს ანტიკურ კამეებს.

ამ მედალიონებს შუა მოჩანს ფრაგონარის დედანი, ამ თავშესაქცევ სურათის პოპულარობა მოუპოვა შარპანტიეს აქვატინტამ, მას „დაყირავება" ჰქვია. ახალგაზრდა ქალი მოულოდნელად მივარდება შეყვარებულს და გადააყირავებს მხატვრის მოლბერტს, რომელიც ამ ქალს ხატავდა. ასეთია სურათის სიუჟეტი.

ფრაგონარის ზემოთ ჰკიდია გაშოტილი, ვნებით აღსავსე ქალის ზურგის მხრიდან დახატული პორტრეტი. მას ერთი ფეხი გაუწვართია, მეორე მოუხრია. ფრანგი ბუშეს ეს ნამუშევარი სრულიად საპირისპიროა ორი სხვა ეტიუდისა, რომელთა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ აგრეთვე იტალიელ და ფლამანდიელ ბუშეებსაც. პირველი, პრიმატიჩოს სურათების მსგავსად გამოხატავს ტანწყობილ ქალს, წელგაზნექილი რომ დაყრდნობია ნახევარსვეტს, რომლის ირგვლივ ამურებს გაუმართავთ ფერხული.

მეორე ეტიუდზე ქალია დახატული ზურგის მხრიდან მთელი სიმაღლით. იგი ტანსრულია და სხეულზე ნატკეჩილი ადგილები უჩანს. ეს ნახატი იოლად შეიძლება რუბენსის ნამუშევრად მიიჩნიოთ.

სულ გამომრჩა ორი ფრანგული ეტიუდი, რომელიც კიდია წიგნების თაროს ზემოთ.

ერთი, სქელი გუაშით დახატული, ფრაგონარისაა და გვაგონებს ზეთის ფერწერას. გაცრეცილ პირავდრიან ცაზე ისარივით თვალში საცემია გლეხის ქალის წითელი ზედატანი.

მეორე ნახატი ფანქრითაა ორ ფერში დახატული. უფრო სწორად, ესაა ანაბეჭდი ვატოს ნამუშევრისა, მაგრამ დედანის ეს ორფერულები ღირსია ჩარჩოებში ჩასმის, მით უმეტეს, თუკი ისინი ფრანგ მხატვარს ეკუთვნის. მარიეტის აუქციონზე ხომ არ დაიშურეს რამოდენიმე ათასი ფრანკი ბუშარდონის ანაბეჭდებისათვის? ეს ანაბეჭდები, რომლებიც შეძენილია პელტიეს აუქციონზე, წარმოადგენს ზურგიდან დახატულ ქალს. დიაცი ზემოთ იწევს ფაშფაშა კაბას. იგი დგას ტერასაზე ნებიერად გაწოლილი მეგობარი ქალის გვერდით, თავის მარცხენა ხელს რომ დაყრდნობია, მარჯვენას კი ვიღაც შორეულს უხილავს უქნევს.

წიგნების კარადაზე დგას იაპონური ბრინჯაოს ლარნაკები, რომელთა სახელურები ცხადყოფს ავტორის დიდოსტატურ წარმოსახვას. ეს სახელურები მოგვაგონებს მოგრეხილ კრევეტებს, რომელთაც კუდი მიუბჯენიათ ჭურჭლის ყელზე. სხვა ლარნაკები გამოხატავს ტაის-იაპონელი ჰურმანების საყვარელ თევზს, დინების საწინააღმდეგოდ რომ მიცურავენ და, აგრეთვე გოგრის ყლორტებს ფოთლებშუა ჩამალული ნაყოფით. ერთი ლარნაკი დაფარულია ძველი წითელი ხის ფერის

პატინით და დამშვენებულია თითქოსდა იქიდან გადმოცურებული ბიის ტოტით. მეორე ლარნაკი გააზრებულია როგორც ერთმანეთზე დადებული ალუბლის რტოები, ამ ლარნაკს [illegible] რული შორისყოფები აქვს. მესამე ლარნაკი ბოთლისებური, ზედ შემოწნული ტირიფის ტოტებით. მეოთხე გამ[illegible] გოლოფურს, რომელზეც მიცოცავენ ბაყაყები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს, აგერაა არაჩვეულებრივი ბრინჯაოც, ცვილისაგან ნაძერწის მსგავსი, რომელსაც დაკარგული აქვს ლითონის წახნაგებისათვის დამახასიათებელი სიმკვეთრე და სიმკვიდრე. ესაა საყვავილე კალათი, მისი ზღვასავით დატალღული ფსკერის ერთი მხრიდან მაღლა ამოშვერილა ურჩხულის თავი ოქროსფერი ულვაშებით, მეორე მხრიდან კი — მისი კუდი.

ამ ბრინჯაოს აწერია: გაკეთებულია ტოტეხაი ოუკოკუს მიერ შოგაკუხაისათვის. ერთი ბრინჯაო დგას დაკეცილი ხელსახოცის მსგავს ხის მშვენიერ დასადგარზე, რომლის კიდეები ბერძნული მანერითაა მოვარაყებული ვერცხლის ორნამენტით. ასევე ვერცხლითაა მოვარაყებული მისი ზემოთა, ბრტყელი ნაწილი, რომელზეც ლექსებია წარწერილი.

კედელზე დაკიდული ჩინური და იაპონური საგნებიდან აქ ნახავთ კიდევ ორ კორამანდელურ პანოს, ნაირფერი ნაკვეთი ქვებით მოჭედილი ეს მდიდრული პანოები, რომელთა ბრჭყვიალა შავი ფონი ყვავილებით და თევზებითაა მოსირმული, განკუთვნილია შირმებისათვის.

ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია მხედართმთავრის ხევრიტის კვერთხი, დაყრდნობილია შესანიშნავად მოჩუქურთმებულ ბზის სადგარზე.

ფაიფურის ფირფიტა, რომელიც, ალბათ, რომელიმე დიდი მოხელის საწოლს ამშვენებდა. ეს ფირფიტა გაკეთებულია მწვანე ფაიფურისგან. მისი შეფერილობა მინანქრის ტონებივით ღრმაა. იგი ჩასმულია სპილენძის ჩარჩოში.

ორცხობილებისათვის განკუთვნილი დიდი ხის თასი. ამ თასის დამამშვენებელი, ვერცხლისაგან ნაჭედი მთვარე ბრწყინავს მკვეულად აწვდილ შავი ფიჭვის რტოებს შორის.

ბუხარზე საქსონური მინანქრისაგან გაკეთებულ ორ შანდალს შუა XVIII საუკუნის პატარა საათი დგას. მას ზემოთ მდიდრულად მოჩუქურთმებულ, ოქროცურვილ ჩარჩოში ჩასმული სარკეა, იგი ბოლოვდება ამოღებული გულით, რომელშიც გაყრილია ყვავილების გირლიანდებით შემკული ორი ისარი.

ოთახის შუაში, მეორე ოთახში გამავალი ღიობის პირდაპირ ჩვენი მეგობარი გავარნის საპატივცემულოდ დგას სამრეკლოს მაგვარი ჯიხური, და იქ მოგროვილია მისი საუკეთესო ნახატები. აქაა მისი ნახშირით დახატული აკვარელით გაფერადებული “ვირელოკი”. მხატვარი ამ ნამუშევარში ჭარბად ხმარობს გუაშს, რაც ზეთით ფერწერის სიმკვიდრეს ანიჭებს აკვარელს.

ამ შესანიშნავ ნახატს ტოლს არ უდებს my husband-ი – იგივე ხერხით შესრულებული კომპოზიცია, რომელიც გამოსახავს სამასკარადო კოსტუმებში გამოწყობილ ორ მტვირთავს, იგი წინა ნამუშევარზე არანაკლებ გამომსახველია.

ამ ორ, გუაშით განძლიერებულ აკვარელს შორის არის კიდევ ერთი, მეტისმეტად მჟღავნეი აკვარელი, რომელზეც გამოსახული ბებერი მეკარე ქალი ასე ესიტყვება მეორეს:

– რამდენი ვინმეა პარიზში, რომ არ ელოდება, ვიდრე ოლქს საბოლოოდ დაამტკიცებენ და გარბის მეცამეტე ოლქში.[1] პირდაპირ საშინელებაა.

შემდეგ მოდის მადემუაზელ ჟულიენის თეატრალური კოსტუმი – გლეხი ქალის აკვარელით დახატული ესკიზი, რომლის არეებზე მიწერილია: ქალის ქუდი,შლიაპის ლენტა,ბატისტის ჩაჩი, ბატისტის სახელოები.

აი, ტუშის ფანქრით ნახატის ნაწილი, გაფერადებული სანგვინით, რომელიც გამოხატავს ზედმიწევნით წითურ კაცს. იგი მიყრდნობილია დივანის ზურგს – დამთავრებულ ლითოგრაფიაზე ხედავთ მწოლარე ქალსაც. ლითოგრაფიას ჰქვია „მძლეველი". დიუმენემ წითური კაცის ეს ტიპი გამოიყენა, როდესაც მუშაობდა ჟერმინი ლასერტეს გმირის, ჟუპილონის გრიმზე.

კიდევ ორი სურათი კიდია ერთმანეთის გვერდზე. ერთ მათგანზე ხატია მუშის სამასკარადო კოსტუმში გამოწყობილი ქალი, ამ სურათის გრავიურა დაბეჭდილი იყო ჟურნალ „მოდაში".

მათი შესრულების სიზუსტეში და მომთავრებულობაში იგრძნობა ერთგვარი მექანიკური მანერა.

მეორე სურათი მხატვრის მიერ სიცოცხლის ბოლო წლებში შესრულებული აკვარელია. იგი გამოსახავს ქალს – ჰერმოფროდიტს, რომელიც მიდრეკილ თავს ბებერ კუსავით მალავს მხრებში... თამამი, თავისუფალი აკვარელია – დიდოსტატის საკადრისი.

ნარნოში ნასმული, მუშის ტანისამოსში გამოწყობილი ქალის ნახატი ამოღებულია გავარნის ნახატების ალბომიდან, რომლებიც მან ჟურნალ "მოდისათვის" გააკეთა (75 სურათი). ეს ნამუშევრები ჟირარდენმა აჩუქა პრინცესა მატილდას. პრინცესამ მე გადმომცა. ერთხელ მან პატივი დამდო და სახლში მეწვია სადილზე. სწორედ მაშინ მაჩუქა პრინცესამ ეს ალ-

---

1. მირბიან მე-13 ოლქში – პარიზში, სანამ 12 ოლქს კიდევ 7 ახალს მიუმატებდნენ. დედაქალაქში გავრცელდა ხუმრობა იმ პირებზე, რომლებიც უქორწინო კავშირში იმყოფებოდნენ. მათზე ამბობდნენ, რომ ისინი მე-13 ოლქში (არარსებულ ოლქში) დაქორწინდნენ.

ბომი (ამის შესახებ მე ხომ ვწერ “დღიურში”). ადრე პრინცესამ მითხრა, იცოდა რა ჩემი აღფრთოვანება გავარნით: “იცით, გონკურ, ჟურნალ “მოდას” ნახატები მე თქვენ გაიხდერძეთ”, ამ დღეს კი, როცა პრინცესა სადილად მეწვია, მას ხელში ეკავა ალბომი. ნახატები ამ სიტყვებით გამომიწოდა: “გამომშვიდობებ-ით თავს ძალზე კარგად ვგრძნობ და თქვენ დიდხანს ლოდინი მოგიწევდათ”.

ამ ოთახში, ისევე როგორც მეორეში, ორი ფანჯარაა, ორივე ფანჯრის შუქით მოღვრილ წალოებში პატარა გამოფენებია მოწყობილი.

ერთ წალოში გამოფენილია ჩემი ძმის აკვარელები, რომლებიც მან შექმნა 1849, 1850, 1851 წლებში, ჩვენი ხეტიალის პერიოდში.

აი, მეტად საინტერესო,ხის ჩუქურთმიანი სახლის აკვარელი, რომელიც მაკონში დახატული. აი, ალჟირული ხედი ბაბ აზუმის ჭიშკრისა, ლაჟვარდოვანი ცით.

აი, სენტ-ანდრესის ზღვისპირის ხედი.

აი, ბრიუგეს ხედი, აქვე რომ წააგავს ბონინგტონის აკვარელს.

აგერა, დაბოლოს, ვიკი ლანტერნის ბინძური, წუმპიანი ქუჩის ხედი, რომელიც ჩემმა ძმამ ერთი მძიმე ამბის მეორე დღესვე ნახატა, ამ ქუჩის საწრეტი თხრილის მესერის მესამე ხარისხზე ხომ თავი ჩამოიხრჩო ჟერარ დე ნერვალმა.[1]

მეორე ფანჯრის წალოში პანოა, სამი იაპონური ესტამპით.

პირველი უტამაროს ნამუშევარია და გამოხატავს იამა უვას – ამ თავისებურ ჟენევიევა ბრაბანტელს, რომელიც ძუძუს აწოვებს თავის პირმშოს. ეს ჩვილი ერთ მშვენიერ დღეს მოგვევლინება მრისხანე მეომრად. სახელი მისი – საკატა ნი კინტოკი.

მეორე, ჰარონუბოს რამდენადმე ფანტასტური ესტამპია, რომელზეც გამოხატულია ახალგაზრდა მიჯნური, თოვლით მოფიფქული. იგი სატრფოს გვერდით ღამით დგას და ფლეიტას აკვნესებს.

მესამე ესტამპი ჰოკუსაის ნამუშევარია, ძალზე ნატიფი სურიმონი, რომელზეც გამოსახულია დღე იაპონური ახალი წლისა. მაღალ, თხელ ქალს მიაქვს იღლიაში ამოდებული ზარდახშა საჩუქრებით. ნაზ, თითქოსდა გაწყალებულფერებიან სამოსელში გამოწყობილი ქალი ფიქრებს მინდობია, სურიმონი ნასმულია მატერიისაგან შეკერილ ჩარჩოში, რომლის ლომფერ ფონზე

---

1. თავი ჩამოიხრჩო ჟერარ დე ნერვალმა – აქ ლაპარაკია ჟიულ დე გონკურის აკვარელზე “ლანტერნის ქუჩა” – ჟერარ დე ნერვალის თვითმკვლელობის შთაბეჭდილებით დახატულ აკვარელზე. (26 იანვარი 1855).

ბრწყინავენ თეთრი ყვავილები, თავი რომ ამოუყვიათ ფირუზისაგან გაკეთებული ფოთლებიდან. სურიმონოზე [illegible] ლექსია წარწერილი: — გაზაფხულის ქარი, რომელიც გადაქროლებს ქლიავის რტოზე, სურნელებას სძენს ტირიფის ფოთლების მსგავს მის თმებს.

პარლამენტის
ბიბლიოთეკა

მეორე პანოზე სამი ნახატია—გაბრიელ დე სენტ ობენის, ვატოსა და შარდენის.

გაბრიელ დე სენტ ობენის ნახატი—ვინიეტის („პირადი საკუთრება") გრავიურა შეასრულა მისმა ძმამ ოგიუსტენმა. ეს იმგვარი ვინიეტია, რომელსაც უყოყმანოდ დავუყენებთ გვერდით მეისონიეს ნახატს.

ნახატის ფურცელი, რომელიც ქალის ხუთი ხელია დახატული სხვადასხვა მოძრაობებით, ეკუთვნის ვატოს, ოსტატს, რომელიც დიდებულად გადმოსცემს ხელის ნერვოზულობას. მარტოოდენ ტყვიის ფანქრით და სანგვინით შესძლო მან სხეული გაეცოცხლებინა ქაღალდზე.

აქვეა იტალიური ფანქრითა და ცარცით, ნაცრის ქაღალდზე თამამი შტრიხებით შესრულებული ნახატი. ესაა მონახაზი ხნიერი ქალისა, რომელსაც კატა უზის მუხლებზე. ნახატი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ შარდენის დედნები წარმოუდგენელი იშვიათობაა, არამედ იმიტომაც, რომ ეს პირველი მონახაზია მთელი სიმაღლით გამოსახული იმ პორტრეტისა, რომელიც მე ვნახე 30 წლის წინათ ბარონესა კონანტრთან. შარდენს მიაწერენ მრავალ ზეთით ნახატ პორტრეტს, მე კი პორტრეტთა მთელი წყებიდან მხოლოდ იმ ნამუშევარს ვთვლი მის დედნად. ის ხომ დახატულია იმავე თბილი მანერით, როგორც ვენის მუზეუმში გამოფენილი მისივე „შემობრუნებული ავადმყოფის საუზმე".

დიდი ოთახის ერთი ფერის კედლებს აქა-იქ აჭრელებს ჩინური და იაპონური ნაქარგები. კედლის დიობის თავზე გადაჭიმულია თეთრი მაუდის ნაჭერი, რომელზეც ცისფერი და იისფერი აბრეშუმის ძაფით ამოქარგულია ირისებსა და მის ყვავილებს შუა ამოწვდილი ქრიზანთემები.

მის საპირისპიროდ ჰკიდია სხვა ჩინური ნაქარგი. თეთრ ფონზე ჩანს ეტაჟერი და პეკინის ლაქით გაპრიალებული თაროები, სავსე ყვავილებითა და ბროწეულებით.

ფარდებს შუა თეატრალური დეკორაციის ნაქარგია. ესაა წითელი მატყლის დიდი ნაჭერი, ერთიანად დაქარგული მსხვილი ოქრომკედით — ზედ გამოყვანილია წყლის შროშანის ფართო ფოთლები და ლერწმის ღეროები. ამ ძოწისა და ოქროს ზღვაში ბრწყინავს ქრიზანთემა და გლიცინიის მოლურჯო მტევანი.

ჭერი დაფარულიავარდისფერი. ტოკიოს მიდამოებში ჩამავალი მზის ფერი ფუკუძათი. ამ ფუძუძაზე მაღლა ისწრაფვის ან ბამბუკის ღეროები ნაზი მწვანე ფერისა, როგორსაც დაიკრავენ ხოლმე ისინი მაისში.

ზემოთ გადადის ღრუბელი და ჩანს მიმფრინავი [illegible] ყანჩები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე ოთახში შეგროვილი ნივთებიდან ყველაზე საინტერესო მაინც ახლობელი ლიტერატორების, ჩემი „სხვენის" მუდმივი სტუმრების პორტრეტებია. ისინი ცალკე ვიტრინაშია თავმოყრილი.

ეს პორტრეტები გამოსახულია მათ მიერ დაწერილ იმ წიგნებზე, რომლებიც მე ყველაზე მეტად მომწონს. ვიტრინაში გამოწყობილი თითქმის ყველა წიგნი დაბეჭდილია საუცხოო ქაღალდზე და ყოველი მათგანი შეიცავს აგრეთვე ავტორის ხელნაწერ ფურცელსაც.

აი, ეს პორტრეტები:

ალფონს დოდე – ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1890) „საფოს" ეგზემპლარზე.

ზოლა – ზეთი, რაფაელის ნამუშევარი (1891) „მახე"-ს ეგზემპლარზე; ოდნავ მატერიალიზებული ნატურალიზებული ზოლა.

ბანვილი – ზეთი, როგროსის ნამუშევარი (1890) „ჩემი მოგონებების" ეგზემპლარზე, პორტრეტი საოცრად მიმსგავსებულია ორიგინალს.

გოპე – ზეთი, რაფაელ კოლლენის ნამუშევარი (1894), „მთელი ახალგაზრდობის" ეგზემპლარზე: ელეგიური პორტრეტი, პოეტის სახე არ მეტყველებს, რომ ის სასიამოვნო მოსაუბრეა და აგრეთვე ხუმარა.

გიუისმანსი – დახატული რაფაელის მიერ, რბილი ფერადი ფანქრით (1890) რომან „პირიქით"-ის ეგზემპლარზე, პორტრეტი მშვენიერი კოლორიტისაა, შესრულებულია რელიეფური მანერით და გადმოგვცემს ნერვიული მწერლის ტანის ავადმყოფურ დაძაბულობას.

მირბო – როდენის კალმით ნახატი (1894) „სებასტიან როშის" ეგზემპლარზე: ორი პროფილი და ერთი ანფასი, რომელშიაც ჭვივის მოქანდაკის სიმძლავრე.

რონი – უფროსი – ნიტისის ნამუშევარი (1894) დაწერილი მქრქალი ჩინური ტუშით, „ორმხრიანის" ეგზემპლარზე.

მარგერიტი – ზეთი, ბუშორის ნამუშევარი (1891) „ოთხივეს" ეგზემპლარზე.

როდენბახი – ზეთი, სტევენსის ნამუშევარი (1891) – „დუმილის სამეფოს" ეგზემპლარზე; პორტრეტი ცოცხლად გადმოგვცემს პოეტის ზეშთაგონებულ სახეს.

გიუსტავ ჟუფრუა – ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1890) „ჟურნალისტის ჩანაწერების" ეგზემპლარზე; ეს პორტრეტი შედევრია.

ენიკი – ზეთი, ჟანიოს ნამუშევარი (1890) „ადამიანური ტიპის" ეგზემპლარზე: საოცრად მიმსგავსებული და ოსტატურად შესრულებული.

დეკავი – ზეთი, კურბუანის ნამუშევარი (1890), „უნტეროფიცრების" ეგზემპლარზე.

ერვიე – ჟაკ ბლანშის აკვარელი (1890) „საკუთარ თავზე"-ს ეგზემპლარზე, რომელიც გადმოგვცემს, ერვიეს თვალების რბილ და მელანქოლიურ გამოხედვას.

ერმანი – ფორენის ფანქრით შესრულებული მონახაზი, ოდნავ შეფერილი აკვარელით; „კავალერ მიზერეს" ეგზემპლარზე შესაქცევი მონახაზი, რომელზეც გამოსახული თმაგაწეწილი, დიდყურა ახალგაზრდა მწერალი გაანჩხლებულ კატის კნუტს გავს.

აჟალბერი – ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1844). „სიყვარულში"-ს ეგზემპლარზე.

ფრანც ჟურდენი – ბენარის მიერ ჩინური ტუშით დახატული პორტრეტი. „ნაპირზე"-ს ეგზემპლარზე, მონახაზი, რომლის გამბედაობა მეტყველებს დიდოსტატის ოქროს ხელზე.

როდი – ზეთი, რეინერის ნამუშევარი, შვეიცარიელი მხატვრის (1892) „რბოლა სიკვდილისაკენ"-ის ეგზემპლარზე.

ჟან ლორრენ – ზეთი, ლა განდარას ნამუშევარი (1894) „ის ვინც სულებს ნთქავს"-ის ეგზემპლარზე.

ტუდუზ – ზეთი, მისი ძმის ედუარდ ტუდუზის ნამუშევარი (1890) „ზღვაში დაღუპულის" ეგზემპლარზე.

ბიურტი - ზეთი, შერეს ნამუშევარი „უმომავლოს" ეგზემპლარზე; ბრწყინვალე კოლორიტის პორტრეტი.

კლოდიუს პოპლენი - მისი შვილის აკვარელი (1889) – „სონეტების წიგნის" ეგზემპლარზე; დიდი ოსტატობით შესრულებული აკვარელი.

ბრაკმონ – აკვარელში შესრულებული ავტოპორტრეტი (1890) „ნახატზე და ფერზე"-ს ეგზემპლარზე; პორტრეტი, რომელზედაც სევრის მკვიდრმა მხატვარმა თავისი თავი გლეხს ოდნავ მიამსგავსა.

მონტესკიუ-ფეზანსაკი - ზეთი, ლა განდარას ნამუშევარი (1893), მშვენიერი წიგნის „დამურების" ეგზემპლარზე;

პორტრეტი, რომელიც გადმოგვცემს პოეტის სილუეტს და თავის მოყვანილობას.

ქალბატონი დოდე - ზეთი, ტისსოს ნამუშევარი (1890) „ბავშვები და დედების" ეგზემპლარზე; პორტრეტი შესრულებულია ნაზი და რბილი მანერით.

პრინცესა მატილდა — დუსეს აკვარელი (1890); იშვიათი ბროშურის „ერთი ძაღლის ისტორიის" ეგზემპლარზე; ეს მშვენიერი აკვარელი სწორად გადმოსცემს პრინცესას სავსე ტუჩების კეთილ ღიმილს.

ედმონ დე გონკური — ზეთი, კარიერის ნამუშევარი (1892) „ჟერმინი ლასერტეს" ეგზემპლარზე; გამოცემული ბიბლიოფილ გალიმარის სახსრებით, სამ ეგზემპლარად; ბრწყინვალე პორტრეტი, რომელზედაც კარიერმა მშვენივრად გადმოსცა მწერლის თვალების აღგზნებულობა. უკანა პლანზე ჩანს ბრინჯაოს მედალიონი ჟიულის პორტრეტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლაო-ძი

# დაო დე ძინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა რ გ მ ნ ა
ლერი ალიმონაკმა

ძველი ჩინური ფილოსოფიის გაფურჩქვნის ხანა იყო VI-III საუკუნეები (ძვ. წ. აღრიცხვით), რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანას. სწორედ ამ დროს დაიწერა ჩინური ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შედევრები, როგორიცაა "დაო დე ძინი", "ლუნ იუი", "მო-ძი", "მენ-ძი", "ჩჟუან-ძი", "გუან-ძი", "ლი ძი". ამ პერიოდში გამოვიდნენ ასპარეზზე დიდი ჩინელი მოაზროვნეები ლაო-ძი, კონფუცი, მო-ძი, ჩჟუან-ძი, მენ-ძი, სიუნ-ძი, შან იანი, ხან ფეი-ძი. სწორედ ამ საუკუნეებში ჩამოყალიბდა ჩინური ფილოსოფიური სკოლები: დაო-სიზმი, კონფუციზმი, მოიზმი, ლეგიზმი, რომლებმაც უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინეს ჩინური ფილოსოფიის განვითარებაზე.

ჩინური ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში "დაო დე ძინს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ხოლო მისი ავტორი ლაო-ძი აღიარებულია დაოსიზმის მოძღვრების ფუძემდებლად. ამ წიგნის სიდიადეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ოცდახუთი საუკუნის მანძილზე არ შენელებულა მის მიმართ ლტოლვა და დღესაც ძვირფას საგანძურს წარმოადგენს. ამ მოძღვრებისადმი ინტერესს იჩენდნენ როგორც ძველი, ისე ახალი დროის მწერლები და ფილოსოფოსები. "დაო დე ძინი" თარგმნილია მსოფლიოს სამოცდაათამდე ენაზე. ეს ქართული თარგმანი პირველი ცდაა ლაო-ძის გენიალური თხზულების გაქართულებისა. ამჯამად გთავაზობთ ორმოც თავს.

პიროვნება. ლაო-ძის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ეს შემთხვევით არ მომხდარა; მან განახორციელა ის, რასაც ქადაგებდა: "ოდეს საქმეს აღასრულებს, კაცი უნდა უკუდგეს". ამიტომ არის, რომ "დაო დე ძინის" კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს კაცი კი არა, თვით სამყარო გველაპარაკება. ამან გამოიწვია მისი პიროვნების გამოთიურება, გაღვთიურება, ხოლო ცხოვრების – ლეგენდის საბურველით შემოსვა. ლეგენდა ამბობს: „ლაო-ძი იშვა თავისთავად, სამყაროზე ადრე. იგი განუპირობებელია დროსა და სივრცეში. მისი დაბადების ახსნა შეუძლებელია. დიად დაოსთან ერთად რომ მოემართება, ქმნის სამყაროს, სიცოცხლით აღავსებს ქვეყნიერებას. მარად ცაშია. ჩჟოუს დინასტიის დროს კვლავ აღსდგა გვარში ლი და მარცხენა ფერდიდან იშვა ბუდას მსგავსად. სახელი მისი ნიშნავს – "ბრძენთა ბრძენ მოხუცს".

მისი კვლავ შობის არსის შეცნობა შეუძლებელია. პირველად აღსდგა ათას ხუთასი წლის წინათ, ჩვენს ერამდე. გამოეყო წმინდა ჰაერს, მოთავსდა იასპის უმშვენიერესი ქალწულის მუცელში, სადაც ოთხმოცდაერთ წელიწადს დაჰყო (ამიტომ იშვა თეთრთმიანი). მან შეხედა ლის (წაბლის) ხეს, რომლის ძირშიც გაჩნდა და თქვა: ეს იქნება ჩემი გვარი. სხვა ლეგენდა ამბობს: ...დედას ლაო-ძი ჩაესახა არა კაცთან ქორწინებით, არამედ მიწაზე დაშვებული ვარსკვლავისაგან. საიდუმლო ნაყოფს ოთხმოც წელიწადს ატარებდა დედა საშვილოსნოში, ცისა და მიწის შეერთებით ჩასახულს. და იშვა "ჭაღარა ყრმა". ერთი ლეგენდა ამასაც ამბობს: ...ეტლზე აღმჯდარი რომ მიემგზავრებოდა დასავლეთისკენ (მოიხილა ტიბეტი და ინდოეთი, შეიძინა ძველი სიბრძნე), გაანაყოფიერა მძინარე დედა, ანუ ღვთისმშობელი და იშვა ბუდა. ეს მოხდა "დაო დე ძინის" შექმნის წელს.

ლაო-ძის ცხოვრების შესახებ ყველაზე სარწმუნო წყაროებს შეიცავს ძველი ჩინელი ისტორიკოსის სიმა ციანის წიგნი "ში ძი" ("ისტორიული ჩანაწერები"). ლაო-ძი უნდა დაბადებულიყო 604 წელს (ძვ. წ. აღრიცხვით). ისტორიკოსის გადმოცემით მისი გარეგნობა ასე წარმოგვიდგება: მაღალი, ყვითელი სახის, ლამაზი წარბებით, გრძელი ყურებით, ფართო შუბლით, უშნო კბილებით; ოთხკუთხა პირი, სქელი, მახინჯი ტუჩებით. თავისი წმინდა ცხოვრების წყალობით იცოცხლა ას სამოცი თუ ორასი წელი. მას დიდი თანამდებობა ეკავა საიმპერატორო კარზე: იყო საიმპერატორო წიგნსაცავის უფროსი.

უეჭველია, ამ წიგნსაცავში მას შეეძლო სრულყოფილად გასცნობოდა ჩინურ წერილობით წყაროებს, ზიარებოდა ამ ენაზე დაგროვილ სიბრძნეს. საფიქრებელია, რომ ლაო-ძის უკმაყოფილება თავისი ხალხის პრაქტიკული სიბრძნით წარმოიშვა, ამ სიბრძნის სრულყოფილი ცოდნით. ყოველივე ამან უბიძგა მას კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონოდა იმ ფორმებისადმი, რითაც მისი თანამედროვე ჩინეთი ცხოვრობდა. ამიტომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარებით უკმაყოფილო ლაო-ძიმ დატოვა სახელმწიფო სამსახური და განმარტოვდა. მთელი თავისი ცხოვრება დაუთმო ფიქრს და ჭვრეტას. მან შეიძინა უმაღლესი სიბრძნე დუმილითა და განდეგილობით. აქვე მოუფიქრებია თავისი წიგნი: "დაო დე ძინი". ლაო-ძის ასკეტური ლტოლვა განმარტოებისაკენ, დუმილისა და ჭვრეტისაკენ იყო უარყოფა მთელი ჩინეთის რელიგიური შეგნებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

ერთი დაოსისტური ლეგენდა აგვიწერს ლაო-ძისა და იმპერატორის შეხვედრას. იმპერატორი, – ვერაფრით რომ ვერ მიიზიდა სასახლეში ფილოსოფოსი, – თავად ეწვია მას. ბრძენი არ მოხრილა წელში მისალმებისას. "თუმცა უმწიკვლო ხარ, – მიმართა იმპერატორმა, – მაინც ჩემი ქვეშევრდომი ხარ;

ჩემზეა დამოკიდებული სიმდიდრე და გამოჩინება შენი". ლაო-ძიმ რომელიც ასი საჟენით აიწია ჰაერში მიუგო: "ახლა როცა ვარ არა ცაში, არამედ მაღლა, ჰაერით გარემოცული, მიწას ფეხს რომ არ ვაკარებ, არ ვგავარ კაცს, – რასაც წარმოადგენს, მეფეო, შენი სიმდიდრე და ჯილდოები". იმპერატორმა აღიარა ლაო-ძის სიბრძნე და სიდიადე და ქედი მოიხარა მის წინაშე.

არსებობს ისტორიულად დადასტურებული ფაქტი ლაო-ძისა და კონფუცის შეხვედრის შესახებ. ეს შეხვედრა აღწერილი აქვს როგორც ისტორიკოს სიმა ციანს, ისე სხვადასხვა თხზულებათა ავტორებსაც. ამ შეხვედრამ გამოავლინა ორი ძალა ჩინური მსოფლშემეცნებისა: ძალა, რომელმაც ჩინეთი ჩინეთად აქცია, და ძალა, რომელმაც მხოლოდ ბრძნული წიგნი მისცა ჩინეთს, მაშინდელ ჩინელთათვის სრულიად გაუგებარი; – ძლიერება ორჭოფული "კონფუციანიზმისა" და სისუსტე ლაო-ძისა.

კონფუცი, რომელიც გადმოცემით 551 წელს უნდა დაბადებულიყო (ძვ. წ. აღრიცხვით), ჭაბუკობისას შეხვდა მოხუც ლაო-ძის. კონფუცი თავისი მოწაფის, ძი-ლუს რჩევით ეწვია ლაო-ძის, რომელმაც უხალისოდ მიიღო იგი. შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს ბრძენი მოძღვარი მოყვასყობასა და სამართლიანობაზე, ლაო-ძიმ მიუგო: "გამოცდილი ვაჭარი მალავს თავის საქონელს, თითქოს არაფერი ქონდეს. ასევე მაღალი ზნეობის ბრძენი გარეგნობაში არ ამჟღავნებს თავის ზნეობას და სიბრძნეს. უკუაგდე შენ შენი სიამაყე, შენი ვნებები; უარყავი სიყვარული მშვენიერებისადმი, მგრძნობელური მიდრეკილებანი, რადგანაც უსარგებლოა იგი შენთვის... მოყვასყობა და სამართლიანობა, რომელთა შესახებაც შენ ლაპარაკობ, სრულიად ზედმეტია, ცა და მიწა ბუნებრივად ინარჩუნებენ მუდმივობას, მზე და მთვარე ბუნებრივად ანათებენ, ვარსკვლავებს თავიანთი ბუნებრივი სიმწყობრე აქვთ, გარეული ფრინველები და მხეცები ბუნებრივ ჯოგებად ცხოვრობენ, ხეები ბუნებრივად იზრდებიან; კარგი იქნებოდა შენც დაგეცვა ბუნებრიობა, მიჰყოლოდი დაოს და დეს. არავითარი აუცილებლობა არ არის, ასეთი გულითადობით ვავრცელებდეთ მოძღვრებას მოყვასყობასა და სამართლიანობაზე. რასაც შენ აკეთებ, მაგონებს კაცს, დაფდაფებს რომ სცემს, რითაც თვით იუბედურებს თავს. ამით მხოლოდ აწუხებს ხალხს... მტრედი თეთრია არა იმიტომ, რომ ყოველდღე ბანაობს; ყვავი შავია არა იმიტომ, რომ იღებება. თევზი წყალში ცოცხლობს, ხმელეთზე კი იღუპება: მას არ შეუძლია მიატოვოს მდინარე ანდა ტბა".

ამ შეხვედრის შემდეგ სამი დღე დუმდა კონფუცი. მოწაფეთა შეკითხვაზე, თუ რით დაუპირისპირდა ლაო-ძის, კონფუციმ თქვა: "არა თუ დავუპირისპირდი, პირის გაღებაც ვერ შევძელი... მე ვიცი, რომ ფრინველებმა იციან ფრენა, თევზებმა – ცურვა, ცხოველებმა – სრბოლა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ყვე-

და მათი შეჩერება შესაძლებელია. რაც შეეხება დრაკონს, მე არ ვუწყი არაფერი. იგი სრბის ღრუბლებზე და ცად მაღლდება; მე ვნახე ლაო-ძი, – იგი ნამდვილი დრაკონია, რომელიც ხან ხილულ არსებად წარმოსდგა, ხანაც ნისლეულ არსებად... მისი შეჩერება შეუძლებელია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე შეხვედრის დროს კონფუცმა შესჩივლა ლაო-ძის: ხანგრძლივად ვსწავლობდი ძველ წიგნებში სახელმწიფოს კეთილად მართვის ხელოვნებას; მიუხედავად ამისა, არც ერთი მმართველი არ მღებულობს სამსახურში. ლაო-ძიმ მიუგო: "საბედნიეროდ, შენ არ შეხვედრიხარ ისეთ მმართველს, რომელიც შენი მოძღვრების მიხედვით მოისურვებდა ქვეყნის მართვას. ძველ წიგნებში აღწერილია ძველ სახელმწიფოთა გარდასული საქმენი. ხოლო ის, რაც გარდასულია, შეუძლებელია მისი დაბრუნება. ფრინველები და მწერები თავისთავად მრავლდებიან. ის, რაც ბუნებრივია, შეუძლებელია მისი შეცვლა. გარდუვალობას ვერ გაექცევი. დროის მდინარების შეჩერება შეუძლებელია; დაოსს ვერ ჩაკეტავ. ვინაც შეიცნო დაო, იგი იცავს ბუნებრიობას; ვინაც ვერ შეიცნო დაო, იგი არღვევს ბუნებრიობას".

ჩინელების რელიგიური შეგნების არსს რომ განსაზღვრავდა, არხ. ხრისანფი წერდა: "ყველა საღვთო ანდა ავტორიტეტული წიგნი ჩინეთისა, უპირატესად, ზნეობრივ-პრაქტიკული შინაარსისაა. მაგრამ მასში დამოწმებული არც ერთი ზნეობრივი წესი არ მაღლდება ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოთხოვნილების ეგრეთ წოდებულ ყოფით სიბრძნეზე, ყოფით ანგარიშიანობაზე". სწორედ ასეთი სიბრძნის მფლობელად წარსდგა ლაო-ძის წინაშე კონფუცი, ხოლო მისი სახით – მთელი ჩინეთი. კონფუცმა მოწიწებით მოუსმინა ლაო-ძის, შეადარა დრაკონს, მაგრამ ვერაფერი შეისწავლა მისგან. ასეთი იყო ლაო-ძის ბედი მთელს ჩინეთში: მას უსმენდნენ და აღმერთებდნენ კიდეც; და მაინც, როგორც კონფუცის, ისე აქცია ზურგი ჩინეთს და დასავლეთში გაემგზავრა. მან სამუდამოდ დატოვა ჩინეთის საზღვრები. ამის თაობაზე ასეთი გადმოცემა არსებობს. დასავლეთისკენ რომ მიეშურებოდა, ლაო-ძიმ მიაღწია უღელტეხილს, რომელიც იმპერიის საზღვარზე იმყოფებოდა. აქ მას დახვდა სასაზღვრო დაცვის უფროსი ინ-კი (ანუ ინ-სი), ფილოსოფოსის უსაზღვრო პატივისმცემელი. როდესაც მიხვდა, რომ ლაო-ძი სამუდამოდ ტოვებდა ჩინეთს, მან ასეთი თხოვნით მიმართა მოძღვარს: "ბრძენო! ნუთუ შენ ფიქრობ გადაკარგვაზე?! თუ ასეა, გთხოვ – დაგვიტოვო შენი მოძღვრება". ამის პასუხად ლაო-ძიმ დაწერა "დაო დე ძინი" და გაშორდა ჩინეთს. დაოსისტური ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ წელს დაიბადა ბ უ დ ა.

ᲔᲗᲘᲙᲐ. თავისი თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი დაცემის მიზეზებს რომ ეძიებდა, ᲚᲐᲝ-ᲫᲘᲛ გადაწყვიტა შეექმ-

ნა ისეთი მოძღვრება, რომელიც ჭეშმარიტების გზაზე დააყენებდა ადამიანს. იგი აღიარებს ადამიანის ზნეობრივ გახრწნილებას, ბოროტების არსებობას ქვეყნად, მაგრამ მისი შესაძლებლობასაც უშვებს, რომ შეიძლება მისი დამარცხება და ქმნა კეთილ საქმეთა. ფილოსოფოსი ზნეობას განიხილავს როგორც ამაღლებულსა და სულიერს; იგი ამტკიცებს, რომ უმაღლესი არსება, დაო, არის იდეალი ადამიანის ზნეობრივი ცხოვრებისა ("ვინაც მსახურებს დაოს, იგივე დაოა... ვინაც იგივე დაოა, დაოს იძენს"). ეს სავსებით ეთანხმება ქრისტეს გამოთქმას: "იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს" (მათე 5, 48). სიკეთისა და ბოროტის განმსაზღვრელი არის დაო. დაოს მორჩილება — სიკეთეა, მისი დაპირისპირება ბოროტება. სხვაგვარად: **ბუნებრივია სიკეთე, არაბუნებრივი — ბოროტება.**

ლაო-ძი ფიქრობს, რომ ვნებები წყაროა ყოველივე ბოროტებისა. ვნებები გონების თვალს აბნელებს (§1) ამიტომ უნდა მოვსპოთ ვნებები, რათა მივაღწიოთ ზნეობრივ სრულქმნილებას. ეს კი უეცრად არ მიიღწევა, მას იერარქიული განვითარების საფეხურები აქვს — ქვევიდან ზევით. ლევ ტოლსტოიც, რომელიც კარგად იცნობდა ლაო ძის მოძღვრებას, სრულქმნილების მიღწევის იერარქიულ პრინციპს აღიარებს: "არსებობს სათნოების კიბე, — წერს ტოლსტოი, — და უნდა დავიწყოთ იგი პირველი საფეხურიდან!" ზნეობის ამ პირველ საფეხურად როგორც ლაო-ძი, ისე ტოლსტოი თვლიდნენ დამთმელობას. "დამთმენელობის გარეშე, ტოლსტოის აზრით წარმოუდგენელია ყოველგვარი კეთილი ცხოვრება".

ლაო-ძი უმაღლეს ზნეობრივ ღირსებად მიიჩნევს გულის უბრალოებას. ის არის უმაღლესი სათნოება, რადგანაც ახლოს დგას დაოსთან, ანუ ბუნებრიობასთან. ეს უბრალოება გულისა უხეში სითამამე როდია, არამედ ღვთიური და შეუწიკვლელი უბრალოებაა.

ლაო-ძი ქადაგებს მორჩილებას, რომელიც ორგანულ კავშირშია გულის უბრალოებასთან. ამის მაგალითად ფილოსოფოსი ასახელებს მიწას, რომელიც სამყაროს ყველა არსებაზე ქვევით დგას, მაგრამ სამდურავს არასოდეს გამოთქვამს. ასევე დაოც. დაო დიად საქმეებს აღასრულებს, მაგრამ არ მედიდურობს. მორჩილების ნიმუშად იგი ასახელებს აგრეთვე წყალს (§8). ლაო-ძი სიმახინჯედ თვლის ყოველგვარ ქედმაღლობას, მომხვეჭელობასა და დიდებას. ეს ეწინააღმდეგება დაოს. ისინი არამყარნი და წარმავალნი არიან. მათში არსებული არა არის რა. კაცისთვის ჭეშმარიტი დიდება და პატივი უჩინარობა და თავმდაბლობაა.

ლაო-ძი არა მხოლოდ უბრალოებასა და მორჩილებას ქადაგებს, არამედ კაცთმოყვარეობის მქადაგებელიცაა. დაო არ ზრუნავს საკუთარ თავზე, არამედ მხოლოდ სხვებზე. ყველაზე

უზენაესი კაცთმოყვარეობაა – მტრების სიყვარული. ჭეშმარიტად მოყვარულმა გულმა არ უნდა გამორიცხოს თავისი სიყვარულიდან ის, ვისაც იგი სძულს. ეს კი ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი წინამძღვარია.

ლაო-ძის მოძღვრება ქადაგებს უმოქმედობას. რას ნიშნავს ეს? ამაზე პასუხს იძლევა მე-16 პარაგრაფი. მეფემაც უნდა დაიცვას უმოქმედობა. მაგრამ ეს სხვანაირი უმოქმედობაა, რაც გამორიცხავს ბუნებრივ განვითარებაში ყოველგვარ ხელოვნური ჩარევას. ეს უმოქმედობა არ ნიშნავს არაფრის ქმნას, უმოძრაობას, პირიქით – ეს ნიშნავს მოქმედებას მხოლოდ დაოს თანახმად, ე.ი. ბუნებრივად, რის დროსაც გამორიცხულია ყოველგვარი ზეიმი ვაიბრძნობისა, ყაიფილოსოფოსისა. ასეთ მოქმედებას მხოლოდ ბოროტება მოაქვს.

იაპონელი მეცნიერი დ. კონისი წერს: "...ქრისტიანობის გამოჩენამდე არ ყოფილა ისეთი ამაღლებული და მწყობრი ზნეობრივი მოძღვრება, როგორიც იყო ლაო-ძის სისტემა".

კოსმოგონია. დაო სიტყვასიტყვით აღნიშნავს: "გზას", ანუ "საფუძველს სამყაროისას"; კიდევ: "ჭეშმარიტებას", რაც, ფილოსოფიური აზრით, აუცილებლად ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარად. ლაო-ძიმდეც იხმარებოდა ეს ცნება, მაგრამ მან სრულიად სხვა მნიშვნელობა მიანიჭა მას თავის მოძღვრებაში. ლაო-ძი განიხილავს დაოს როგორც საგანთა ბუნებრივ გზას, როგორც საფუძველს, შემქმნელს ყოველი არსისა სამყაროში; დასაბამს ყოველივე საგანთა და მოვლენათა და არა მხოლოდ ბუნებას, ცის მეუფებას, რომელიც თავისი სიდიადით აღემატება დაო ("კაცი მიწის კანონებს იცავს, მიწა-ზეცის კანონებს. ზეცა დაოს კანონებს იცავს, დაო – თავისას"). დაო არის მარადიული, უცვლელი, ცისა და მიწის დასაბამი, "დედა ყოველთა საგანთა", დაო განიხილება როგორც შეუცნობელი აბსოლუტიც, როგორც სუბსტანცია, კანონი, როგორც პირველმიზეზი. მისი საგნობრივი გამოვლენა ხორციელდება დეს მეშვეობით. დე განიხილება როგორც დაოს ინდივიდუალური გამოვლენა, ანუ გზა, ფორმა დაოს გამოვლენისა ცალკეულ პიროვნებაში, რაიც გვიჩვენებს ამ პიროვნების ზნეობრივ სრულყოფილებას, პიროვნებისა, რომელიც დაოს მიმდევარია და მიაღწია ბუნებრივ ჰარმონიას გარემომცველ სამყაროსთან, მიაღწიასათნოებას. სწორედ ასე ჰქვია წიგნსაც: "დაო დე ძინი" – "–წიგნი გზასა და სათნოებაზე". დაო უწმინდესი, უზენაესი არსებაა, უსასრულო სიღრმეა, საიდანაც მიიმართება ყოველი. დაო ერთიანია და განუყოფელი, იგი აბსოლუტური ყოფიერებაა; ამიტომ არის უსაზღვრო და დაუსრულებადი. დაო გზაც არის და სუბსტანციაც, რისი შეცნობაც წმინდა გონჭვრეტელობით მიიღწევა. ლაო-ძი ფიქრობს, რომ არსებობს უმაღლესი სამყარო, რომელიც ეცხადება მხოლოდ ჩვენს გონებას. ხილული

ყოფიერება შეზღუდულია და დასრულებადი, ამდენად – არამარადიულიც. რაკი იგი არამარადიულია, მას საწყისიც აქვს. მისი საწყისი არის დაო, რომელიც არავითარ განზომილებებს არ ემორჩილება. დაო მარადიული ყოფიერებაა და ამიტომ არ ექვემდებარება ცვალებადობას. დაოს სუბსტანციაში არსებობა არის არსებობა სრულქმნილებასა და ნეტარებაში, მარადისობასა და უკვდავებაში. დაოს მფლობელი იძენს ბუნებაზე გაბატონების ძალას და მარადიული ხდება, ანუ სხვა არსებაში მარადიულად გადასახლებადი სულია.

ლაო-ძის მოძღვრება შეიცავს შინაგანი რელიგიური გზის ჭეშმარიტ ჩვენებას. აქ ძლიერია ასკეტიზმის საწყისები. იგი ამაღლებულია, წმინდა და რელიგიური მნიშვნელობისაა, განსხვავებით სხვა ჩინური მოძღვრებებისაგან (მათ შორის კონფუციისა და კონფუციანელებისაგანაც), რომელთა ძირითად არსს წარმოადგენდა ეთიკა და სახელმწიფოს მმართველობის პრობლემები. ლაო-ძის გზა – შინაგანი შთაუწყვეტლობაა, განდგომილებაა (რომელსაც განსაკუთრებული მისტერიული მნიშვნელობა ენიჭება ყველა არიულ რელიგიაში); დუმილია, ჭვრეტაა, ასკეტიზმია (გზა ბუდიზმისა და ქრისტიანობისა). დაოს მოძღვრების შესახებ არხ. ხრისანფი წერს: "სამყარო არის დაოს გამოვლენა მის ნამდვილ, ყოფიერების დაბალ ფორმაში. ჭეშმარიტი ყოფიერება მდგომარეობს ამ არარა, ნამდვილი ყოფიერების მოკვეთაში... ლაო-ძი უკავშირდება ასკეტიზმს, ასე უცხოს ჩინური სულისთვის, და ეძლევა მჭვრეტელობას, ასე შეუცნობელს ჩინეთის ეროვნულ ბრძენთაგან. სწორედ ეს ასკეტიზმია გზა მარადიულ დაოსთან შეერთებისა. დაუნჯებული ადამიანი თავისუფლდება ყოფიერების ბატონობისაგან და შეერწყმის დაოს. ამ გაგებით, დაოსთან შერწყმა უკავშირდება გამოცხადების მოძღვრებას, რომელიც მიიღწევა მარადიული გონებით". ვლადიმერ სოლოვიოვი ლაო-ძის აღიარებდა "ყვითელი რასის უდიდეს და, შეიძლება, ერთადერთ გონებამჭვრეტელ უბრძენეს ფილოსოფოსად". იგი ამტკიცებდა, რომ ლაო-ძის მიხედვით, "ყოველივე არსებულის ჭეშმარიტი დასაბამი არის გულგრილობა", რომ მისი მოძღვრების არსს შეადგენს "აბსოლუტური სიცარიელე ანდა გულგრილობა, როგორც გონმჭვრეტელობითი პრინციპი". ვლ. სოლოვიოვისაგან განსხვავებით, არხ. ხრისანფი ხსნიდა, რომ "ლაო-ძის ღვთაება არის სამყაროს სუბსტანცია პანთეისტური აზრით", რომ "ფილოსოფოსი აღიარებს უკვდავებას, რომელიც შეიძინება სიბრძნით ბუნებაში ღვთაებრივი ელემენტების ათვისების გზით". ცნობილი იაპონელი მეცნიერი, "დაო დე ძინის" რუსულ ენაზე მთარგმნელი (ეს თარგმანი ორჯერ გამოიცა რუსეთში 1894 და 1913 წელს, ლ. ტოლსტოის რედაქციით) დ. პ. კონისი ამტკიცებს: "ლაო-ძი, დაოს რომ უსასრულო და უწმინდეს

გონებად აღიარებს, მიდის ლოგიკურად გარდუვალ დასკვნამდე, რომ იგი არსებაა უზენაესი და აბსოლუტური", რომ "ლაო-ძის მეტაფიზიკური სისტემა წარმოადგენს თანმიმდევრულ და მთლიან მოძღვრებას განუყოფელ უზენაეს არსებაზე".

ლევ ტოლსტოი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კვლავ მიუბრუნდა ლაო-ძის მოძღვრებას, აღიარებდა, რომ "ლაო-ძის მოძღვრების არსი იგივეა, რაც ქრისტიანული მოძღვრების არსიო".

მთარგმნელისაგან

# დაო დე ძინი

## §1

დაო, სიტყვით გამოთქმული, არ არის მდგრადი დ ა ო. სახელი, რომლის სახელდებაც შესაძლოა, არ არის უცვლელი სახელი. გამოუთქმელია დასაბამი ცისა და მიწის, მფლობელი სახელისა — დედაა ყოველთა საგანთა.

ამიტომ ის, ვინაც განრიდებულია ვნებებს, ჭვრეტს დ ა ო ს საკვირველ საიდუმლოს, ვნებებით პყრობილი — მის სასრულ სახეს ჭვრეტს მხოლოდ სხვადასხვა სახელდებით. მათ ერთად გარეშეუწერელნი ჰქვიათ. ერთი გარეშეუწერელიდან მეორეზე გარდასვლა — განხმული კარია ყოველივე საკვირველისკენ.

## §2

ოდეს ცისქვეშეთში ყოველი გაიცხადებს, რომ მშვენიერი მშვენიერია, გამოვლინდება სიმახინჯეც. ოდეს ყოველი გულისხმაყოფს, სიკეთე რომ სიკეთეა, აღმოცენდება ბოროტიც. ამიტომ ყოფიერება და არყოფა ბადებენ ერთიმეორეს, ძნელი და ადვილი წარმოქმნიან ერთიმეორეს, გრძელი და მოკლე ურთიერთს შეესადაგებიან. მაღალი და დაბალი ურთიერთს განაპირობებენ; ბგერები, ერთმანეთში გარდამავალნი სიმწყობრეს ქმნიან, წინამავალნი და უკანამავალნი ერთმანეთს მისდევენ. ამიტომ ყოვლადბრძენი რაჟამს საქმეს განასრულებს, უმოქმედობას ამჯობინებს, მოძღვრების განხორციელებისას არ ქადაგებს. საგანთა ცვალებადობას რომ იწყებს, თავად არ განახორციელებს მათ; შექმნის და არ დაეუფლება შენაქმნს; აღძრავს და ძალდაუტანებელია აღძრულისადმი. რასმე რომ წარმატებით აღასრულებს, არ ქედმაღლობს. უკეთუ არ ქედმაღლობს, ღვაწლი მისი არ უარიყოფა.

## §3

თუ ბრძენს თაყვანს არ ვცემთ, ხალხში არ იქნება შუღლი. თუ არ განვადიდებთ იშვიათ ნივთებს, არ იქნებიან მპარავნი

კაცთა შორის. თუ არ წარმოვაჩენთ იმას, რამაც შესაძლოა შური აღძრას, არ იბობოქრებს კაცის გული. ამიტომ, ქვეყნის მართვისას, ყოვლადბრძენი ქვეშევრდომს გულს უცარიელებს, მუცელს — აღუვსებს. მისი მმართველობა ადუნებს მის ნებას და უმტკიცებს ძვლებს. იგი ნიადაგ იმას ცდილობს, ხალხს რომ ცოდნა და ვნებები არ ტანჯავდეს, ხოლო მცოდნენი ვერ ბედავდნენ მოქმედებას.

უმოქმედობის განხორციელებას ყოველთვის სიმშვიდე მოაქვს!

### §4

დ ა ო ცარიელია, მაგრამ დამოძღვრისას ამოუწურავია. ჰოი, გარეშეუწერელო! შენ მესახები ყველა საგანთა მამად.

მისი შეღწევადობა რომ დავახშოთ, დავიხსნათ ქაოსურობისაგან, განუკრთოთ ბრწყინვალება, გავაიგივოთ მტვერთან, ცხადარსებულად მოგვევლინება იგი. მე არ ვიცი, საიდან იშვა იგი, მე მხოლოდ ის ვიცი, ციურ მეუფებას რომ წინაუძღვის.

### §5

ცა და მიწა არ ფლობს კაცთმოყვარეობას და ღირსყოფს ყოვლად არსს იცხოვროს საკუთარი ცხოვრებით. ყოვლადბრძენი არ ფლობს კაცთმოყვარეობას და ღირსყოფს ხალხს იცხოვროს საკუთარი ცხოვრებით.

განა ცასა და მიწას შორის სივრცე მჭედლის საბერველს არ ჰგავს? რაც მეტად აესილია სიცარიელით, მით უფრო დიდხანს მოქმედებს, რაც მეტად ძლიერია მასში მოძრაობა, მით უფრო დიდი ქარი გამოჰქრის იქიდან.

იგი, ვინც ბევრს ლაღადებს, ხშირად მარცხდება; ამიტომ ზომიერების დაცვა სჯობს.

### §6

დაუსრულებადია უხილავ დ ა ო ს გარდასახვები. დ ა ო — გარეშეუწერელი საშოა დაბადებისა. დაბადების გარეშეუწერელი საშო — დასაბამია ცისა და მიწის. იგი მარად არსებობს უბოლოო წრფის მსგავსად, და მისი მოქმედება ამოუწურავია.

### §7

ცა და მიწა — მრავალჟამიერია. მრავალჟამიერია, რამეთუ ისინი სხვათათვის არსებობენ. აი, რად ძალუძთ მათ მრავალჟამიერობა.

ამიტომ ყოვლადბრძენი სხვათა უკან დგება, რისი წყალობითაც გაწინამძღვრდება. იგი უგულებელყოფს თავის ცხოვრე-

ბას, და ამით ინარჩუნებს მას. რად? იმად, რომ პირად სურვილებს უგულებელყოფს? პირიქით, თავისი პირადი სურვილების თანახმად მოქმედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## § 8

უმაღლესი სათნოება წყალს ჰგავს. წყალს სარგებლობა მოაქვს ყოველადი არსისთვის და ებრძვის მათ. იგი იქ არის, სადაც ძეხორციელი არ მოისურვებდა ყოფნას. ამიტომ ჰგავს იგი დაოს.

კაცი, უმაღლესი სათნოების მფლობელი, ვითარცა წყალი, მიწასთან ახლოს უნდა მკვიდრობდეს; გული მისი მორჩილებდეს შინაგან განღვიძებებს; კაცთა შორის იყოს მოყვასი მოძმეთა; ნაუბარში — გულწრფელი; ქვეყნის მართვისას — მიუდგომელი; საქმეთა აღსრულებისას შესაძლებელს არ გასცდეს; მოქმედებისას დრო გაითვალისწინოს. რამდენადაც იგი, ვითარცა წყალი, საგნებს არ ებრძვის, არცა სცდება.

## § 9

სჯობს სულაც არაფერი ქმნა, ვინემ რაიმეს ავსებას მიელტვოდე. თუკი რაიმე წამახული დღენიადაგ ვისარგებლებთ, დიდხანს ვერ შეინარჩუნებს სიმახვილეს. თუ დარბაზონი ოქროთი და იასპით არის ავსილი, არავის ძალუძს მათი დაცვა. თუ მდიდარნი და დიდებულნი მედიდურობენ, თვით იუბედურებენ თავს.

რაჟამს საქმეს აღასრულებს, კაცი უნდა უკუდგეს. ესაა ციური დაოს კანონი.

## § 10

სული და ხორცი რომ შევანივთოთ, შესაძლოა მათი შენარჩუნება? სული რომ გავისათუთოთ, შესაძლოა განვერიდოთ ვნებებს ახალშობილის მსგავსად? ჭვრეტა რომ განვისპეტაკოთ, შესაძლოა ცთომა? შესაძლოა გიყვარდეს ხალხი, მართავდე ქვეყანას და არ მოუხმო კეთილგონიერებას? შესაძლოა გარდაქმნები ბუნებაში, ხელს თუ ვჰყოფთ ლმობიერებას? შესაძლოა უმოქმედობის განხორციელება, თუ შევიმეცნეთ ყველა ურთიერთმიმართება ბუნებაში?

შექმენ და წრთვენ არსი; შექმენ და დაეუფლე შენაქმნს, აღძარ და ძალდაუტანებელი იყავ აღძრულისადმი; ხელმწიფებისას თავი ძალმოსილად არ მიიჩნიო — აი, რას ეწოდება გარეშეუწერელი დე.

## § 11

ოცდაათი სოლი ერთ ფერსოში იკრიბება, რაიც ბორბალს ქმნის, მაგრამ ბორბლის მოძრაობა სოლებს შორის სიცარი-

ელეზეა დამოკიდებული. თიხისაგან ამზადებენ ჭურჭელს, მაგრამ ჭურჭლის გამოყენება მის სიცარიელეზეა დამოკიდებული. სახლი რომ აგონ, კარ-ფანჯარა გამოჭრან, მაგრამ სახლით სარგებლობა მის სიცარიელეზეა დამოკიდებული. აი, რად არის სარგო, რაიმე რომ მის სიცარიელეზეა დამოკიდებული.

## § 12

ხუთნაირი ფერი აუძლურებს მხედველობას. ხუთნაირი ბგერა ახლუნგებს სმენას. ხუთნაირი გემოვნებითი შეგრძნება ამდაბლებს გემოვნებას. სწრაფი სვლა და ნადირობა აღაგზნებს გულს. ძვირფასეული ნივთები დანაშაულისკენ მიაქცევს კაცს. ამიტომ ყოვლადბრძენი იმას მიელტვის, ცხოვრება რომ მაძღრისი გახადოს და არა იმას, ლამაზი ნივთებით რომ აღავსოს. იგი უარყოფს უკანასკნელს, კმარობს პირველს.

## § 13

დიდება და მცირობა — შიშია. დიდკაცობა — დიდი უბედურებაა. რას ნიშნავს — დიდება და მცირობა შიშია? ეს იმას ნიშნავს, რომ მდაბიონი შიშით იხვეჭენ დიდებას, შიშითვე ჰკარგავენ მას. სწორედ ამას ეწოდება: დიდება და მცირობა — შიშია.

რას ნიშნავს — დიდკაცობა დიდი უბედურებაა? ეს იმას ნიშნავს, რომ ვარ დიდად უბედური, ოდეს ვმედიდურობ, უბედურიც არ ვიქნები. ამიტომ დიდკაცს, ხალხის თავგადაკლულ მსახურს, ხელეწიფება იცხოვროს მათთან.

## § 14

ვუმზერ და ვერ ვხედავ, ამიტომ ვუწოდებ უხილავს. ვუსმენ და არ მესმის, ამიტომ ვუწოდებ დახშულს. მწადის მივწვდე და ვერ ვწვდები, ამიტომ ვუწოდებ მიუწვდომელს. ნუ მიილტვი გაიცხადო მათი დასაბამი, რამეთუ განუყოფელია იგი. მისი ზე არ არის გასხივოსნებული, მისი ქვე არ არის წყვდიადოვანი. დაუსრულებადია და გამოუთქმელი. იგი კვლავ არარსს უბრუნდება. და მას უსახო სახებას, უარსო სახებას უწოდებენ. ამიტომ უცხადოა და ბუნდოვანი. მივეახლები და ვერ ვჭვრეტ მის სახებას. მწინამძღვრობს და ვერ ვჭვრეტ მის საროსტანს.

შეუდგე უძველეს დაოს, დაეუფლე არსებულ საგნებს და შეიმეცნე უძველესი დასაბამი. ესაა დაოს არსი.

## § 15

ძველად, ვინაც მიელტვოდა მეცნიერებას, იცნობდა უჩვლილეს და უნატიფეს საგნებს. მაგრამ სხვათათვის მათი სიღრმე დაფარული იყო. უკეთუ დაფარული იყო, ნებისა[illegible]ერ მათ: ისინი იყვნენ მოშიშნი, ვითარცა მავალნი ზამთრისა ნიაღვარში; ისინი იყვნენ უმტკიცონი, ვითარცა დამფრთხალნი ახლომდგომთაგან; იყვნენ თავაზიანნი, ვითარცა წვეულნი; ფრთხილნი, ვითარცა მავალნი მოლიპულ ყინულზე; უბრალონი, გაურანდავი ხის დარად; თვალგაუწვდენნი, ხეობის დარად; განუჭვრეტელნი, ვითარცა მღვრიე წყალი; მათ, სიმშვიდეს რომ ინარჩუნებდნენ, იცოდნენ ბიწიერების განწმენდა; ისინი, თავისი უნარით ჟამგრძელ მოძრაობას რომ ამშვიდებდნენ, თანამონაწილეობდნენ ცხოვრებაში. მორჩილებდნენ დაოს და არ სურდათ ბევრი. ბევრი რომ არ სურდათ, კმარობდნენ თავიანთ არსებობას, და ახალს არ ქმნიდნენ.

## § 16

დაიცხრე ვნებანი გულისა, მოიპოვე სიმშვიდე, და მაშინ ყოველი საგანი თავისთავად სახეიცვლება, ჩვენ კი მხოლოდ მათი ფერისცვალების მოწმენი ვიქნებით. სამყაროში საგანთა დიდი ნაირგვარობაა, მაგრამ ყველა თავის დასაბამს უბრუნდება. დასაბამთან დაბრუნებას სიმშვიდე ჰქვია, სიმშვიდეს – არსში დაბრუნება, არსში დაბრუნებას უძრაობა ჰქვია. უძრაობის ცოდნით სიცხადე მიიღწევა, უძრაობის არცოდნით – უწესრიგობა, უწესრიგობას კი ბოროტება მოსდევს. უძრაობის მცოდნეს სრულქმნილება ეუფლება; სრულქმნილი არსება სამართლიანობით იმსჭვალება; სამართლიანობით აღვსილს ხელმწიფება ხელეწიფება. გახელმწიფებული ციურს ეზიარება, ციურს ზიარებული – დაოს. დაოს ზიარებული მრავალჟამიერია და ამ ხელმწიფეს სიცოცხლეში საფრთხე არ უქადის.

## § 17

კეთილია ის მეფე, ვის შესახებაც ხალხმა მხოლოდ მისი არსებობა უწყის. უკეთური მეფენი სიყვარულსა და დიდებას მოითხოვენ კაცთაგან. გულმხეც მეფეთა წინაშე ხალხი თრთის. ხოლო გონშეშლილი მეფენი სძაგთ. ამიტომ, ვინაც ნდობით არ შეჭურვილა, ნდობა არა აქვს ხალხში. ნაუბარში დათმენილი და დაუნჯებული წარმატებით აღასრულებს საქმეს, და მასზე ამბობენ, ბუნებრიობას მორჩილებსო.

## § 18

ოდეს უარყვეს დიადი დაო, "კაცთმოყვარეობა" და "სამართლიანობა" გამეფდა. ოდეს ცრუბრძნობის ჟამი მოდგა, შეუზომელი პირმოთნეობაც იშვა. ექვს ნათესავს შორის განხეთქილებისას აღმოცენდება "ძეთა მოწიწება" და "მამური სიყვარული". სახელმწიფოში უწესრიგობის ჟამს აღზევდებიან "ერთგული მსახურნი".

## § 19

ოდეს აღკვეთენ ცრუბრძნობასა და მეცნიერებას, ასგზის ბედნიერი იქნება ხალხი; ოდეს აღკვეთენ "კაცთმოყვარეობას" და "სამართლიანობას", ხალხში აღსდგება ძეთა მოწიწება და მამური სიყვარული; ოდეს მოისპობა ცბიერობა და სიხარბე, ქურდნი და ავაზაკნიც მოისპობიან. სამივე ცოდნის უკმარობით წარმოდგება. ამიტომ უნდა დავმოძღვროთ კაცნი, უბრალონი და თავმდაბალნი რომ იყვნენ, შეიზღუდონ პირადი სურვილები და დაიცხრონ ვნებები.

## § 20

ოდეს მოისპობა მეცნიერება, მოისპობა მწუხარებაც. რა მცირეა სხვაობა დაპირებასა და სიცრუეს შორის და რა დიდი – სიკეთესა და ბოროტს შორის! უნდა განვერიდოთ მას, რაიც ხალხს თრგუნავს.

ჰოი! რა ქაოსურია სამყარო, სადაც ჯერაც არ დამყარებულა წესრიგი. ყველანი ხარობენ, საზეიმოდ წვეულან თითქო ანდა გაზაფხულის დადგომას დღესასწაულობდნენ. მხოლოდ მე ერთი ვარ მშვიდად და უჩინრად. მე ყრმას ვგავარ, რომელიც ქვეყნად არ მოვლენილა. ჰოი, დამაშვრალო! სად არს ადგილი განსასვენები! ყველანი აღსავსენი არიან სურვილებით, მხოლოდ მე ერთი ვგავარ ყოვლის უარმყოფელს. მე გულივარ სულელი კაცისა. ო, რა ცარიელია იგი! ყველანი სინათლით აღვსებულან, მხოლოდ მე ერთი ვგავარ წყვდიადში დანთქმულს. ყველას ცნობისწადილი კლავს, ჩემთვის სულერთია ყველაფერი. მე იმას ვგავარ, ვინაც სრბის სოფლურ სივრცეში, არ იცის სად ჰპოვოს ნავსაყუდელი. ყველა თავის უნარს ავლენს, მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს. მხოლოდ მე ერთი გამოვირჩევი სხვათაგან იმით, რომ მაძღრისობაა ჩემთვის საფუძველთა-საფუძველი.

## § 21

დიადი დეს არსი მხოლოდ  დ ა ო ს  ემორჩილება. დ ა ო უსხეულოა. დ ა ო ბუნდოვანია და განუმარტავი. მაგრამ

ეს ბუნდოვანება და განუმარტავობა სახეებს შეიცავს. იგი ბუნდოვანია და განუმარტავი. მაგრამ ამ ბუნდოვანსა და განუმარტავში შეფარულია საგნები. იგი ღრმაა და წყვდიადოვანი. მაგრამ მის სიღრმესა და სიწყვდიადეში შეფარულია უწვრილესი ნაწილაკები. ეს უწვრილესი ნაწილაკები უმაღლეს არსებობას და უმცდარობას ფლობენ.

ძველთაგანვე მეუფებს მისი სახელი. მხოლოდ მის მიმდევართ ძალუძთ შეიმეცნონ საგანთა პირველარსი. ვით შევიმეცნებთ საგანთა პირველარსს? მხოლოდ და მხოლოდ მისი წყალობით.

## § 22

ძველად ამბობდნენ: “ნაკლოვანი სრულიქმნება, მრუდი — განიმართება, ცარიელი — აღივსება, ძველს ახალი ცვლის; მიელტვი მცირეს, ჰპოვებ ბევრს; ბევრის მოსახვეჭად ლტოლვა საცთურში გვაგდებს”. ამიტომ ყოვლადბრძენი, თავად ხომ შეისმენს ამ დამოძღვრას, სხვათაც მოძღვრავს ცისქვეშეთში. ყოვლადბრძენი არ კმარობს მარტოდენ თავის გამჭვრეტელობას, ამიტომ არის ნათელმხილველი. მხოლოდ თავის თავს არ მიიჩნევს სამართლიანად, ამიტომ ფლობს ჭეშმარიტებას; არ დიდკაცობს, ამიტომ ადიდებენ ღირსებით. განდიდება სძაგს, ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის. არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში.

წინაპართა თქმული: “ნაკლოვანი სრულიქმნება”... — განა ფუჭი სიტყვაა? იგი ნამდვილად მიუძღვის კაცს ჭეშმარიტ სრულქმნილებისაკენ.

## § 23

დაიდუმე ბაგე და მიჰყევ ბუნებრიობას. ძლავრი ქარი ვერ იბობოქრებს შუადღემდე, თავსხმა წვიმა ვერ გასტანს საღამომდე. ვინ იქმნს ყოველივე ამას? ცა და მიწა. ცასა და მიწასაც არ ძალუძს შექმნას რაიმე ჟამგრძელი, არათუ კაცს. ამიტომ მსახურებს იგი დ ა ო ს. ვინაც მსახურებს დ ა ო ს, იგივე დ ა ო ა. ვინაც მსახურებს დ ე ს, იგივე დ ე ა. ვინაც ჰკარგავს, იგივეა დაკარგულისა. ვინაც იგივე დ ა ო ა, დ ა ო ს იძენს. ვინაც იგივე დ ე ა, დ ე ს იძენს. ვინაც იგივეა დაკარგულისა, ჰპოვებს დაკარგულს. ურწმუნობას მხოლოდ ეჭვი ბადებს.

## § 24

ცერებზე აწეულს არ ძალუძს დიდხანს დგომა, სწრაფად მავალს არ ძალუძს დიდხანს სვლა. განდიდებით შეპყრობილი,

არ ბრწყინავს. მედიდური ვეღარ ეღირსება დიდებას. მომხდური ვერ მოესწრება გამარჯვებას. საკუთარი თავის მადიდებელს არ ძალუძს წინამძღვრობა. თუ დ ა ო ს დავიმოძღვრავთ, ყოველივე ამას ზღვარდაუდებლობა და ფუჭწარმავლობა ჰქვია. ასეთნი სძაგს ყოველივე არსებას, ამიტომ კაცი, დ ა ო ს მევლობელი, მას არა იქმს.

## § 25

აი საგანი, ქაოსში აღმოცენებული, ცისა და მიწის უადრეს შობილი! ო, მდუმარეო! ო, არასახიერო! მარტო დგას და უცვლელია. ყოველგან მიმოიძვრის და უსაზღვროა. დედაა იგი ცისქვეშეთისა. მე არ ვუწყი მისი სახელი. იეროგლიფით გამოვსახავ და დ ა ო ს ვუწოდებ; ნებისაებრ სახელდებ და დ ი ა დ ს ვუწოდებ. დ ი ა დ ი — დაუსრულებელ მოძრაობაშია. დაუსრულებლად მოძრავი უსაზღვროა. უსაზღვროა და თავის დასაბამს უბრუნდება. აი, რად არის დ ა ო დიადი, ზეცა დიადი, მიწა დიადი, მეფეც დიადი. ქვეყნიერებაზე ოთხი დიადია, მათ შორის — მეფეც.

კაცი მიწის კანონებს მორჩილებს, მიწა — ზეცის კანონებს. ზეცა დ ა ო ს კანონებს მორჩილებს, დ ა ო — თავისას.

## § 26

მძიმე მსუბუქის საფუძველი. მოძრაობაში სიმშვიდეა მთავარი. ამიტომ ყოვლადბრძენი, შეუსვენებლივ მავალი, ნიადაგ თან ახლავს დატვირთულ ურემს. თუმც მშვენიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ან ინთქმება ამ ცხოვრებაში. მეუფე ათი ათასი ეტლისა, თავისი თავით პყრობილი, ასე უდიერად რად უმზერს ქვეყნიერებას? უდიერობა ამსხვრევს მის საფუძველს, ხოლო მოუთმენლობით მეუფებას ჰკარგავს.

## § 27

სვლაში წრთობილი კვალს არ სტოვებს. სიტყვამიუმცდარი არ ცდება. ვინაც თვლა იცის, არ მიმართავს სათვლელ ხელსაწყოს. ვინაც კარის დაკეტვა იცის, ურდულს არ ხმარობს, მაგრამ კეტავს ისე მაგრად, მისი გაღება შეუძლებელია. ვინაც მარყუჟების კვანძვა იცის, ბაწარს არ ხმარობს, მაგრამ კვანძავს ისე მტკიცედ, მისი გამოხსნა შეუძლებელია. ამიტომ ყოვლადბრძენი მუდამ გონიერულად მფარველობს და თანადგომობს ხალხს. მას ყოველთვის ძალუძს არსებათა გამოხსნა, ამიტომ თანადგომობს მათ. ამას ჰქვია უმაღლესი სიბრძნე. ამნაირად, ქველი უკეთურთა მოძღვარია, ხოლო უკეთურნი — მისი საყრდენი. ხოლო თუ უკეთურნი პატივს არ მიაგებენ თავიანთ

მოძღვარს და ქველს სძაგს თვისი საყრდენი, მაშინ ისინი, თუმც ჭკვიანებად მოაქვთ თავი, უმეცრებაში არიან ჩანთქმულნი. აი, რა არის ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## § 28

ვინაც უწყის სიმამაცე თვისი და მოკრძალებულია, მთის ნაკადულის დარად ამაღლებულა ქვეყნიერებაზე. ქვეყნიერებაზე ამაღლებული, არ უკუაგდებს მუდმივ დ ე ს და ყრმის მდგომარეობას უბრუნდება. ვინაც იცის ზეიმობა და სადაგობს, რჩეულია რჩეულთა შორის. რჩეულთა შორის რჩეული არ განეყოფა მუდმივ დ ე ს და პირველარსს უბრუნდება. ვინაც უწყის სიდიდე თვისი და განრიდებულია, ამაღლებულა ქვეყნიერებაზე. ქვეყნიერებაზე ამაღლებული, მუდმივ დ ე ს სრულქმნილებას აღწევს და ბუნებრიობას უბრუნდება. ოდეს წარიხოცება ბუნებრიობა, იგი გარდაისახება იმად, რითაც ყოვლადბრძენი გაწინამძღვრდება და დიადი წესრიგი არ ირღვევა.

## § 29

ვინაც მძლავრობით ცდილობს ქვეყნის დაუფლებას, ვერ მიაღწევს საწადელს. ქვეყანა საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს, რისი შეხებაც არ ეგების. ვინაც შეეხება, დამარცხდება, ვინაც დაეუფლება, დაჰკარგავს.

ამიტომ ზოგი არსება წინამძღვრობს, ზოგიც – მორჩილებს მათ. ზოგი იფურჩქნება, სხვა ხმება; ზოგი მტკიცდება, სხვა სუსტდება. ზოგი იქმნება, სხვა ნადგურდება. ამიტომ ყოვლადბრძენი კმარობს მცირეს, უარყოფს განცხრომას და ფუფუნებას.

## § 30

ვინაც დ ა ო ს მორჩილებით ამსახურებს ხალხს, არ იპყრობს სხვათა ქვეყნებს ლაშქრით, რამეთუ ყოველი თავად დაატყდება თავს. სადაც ლაშქარი გაივლის, იქ ძეძვი და ეკალი ხარობს. დიდი ომების მერე შიმშილიანობის წლები დგება.

ნაცადი სარდალი იმარჯვებს და ჩერდება, და იგი ვერ ბედავს მძლავრობას. იმარჯვებს და არ მედიდურობს. იმარჯვებს და არ ლაშქრავს. იმარჯვებს და არ ზვიადობს, იმარჯვებს, რადგანაც აიძულებენ. იმარჯვებს, თუმც არ არის მლაშქრავი.

როცა არსება, ავსილი ძალით, ბერდება, ეს დ ა ო ს არქონაა. ვინც არ მორჩილებს დ ა ო ს, ხანმოკლეა მისი სიცოცხლე.

## § 31

ალჭურვილ ლაშქარს უბედურება მოაქვს ხალხისთვის. იგი სძაგს ყოველ არსებას. ამიტომ კაცი, დ ა ო ს მორჩილი, არ ლაშქრობს.

ეროვნული

კეთილი მეფე მშვიდობიანობისას დამთმობია მეზობელ ქვეყნებთან და მხოლოდ ომის დროს მძლავრობს. ლაშქარი – უბედურების იარაღია. ამიტომ კეთილი მეფე არ ლაშქრობს; ლაშქრობს მხოლოდ მაშინ, ოდეს საომრად აიძულებენ. მშვიდობიანობისას სიმშვიდეა მთავარი, ხოლო გამარჯვებისას – თავმდაბლობა. იმედიდური გამარჯვებით – ნიშნავს ზეიმობდე კაცთა კვლას. ვინაც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ მოიპოვებს ქვეყნად თანაგრძნობას. კეთილდღეობა მოწიწებას მოაქვს, ხოლო უბედურება – ძალმომრეობას.

აგერ მხედრიონი მოემართება. წინ მხედართმთავარი მოუძღვის. მათ ძაძაშემოსილნი უნდა მივეგებოთ. ტირილი გვმართებს კაცთა კვლის გამო. გამარჯვება გლოვით უნდა აღინიშნოს.

## § 32

დ ა ო მარადია და გამოუთქმელი. თუმცა უჩინოა, არავის ძალუძს მისი დამორჩილება. ხოლო თუ დიდებულნი და ხელმწიფენი შეიძლებენ მის მორჩილებას, ყოველი არსება თავისთავად მოიპოვებს სიმშვიდეს; ცა და მიწა მწყობრად შეერწყმიან და გამეფდება ბედნიერება და კეთილდღეობა, ხალხი ბრძანების გარეშე დამშვიდდება.

დიადი წესრიგის დამყარებისას იშვა საგნები. უკეთუ საგნები იშვა, მათი გამოყენების საზღვრებიც უნდა შევიცნოთ. საზღვრების შეცნობა საფრთხისაგან დაგვიხსნის.

როდესაც დ ა ო სუფევს ქვეყნად, ყოვლადი არსი მას შეერთვის, ვითარცა მთის ნაკადული მდინარეს და ზღვას.

## § 33

კაცთა შემცნობი, კეთილგონიერია. შემცნობი საკუთარი თავისა, ნათელმხილველია. ძლიერია კაცთა მძლეველი. მძლეთამძლეა მძლეველი საკუთარი თავისა. მდიდარია გულუხვი. ძალისხმევით აღსილი შეუპოვრად მოქმედებს. ბუნებრიობის მორჩილი, მრავალჟამიერია. უკვდავია, ვინც მოკვდა, მაგრამ არსობს.

## § 34

ყოველგან განფენილა დიადი დ ა ო, არის მარჯვნივაც, არის მარცხნივაც. მისით იშვის ყოვლადი არსი და მისით

ცოცხლობს. იღვწის და დიდება არ სურს. სიყვარულით შეიქმს ყოველ არსებას და არ მბრძანებლობს მათ. საკუთარი სურვილები არა აქვს, ამიტომ ვუწოდებთ უჩინოს. მას შეერთვის ყოველი არსი, მაგრამ არ იმონებს მათ. შეგვიძლია  დ ი ა დ ი  ვუწოდოთ. დ ი ა დ ი ა, რამეთუ არ დიადობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## § 35

ვინაც ახახიარებს  დ ა ო ს  დიად არსებას, წინამძღვრობს ხალხს. წინამძღვრობს და არ ვნებს. ის მიუბოძებს ხალხს მშვიდობას, სიმშვიდეს, მუსიკას და საზრდელს. მოგზაურიც კი მასთან ჩერდება.

ბაგეთაგან წართქმული  დ ა ო  მტკნარია, უგემური. იგი დახშულია და უხილავი. დამოძღვრისას ამოუწურავია.

## § 36

რაიმე რომ შევკუმშოთ, ჯერ უნდა გავაფართოვოთ. რაიმე რომ დავასუსტოთ, ჯერ უნდა გავაძლიეროთ. რაიმე რომ დავანგრიოთ, ჯერ უნდა აღვაშენოთ. ვინმეს რომ რაიმე წავართვათ, ჯერ უნდა მივცეთ. ამას ჰქვია უმაღლესი ჭეშმარიტება. სათუთი და უძლური ამარცხებს მყარს და ძლიერს, ვითარცა თევზს არ ძალუძს დასტოვოს სიღრმე, სახელმწიფოც უნდა მალავდეს თავისი მმართველობის სრულქმნილ კანონებს.

## § 37

დ ა ო  მუდამ უმოქმედობას ახორციელებს; თუმცა არაფერია ისეთი, რასაც იგი არ იქმოდეს. უკეთუ დიდებულნი და ხელმწიფენი დაიმოძღვრენ მას, ყოველი არსება თავისთავად სახეიცვლება. ხოლო თუ სახეცვლილთა მოინდომეს მოქმედება, შევმუსრავ მათ ხილული ყოფიერებით, რაიც სახელდაუდებელია. სახელდაუდებელ ხილულ ყოფიერებას არაფერი სურს თავისთვის. სურვილების უქონლობას სიმშვიდე მოაქვს, და ქვეყნად თავისთავად მყარდება წესრიგი.

## § 38

კაცი, უმაღლესი  დ ე ს  მქონე, არ მიელტვის კეთილ საქმეთა ქმნას, ამად არის სათნო; კაცი, უბადლესი  დ ე ს  მქონე, ნაცვლად კეთილ საქმეთა ქმნას მიელტვის, ამად არ არის სათნო; კაცი უმაღლესი  დ ე ს  მქონე, უქმობს და უსაქმობას ახორციელებს; კაცი უდაბლესი  დ ე ს  მქონე, საქმობს და მისი ქმედებანი თვალსაჩინოა; კაცი, უმაღლესი კაცთმოყვარეობით აღვსილი, უსაქმობას რომ ახორციელებს, მოქმედებს; კაცი, უმაღლესი სამართლიანობის მქონე, საქმობს და მისი

ქმედებანი თვალსაჩინოა. კაცი, რიტუალის ყოველმხრივი აღმსრულებელი, თანაგრძნობის იმედი რომ აქვს, მოქმედებს, ხოლო თუ ვერ მოიპოვებს თანაგრძნობას, მაშინ იგი დასჯას მიმართავს. აი, რად ვლინდება დ ე მხოლოდ დ ა ო ს დაკარგვის მერე; კაცთმოყვარეობა — დ ე ს დაკარგვის მერე; სამართლიანობა — კაცთმოყვარეობის დაკარგვის მერე; რიტუალი — სამართლიანობის დაკარგვის მერე. რიტუალი — ნიშანია უნდობლობისა და ორგულობისა. იგი საწყისია შფოთისა.

ხატი გარეგანი — დ ა ო ს ყვავილია, დასაბამი უმეცრებისა. ამიტომ ყოვლადბრძენი არსისმიერს დაიუფლებს და უკუაგდებს დანარჩენს. მოისთვლის ნაყოფს და უკუყრის ყვავილს. ამჯობინებს პირველს და უარყოფს მეორეს.

## § 39

აი ისინი, ძველთაგანვე რომ ერთიანობით შეკრულან. ერთიანობამ უწყალობა ცას სიწმინდე, მიწას — სიმკვრივე, სულს — სიფაქიზე, ველს — სიმწვანე და გამრავლება — ყოველთა არსთა. დიდებულნი და ხელმწიფენი ერთიანობის წყალობით არიან სამაგალითონი ქვეყნად.

ცა თუ წმინდა არ არის, ჩამოიქცევა. მიწა თუ მკვრივი არ არის, დაიშლება; სული თუ ფაქიზი არ არის, განქრება; ველი თუ არ მწვანობს, გაუდაბნოვდება; თუ საგნები არ იშობიან, ისინი ისპობიან; თუ დიდებულნი და ხელმწიფენი არ არიან სამაგალითონი კეთილშობილებისა, ემხობიან.

მდაბიონი დიდებულთა საფუძველია, ხოლო დაბალი — საფუძველია მაღალისა. ამიტომ დიდებულნი და ხელმწიფენი თავათ უწოდებენ თავიანთ თავს "მიუსაფრებს", "ეულებს", "უბედურებს". რად? იმად, რომ ისინი არ თვლიან მდაბიოთ თავიანთ საფუძვლად. ეს მცდარი გზაა. ბორბალი რომ დაშალოთ, მისგან არაფერი დარჩება. ნუ მიიჩნევ შენს თავს "ძვირფასეულად", ვითარცა იასპს; იყავ უბრალო, ვითარცა ქვა.

## § 40

საპირისპიროში გარდასვლა არის დ ა ო ს მოქმედება, სისუსტე არის დ ა ო ს თვისება. სამყაროში ყოფიერება შობს ყველა საგანს, ხოლო ყოფიერებას — არყოფა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხელოვნება

## ვახტანგ ქართველიშვილი

## მრავალსახეობა დონ კიხოტისა

თანამედროვე სცენის ფხიზელთა მეჯლისს გამოუსწორებელი მეოცნებე მართავს! – “დონ კიხოტის აპოლოგიაში” ჩვენს მიერ აღძრული[1] და “მეცნიერების ეპოქისათვის” (გეორგ კაიზერის ტერმინი) ეს თითქოს უცაბედი შეგონება, ჩანს, მაინც მოსწრებულია. და მოსწრებულია არა მარტო მაშინ, როცა თეატრალურ ასპარეზს ვუთმობთ უშუალოდ სერვანტესის გმირს – ქრისტეს ასაკს გადაცილებულ შერეკილ მოძღვარს.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე თეატრში საერთოდ იმძლავრა “დონკიხოტურმა ტიპმა”. გარკვეული თვალსაზრისით, “დონკიხოტური ტიპის” არეალშია მოქცეული რუსთაველელთა “იულიუს კეისრის” ტოგიანი ინტელიგენტი – მანჯგალაძის ბრუტუსი (რომის რომანტიკული რესპუბლიკის რენესანსზე ოცნებას შეწირული გმირი, რომელიც სპექტაკლის დამდგმელმა მიხეილ თუმანიშვილმა შექსპირის პიესის თავის რეჟისორულ ექსპლიკაციაში თავიდანვე ზედმიწევნით “დონკიხოტურ ტიპად” ივარაუდა)[2], მახარაძის მიუნჰაუზენიც (“ბარონ მიუნჰაუზენის დაბადება და სიკვდილი” მარჯანიშვილელთა სცენაზე), ვისაც თავის პროზაულ გარემოცვაში დაგეგმილი აქვს ყოველდღიური გმირობა და ამიტომ, თურმე, “სახლიდან გადის ყოველ დღე გმირობის ჩასადენად ისევე უბრალოდ, როგორც სხვები სამსახურში დადიან”, მელვინეთუხუცესის ფიროსმანიც (“მარტოობის დღესასწაული” რუსთავისა და მარჯანიშვილის თეატრში), – მირზაანელი რაინდი, ვის როსინანტსაც პეგასი ჰქვია, და, თუ გნებავთ, იურსკის ფარიატიევიც, – ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლის “ფარიატიევის ფანტაზიების” მთავარი პერსონაჟი, რომელსაც უჩნდება მეტისმეტად ორიგინალური და ფანტასტიკური აზრი: ძე კაცისა რომელიღაც შორეულ პლანეტიდან ჩამოფრენილთა ჩაშიერია უთუოდ, თორემ ისე როგორ იქნებოდაო აგრე მიუსაფარი ამ “მოსჯილ” დედამიწაზე.

დონკიხოტური მოტივი, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, წამიერად გაიელვებს გ. ტოვსტონოგოვის ცნობილ სპექტაკლ “ცხენის ამბავშიც”. მწუხარე რაინდი ამბობდა: “ბედ-

---

1. იხ.: ვახტანგ ქართველიშვილი, დონ კიხოტის აპოლოგია. – “საბჭოთა ხელოვნება”, №6, 1977.
2. იხ.: მიხეილ თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, თბ., 1977,

ნიერი იყო ის ხანა, რომელსაც ოქროს საუკუნე შეარქვეს: არა იმიტომ, რომ ოქრო, რომელიც ახლ ფასობს ჩვენს დროის საუკუნეში, მაშინ იოლად იშოვებოდა, არამედ იმიტომ, რომ ადამიანმა მაშინ არ იცოდა ორი სიტყვა: შენი და ჩემი". ლებედევის რაინდული თვისებებით დახასიათებული „[illegible]" ხიდ-ხტომერი ახლა გვამცნობს ოქროს საუკუნის დანთქმას და იტყვის: უცნაურია, ადამიანები ყველაზე მეყიოთად სიტყვა „ჩემს" რომ აულლებენ: ჩემი ცხენი, ჩემი ქალი, ჩემი სახლი, ჩემი მიწა (ჩვენ სპეციალურად მოგვაქვს მაგალითები უკანასკნელი წლების თეატრალური პრაქტიკიდან, თორემ, ცხადია, უფრო სარწმუნო იქნებოდა დამოწმება ტოვსტონოგოვის მიერ ადრე დადგმული დოსტოევსკის „იდიოტისა", სადაც მიშკინის სახე ინოკენტი სმოკტუნოვსკიმ სწორედ „დონკიხოტური ტიპის" ქარგაზე გამოკვეთა)[1].

გაუსწორებელმა მეოცნებემ სცენასთან ერთად თანამედროვე ეკრანსაც მოაკითხა. დასტურად იმისა, სხვას რომ შევეშვათ, ორი ქართული ფილმიც იკმარებს: ჯერ ელდარ შენგელაიას „შერეკილები" (სადაც „მფრინავი იდეებით შეპყრობილმა" ქრისტეფორე – ტუხაშმა მარტოოდენ სულის რომანტიკული აღმაფრენით გაარღვია დედამიწის მიზიდულობის ძალა და თვალსაწიერიდან გადმოხედა თვალსამოთხე „დანიის საპყრობილეს"), ხოლო შემდეგ – გიორგი ლეონიძის ლირიკული მოთხრობების საფუძველზე შექმნილი თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე" (სადაც უკვე თვალნათლივაა წარმოდგენილი მრავალსახეობა დონ კიხოტისა). თუ მართალია თანამედროვე კარასკო და „ამქვეყნად არავითარი გოლიათები არ არსებობენ, არც მოჯადოებული ხელმწიფენი, რაინდებიც დიდი ხანია ამოწყდნენ და ახლა დედამიწაზე მხოლოდ საქმიანი ხალხი ცხოვრობს – მეცნიერები და უმეცარნი" (ბაკალავრის ტირადა მიუზიკლ „ლამანჩელიდან"). მაშ რა სასწაულმა შეჰყარა აქ ქართული ლამანჩის ამ ერთ პატარა სოფელში, ამდენი „უსაქმო მოტე" და ზეარაკი ოცნებისა?! საიდან გაჩნდა ან ეს საქართველოს წარსულ დიდებას გატირებული, წარსულში შეღტოლვილი და მძველი მისი – ბუმბულა (ე. მანჯგალაძე), ან ეს აწმყოზე გაავებული, გაურკვეველ მერმისის მოწყურებული – ფიცხი და ფეთიანი ანარქისტი ორამ (კ. კავსაძე), ან ეს მიჯნური მეოხზნული რაინდისა – შფოთისქალი ფუფალა (ს. ჭიაურელი), ან ეს ოქროკულულას, ნათელთვალას, და ხურჯგან-

---

1. თავის რეჟისორულ პრაქტიკაში გიორგი ტოვსტონოგოვი პროგრამულად იცავს ე.წ. „ავტორის თეატრის" პრინციპს. და, უნდა ითქვას, „იდიოტის" სცენური გააზრებაც პრინციპულ თანხმიერებაშია დოსტოევსკის რომანის გრძნობათა ბუნებასთან. როგორც ცნობილია, მიშკინის (ამ „დადებითად მშვენიერი ადამიანის") სახე მწერლის მიერ ჩაფიქრებული გახლდათ დონ კიხოტის ფენომენის ძლიერი გავლენით. რომანის თავად ტექსტშიც არაერთგზისაა მონიშნული პარალელები სერვანტესის გმირთან. დაბოლოს, დოსტოევსკი პირდაპირ გვეუბნება, რომ „მიშკინი ეს არის ახალი დონ კიხოტი".

დის მაძიებელი — უფლისკაცი ელიოზ (ო. მეღვინეთუხუცესი), ზმანებით რომ იფარავს თავს “მხეცივით შემოტეულ სინამდვილისგან”?! ამათ შემყურე იწამებ კიდეც — “თუ არსებობენ მეცნიერებით მოჯადოებული სწავლულები”, რატომ არ შეიძლება არსებობდნენ გრძნეულთა მიერ მოჯადოებული სწავლ-მეცნიერნი?! მათ ყველას აქვს თავ-თავისი გოლგოთა და ოცნებით მსხმოიარე საკუთარი ნატვრის ხე. გოლგოთა — ხილულად, ნატვრის ხე — ხილვებად. რეალურს კი წარმოსახვითი მათ შეგრძნებაში იმდენად სჭარბობს, ხილვები იმდენად ხვავრიელია, რომ ანაზდეულად მოდგება განცდა გაუკაფავი “ნატვრის ტყისა”. და ნატვრის ტყეში ეწვევა სწორედ ერთ მეოცნებეს გარინდება უკვდავებისა და თეთრი თოვლი, როცა გადმოყრის ზენა ნატვრისთვალს... ნატვრისთვალს ზენა ლამანჩელთათვის იმეტებს მხოლოდ!

წყაროსთვალი კი სერვანტესის დონ კიხოტია. მან უხვად გასცა თავისი საუნჯე, თუმცა ლარივით არ განძარცულა. არ განუდევნიათ მემკვიდრეებს აქ წინაპარი. “დონკიხოტური ტიპის” მომძლავრებას არ გაუუქმებია თვით დონ კიხოტის ძალმოსილება. პირიქით, საბოლოოდ გამაგრდა იგი რწმენოსანთა ლიდერის პოზიციებზე და სწორედ ის მართავს ახლა თანამედროვე სცენის ფხიზელთა მეჯლისს.

სერვანტესის რომანმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპიური ქმნილების გრანდიოზული “არათეატრალური” მასშტაბები ძნელად ემორჩილება თეატრალური წარმოდგენის კომპაქტურ ფორმებს, უხვად ასაზრდოვა მსოფლიო სცენა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ თეატრისათვის ძნელად დასაძლევ აღნიშნულ ფაქტორთან ერთად, რომანში ბევრი რამაა ისეთი, რაც მას მძლავრად ეზიდება სცენისაკენ. ჩვენი ვარაუდით, ყურადღება განსაკუთრებით ორ მომენტზეა გასამახვილებელი:

ჯერ ერთი, გრანდიოზული ეპოპეა დონ კიხოტზე მდიდარია სანახაობრივი ელემენტით. კაცმა რომ თქვას, გადატანითი მნიშვნელობით აქ ყველაფერი მოასწავებს “სახილველს”, “წარმოდგენას”, “თამაშს”. ასეთია კერძოდ ესპანელი იდალგოს ჰერცოგის კარზე ყოფნის ყველა ეპიზოდი და, თუ გნებავთ, ეპოპეის თავად ჩანაფიქრიც: დონ კიხოტისათვის რეალური სამყარო ხომ მთლიანად ჯადოსნური ზმანება, ჯადოსნური სპექტაკლია და, მაშინ, როცა “მთელი მსოფლიო თამაშობს კომედიას”, ბედმა მას ტრაგიკული კომედიანტის როლი არგუნა. დონ კიხოტის როლს კი, გარდასახვის დიდოსტატი არისო თითქოს, მთელი შთაგრძნობით ასრულებს ალონსო კიხანა. ხოლო მისი შემყურე, სხვებიც სიამოვნებით ინაწილებენ როლებს: დოროთეა განასახიერებს პრინცესა მიკომიკონას, დალაქი — მის მესაჭურჭლეს, სამსონ კარასკო — მოხეტიალე რაინდს, ხინეს დე პასამონტე — თოჯინების თეატრის დირექტორს. საქმე იქამდე მიდის რომ თამაშის გუნებაზე თვით

სეროიზული სანჩოც დგება. "გავიხსენოთ ფრაგმენტი რომანის მეორე ნაწილის მე-10 თავიდან – სანჩოს იძულებითი მალემსრბოლობა ტობოსოში და მისი ჩინებული მახინჯობა იდალგოს წინაშე, როცა იგი სახელდახელოდ თხზავს და სახიერადაც აცოცხლებს დულსინეასთან ვითომ შეხვედრის ამბავს.

და მეორეც: რომანს ახასიათებს ჩვენთვის მეტად საგულისხმო ერთი თავისებურება, რასაც ჯერ კიდევ ჰაინემ მიაქცია ყურადღება[1]. ჰაინე შეამჩნევს, რომ რომანის ორი მთავარი პერსონაჟი ("აბსტრაქტულ როსინანტზე" ამხედრებული დონ კიხოტი და "პოზიტიურ ჩოჩორზე" მოჩაქჩაქე სანჩო პანსა), რომლებიც "განუწყვეტლივ პაროდიულად გამოაჯავრებენ ერთმანეთს, როგორღაც კიდეც შეავსებენ ერთურთს და ერთად ქმნიან რომანის ჭეშმარიტ გმირს. თუ სხვა მწერლები, ვის რომანებშიც გმირი დამარტოვებულად დაეხეტება, იძულებულნი არიან გმირის გრძნობებისა და აზრების გასამხელად მოუხმონ მონოლოგს, წერილებსა და დღიურებს, სერვანტესთან გმირის დაწყვილების გამო ყველგან თავს იჩენს ბუნებრივი დიალოგი"[1]. და აი ეს "ორსახეობა გმირისა" და "ბუნებრივი დიალოგი" (ნაწარმოების მთლიანად სანახაობრივ ბუნებასთან ერთად), რაღა თქმა უნდა, უკვე თავისთავად შეიცავს საკუთრივ თეატრალურ ელემენტს და საფუძველს იძლევა "დონ კიხოტის" მიხედვით დრამატურგიული პარტიტურის შექმნისა.

მე-20 საუკუნის "დონკიხოტური ციკლის" პიესები (ა. ლუნაჩარსკის "განთავისუფლებული დონ კიხოტი", ა. ბრუშტეინისა და ბ. ზონის "დონ კიხოტი", მ. ბულგაკოვის "დონ კიხოტი", გ. ჩულკოვის "დონ კიხოტი", ვ. კანდელაკის "დონ კიხოტის მოგზაურობა საქართველოში", ა. ვოლოდინის "დულსინეა ტობოსელი", უნგრელი მწერლის ენდრე ვესის "დონ კიხოტის უკანასკნელი თავგადასავალი", უნგრელი სოციოლოგისა და დრამატურგის ლასლო დიურკოს "დონ კიხოტ ლამანჩელის შემზარავი თავგადასავალი და დიდებული სიკვდილი" დაბოლოს – მიტჩ ლის,დეილ ვასერმანისა და ჯო დერიონის "ლამანჩელი"), რადიკალურად განსხვავებულ მიმართებაში არიან კლასიკურ პირველწყაროსთან (რაც სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მათ შემქმნელ ავტორთა განსხვავებულ თეატრალურ სიმპათიებსა და შემოქმედებით მიზნებს). ზოგი წარმოადგენს რომანის ძირითადი ეპიზოდების ჩვეულებრივ ინსცენირებას, ზოგიც – ადაპტაციის ხერხითაა გამართული (ბულგაკოვის პიესა); ზოგი ერთგულად მისდევს რომანის სიუჟეტს, ზოგიც – ახალ სიუჟეტურ ხაზს შემოიტანს (ენდრე ვესის პიესა); ზოგი აღადგენს რომანის ატმოსფეროს, ზოგიც – თანმიმდევრულად არღვევს მას (ლასლო დიურკოს პიესა); ზოგი ექვემდებარება რომანის იდეათა რკალს, ზოგიც – უპირ-

---

1. Г. Гейне. Введение к "Дон Кихоту", собр. соч. в 10-ти томах, т.7, М., 1958, стр. 149-150.

ისპირდება მას და გარჩეულ იდეას განავითარებს (განსაკუთრებით ეს ითქმის ვოლოდინის "დულსინეა ტობოსელზე", სადაც მეოცნებე კიხოტის ნაცვლად ფაქტიურად მოქმედებს პრაქტიკული გონების ანტი-კიხოტი, რომელმაც ალონსო კიხანობაზეც კი თქვა უარი და იწოდება ალოიზ კრას[illegible] ვისაც აღარაფრად ეპიტნავება დულსინეაზე ამაღლებულ ფიქრებში ღამისთევა და ღამეს პირწავარდნილ მეჯოგესავით ატარებს დულსინეას ფანტომისაგან დახსნილ ალდონსასთან).

ამ პიესათა ჟანრული დიაპაზონიც მეტად ვრცელია. იგი მოიცავს დრამატურგიული ჟანრების მთელ სისტემას, – კომედიიდან ვიდრე ტრაგედიამდე და ესეც სავსებით გასაგებია, ვინაიდან არც დრამატურგიული ადაპტაციისა და, მით უმეტეს, არც თეატრალური ინტერპრეტაციის დროს პირველწყაროს ჟანრულ გადააზრებას ვერ დაედება ტაბუ. ადაპტაციის ავტორი ხომ, ფაქტიურად, ახალ ნაწარმოებს ქმნის და რა მკრეხელობაა, თუ ახალი ქმნილების ჟანრი დასცილდა "ძველი" ორიგინალისას. მკრეხელობა არც ისაა, როცა სცენური ინტერპრეტაცია დასადგმელად მიღებული ლიტერატურული "მასალის" ჟანრის ტრანსპონირებას იწვევს. მართალია, პიესა თავის თავში ეზიდება სპექტაკლის შესაძლებლობას, მაგრამ ამ შესაძლებლობის სცენურ რეალობად ქცევის პროცესი აღსავსეა პერიპეტიებით. მართალია, თეატრის თავისუფლება დრამატურგიული პარტიტურის გაშიფვრის შეცნობილი აუცილებლობაა, მაგრამ თავად გაშიფვრა აქტიურ შემოქმედებით ოპერაციებს გულისხმობს. თუ პიესის ან ლიტერატურული კომპოზიციის ავტორი არის მწერალი, სპექტაკლის ავტორად თეატრი გვევლინება, ვინაიდან რეჟისურა არა მარტო "დგამს", არამედ "თხზავს" კიდეც სპექტაკლს და ლიტერატურის "მზა-ნაწარმი" როგორც კი ეშვება თეატრალურ წარმოებაში, იგი იმწამსვე იქცევა "ნახევარფაბრიკატად". ტენესი უილიამსის (ჩვენ საგანგებოდ ვიმოწმებთ დრამატურგს, რამეთუ კონფლიქტურ საკითხში ამ თითქოსდა დაზარალებულ მხარეს ვერ დავწამებთ მიკერძოებას) თქმით, "ტექსტი მხოლოდ აჩრდილია სპექტაკლისა, და თანაც საკმაოდ ბუნდოვანი კონტურებით. პიესა მხოლოდ და მხოლოდ გეგმაა სახლისა, რომელიც ჯერ არ აუშენებიათ, ან უკვე დაანგრიეს".[1] შესაძლოა ზოგს ეხამუშოს კიდეც ესოდენ კატეგორიულად გამხელილი აზრი, მაგრამ იგი თეატრალური ხელოვნების სტიქიის შესმენითაა ნაშობი. შესაძლოა, შინაგანად ზოგი ეწინააღმდეგება კიდეც "პიესა-გეგმის" დათქმული ჟანრიდან გადახვევას და ამ აქტს მწერლის საავტორო უფლებაზე იერიშის მისატანად მიიჩნევს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, – სხვა ცვლილებებთან ერთად, ლიტერატურული ნაწარმოები თეატრში ხშირად განიცდის

---

1. Теннесси Уильямс, Мир драмы и его возможиости. – "Театр", 1975, №12, стр. 182.

ჟანრულ მეტამორფოზას. აკი ითქვა, პირველწყაროს ჟანრულ გადააზრებას ტაბუ არა აქვს დადებული.

საკითხის ნათელსაყოფად, მოვუხმოთ მაგალითებს თეატრის ისტორიისა და თანამედროვე პრაქტიკიდან.

ა. ჩეხოვის "ალუბლის ბაღს", რომელზედაც თავად დრამატურგი ამბობდა: "დრამის ნაცვლად გამომივიდა კომედია, ალაგ-ალაგ ფარსი",[1] და რომელსაც შემდეგ უწოდებდა "კარგ ვოდევილს", სტანისლავსკი თავის მიმოწერაში ჩეხოვთან ტრაგედიად დაახასიათებს, "უკანასკნელ მოქმედებაში უკეთესი ცხოვრებისაკენ გამოსავალის მინიშნების მიუხედავად" და ცდება ტრაგედიის ნიშანთვისებებით წარმოადგინოს იგი სამხატვრო თეატრის სცენაზე. აღსანიშნავია, რომ ჩეხოვის ამ პიესის თანამედროვე სცენურ ინტერპრეტაციებშიც სწორედ ტრაგიკული ტონი მძლავრობს ("ალუბლის ბაღი" ანატოლი ეფროსის რეჟისურით ტაგანკის თეატრში).

კომიკური ხლესტაკოვი მეიერჰოლდთან ტრაგიკულ ფიგურად მოგვევლინა, გოგოლის "რევიზორი" კომედიიდან გარდაიქმნა ნაწარმოებად, რომლის ჟანრი ყველაზე უკეთ შეიძლება განისაზღვროს ტერმინით "ტრაგედია-ბუფი",[2] პ. მარკოვი გვამცნობს: "კატასტროფის გრძნობა დაეუფლა სპექტაკლს, კომიზმი განელდა და ტრაგედიამდე აზიდულ ამ წარმოდგენაში მკაფიოდ გამოჩნდა გოგოლის ტრაგიკული ხილვები", "ჰამლეტს" კი, რომლის დადგმასაც მეიერჰოლდი ვარაუდობდა, პირიქით – გაიაზრებდა კომიკურ გროტესკად. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჰამლეტის როლს თავდაპირველად იგი მიანდობდა კომედიური ნიჭით გამორჩეულ ი. ლინსკის, შემდეგ კი ფიქრობდა როლი ორი მსახიობისათვის დაენაწილებინა, რომლებიც თანაიარსებებდნენ სცენაზე და მივიღებდით შემდეგ სურათს: როცა ერთი ჰამლეტი "ყოფნა-არყოფნას" დაიწყებდა, მეორე შეაჩერებდა, – "ეს ხომ ჩემი მონოლოგიაო". პირველი უპასუხებდა: "კეთილი, შენ განაგრძე, მე კი აქვე მოვიკალათებ და ფორთოხალს შევექცევი". მესაფლავეთა სცენა საგანგებოდ მაიაკოვსკის უნდა შეეთხზა და კლოუნადად იყო გათვლილი ("ატრაქციონის მონტაჟის" სახით). აშკარაა, ყოველივე ამით რეჟისორი მიმართავდა ტრაგედიის ჟანრულ დემონტაჟს, ამაღლებულთან ამყარებდა ირონიულ დამოკიდებულებას. ერთ თავის პოლემიკურ გამოსვლაში მეიერჰოლდი თავად იტყვის, რომ სურს "ჰამლეტი" დადგას ისე, "დანიელი პრინცის ყოველმა რეპლიკამ მაყურებელთა სიცილი რომ გამოიწვიოს".[3] და თუ ეს მაინც ჰიპოთეზად დარჩა, ვეღარსად გავექცევით ვახ-

---

1. А. П. Чехов, Полное собрание сочинений, т. 20, М., 1951, стр. 131.
2. იხ.: "Гоголь и Мейерхольд" (Сб. "Никитские субботники"), М., 1927, стр. 42.
3. იხ.: А. В. Февральский, Мейерхольд и Шекспир. – "Вильям Шекспир" (Сборник), М., 1964, стрю 391. ფევრალსკი თავის მხრივ მიუთითებს წყაროზე. Б. М.(азин) гю Мейерхольд на трибуне (Доклад в доме союзсв), "Красная газета" (Вечю вып.) Л., 20 сентября, 1927 г.

ტანგოვის თეატრში ნ. აკიმოვის მიერ ინტრიგის კომედიად განხორციელებულ "ჰამლეტს".

გრიბოედოვის კომედიაში "ვაი ჭკუისაგან" ადრე მეიერ-ჰოლდმა შენიშნა ტრაგედიული პლასტი და სწორედ ის გახდა განმსაზღვრელი მისი სპექტაკლისა "ვაი ჭკუას". გრიბოედოვის კომედია ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სცენაზე ტრაგიკომედიად დადგა ახლა "ავტორის თეატრის" მოერთგულე ტოვსტონოგოვმა, რომელიც გვარწმუნებს, რომ მისი სპექტაკლის თამაშის წესი პიესის გრძნობათა ბუნებიდანაა უშეცდომოდ გამომდინარე.

შილერის "ყაჩაღების" რეპეტიციაზე რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელი წინასწარ დათქვამს: "პიესას საფუძვლად ვუდებთ ჩვენს საკუთარ ნერვს, სახეს და რიტმს. ტექსტს ვიღებთ ახალი მონტაჟით... "ყაჩაღები" დაწერილია ოჯახური ურთიერთობის ფონზე, ჩვენ კი იგი გადაგვაქვს სახელმწიფოს ფონზე" და პიესას "ავიყვანთ დიდი სოციალური და პოლიტიკური ტრაგედიის პათოსამდე".[1] დათქმული აღსრულდა და შედეგად ამისა შილერის დრამა "ყაჩაღები" ქართულ სცენას მოევლინა ახმეტელის ტრაგიკული "ინ ტირანის"-ის ელვარებით (ჟანრული "გადართვის" მიზნით, სპექტაკლის პარტიტურაში ჩაერთო ფრაგმენტი შილერის რესპუბლიკანური ტრაგედიიდან "ფიესკოს შეთქმულება").

მოლიერის კომედია-ფარსი "ჟორჟ დანდენი" როჟე პლანშონის მიერ წარმოდგენილი იქნა წმინდაწყლის დრამად.

ჰიუგოს მელოდრამა "მარია ტიუდორი" ჟან ვილართან ტრაგედიად იქცა.

იულიუშ სლოვაცკის ტრაგედია "კორდიანის" (პოლონურ "ჰამლეტად" რომაა მიჩნეული) სამოქმედო ასპარეზმა ცნობილი პოლონელი რეჟისორის ეჟი გროტოვსკის ნებით ვროცლავის თეატრ-ლაბორატორიის სცენაზე ციხე-დარბაზებიდან საგიჟეთს გადაინაცვლა და იოლი წარმოსადგენია, თუ რა ბედლამ-ფარსში აყირავდებოდა პიესის ტრაგიკული სამყარო.

შექსპირის "ოტელო" პეტერ ცადეკის რეჟისურით (ჰამბურგის "შაუშპილჰაუზის" სპექტაკლმა "თავი ისახელა" ეროვნებათა თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე ბელგრადში) ცირკის სახიფათო არენაზე გამართულ კლოუნადას უფრო წააგავს, ვიდრე "მშვიდობიანი" დრამატული სცენის წარმოდგენას. "კლოუნადის" ფინალი კი, როცა დეზდემონას არავითარ შემთხვევაში არ უნდა სიკვდილი და კარატეს ილეთებით უგრჩება შემკრთალ მავრს, უკვე აშკარად აღძრავს ასოციაციას მოკრივე მუჰამედ ალისა და იაპონელი მოჭიდავის გახმაურებულ ორთაბრძოლასთან. თანაც, რინგისა და ტატამის ალიანსი სტრიპ-

---

1. "ყაჩაღების" სარეპეტიციო დღიური. რუსთაველის სახ. თეატრის მუზეუმი.

ტიზითაა აქ შეხმატკბილებული. ასეთი "ოტელო" შეუმშრალებს მაყურებლის საუკუნეებით დაფრქვეულ ცრემლს.

ამ დროს კი შექსპირის კომედიის "მეთორმეტე ღამის" გმირებს ინგმარ ბერგმანის მიერ სტოკჰოლმის სამეფო დრამატული თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლში "მეთორმეტე ღამეში" უმალ შეაშრათ ბაგეს ღიმილი. ნაადრევად ჭაღარაშერეულ ხუმარასაც უსაშველოდ მობეზრდა თავისი როლი. დაიღალა სამსახურით გამწესებული ტაკიმასხარა. ან ვის სჭირდება დღეისად იგი, როს მის ხელობას შეთავსებით ფლობენ ყველანი, — თვით მეუფენიც ამა სოფლისა. რეჟისორის ნაღდმა მაგიამ ლაღი კომედია მკაცრ დრამად შემოაქცია,მხიარულების ნაცვლად სცენაზე "მსოფლიო ღამის" მეფური სევდა დაასადგურა. ასე სწამს რამეთუ ბერგმანს: შექსპირის დღიდან ბევრმა იქუხა სამყაროს თავზე და ჩვენს ნაქუხარ საუკუნეში მოგონილია უღრუბლო კარნავალური კომიზმი. და თუ მის სპექტაკლს კარნავალი მაინც თან ახლავს, — ბრეიგელია ამ კარნავალში.

ბერტოლდ ბრეხტი "გალილეის" კომენტარებში ხაზგასმით მიუთითებს, "თეატრის წინაშე გარდუვალად დადგება საკითხი "გალილეის ცხოვრება" ტრაგედიად განიაზროს თუ ოპტიმისტურ პიესად" და განმარტავს: "გალილეის ცხოვრება" არ არის ტრაგედია".[1] და ეს მაშინ, როცა გერმანელი დრამატურგის აღნიშნული ნაწარმოები ი. ლიუბიმოვის მიერ სწორედ ტრაგედიის ჟანრული სტიქიის გაფხიზლებითაა დადგმული ტაგანკის თეატრში. ბრეხტისავე (ელიზაბეტ ჰაუპტმანისა და კურტ ვაილთან თანამშრომლობით) "სამგროშიანი ოპერა" "ბერლინერ ანსამბლის" სცენაზე (რეჟისორი ერიხ ენგელი) დაუახლოვდა თანამედროვე მიუზიკლს, ესტონურ თეატრ "ვანემუინეში" (რეჟისორ ეპპ კაიდუ) იგი გაიგეს როგორც თითქმის ნამდვილი ოპერა, რუსთაველის თეატრში (რეჟისორი დ. ალექსიძე) — თითქმის ოპერეტა.

ოტია იოსელიანის მამა-პაპურმა "ურემმა" ნამდვილი "თეატრალური ოდისეა" გაიარა, პიესათა "ჯირითში" ტოლი არც ერთ ულტრათანამედროვე "თეატრალურ ტრანსპორტს" არ დაუდო და სხვადასხვა ჟანრის "მედლების" მთელი კოლექციაც დააგროვა. "სანამ ურემი გადაბრუნდება", რომელსაც თავად ავტორმა კომედია შეარქვა, სცენაზე კომედიადაც მოგვევლინა ფინალური "ჰეპი ენდით" (კიევის ლესია უკრაინკას თეატრში კ. სურმავას რეჟისურით), ტრაგიკომედიადაც (რუსთაველის თეატრში მ. თუმანიშვილის რეჟისურით) და დრამადაც (ბარნაულის სამხარეო დრამატულ თეატრში ლ. პაქსაშვილის რეჟისურით), სანამ ბოლოს ლიბრეტოდ არ "გადაბრუნდა" კომპოზიტორ გ. ცაბაძისათვის და არ შვა სენტიმენტური სანახაობა "ჩემი გული აქ არის" ოდესის მუსიკალური კომე-

---

1. Бертольт Брехт, Театр, т. 2, М., 1963, стр. 421.

ლის თეატრის სცენაზე, სადაც ქართული სოფლის "უკანასკნელი რაინდი" აგაბო სრულიად მოულოდნელად გულს აგვიჩუყებს "უკანასკნელი მეფაიტონის" სიმღერით.

ამ "რეესტრის" გავრცობა შეიძლებოდა უსასრულოდ, თუმცა ესეც კმარა თეატრის "ჟანრული თავისუფლების" დასაბუთებლად. სხვა ამბავია, რომ პირველწყაროს დარქმეული ჟანრიდან გადახვევა ყოველთვის როდია ერთნაირად შედეგიანი და მარჯვე. ზოგჯერ ეს გვეჩვენება გამართლებულად (როგორც, ვთქვათ, ახმეტელთან ან ვილართან), ზოგჯერ საკამათოდ (როგორც ვთქვათ, ეფროსთან ან ბერგმანთან), ზოგჯერ – გაუმართლებელ ექსპერიმენტად (როგორც, ვთქვათ, აკიმოვთან ან ცადეკთან). მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. პრინციპი შეულახავია: თეატრი (სპექტაკლის ავტორი) ჟანრის საკითხში, საჭიროებისამებრ, გაეკამათება დრამატურგს (პიესის ავტორს).

ჟანრული სხვაობა ლიტერატურულ პირველწყაროსა და მის სცენურ პარტიტურას შორის განსაკუთრებით მაშინაა შესამჩნევი (ეს ჩვენი მაგალითებითაც ჩანს), როცა თეატრი დასადგმელად იღებს კლასიკურ ნაწარმოებს, როცა "ძველ" ქმნილებას ეძლევა ახალი სცენური სიცოცხლე და ეს სულაც არაა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ ჟანრული სხვაობა აქ თავად უზენაესი მსაჯულის – დროის მიერაა ნაკურთხი. დრო, დრო განაპირობებს ყოველივეს! "ძველ" ქმნილებასაც დრო ანიჭებს ახალ ღირსებას, ახალ მნიშვნელობას. დრო იმზირება ახალი თვალით. დრო შეგვმართავს ხანდაზმულ ორიგინალში ახალ თვისებათა ახალი ეშხის აღმოსაჩენად. დიდ არს ძალა დროისა და მარტო თეატრალური ინტერპრეტაციის კი არა, – დრამატურგიული ადაპტაციისა და, საერთოდ, კლასიკური ქმნილების მხატვრული თუ თეორიული გააზრებისას ჭეშმარიტად მეფობენ დრონი.

შექსპირის ტრაგედიები, როგორც კარგადაა ცნობილი, ვოლტერმა მიიჩნია "საოცარ ფარსად", რამეთუ "რენესანსულ ბარბაროსს" იგი განსჯის თავისი (ვოლტერის) დროის კვალობაზე – განმანათლებლური მსოფლმხედველობისა და კლასიცისტური ესთეტიკის პოზიციებიდან.

ელიოტმა უკვე ჩვენს დროში ასევე ფარსად გამოაცხადა მარლოს ტრაგედია "მალტიელი ებრაელი", – და ესეც დროის კარნახით.

როს დიურენმატი "გაეთამაშება" ავგუსტ სტრინდბერგის "სიკვდილის როკვას", ამ დაასაკებული ორიგინალის საფუძველზე შექმნილ თავის თანადროულ ადაპტაციაში "ვთამაშობთ სტრინდბერგს" ("Play strindberg") ინტიმურ ურთიერთობათა ტრაგედიის ნაცვლად იგი შემოგვთავაზებს კომედიას ინტიმურ ურთიერთობათა ტრაგედიაზე, ვინაიდან, მისი აზრით, თანამედროვე სამყაროს მართლაც რომ "სიკვდილის როკვი-

სა" და ამჟამინდელი მრისხანე სინამდვილის გრანდიოზული ტრაგიკული ბატალიების წინაშე, პიესის გმირების (ედგარისა და ალისას) ცოლქმრული შეხლა-შემოხლა ანუ "კამერული ბატალიები" ცოტა არ იყოს უკვე სასაცილოა და ამიტომაც ახლა იმსახურებს არსებითად კომედიურ შეფასებას.

როცა დღეს პოლიკარპე კაკაბაძის კომედია "ყვარყვარე თუთაბერი" რუსთაველის თეატრში განხორციელდა როგორც ტრაგი-ფარსული რიტუალური ქმედება ანტიქრისტე-ყვარყვარეს დაბადების, ქადაგების, განდიდების, განრიდების შესახებ და თუთაბერის კარიერა ბრეხტისეულ "არტურო უის კარიერას" დაუკავშირდა, სპექტაკლის რეჟისორი რობერტ სტურუა ამას ამართლებს დროის მოთხოვნით: "ყვარყვარე თუთაბერი" დაიწერა 1928 წელს. მაშინ კაკაბაძის წინაშე არ იდგა უდიდესი პოლიტიკური ავანტიურისტის ჰიტლერის მაგალითი. პიესას დღევანდელი თვალით რომ შევხედე, მეოცე საუკუნის ისტორიას რომ გადავხედე, ბევრი ქვეყნის მაგალითი რომ გავიხსენე, ვიგრძენი – პიესას გარკვეული მოდერნიზება დასჭირდებოდა".[1]

თავის მართლება იქით იყოს და მოდერნიზება, ნაწარმოების კითხვა თანამედროვე მოთხოვნილებისა და გემოვნების შესაბამისად კლასიკის ათვისების მართლაც უებრო პირობაა. დრო მართლაც თავისას ითხოვს, მას შეაქვს კორექტივები კლასიკის მხატვრულ აღქმაში და მხატვრულ ფაქტად ქცეული გარკვეული მოვლენა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ესთეტიკური ნიშნადობის თვალსაზრისით განსხვავებული თვისებებით წარმოჩნდება.

ხოლო ჟანრის ნამდვილი ფეიერვერკი, რა თქმა უნდა, იმართება უკვე მაშინ, როცა განსხვავებულ ჟანრულ გააზრებას აქეზებს თავად კლასიკური ქმნილების პოლიფონიური ხასიათი, მისი რთული ჟანრული ბუნება. "დონ კიხოტი" კი სწორედ ასეთი "წამქეზებლის" უნიკალური ნიმუშია: სერვანტესი – კოლუმბი ხომ "კომედიის ინდიეთს" ეძებდა და ტრაგედიის ნაპირს მიადგა!

"ხელოვნებაა თვით უკვდავება... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი" (გამსახურდია). ღმერთთან და სიკვდილთან "დონ კიხოტსაც" უბრძოლია. და გადარჩა რწმენისანი სული ცხოველი!

მათუსალას ათასწლეულს ვერ დაიქადნის კეთილშობილი ჩვენი იდალგო (დაქადნება მიუნჰაუზენს – კეთილშობილ ბარონს უფრო შეეფერის). რა დაუდგება ახლა, თუმცაღა, – ეს დროც დადგება.

ისედაც უთქვამთ: ოსტატი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს.

ჰგიეს "დონ კიხოტ"!

---

1. დიალოგი "ყვარყვარეზე". – "თეატრალური მოამბე", 1974, №4, გვ. 25.

და თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ხანას დაულანდავს თავისი ხატი ლამანჩელისა და ასკეტი თვალებ[illegible] შეუცვლებელი კუთხით უხილავს.

ჯერ იყო მხოლოდ "შეშლილი ჩვეულებრივი", — "გამორჩეული შეშლილი" ის შემდეგ გახდა.

ჯერ იყო მხოლოდ "უწყინარი გიჟი", გამხდარ-გა[illegible] რომ გაართობს სახელდახელოდ, — შემდეგ იჯერეს ცხოვრების საკანს კაცი სიგიჟით თავდაღწეული (რატომაც არა: ერთი პირობა ჰამლეტმაც ხომ ვითომ ააფრინა და პირანდელოს "ჰენრი მეოთხის" აგონისტმაც აღარ ინდომა სიგიჟიდან გამოფხიზლება, ცხოვრების ბედლამს რომ უფრო მარჯვედ გასწორებოდა).

ჯერ იფიქრეს, დონ ალონსომ ნამეტანი ნებაზე მიუშვაო თავისი ფანტაზია, — შემდეგ ჩაუხვდნენ, არსებული ხელისუფლებისათვის სასურველი მიმართულებით რომ არ იყო ეს ფანტაზია ნავარჯიშები.

ჯერ ის ჩასთვალეს ტაკიმასხარად, — შემდეგომად იცნეს ჯამბაზის ნიღაბს მოფარებული იგი მოძღვარი, ირწმუნეს რადგან: სიმართლის ფარას ქურქის გარეშე დაუსჯელად აბა ვინ მწყემსავს. ბრძენკაცთა თავად, თავკაცთა თავად — როდის დასცლიათ, მაგრამ ვის ახსოვს გილიოტინაზე მასხარას თავი დაცემულიყო.

ჯერ შეიცხადეს ქარის წისქვილებს უაზროდ და ფუჭად შებმული თავქარიანი, — შემდეგ ამოხსნეს ამ "დუელის" ნამდვილი აზრი. დონ კიხოტისათვის ქარის წისქვილი ხომ ულმობელი გოლიათია, ყველაფერ დიადს და ამიტომ ჭამადუვარგისს ფქვილად რომ აქცევს: ფქვავს ოცნებებს და გვარწმუნებს, ადამიანი თითქოს მხოლოდ არსობის პურით არის ცოცხალი. ისე გაიგეს: რაინდი ებრძვის იმ ბოროტ ურჩხულს, სულიერ საზრდოს რომ წაგვართმევს და დაგვახარბებს ცხელი კერძის ბედნიერებას. ისე გაიგეს: მაშინ იწყება ჟამიანობა, როს ურჩხულწისქვილს კერპად გავიხდით და წმინდა ტაძარს "შევასახლებთ" წისქვილის ბორბალს (სპექტაკლ "ყვარყვარეს" სცენოგრაფიული მოტივი). ისიც გაიგეს: როცა კვდებიან დონკიხოტები, — იბადებიან თუთაბერები.

ჯერ ადამიანს დონკიხოტობას უკიჟინებენ, — დრო მოვა და შეუქებენ დონკიხოტობას (გორკის დითირამბი როლანისადმი).

დონ კიხოტი, აქაო და ახალ დროში "დაგვიანებული მგზავრი" არისო, ჯერ სიცილით დაასამარეს, — შემდეგ დაუწყეს მას გატირება.

დაასამარეს სიშმაგის გამო, — შემდეგ შესთხოვეს: ეგ სიშმაგე დაგვიბრუნეო (მიგელ დე უნამუნოს ეგზალტირებული პასაჟი). მერე იქნება, დე უნამუნო იმასაც ითხოვს, რომ მოეწყოს ჯვაროსნული დიდი ლაშქრობა დონ კიხოტის საფლავის

გამოსახსნელად, ვინაიდან, მისი ღრმა რწმენით, სერვანტესის რომანი არის ბიბლია, რომანის გმირი — კი ნამდვილი ქრისტე[1]...

მერე იქნება, სხვაც იქნება ბევრი ასეთი...

ჯერ კი ის იყო, რომ ქრისტეს ასაკს გადასულ კაცის კომედიურ მარტვილობას არ უჩანდა ბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ორი საუკუნის მანძილზე (მე-17 და მე-18 საუკუნეები) არ დამცხრალა "დონ კიხოტის" ატრაქციონი. მარტო ესპანეთი კი არა, კეთილგონიერებით მოცული მთელი ცივილიზებული სამყარო განქირდვით შესცქეროდა გაუფასურებული კეთილშობილების უკანასკნელ მოჰიკანს. აწოწილი ხმელ-ხმელი მხედარი უფრო უძლურად და უსარგოდ ესახებოდათ, ვიდრე მისი თვალს დანატრებული გაძვალტყავებული "ბედაური", რომელსაც, თავის საზიდად მაინც მოიხმარ.

სერვანტესში წინ-წინ ხედავდნენ ხალასი ნიჭის იუმორისტს, თავისი ნიჭის სიმაღლიდან რომ დასცინის თავის პერსონაჟს. კარგად ამჩნევდნენ ავტორის მიერ გმირის კრიტიკას, — და ვერ ამჩნევდნენ გმირისადმი მის თანალმობას. ტკბებოდნენ რომანის კომედიური ელვარებით გამართული ტექსტით, — და ვერ აღწევდნენ ქვეტექსტის წიაღს.

"დონ კიხოტი" ამიტომაც მიიჩნიეს ზედმიწევნით კომედიური ხასიათის თხზულებად. თუმცა ის კია, — კომედიის "რაინდულ ტურნირებში" პირველობა მას მიაკუთვნეს. მწუხარე სახის აბჯარასხმულმა მოიერიშემ "სარკეთა" და "თეთრი მთვარის" ვინ უწყის რამდენ "კალმოსან რაინდს" დააყრევინა ფარ-ხმალი. ნიშნეულია, რომ სატირიკოს კევედოს უთქვამს: სერვანტესის კომედიური შედევრის შემდეგ რიღას მაქნისია მთელი ჩემი ნაცოდვილარი, — ის მარტოოდენ აუტოდაფეს იმსახურებსო.

"დონ კიხოტს" კომედიად აღიქვამენ ბომონტი და ფლეტჩერი და მისი გავლენით შექმნიან თავიანთ პაროდიულ კომედიას "ალისფრად მოკაშკაშე ბუტკის რაინდი" (1610 წელი). ადისონი ბურლესკის ნიმუშად ჩასთვლის სერვანტესის რომანს. დეფო და სმიტი მასში დაინახავენ მარტო სატირას მოძველებულ "რაინდულ რომანსა" და ქამგადასულ რაინდობაზე, იდალგოს პროფილში კი განჭვრეტენ იმას, რაც სასაცილო და ალმაცერია დადინჯებული "საღი გონების" თვალსაზრისით. ჰენრი ფილდინგი კლასიკურ ეპოპეას შეეხმიანება კომედიით "დონ კიხოტი ინგლისში" (1734 წელი) და ცნობილ ტანდემს (რაინდი — მესაჭურჭლე) პირინეის ნახევარკუნძულიდან ალბიონის ტერიტორიაზე გაუხანგრძლივებს "იმ მარტვილობას".

ამით არც სხვები ჩამორჩებიან და აქ ისეთი ერთსულოვნებაა, რომ თანამედროვე ესპანოლოგი რამონ მენენდეს პიდალი საქმის ვითარებას იოლად დაუსვამს უტყუარ დიაგნოზს.

---

1. ესპანელ ფილოსოფოსს მიგელ დე უნამუნოს ეს აზრი განვითარებული აქვს თავის წიგნში "დონ კიხოტისა და სანჩოს ცხოვრება" (1905წ.).

"სრულიად ნათელია "დონ კიხოტით" მიღებული პირველი (და მყარი – ვ.ქ.) შთაბეჭდილების არსი: რომანში ამოიკითხეს მხოლოდ სატირა შინაგან კეთილშობილებასა და [illegible]თაკვეთაზე, ავტორის უმოწყალო ირონია უკანასკნელი მოხეტიალე რაინდის მიმართ".[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი საუკუნე არ დამცხრალა-მეთქი ატრაქციონი. უფრო მეტიც, ატრაქციონმა მერეც გასტანა.

ტურგენევიც კი, ვიდრე თავის გახმაურებულ საჯარო ლექციაში "ჰამლეტი და დონ კიხოტი" (1860 წელი) დანიელი პრინცის ეგოცენტრიზმს დაუპირისპირებდა ლამანჩელის ალტრუისტულ ენთუზიაზმს და "ნაღდი იდალგოს", "ნამდვილი ჯენტლმენის" ხოტბას იტყოდა, დონ კიხოტის სახეს ჯერ მხოლოდ სატირის დონეზე აღიქვამს და მას სატირული განქირდვისავე მიზნით მოიმარჯვებს: პოლემიკის დროს დოსტოევსკის დაცინვით იგი უწოდებს "მწუხარე გამომეტყველების რაინდს" ანუ "დარდიანი იერის უმამაცეს მეომარს".

რომანული ლიტერატურის თანამედროვე გერმანელი მკვლევარი ერიხ აუერბახი დაუშურებლად შეამკობს დონ კიხოტს "გიჟის", "სულელისა" და "გადარეულის" ეპითეტებით. თავის ნარკვევში "მოჯადოებული დულსინეა" (1949 წელი), რომელიც მისი ფუნდამენტური ნაშრომის "მიმესისის" ესპანურ გამოცემაში ცალკე თავად შევიდა, იგი დაბეჯითებით დაასკვნის: "სერვანტესის წიგნში თითქმის მთლიანად გაუჩინარდა სერიოზული პრობლემატიკა და ტრაგიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის შედევრი იმ ეპოქისა, როდესაც ყალიბდებოდა ევროპული ლიტერატურის ტრაგიკული პრობლემები (საკმარისია ითქვას, რომ "დონ კიხოტის" პირველი ნაწილი ქვეყნიერებას მოევლინა ზუსტად იმავე წელს, როცა პირველად დაისტამბა შექსპირის "ჰამლეტი" – ვ.ქ.). დონ კიხოტის სიგიჟე არ იძლევა ეპოქის ტრაგიკული პრობლემების გამჟღავნების საშუალებას. და მთელი წიგნი – მარტოოდენ "თამაშია". გმირის ვაუჩურება სასაცილოთ გამყარებული რეალობის ფონზე".[2] მკვლევარის თქმით, "გარდა პატიოსანი და წესიერი გართობისა, სერვანტესის რომანი არავითარ სხვა მიზანს არ ისახავს".[3] ხოლო რაც შეეხება პირადად მას, არც მეტი, არც ნაკლები, ავტორისეული კონცეფციის თანამედროვე სიტუაციაში გადარჩენა და აღდგენა დაუსახავს თურმე მიზნად.

მაგრამ ეს უკვე "დამაჯერებული სიბრძნის" მხოლოდ ცალკეული რეციდივებია, რამეთუ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან

---

1. Рамон Менендес Пидаль, Избранные произведения, М., 1961, стр., 622.
2. Ерих Ауербах, Мимесис, М., 1976, стр. 350.
3. იქვე, გვ. 360.

მოყოლებული იდალგოს კომიკური ფიგურის გვერდით აღმქმნელთა წარმოსახვაში გაჩნდა მისი ძლევამოსილი ტრაგიკული ორეულიც (აკი თავად აუერბახიც იძულებულია აღიაროს, რომ დონ კიხოტი მიამიტურად სასაცილო ან უბრალოდ კომიკური მოხუცი როდია[1]). დრომ მოიტანა და [illegible] კომედიური ერთსახეობა შეიცვალა ტრაგიკომიზმით აღბეჭდილი მრავალსახეობით რაინდისა. ფაქტიურად ეს იყო დონ კიხოტის მეორე დაბადება, მისი მეორედ მოსვლა და ეს მოხდა რომანტიზმის მოსვლასთან ერთად.

შექსპირის კვალად, პირველ და ჭეშმარიტ რომანტიკოს პოეტად რომ შერაცხეს რომანტიკული სკოლის ადეპტებმა, ჯერი სერვანტესზეც მიდგა. სერვანტესთან ივარაუდეს ეპიცენტრი რომანტიკული ფანტაზიის გამოსხივებისა.

ფრიდრიხ და ავგუსტ შლეგელებმა რომანტიკული პოეტიკის პრიზმიდან გახედეს “დონ კიხოტს”, აღმოაჩინეს მასში რომანტიზმის მეთოდით შექმნილი ნაწარმოებისთვის ეგზომ სახასიათო ტრაგიკულისა და კომიკურის თანამთხვევა, მოსალება გროტესკისა, რეალურისა და ირეალურის სინთეზი და ნამდვილ რომანტიკულ რომანადაც დათქვეს სერვანტესის ეპოპეა. “დონ კიხოტში” ჩაღვრილმა ირონიამ მათ შეაძლებინა ისტორიულად დაესაბუთებინათ რომანტიკოსების მხატვრული იდეოლოგიის უმაღლესი პრინციპი – ე.წ. “რომანტიკული ირონია”. სინამდვილიდან ოცნების სავანეს გაჭრილ რაინდში მათ გამოიცნეს პროტოტიპი რომანტიკული გმირისა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, თუ სერვანტესთან გმირის პოეტური ხედვა როგორ გარდაქმნის, როგორ გამარგლავს ყოფის პროზას და ამ ნიშნით სერვანტესის “დონ კიხოტი” მათ შეადარეს გოეთეს “ვილჰელმ მაისტერს”. რაინდისა და მეხაჭურჭლის ურთიერთობათა კომპლექსი მათ იხილეს რომანტიკული ანტითეზის შუქზე და რომანის მთავარ პერსონაჟებს მისცეს სიმბოლური განმარტება (რამაც შემდგომ ფილოსოფიური წიაღსვლა ჰპოვა შელინგის თხზულებებში).

რომანტიკული ინტერპრეტაციის შედეგად იდალგო იქცა ავტორის ლირიკულ გმირად (ანუ დამყარდა თანხმიერება სერვანტესისა და იდალგოს შორის), ატრაქციონის ნაცვლად წინ წამოვიდა მისტერიები, დონ კიხოტის “ღვთაებრივმა კომედიამ” ადგილი დაუთმო დონ კიხოტის “ღვთაებრივ ტრაგედიას”, უფრო ზუსტად – ტრაგიკომიკურ “საიდუმლო სერობას”, და საერთოდ მთლიანად შესხვაფერდა ლამანჩას პეიზაჟი. მზით გადამწვარი ხრიოკი მთვარის თილისმამ შემოსა და დაამსგავსა ჩვენს აღთქმულ მიწას, სადაც ყოველი სასწაული შეიძლება მოხდეს ამიერიდან. სანტუმორო-ბაკი ამიერიდან იქნება მარ-

1. Ерих Ауербах, Мимесис, М., 1976, стр. 350.

თლაც ციხე-კოშკი, – და არა ვინმე სიუზერენის, არამედ თავად წმინდა გრაალის. იქნება კიდეც ლამანჩის ნაპირს ახლა მოადგეს დალანდის გემი. აქ ახლა მართლაც ყველაფერი იქნება მოხდეს. აქ აირევა სიზმარ-ცხადი თუ წარსულ-მერმისი. აღარ იქნება ახალი, ძველი, – იქნება მხოლოდ წარუვალი მარადისი. და ერთი კითხვა: იქნება ვითომ გაცვდეს ოდესმე დონ კიხოტ-დიდმოძღვრის მცნებანი? – არა განძარცვო, არა იფლიდო, არა იტყუო, არა იმრუშო და არა კაც კლა (ბოროტი ურჩხული, რა თქმა უნდა, კაცთ საფლავში აღარაა).

რომანტიკული ინტერპრეტაცია გამოდგა იმდენად ღრმა და მრავალნიშნადი, რომ “დონ კიხოტის” მხატვრული აღქმის ისტორიაში მან შექმნა მთელი ეპოქა. მან (ცხადია, გარკვეული სახეცვლილებით) მოიცვა რომანტიზმის შემდეგდროინდელი ყველა ლიტერატურული მიმდინარეობა და თავი ისინა სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის დიდოსტატთა ნააზრსა თუ წარმოსახვაში.

“ – დონ კიხოტი ერთთავად გამსჭვალულია ერთგულებით იდეალისა... ცხოვრობს ბოროტების აღსაკვეთად. ადამის ძეთა მოპირისპირე ძალების დასათრგუნად. მასში ეგოისტის ნატამალიც კი არაა, იგი თხემით ტერფამდე ზვარაკია... მას სწამს, სწამს უსაშველოდ, სწამს უკანდაუხევი გზების უძიებლად”[1] – როცა “ჰამლეტი და დონ კიხოტის” ავტორი ამას იტყვის და იქვე დასძენს: “ახირებულად მეოცნებე ხალხის გარეშე კაცობრიობა წინ ვერ წაიწევდაო” – იგი უყოყმანოდ გაიზიარებს “დონ კიხოტის” რომანტიკულ ინტერპრეტაციას.

როცა ცხოვრებით ნაგვემი რაინდის “მჭლე სხეული”, განსაკუთრებით კი მისი “საბრალო ზურგი” ჰაინესთვის იქცევა ერთდროულად ულმობელი ირონიისა და ტრაგიკული თანალმობის ობიექტად[2] – ისიც უმალ “დონ კიხოტის” რომანტიკული ინტერპრეტაციის პოზიციაზეა.

როცა მერეჟკოვსკი (მას საამოვნებით მიემხრობიან სხვა პოეტ-სიმბოლისტებიც) სანჩოს მიიჩნევს დონ კიხოტის ისეთსავე აუცილებელ ანტითეზად, როგორც მეფისტო არის ფაუსტისათვის[3] – ისიც დაიჩემებს სერვანტესის რომანის რომანტიკული ინტერპრეტაციის ადეპტობას.

რის თომას მანი შეგვაგონებს, სერვანტესის ეპოპეაში უთუოდ ჩანსო ავტორის სოლიდარობა თავის გმირთან. მისი სწრაფვა თავისი აზრებისა და მსოფლგანცდის რუპორად აქციოს პერ-

---

1. ი. ტურგენევი, ჰამლეტი და დონ კიხოტი. – “საბჭოთა ხელოვნება”, 1975, №12, გვ.91.
2. Г. Гейне, დასახ. ნაშრ. გვ. 139.
3. იხ.: Д. С. Мережковский, Сервантес – В кн. "Вечные спутники. Портреты из всемирной литературы". СПб, 1897, с. 184.

სონაჟი.[1] – ისიც მხარს უჭერს “დონ კიხოტის” რომანტიკულ ინტერპრეტაციას.

და რაოდენ საცნაურია, რომ დეილ ვასერმანისა და ჯო დერიონის “ლამანჩელში”, თითქოს აი ამ შეგონებას აცოცხლებსო, იდალგო სწორედ ლირიკულ გმირადაა წარმოსახული. უფრო სწორად, სერვანტესი აქ შეჯერებულია თავის გმირთან და დონ კიხოტის ისტორიას სევილიის ციხის პატიმართა წინაშე იგი გაითამაშებს ვითარცა თავის ლირიკულ აღსარებას. თანაც, რემარკა მიუზიკლის დასაწყისში სერვანტესის გარეგნობას გვაწვდის იდალგოს რომანისეული პორტრეტის კვალობაზე (ორივე როლის შესრულება ერთ მსახიობს დაევალება), ხოლო მიუზიკლის დასასრულს პატიმართა მეთაური დაასკვნის, – “რატომღაც მგონია დონ კიხოტი ძმა უნდა იყოსო დონ მიგელისა”, რაზედაც სერვანტესი კვერს დაუკრავს: “ღმერთი შეგვეწიოს, ორივენი ლამანჩიდან ვართო”.

ცხადია, უკვე მარტო ამითაც ცხადდება “ლამანჩელის” პრინციპული კავშირი სერვანტესის რომანის რომანტიკულ ინტერპრეტაციასთან. ეს ინტერპრეტაცია კი ისეთი ძალითაა აქ გამხელილი, იმდენ ასპექტსა და იმდენ ნიუანსს შეიცავს, რომანტიკა აქ ისეთ ჭავლებად მოედინება, რომ თამამად შეიძლება გვემსჯელა ამ თანამედროვე მიუზიკლის, ასე ვიტყოდით, სუპერრომანტიკაზე. მაგრამ ეს უკვე ჩვენთვის საგანგებო განსჯის ღირსია.

ახლა კი მხოლოდ “დონ კიხოტის” რომანტიკული გააზრების თანადროულობაზე უნდა ითქვას. “დონ კიხოტის” რომანტიკული ინტერპრეტაცია დღესაც ძალაშია და ახალ მნიშვნელობას, ახალ აზრს იძენს.

დრო, დრო განაპირობებს ყოველივეს! და დრომ ინება კლასიკური რომანის წიაღად რომანტიკის წამოწევა და ქებათა-ქება ლამანჩელისა.

---

1. იხ.: Томас Манн, Путешествие по морю с Дон Кихотом. Собрание сочинений в 10-ти томах, т. 10. М., 1961, стр. 197.

## კიტი მაჩაბელი

# ფრანსისკო გოია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი და გოია

"ჩემს გარშემო გოიას მორთოლვარება იგრძნობა" — ეჟენ დელაკრუას ეს სიტყვები, რომლებიც დიდ ფრანგ ფერმწერს ესპანეთში მოგზაურობისას აღმოხდა, გვიჩვენებენ რამდენ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ესპანეთის დიდებული მხატვრის ფრანსისკო გოიას შემოქმედება მისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებასთან.

ხელოვნების ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მხატვარი, რომელმაც ასე სრულად ასახა თავისი ეპოქა, ასე გულისხმიერად გამოეხმაურა თავისი ქვეყნის ისტორიის ყოველ მოვლენას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, ესპანეთის ხელოვნების "ოქროს ხანის" შემდეგ, რომელიც ფერწერის გიგანტების ელ გრეკოს, რიბერას, ველასკესის, მურილიოს მოღვაწეობით აღინიშნა, გოია მარტოდმარტო განასახიერებდა ესპანეთის დიდებას.

ესპანეთი — იდუმალი და მიმზიდველი, ფანტასტიკური ფუფუნების და სიღატაკის ქვეყანა. ქვეყანა, სადაც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოელვარე მოსასხამები, გიტარები, კასტანიეტები და უბრალო ხალხის თალხი სამოსელი, მაღაროებში მუშათა ჯოჯოხეთური შრომა და ინკვიზიციის შავბნელი ჯურღმულები. ესპანეთში, სადაც ათასობით მონასტრის არტახებში მოქცეული ხალხი უმაგალითო გმირობას სჩადიოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ყოველ ნაბიჯზე საოცარი თავგანწირვის კვალი იყო დარჩენილი. ესპანეთის ამ წინააღმდეგობებითა და განსაცდელით აღსავსე ეპოქის სრულად ასახვისათვის მხოლოდ დიდი ნიჭი და სულიერი სიმტკიცეც არ იყო საკმარისი. მხატვარი აუცილებლად ხალხის წიაღიდან უნდა ყოფილიყო გამოსული, მასთან უმტკიცესი კავშირი უნდა ჰქონოდა და მთელი ცხოვრება ხალხთან ერთად გაეტარებინა, საკუთარ თავზე განეცადა ის უდიდესი განსაცდელი, რაც წილად ხვდა ესპანელ ხალხს.

სწორედ ასეთი იყო დიდი ესპანელი — ფრანსისკო გოია. მისი განუმეორებელი, ტრაგიზმით აღსავსე ხელოვნება იმიტომაც არის ასეთი სისხლსავსე და მრავალფეროვანი, რომ მასში თვით მხატვრის საოცარმა ცხოვრებამ ჰპოვა ასახვა. მეორეს მხრივ, გოიას ნაწარმოებების ტემპერამენტი, უაღრესად თავისებური ხასიათი რომანტიკულ ელფერს ანიჭებს თვით მხატვრის ბიოგრაფიას. ამ ნაწარმოებთა გმირებში გოიას თანამედროვენი და შემდეგი თაობები თვით მხატვარს შეიცნობდნენ. და მართლაც, გოიას ცხოვრება ხომ მოულოდნელი გარდასახვებით, ბედუკუღმართობით იყო აღსავსე: უბრალო ხელოსნის შვილი სამეფო კარის მხატვარი გახდა, ესპანეთის ხალხის ფართო მასების მხატვარმა, ხალხის გულის მესაიდუმლემ — სამშობლოსაგან შორს, საფრანგეთის მიწა-წყალზე ჰპოვა უკანასკნელი განსასვენებელი. ამგვარად აისახა დიდი შემოქმედის ცხოვრებაში ამ ეპოქის თავისებურება, გენიალუ-

რად გარდასახული მხატვრის უდიდესი ნიჭითა და პოეტური ხედვის თავისთავადობით.

ერთმა მკვლევარმა უდიდესი სიზუსტით დაახასიათა გოიას ხელოვნება: „მისი შემოქმედება რომ გაიგო, საჭიროა მოუხმო რევოლუციებსა და ომებს, ხალხის მასებსა და [illegible] ქრისტესა და ინკვიზიციას, ყოველივეს, თუკი რამ [illegible] და მდაბიური ადამიანის სულში". და მართლაც, საუბარი გოიას ხელოვნებაზე შეუძლებელია მხატვრის ცხოვრებასთან კავშირის გარეშე, ესპანეთის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გათვალისწინების გარეშე.

გოიას ნაწარმოებებში ჩანს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ახლებური მიდგომა. ქვეყანაში მომხდარი უდიდესი სოციალური ძვრები თავისებურ ანარეკლს პოვებს მის ფერწერასა და გრაფიკაში.

გოია თავისი ეპოქის პირმშო იყო, იმ ეპოქისა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა შუა საუკუნეების მისტიკური მსოფლმხედველობა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები. XVIII საუკუნის ესპანეთის ქალაქების მოედნებზე ჯერ კიდევ ენთო კოცონები, რომლებზეც წვავდნენ ინკვიზიციისათვის არასასურველ მწერალთა თხზულებებს, ინკვიზიციის ტრიბუნალი კვლავ სასტიკად უსწორდებოდა ურჩებსა და ურწმუნოებს. მაგრამ თავისუფალი აზრი მაინც მიიკვლევდა გზას, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია გაბედულად იმაღლებდა ხმას.

ასეთი იყო მდგომარეობა ესპანეთში, როდესაც ხელოვნებაში პირველ ნაბიჯებს დგამდა პატარა არაგონული სოფლის ფუენდეტოდოსის მკვიდრი ხელოსნის შვილი ფრანსისკო გოია (დაიბადა 1746 წლის 30 მარტს). მძიმე და რთული იყო მომავალი მხატვრის გზა ხელოვნებისაკენ, მხოლოდ უდიდესი ნიჭი და ხელოვნების ფანატიკური სიყვარული აძლევდა ძალას ამ გზაზე აღმოცენებული ყველა წინააღმდეგობის გადასალახავად. ფუენდეტოდოსსა და სარაგოსაში ეზიარა გოია ესპანეთის ცხოვრებას, აქ ნახა მან სენიორის სასახლის ბრწყინვალება და გაჭირვებასთან უიმედოდ შეჭიდებული გლეხების უმწეო არსებობა; აქ გაიტაცა იგი სახალხო დღესასწაულების მხიარულებამ, ხარებთან ბრძოლის ვაჟკაცურმა შემართებამ და არაგონული ხოტის დამათრობელმა, მგზნებარე ჰანგებმა. მისი პირველი დამრიგებელი ლუსანო მარტინესი იყო, მხატვარი, რომელმაც ვერავითარი კვალი ვერ დატოვა თავისი მოწაფის ხელოვნებაში.

სარაგოსა, მადრიდი, რომი — ეს ქალაქები თითქოს ერთგვარი ეტაპებია ხელოვნებისაკენ მიმავალ გზაზე. მრავალი რომანტიკული ლეგენდაა შეთხზული მხატვრის მოღვაწეობის ამ პერიოდის შესახებ: მოგზაურობა მოხეტიალე ტორეადორთა დასთან ერთად იტალიაში გასამგზავრებელი ფულის საშოვნელად, ფათერაკები რომში, ცეცილია მეტელას მავზოლეუმის კარნიზზე გასეირნება და ბევრი სხვა, სადაც რეალობა და ფანტაზია ერთმანეთთანაა შეზავებული.

ოცდათორმეტი წლის გოიამ პირველად შეაღო პრადოს მუზეუმის კარი. აქ აღმოაჩინა მხატვარმა თავისთვის ველასკესი,

რომელმაც ძირფესვიანად შეძრა მისი არსება. მან თითქოს თვალი აუხილა მხატვარს და გაანდო ის საიდუმლოება, რომელსაც გოია ცხოვრების მრავალფეროვან გამოვლინებათა შორის ეძებდა. შემდგომში იგი ველასკესს თავის მასწავლებლად აღიარებს. დიდი ესპანელი რეალისტის ნაწარმოებების ასლების გადასაღებად გოია იმ ნამუშევრებს არჩევდა, რომლებიც მისი შემოქმედებითი ინდივიდუალურობისათვის იყო საინტერესო. ასეთებია მასხარების – სებასტიანო დე მორას, ხუან ავსტრიელის, მენიპესა და ეზოპეს პორტრეტები: "მენინები", ოლივარესის, ფილიპე IV-ის, იზაბელა ბურბონის – ცხენოსანთა პორტრეტები.

XVIIIს. 70-იან წლებში, იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, გოია სარაგოსაში, სანტა მარია დე პილარის ტაძრის გუმბათის მოხატვაზე მუშაობს. პირველად სწორედ აქ მოხდა მხატვრის შეჯახება ოფიციალურ აზრთან, ხელოვნების რეგლამენტაციის მკაცრ მოთხოვნასთან. მისი თამამი, სიცოცხლით აღსავსე კომპოზიციები, დრამატული ექსპრესია თვალში არ მოუვიდა ტაძრის კაპიტულს. ფრესკები დაიწუნეს, რადგან მათი ხასიათი, ოფიციალური აზრით, ეკლესიის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. მათი კოლორიტი გაუმართლებლად მუქად და მღელვარედ მიიჩნიეს. მოგვიანებით გოია თავის მეგობარს მარტინ საპატერს სწერდა: "როდესაც სარაგოსასა და ჩემს იქაურ ფერწერას ვიგონებ, მეწვევნება, რომ ცოცხლად მწვავენ".

პირველი წარმატებები გოიას მოუტანა ნამუშევარმა, რომელიც მან მადრიდში სამეფო მანუფაქტურა სანტა-ბარბარასთვის შეასრულა. ეს იყო პროექტები ევროპაში ძალზე პოპულარული გობელენებისთვის. სამ წელიწადში მხატვარმა გობელენების ოცდაათი პროექტი შეასრულა. ამ კომპოზიციებში გოია ჯერ კიდევ არ არის სავსებით დამოუკიდებელი შემოქმედი, საგრძნობია იმ პერიოდში დიდად პოპულარული ტიეპოლოს ხელოვნების გავლენა. მაგრამ ტრადიციულ მოტივებსაც გოია ოსტატურად ამდიდრებს საკუთარი მიგნებებით. მუყაოებისათვის შესრულებული კომპოზიციები განსხვავებული ხასიათისაა. მხოლოდ ზოგიერთში ჩანს ის ელემენტები, შემდგომში გადამწყვეტი რომ გახდა გოიას ხელოვნებისათვის.

გობელენებისათვის იდილიური სურათების შექმნა მხატვარს თანდათან სულ უფრო მძიმე მოვალეობად მიაჩნდა. როგორც ჩანს, ეს უშფოთველი სცენები აღარ შეესაბამებოდა მის განწყობილებას, ესპანეთის ცხოვრების დაძაბულ ატმოსფეროს. გარდა ამისა მხატვარს მობეზრდა მანუფაქტურისთვის მექანიკური სამუშაოს შესრულება. მას ახალი ინტერესები გაუჩნდა. ამიერიდან იგი პორტრეტის ხელოვნებამ გაიტაცა.

## პორტრეტები

"მხატვრის პატიოსნება უალრესად სათუთი და მგრძნობიარეა, ამიტომ მისი უპირველესი ვალია წმინდად დაიცვას იგი. მხატვრის არსებობა დამოკიდებულია მის შესახებ შექმნილ აზრზე. საკმარისია უმცირესი ჩრდილი მიადგეს მის

სახელს, რომ მყისვე გაქრება მისი ბედნიერება. პატიოსნების დაცვა მხატვრის ბუნებრივი მოვალეობაა".

გოია

1771 წელს გოიამ პირველი ავტოპორტრეტი შექმნა. პორტრეტული ჟანრის ნაწარმოებებზე სერიოზული მუშაობა კი უფრო მოგვიანებით, 80-იან წლებში დაიწყო. ესპანური კლასიციზმის ცნობილმა არქიტექტორმა ვენტურა როდრიგესმა გოია მაღალ საზოგადოებაში შეიყვანა. 1783 წელს გოიამ გრაფ ხოსე დე ფლორიდაბლანკას პორტრეტი შეასრულა. ამ ადრეულ პორტრეტში ჯერ კიდევ ძლიერია წინა ეპოქის კარის პომპეზური პორტრეტების ტრადიციები. პორტრეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, მხატვარმა ამით ძლიერი და ყოვლისშემძლე მინისტრის გული მოიგო და სასახლის წრეებში გარკვეული აღიარება ჰპოვა. 1785 წ. გოია აკადემიის დირექციის წევრად დანიშნეს, შემდეგ წელს კი — კარის მხატვრად. ამ პორტრეტს მოჰყვა ესპანელ არისტოკრატთა შეკვეთები. ინფანტმა დონ ლუისმა მხატვარი თავის მამულში მიიწვია, სადაც გოიამ ამ ლიბერალურად განწყობილი დიდებულის ოჯახის წევრთა თხუთმეტი პორტრეტი შექმნა.

პარადულმა, საზეიმო პორტრეტებმა გზა გაუკვალეს მხატვარს მაღალი საზოგადოებისაკენ. გოიას პორტრეტების უმეტესობა 80-იან წლებში შეიქმნა, ხელოვანი ეძებს გამოსახვის ახალ ხერხებს, მისი ნამუშევრები განსხვავებული ხასიათისაა, ხშირად წინააღმდეგობებით აღსავსე. შემკვეთთა სურვილები ხელებს უბორკავს მხატვარს, ოფიციალური პორტრეტის კანონები ზღუდავს მის თავისუფლებას. მაგრამ გოიას თავისებური ნიჭი ამ მდგომარეობიდანაც პოულობს გამოსავალს. პორტრეტები უაღრესად ცოცხალი და მეტყველია. იეზუიტების აღზრდილი მეფე კარლოს IV ერკვეოდა ფერწერაში და მშვენივრად ხედავდა გოიას დიდებულ ნიჭს. ამიტომაც შეეცადა იგი მხატვრის დაახლოებას და სასახლეში მისი მდგომარეობის განმტკიცებას. მაგრამ, ამავე დროს, მეფე ვერ ჩაწვდა გოიას პორტრეტების მამხილებელ ხასიათს. იგი აღტაცებული იყო საკუთარი პორტრეტების დიდებულებითა და ფერწერული ოსტატობით და ვერ გრძნობდა გოიას დაუნდობელი ფსიქოლოგიური დახასიათების ძალას.

XVIII ს. ოთხმოცდაათიანი წლები — საფრანგეთის რევოლუციის ეპოქა — ესპანეთში რეაქციის მძვინვარების ხანაა. მხატვარი ღრმად უფიქრდება ესპანეთის სინამდვილეს, განიცდის სამშობლოს ახალ განსაცდელს. ეს ფსიქოლოგიური სიღრმე ჩანს ამ პერიოდის პორტრეტებში. გოია ქმნის ესპანეთისათვის სრულიად ახალი პორტრეტის ტიპს — მარტივს, ლაკონურს, მკვეთრი დახასიათებით. ასეთებია მისი მეგობრების — მხატვარ ბაიეუს, პოეტების ხუან ვალდესისა და ლეანდრო მორატინის, მარტინ საპატერის და სხვათა პორტრეტები. მეორეხარისხოვანი დეტალების გარეშე, ძუნწი ხერხებით აღწევს იგი რეალისტური პორტრეტის იშვიათ გამომსახველობას. განსაკუთრებულია ამ დროის პორტრეტების ფერადოვნება — რუხი-ვერცხლისფერი კოლორიტი ნახევარტონების შეფარდებაზე თხლად დადებული რუხი ტონების უნატიფეს ნიუანსებზეა აგებული.

ამ პერიოდშია შექმნილი ესპანელ ქალთა შესანიშნავი პორტრეტები, რომლებზეც გოიას მეგობართა, მხატვართა, ლიტერატორთა მეუღლეებსა და ესპანეთის დიდებულ სენიორთა გვერდით თეატრის მსახიობებიც არიან უკვდავყოფილნი. მათ შორის განსაკუთრებით დგას სახელოვანი მსახიობ[illegible] როსარია ფერნანდესის, "ლა ტირანად" წოდებულის [illegible]ვალე პორტრეტები, ერთსა და იმავე დროს დიდებული თავშეკავებული და მგზნებარებით აღსავსე.

ესპანელი ქალის სილამაზის იდეალია ხორცშესხმული გოიას ორ ფერწერულ ტილოში: "ჩაცმული მახა" და "შიშველი მახა". ორივე პორტრეტი საინტერესოა თავისი ჩანაფიქრითა და შესრულების უდიდესი ოსტატობით. ეს იყო გაბედული ნაბიჯი, რადგან ინკვიზიციის მიერ სასტიკად იდევნებოდა შიშველი სხეულის გამოსახვა. გოიამდე ესპანურ ხელოვნებაში ამ სიუჟეტის ერთ-ერთი მაგალითი ველასკესის "ვენერა სარკესთან" იყო.

გოიას "შიშველი მახა" ინკვიზიციისადმი თამამი გამოწვევაც იყო და აკადემიის დრომოჭმული კანონების წინააღმდეგ მიმართული პროტესტიც. ამ სურათში ყველაფერი აკადემიის მკაცრ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა — ქალის მოქნილი,პლასტიკური სხეულის თავისებური პროპორციები, შუქ-ჩრდილით შერბილებული კონტური, უფაქიზესი ფერადოვანი რეფლექსები. სურათი დაწერილია მოყავისფრო—წითელ გრუნტზე, რომელიც გამოკრთის ჩრდილოვან ადგილებში და აცოცხლებს შუქ ტონებს. მოძრავი, მოკლე მონასმები მიჰყვება სხეულის ფორმას და რბილად ძერწავს მას.

გოიას "მახები" განსაცვიფრებელია მათი განსაკუთრებული ინდივიდუალობით და უდიდესი განზოგადებით, ეროვნული ნიშნების გადმოცემით.

მხატვარმა არაერთხელ აღბეჭდა ტილოზე სილამაზით განთქმული მანდილოსანი კაეტანა ალბა, რომელთანაც გოიას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ჰერცოგის მეუღლის პორტრეტები დახვეწილი ფერადოვნებითა და გრაციოზულობით გამოირჩევა.

კაეტანა ალბას პორტრეტებადაა მიჩნეული ჩანახატები ე.წ. "სანლუკარის ალბომიდან". 1796-97 წლებში გოია სტუმრად ეწვია ჰერცოგ ალბას მეუღლეს მის ანდალუზიურ რეზიდენცია "სანლუკარ დე ბარამედაში", აღნიშნული ჩანახატები სწორედ ამ დროს უნდა იყოს შესრულებული. ეს იყო გოიას ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი და უღრუბლო პერიოდი, რომელსაც წინ უსწრებდა საშინელი ტრაგედია — ორი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მხატვარმა სმენა დაკარგა.

სანლუკარის ალბომში ჩანს, თუ როგორ დასძლია მხატვარმა მძიმე სენი და კვლავ ეზიარა ცხოვრების სიხარულს. ეს ნახატები თითქოს მხატვრის დღიურის იდილიური ფურცლებია, სადაც მისი ცხოვრების ერთი მცირე ნაწილია უკვდავყოფილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს გოიას ნახატების მეორე კრებულს, ე.წ. "მადრიდის ალბომს", სადაც თავმოყრილია XVIII საუკუნის ესპანეთის ქუჩების ცხოვრების ამსახველი ჩანახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატები, ესპანეთის ქუჩის ტრადიციული პერსონაჟების – მახების გამოსახულებით.

"მადრიდის ალბომის" ნახატები ტუშითა და სეპიითაა შესრულებული. მხატვარი ვირტუოზულად ფლობს ნახატის ტექნიკას და ქმნის ტონალური შეფარდებით [illegible] მრავალფეროვან ფაქტურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნახატებში თავი იჩინა გოიას ნიჭის განსაკუთრებულმა თავისებურებამ – მოძრაობის გადმოცემის განუმეორებელმა უნარმა. მისი ნახატები აღსავსეა ხასიათო ჟესტებით, მძლავრი მოძრაობით, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ნაწარმოებთა გამომსახველობას.

1800 წელს გოიამ შექმნა კარლოს IV-ის "ოჯახური პორტრეტი". სამეფო ოჯახის წევრები და მხატვრის ავტოპორტრეტი მოლბერტთან ორგანულ მთლიანობადაა შეკრული. ამ ტილოში მიღწეულია პალიტრის იშვიათი მრავალფეროვნება. კომპოზიციის ერთიანობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია შუქი, რომელიც ფიგურების გარშემო ცოცხალ ატმოსფეროს ქმნის. ნაწარმოებში ბრწყინვალე ფერწერული ოსტატობა მახვილ სოციალურ დახასიათებასთანაა შერწყმული.

მანდილოსანთა პორტრეტებს შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი "დონია კობოს დე პორსელის" პორტრეტი. ეს იყო მშვენიერების ეროვნული იდეალის განსახიერება. აქ, ისევე როგორც გოიას ყველა ნამუშევარში, იგრძნობა მხატვრის აბსოლუტური გულწრფელობა, აღტაცება სრულყოფილი სილამაზით, მშვენიერი ესპანელი ქალის ტემპერამენტიანი ბუნებით, მისი კეთილშობილებით.

თუკი მანდილოსანთა პორტრეტები გხიბლავთ მშვენიერ ასულთა მგზნებარე ხასიათით, კეთილშობილებით, თავისებური, განუმეორებელი გრაციით, ესპანელ ვაჟთა პორტრეტებში – სიამაყე და ხასიათის სიმტკიცეა განსახიერებული. ასეთებია გოიას მეგობრების, მათ შორის ცნობილი ესპანელი ტორეროების პორტრეტები. ტორეადორ ხოსე რომეროს პორტრეტი ხომ ერთ-ერთი ყველაზე გამომსახველია გოიასეულ ქმნილებებს შორის. გასაოცარი ვირტუოზულობით გადმოსცემს მხატვარი ტორეროს საპარადო ჩაცმულობის ბრწყინვალებას, სამკაულთა ელვარებას. ამ ხაზგასმულ ფერადოვნებასა და მაჟორულ ხმოვანებას აპირისპირებს სახე, აღბეჭდილი მტკიცე ხასიათითა და უდიდესი გამბედაობით.

90-იანი წლები გოიას შემოქმედებაში უდიდესი ნაყოფიერებით აღინიშნება. მისი წერილებიდან ჩანს, თუ რა გატაცებით მუშაობს იგი, როგორ ცდილობს მუშაობით უკუაგდოს ავადმყოფობით გამოწვეული ნაღველი. ამ დროს უნდა იყოს შესრულებული "შეშლილთა სახლი", "ფლაგელანტების პროცესია", "სოფლის კორიდა", "ინკვიზიციის ტრიბუნალის სხდომა".

## "კაპრიჩოს"

"ჩემს ავადმყოფობასთან დაკავშირებული საშინელი აზრების განსაქარვებლად და უამრავი დაკარგული დროის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის პატარა სურათების დახატ-

ვა დავიწყე, ამ სურათებში შევძელი ცოცხალი დაკვირვების გადმოცემა, რაც არ ხერხდება შეკვეთით შესრულებულ ნამუშევრებში, რადგან მათში მხატვრის ფანტაზიას არ აქვს თავისუფლად გაშლის საშუალება”.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII საუკუნის 90-იან წლებში გოიამ შექმნა ნახატების სერია “მოუხერხებელი სარკე”, რომლებშიც ესპანეთის არისტოკრატიის ჭეშმარიტი არსის გოიასეული ხედვა აისახა. ესპანელ დიდებულთა სახეები სარკეებში აირეკლებოდა იმგვარად, როგორც მათ მხატვრის თვალი აღიქვამდა. გარემო სამყაროს მხატვრული გახსნის ეს პრინციპი განსაკუთრებული სიმძაფრით განხორციელდა ფეოდალურ ესპანეთზე გოიას გენიალურ სატირაში – ოფორტების სერიაში “კაპრიჩოს”-ი. ეს იყო გოიას ნახატების პირველი სერია, რომელიც საგანგებოდ დასაბეჭდად იყო განკუთვნილი.

შემთხვევითი არ არის, რომ “კაპრიჩოს”-ის პირველ ფურცელზე მხატვარმა ავტოპორტრეტი მოათავსა. ორმოცდაათ წელს მიახლოებული მხატვარი, დაღლილი, ბრძნული მზერით შეჰყურებს სამყაროს. თქვენ გრძნობთ, რომ განვლილმა წლებმა ღრმა დაღი დაასვა ხელოვანს და ის, რაც გადაგვეშლება მის მიერ შექმნილ 83 ფურცელზე, მან საკუთარ თავზე გამოსცადა, საკუთარი თვალით ნახა და გულით შეიგრძნო.

ამ სერიის ფურცლები არ არის ერთმანეთთან სიუჟეტურად დაკავშირებული. მათ აერთიანებს ერთი იდეა, ერთი აზრი, ერთი მსოფლმხედველობა. მათი საერთო მიზანია – ამხილონ ესპანეთის საზოგადოების სიმახინჯე და მორალური დაცემა, გამოამზეურონ ამ საზოგადოების ყველა უარყოფითი თვისება.

რეალურისა და ფანტასტიკურის უცნაური შერწყმა, რეალური სამყაროსა და ურჩხულებით დასახლებული გონებით შექმნილი სამყაროს მოვლენების გადახლართვა ქმნიდა უდიდესი ძალის მხატვრულ სახეებს, რომლებშიც ადვილი იყო ესპანეთის სინამდვილის ყველა მხარის ამოცნობა. ინკვიზიციის სასჯელის თავიდან ასაცილებლად გოიამ ოფორტების ფიცრები და ყველა ანაბეჭდი მეფე კარლოს IV-ს უძღვნა. მეფის ბრძანებით ოფორტები სამეფო ხალკოგრაფიაში დაიბეჭდა. ამან მხატვარი ინკვიზიციის სასჯელს გადაარჩინა.

“კაპრიჩოს”-ის სერიის ნახატებში ჩნდება გოიას ხელოვნების ახალი ნიშნები – დრამატული დაძაბულობა, შუქ-ჩრდილის რემბრანდტისეული კონტრასტები. გოია ხედავდა სამყაროს არა ხაზოვანსა და მკაფიოდ გამოკვეთილი სილუეტებით, არამედ ფერწერული მასებისა და ტონალური შეფარდებებით. მისი შემოქმედებითი პრინციპები ძირეულად ეწინააღმდეგებოდა აკადემიზმის პოზიციას. “კაპრიჩოს”-ი – გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

გოია შეეცადა შეერბილებინა ოფორტებისაგან მიღებული შთაბეჭდილება და გამოაცხადა, რომ იგი მათში არ გულისხმობდა არც კონკრეტულ პიროვნებებს, არც კონკრეტულ მოვლენებს: “მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ავტორი არავი-

თარ ნიმუშებს არ ბაძავდა, ამასთანავე, მას საშუალება არა ჰქონდა ნატურაზე ემუშავა. ბუნებისადმი მიბაძვა, თავისთავად უაღრესად რთულია და მით უფრო გასაოცარია, რომ ამის მიღწევა მოახერხა იმან, ვინც სავსებით დაშორდა ბუნებას და ცდილობს გვიჩვენოს ფიგურები და პოზები, რომლებიც მხოლოდ ადამიანის გონებაში არსებული, გონებაში, რომელიც ბნელითაა მოცული და არეულია განათლების უქონლობით და აღელვებული დაუოკებელი ვნებებით”.

გოიას ნახატებში მთავარია შუქ-ჩრდილი. მძლავრად დაპირისპირებული, ძლიერი შუქით ამოგლეჯილი ცალკეული ფიგურები ფონის ღრმა შავ ფონზე არარეალურ, ფანტასტიკურ მოხაზულობებს იძენენ.

სპეციფიკურია გოიას მიდგომა ფორმისადმი, ხაზი მის ნახატებში ქრება, რჩება ფორმის მუდმივი დინამიკური ცვალებადობა, ლაქებით მონიშნებული მატერიალურობა. შტრიხი ექსპრესიული და სწრაფია, დეტალები არასდროს არის მონიშნებული.

“კაპრიჩოს”-ში გამოაშკარავებულია ესპანეთის საზოგადოების ყველა მხარე: ეკლესიის გამყიდველობა, დიდებულთა აღვირახსნილობა, მოწინავე იდეების დევნა, ხალხის ჩაგვრა.

გოიამ საკუთარი თავიც არ დაინდო — ერთ-ერთ ნახატში მან გაკიცხა დიდგვაროვან წინაპართა ძიება. მან ხომ თვითონაც მიამატა საკუთარ გვარს არისტოკრატიული ნაწილაკი — “დე გოია”.

“კაპრიჩოს”-ის საერთო ჩანაფიქრის გახსნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ფურცელი, რომელზეც გამოსახულია მძინარე თუ ჩაფიქრებული მხატვარი, რომელსაც გარს ეხვევიან საშინელი ურჩხულები, ღამურები, ჭოტები, კატები. ყველა ნახატის მსგავსად ამ ფურცელსაც მხატვრის წარწერა აქვს — “გონების ძილი ურჩხულებს შობს”. ამით მხატვარს იმის თქმა სურდა, რომ ყველაფერი საშინელი, რაც კი აისახა ამ სერიაში, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ გონიერება, ნათელი აზრი დევნილი და დასჯილი იყო მის თანამედროვე ესპანეთში.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის გოია ბევრს ხატავს და ქმნის ათობით გრაფიკულ ფურცელს, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს სერია “მათხოვრები, ხეიბრები”, სადაც ესპანეთის სოციალური წყობის უსამართლობაა მხილებული.

ნახატი კიდევ უფრო თავისუფალი და ვირტუოზული ხდება. ცალკეული ფიგურები მკაფიოდ აღიბეჭდება ქაღალდის თეთრ ფონზე, რომელიც ჰაეროვან სივრცეს ქმნის ფიგურის გარშემო, მოძრაობა ვითარდება არა სასურათე სიბრტყის პარალელურად, როგორც ადრეულ ნახატებში, არამედ იშლება სიღრმიდან.

გოიას ნახატის ეს თავისებურება კარგად ჩანს კომპოზიციებში “გლეხის ოჯახი”, “მამის ამბორი”, რომლებიც თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შესრულებული, ნახატები მზის შუქით, სინათლითაა აღსავსე. აქ ჩამორეცხვის მუქი ლაქების მოძრაობა ქმნის უცნაურ, დაძაბულ ატმოსფეროს, მღელვარე განწყობილებას.

განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს გოია ესპანელი ხალხის ცხოვრების სურათებს. სოფლის უბრალო ხელოსნის შვილი, დიდებული მხატვარი გატაცებულია ხალხური სიმღერებითა და სეირნობებით. ერთ-ერთი ასეთია „სეირნობა სან ისიდროს ველზე"; ხალხის მასა კომპოზიციის მთავარი მოქმედი პირია, იგი ნაკადივით მოედინება სიღრმიდან და ავსებს ნახატს.

გოიას პორტრეტები და ნახატები უაღრესად ეროვნულია თავისი ხასიათით. მხატვრულ სახეთა დახასიათების სიმკვეთრით, სახვითი ხერხების ლაკონურობით, იგი განაგრძობს დიდი ველასკესის შემოქმედებით პრინციპებს, მაგრამ სოციალური უსამართლობის, ხალხის ბედუკუღმართობის, მისი გმირული სულის ასეთი სისავსით ჩვენებას ესპანურ ხელოვნებაში, მხოლოდ გოიასთან ვხვდებით.

სერია „კაპრიჩოს"-ი თავისი აზრით ხალხურია, რადგან მიმართული იყო ხალხის უფლებათა დასაცავად, თითოეული ფურცლის წარწერა ხალხური მეტყველების საუნჯიდან იყო ამოკრეფილი, ხალხურ ანდაზებსა და სიბრძნეს ემყარებოდა; „კაპრიჩოს"-ის საოცარ, ფანტასტიკურ სახეთა შესაქმნელად მხატვარი ესპანურ ხალხურ ზღაპართა და თქმულებათა განუმეორებელ სამყაროს ეზიარა.

„კაპრიჩოს"-მა უდიდესი როლი შეასრულა ევროპული ხელოვნების განვითარებაში. მისი ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ბევრმა მკვლევარმა და შემოქმედმა სცადა. იგი დღესაც ღრმა აზრითა და მნიშვნელობითაა აღსავსე, როგორც ძალადობისა და ბოროტების მრისხანე მხილება. შემთხვევითი როდია, რომ გოიას ერთ-ერთი მკვლევარი (ო. ჰაგენი) ახასიათებდა რა „კაპრიჩოსს", აღნიშნავდა, რომ გოიას ეს ნაწარმოები თავისი ძალით წარმოადგენს დიურერის „აპოკალიფსისისა" და ჰოლბაინის „სიკვდილის ცეკვის" შერწყმას ფეოდალურ ესპანეთზე საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენის ურთულეს ეპოქაში.

## „ომის საშინელებანი"

მათთვის არსებობს მხოლოდ ხაზები, ისინი არ ხედავენ სხეულებს. სად პოულობენ ისინი ბუნებაში ამ ხაზებს? მე ვხედავ ბუნებაში მხოლოდ განათებულსა და ჩაბნელებულ სხეულებს, მოახლოებულსა და დაშორებულ საგნებს, ჩაღრმავებებსა და ბურცობებს. ჩემი თვალი არასდროს ხედავს ხაზებსა და დეტალებს. ჩემი ფუნჯი არ უნდა ხედავდეს ჩემზე უკეთ და ჩემზე მეტს".

გოია

XIX საუკუნის დასაწყისი სისხლიან ქარტეხილად დაატყდა ესპანეთს. ნაპოლეონის არმიამ ცეცხლს მისცა ესპანეთის მიწა-წყალი. გაანადგურა ასობით სოფელი. მადრიდში შიმშილისა და შავი ჭირისაგან ათასობით ადამიანი დაიღუპა. ესპანეთის ხალხი გმინავდა დამპყრობთა უღელქვეშ. 60 წელს გადაცილებული მხატვარი მშობლიურ არაგონში დაბრუნდა

აღსავსე შურისგების გრძნობით, რადგან გონებას არ ძალუძდა შეგუება იმისა, რასაც გოია თავის გარშემო ხედავდა. პროტესტის ნიშნად მხატვარმა ნახატების სერია "ომის საშინელებანი" ("დესასტრეს დე ლა გერა") — ულმობელი ბრალდება ომის წინააღმდეგ. ეს იყო სრულიად ახალი ჟანრი — უშუალო რეპორტაჟი სისხლიანი ამბების ადგილიდან. ეს იყო იმ საშინელებათა უშუალო მომსწრე მხატვრის ცოცხალი შთაბეჭდილებების უკვდავყოფა, სისხლიანი მატიანე, რომლის მსგავსი არ იცოდა ხელოვნების ისტორიამ.

წარწერები ზუსტად ასახავენ მხატვრის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. "მე თვით ვნახე ეს!", "შეუძლებელია ამის ყურება!", "ხსნა არსაიდან ჩანს".

ამ ნახატების გმირი — ესპანელი ხალხია, რომელიც დამპყრობთა წინააღმდეგ სახალხო ომს — გერილიას აწარმოებდა.

თორმეტი წელი მუშაობდა გოია ნახატების ამ სერიაზე (1808-1820.). თვით მხატვარმა ასეთი სათაური მისცა ესპანელი ხალხის თავგანწირვის ამ უბადლო მატიანეს: "ბონაპარტთან ომის საბედისწერო შედეგები და სხვა კაპრიჩოს". სახელწოდება "ომის საშინელებანი" სერიამ მიიღო სან ფერნანდოს აკადემიისაგან მათი გამოცემის დროს (1863წ.), ეს მოხდა მხატვრის გარდაცვალებიდან 35 წლის შემდეგ.

შემონახულია გოიას ალბომი სანგინით შესრულებული ჩანახატებით. ეს ალბომი მას თან ჰქონდა არაგონში და იქ საშინელ მოვლენათა კვალდაკვალ საზარელი სანახაობით შეძრწუნებული, გვამებით მოფენილ ბრძოლის ველზე ხატავდა სახალხო ტრაგედიის ფურცლებს. ჩანახატები ისეთი დოკუმენტური სიზუსტითაა შესრულებული, რომ ბევრ კომპოზიციაში თანამედროვეები ბრძოლის კონკრეტულ ეპიზოდებსა და კონკრეტულ პიროვნებებს ცნობდნენ. ასეთია ფურცელი "რა სიმამაცეა!" ფურცლის დიდ არეზე ნათელ ლაქად მკაფიოდაა გამოკვეთილი ქალიშვილის ნატიფი სილუეტი. პატრუქით ხელში დგას იგი ზარბაზანთან, დაღუპულ მებრძოლთა სხეულებზე, როგორც სიმამაცის, უმაგალითო თავგანწირვის სიმბოლო. მხატვარმა ამ ნახატში გამოხატა თავისი აღტაცება არა მარტო ამ ქალიშვილის გმირობით, არამედ მებრძოლ, თავისუფლებისმოყვარე ესპანელ ქალთა თავდადებით. ამ სიმბოლურ გამოსახულებაში ესპანელებმა იცნეს მარია-აგოსტინა, გმირი ქალი, რომელიც მარტო განაგრძობდა ბრძოლას მაშინ, როდესაც სარაგოსას ერთ-ერთ ბატარეაზე დაიღუპა ყველა მებრძოლი. მან ფიცი დადო, რომ ბოლომდე დარჩებოდა ბარიკადებზე და წმინდად დაიცვა ფიცი.

ბევრი უბედურება გადაიტანა ესპანეთმა იმ წლებში, როდესაც გოია "ომის საშინელებათა" შექმნაზე მუშაობდა. ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები მიეკუთვნება ამ პერიოდს: მრავალრიცხოვანი პორტრეტები, ფრესკები სან-ანტონიო დე ლა ფლორიდაში, ნახატების დიდი რაოდენობა, სადაც ესპანეთის სინამდვილის თითქმის ყველა მხარეა უკვდავყოფილი. მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ის ნაწარმოებია, რომლებიც ესპანელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას მიეძღვნა. ეს არის ორი დიდი ფერწერული ტილო: "1808 წლის 2 მაისის

აჯანყება" და "ამბოხებულთა დახვრეტა 3 მაისს" შექმნილი ხალხის უმაგალითო გმირობის უშუალო შთაბეჭდილებებით.

1808 წელს ესპანეთის მეფის კარზე კონფლიქტის გა[illegible]ყვეტად მთავრობამ საფრანგეთს მიმართა. საფრანგეთის ჯარები ესპანეთს მოადგნენ. ხალხი აღდგა ეროვნული თავისუფლების დასაცავად. 2 მაისს მადრიდის ხელოსნები, [illegible]კეები, ტორეადორები და გარეუბნის გლეხები დაიძრნენ დამპყრობთა წინააღმდეგ. გოია სახელოსნოს ფანჯრებიდან გადაჰყურებდა პუერტა დელ სოლის მოედანს, სადაც უთანასწორო ბრძოლა გაიმართა. მხატვარი სუნთქვაშეკრული უყურებდა თითქმის უიარაღო თანამემამულეების ბრძოლას მარშალ მიურატის ცხენოსან მამლუქებთან. ტილო აღსავსეა დრამატიზმით, ბრძოლის დინამიკით. სულ რამდენიმე ფიგურის ახახვით გოია ქმნის მებრძოლთა მასის შთაბეჭდილებას. მძლავრი, ექსპრესიულია სურათის ფერწერული მხარე. რეფლექსები ისეთი გაბედული და მოულოდნელია, რომ სურათის ცენტრში თეთრი ცხენი თითქმის მწვანე ტონშია გადაწყვეტილი.

"დახვრეტა" XIX საუკუნის ერთი ყველაზე უფრო დრამატული ნაწარმოებია. უკიდურესი ტრაგიზმი აქ წმინდა, ფერწერული ხერხებითაა მიღწეული, ხალხის მძიმე ხვედრი ღრმა მღელვარებითაა განცდილი ფერადოვანი გამის საგანგებო ხმოვანების საშუალებით. მთავარი გამომსახველობითი საშუალება აქ ფერია. ფერადოვანი ლაქებისა და რეფლექსების სიმდიდრე აზრის გადმოცემას ემსახურება.

არსებობს გოიას მსახურის მოგონება ამ საშინელ დღეთა შესახებ. იგი თან ახლდა მხატვარს, რომელიც სისხლიანი ტრაგედიის ადგილას მომავალი სურათისათვის ჩანახატებს ასრულებდა.

XIX საუკუნის დასასრულს ერთ-ერთი იტალიელი პატრიოტი დე ამიჩისი ასე ახასიათებდა დიდი ესპანელი მხატვრის ამ ნაწარმოებებს: "ეს სურათები გოიას უნდა შეექმნა აელვარებული თვალებით, პირზე ცოფმომდგარს, გამძვინვარებულსა და გაშმაგებულს; ეს უკანასკნელი ზღვარია, რომელსაც აღწევს ფერწერა, ვიდრე იგი მოქმედებად იქცეოდეს. ამ ზღვარის გადალახვისას უკუაგდებენ ფუნჯს და ხელში მახვილს იღებენ. ამგვარ საღებავებს მხოლოდ სისხლი მოსდევს".

ომის შემდგომი რეაქცია, რეპრესიები, ბნელეთის ძალთა თარეში ესპანეთში აისახა 20-იან წლებში შესრულებულ გოიას ნახატებსა და გრავიურებში. იგი მძიმედ განიცდიდა ესპანეთის ახალ ტანჯვას, მისი მეგობრების ნაწილი საპყრობილეებში იყო, ბევრი მათგანი უცხოეთში გადაიხვეწა. ნახატების სერიაში "პატიმრები" მხატვარი ამხელს ინკვიზიციის შავბნელ საქმიანობას. ჩვენს თვალწინ გაიელვებენ ინკვიზიციის მსხვერპლთა სახეები, ჩაივლიან ბორკილდადებული თავისუფლებისათვის მებრძოლნი. აქაც იგრძნობა ნახატების დოკუმენტური სიმართლე. მხატვარი ყველა აქ აღბეჭდილი მოვლენის უშუალო მომსწრეა.

## "გოიას სახლი"

"ფერწერა (პოეზიის მსგავსად) სამყაროდან ირჩევს იმას, რაც უკეთ შეესაბამება მის მიზნებს. იგი ერთ წარმოსახვით

სახეში აერთიანებს ცხოვრების მოვლენებსა და ხასიათების თავისებურებებს, რომელიც ბუნებამ ადამიანთა შორის მიმოფანტა. ასე ოსტატურად შექმნილი მხატვრული სახე მხატვარს ჭეშმარიტ შემოქმედად აქცევს და არა მორჩილ კოპიისტად.”

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოია

ესპანეთში ბურბონების დაბრუნებამ, რეაქციის მძვინვარებამ დიდად იმოქმედა მხატვარზე. ამას დაერთო მძიმე განცდები პირად ცხოვრებაში (გარდაიცვალა მისი მეუღლე ხოსეფა, ცალკე დასახლდა მისი ვაჟი). გოიას გული აღარ უჩერდებოდა მადრიდში, 1819 წელს მხატვარი ტოვებს დედაქალაქს და სახლდება საკუთარ სახლში მდინარე მანსანარესის ნაპირას. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ამ სახლს “კინტა დელ სორდო” – ყრუს სახლი – შეარქვეს. მხატვარი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ეკლესიებისა და სასახლეების შემკობაზე, სხვათა შეკვეთით მუშაობდა, ამიერიდან საკუთარი სახლის მოხატვას განიზრახავს. სახლის ორ სართულზე გოიამ 15 კომპოზიცია დახატა. ამ სამუშაოებისათვის მან განსაკუთრებული ტექნიკა გამოიყენა, იგი ხატავდა კედელზე ზეთის საღებავებით. XIX საუკუნის 50-იან წლებში ეს პანოები ტილოზე გადაიტანეს. ისინი ამჟამად მადრიდში, პრადოს მუზეუმშია დაცული.

“ყრუს სახლის” მოხატულობა ერთიანი გეგმითაა შესრულებული; ცალკეული პანოების ალეგორიული აზრის გაგება მხოლოდ საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარე ხდება შესაძლებელი. ამ ნაწარმოებების სიმბოლიკას რეალური სინამდვილე უდევს საფუძვლად. ამ გროტესკულ სურათებში ხორცი შეესხა ადამიანის საშინელ ინსტინქტებს, თითქოს კვლავ გაცოცხლდნენ “კაპრიჩოსის” საშინელი ზმანებები.

“კინტა დელ სორდოს” ფრესკებს მხატვარი მხოლოდ თავისთვის ქმნიდა, ამიტომაც ბევრი აქ გაუგებარია გოიას სხვა ნაწარმოებების გაუთვალისწინებლად. ამ ფრესკებში გასაოცარი ძალის მხატვრული სახეებია, რომლებშიც ფანტასტიკური ჩვენებებია განსახიერებული. “კინტა დელ სორდოს” მოხატულობაში ყველაზე ნათლად გამომჟღავნდა გოიას მიდრეკილება მონუმენტურობისაკენ, განზოგადებისა და დრამატული ეფექტებისაკენ.

“ყრუს სახლის” ფრესკებთან ერთად გოია მუშაობდა ოფორტების ორ სერიაზე: ერთი მათგანია – ფანტასტიკური ალეგორიების სერია “დისპარატეს” (“არაჩვეულებრიობანი”), რომელშიც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა მხატვრის ფანტაზია, მგზნებარე ტემპერამენტი, კომპოზიციური ოსტატობა.

მეორე სერიაა – “ტავრომაქია”, რომელშიც უდიდესი ოსტატობითა და საქმის შესანიშნავი ცოდნითაა ასახული ხარებთან ბრძოლის ურთულესი სცენები.

გოია მთელი ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ესპანელთა ეროვნულ სანახაობას – კორიდას და აქაც ჭეშმარიტი ესპანელი იყო. მხატვარი მეგობრობდა ცნობილ ტორეროებთან, შესანიშნავად ერკვეოდა ამ სანახაობის ყველა საიდუმლოებაში, კორიდის თემაზე რამდენიმე ნამუშევარი გოიამ ჯერ კიდევ სანტა ბარბარას მანუფაქტურაში მუშაობისას შეასრუ-

და სიჭაბუკის წლებში მხატვარი თვითონაც იღებდა მონაწილეობას ტორეადორთა მოხეტიალე დასების გამოსვლაში. ხანდახან ხელსაც კი ასე აწერდა: “ფრანსისკო დე ლოს ტოროსი”.

გოიას ოფორტებში მთელი სისრულით ჰპოვა ასახვა ამ დიდებული სანახაობის მრავალფეროვნებამ. სანახაობა, რომელშიც ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადაჭდობილი [illegible] ძალა, ოსტატობა, სპორტული სილამაზე და ბარბაროსული სისასტიკე, საქმის უდიდესი ცოდნით და ბრწყინვალე ოსტატობით აღბეჭდილი. გოიას ოფორტებში ნაჩვენებია არა კორიდის პარადული მხარე, არამედ ბრძოლის სცენები. ამ ჩანახატებში აღბეჭდილია ხალხის კულმინაციას მიღწეული მღელვარება, ტორეროს დაძაბული პოზა, ხარის საბედისწერო ნახტომი, რქებზე წამოცმული, განგმირული ტორერო. მოძრაობის ანალიტიკური დაშლით, ფორმების ექსპრესიული ცვალებადობით, შუქის მოციმციმე ეფექტებით, განწყობილების გადმოცემის ვირტუოზულობით გოია ამ სერიაში ფრანგული იმპრესიონიზმის წინამორბედად გვევლინება.

მხატვრის გულში ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლით ნასაზრდოები იმედი ღვივოდა. თავისი სურათების გმირებს იგი ახლა ხალხის წიაღში ეძებს. ოთხმოცი წლის მოხუცი პოულობს ძალას ოპტიმისტურად შეხედოს მომავალს. ამის შესანიშნავი დადასტურებაა მისი ბოლო ნამუშევრები: “მახები”, “მჭედლები”, “გოგონა დოქით”. უაღრესად მარტივი კომპოზიცია, მოძრაობათა მკაფიოება, პლასტიკური მოდელირების დახვეწილობა, ფორმის მონუმენტურობის შეგრძნება, განათების ეფექტების ვირტუოზული ფლობა — ყველაფერი ეს ქმნის ამ ფერწერული ტილოების განუმეორებელ მხატვრულ ღირსებებს.

## “მე ისევ ვსწავლობ” (გოია)

“ჩემი მასწავლებლებია — ველასკესი, რემბრანდტი და ბუნება”.

გოია

1832 წლის ნოემბერში სიკვდილით დასაჯეს ამბოხებულთა მეთაური პოლკოვნიკი რაფაელ რიეგო. ესპანეთში კვლავ რეაქცია მძვინვარებდა. მადრიდში დაბრუნებული მეფე ფერდინანდ VII უჩვენებს გოიას, რომ იგი ყულფის ღირსია. გოიას აღარ ძალუძს სამშობლოში დარჩენა. იგი მეფეს ნებართვას სთხოვს საფრანგეთში წასასვლელად, პლომბიერის წყლებზე სამკურნალოდ. 1824 წლის მაისში მოხუცებული, მძიმე სენით შეპყრობილი გოია ტოვებს ესპანეთს. იგი სახლდება ბორდოში, ესპანური ემიგრაციის ცენტრში — ვერავერმა გატეხა მხატვრის ნებისყოფა, ვერც სამშობლოს დატოვებამ, ვერც საკუთარმა ბედუკუღმართობამ, ვერც ავადმყოფობამ. “მე ისევ ვსწავლობ” — ვკითხულობთ მინაწერს მის ერთ-ერთ ბოლო ნახატზე და ვიცით, რომ ეს ლიტონი სიტყვები როდია. 79 წლის მძიმედ დაავადებული გოია პარიზში გაემგზავრა ჟერიკოს სახელგანთქმული “მედუზას ტივისა” და ახალგაზრდა დელაკრუას ორი სურათის სანახავად.

ძნელი დასაჯერებელია რომ გოიას, რომელსაც დაუქვეითდა მხედველობა, აუკანკალდა ხელები, ძალა შესწევდა ხელი

მოეკიდა გრაფიკის ახალი ტექნიკისათვის, რომელიც ეს-ესაა ფეხს იკიდებდა ევროპაში. ეს იყო ლითოგრაფია, რომელშიც გოიამ თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა. ლითოგრაფიული ფანქარი საშუალებას აძლევდა სწრაფად განეხორციელებინა ჩანაფიქრი და ამასთანავე მიეღწია შუქ-ჩრდილის [illegible]ისათვის. ბორდოში შექმნა მან შესანიშნავი [illegible] ხარები", რომელთა ექსპრესიას და ტემპერამენტს ცოტა რამ თუ შეედრება ლითოგრაფიის ისტორიაში.

ცხოვრების ბოლო წლებში შესრულებული ლითოგრაფია "ანდალუზიური ცეკვა" კვლავ ახალგაზრდული ხალისითა და ოპტიმიზმითაა აღსავსე. ამგვარ ნაწარმოებებს ქმნიდა მხატვარი, რომელიც ერთ-ერთ თავის წერილში სასოწარკვეთილი წერს – "მე აღარ დამრჩა არც მხედველობა, არც ძალა, არც კალამი და არც სამელნე – არაფერი, ნებისყოფის გარდა. ეს კი ჭარბად მაქვს".

გოია ესპანელ ემიგრანტთა წრის სულისჩამდგმელი იყო. იგი ბევრს მუშაობდა. მხატვრის მეგობარი პოეტი მორატინი ერთ-ერთ წერილში წერდა: "...გოიას კვლავ შესანიშნავი განწყობა აქვს. მას არ სურს არაფრის შეცვლა ან შესწორება".

გოია ერთხელ კიდევ ჩავიდა მადრიდში (1826 წელს), ნაცნობი ადგილებიც მოინახულა, მაგრამ იგრძნო, რომ ამ სულისშემხუთველ ატმოსფეროში გაძლება არ შეეძლო და ისევ ბორდოში დაბრუნდა. მის უკანასკნელ ნაწარმოებებში, სადაც მხატვარი ახალი ფორმების, ახალი სახვითი საშუალებების ძიებას აგრძელებს, მიტოვებული სამშობლოს მოგონება და სევდაა ჩაქსოვილი.

ესპანელი ხალხის პირმშო – ფრანსისკო გოია გარდაიცვალა უცხოეთში, სამშობლოსაგან მოწყვეტილი 1828 წელს, ბორდოს მთელი მოსახლეობა მიაცილებდა დიდ ესპანელს გრანდ შარტრეზის სასაფლაოსაკენ. მხოლოდ 70 წლის შემდეგ მისი ნეშტი მადრიდში, სან-ანტონიო დე ლა ფლორიდას ეკლესიაში გადაასვენეს.

ფრანსისკო გოია ბუმბერაზივითაა აღმართული თავის თანამედროვეთა შორის, მისი ხელოვნების ფესვები ღრმადაა ჩაზრდილი მშობლიურ ნიადაგში.

მის შემოქმედებაში თითქოს დაკრისტალებულია ყოველივე პროგრესული და მოწინავე, რაც კი ისახებოდა XIX საუკუნის წიაღში. გოიამ თავისი ხელოვნებით თითქოს წინასწარ განჭვრიტა ბევრი რამ ისეთი, რაც გაცილებით უფრო გვიან გაჩნდა ევროპულ ხელოვნებაში.

ახლა, როდესაც გენიალური ესპანელი მხატვრის გარდაცვალებიდან საუკუნენახევარზე მეტი ხანი გავიდა, გაოცებთ ის უდიდესი ზემოქმედების ძალა, რომელიც ესოდენ ძლიერია მის ჭეშმარიტად უკვდავ ქმნილებებში.